K 1408/1a

თხზულებანი

899.962.1

# ანტონ ფურცელაძისა.

ნაწილი პირველი.

## თამარ ლაზნელი.

K 1408/1a

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

1884

თბილისი.

# თამარ ლაზნელი.

(უძღვნი მათე კერესელიძეს)

ფილოსოფოსნი, მეცნიერნი, სწავლულნი, ბრძენნი,
რაცა რომ კაცსა თავი ახსოვს, აქვს კაცის გონი,
იყვნენ ნიადაგ ამ კითხვისა მეძიებელნი:
რა არს სიცოცხლე და რა არის მისი საგანი.
საუკუნენი საუკუნეთ უკან გასდევდნენ,
ელვასავითა ჰქრებოდნენ და იკარგებოდნენ;
ვით ხის ფურცელნი, ვით იოტნი კაცნი სწყდებოდნენ
და საუკუნეთ საფლავებში იმარხებოდნენ;
მეცნიერება, ხელოვნება, ენების სწავლა
შორს ვარსკვლავებსა, ცის სამყაროს ხელებს აწვდიდნენ;
კაცის გონებამ გაარკვია თვითონ ის ძალა,
ვის მანამდისინ გონებასაც ვერ უმართავდნენ; —
მაგრამ ეს კითხვა კითხვად დარჩა, და ისევ დღეს
შევცქერით ცასა, ვეკითხებით თავსა და სხვებსა:
რა არს სიცოცხლე და რა არის მისი საგანი,
და დღესაც კითხვა ესე რჩება გაუგებარი.

რა არს სიცოცხლე, რის მაქნისი, რათ გვიკვეთავს გულს?
მრავალჯერ ამ ფიქრს ჩვენი გულიც უღელვებია,
მეტად, როს სოფლის ბრუნვისაგან ჩვენ, გატაცებულს,
სიცოცხლეცა და მთლად ცოცხალნიც მოგვძაგებია.
სცოცხლობ და ჰღელავ, გაღელვებენ, ჰშფოთ და აშფოთებ,
არ გასვენებენ, არ ასვენებ, სდევნი, გდევნიან;
რაღასაც ელტვი, რაღასაც სდევნი, რაღასაც ეძებ,
და გულისქმანი ჩვენი ზღვათებრ აღელდებიან;
და ვერვინ გვაძლევს ამის პასუხს: რათ? რისათვისა?
კაცი უკეთეს სიცოცხლეს რად ვერ შესჩვევია?...
ნუ თუ სიცოცხლე მოგვენიჭა ტანჯვისათვისა?..
მაშ ეს საუნჯე საწამლავად რად გვიქცევია?...
მეტაფიზიკნი დაეძებდნენ ყველას სათავეს,
ყველას სათავეს წმინდა გონით ჰფიქრობდნენ პოვნას,
და ამ ძებნაში მათ ხელიდგან ისიც გაუშვეს,
რისაც მიწდომა ძლივ კიდეც კაცთა გონებას.
ამგვარ, სიცოცხლეს ვერ-ვინ მიხვდა, ვერც მას საგანსა..
კაცი იტანჯა, კაცი მოკვდა, გაჰქრა ვით კომლი!...
და სუყველა კი რაღათაცა ჰრაცხავდა თავსა
და თავის-თავთან არ მიაჩნდა არავინ ტოლი.
გაჰქრა, წავიდა! და ჩვენ დღესა, წინაპართ ძეთა
გულს არ გვიღელვებს წარსული და კაცთ სატანჯველი:
ჩვენცა სიცოცხლე ისევ ისე მიგვყავს მწარეთა,
როგორადაც წინად იყო კაცი გამტარებელი.
დიახ! იტანჯა კაცი მუდამ, იტანჯა მწარედ,
კაცთა ცრემლებსა მიწის გულიც კი დაულბია;
კაცისა გული მუდამ ჰკვნესდა მწარედ მდუღარედ,
და აქამდისინ სიცოცხლე არ გაჰღიმებია...

წმინდა მამათა ჩვენ გვასწავლეს, რომ სიცოცხლე კაცთ
მოენიჭა ზეციერი მამისაგანა,
რომ სასოებით და ღაღადით შეუწყვეტელად
მუდამ შეამკონ მის დიდება და მისი მადლა;
რომ იგი არსი, რომელიცა იგრძნობს დიდებას
თავის გამჩენის და სიცოცხლის მომნიჭებლისას,
საუკუნოსა ცხოვრებასა და ნეტარებას
მიხვდება მაშინ... როს დაჰკარგავს გზას ცხოვრებისას!...
და ბრძენთა ბრძანეს, მეტაფიზიკთ — არსთ-არსთ მძებნელთა,
რომ ზენაესი გონიერება ყველას განაგებს,
რომ ყველა მისგნით დაწყობილა გონივრულადა
და გონივრულად კაცთ სიცოცხლეს იგი გზას აძლევს;
რომ ყველა მისგნით დაწყობითვე წყობილ-გებულა,
რომ უნდა მოხდეს ყველა იგი, რაცა კი ხდება,
და ჩვენ არ ძალგვიძს არ რის მოშლა, რაც განგებულა,
მხოლოდა ღვმართების მორჩილება და თაყვანება.
ამ გვარ გვიღსნიდნენ ჩვენ სიცოცხლეს კაცთ წინამძღოლნი,
ჩვენც ვიწამევით მათ სიტყვანი, და მათ წინაშე
მოვიდრიკევით ქედები და გულნი ობოლნი:
ამა სიტყვათა, ვით ქვის ბურჯის კაცნი დავეყრდნენ.
დიახ, ასრეა! მას გვიმტკიცებს წარსულნი დღენი;
ამას გვიმტკიცებს დღევანდელი ბედნიერება...
ღვთისკენ პყრობილი მუდამ იყო გონება ჩვენი;
და ღმერთმა მოგვცა ჯილდოთ ჩვენთა დღეთა ცხოვრება!...

## II

მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე მჩელად საამო:
ჩვენს იარებ'ა და წყლულებში ხელების რევა,
მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა, და ამის გამო
შევიძინე მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა.
მაგრამ არ გული დამწყნის გვირგვინს, არც მინდა იგი —
დაფნით ღორის თავს გვიმკობენ, ჰეინემ ბრძანა —
დღეს სხვათ მისცენ ეს დიდება, ბევრსა აქვს დინგი —
ღორის თავებით სავსე არის ჩვენი ქვეყანა,
და დაეხსენი მე დამწყევლონ, — მე ვრჩეობ წყევლას:
ზოგჯერ დაწყევლა დალოცვაზედ სანატრელია!...
არ მოვაშორებ ჩვენსა წყლულსა გალესილ დანას,
მინამ ეს წყლული ჩვენი გზისა გამკვლეველია...
ქება-შემკობის ბევრი მქონა არ დაგვჭირდება,
თაყვანის მცემთაც გროვა ადვილ შესაძენია:
აქევი ჩვენი უმეცრება და უმგვრება,
ეც მას თაყვანი, რაც რომ უფრო შესარცხვენია;
აქე ამასთან ჩვენთა მწერალთ ზადი და კილი,
იმათს სიწამხდრეს მიუკმიე სიტყვები ტკბილი,
სთქვი: უამათოთ ქვეყნის ჩარხი არ დაბრუნდება,
იმათს ღრმა აზრთა და ცონებას ვერვინ მისწვდება —
და გაიჩარხა შენი საქმე! დასცემენ საყვირს:
შენს ბედალს კაცსა დუნიაზედ ველარ ჰპოვებენ,
და რაც სიზმრათაც არ უნახავს შენს კალამს და პირს,
ყველა იმასა გიპოვნიან და მოგაწერენ...

. . . . . . . შეყართ ოხვრა წრიპინი,
დედაბერივით უადგილოთ ცრემლების დალვრა,
და რომა ჰკითხოთ: რისთვის მოსთქმენ ასრე ისინი,
იმათ უგულოთ აღმოხდებათ გულიდგან ოხვრა,
და მით პასუხსახა თავისა გაგითავებენ.
ხალხსა სტირიან, ხალხის სევდას თითქო მოსთქვამენ,
მაგრამ თუ ხალხის იარები უჩვენე მათა,
მყისვე ჩაგთვლიან ძმის მკვლელად და მუხანათათა ..
ამ გვარ შეიძენ ჩვენში დღესა ხროვათ ქებასა:
სუყოველ მხრიდგამ დაგიწყებენ ლალადებასა...
მაგრამ მე მაინც არ უმტყუნებ არჩეულ გზასა,
ვით ვერ უმტყუნებ ჩემსა გულსა და ჩემსა თავსა,
მხოლოდ შენ მეყვხარ სახეშია, ჩემო მკითხველო,
და მუდამ გეტყვი სწორე სიტყვას, რაც გინდა მწყევლო.
მე ამ ნაწერში შენ მოგითხრობ ბევრ რამ იმასა,
რაც ეხლაცა გვწუხავს და გვიწუხავდა მამა-პაპასა.
შენს გასართობსაც ბევრს დაგიწერ, ნუ დაღონდები:
შენ გიყვარს შფოთვა, გიყვარს სისხლი, გიყვარს ცრემლები, —
თუ რომ შენ თითონ არ გადგია ეს დღეები, —
და სიუხვითა ყველა ამის ნახვას შეხვდები.
ნახავ ტრფობასაც უნუგეშოს — ესეც ხომ გიყვარს! —
ნახავ წამხდარსა იმედებსა და სიცოცხლეს მკვდარს,
ნახავ სიმართლეს, ფეხ-ქვეშ ნათელს და გაბასრულსა,
ნახავ ჩვენს ბედსა ჩვენთ მძლავრთაგან ძირს დამარხულსა.
(მათი სისხლი და მათი სული დღესაც სცოცხლობენ:
მათი შვილები მათი სენით მოწყლულ არიან,
ცხადათ რომ მაღლად მაღალთ აზრთა დაჰქადაგობენ,
ჩუმათ ამ აზრთა შეუწყალათ ფეხ-ქვეშ ჰმესრიან.)

## II

მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე მჩელჯად სამო:
ჩვენს იარებ'ა და წყლულებში ხელების რევა,
მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა, და ამის გამო
შევიძინე მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა.
მაგრამ არ გული დაფნის გვირგვინს, არც მინდა იგი —
დაფნით ღორის თავს გვიმკობენო, ჭკვინემ ბრძანა —
დეე სხვათ მისცენ ეს დიდება, ბევრსა აქვს დინგი —
ღორის თავებით სავსე არის ჩვენი ქვეყანა,
და დაეხსენი მე დამწყევლონ, — მე ვრჩეობ წყევლას:
ზოგჯერ დაწყევლა დალოცვაზედ სანატრელია!...
არ მოვაშორებ ჩვენსა წყლულსა გალესილ დანას,
მინამ ეს წყლული ჩვენი გზისა გამკვლეველია...
ქება-შემკობის ბევრი მებნა არ დაგვეჭირდება,
თაყვანის მცემთაც გროვა ადვილ შესაძენია:
აქავი ჩვენი უმეცრება და უმკვრება,
ეც მას თაყვანი, რაც რომ უფრო შესარცხვენია;
აქვე ამასთან ჩვენთა მწერალთ ზადი და კილი,
იმათს სიწამხდრეს მიუძღვნე სიტყვები ტკბილი,
სთქვი: უამათოთ ქვეყნის ჩარხი არ დაბრუნდება,
იმათს ღრმა აზრთა და გონებას ვერვინ მისწვდება —
და გაიჩარხა შენი საქმე! დასცემენ საყვირს:
შენს ბადალს კაცსა დუნიაზედ ველარ ჰპოვებენ,
და რაც სიზმრათაც არ უნახავს შენს კალამს და პირს,
ყველა იმასა გიპოვნიან და მოგაწერენ...

. . . . . . .  უყვართ ოხვრა წრიპინი,
დედაბერივით უადგილოთ ცრემლების დალვრა,
და რომა ჰკითხოთ: რისთვის მოსთქმენ ასრე ისინი,
იმათ უგულოთ აღმოხდებათ გულიდგან ოხვრა,
და მით პასუხსახა თავისა გაგითავებენ.
ხალხსა სტირიან, ხალხის სევდას თითქო მოსთქვამენ,
მაგრამ თუ ხალხის იარები უჩვენე მათა,
მყისვე ჩაგთვლიან ძმის მკვლელად და მუხანათათა ..
ამ გვარ შეიძენ ჩვენში დღესა ხროვათ ქებასა:
სუყოველ მხრიდგამ დაგიწყებენ ღაღადებასა...
მაგრამ მე მაინც არ უმტყუნებ არჩეულ გზასა,
ვით ვერ უმტყუნებ ჩემსა გულსა და ჩემსა თავსა.
მხოლოდ შენ მყევხარ სახეშია, ჩემო მკითხველო,
და მუდამ გეტყვი სწორე სიტყვას, რაც გინდა მწყევლო.
მე ამ ნაწერში შენ მოგითხრობ ბევრ რამ იმასა,
რაც ეხლაცა გვწყლავს და გვიწყლავდა მამა-პაპასა.
შენს გასართობსაც ბევრს დაგიწერ, ნუ დაღონდები:
შენ გიყვარს შფოთვა, გიყვარს სისხლი, გიყვარს ცრემლები, —
თუ რომ შენ თითონ არ გადგია ესე დღეები, —
და სიუხვითა ყველა ამის ნახვას შეხვდები.
ნახავ ტრფობასაც უნუგეშოს — ესეც ხომ გიყვარს! —
ნახავ წამხდარსა იმედებსა და სიცოცხლეს მკვდარს,
ნახავ სიმართლეს, ფეხ-ქვეშ ნათელს და გაბასრულსა,
ნახავ ჩვენს ბედსა ჩვენთ მძლავრთაგან ძირს დამარხულსა.
(მათი სისხლი და მათი სული დღესაც სცოცხლობენ:
მათი შვილები მათი სენით მოწყლულ არიან,
ცხადათ რომ მაღლად მაღალთ აზრთა დაჰქადაგობენ,
ჩუმათ ამ აზრთა შეუწყალათ ფეხ-ქვეშ ჰმუსრიან.)

ყველას გიჩვენებ, შენ ოღონდ კი დამიგდე ყური:
ჩვენი მწერლების ფეხის ხმასა შენც ნუ აჰყვები —
ტვინის ჩარჩები უგულმა აქვთ მათ მომართული —
ყველას უგულმა იგონებენ მათი ყურები;
და ღმერთმა ნუ ჰქნას — შენც უგულმა გეყურებოდეს,
მაშინ ის შიჯობს, რომ კალამი ჩემი დადუმდეს,
თორემ ქაჯური ლაპარაკი მეც დამჭირდება
და სიბერის დროს უკან კუდი დამჰკიდება.

III

„ჩვენი ივერი, მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და საკალალო!...
ბრძანა პოეტმა და პოეტი იგი არ იცნეს,
და მის სიტყვებსა ცეცხლით სავსეს თაყვანი არ სცეს!
გულ-მოსაკლავი სიტყვით მოსთქვამს მისი „[illegible]დი“,
მის მძლავრი სიტყვით გულს ცეცხლს გიჩენს ქართველთა ბედი.
ვით გლოვის ზარი მწუხარეა მისი ლექსები
და მას შეადგენს ჯოჯოხეთის მწველი სიტყვები.
იმის მდუღარე და მღელვარე გულის სიღრმითა
აღმოხდებოდა საშინელი კვნესა ოხვრითა:
„მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწავთ, რომ არსებდეს და იყვეს ღმერთი!?...
„მაშ საქართველო ასრე მწარეთ რისთვის დაემხო?!...
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა პატარა კახო?...
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება;
როს საქართველო დანგრეული მომელანდება;

ურა ფიქრს მომივა, თვით ნანგრევნიც იქნესა განჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ!...“
ქართველთ ეს სიტყვა უნდა გულში გვებეჭდებოდეს,
ვიდრემდის კიდევ ქართველთ სისხლი სადმე ჰდიოდეს.
მე ესე ლექსი წავიკითხე ცრემლების ღვრითა
და ავატირე ბევრნი სხვანიც მის წაკითხვითა.
ეს მოკლე სიტყვა ჩვენს ცხოვრებას ღრმათა ჰხატავდა
და ჩვენს მწარე სვეს ჩვენსა თვალსა წინ უხატავდა.
რა იყო მართლა ჩვენი ბედი, ჩვენი ცხოვრება,
თუ არა ოდენ სისხლი, ცრემლი, კვნესა, ვაება!
მთა ველს გასტიროდა, ველი მთას ბანს ცრემლით გასძახდა
და ყოველს ნაბიჯს ქართველთ სისხლი მდინარებრ რწყავდა.
სისხლი და ცრემლი! ცრემლი სისხლში შეერეოდა,
ამ სისხლ-ცრემლთ ზღვაში საქართველო შიგ სცურაობდა!
«ცალს ხელში ჯვარი», ღვთის დიდებას ჩვენ ვღაღადებდით,
ცალს ხელში ხმალი, მტერსა ამით პასუხს ვაგებდით!
და მაინც კიდევ საქართველოს ბედი აღსრულდა:
უმანკოთ სისხლმაც ვერ დაიცვა ქართველთა ბედი!
გმირებრ მტრის დანას ის ყელიდგან აირიდებდა,
იუდის ამბორს მან შესწირა თავის იმედი...
მე დიდათ მძაგს ცრემლები და შემდრკალი ხმები:
ნიადაგ მხნე ხმას ჩემს კალამსა ვათქმევინებდი;
მაგრამ ზოგჯერა უნებლიეთ გიკვნესის გული,
როდეს უღელი, სასო-მხდელი, ქედს გაქვს დადგმული.
მაგრამ მე აქაც არა ვკარგავ სასოებასა,
აქაც იმედებს ვათქმევინებ ჩემსა კალამსა:
მიჯობს სიკვდილი უიმედო დაცემულს ყოფას
და მომავალი ჩვენი ბედის ნდობის დაკარგვას.

დიახ, მწარეა წასრული და აწც ჩვენი დღენი;
მოსაგონათაც მწარე არის, რაც გაგვივლია!
მაგრამ, თუ გვინდა ავირიდოთ ის დღე მწარენი,
გვიჯობს გვახსოვდეს, რაც ძირმწარე დაგვიდევკია.

IV

გიამბობთ ამბავს ლეგენდარულს, მაგრამ მართალსა,
ნამდვილს მართალსა, იმა დღეთა ნამდვილსა კვალსა, —
რომელს დროსაც ეს ამბავი მიეწერება, —
და ეს ამბავი, დამერწმუნეთ, დამეჯერება.
ჩვენით მატიანეთ დამწერელნი ყურს არ უგდებდნენ
არცა ხალხსა და არცა ხალხის ყოფა ცხოვრებას:
ისინი მარტო მეფეთა და სარდალთ იცნობდნენ
და აგვიწერდნენ მათს ომებს და მათს ამხედრ
დაჯდა ბაკური ქართლის მეფედ, მოკვდა ბა ,
ბაკურის შემდგომ დაჯდა ფარსმანი, კაცი უძლურ ;
სუმბატის შემდგომ მეფედ დაჯდა ბაგრატ რეგვენი;
მოკვდა რეგვენი, სუმბატ, დავით და სხვა მეფენი;
საქართველოსა თავს დაესხნენ ჯარნი სპარსელნი,
უცალობისთვის ვერ მოვიდნენ შველად ბერძენნი;
შემოესია საქართველოს ყრუი მურვანი,
ქართველთ თავთაგან აგო ციხე და გალავანი.
ამ გვარ გვიწერდნენ ცხოვრებას და ისტორიასა.
სად იყო ხალხი, ან რა ერქვა აქ ქართველ კაცსა?
რისთვის დაესხა სპარსთა ჯარი ქართველთა თავსა?
ან რათ ჰმუსრავდა ყრუ მურვანი ქართველსა ხალხსა?

ჩვენს მატიანეთ ამ ამბავსა ამაოდ ჰკითხვენ:
ისინი ამას არ ჰხედავდნენ, არც ყურს უგდებდნენ;
ხშირად ისინი ნადირობას მეფეთ აგვიწერდნენ,
და ვისი იყო იგი მეფე არ დაგვიწერდნენ.
ამ გვარ ვიცით, რომ ოცამდისინ მეფე ოცს წელსა,
თითქმის ოც-ოც-ჯერ იყვნენ ტახტით გადაყრილები;
რომ ქართქველთ მეფე ხშირად ეპყრათ ხელთ როსკიპებსა
და ბატონობდნენ მეძავნი და ზნე გარყვნილები;
ვიცით: ქს-და-ეს სამესისხლოთ შემოგვეხია,
მოაოხრა და სულ აიკლო მთლად საქართველო;
ვიცით: მტრის თავზედ ქართველთ ხმალი გაუდესია
ისე დაუფავს თვის სამყოფი და სამლოცველო;
მაგრამ არ ვიცით, რასა ჰგრძნობდა მაშინ ქართველი;
არ ვიცით როგორ ისჯებოდა ხალხთა დამცველი;
არ ვიცით, ერი ვით იცავდა თავსა და სხვასა,
რით ჰნუკეშობდა, ან რით სცემდა ის თავს ძალასა;
არ ვიცით, მტერი რათ გვდევნიდა შეუწყალოთა;
რისთვის სწყუროდა ჩვენი სისხლი გაუმაძღრათა,
ან რათ იკლავდა გამეტებით ქართველი თავსა
და რას იცავდა მის სანაცვლოდ ღირსს დასაცავსა?!
მათ არ გაგვაცნეს ჩვენ წარსული ხალხის ცხოვრება.
ამისთვის მინდა მცირეც არის იგი გაჩვენოთ,
რომ ხალხის გულში მით შეიძლოთ თქვენ ჩანდება,
იცნათ იგი და თქვენცა თქვენი თავი გაიცნოთ.

V

ეს იყო იგი მედგარი დრო, როს საქართველოს
განრისხებული შაჰი აბაზ ემუქრებოდა;
პირში მოყვასი, პირს უკანა ხალხსა და სამყოფს
ხაქართველოსას გამტკვრებას ეპირებოდა.
დღესაც არ ვიცით, შაჰი ეს, ქველი და მძლავრი,
საქართველოზედ რისთვის იყო განრისხებული!
ჩვენ მიზეზათა მიგვაჩნია დიდ-მოურავი,
რადგანაც იგი სამშობლოდგან იყო დევნული.
მაგრამ შემცდარა, ვინც ენდობა ამ ცრუ აზრებსა:
მათ ვერ უცვნიათ ვერც შაჰი და ვერც მოურავი!
ჩვენზედ განრისხდა აბაზ მისთვის, რომ ჩვენ რუსეთსა
სპარსეთის სამტროდ გადავსვიეთ მოყვრულად, [illegible]ავი.
დამეგობრება ამა მძლავრთა ერიდებოდა,
მაგრამ რუსეთი მეზობლობას არ ეშვებოდა.
შაჰი ჰდუმობდა, გული გესლით გაევსებოდა;
და საქართველო ამათ შუა იჭულიტებოდა.
აი ამ დროსა, სწორეთ ამ დროს, სხვილოს ციხესა,
იდგა სჯულისგან გადამდგარი ამილახვარი.
მუნით შედგარებრ უგზავნიდა მტერთა რისხვებსა
და ზარს დასცემდა მთლათ მთელს ქართლსა ანდუყაფარი.
ანდუყაფარი! ასრე ერქვა ამ მძლავრს თავადსა,—
და ეს სახელი დღესაც დასცემს ხალხს შიშის ზარსა!—
მან ქრისტეს სწავლა ანაცვალა მუსლიმთ სწავლასა,
და მაჰმადისთვის მოუღლელად იქნევდა ხმალსა.

მას, ქართველთ მტერსა, მათი ნდობა სრულად არ ჰქონდა,
და ქართველთაგან ყოველ წუთას სიკვდილს ელოდა;
ამისა გამო მან მიჰმართა სხვილოს ტყე მთასა,
ვით მიუდგომელს, ძნელს შესამართს და მკვიდრს ალაგსა
აქ დაბურულს ტყეს აგო ციხე მთისა წვეროსა,
ამ მაღლიდგანა მეხს ესროდა საქართველოსა.
მაგარი იყო, ვით თვით რკინა, მისი კედელი,
მტრისგან უშიში, მიუდგომი და უდრეკელი ..
ამა ციხეში ანდუყაფარ მკვიდრათ მაგრობდა,
და ამ ციხიდგან მტერს უეცრივ თავს დაესხმოდა.
მეციხოვნენი ჰყვანდა თვისებრ სისხლში გაწრთვილი
და თავისავით რჯულს და ხალხზედ ხელ აღებული.
მეფეზედ უფრო ანდუყაფარს ხალხი იცნობდა,
შიშით და ზარით თითონ მეფე მას უცქეროდა.
მან გარეშემო თავადებსა დასცა თავს ზარი
და თვის პატრონად ჰრაცხდა ყველა ამილახვარი.
მის მწვანე თვალნი ბნელსა ღამეს ცეცხლებრ ჰნათობდნენ,
აფუხტისავით შავი სახე აკრთობდა კომლსა;
ზღარბის ეკლისებრ ულვაშები განს გაჰბურდღოდნენ
და შეღებილი ინით წვერი დარჩოდა ყბებსა.
გულის სიღრმიდგან ხრინწიანი ბოხი ხმა სხვილი,
მთის გრგვინვასავით ვით ქვესკნეთით აღმოხდებოდა;
ბერკეტისავით მსხვილი მკლავნი და მოტლანქილი
იმას მძიმეთა ტლანქსა მხრებზე ჩამოჰკიდოდა;
ჯმუხი მხარ-ბეჭი; ჯირკებრ სხვილი მოკლე კისერი
დედა-ბოძივით ბეჭებშუა ჰქონდა ჩამჯდარი;
ქარახსასავით გაღრენილი ჰქონდა მას ცხვირი
და ლოქოსავით შესაზარი უზომო პირი:—

სუფევდა ეს საზარელსა მისცემდა სახეს,
და ზარს დასცემდა ყველა თვის მტერს და თვისსა მნახველს,
თვით მახლობელთა მისი ჰქონდათ შიში და ელდა:
და მის ხსენება ყველა იმათ თავს ზარს დასცემდა.
ხალხში თქმა იყო, რომ ის იყო კაცის მჭამელი,
რომ მას დამხმარეთ ჰყვანდა მავნე ეშმაკეული;
გუდიანობის ყოველ ღამეს სხვილოს ციხესა
ანდუყაფარი მოიწვევდა იმ წყეულებსა;
პურის მაგიერ მათ აჭმევდა ქრისტიანთ ხორცსა,
ღვინოთ ჰხმარობდა იმათ სისხლსა, სანთლათ მათს ქონსა;
მათთან ისიც ქრისტიანთა სისხლით თვრებოდა
და დამთვრალთ მავნეთ ფერხისასა ამბევინებდა;
რომ ამ ფერხულის საზარელი გრუგვინვა გუგუნი
მრთელს არე-მარეს ჭექის ხმითა მოედებოდა,
და ამ საზარელს ზარ-დამცემს ხმას მთა უდაბური
გულ-გასაგმირი გრიალითა ბანსა აძლევდა.
თვით ტარტაროზი ამ ფერხულში ჩაებმებოდა,
და დაძახილსა ანდუყაფარს ეუბნებოდა.
გუდიანები გაჰკიოდნენ კისკას-ხათხათით,
და დედა-მიწა ირყეოდა მათ ფერხთა დავლით.

გატყდა მთლათ ცა და ქვეყანა,
არ გატყდა ხალხი ქართველი!
არ ეპუება ამდენს სისხლს,
ამდენი ჭირის მნახველი,
მოუღალავად ხმალს იქნევს,
იბრძვის, აყენებს სისხლის ღვარს:
არ ეპუება მძლავრს მტერსა,
არ ეპუება ღვთის რისხვას.

მაგრამ რა გაუმაგრდება
ეშმაკის მანქანებასა:
ანდუყაფარის ხელით
ჩვენ შევისრულებთ ნებასა.
ჩვენ შევუმაღლეთ ქართველებს
თავისი ბედის დავთარა:
იმათში ათასობით
წავთესლეთ ანდუყაფარი.
ანდუყაფარისგან ეხლა
ქართველი ხალხი დანთქმას.
დიდება ქვეყნის ორგულთა
დიდება ანდუყაფარსა!
ქრისტესგან უნდათ ქართველებს
ძალის და ღონის მიცემა:
ჩვენ ანდუყაფარს მივუსევთ,
იმათ უშველოთ ქრისტემა!
ანდუყაფარი გაუხდის
მოსისხლეთ თვითონ მოყვარეს.
დიდება ანდუყაფარსა და —
სიკვდილი სულ მთლათ ქართველებს!

ვითომც ამ გვარსა სიმღერასა გაიძახოდნენ და საქართველოს მთლათ შემუსრვას ეშუქრებოდნენ. და ვითომც თვითონ ტარტაროზი ანდუყაფარსა იალბუზზედა აღუთქვამდა პირველს ალაგსა.

ამ გვარი იყო ამ თავადზედ ხალხში თქმულება. ძრწოლას აღძრავდა ხალხის გულში მის ურჯულოობა. რისხვად მოსჩნდა იგი ხალხსა, ჟამივით სძაგდა, და იგი ხალხსა გასამუსრათ არა ზოგავდა.

მან სხვილოს ციხეს ტაძრის წილათ აგო მეჩეთი,
და მის მინარით იგმობოდა ქართველთა ღმერთი.
ამ მინარადგან სუყოველ დღე ქრისტიანს ხალხსა
მოლლა მაჰმადის დიდებასა დასძახდა თავსა.
არ აჯერებდა იგი ამას ქართველთ ნამუსსა:
ავსებდა ქართველთ ქალ-ვაჟთაგან თავის ჰარამსა,
თავის საბილწის საქციელთა შლიდა და ჰფენდა
და სიმურტლესა თავისასა ხალხს აჩვენებდა.
მაჰმადის ყორანს ჰქადაგებდა ის საქციელთა
და თვით თავადებს იგი ხდიდა თვის საბეგროთა.
უცქერდა ამას ქართველობა და მწუხარებდა,
მაგრამ ამ მძლავრის ხმის გაცემას ვერა ჰბედავდა.
ამ სიკეთესთან მას ბისმარკის ზნეებიც სჭირდა:
მას ჰმეგობრობდა, ვისაც თავი ჯერედ უჭირდა —
მათი ძალითა მტერსა სძლევდა; და შემდგომ სხვებსა
თავისვე მოყვრის შესაშურად აწვდიდა ხელსა
როდეს შინაურს მტერზედ გულსა დაიმშვიდებდა,
ის თვის გაწვრთნილი მხედრობითა გარს ჰთარეშობდა.
მეზობელ ხალხებს მისგან ჰქონდათ ძალი გამოთხალი
და სიზმრათაც კი ელანდოდათ ანდუყაფარი
იალაფებდა, დასტყვევნიდა, დასწვავდა სოფლებს,
უძლეტავდა დიდთა, პატარათა, ქვრივებს და ობლებს,
შემდეგ ნადავლით გავსებული შინ ბრუნდებოდა
და თვის ჰარამში ამ ნადავლით ჰქეიფობდა.

## VI

„დიდი ხანია გარეშე მტერს ჩვენი მახვილი
აღარ უნახავს და მიეცნენ ამაყობასა;
დიდი ხანია ვაჟ-კაცური ხმა, შემახილი
აღარ სმენიათ ჩვენთა მამულთ მეზობლობასა.

„გავიანადიროთ, გავიმხედრნეთ, ვუჩვენოთ მათა
რომ ჩვენი ხმალი სჭრის და ჯერ არ დაჟანგებულა;
მათი ქონება წამოვიღოთ მთლათ ალაფათა;
გავმუსროთ, დავწვათ, გავბეგროთ და უძლურ ვყოთ სულა.

„გაგვიგონია ძველადგანვე, რომ ქსნის ერისთავს
ყუმის წყლამდეს და უბანამდეს აძლევდნენ ხარჯსა.
დღეს დაივიწყეს ყველაფერი, არ გვიდებენ თავს,
გალაღდნენ სრულად და ჩადიან თავის ნებასა.

„გალაღდნენ იქ, სად უწინ ჰყვანდნენ გაბეგრილები
მურმუკი, ნოღა, ყაბართო და დიგორელები
ამ ალაგებში ჰპოულობენ ურიცხვს სარჩოსა,
ქვეყანაზედ არა სცნობენ არ ვის ბატონსა.

„მათ ჯოგთ, ნახირთ და თხა-ცხვრის ფარას კაცისა თვალნი,
წელზედ სამოვარს გაშვებულთ ვერ გადასწვდებიან;
მეტი სისუქნით ბურთებივით გამხდარან მრგვალნი,
ვერცხლივით ბზინვენ და ტყავში ძლივს ეტევიან;

„კუდ-აბზეკილნი, ტლინკების ყრით დანავარდობენ,
ბალახს აზიზათ ტუჩს ავლებენ და შორდებიან,
და ვით პატრონნი, ნალაღებნი, ამაყად დგებიან,
მაღლა უჭირავთ თავები და იბღვირებიან.

Фундаментальная библиотека

„მათ პატრონები შეუპოვრად მისდევენ გვერდსა —
ზოგან უმწყემსოთ ნახირები იარებიან, —
ისე დადიან და ჰსმართებენ ამ ადგილებსა,
თითქო მათ მეტი პატრონები არსად არიან.
„და რას უყურებ, არ აიღებ მათგან შენს ხარჯსა?
რათ არ აგონებ შენსას იმათ ბატონობასა?
შევკრიბოთ ჯარი, დავუძახოთ ყველა ვაჟ-კაცსა
და მოულოდნათ მათ, თავხედთა, დავეხსნათ თავსა.
„დიდი ხანია მე და შენა ვართ მეგობარნი,
და მეგობრობა უნდა მტერთა ჩვენთა უჩვენოთ,
დავაძაბუნოთ ყველა ურჩნი, ყველა მტრობანი
და ყველას იმათ ჩვენ წინ ქედნი მოვადრეკინოთ!“
ასე უთვლიდა ანდუყაფარ ქსნის ერისთავსა,
დიდსა იასეს, თვის მოკეთეს და მეგობარსა.
საიდუმლოთა ამ აზრებსა გაენდობოდა,
და დავალება იასესი ეშურებოდა.
დიდი ხანია თვით იასეს ეს აზრი ჰქონდა,
დიდი ხანია ეს სიმდიდრე იმას ესმოდა,
ამ სიმდიდრეზედ იმას თვალი ხშირად რჩებოდა,
მაგრამ აქამდის მას მარჯვე დრო არ ეძლეოდა.
ის სიხარულით ანდუყაფარს დაედასტურა,
და დიდი მადლით მოციქული შინ გაისტუმრა.
აქ საჩქაროზედ სათარეშოთ იწყეს მზადება,
საყმოს ვაჟ-კაცთა მათ დაუწყეს მსწრაფლ დაძახება.
უძახდნენ სხვათაც, თარეშობა ვისაც უყვარდა;
საშვილი-შვილოთ ჰპირდებოდნენ გაკეთებასა.
ეს დაძახილი სასწრაფოზედ ყველგან გავარდა,
და სიხარულით ბევრი მოჰყვა მომზადებასა.

  რა გავა, ხმა რომ სათარეშოთ ემზადებიან,
მეზობელთ თავადთ თავს ბალანნი აეშლებიან;
ყველა ელოდა ამათაგან თავზედ დასხმასა,
ყველა ელოდა ამოწყვეტას და გადაწვასა...
  ნადავლთ სამოვრად, ვით სვავნი მძოვრის სუნზედა,
ყოველ კუთხიდგან ნაგეშები იკრიბებიან:
ვით დამშეული მგლისა ხროვა დამპალს ლეშზედა,
კბილის კაწკაწით ალაფობას ელოდებიან.
  ბუდა-ჯიხნაურთ, ვინ მას შრომას გადაჩვეულან,
თარეშობითა და სისხლითა ირჩენენ თავსა,—
ვით ტურათ ხროვა გუნდ-გუნდათა შეგროვებულან
და ესწრაფიან ერისთავის ისეს კარსა;
  მთლათ მონასხლეტი და ნაგავი ქართველთ ტომისა,
თვით შორის კუთხით ისესკენ ემყრებოდა.
მათ შორიდგანვე ცხვირში ეცათ სუნი მძოვრისა;
მათი ყიჟინა სიხარულის ზეცას ისმოდა.
  იკრიფებიან საყვირითა და ნაღარითა,
მოუთმენელათ გამგზავრებას ეშურებიან.
ამ ორს მძლავრს თავადს შეჰყურებენ თაყვანებითა,
მათ წინ, ვით მონა, ცსრაგან წელში იდრიკებიან.
  შეიკრიბნენ და არ იციან, რომელს მხარეს
წაიყვანებენ ასაკლებათ ამდენს ჯარებსა;
არც კითხულობდნენ ამას დიდათ, ეს კი იცოდნენ,
რომ უალაფოთ, უსამოვროთ არ დარჩებოდნენ.
  მათთვის ერთია, რომელს ხალხზედ აალაფებენ,
ქართველს, სპარსელზედ, მოკეთეზედ თუ სისხლის მსმელზედ:
ოღონდ ძაღლივით მიუტევე და... გაჰგლეჯამენ!
ნადიმს იქმონენ თუნდა თავის მამისა გვამზედ.

შეჰკრიბეს სარდალთ, გაამტკიცეს სამგზავროდ ჯარი
და სასტიკათა ჯარზედ გასცეს ესე ბრძანება:
«მშოვნელს ნადავლი მაეცემა მთლათ ნახევარი,
იმას იმათი ვერავინ ვერ შეეცილება.
«მაგრამ, ვაი მას, ვინც საქმეში ჩვენს ბრძანებასა
არ შეასრულებს და გადავა ჩვენსა ნებასა:
«ყელში მოსაჭრელს, კრიჭას დავჭრით იმათ თავებსა
«და გადაუყრით შესაჭმელათ სვავს და ყვავებსა»!
გასცეს ბძანება და უმალვე გაუდგნენ გზასა,
მოუღოდნელათ მათ მიჰმართეს კავკასის მთასა:
ქართველებზედა გამხედრება არ მოინდომეს,
და ქართველებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს.

VII

დი-გორელთ, მურჭუკთ, ნოღათ სოფლებს სძინავთ ტკბილათა
და არ ელიან არ საიდგან მტრის მოსვენასა.
მათ ჯოგ-ნახირი, თხა-ცხვართ ფარა ნებიერათა,
თვალ-უწდომ მინდვრებს, დაჰრევიან მუხლზედ ბალახსა.
დიდი ხანია ამ ადგილებს აღარ უნახავთ
ცეცხლის ალი და მტრის მახვილი, სისხლისა მღვრელი!
დიდი ხანია გარე მტერი თვითონვე ამათ
დაავიწყეს და გაჰხსადეს ხარჯისა მხდელი.
გამოცდილები საალაფოთ დადიან გარე,
და ბინადრობა მიუწდვიათ უფრო სუსტთათვის.
მათ არა სძინავთ არცა დღე და არც სძინავთ ღამე
და მოუსვენრად ჰთარეშობენ ნადავლისათვის.

ზოგი გასულა ასაღებად ძველი სისხლისა,
ზოგი შორს ქვეყნებს წარუზიდავს შოვნის იმედსა,
ზოგი გასულა სახლიდგანა, სადმე გარეთა
ეძებს ამხანაგს სათარეშეთ და სადავლეთა.

გახვეტილია უკეთესი კაც-კაცი გარსა:
მათ არ იციან, რა მოელის ცოლ-შვილს და სახლსა!
გადაეჩვივნენ სახლში მტერსა, თავს უილად ჰხედვენ
და უპატრონოდ თავის ცოლ-შვილს სახლში უშვებენ.

მინდორში მწყემსნი დამშვიდებით, გულ-ამაყათა,
უკან დასდევენ ჯოგს, ნახირებს, თხა-ცხვართ ფარათა;
უხარით მათი გამრავლება და გაფრთვინვება,
და მათი გული მით ამაყობს და მითი ტკბება.

ახალ-გაზდანი გულს ნეტარს ფიქრს მიეცემიან, —
აწ შეეძლებათ შესრულება თვის წადილისა:
ამ საქონელისა ზოგს მისცემენ, ზოგს დაჰყიდიან
გადასახადათ ურადისა და ყალიმისა.

და ამაყადა, მხარ მშვიდად-ისარ გადაგდებულნი,
დის ჭავერში, მწვანე მდელოს, შემკულს ყვავილით;
წყაროს ჩანჩანზედ და ნებიერ მზე მოფენილნი,
უალერსებენ თვის სატრფოებს გონების თვალით.

იმათ თვალთა წინ ესახებათ: მორცხვი ასული,
ცეცხლის მფრქვეველი შავი თვალით, შავი წარბებით,
უყაჩოსავით ნაზი ფერით, ტან ალვა სრული, —
გულში ჩაჭკვრიან და ავსებენ მათ ნეტარებით...

სძინავთ სოფლებსა და მწყემსებიც ფიქრს არ არიან,
ძაღლთა უავყავნი აქა-იქა მხოლოდ ისმიან.
სძინავთ და უცებ... ალიონი ცეცხლის ავარდა
და ერთი სოფლით მეორეზედ გადადიოდა.

ავარდა ცეცხლი და ვით მავნე, მიწით ამოძვრნენ
მრისხანე მტერნი და მცხოვრებლებს თავზედ დაესხნენ.
გააქვთ ყიყინა, სცემენ თოფსა, აქნევენ ხმლებსა,
არ იბრალებენ არცა დიდსა და არც მცირესა.
ძუძუთ ბავშვებზედ, დედათ თვალ-წინ, იარაღს სცდიდნენ;
შეისროლიდნენ ჰაერში და შუა ჰკაფვიდნენ;
დატყვევნილთ ქმართა ცოლთ კალთაში თავებსა სჭრიდნენ;
ცოლთა ქმრების წინ, დებს ძმების წინ ურცხვად ჰბილწვიდნენ.
ჩვეულნი ბრძოლას და სისხლშია გამოწვრთილები,
სწვდნენ იარაღსა კიდევ ცოცხლად დარჩენილები,
და ვითა გმირნი ვაჟ-კაცურად გაისჯებოდნენ,
მაგრამ მტერს მაინც ვეღარაფრით უმაგრდებოდნენ.
ანდუყაფარი და ისე ჯარს განაგებდნენ,
და თვალთ სისწრაფით სოფლით სოფლად გადიოდნენ.
ვიდრემდი სადმე მოვიდოდა ვინმე რამ ფიქრსა,
ისინი კიდეც დაიჭერდნენ იმათ ადგილსა.
გავარდა ეს ხმა, გარს მცხოვრებნი, ზარ-დაცემულნი,
სტოვებდნენ ბინას და გარბოდნენ სადმე შორს მხარსა.
თუ ვისმე კიდევ მხარი შერჩათ და შერჩათ გულნი,
არ ეშვებოდნენ, უპირებდნენ გამკლავებასა.
მწყემსთა დატოვეს საქონელი ოხრად მინდვრათა
და ცოლ-შვილისა მოსაშველად ეშურებოდნენ.
მაგრამ მათ მტერი ესხოდა ისე მედგრათა,
რომ ხმლის მოქნევას და შვილდთ სროლას არც კი აცდიდნენ.
ვით ქარიშხალი, მოეფინნენ მთელსა მხარესა,
ბუკით, ნაღარით ზარს დასცემდნენ არე-მარესა.
მცხოვრებთ ღვთის რისხვად მოვლენილად ეჩვენებოდნენ,
და ღვთის რისხვასაც ესენი მათ დააყენებდნენ.

ჰმუსრეს და ჰსოცეს სუყველანი, ვინც მოხვდათ ხელსა,
მთლად დაიპყრეს სოფლები და სიმაგრეები;
ამანათები გამოართვეს ყოველს სოფელსა.
სულ თავი კაცნი, დიდთა გვართა მოთავეები.
მოჰკვეთნეს ცეცხლი და მახვილი ყოველს მხარესა,
და დაასწესეს თვის მოხარკეთ ყველა თემები.
აქაც, დახვეულს სილაღესა და სითარხნესა,
იმათ იპოვნეს თავის ქვეყნის გამცემლები.
ეს მუხიანათნი დაასყენეს მათ თავის კაცად:
ამათ მიანდვეს დარაჯობა თავის ქვეყნისა,
და გაუჩინეს საჩუქარი ამისა ნაცვლად;
მათვე მიანდვეს აკრეფა და გზავნა ხარჯისა.
ისრულეს გული და დაბრუნდნენ გამარჯვებული,
და უკან წყევლა ქვრივთ და ობოლთ იმათ მოსდევდათ.
მაგრამ სხვის წყლული ლხინად ჰქონდათ მათ მიღებული;
ისინი სწყევდნენ, ამათ სარჩო ემატებოდათ.
დაბრუნდნენ უკან ისე და ანდუყაფარი;
ალაფისაგან დატვირთულნი ძლივს მოდიოდნენ;
ჯოგი ცხენისა, ნახირი და ურიცხვი ცხვარი,
თვალ-გაუწდომელს მინდვრებზედა ძლივს ეტეოდნენ.
დაბრუნდნენ შინა და ალაფი ყველას გაუყვეს:
ცათამდის ლხინი ადიოდა მოალაფეთა.
დიდი ნადიმი დიდთა თავადთ მათ გადუხადეს,
და ამ ნადიმზედ მოიწვევდნენ თვითონ მეფეთა.
რუებრივ ღვინო შადრევანად აღმოხდებოდა;
ვისაც რამდენი ჰსუროდა, იმდენს შეებცეოდა.
საყვირისა და ნაღარის ხმა გამოხდებოდა
და შედღუხის ხმა წამ-და-უწუმ ბანს იძლეოდა.

როს შეზარხოშდნენ ანდუყაფარ და ერისთავი,
გულით ერთმანეთს მუდამ ძმობას ეფიცებოდნენ
„შემომიკვეთე; რაც გინდოდეს, შეგწირო თავი!
შენთ მტერთა სისხლნი ჩემი ხელით რუებრ იღვროდნენ!“
გულით შესძახა იასემა ანდუყაფარსა.
„მითხარ: ვინ არის შენი მტერი, ვისი გჭირს ჯავრი,
ვინ არს — გიბედავს ურჩებას და შეწუხებასა,
რომ შესამუსრად თავს დავასხა მთლათ ჩემი ჯარი!“
აქ ანდუყაფარ იასესა მოჰხვია ხელი
და შეპარებით გაუმართა მას საუბარი:
„ვინ გამიბედავს ცხადად მტრობას, რომელი გელი,
როდეს შენებრივ გმირი მყავდეს ძმა, მეგობარი!?
„ვით ანდუყაფარ, იასეცა თავს არ დაჰზოგავს,
როს გასაჭირი მეგობარსა თავს დასდგომია...
მაგრამ სად არის იგი მძლავრი, ვის მტერი არ ჰყავს
და ვისის შურით მტერს თვალები არ დასდგომია?!
«ცხადათ მე მტრობას ვინ შემბედავს, თუ უყვარს თავი!
მაგრამ იდუმალ ბევრი მტერი მილესავს კბილს.
ვით ზეცით მეხი, უეცარი და შემზარავი,
მყავს ერთი მტერი, ვინ ღამეც კი მიკარგავს ძილსა.
„არს მძლავრი კაცი, გულმღრძო, აზრთა მძლავრად მივარავი,
რაც უდევს გულსა, თვითონ ღმერთსაც მას არ გაანდობს,
და, რაკი ერთი გულს შეუვა განზრახვა შავი,
არ შეიძლება ქვეყანაზედ ვინმე დაინდოს.
„ვით ჩემი მტერი, არის იგი შენიცა მტერი,
რადგან მეგობრობ და ხარ მძლავრი, სახლში განთქმული.
ის არ გვაშორებს ორთავეს თვალს, როგორადც მტერი.
თუ მე შემმუსრა, შეიქნები შენც შემუსრვილი.

„ამ ხიფათს მარტო ვერც შენა და ვერც მე ავცდენთ,
თუ შეკობრულათ არ მივეცით ერთმანეთს ხელი.
და, მინამ იგი დაგვასწრებდეს, თუ არ შევმუსრეთ,
ჩვენვე გავხდებით ჩვენთა ცოლ-შვილთ ყელის დამჭრელი.
„პირველს ხმაზედვე უნდა შენი ჯარით მომხვდო;
და, თუ შეგეძლოს მოიხმარე სხვისაც ჯარები:
ჩვენ განსაცდელი გვაქვს დიდი და დიდათ სარიდო —
მტერის მძლავრი და მძლავრი ჰყავს მასც დამხმარები!“
— მესმის, და კმარა! — მიაძახა იასემ მას.
— მუდამ მზათა ვარ, მისი სისხლი იყვეს ჩემს თავსა!
მე დავიმტკიცებ ძმობასა და მეკობრობასა!
და რამწამს მეტყვი, ჩემი ჯარით მოვადგე კარსა! —
და აქ ნადიმი დაიშალა. ყველა სტუმრები
დაბრუნდნენ შინა მთვრალები და მხიარულები.
ანდუყაფარსა გაუშალა შუბლი, შეკრული
და სისხლისათვის კვალად იყო აღელვებული.

## VIII

გამძლავრებული ამ დროს იყო კივი ლაზნელი
ყველგან ისმოდა მისი ხმა და მისი სახელი.
მთავარი მძლავრი, გამოცდილი, მტრისა მზვერელი
და, სადაც სჯობდა, სვეებრ იყო დაუნდობელი.
იმასა ჰყავდა შვიდი ვაჟი გმირი, ლომ-გული
მათ ვაჟკაცობა საქართველოს იყო განთქმული.
მტერს, ვითა ნადირს მედგარივით მიეტეოდნენ,
და თვითონ მეხს და თვით მედგარს არ გაექცეოდნენ.

მათ პურადობა, გულუხვობა და მასპინძლობა
იყო მთელს ქართლში ნაქები და სახელ-განთქმული;
მოყვარესთანა მათ უყვარდათ ნამდვილ მოყვრობა
და მტერთან ჰქონდათ· გამართული პასუხი მტრული.
თვისსა საყმოსა ალაღებდნენ, ტოლათა ჰყავდათ;
სხვათა საყმონი ურჩებლიეთ მათ შეჰნატროდნენ.
თუ ვისმე ყმათა ბატონთაგან ტანჯვანი ადგათ,
ისინი ლაზნელთ, გაქვავულნი, ესიზნებოდნენ.
მათ ყმაწვილი და სწრაფი გულნი ვერ ინელებდნენ,
როს ანდუყაფრის საზიზღრებას გააგონებდნენ:
კბილთა ღრჭიალით, გულს სულს ცემით იმუქრებოდნენ
და შეუწყვეტლად ამ მძლავრს კაცსა ჯიბრს უდგებოდნენ.
ანდუყაფრისგან მეზობლეთა და ყმათა დევნულთ
ეს გმირი ურმანი მოყვრულათა უღებდნენ კარებს
და თვის საფარველს მათ აძლევდნენ; და გაჭირვებულთ
ხშირად აძლევდნენ მამულს, საზრდოს და საცხოვრებელს.
მრავალი საყმო ანდუყაფრის ესიზნოდა მათ
და მისი მტრობა ლაზნელთ არეს იკრაბებოდა.
ყველაფერს ამას ანდუყაფარ ჰხედავდა კარგათ,
მაგრამ დროებით, გესლით სავსე, გულს იმარხავდა.
თუმც გამოცდილს გივს არ მოსწონდა შვილების ქცევა,
მათი საქვეყნოდ ქადილი და თავების ქნევა, —
ანდუყაფარის ბოროტ გულსა კარგათ იცნობდა
და იცოდა, რომ ანდუყაფარ დროს მოელოდა;
მაგრამ შვილები თვით ეძებდნენ იმის მტრობასა,
თვით ეძებდნენ, რომ ანდუყაფარ იმათ აშლოდა; —
მით ვერ უშლიდა გივი შვილთა ამაყობასა,
თვითონ კი ცხადათ ჰმეგობრობდა და მეზობლობდა.

მაგრამ გულში კი თვით გივის ის ჭირივით სძაგდა:
ანდუყაფარის გამძლავრებას ის ვერ იტანდა.
მძლავრი ლაზნელი მძლავრს მეზობელს ვერ ინელებდა
და მისი შური გივის გულში მწველს ცეცხლს აჩენდა.

მაგრამ აშკარად ვერ უწევდა იმას მტრობასა, —
აშკარა მტერთან მტერი არის გაფრთხილებული, —
პირად მოყვარე, გულს იზრახდა მის დამხობასა,
მაგრამ უცრიდა ხელსჴ სწრაფი მის შვილთა გული.

და გივზედ უფრო ანდუყაფარ იძიებდა შურს;
ის სიმძლავრესა ლაზნელისას ვერ ინელებდა.
როს ლაზნელთ ქებას ვისმე პირში ის მოჰკრავდა ყურს,
მთელი თვეობით ღამე ძილი ეკარგებოდა.

და ახლა, დახე! მის შვილები ოჯახს უტეხენ!
მის მოქიშპეთა მეგობრულად კარებს უღებენ,
ამის სამტროდა საფარველსა თვისსა აძლევენ,
და მას, მეფის დარს, კაცადაც კი აღარ აგდებენ.

ანდუყაფარსა ეს ამბები გულსა უწყლავდა,
პირდაპირობასა ესეც ლაზნელთ ვერ უბედავდა.
ვით ორი ლომი, გატვრენილი, ერთმანეთს ჰზვერდნენ,
თან ლაციცობდნენ, და თან შთანთქმას ეპირებოდნენ.

დიდი ხანია ერთმანერთის სისხლი სწყურიანთ,
დიდი ხანია დროს ეძებენ — ვერ უპოვნიათ!
და, აი, ძლივას მოახლოვდა დრო ეს ნეტარი:
ბლუად არტყია საქართველოს უენის ჯვარი!

## IX

გაისმა ზარი, ვით მედგარი ქართლს და კახეთსა
და ლახვარებრივ გულს განჰგმირა ყოველს ქართველსა:
ქვიშათ ურიცხვი მოჰყვა ჯარი შაჰსა აბაზსა
და სუყოველმხრივ ქართლს და კახეთს მოარტყა გარსა!
ამას წინამძღვრად წინ მოუძღვის ამქვინებული
თვით შაჰი, აბაზ, ქვეყანაზედ სახელ განთქმული;
და მას გვერდს ახლავს საავაძე, ქვეყნით დევნული,
თავადებსა და მეფეებზედ განრისხებული.
შედრკენ მეფენი! ზარ დაცემით, უომარათა,
ხტოვებენ თავის სამეფოებს უპატრონოთა!
თავის გამზრდელს და შემნახველს ხალხს აძლევენ ხელთა
გასაჟლეტად და შესაჭმელად მძვინვარე მტერთა.
მათ არ ინდომეს თავის ხალხთან შეკვდომა მტრისა,
და სამარცხვინოთ ჰრიდებდნენ თავს მტრისა მახვილსა.
გულის ხეთქებით გადარბოდნენ ლიხისა მთებსა,
ვით გნოლის ბარტყნი, ეხიზნოდნენ გიორგის ბრთებსა.
ამ დროს უელვა თავში ფიქრმა გივი ლაჩნელსა —
მან შვიდნივ ვაჟნი თან ახლა მეფეთ იმერეთს —
და თვით დაუწყო შესრულება თვის საზრახველსა...
აბაზის შებმას? ანუ შებმას სხვა ქვეყნის მტერებს?
დიდი ხანია ჩვენსა დიდსა და მძლავრს თავადებს
ქვეყანად მხოლოდ თვით მიაჩნდათ თავის თავები:
„უჩემოთ ქვაზედ ქვაც ნუ დარჩეს!“ დასწამეს ბოლბელს,
მაგრამ ეკუთვნით უფრო იმათ ესე სიტყვები!...

არა! სხვა იყო გივის ფიქრი და სადარდელი!...
მან სხვა ლაზნელთა სულ მოსწყვიტა სალხენებელი...
რა თავს მოესწრო, სხვა ლაზნელნი ამას მძლავრობდნენ
და ლაზნელობის თაოსასა ეცილებოდნენ;
ამის გულისთვის მექიშპობა არ ელეოდათ
და ერთმანერთში მუდამ შური და სისხლი ჰქონდათ.
შეუწყვეტელი დიდს ხანს ჰქონდათ ომი და მტრობა:
ჩაუშრეტელათ ურთავ სწყურდათ ლაზნელთ თაობა.
და ბოლოს გივიმ გამოართვა ჯარი მეფესა
და მოულოდნათ თავს დაესხა იმათ ერთს დღესა.
მაშინ იგინი მთლათ აღმოჰფხვრა ძირიანათა
და მარტო დარჩა სალაზნელოს თავ ბატონათა.
მაგრამა ჰყავდა მას ძმა ერთი, მომცრო თავიზედ, —
რომელიც მოკვდა ვაჟკაცურად ლაზნელთ ბრძოლაში, —
და ამ ძმას დარჩა უმაწვილო ცოლთან, თითქმას ძუძუზედ,
ორი პაწია მშვენიერი ქალი და ვაჟი.
მე ისტორიას აქ არა ვწერ, ვწერ ლეგენდასა, —
მინდა ამ ამბით დავანახვო ხალხს თვის წამება, —
და ყურს არ უგდებ მატიანის წინ-უკან თქმასა,
მისთვის ვჰედრებ, რომ კრიტიკოსი ნუ გამიწყრება,
რომ ამ ამბავსა მატიანზედ ცოტა წინა ვწერ.
ჩვენი კრიტიკის მჯღაბნავები არ არჩევენ ჯერ
ისტორიას და პოეზიას ერთმანერთშია,
და ქადაგივით ქაქანებენ ყველაფერშია.
მე პოეტი ვარ, — ვგონებ ზოგთა ასრე მიწოდეს, —
და ზოგიერთჯერ ისტორიკებს არ უდებ თავსა:
პოეტის საქმე ის არის, რომ მას აგვიწერდეს,
რაც რომ გვისახავს ცხოვრებისა მოვლინებასა;

რაც რომ ნამდვილათ მოსდევს სწორედ იმ ცხოვრებასა,
რომელიც აწვევს, ამოძრავებს აღწერილს ხალხსა;
რომელიც მოსდევს ხალხის წარსულს და მის აწმყოსა
და ყოვლის ძარღვით შეადგენდეს სრულს მის ნაყოფსა;
რომ გვიჩვენებდეს ხალხის სულს და ხალხის სევდასა,
ხალხის ჯანისა და მის ღონის შთამთქმელს ძალასა;
გვიჩვენებდეს მას, რაც რომ ხალხსა თვალებს აუხსნის,
სულს გაუმხნევებს, მისცემს ძალას და გულს გაუშლის.
თუ აქ ვიტყუვო, მაშინა ვარ გასაკიცხავი.
ზოგჯერ პოეტი ისტორიკზედ გვიწერს მართალსა;
თუ მკითხავთ, მისი სიტყვა უფროც არს საკითხავი,
მეტადრე მაშინ, როს დაიწყებს საქმეზედ სჯასა.
თავისებურათ ერთს და მასვე ჩვენ ერთი გვიხსნის,
მეორე ჰფიცავს ამ პირველის უმეცრებასა,
მესამე ჰლანძღავს ორთავესა და სხვას იძახის
და ჩვენ არ ვიცით ამათშია, ვინ სწერს მართალსა.
მაშ მივუბრუნდეთ ჩვენ ისევა ამ ჩვენს ამბავსა,
და შენ, მკითხველო, ნუ მოუწყენ გრძლათ სიტყვის თქმასა.
შენ გეჩქარება ამბის ცნობა, და სხვა კითხვები
ისე მიგაჩნს ვით უქმნი და უვარგისები.
მაგრამ იცოდე, რომ ამ ამბავს იმიტომ გიწერ,
რომ ამ ამბავში შიგ ჩართული ცნობა-კითხვები
საცოდვნელია ამ ამბავზედ თუნდა ათასჯერ,
და ამისგამო გთხოვ მიაპყრა იმათ ფიქრები.
გივს მემკვიდრენი თავის ძმისა გულსა უწყლავდნენ
და მათზედ ფიქრი დღე და ღამე ძილს უკარგავდნენ.
მათი სიმრთელე ვარამს ჰქმნიდნენ გივის გულშია:
მის შვილებისთვის საშიშ იყვნენ მომავალშია.

საყმოს და მამულს შეაზედა მას გაუყოფდნენ
და ღაზნელობას იმის შვილთა დაუმცირებდნენ;
ვინ იცის, რომ ბატონობაც ჩაიგდონ ხელთა
და უფლის წულად მიიღებდნენ იმისთა ძეთა.*)
ეს სხვადასხვით გივის გულსა ნიადაგ სწყლავდა.
მაგრამ ამ ფიქრთა გულის სიღრმეს დაიმარხავდა.
ცხადათ შემუსრვას გონივრულად არა ჰრაცხავდა.
დრო სხვაფრივ იმას ჯერობით ხელს არ უმართავდა.
საქვეყნოდ კია უჩვენებდა ერთგულებასა,
არ ამჩნევინებს იგი იმათ დაობლებასა,
ვით საკუთართ შვილთ, სიყვარულით უალერსებდა
და ყრმას ქვრივს რძალსა დიდს პატივსა მიაყენებდა.
მის რძალი იყო იმერლისა დიდ-კაცის ქალი:
დადიანის თუ თავდგირიძის — მე ეს არ ვიცი, —
ან კი რათ გვინდა მისი მოდგმა და მისი გვარი! —
ვიცით — საცნობათ მხნელი იყო ეს დედა-კაცი.
იმერელთ ქალთა მშვენება და მედიდურობა,
მალსაზი ცნობა, სიცოცხლე და გამბედაობა
მას დაბადებით დაჰყოლოდა, და იმავ ქალთა
დაუდეგარი ცბიერება შეჰმატებდა გვალეთა.

---

*) ძველად დიდ გვარებში ერთი იყო თავი გვარისა, რომელსაც ეწოდა ბატონი (გვარის ბატონი), და სხვათ, გვარის შვილთა ეძახდნენ უ ფ ლ ი ს  წ უ ლ ე ბ ს. ბატონი იყო გამგე სრულიად საყმოსი და საგვარეულოსი. უფლის წულები უნდა ყოფილიყვნენ ამათს მორჩილებაში. ავტ.

თუმცა ჰხედავდა მოალერსეთ თავის მძლავრს მაზლსა,
ჰხედავდა, რომ ის არ არჩევდა მისთ შვილთ თავისში,
მაგრამ ცბიერად აკვირვებდა თვის გონებასა
ღრმათ ჩამარხულთა მის განზრახვათ და ფიქრთა გულში.
ისიც თავის მაზლს დიახ დიდათ პატივსა სცემდა,
და, კითა უფროსს, მორჩილებას მუდამ უწევდა
მაგრამ იდუმალ ყურს უგდებდა მას გულის ცემას,
მის შეჭმუხვნილს შუბლს, შეკრულთ წარბთა და მისსა ბეცვახ.
თვითონ ამ უმაწვილს მშვენიერსა და ნაზსა ქალსა,
რომლის სიმშვიდე, ალერსი და მოყვასი გული
ქვეყანაშია განთქმულ იყო, და ბევრს ვაჟკაცსა
მისი სინაზით ჰქონდა გული დატყვევებული, —
გულს ალემრთოდა საზარელი განზრახულება, —
და ამ განზრახვას თითქმის თავსაც კი უმალავდა: —
თავის მაზლისა და მაზლისწულთ განადგურება,
რისამე ღონით, მას თავიდგან არ შორდებოდა.
დიდების წყურვილს ქალებისას ბევრნი გვიწერენ,
ჩვენც თვითონ ხშირად ამას გვხედავთ ყოველს ალაგსა:
ქალნი დიდებას და პატივსა სულით ეძებენ
და ამისათვის გასწირავენ თუნდა თვით თავსა.
მათ ჰსურთ დიდება, ჰსურთ პატივი, ჰსურთ თაყვანება,
ჰსურთ ფუფუნება, ნებივრობა, განცხრომილება,
არ მიწიერი ნეტარებით რითღაც დატკბობა,
არ მიწიერთა სულდგმულთაგან ალერსი, ტრფობა.
მე კი რომ მკითხონ, ყველა ქალებს მეფედ დავსხამდი,
არ მიწიერი მშვენების ყრმათ გვერდს მოუსხამდი,
მაშინ ქვეყანა ანგელოზით მოშენდებოდა
და ყველა სახლი მეფეებით გაივსებოდა...

როგორადაც კაცი ვერ იწუნარებს ქალსა ჭკვიანსა,
ქმებს კეკელას, გოჩება ბრმას, ჯავარიანსა,
ყმონვის ქალსა თვის მაქებარს და თვის ტრფიალსა,
ქალს, ვინც ვერ ჰხედავს ჩვენს გონებას, ვაგლახიანსა,
ვის შეუძლიან, რომ საწუთროს დაგვავიწყებდეს,
რომ შრომას, ზრუნვას ჩვენ გულიდგან გადაგვიგდებდეს,
ვის უდარდელი სახე ზეცას მოგვაგონებდეს
და ვინ ამითი ჩვენ ჩვენს თვალშიც აღგვამაღლებდეს, —
ეგრედ ქალს მოსწონს კაცებშია უდარდელობა,
გიჟმაჟი ქცევა, სიცელქე და დაუდევრობა,
რომ არაფერსა მიწიერსა არ აგონებდეს,
მოჰგლიჯოს მიწას და ზეცაში დაათრინებდეს…
ყველა ჩვენგანი ეტანება პირველ ალაგსა,
ყველა მას ცდილობს, რომ უთუოთ სხვას აჯდეს თავსა.
ეს სნეულება ჩვენში ჰბადებს იმ ხასიათსა,
რომ ჩვენ სუყველა ვერიდებით კაცის ჭკვიანსა!
ჭკუასა ხშირად სდევნიან და პამპულად ხდიან,
სწამებენ ცილსა და საქვეყნოდ საზიზღრად ჰრიცხვიან.
ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაქებთ ჭკუას და ვცემთ თაყვანსა,
როს უშვერება ჩვენი საგვერის გასაჭირს გზასა…
თვითონ ტრფობაც კი სწორეთ არის დიდების კვალი:
ჩვენს გულს ახარებს, როს უძლურთა ღმერთად გვხადიან,
და თუ როგორმე სატრფომ მოჰკრა ჩვენ კილსა თვალი,
მაშინ სატრფონი ჩვენ სატრფოთა არ მიგვაჩნიან…
და ილიტეკაც ქალი იყო, ქალის ბუნებით,
ბუნებით მძლავრით, შენაზავით სისხლ-მდუღვარებით.
მას დიდებისთვის მოუსვენრად გული უძგერდა
და სიზმარშიაც კი სულ დიდება ელანდებოდა.

ჰოიაჰ! დიდებით სავსე იყო ივლიტეს გული.
მას მოუსვენრად გულს უწვავდა, ვით ცეცხლის ღუღი,
რომ სალაზნელო იმის შვაღყებს მთლად დარჩენოდა:
მაშინ ივლიტე მთელს საყმოზედ იდედოფლებდა.
მოყვარეობა დიდებისა და უფლობისა
არის ნაყოფი მონობის და მოახლობისა,
სადაც რომ კაცი უფრო ელტვის ბატონობასა,
იქ უფრო ღრმათა ფესვი უდგას მონაობასა..
ამ გვარ, ივლიტე უფლობასა ეტანებოდა —
ივლიტე ერქვა გოგის ქვრივს რძალს, გახსოვდეთ ესა —
ამ ფიქრისგან ის მოსვენებას ვერ ეძლეოდა,
და ზოგჯერ კიდეც გულის ჰფიქრობდა დედუფლობასა.
„რა სალაზნელოს მე გავხდები ბატონი სრული,
ხშირად შემხვდება მეფის ნახვა: ხშირად ვისტუმრო
დედოფალსა — მეფის დედას და თვით მეფესა. —
მეფეს მოვწონვარ დარწმუნებით ვიცი მე ესა...
„რომელსაც მნახავს, შუბლ-ქვეშ ხშირად ჩუმად მიყურებს,
და დიდს ხანს, დიდს ხანს ვერ მაშორებს თავის შავს თვალებს.
ათას ქალშია ის მე მარჩევს, მუსაიფს მიწყებს
და სიტყვა პასუხს ჩემსას მუდამ და ყველგან აქებს.
„რაკი დიდებით დამინახავს მეფე მოსილსა,
ხშირად მიხილავს და გაიცნობს ჩემს გულს და ზნესა,
მაშინ უთუოთ თავს დამადგავს მეფის გვირგვინსა
და საქართველოს დედოფლად მომისვამს გვერდსა!“
ამ გვარ მომავალს ხშირად ჰმზერდა ივლიტეს თვალი,
და ეს ნეტარი დრო საშინლად ესწრაფებოდა.
თვითონ ამავ დროს იყო ისრედ ტკბილად მზირალი,
თითქო მის გულში ანგელოზი წმინდა ჰსუფევდა.

ყოველს ნაბიჯზედ ყველანი ვართ ამის მნახველნი,
რომ ქალის ნაზსა ხვევნასა და ტკბილსა ალერსში,
გულს მოგვხვევია გესლით სავსე მომწყვლელი გველი,
და შხამით ვიწყვლით, მყოფნი სრულს ნეტარებაში.
აბა, რომელი იფიქრებდა, რომ ამ ჩჩვილს ქალში,
ამის ანგელოზს ქცევასა და იმის ნაზს თვალში
ათასი გესლი ტრიალებდა, და მისი გული
იყო ათასი ბოროტითა მთლად გავსებული!

## X

ივლიტეც და გივიც ჩუმად ჰქებდნენ ყამხს.
მაგრამ ჯერ არც ერთს ხელი არსით ემართებოდა,
მანამ ივლიტე ყურს უგდებდა ქალსა და კაცსა,
მათს დასაცველად ყოველს ღონეს ეტანებოდა.
ცდილობდა რომა კაცი გმირი გამოსულიყო,
მას შეაჩვევდა ცხენოსნობას და იარაღსა.
მინამდის ქალი ხანში ჯერედ არ შესულიყო
ყოვლით ცდილობდა შესაფერად იმის აღზრდასა.
ძვირად ნახული მის ასულის ბადალი ქალი.
სწორედ დედოფალს თამარს ჰგავსო, ყველა ამბობდა,—
და თვითონ მასაც სახელათ ერქვა თამარი, —
მის მნახველს მაზედ უნებლიეთ თვალი რჩებოდა.
ორთავ მშვენება ქართლისა და იმერეთისა
მაში საოცრად ერთად იყო შეხამებული:
ბუნაშვეტივით შავნი თვალნი, მბრქვევნი ცეცხლისა,
ალვის-ხესავით მოყვანილი ტანი შემკული;

გიშრის კავები, გველებრ ხლაკვნით მხარს დაშვებულნი,
ტუჩნი, მარწყვივით, პაწაწინად გამონასკულნი;
სპეტაკ თეთრ სახეს ვარდის ფერი გამოსჭვიოდა,
ყორნის ფრთასავით წამწამები თვალთ დაჩრდილოდა.

მისი ალერსით შეხედვა და ღიმილი თვალში,
თითქო სიცოცხლის ნექტარს კაცსა ასხამდნენ ტანში;
მოხუცს სიცოცხლეს უღვიძებდნენ; ყმაწვილის გული,
შემდგომ მის ნახვის, იყო ტკბილად დატყვევებული.

მისი ტკრციალით ტიტინი და მის სიტყვის წყალი
მის გულით სევდას გადაჰყრიდა, ვით ღრუბელს ქარი.
ათ-ას ჟამს ხალხში მარტოკა რომ გარეულიყო,
მათ ჟამი შუბლი უმალ უნდა გადაშლილიყო.

მან არ იცოდა სიძულვილი, და მისი გული
სიყვარულითა და ალერსით იყო შემკული:
ყველას თანასწორ შეჰხაროდა; სპეტაკი შუბლი
ჰქონდა ნიადაგ გაღსნილი და გადაჭიმული.

უსაქმო დროსა მას სიცელქე მეტად უყვარდა:
ჯეირანივით, ურუ ჩრდილებში დანავარდობდა;
და მოღალული უჯდა ჩუმად მჩქეფარე წყალსა
და მშფოთარ ტალღებს ადევნებდა ფიქრებით თვალსა.

უყვარდა იმას ვარსკვლავებით ცა მოჭედილი,
ზაფხულის დილა, როს მზის წვერი იალბუზს სცემდა;
დილის ნიავი, მისებრ ცელქი და მისებრ ტკბილი.
და ყველა ესე მას ნებივრად გულს უღელვებდა.

მთისა სიოთი გადაწმენდილს ხშირს ვარსკვლავებსა
ის გაშტერებით შეჰყურებდა და თვის ფიქრებსა,
ვით რაღაც ნაცნობს, ანდობდა და ეუბნებოდა,
და იქ ხვერენა იმას გულში ენატრებოდა.

როცა კი საქმეს ხელს ჰკიდებდა და მიჰყვებოდა,
ყველა მის ხელში, ვით მანქანით, გაიშლებოდა;
იქ, სადაც სხვათა ტოლთ გონება ვერ მისწდომოდა,
იმას ეს თითქო დაბადებით თან დაჰყოლოდა.
სამღრთო საეროს ცოდვნაშია ის ტოლებს ყველას
იმდენად სჯობდა, რომ ყველა მას ეკითხებოდა.
ისე იტყოდა ზეპირათა „ვეფხვის-ტყაოსანს“,
რომ ჩვენ დღევანდელ ყველა მწერლებს გააწითლებდა;
დაუჯდომელი, ფსალმუნი და ძილის-პირები
ისე იცოდა, რომ ჰკვირობდნენ თითონ ბერები;
სამოციქულოს, სახარებას ისე ახსნიდა,
რომ თვით წილკნელსა და ბოდბელსა გააკვირვებდა.
ღვთის მოყვარება მას დღითი-დღე ემატებოდა
და ნეტართ შორის ყოფნა გულით ენატრებოდა.
იმას ხშირათა, მარტო რჩენილს, თქვენა ჰნახავდით,
ღვთის-მშობლის ხატ-წინ ხელ-გაპყრობილს და ცრემლით ცხარით·
ის თავის შველას ზეციერსა მამას შესთხოვდა;
უმანკო გულით, სასოებით სწირავდა მადლსა ..
ხშირად მონოზონთ დასტაშია ჩაერეოდა
ხმით მშვენიერით მოჰყვებოდა ღაღადებასა.
მისი, ვერცხლებრივ უზადო და ნაზი, ტკბილი ხმა
იქ მყოფთ მლოცველთა ტანში უვლიდა, ვითა თილისმა;
და უნებლიეთ ის აღძრავდა თვით კერპთა გულსა
რაღაცა თაყვანს, რაღაც სასოს და უცნაურსა.
ამას ჩვენგანი სუყველანი გამოცდილი ვართ,
რომ შეუპყრივართ უნებურად ამო ტკბილს ხმასა,
და ჩვენც არ ვიცით, რად და როგორ გაუტაცნივართ
უცნაურსადმი აღტაცებულს ტკბილის ოცნებასა ..

ამ გვარ, თამარი იზრდებოდა ღვთის დიდებაში,
და, თუმც საწუთრო იმას დიდათ ეჰანებოდა, —
დიდი ხანია იზრახავდა თავის გუნებაში,
რომ უდაბნოში სულის საქმეს შეუდგებოდა.
შეღერდა საქმროდ, დაემსგავსა გაფურჩქვნილს ვარდს.
მაგრამ ვით ვარდი, შეისხამდა იგიც ეკალს.
ვით ვარდი ზამთარს, ის საქმროებს ერიდებოდა,
და ყველა მთხოვნელს, ვით თავის ძმას ეკიდებოდა.
თვითც არ ეგონა თავის-თავი მას ხორციელი:
გულში მას სრულად არ ჰქონდა სურვილი ქმრისა.
უცნაურისთვის მას უცემდა გული ძლიერი...
უნდოდა წასვლა, უცხოობა, ნახვა ქვეყნისა;
უნდა ენახა გოლგოთა და ქრუსამეთი,
სადაც ეწამა და ჯვარს ეცვა კაცთათვის ღმერთი;
უნდა ენახა ყეენი და მთელი სპარსეთი,
სტამბოლის ხონთქარი, ენგიჩარნი და ოსმალეთი;
ქემი, ზღვის ღელვა, ომი, ბრძოლა, ზარბაზნით გრგვინვა,
ელვა ხმალისა, ჯაყ-კაცური ბრძოლის ყიჟინა,
ხმა დაფდაფისა, საყვირისა, ბუკ-ნაღარისა,
ხმა ძახილი მეომართა საომარისა:
სარდალთ ბრძანება, მათი რისხვა, ჯარის რაზმთა წყობა,
ბაირაღთ გაშლა, მოსატაცად ჯართ ცილობა;
გულ-გადაღელილთ მეომართა ომებში გაწურვა;
ზღვას განსაცდელი და მრისხანე ზღვაშიგან ცურვა;
უნდა ენახა ჩვენი ქვეყნის შემმუსვრელები,
შეკრული წარბი და მრისხანე მათი თვალები.
ენახა, როგორ ზარს დასცემენ თვის მჭვრეტელებსა
და უბრძანებენ ჯალათებსა და მტარვალებსა;

უნდა ენახა ჭარამს ქალნი, დატყვევებულნი,
მათი თავს მდგომი ხოჯაები, დაყვითლებულნი;
ენახა, როგორ ლოცულობენ მაქას, ქაბასა,
მინარით როგორ მოუწოდებს მოლა ალაჰსა;
ენახა მთანი, ცათამდისინ აწოდებულნი,
მთის ჭექა, ღვარი, მაღლით თოვლნი მოზვავებულნი;
ენახა ათონს განდეგილნი წმინდა ბერები,
ესწავლა ლოცვა და სამო ღვთისთვის ცრემლები,
უნდა ეპოვნა რამ საღსარი, რომლით ყველასა
ქვეყნად ეცხოვრათ უდარდელათ, სრული გულითა;
ის აპირებდა მიღებასა იმ გვარს ტანჯვასა,
რომ ღმერთს ის მისთვის შეემოსა სასწაულითა,
იმ სასწაულით, რომ სუფევლა მას შესძლებოდა,
რომ ამისგნითა ყველა ტანჯულს კაცსა ჰშველოდა.
ფიქრობდა ბევრსა, ბევრისათვის გული უცემდა,
მაგრამ საქრმოზედ მას კერავინ ხმას ვერა სცემდა.

## XI

შაჰ-აბაზ იყო ქართველებზედ განრისხებული,
აღთქმით იფიცა მან წინაშე მაჰმადის ყორნის,
რომ სრულად მოსპოს საქართველოს სახსენებელი,
და მინამ ქარქაშს ხმალი მისი არ ჩაეგების!
საქართველოსა თავსა იდგა საზარო რისხვა!
ჯერ საქართველოს ამ გვარი დღე არ დასდგომია:
არც ლანგ-თემური, არც ყრუ მურვან და არცა ვინ სხვა
ქართველსა ხალხსსა ასრე რისხვით არ მოსდგომია.

სადაც კი ჯარი შაჰ-აბაზის შესეულიყო,
ყოველმხრივ იდგა ცოდვის ღუმლი, იდგა სისხლის ზღვა;
გარშემო ცეცხლის ალიონი ცას მისწვდომიყო
და ცათამდისვე ასულიყო ხალხთ კვნესა-ოხვრა.
„გაჟლიტეთ ყველა და დასტყვევნეთ!“ — იყო ბრძანება
განრისხებული აბაზისა, მძლავრი შაჰისა: —
და ვაი იმას, ვინც დანდობა და შებრალება
გაჰბედოს ქართველთ და ქართველთა სახსენებლისა!“
ეს ბრძანება ჯარიდგან ჯარს გარდეცემოდა,
მისი დამრღვევი თვითონ სიკვდილს მიეცემოდა.
ამა ბრძანებას სასტიკათ შეასრულებდენ:
არცა დიდსა და არც პატარას არ იბრალებდნენ.
სდგა ცოდვის ღუმლი, ხალხს პატრონი არსით უჩანდა,
მეფეთა ცოდვას შაჰი ხალხსა აზღევინებდა...
რა გავამტყუნოთ შაჰ-აბაზი, როდესაც დღესა,
აზღევინებენ მეფეთ ცოდვას იმათს ხალხსა!
ვინ გვეტყვის: ეს დრო რით სჯობიან მას წარსულს ჟამსა!
რითი სჯობია ზოგი მეფე შაჰსა აბაზსა?
აბაზ ულეტავდა ქართველებში თვის მტერთა რაზმსა,
და ეს მეფენი... ქვეყნის მოძღვარს და წინამძღვარსა...
დიახ! შაჰ-აბაზ არ ინდობდა ხალხსა ქართველსა, —
ქართველთ თავთაგან აყენებდა გორებს და მთებსა!
მახვილ ამოწვდილ ამხედრებულს თავის ჯარებსა
ათელვინებდა ცხენთა ფეხ-ქვეშ ძუძუთ ბავშვებსა.
თმა გაწეწილი, თვალებში ცეცხლ ანთებულები,
პირქვე განართხულ, ძუძუ მწარედ გამოყრილები,
ამ სანახავსა უყურებდნენ მათი დედები
და სიმწარისგან გაშრობილათ თვალთა ცრემლები.

გამწარებულნი მაღლა ღმერთისა ხელს განუპყრობდნენ,
კრიჭა შეკრულნი შებრალებას ევედრებოდნენ;
მაგრამ, მათ კვნესა, გულით ვალალი იქვე ჰქრებოდნენ
და იგინიცა თვის შვილებთან იჟლიტებოდნენ...

ნუ თუ არს ხალხი ქვეყანაზედ, ვის ძალა ღვთისა
ქართველთა ხალხზედ უფრო მეტათ ედიდებინოს?
მაგრამა ღმერთმა არ უსმინა .. ნუ თუ მისთვისა,
რომ, როცა მოკვდეს ხალხი იგი ქვეყნად იდიდოს?...

ვადიდებთ ხალხო, წამებულო, სახელსა შენსა,
თუ ეს დიდება ესმის კიდევ თქვენგანს ვისმესა!
მაგრამ, რა ხელს ჰყოფთ ამ დიდებას, როდესაც თქვენა
აღარაფრისა აღარა გაქვთ გრძნობა და სმენა!

თუ აღთქმისამებრ სასუფეველს თქვენ განისვენებთ,
მისთვის რომ ქვეყნად ეწამეთ და სისხლი დანთხიეთ?
მაშინ ვინღაა სასუფეველს გარედ რჩებოდეს?
სად არს თქვენი მე, რომ მწარედ არ იტანჯებოდეს?...

## XII

აი ესე დრო შეარჩია გივიმ საზღევლად
და თვის დიდი ხნის განზრახვისა აღსასრულებლად
რა მეფეები და სარდლები გაექცნენ შაჰს
და ქართველები ეხიზნოდნენ მთებსა და ტყეებს,
გივიც საჩქაროდ გაემგზავრა გასახიზნათ.
თვის რძალს ივლიტეს უჩვენებდა ათას მიზეზთა,
რომ მას ერჩივნა იმერეთში მტრობას გასცლოდა,
რათგან ვერას გზით მტერი იქ ვერ გადავიდოდა.

გივიმ ცოლ-შვილი საჩქაროზედ წაასხა მთასა,
ივლიტეს სთხოვა, რომ ის ჯერ შინ დარჩენილიყო
და ჰპირდებოდა, რაკი ცოლ-შვილს მისცემს ბინასა,
ის მაშინათვე უნდა უკან ჩამოსულიყო,
და ივლიტეც გადეყვანა იმერეთშია.
„ჩვენ კი გავასწრებთ,—ჰფიქრობს გივი გუნებაშია,—
და ჩემი რძალი მე დაიწყებს სახლში ლოდინსა—
იმერეთს წამყვანს ვერ იშოვნის უჩემოთ ისა.
„ამა ლოდინში მას უთუოთ მტერი მოასწრებს:
რაც რომ გულს მიდევს, ის მე მტრისგან შემისრულდება.
მაშინ ვერცა ვინ სისხლს დამწამებს. ვერც ბრალს დამადებს
და მტრის მახვილით მაგათ სისხლი ამერიდება.»
ოცნებობდა ასრე ბერი გივი, ასრე ფიქრობდა.
მაგრამ ივლიტეს გივთან წასვლა თვითაც არ უნდოდა:
როგორადაც გივი, ამ დროს ისიც ელოდებოდა,
მასზედ ივლიტეს ეს დრო უფრო ენატრებოდა.
„ახლა კი დროა!—სიხარულით ისა ჰფიქრობდა:—
დრო სულს მიმართავს, ამიხდება, რაც რომ მინდოდა:
გივი საჩქაროდ გასახიზნათ მთას მიბრძანდება,
და ეს სიჩქარე მე იმისი გამომადგება.
„დიდ-მოურავსა კარგათ ვიცნობ: იმისი ცოლი
იყო ჩემთანა მეგობარი და იყო ტოლი:
მის და მაგრინე იყო ჩემი დიდი დობილი,
ვითა მოძღვართან ჰქონდა ჩემზედ გული ნდობილი.
„იმისა დედა შვილობილსა მე მეძახოდა,
და მასუკანა რა აიგლეს ჯავახიანთა,
დიდს სანს ჩემს სახლში, უპატრონო, იმალებოდა;
და მით გიორგი ვალდებული მყავს მე დიდათ.

„რაკი რომ გავა გივი მთასა, მყის გავიქრინდებით,
დიდ-მოურავსა სააკაძეს წინ ვიახლებით,
და მოვახსენებ, რომ იმასა თავისი მტრები
გვიისგნით ჭკვიანდნენ ასრე მწარედ ასუულები!
„მეფეუკი, რომ გივი დღესაც არის მის სისხლის მსმელი,
რომ დაუცხრომლად ის თავს უყრის სამტროდ მის მტერთა,
რომ იმას უნდა შეიკრიბოს მთის ხალხი მთელი,
უმახის რუსთა და უმახის სულ მოლხათ იმერთა.
„უნდა რომ მთიდამ თავს დაესხას მას და ქვეყნის,
მასუკან უნდა თითონ მთავრად ქართველთა გახდეს,
და საქართველო მთელი მისცეს რუსთ ხელმწიფესა —
და ათას ბოროტს კიდევ სხვასაც განიზრახავდეს.
„და სააკაძე კარგათ იცნობს ბოროტსა გივსა:
ის მაშინათვე მის საზიზნავს ჯერეს მიუსვავს —
ამ საზიზნავებს თვით გუშვენებ მე გიორგისა,
და ის გივსაც და მის შვილებსაც ბოლოს მოუღებს."
ასრე ფიქრობდა ივლიტე და არეუსა მისსა,
თან-და-თან იმგრეგვლივ მტრისა ჯარი ახლოვდებოდა.
სოფლებში იდგა ყრიამული მწარე ხალხისა
და მთელი ხალხი თავის პატრონს ვერა ჰხედავდა.
იმა-განწყვილი გულებთა ქალნი თავ-პირს იბღლენდნენ,
იცემდნენ გულში და მუძუებს მწარედ იგლეჯდნენ;
პაწია ბავშვთა ღრიანცელი გულსა ჰკმიროდა;
და შეუწყვეტლად ზარის რეკა მათ ბანს აძლევდა.
რეკავდნენ ზარებს ხუცესები, წმინდა ბერები
და ზარ-დაცემულს ხალხს ტაძარში მოუწოდებდნენ,
რომ მას ცრემლებით შეენანა თვის ცოდოები
და მით ღვთის მადლს და მეუფის შველას მათ აღუთქვამდნენ.

მღვდელთა მთავარი, ნეკრესელი ამბროსი ბერი —
თუმცა ამ დროსა არც კი იყო ჯერ მოგონილი —
თუ არ გვყოლოდა ჯანაშვილი, დიმიტრი მღვდელი,
დღესაც ეს ბერი დაგვრჩებოდა შეუმჩნეველი! —

მრისხანე ხმითა ქრისტეს სიტყვებს ხალხს შესძახოდა
და მის ცოდვისთვის მას დამხობას ექადებოდა:
„თქვენი ცოდვისთვის მოგევლინათ ეს რისხვა ღვთისა:
თქვენ შეიქმენით დამრღვევნი ქრისტეს მცნებისა!

„ღირსს სასყიდელსა არ მიაპყრობთ სულის მამებსა —
თქვენი ცოდვისთვის ღვთის მსახურებს და მლოცავებსა!
სრულის გულითა არ ჰმსახურებთ თქვენს უფროსებსა
და ფიანდაზად არ ეგებით მათის ბრძანებებსა.

„ყოველ-წლიწადს არ მიიღებთ ზიარებასა,
მოძღვართ არ ეტყვით გულის წმინდით აღსარებასა,
ციურთ ანგელოზთ არ გაუწევთ თაყვანებასა
და არ აღასრულებთ ჩვენთა წმინდათ მამათ ნებასა!

„სტეხავთ კვირესა და დადგენილს უქმე დღეებსა,
მარხვის დღეებში ხშირადა სჭამთ ხორცსა და თევზსა,
ქრისტიანულად ვერ ისახავთ გულზედ პირ-ჯვარსა,
და სასოებით არ მოისმენთ ლოცვა-წირვასა,

„ბატონს არ უწევთ ერთგულებას, სრულს მონებასა;
არ მიუტევებთ თქვენთა მჩაგვრელთ დამონებასა;
არ მიაყენებთ თქვენსა ხორცსა მწარე სასჯელსა
და შეღავათსა არ მიაძლევთ მით სულსა თქვენსა!

„არა სჯერდებით მას, რაცა გაქვთ ღვთისაგან დღეშა,
თვალი გაცდუნებთ, როს უყურებთ ქალთ სინაზესა,
სხვის დიდება გშურთ, — უწევთ ეშმაკთ მსახურებასა —
გულს განიფიქრებთ ათ-ას გვარსა ურწმუნებასა!

«ვერ დაიტივა თვით ზეცამა თქვენი ცოდვანი,
ამისათვისა მოგვევლინა ეს რისხვა მღვთისა;
და თუ რომ გინდათ მოინიჭოთ მოტევებანი,
უნდა დაღვაროთ წინაშე მღვთის ცრემლნი სისხლისა.
«მოიდრიკენით მუხლნი თქვენნი, დაჰღვარეთ ცრემლნი,
სასო მღვთის-მშობელს განუპყარით ხელები თქვენი!
სინანული და ლოცვა არის ჩვენი მხსნელები.
ცოდვით საწყალნო, დაიკრიბეთ გულზედ ხელები!»
და ხალხის გროვაც, უიმედო, სასო მიხდილი,
ტაძრის კარისკენ მუხლ-მოდრეკით ეშურებოდა;
მწარედ შიშისგან გამშრალი და მთლად მიუმენდილი,
ღმერთის ცოდოების მიტევებას ევედრებოდა...
ცხრის ფარსავით გაისმოდა სოფლად ბღავილი,—
როს ჩაერევა ხროვა მგლისა უმწყემსო ცხვარსა —
აღარსად იყო კაცი, ხალხის ხელის მძღვანელი:
ქედით დავთარი დაჰკარგოდათ სულ მთლად ყველასა.
— გაიხიზნეთ! — გაისმოდა ყველა ალაგსა: —
აგერა მტერი თავს დაგვესხმის, — უშველეთ თავსა!
ის არა ზოგავს არც მოხუცსა და არცა ყრმასა,
წასაბილწავად აღარ ინდობს არც კაცს არც ქალსა.
— გაიხიზნევით! — შემცდარივით ხალხი იძახდა,
და სიტყვა ესე ლახვარებრივ გულსა ჰგმირავდა.
— გაიხიზნევით! — მთელს ხალხშია ესღა ისმოდა,
სხვა რამე ღონე ქართველ-კაცსა არ დარჩენოდა.
— გაიხიზნევით! — ესღა ისმის, — უშველეთ თავსა!
და ეს სიტყვები, საზარელნი, ზარს სცემდნენ ხალხსა ..
დღეს ეს სიტყვები ჩვენ არავის აღარ გვაშინებს....
დღეს ეს ზარი აქვს ლურჯს მუნდირსა და მათს ობისკებს!..

## XIII

ამ ზარის ხმაზედ თამარ ხალხსა არ ჰშორდებოდა,—
თუმცა სრულიად დედის ქცევა მას არ ესმოდა:
ივლიტე იჯდა სახლში ისრე დამშვიდებული,
თითქო მოკვეთე ჰყვანდეს სახლში დაბარებული...
არ ჰშორდებოდა ხალხსა თამარ, მასთან ცრემლს ჰღვრიდა;
უნდოდა შველა, მაგრამ რითი? რით უშველიდა?
და თუ რომ ხალხსა დაიხსნიდა იმის სიკვდილი,
იმას ამისთვის ჰქონდა თავი გადადებული...
უცებ გაისმა ნაღარის ხმა, ხმა დამახილის,
ხმა მეომართა საომარად შესაკრებელი.
უცებათ ყველა გამოფხიზლდა, ყველას გული ჰხტის
და უცებ თითქო სუყველასა მოეცა გული.
— ბერო დვალიძე ხალხს უძახის,—გაისმა ხალხში:
—ეკლესიის წინ სდგას და მაღლა უკრავს საყვირსა,
თავით-ფეხამდის გმირულათა ჰზის იარაღში
და საომარად გამოითხოვს ყოველს ქართველსა.
—თოფის კვამლითა მთელი სახე აქვს შეჭვარტლული,
ტანისამოსი მტრის ტვინით აქვს ცხავად გცეული,
მტრისავე სისხლით ხმალ-ხანჯალი აქვს შეღებილი,
და მტრის სისხლშია მკლავები აქვს ამოვლებული. —
გაისმა ეს ხმა და ამ ხმაზედ მთელი სოფელი,
დედა-კაცი თუ მამა-კაცი, ყრმაი თუ ბერი,
ვინ ვის გაასწრებს, ეკლესიის კარსა გარბოდნენ
და მოუთმენლად დვალიძესა გარე ერტყმოდნენ.

აგერ გაისმა: დაიწყოთ!—გროვა ხალხისა
ისე მიმტკნარდა და გაჩუმდა, გახდა უძრავი,
თითქო უსულოდ ქცეულიყოს. სულ-განმენდილსა
მას დვალიძისკენ წინ უძრავად წაეღო თავი.
რა რომ ხალხისა ხმაურობა სრულებით მისწყდა,
ხალხის შუაში, ერთს ბეგობზედ ვიღაც წარმოსდგა
ის გაიმართა წელში მაგრა, და შუბლზედ ხელი
მან გადაისვა და მოსწურა შუბლს ოფლი ცხელი.
შავათ ალმური თოფის კვამლის მას ასდიოდა,
წვერი ჭაღარა თოფის კვამლით გაჰშავებოდა,
დაკოდილობის სისხლი ისევ ჩამოსდიოდა,
და მტრისა სისხლი თავს და ტანზედ შიგ ჩასჯდომოდა.
იმან უცებათ დაჰკრა მიწას თოფის კონდახი
და შეარყია ძირს მიწა და გარეშე ხალხი;
მერე ბრიალით საშინელი შავი თვალები
ხალხს გადაავლო და აღუგზნო გულსა ალები.
— ქართველო კაცო!... სადღა არის ქართველი კაცი!!...
დღეს ქალაჩუნათ, გოგოჩუათ ყველანი გავხდით...
მტერი კარს გვადგას, და ჩვენ ვტირით ვით დედა-კაცი...
დახე სადამდის დავეცნით და სადამდის წავხდით!!...
— ქართველო კაცო! თუ კიდევ გდის ქართული სისხლი!
გულ-ხელ დაკრეფით რას უსხედხართ დედა-კაცებსა!?...
ხომ ჰხედავთ რომა მტერმა შეგვქნა ნამუს-აყრილი
და თქვენ წინ ჰბილწვენ თქვენსა შვილსა და თქვენს ცოლებსა!?
—ჰხედავთ, ურჯულო აღარ გვინდობს, სისხლით არ ძღება?!—
რა სამალავში გინდათ იმათ თქვენ დაემალოთ!—
ჩვენი ქართველი ჩვენზედავე მათ მოუძღვება,
და, ნუ თუ უნდა ჩვენ ეს ყველა მტერს მოუთმინოთ!?

— მითხარით, აბა, რაღათ გინდათ ცოცხალი თავი?! —
სათვლავში შესძრავს ჩვენს შამებსა ჩვენი ამბავი!...
ვაჟკაცნი იყვნენ, ვაჟკაცურად იხოცებოდნენ,
თავის სირცხვილს კი თავის თვალით არ უყურებდნენ.
— ნამუსისათვის უნდა იყვეს კაცი ცოცხალი, —
ჩვენ ეს ანდერძათ მამა-პაპით გარდმოგვცემია; —
და ჩვენ რას ვშვრებით? — თავადებზედ გვეჭირავს თვალი!
აბა, მითხარით, თავადისგან რა მოგვცემია?
— ხომ ჰხედავთ, რომა მეფეცა და თავადებიცა
მარტო ჰფიქრობენ თავისთვის და არა სხვისთვისა:
მათ ხალხი უნდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისა,
წელში მოხრილი მათთვისა ჰღვრის ოფლსა და სისხლსა.
— ნახევით, რა რიგ უპატრონოთ იმათ გაგვიშვეს!
ღვთის-წყალობა გაქვთ თავის-თავებს მალე უშველეს!
ხალხი კი მისცეს მტერსა პირში შესაჭმელათა,
თვით სამშვიდობო ბინას სხედან ნებიერათა!
— ნებიერობენ მთის წყაროზედ, ჰაერსა გრილში,
გულით ცივს ღვინოს ნებიერად არაკრაკებენ...
ნებიერობენ ჩვენი შრომით, ჩვენ კი ვართ ჭირში,
და ჩვენს მწარე ჭირს შორიდგანაც ყურს არ უგდებენ.
— ქართველო კაცო! აბა, მითხარ რა იქნებოდა
უგლეხ-კაცოთა დიდი მეფე, გინდ თავადობა!
აბა, უხალხოთ ამოიღონ იმათ თვის ხმალი;
აბა, უხალხოთ დაამარცხონ ხუთი თათარი!
— დიდს სვიმონ მეფეს, მდევს და გმირსა, მეფეს ქუდოსანს
შველა ომებში, შველა იმის გამარჯვებაში,
ვფიცავ მის სულსა და მის სახელს ნეტარ სახსოვარს,
სულ თან ვსდებივარ, მასთან უდექ მტერსა გრიჭაში;

—მაგრამ ყოველგან და ყოველთვის ვარ მის მნახველი,
რომ უგლეხ-კაცოთ არ შეეძლო გაეძრა ხელი:
გლეხ-კაცის ხელით ყველა მტერსა ემკლავდებოდა,
და თვითონაცა გლეხ-კაცს მუდამ მხარს უდგებოდა.
—ბატონს მოურავს, სააკაძეს, კაცსა ლომგულსა,
რომლის ბადალსა ვაჟ-კაცსა და შემმართებელსა
მკვირადღა გაზდის დედის ძუძუ, მე ვახლდი გვერდსა
და მხარში ვუდექ, ომებშია მას მოუღლელსა,
—მაგრამ ამ ბრძენსა და მდევ-გმირსა, შეუდრეკელსა,
რომლის რისხვასა ვერა კაცი ვერ შეუდგრობდა,
რომლის სახელი აშინებდა სტამბოლს ხონთქარსა,—
უგლეხ-კაცოთა მტერზედ ხმალს ვერ ამოიღებდა!...
—მაშ რას უყურებთ თქვენ თავადებს, ხომ ხედავთ რომ დღეს
საქართველოსა ეს დღეები თვით დააყენეს:
დიდ-მოურავი და ყეენი თვით გაარისხეს,
და უნამუსოთ თავის მტრებსა ჩვენ პირში მიგვცეს!
—აი იმათი საქმეები და თავოსნობა!
მაშ რაღათ გინდათ თავადების თქვენ თავადობა!?
ხმალი აიღეთ ვისაც გესჯით ვაჟ-კაცის გული
და ვინც ნამუსზედ ჯერ არა ხართ ხელ-აღებული!
—აიღეთ ხელთა თოფები და ან შვილდ-ისარი,
ვისაც არა გაქვთ, აიღეთ ხელთ თოხი და ბარი,
ბერკეტი, ხელნა, ცული, ცელი, დანა, ნამგალი—
მტერზედ ჩვენ ყველას მოვიხმარებთ; და ვინც ჩვენგანი
—ყველაზედ უფრო გამოცდილი და მარჯვე იყვეს,
იმას მივანდოთ თავადობა, წინ ის წაგვიძღვეს,
იმან გასწიოს თავადობა, გვაკვეთოს მტერსა,
ან გაგვიმარჯოს ან შეგვაკლას ურჯულოს ხელსა!

— მაშ, აბა მომყევთ და აიღეთ ვისაც რა შეგხვდეთ,
ვახსენოთ ღმერთი და მტერს ყველა გზაში ჩაუდგეთ;
გავიდეთ სოფლით სოფლებშია, დავცეთ ბუკებსა
და დავუძახოთ საომრად ქართველ ბიჭებსა.
— ქართველთ ბიჭობა მთელს ხმელეთზედ არის განთ
უჩვენოთ მტერსა; რომ ისევ სდის სისხლი ქართული;
უთავადოთაც უჩვენოთ, რომ თავს დავსცემთ მეხსა...
მაშ აბა მომყევთ და შეუდგეთ კაჟკაცთ საქმესა! —
და აქ დვალიძე უცებ შედგა და ხმა ჩაკმინდა.
ხალხსა ძარღვებში აღელვებით სისხლი უცემდა.
დედა-კაცებიც კი გამხნევდნენ და სულ მზათ იყვნენ,
რომ თათრებზედა საომრათ მთლათ გასულიყვნენ.
— შენიჭირიმე! — გულიდამ აღმოხდა ხალხსა: —
ბერო დვალიძე! შენ იქნები ჩვენი თავადი.
შენ გაგვიძეხი და გიჩვენებთ ჩვენს ბიჭობასა,
გიჩვენებთ რომა გული გვიცემს კლდე და ფოლადი!
— აბალე, ძმანო, იარაღი გამოვიტანოთ
და გმირ ბეროსთან ვაჟ-კაცურად თავები დავდოთ! —
ამ სიტყვებთანა სოფელანი სახლებს ეძგერნენ
და საომრად თოფ-იარაღს სწრაფად ჰფერავდნენ...
ამ ხალხისა ჯგუფაშია, დედა-კაცებში,
იდგა გამშრალი მშვენიერი ჩვენი თამარი.
ბეროს სიტყვებზედ იშლებოდა ის მთლათ ძარღვებში
და მთლათ უთრთოდა და უხტოდა გული მღელვარი.

## XIV

დაბრუნდა თამარ, მთლათ მღელვარე, თავის სამყოფში
და შადრევანებრ იმას სისხლი თავს აწვებოდა;
ბერის სიტყვები შეუწყვეტლად უდგა ყურებში,
და მისი გული ჩაქუჩივით იცემებოდა.
მას თვალ-წინ უდგა მღელვარება შეყრილი ხალხის,
სულ-განაბული ყურის-გდება მღსნელი სიტყვისა;
მის აღტაცება დაძახილზედ ბერო დვალიძის
და თავთ განწირვა სუყველასგან ბრძოლად მტრისა.
უდგა მას თვალწინ გამხიზნელთა ხალხით ყრიამული,
განწირულებით თმათა ხოჭვა, ვინცა რჩებოდა;
უდგა მას თვალ-წინ ცოდვის ღული, გარს მოდებული
და ზარისა ხმა, რის თათრით მოსვლა ისმოდა.
ეგდო მღელვარე თვის სწოლში, მთლათ ანთებული,
უნდოდა ლოცვა და ლოცვა თავს არ მოსდიოდა.
ის იყო მხოლოდ ერთი ფიქრით გატაცებული,
რომ ვაჟ-კაცებთან თოფით ხელში გზას გასდგომოდა.
იმას უცემდა ახლა გული იმით მხოლოდა,
რომ თვის სამშობლოს მტრის მახვილსა შეჰკაფებოდა,
რომ ვაჟ-კაცურად და გულ-სრულად ხალხით საცავადა
შუა თათრის გუნდს ხელთ მახვილით გადაჭრებოდა.
ის აგერ მზათ არის ტანთ გაიცვას ვაჟის ტანთსაცმელი,
შეისხას ტანზედ იარაღი, შეჰკმაზოს ცხენი,
გავიდეს თვითცა სოფლით—სოფლად, დასცეს ნაღარსა
და საომარად დაუძახოს მთლათ ქართველს ხალხსა.

„ან არა, — ჰფიქრობს, — ასრე ქალის სამოსელითა,
თმა გაშლილი და ფეხ-შიშველი, ხელთ მახვილითა,
გავალ სოფლათა და შევძახებ ხალხსა ქართველსა,
რომ ქუდზედ კაცი გავაგზავნეთ ურჯულო მტერსა.
„დავარცხვენი თავადთ და დიდებულთ, დავარცხვენი მეფეთ!
მე, უსუსური, მათ აღუნთებ ვაჟ კაცთა გულსა...
იმათ თვალ-წინა მტრის მახვილსა მე თავს შევაკვეთ,
ნუ თუ ვერც მაშინ გაუღვიძებ გულში ნამუსსა?'
„მოვკვდები მათ წინ! ნუ თუ მაშინც არ დაირცხვენიან
და ჩემს შემუსვრილს ბავშვს გვამზედა არ აღიძვრიან?!...
თუ არ იმათა, ხალხსა მაინც ეს აღელვებს
და თვის სახსნელად ამ სიკვდილით თავს გამოიდებს!...“
იყო ამ ფიქრში სისხლ მჩქეფი, ტვინ აღულებული,
ვერსად იჯდა და ვერც დგებოდა, ატაცებული.
აქ უცებათა მან აიღო კალამი ხელსა.
და საჩქაროთ ხელი მიჰყო წიგნსა ფიცხელსა.
მას მოაგონდა თვისი გმირი ბიძაშვილები:
ისინი მეფეს თან იახლნენ იმერეთშია,
და აქამდისინ უნდა იყვნენ შინ მოსულები
თავის დასადგურს — გასახიზნავს ადგილებშია.
ჩაუჯდა წერას და აზრებსა ხელს ვერ ასწრებდა,
თვალ-მოუსწრებლათ ხელს ანძრევდა, სიტყვებსა სწერდა;
სწერდა საჩქაროთ და თან სიტყვებს ზეპირ ამბობდა,
თითქო ის ამ დროს ბიძაშვილებს ესაუბრებოდა.
„თქვენი გმირობა იყო ყველგან ხალხში განთქმული,
ხალხი თქვენს სახელს ღმერთისავით სცემდა თაყვანსა;
თქვენც კი ამ ხალხსა გასაჭირში არ უგდეთ ყური
და უპატრონოთ ხელთ ჩაუგდეთ უწყალო მაჯსა.

„აქ ათასობით თითო წუთას სწყდება ქართველი,
და თქვენ კი ორს კაცს მიუძღვენით თავები თქვენი!
ნუ თუ ეგ ორი სჯობდა მთელსა მილეთის ხალხსა,
ხალხს მაგათგანვე აგებულსა მტრის მახვილ ხმალსა?!
„მუხანათურათ მაგათ ხალხი თავისი გასცეს,
მაგათ თვის ხალხთან მტრის შეკდომა არ მოინდომეს;
და თქვენ კი შვილნი, ხალხთა გმირნი მათ ასხდით გვერდსა,
არ მოსცილდებით განწირულს ხალხს, თქვენსა აღმზრდელსა!...
„ბევრი დვალეიძე დამახილით დადის ხალხშია,
თქვენ, თავადებისა საქვეყნოთა მუხანათათ გზით...
მისი სიტყვები ელვასს სცემენ ხალხსა ტანშია...
თქვენ ტვინის მწოველს ხალხისასა იგი გეძახით!
„მე, უსუსურსა, სირცხვილისა ოფლი მწურავდა,
როს უმსგავსებას ჩვენსას ბევრი ხალხს შესძახოდა..
ჩვენა ვსწამთ ხალხსა, ჩვენ იგი გვრწმის, და გასაჭირში
ჩვენ მათ მტერს ვაძლევთ შესაჭმელათ აფთარსა პირში!
„მტრისა რაზმები, ვით ზღვის ტალღა გარე გვერტყმება.
ცეცხლისა ალი მაღლა ადის და სცემს ზეცასა;
ხალხის სისხლითა მთა და ველი სულ მთლათ ირწყვება,
და აღარა აქვს დასასრული ხალხის კვნესას.
„ქვეყნის-გაება დიდს განსჯის დღეს მიემსგავსება...
არცა დიდსა და არცა მცირეს არ აქვს დანდობა...
თქვენც კი ამ დროსა გაექეცით ზარდაცემულს ხალხს
და აღარ უგდეთ იმათ ყური, არ შეიდეთ თავს...
„მითხარით, ძმანო, ნუ თუ ხალხთან თავი არ გვიდევს!
ნუ თუ ჩვენს გამზრდელს და შემნახველს ხალხსა არ გვმართებს
თავი შევწიროთ, ან დავიცვათ ან მასთან მოვკვდეთ,
და, ვითა უცხო, უნდა იმათ ჩვენ ვუყურებდეთ?!...

„თუ რომე თქვენა დაგივარგავთ თქვენი ქველობა,
თუ თქვენც სხვასავით დაგავიწყდათ ვაჟ-კაცთ ხელობა,
მაშინ მე, ქალი, თქვენ გიჩვენებთ მის მაგალითსა,
ვით შეიძლება ნამუსისთვის შეკვლა თავისა!“
დასწერა წიგნი და დაბეჭდა გულის თრთოლვითა.
აქ დაუძახა გამზრდელის შვილს თვის შინა ყმასა,
იმას დაჰკვედრა — წასულიყო მსწრაფლ ამ წიგნითა
და მიეტანა მათის სასიძნავს ციხე ალავსა.

## XV

მაღლა მთებში სდგას შეუვალის ციხე მაგარი,
მტრიანობასა დაზნულების თავშესაფარი.
ამ ჟამათაცა გივი ხიზნით აქ დაბინავდა
და გამაგრებას მტრებისაგან აქ აპირებდა.
ის თვის საყმოდგან ეძახოდა რჩეულთ ვაჟ-კაცთა
შეუვალის ციხეს თავებისა მოსაყრელათა,
და აპირებდა შეუვალის გზების შეკვრასა,
ყველა ბილიკზედ სიმაგრეთა აშენებასა.
ის არის გივი დაბინავდა, და მისნი შვილნი,
რომელნიც გაჰყვნენ იმერეთსა ორთავ მეფესა,
დაბრუნდნენ შინა, ჯავრისაგან გულ ჩაწყვეტილნი
და მწუხარებით იმაგრებდნენ ძლივას ცრემლებსა.
მათ მტრის საბრძოლველად ესჯებოდათ ყრმა და მხნე გულნი,
კადნიერება თათრებისა მათ გულს უმღვრევდა;
მეფეებზედა იყვნენ მწარედ გამძვოთებულნი
და ყველას მათგანს მეფეებზედ გული უღრენდა.

მათ არ იცოდნენ, რა დაეწყოთ და რა ეზრუნათ:
უნდოდათ ბრძოლა, და გამბედავთ სხვათ არ ჰხედავდნენ.
ვით მწყურვალს წყალი, იმათ მტრისა სისხლი სწყუროდათ,
მაგრამ მარტოკა მტრის შებმასა ვერა ჰბედავდნენ.
იყვნენ ამ ფიქრში და ერთმანეთს ეკითხებოდნენ.
ჰფიქრობდნენ, სწუხდნენ, თათბირობდნენ, ხელებს იმტვრევდნენ,
და საიმედოს ამ საქმისთვის ვერასა ჰხედავდნენ, —
გადაკვეთილს აზრს ჯერ ვერაფერს ვერ დასდგომოდნენ.
ჰყოყმობენ საქმეს, თან კი გული ესჯით საომრათ.
აქ უეცრათ თამარისა წიგნი მოერთვათ.
გახსნეს მათ წიგნი, წაიკითხეს და მთლათ აენთნენ
თავის წაკითხულს და თავის თვალს არ უჯერებდნენ.
ნორჩი თამარი, ბავშვი თამარ, მათ, გათქმულთ გმირთა,
ვაჟ-კაცობასა უმრახვიდა მრისხანებითა!
ეს ნორჩი ქალი, სუსტი ქალი, უთვლიდა მათა,
რომ შეაკვდება ქვეყნის მტრებსა მათ მაგივრათა!
შვიდთავე ძმათა ერთმანეთსა შეჰხედეს ჩუმათ
და ამ შეხედვით თვის განზრახვა გამოსთქვეს სრულად.
მათ ერთპირათ გადასწყვიტეს, რომ ამ სირცხვილსა
ბევრითა სჯობდა — მისცემოდნენ მწარე სიკვდილსა.
იმათ შვიდთავე ერთპირათ სთხოვეს გავისა,
რომ მას მიეცა მათთვის ნება ჯარის შეყრისა;
რომ სხვა თავადებს ძლიერებს და ქართველთ ერთგულთა
გივი შესთქმოდა მძვინვარე მტრის საიდუმლოთა;
რომ ჩერქეზისა ბატონისთვის ჯარი ეთხოვნა, —
და ჩერქეზთ ბატონს ერთ-ერთი ძმა იახლებოდა, —
რომ ორიოდი ძმა კახეთისკენ მას დაეთხოვნა —
და კახთ-თავადებს მტრისა ჩუმათ გაჰზრახებოდა;

რომ ორ-ორა ძმა წავიდოდა თუშ-ფშავ-ხევსურში;
რომ სანდო ყმანი გაუგზავნა სხვა მთის ხალხებში
და ამ გმირთათვის საომარად მას დაეძახნა,
რომ ამაყობა ქართველთ მტერთა მით აელაგმნა.
თუმცა კი გივი არა ჰგრძნობდა თავში ძალასა,
რომ მძლავრი შაჰის გამკლავება მას შესძლებოდა;
მაგრამ შვილები მისდგომოდნენ პირში მამასა,
რომ თუ ყველაზედ ის მათ ნებას არ დაჰყვებოდა,
მაშინ მარტონი დაესხმოდნენ ძლიერსა მტერსა
და მარტოკანი შეაკლავდნენ იმათ თავებსა; —
და აქ მოსულცა გივი დაჰყვა შვილთა ნებასა:
ენდო მათს გულს და მათთა მკლავთა ძლიერებასა.
აგერ შეუდგნენ გაბედვითა მძიმე საქმესა,
აგერ ქაღებსა უსხედან და სწერენ წიგნებსა:
სწერენ ერისთავებს, სარათაანთ, ციციშვილებსა,
ჩერქეზთ ბატონსა, თუშსა, ფშავსა და ხევსურებსა;
სწერენ კახელებს, ქიზიყელებს, თიანელებსა;
სწერენ წილკნელსა, ნიქოზელსა, ურბნელს, მროველსა,
კათალიკოზსა, სამთავნელსა, ბოლნელს, ბოდბელსა, —
სწერენ ვისგანაც მოელიან რამე ღონესა...
დიდს ხანსა ჰქონდათ მამასა და შვილთ საუბარი,
როგორ დაეწყოთ საქმეები, ვით წაეყვანათ;
ყველა ასწონეს და წარმოსთქვეს თავ-თავის აზრი,
და ახლა, თითქო, ყველა იმედს იმათ აძლევდათ,
დასწერეს წიგნნი, გადასწყვიტეს საქმის დაწყობა,
და მათ გულიდგან თითქო ლოდი ჩამოეცალათ.
სიხარულითა ერთმანეთსა უწყეს ლაღობა,
ერთი ასათა ახლა მტერზედ გული მოეცათ.

მათ სიხარულით გული უცემთ, ელვა ტანს უვლის;
თვალ-წინ ესახვით თოფის ხმა და ელვა ხმალისა;
უდგათ თვალთა წინ ქართველთ ჯარი მტერსა ვით ებრძვის,
უდგა თვალთა წინ მისევნა და წყობა რაზმისა...
ერთხმივ სუყველამ გარდასწყვიტეს, რომ ადრიანათ
შვიდნივე ძმანი სწრაფად უნდა გზას გასდგომოდნენ
და საქართველო აეშალათ მთლათ ერთიანათ,
რომ ქართველები ამოწყვეტას გადარჩენოდნენ.
შუაღამისას, ნაშრომში და დაღალულები,
ღამე ნათევნი და ფიქრებით მოქანცულები,
მთელი სასლობა, მოწყვეტილი, მიეცა ძილსა,
მიეცა ძილსა, ძილსა ღელვილს, გრძნებით გავსილსა!
სძინავთ შვიდთ ძმათა და ჰხედავენ ქართველთა გმირთა,
რომ ერთიანად აშლილან და მიდიან მტერზედ;
ჰხედავენ დროშათ ამართულთა მტკიცეთ გაშლილთა,
და ქართველობას შეითქმესა სვეტი ცხოველზედ;
ჰხედავენ: მოდის გმირთ ჩერქეზთა ნაქები ჯარი
და ქართველებსა მეძებურად ძმურად ჰშველიან;
ჰხედავენ—არის ცხარე ბრძოლა, ჰდის სისხლის ღვარი
და მტრისა სისხლსა ქართველები რუებრივ ჰღვრიან;
იბრძვიან ცხარედ შვიდნი ძმანი, მტერს ზარსა სცემენ,
იბრძვიან ცხარედ და მტრის გუნდში გადერევიან;
ქართველთა ხმალი ელავენ და მტერთა ჰკვეთავენ,
და მტრისა რაზმი ზურგს ადრეკენ, კიდეც გარბიან.
აგერ ყეენი თვით მოუძღვის თვის რაზმებს წინა,
მაგრამ გმირულათ ქართველთ რაზმნი ეკვეთებიან;
აგერ შვიდთა ძმათ ქართველთ რაზმით დასცეს ყიჟინა
და თვითონ ყეენს შესაკვეთათ ეტანებიან!

არის ყიჟინა, ხმლისა ელვა და სისხლის ღვარი!
გულ-გაღელილი, წითელ პერანგ საკინძ გახსნილი,
შუა მტრის გუნდში შედის გმირი ქართველთა ჯარი,
კოხტად, ქართულად, გვერდზედ ბუხრის ქუდ ჩაკეცილი...
მაგრამ, აჰ! უცებ სუყველაფერს მოედო ბნელი!
მათ, შვილთა ძმათა წინ გაეხსნათ უცებ ქვესკნელი...
მიწამ პირი ჰქნა და შვილნივე მშა ყრმათ შთანთქა,
შთანთქა და ისევ მიწას პირი უცებ გადექნა!...
და მამა მათი გივი ჰხედავს სხვა რიგ სიზმარსა:
ის ჰხედავს თავის მოსისხლე მტერს ანდუყაფარსა:
ის სიკვდილსათა, ვითომც, იყო გადაგცეულა,
ჯარათ თან ახლდა მავნენი და ეშმაკეულნი;
ჯოჯოხეთისა ხათხათით და წივილ-ყიჟინით,
სულთამხუთავის ხელში ცელებ ამართულები,
იმის სახლ-კარსა ერტყმობოდნენ რკინის რგოლივით
და შეუპოვრად ყველას ჰნთქამდნენ ეს წყეულები.
ჰხედავს, წყეულნი, ცეცხლსა და ნავთს შეაზავებენ,
ზღვებრ მის სახლს არტყმენ და მის ცოლ-შვილს მაში ჰღუპამენ...
იბრძვის ცოლ-შვილი დასახსნელათ თავის თავისა...;
აჰ, თითქო, გივსა ყურს მოესმა ღელვა ჯარისა!
მთლად ტანის თრთოლით საწოლიდგან გივი ავარდა.
მას ჯარებისა ყიჟინისა შემოესმა ხმა.
ესმის სახლკარსა თავს ანგრევენ, თოფის ხმა ასტყდა
და ალაგ-ალაგ ნგრევა იწყო ციხემ მაგარმა.
წამოხტა გივი და წამოხტა მთელი სახლობა.
მტერს იგი ზარი, რაც მათ ნახეს სანახაობა!
ყოველმხრივ ერტყათ მტრისა რაზმი, ყიჟინას სცემდნენ
და გაშმაგებით სახლის კედლებს თავზედ აგცევდნენ.

ყოველ მხარეს ალიონი სცემდა ცეცხლისა:
მათსა სარჩოსა და სამყოფსა ჰშთანთქავდა ალი.
გარშემო მთანი წითლად ჰგავდა მთლად შეღებილს,
მტრის ჯარს გაჰქონდა შეუწყვეტლივ გუგუნ-ყრიალი.
გავარდა გივი გარეთა და... იქვე დაეცა,
მტრის ტყვიისაგან გულსა და ღვიძლ დაცხავებული!
უსულო გვამსა ხანჯლით ხელში მას მტერი ეცა
და აფთარივით ჰხევდა, ჰგლეჯდა, გაშმაგებული!...
ამ ამბავზედა, პერანგა და ხმალ-გაწვდილები,
მაღლა ფანჯრიდგან ჩამოეშვნენ შვიდნივ გმირები;
მიჰყუდეს ზურგი ერთმანეთსა და გადერივნენ,
დასცეს ყიჟინა და ფეხ-ქვეშა მტერსა სთელავდნენ!
დასცეს ყიჟინა, და შესდრიკეს მტრისა რაზმები...
მარტო ჩხაჩხი-ღა ისმოდა მათი ხმლებისა;
თითოს შეჰკვნესდნენ გაკვეთილნი მათგან მტრები
და საუკუნოთ მათ ხმალით ქვეშე სწყვეტავდნენ ხმასა.
მაგრამ აგერა დაკოდვანი მათაც დაეტყოთ:
სისხლი თქრიალით ჭრილობიდგან რუებრ სდიოდათ;
იმათ მკლავები თან-და-თანა მდუნედ მოუშოთ
და თან ახალი მტრისა რაზმი თავს ესხმებოდათ.
და, აი სისხლით დაიცალნენ, გასცვივდათ ხმლები!
საკეპავივით ხმლებს და ხანჯლებს უშვებენ მტრები.
აგერ დაჰკვეთათ ერთიანათ ყველას მუხლები,
და ერთმანეთსა გადეფარნენ შვიდნივე ძმები;
გადეფარნენ და მტრის მახვილსა კისერს უშვერდნენ;
და კბილთა ღრჭენით დუმასავით მტერნი ჰკეპავდნენ...
გაჰქრნენ ეს გმირნი მტრის მახვილ ქვეშ, მაგრამ ისინი
დღესაც ხალხის ხსოვნაშია არიან გმირნი.

დღესაც ანდაზათ დარჩომილა ხალხის ხსოვნაში
მათ დაჩაგრულთა და უძლურთა მოვლა და შველა;
დღესაც ხშირათ გაიგონებთ ხალხთ სიმღერაში
ლაზნელთ ხსენებას და იქება მათ საქმე ყველა...
გასწყდნენ ეს გმირნი! მაგრამ მტერნი მათ არ დასჯერდნენ:
გასაჟლეტავათ ახლა იმათს ცოლ-შვილს ეძგერნენ;
მაგრამ ცოლებსაც ქმართ გმირობა გულს ჩარჩენოდათ
და მათ გაჟლეტა მტრებს იაფათ არ უჯდებოდათ.
იარაღითა და თოფებით დახვდნენ თვის მტრებსა:
ჩასდგნენ კარებში და მომსვლელთა სჭრიდნენ თავებსა;
თან ხმალს იქნევდნენ და თან სტყნდნენ დაცლილ თოფებსა
და არც ერთ ტყვიას არ აცდენდენ მოსისხლეებსა.
იბრძოდნენ ასრე მედგრულათა გმირი ქალები,
ვიდრემდის იმათ თავს არ დასცეს სახლის კარები.
მაშინ ესენი მტერთ დაავლეს ქმარ-შვილთ ზედ თავზედ,
და გამარჯვებულთ ჰქნეს ხალილი შეწუსვრილს გვამზედ.
მასუკან დასჭრეს ერთიანათ ლაზნელთ თავები,
სარის წვერებზედ გამარჯვების ნიშნად ააგეს.
რა რომ აიკლეს და გადასწვეს სარჩო, სახლები,
დაბრუნებულთა ეს თავები წინ გაიმძღვარეს.

XVI

ნაწყვეტ ღრუბლებში სრულმა მთვარემ ამოჰყო თავი
და გადაჰფინა არე-მარეს ნაზი სხივები;
ტყისა წვერებსა ალაგ-ალაგ სცემდა ნიავი;
ნაზი წყლივით ირხეოდნენ ალვის ხეები.

ხეობის სიო ნელიერად მოსისინებდა
და ტკბილსა გრილოს საამურსა ნელა მოჰბერდა;
ტალღათ ხუილი მდინარე წყლის ტკბილად ისმოდა,
წმინდა მდინარე მთვარის შუქზედ სხივებს ისროდა.
ხეობის ძირში ფერდობზედა წყლისა პირსა,
გარშემო ტყეს და ვენახებში სულ მთლად შთანთქმული,
ციხე-გალავნით ედგა სახლი გივი დაზნელსა,
სახლი ძველადვე გებული და ძველად ქებული.
მარტო იულიტე თვის შვილებით დარჩა ამ სახლში,
და ხვალ აპირებს ისიც წასვლას სპარსთა ბანაკში.
მას სააკაძის ნახვა მეტად ეშურებოდა,
რომ ამით მალე თვის განზრახვა შესრულებოდა...
თან-და-თან სოფლად ხალხთ ფეხის ხმა სრულად მიწყნარდა,
მხოლოდ აქა-იქ ხმაურობა ოდნავ ისმოდა
გასახიზნავათ სოფლის ხალხის სამზადისისა.
დაქანცული და მოწყვეტილი ხალხი ღრმა ძილსა
მიეცა ოდნავ, რომ ხვალ ადრე რაჟრაჟ დილასა
გაესწრო, ვისაც კი შეეძლო, სახიზნ ბინასა,
ან თვის ცოლ-შვილით შეჰფაროდა ტყესა და მთასა;
აღელვილები აჩქარებდნენ მოსვენებასა.
თითქო ძაღლებიც კი გრძნობდნენ, რომ ამ ქვეყნის ხალხსა,
რაღაც ამბავი საზარელი თავს დასდგომოდა,
და ხამუშ-ხამუშ თითქო ჰხედვენ მგლისა სროვასა,
მათი ყმუილი და წკავ-წკავი შორს გაისმოდა.
გივის სახლშიაც ყველას სძინავს, აქვს ტკბილი ძილი,
მხოლოდ არ სძინავს აღელვებულს მშფოთარს თამარსა:
იმას დვალიძის სიტყვები და მის შეძახილი
ისევ ყურს უდგა და უმღვრევდა გულსა და გვამსა.

—ღმერთო მაღალო! —იძახოდა გულ-მოკლულათ, —
რატომ არა ვარ მეც ვაჟკაცი, რათა ვარ ქალი! —
მაშინ ხმლით ხელში შევაკვდავდი თავს მტერს მტრულათ
და გმირ ბეროსთან მექნებოდა მეც ხელში ხმალი.
—რატომ ქალებს კი საომრად არ გვეძახიან!
სხვაზედ ნაკლებათ მეც ნიშანში თოფს არ ვესროდი, —
ვაჟკაცზედ მეტათ ბევრსა ქალსა გულნი გვესჯვიან, —
და თავის დღეში მტრის მახვილს არ გავექცეოდი! —
იყო ამ ფიქრში ნორჩი თამარ და ნორჩის თვალებზედ
მდუღარე ცრემლი კუკურივით გადმოსდიოდა.
ბეროს სიტყვების გამგონესა მას თავადებზედ
ბრაზი გულისა ყელამდისინ ამოსდიოდა.
გადის ღამე და თამარს გული უფრო უდუღავს:
მას არ ასვენებს ზარდასხმული ხალხის ცრემლები.
უპატრონობა ამ ხალხისა იმას გულს უკლავს
და არ შორდება გონებიდგან ბეროს სიტყვები.
—ღმერთო! —შეხძახა იმან კიდევ: —რათა ვარ ქალი,
რომ მტრის საკვდავად აღმემართა მეც ხელთა ხმალი! —
და აქ ჩაფიქრდა და მუჭებში შიგ ჩაჭყო თავი.
—არა, ამ ხანად ის სჯობიან, რომა ვარ ქალი!
—მე, ქალი, გავალ ხელში ხმლითა, პირში საყვირით
და დაუძახებ დავრდომილს ხალხს მაგარის სიტყვით,
რომ საომრად აღიჭურვოს, მტერსა მიუხტეს,
ან მოჰკლას მტერი და ან იმას თვითონ შეაკვდეს!
—ნუ თუ არც მაშინ, როს მნახავენ უსუსურს ქალსა,
მტრისა მახვილზედ შესაკლავად გამზადებულსა,
როს იხილავენ ნორჩსა ქალში ვაჟკაცის გულსა,
არ შეირცხვენენ, არ აღმართვენ მტერზედ მახვილსა?! —

და გადასწყვიტა აქ თამარმა, რომ ადრე დილით
ის შეუდგება ამ საქმესა ხმლით და საყვირით;
გავა სოფლიდგან სოფლებშია, ხალხსა შესძახებს,
მივა დიდ-კაცთა კართა წინა და საყვირს დასცემს:
აქ შესარცხვენსა, საყვედურის მათ ეტყვის სიტყვებს;
მოვა ტაძართ წინ და შესძახებს ბერებსა და მღვდლებს;
მივა მღვდელმთავართ სამყოფებთან, მათაც დაარცხვენს;
მივა გლეხების ბანებზედა და უქადაგებს, —
მთლად ერთიანად აიმაღლოს ხალხი ქართველი,
რომ მით შესძრიკოს ნაქეზები აქამდის მტერი;
და თვითონ თამარ ყველაზე წინ მტერს ეკვეთება
და ხელში დროშით ქართველთ ჯარებს წინ გაუძღვება;
თვითონ პირველი გადერევა მტრისა რაზმებსა,
თვისა სიმხნევით გაამხნევებს მთელს ქართველებსა;
ერთი რაზმიდგან ეს გადავა მეორე რაზმსა
და გაამხნევებს შეშინებულს და შემდრკალს ხალხსა.
ჰფიქრობს ამ გვარათ ნორჩი თამარ, და მისი გული
გამოუთქმელად იყო ამ დროს აღელვებული...
მას აგერ უდგა თვალთა წინა ხალხი ქართველი
სულ მთლად აშლილი და მტერზედა გამხედრებული.
მას თვალ-წინ უდგა მაჭის ჯარი მთლად აღმოფხვრილი,
და საქართველო მტრისაგან თავისუფალი;
ედგა თვალთა წინ, ვით ქართველნი ხელ-განპყრობილნი,
ღმერთს მადლს-სწირავენ, რომ მტრისაგან იყვნენ დახსნილნი.
და აქ თამარი ყურს დაუგდებს თავის სახლობას, —
ესმის რომ ყველას სახლობაში ტკბილათ სძინავს.
მაშინ, სახნის ქვეშ, მოგ პერანგა, თმა გაწეწილი
ადგება ნელა გულის თრთოლვით, ფეხ-აკრეფილი,

მივა და ხატ-წინ დაიჩოქებს ხელებს განუპყრობს;
მხურვალე გულით, ცხარე ცრემლით შევედრის ღმერთსა,
სტირის უმანკო ცრემლებითა და მოთქმას იწყობს,
სტირის და მოსთქვამს იმ ჯვარს საგრძნობის მწარე სიტყვებსა,
რომელიც ვერ შეიხსნეს ლოცვებსაც წმიდა მამათა;
ამბობს გულ საკლავთ, შეურწუნებელთ, რჩეულთ სიტყვათა,
სიტყვათ, რომელიც გინდა ქვას და კლდესაც სმენოდნენ,
თვითონ ქვასაც და თვითონ კლდესაც კი მოალბობდნენ...
დიდს ხანს სდგას ასრე ხატების წინ მოთქმით თამარი,
დიდ ხანს ევედრის დაჩოქილი ცრემლით მტირალი;
დიდს ხანს შესტირის ღმერთს, რომ იმან მოჰხედოს ხალხსა
და ნუ გასწირავს თვის ერთგულსა და თვის მმოსავსა.
ევედრის ღმერთსა, რომ მხნეობა მას გულს მისცეს,
რომ სხვასავითა იგი მძლავრი მტრის წინ არ შედრკეს;
ევედრის ღმერთსა გაუმარჯოს იმის საქმესა
და გაუმარჯოს თავის მტერზედ ხალხსა ქართველსა...
მოსწყდა თამარი ბევრი ლოცვით, და, მოქანცული,
ის გადაუშვა ღია ფანჯარას და ღია გული
მან მიუშვირა ღამის სიოს, აღელვებული,
და მას მოჰბერა მთის ნიავმა ტყის ყვავილთ სუნი.
თამარ შტერივით დიდს ხანს იყო გარინდებული.
გარს სიჩუმეა, მხოლოდ ისმის წყლისა ჩხრიალი;
მოჩანს მთის წვერო, მთვარისაგან განათებული
და სოფლით ისმის გულ-სახეთქი ძაღლთა ყმუილი.
ჰზის ასე თამარ ტკბილი ღამით იმშვიდებს გულსა,
გულსა დაღალულს, გულსა ღელვილს და წამებულსა,
და უცებ იმან თვალი მოჰკრა: ხეობაშია
რაღაც ჯოგივით შემოვიდა გაღმით წყალშია.

შეჰკრთა თამარი და თვალებზედ ხელი მოისვა,
კვალად შეჰხედა იმ მხარესა და ჰხედავს ისა,
რომ ტყის პირიდგან ცხენოსანი ხალხი ჩამოდის,
მოდის წყალთანა და წყალშია ბრითხილად გამოდის.
„დვალნიმე თუა—ა“! გაიფიქრა თამარმა გულსა.
„უთუოდ ბერო კიდევ სადმე ჯარებს შეჰყრიდა
და მიაშველებს სხვა ჯარებსა, ომად გასულსა!“
იყო ამ ფიქრში თამარი და ჯარს უცქეროდა.
უყურებს თამარ—ჰხედავს ჯარი ერტყმევა გარსა
ყოველი მხრიდგან მათს ციხესა და გალავანსა.
უცებ ყიჟინით საშინელათ დაიგრიალეს,
გალავანს ასვლა, და ციხეებს ნგრევა დაუწყეს.
—ვაი! თათრის ჯარი!—აქ თამარმა მწარედ შეჰკივლა.
ამ კივილსა და თოფის ხმაზედ ფეხს დადგა ყველა.
მტერმა თოფები დაუშინა კარს და ფანჯარსა.
ტყვია, ვით სეტყვა შედიოდა საწოლს ოთახსა.
სამმა ტყვიამა ერთს მოახლეს განვლო გულშია,
ერთმა ტყვიამა გაუარა თამარს პერანგსა;
ერთს გამზრდელსაცა გაუარა ტყვიამ მკლავშია,
და სუყველასა შიშის ზარი დაეცა თავსა.
ზარდაცემულთა არ იცოდნენ ვის რაღა ექნა.
აგერ მოაწვა ჯარი კარსა, მან იწყო ზნექა.
გარედგან ტყვია და ყიჟინა ყურს აბრუებდა,
და ჯარი ბანზედ დასანგრევათ ამოდიოდა.
შიშისაგანა გამქრალნი და დაკარგულები,
იდგნენ ქალები ერთ კუთხეში მიყუჟულები,
სიმწარისაგან იმტვრევდნენ ხელთ, იგლეჯდნენ თმათა
და მოელოდნენ დასაცემათ თათრების ჯართა.

უცებ საშინლათ იგრიალა კარების ბჭემა
და სწოლისა კარი მაგნით გრგვინვით დაეცა.
—ჩქარა სანთელი! — დაიძახა სამმა მრისხანემა
და ხმა ეს იყო ქართველისა და ნაცნობიცა...

ყველა ქალები იდგნენ სულ მთლად შკრანგაები,
რათგან ტანთ ჩაცმა ვერ მოისწრეს ზარდაცემულთა.
რა ესმა თამარს, რომ აენთოთ უნდათ სანთლები,
სირცხვილმა სძლია და ის ეცა შორის კუნჭულთა.

აკვრა კუნჭულს, ბუხრის კუთხეს ეფუფქებოდა
და სანთლის შუქზედ თათართ ნახვას ელოდებოდა.
როდეს აენთნენ იმის წინა ჭრაქი, სანთელი,
მაშინ თამარმა დაინახა ხალხი... ქართველი!

თათრების წილად ქართველები მათ დასცემოდნენ
და კბილთა ღრჭენით სასიკვდილოთ ეტანებოდნენ.
ხმალი გაწვდენილი, თვალი ანთებით, ვითა აფთარი.
ჯარს უბრძანებდა ანდუყაფარ ამილახვარი!

მას მხარში უდგა ერისთავი, დიდი იასე,
კაცი ლომგული და სისხლით და ბოროტით სავსე.
ამ ორთავ თავადთ შებრალება გულს არ ესასათ,
სისხლის დაღვრა და კაცთა ცრემლი ლხინათ ესახათ.

ივლიტემ იცნა ერისთავი და ანდუყაფარ, —
შორს დაიჩოქა და შესტირა, გაუშვირა ხელი:
— ძმავ ანდუყაფარ, ძმავ იასე! იცით რომ თვით ვარ
გივი ლაშნელის მოქიშპე და მის სისხლის მსმელი!

— თუ გივიმ გცოდათ, მე დასაჯით თქვენ გიყურებდით!
რა სახელს შეგძენთ უძლურთ ქალთა დაღვრა სისხლისა!
თქვენი ღვთისათვის ნუ დაგვხოცავთ, შეგვიბრალევით
და ჩვენი სისხლი დაავალეთ თქვენს მეუფესა! —

სთქვა ეს ივლიტემ და თვის ვაჟი მოეპრჭო ყელსა...
შებრალების წილ ანდუყაფარ გულის სიღრმესა
ერთი რუხრუხით საშინელით შემოჰღრიალა,
რომ სახლმა, თითქო დასანგრევათ, დაიზრიალა:
—ვინ შევიბრალო!?... ხმალი მაგათ, ლაზნელთ გასავისს!...
ხმალი მაგათ!... მუსრი ყველა ლაზნელთ გვარს და ჯიშს!! —
აქ თვალთ ბრიალით ანდუყაფარ წაიძრო ხმალი
და ზედ მივარდა ივლიტესა, ვითა აფთარი.
ივლიტე მწარედ გადეფარა თავის ვაჟ-შვილსა
და იმის ნაცვლად მიუშვირა თავი მახვილსა.
ანდუყაფარ სწვდა გრძელთ ნაწნავთა და დასცა ხმალი
და ხელში შერჩა მშვენიერი ივლიტეს თავი!
სხვა მსახურებმა ხელი სტაცეს ივლიტეს ვაჟსა.
მის გული იყო გამშრალი და მთლად გაყინული.
მაშინ კი ველარ მოუთმინა გულმა თამარსა —
ბუხრის კუთხიდგან გამოქანდა, გამშავებული.
— ჯერ მე მომკალით! — მან შეჰყვირა საზარელათა.
და ის ბერანგა, თმებ გაშლილი, მთლათ ანთებული,
თითქო ითხოვდა სისხლის მსმელთა საბრძოლველათა...
ამ სანახავზედ გახდა ყველა გაოცებული.
შეკრთნენ მსახურნი, პატარა ხანს დაუშვეს ხმლები,
გაოცებულთა დააკვირეს თამარს თვალები.
მაგრამ იასუმ ხელი სტაცა თამარის ძმასა—
და ფანჯარიდგან გადაუგდო ძირს მდგომსა ხალხსა.
— თავი მოსჭერით მაგასაცა! — ვით ჭექის ხმამა
დაიგრიალა ანდუყაფარ ამილახვარმა.
ხმალებ გაწვდილი მსახურთ გროვა თამარს ეძგერა...
და სიცოცხლეცა თამარისა ჰქრება აგერა...

ამ სანახავსა უყურებდა უცნაურათა
ყრმა ვინმე ნორჩი, ნაკვთიანი, ჯერ უწვერული.
ის აქამდისინ კარებთანა იდგა ჩუმათა
და უცნაურათ უღელავდა ყმაწვილი გული.
თამარ კუთხეში მან შენიშნა სანთლის შუქზედა:
გიშრის ნაწნავნი გადაჰყურობდნენ მხარს და ბეჭზედა;
ღელვისაგანა წითლად სახე მთლათ ანთებოდა;
შავთა თვალთაგან უცნაურსა ცეცხლს იფრქვევოდა.
ის, ჯერ შემკრთალი, ბუხრის კუთხეს ეყუდებოდა,
ბროლის მკერდზედა მორცხვათ ბროლის ხელს იჯარებდა.
მაგრამ რა ჰნახა: მტერნი იმათ აღარ ჰზოგავდნენ,
მოუკლეს დედა და საყვარელს ძმასაც უკლავდნენ;
მან უნებურათ დაანება თავი ბინასა
და გადეფარა ვეფხვისავით პაწია ძმასა.
მოვის ბერანგი სპეტაკს ტანზედ დაჰფრიალებდა;
წითლათ ანთებულს მის სახესა წითლად დასცემდა...
ის გადეფარა გულ-გახეთქილს თვის ნორჩსა ძმასა,
და თვით უმზერდა მის სანაცვლოდ თვის კისერს ხმალსა...
ძმა გადისროლეს და აგერა მასც ხელი სტაცეს,
აგერ მის თავაც ხელს შერჩება ვისმე სისხლის მსმელს;
აგერ სანჯლები შეიმართნენ და გაიელვეს,
სამღრთო ცხვარივით აგერ თამარს თავი წაუღეს...
თამარ უსიტყვოთ გალესილსა მახვილებს ელის
და მის ყრმა გული სიცოცხლესა უკვე ესალმის...
რომ უცებ მრისხნად შემოისმა მაღლა ძახილი:
—ჰკარამზადებო! ძირს დაუშვით თქვენი მახვილი!—
და აქ სუყველას, შემკრთალსა და შეშინებულსა,
უნებურათა მახვილები დასცვივდათ ძირსა...

## XVII

შეჰკრთნენ ამაზედ ანდუყაფარ და თვით იასე.
მაგრამ ამ ყრმისა მათ ემართათ შიში და რიდი:
მათი ჯარები მის ვაჟკაცთა ყმით იყო სავსე,
მისადევარიც ჰყვანდა იმას მძლავრი და დიდი.
ჯერ ხანობითა გადასწყვიტეს ქალის ტყვეობა,
მანამ ამ ყრმასა რამე ღონით დაამშვიდებდნენ,
ჰფიქრობდნენ ჯერეთ გაეწიათ ყრმის ფერაობა,
მინამ თამარსაც ლაზნელთ დღეს არ დააყენებდნენ.
ეს განიზრახეს და ანებეს თავი თამარსა,
და ის პატიმრად თვის ერთგულთა ყმათ ჩააბარეს,
მაგრამ ნოდარი ყრმა ყურს უგდებდა თამარს, ვით დასა,
მინამ პატიმრად ყამყრის მთას ის არ გაჰგზავნეს.
გასწყვიტეს გვარი ლაზნელისა, და ანდუყაფარ
მძლავს ისრუტა მათ სისხლითა თვის კრული გული,
მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და ჰყო იავარ
მთლათ მათი სარჩო, სამყოფი და ყმა და მამული.
მან თვას ჯარებსა უბრძანა რომ ლაზნელთ სამყოფი
და მათი საყმო მირიასათ სულ ძირს დაემხოთ,
მთლათ მათი განძი, მათი სარჩო, ვითა ალაფი,
თვის ვაჟ-კაცურად დაღვრილს სისხლში, ჯილდოთ აეღოთ.
მაშინ ჯარები მიესივნენ ლაზნელთა სარჩოს:
ორმოებს სცლიდნენ და ქვევრებსა ქვებით ჰლეწავდნენ.
მიაგნეს იმათ ივლიტესა ძვირფას სალაროს:
მის გაყოფაზედ ერთმანეთსა თავ-პირს ანტვრევდნენ.

მთელი სახლობა და ოჯახი ისე გასიწნეს,
რომ მთელს ოჯახში კრუხის ბუდეც აღარ გაუშვეს, —
რაცა რომ ცხენსა ვერ აჰკიდეს, ხელთ ვერ აიღეს,
ყველა უწყალოდ დალეწეს და მიწად აგდიეს.
მერმე ალაფად დაემქერნენ ახლა საყმოსა.
ღვინისგან მთვრალი ჯარი მხეცსა ემსგავსებოდა:
ის არ ინდობდა არცა ხალხსა, არც მის სარჩოსა,
ყველას ერთგვარად ჰმუსრავდა და ცეცხლს უკიდებდა.
ბარებით სიმინდს, ორმოდგან პურს ალაფად ჰყრიდნენ,
სამარხოსა და სალხინოსა ცხენებს ჰკიდებდნენ;
გასახიზნავად დადებულსა, მზად შეკრულს ბარგსა
ურმებიდგანა უგლეჯავდნენ საცოდავს ხალხსა.
მზათ ურემშია შებმულებსა კამეჩს და ხარსა,
რომლითაც ხალხი აპირებდა ტყეს გახიზნვასა,
სულ ხანჯლებითა უწყვეტავდნენ აპეურებსა,
ან მთლიანათა იტაცებდნენ შებმულს ურმებსა.
და ვაი იმას, ვინც რომ ძალას იჩვენებოდა!
მათ შეუწყალად ჰულეტავდნენ და სჭრიდნენ თავებსა:
მთელი სოფელი სარჩოსაგან მთლად იცლებოდა
და არ არჩენდნენ თვით ბავშვების სადილის კვერსა.
მორჩნენ ალაფსა; ახლა მისცეს ცეცხლი სოფელსა.
ხალხთ ყრიამული ადიოდა მაღლა ზეცასა.
ალი ცეცხლისა კარიდგან კარს გადადიოდა,
ვითა მედგარი შენობათა მოედებოდა.
სარჩო მიხდილი, გულ-დამწვარი, გაშმაგებული,
მრავალი ხალხი ცეცხლის ალში თვით ვარდებოდა,
ცეცხლს თავს აძლევდა, მთლად სიცოცხლეზე მოძაგებული
და თვის სარჩოსთან იგიც ცეცხლის ალში იწოდა.

გადიწვა ყველა მთელს სოფელში. მუნ მცხოვრებლები,
უბინაოთა და უპუროთ დარჩენილები,
უსასუროთ, უკერაოთ, ტიტველ-შიშვლები,
საზრდოს საშოვნად ტყეს გარბოდნენ, გაწირულები!
გამარჯვებული და სისხლისგან ატაცებული,
ჯარი დაეცა ახლა ლაზნელთ სამყოფ-სადგომსა.
რასაც კი ცეცხლი უდგებოდა მოუდეს ცეცხლი
და რასაც არა, მას უწყებდნენ რკინით ნგრევასა.
ჯარი თან ანგრევს, თან იძახის გარსალალოსა,—
თან გარეშემო ცეცხლის ალი ძლიერდებოდა,—
სცემდნენ რკინასა და ანგრევდნენ მთლათ მიდამოსა,
ერთი კედელი მეორეზედ ზედ ინგრეოდა.
ანგრიეს, მინამ სულ არ დასცეს კედლები ძირსა,
მინამდის მთლათ არ გაუსწორეს მთლათ მიწის პირსა.
მაშინ მათ გვალად, გამარჯვებულთ, ლხინი გამართეს
და ლაზნელების სულ შვიდი წლის ღვინოები სვეს.
გასწიეს ლხინი, და ალაოგით დატვირთულები,
გაუდგნენ გზასა, ღვინისა და სისხლით მთვრალები.
გაუდგნენ გზასა და გამართეს გზისა ფერხული,
და სულ ყიჟინით მიდიოდნენ, გამარჯვებული.
ბაირაღებათ გაიძღოლეს ლაზნელთ თავები,
სულ რკინის სარზედ კისრებითა აგებულები:
ხელში ქნევითა და თამაშით მოაქანცებდნენ
და თან ცანგალას ხმაზედ თავებს ათამაშებდნენ.
მოაქვთ თავები დროშის წილად, და აქ თამარმა
მოჭრილ თავებს ჩააკვირვა შტერებრ თვალები.
ის სანახავი ჭკნახოს ყველა მართლის მძალავმა,
რაც რომ თამარსა წარმოუდგა სანახავები.

ამათში იცნა ყველა თვისი საყვარელები:
იცნა თვის ბიძა, ღრმა მოხუცი და მისი ცოლი,
იცნა ძმაზედა საყვარელი ბიძაშვილები,
რძლები, ვინ მასთან იყვნენ ვით დაჲ და ვითა ტოლი;
მათი პაწია მოტკრციალე წვრილი ბავშვები,
ვინ ერთი დღის წინ მარდად ჰხტოდნენ და თამაშობდნენ,
იცნა თვის დედა, თავისი ძმა, ძიძა, გამდლები,
ვინ მასა ზრდიდნენ და სათუთათ ანებივრებდნენ, —
იცნა!... და თამარს ცხლად დაესხა თავს ჟრიანტელი.
მას უცნაურად გადეფარა ბინდი თვალებზედ...
ის ცხენიდგან გადმოეშო მოდუნებული.
და აქაც მხსნელმა ის მიიღო თავის მკლავებზედ.

## XVIII

ქართველთ ვაჟ-კაცთა დამახილი სოფლად გავარდა,
ბუკთ და საყვირთ და ხმა ისმოდა სოფლიდ სოფლადა.
ბერთ დვალიძის დამახილზედ ხალხი ჰღელავდა:
ან გამარჯვებას და ან სიკვდილს გაიძახოდა.
სოფლიდგან სოფლად დვალიძე და მისებრ გმირები,
მასთან ფიცითა შეკრულნი და გამოცდილები,
ცოლ-შვილთ სალხენლად, საომარად ხალხს აღელვებდნენ,
მედგარი სიტყვით შეწუხებულს მას ამხნევებდნენ.
აღელვდა ხალხი! — მის ღელვა არს ზღვის ღელვარება!
იგი ზღვასავით აღელვდება განმძლავრებული!
ამ დროს იმის წინ ილეწება და ყველა დრკება
და ღელვასავით იგი არის განრისხებული.

აღელდა ხალხი! და ხალხისა გმირნიც გამოჩნდნენ:
დვალიძესა და მის ამხანაგთ სიტყვით თუ საქმით,
თუ არ გაასწრეს არაფერში აღარ ჩამორჩნენ,
და ხმალ-გაწვდილნი მოდიოდნენ სულ მზა-მზა ჯარით.
აღელდა ხალხი! და ყოველი სოფლის კუთხიდგან
ამ ვაჟკაცთ გარე შეგროვებას ეშურებოდა:
შეუწყვეტელად მოდიოდა ყოველი მხრიდგან
და ყველასა მტერთან შებრძოლება ეშურებოდა.
აღელდა ხალხი! აწაწაც ომს გაიძახიდა,
დედა-კაცები ვაჟ-კაცებსა გაამხნევებდნენ,
მტერთან საომრად ქმარსა და შვილს ყველა გზავნიდა,
და თოფ-იარაღს თავის ხელით მათ უფერავდნენ.
დვალიძემა და მის ამხანაგთ მსწრაფლ გადასწყვიტეს —
მთის ხალხებსა და გარე ქვეყნებს კაცი გაგზავნეს, —
რომ გაემხნევათ მათ იქ ხალხი და აეშალათ
და სწრაფად ჯარი საომრად იქ შეეყარათ.
გამხნევებულნი ყოველ მხრიდგან გმირნი გამოჩნდნენ,
ვით სარდალნი, გამოცდილნი, ცოდვნას იჩენდნენ;
ყველგან გამოჩნდა მეთაოსნი, მცოდნე საქმისა,
ყველგან ისმოდა ძახილი მთელი ხალხისა.
ამ ვაჟ-კაცთ სიტყვას მეომარი ყველა ჰმონებდა,
ყველა ბრძანებას მორჩილებით გაუგონებდა.
შური და მტრობა, წყენა ყველა განქარდა ამ დროს
და ხელს აწვდიდნენ ერთმანეთსა ვით ძმასა და სწორს.
ნეტარი არის იგი კაცი, რომელიც ამ დროს
ხალხის ღელვისა და ხალხისა თავ-გამოდების
ხალხში მოჰყვება და ხალხთანა იღვწის და მხნეობს,
ხალხის ღელვითა გული უცემს და მტერსა ებრძვის!

ნეტარი არის! მაშინ მკვდარი გულიც ცოცხლდება;
მაშინ მხდალის გულიც მოძრაობს და ჰღელავს, მხნევდება...
ნეტარი არის, ვინც რომ მაშინ ხალხთან მოკვდება,
ვინც ხალხის ღელვის გამტაცებელსა ტალღას მოჰყვება!
მაშინ თვით ხალხი ჰსცოცხლობს და ჰგრძნობს თავმა ძალასა;
ჰგრძნობს რომ არ ვარგა, დარჩეს კაცა სხვის ამარასა!
მაშინ ისა ჰგრძნობს, რომ სიკვდილა ისა უ[illegible]ილა,
რომ იმის გარე ყველა ცრუა და მოჩვენილა...
დიახ! აღელვდა ხალხთა გრძნება მტრის საბრძოლველად!
ხალხთა ბელადნი, თაოსნები აწყობდნენ დასებს;
ზოგსა ჰგზავნიდნენ სურსათის და საგზლის საკრებლად
და ზოგ ადგილებს სიმაგრისთვის ჰგზავნიდნენ კაცებს...
მაგრამ შაჰსაც არ ეძინა! ის ისწრაფოდა
დაუჭერელი ადგილები ჩაეგდო ხელსა,
რომ იქ ქართველებს არ დაეწყოთ იმისი მტრობა
და ვისმე სიტყვით არ დაეწყოთ აშლა გლეხებსა.
ზღვის ტალღასავით, — როდესაც ზღვა გაარღვევს კიდეს, —
აბაზის ჯარი საქართველოს ყოველსა კუთხეს
შეუყენებლად მოდიოდა და აწვებოდა
და ყველა იმის ზღვა მუცელში იღუპებოდა.
ქართველთ თავადნი, დიდ კაცები, სახელ-განთქმულნი,
აბაზას ჯართა, ვით იუდა, წინ მოუძღოდნენ,
ეგინი, თითქო ქართველებზედ იყვნენ შეთქმულნი;
აბაზთან ერთად შეუწყალებლად ქართველთ ჰჟლეტავდნენ.
მილეთის ხალხი ქვევითი და დატვირთულები,
მთლათ ედებოდა საქართველოს ყოველს არესა;
ფეხ-შიშველანი და მთლათ კანჭებ ჩასვეწილები,
ეშურებოდნენ გასახიზნად მთასა და ტყესა.

უსუსურთ ბავშთა გულში მაგრა ჩაბრჭობილები,
სახე და კანჭებ ეკლისაგან დაკაწრულები,
ქვისა და კლდისგან სულ მთლად ფეხებ დახეთქილები
სიმწარისაგან ძუძუ და მკერდ დაგაზულები,
სიმშილისა და ბევრი გზისგან მოწყვეტილები,
სიცივისაგან და ავდრისაგან დაყინულები,
ძუძუთა ბავშვთა ცრემლებისგან გულ მოკლულები,
ძუძუ გამშრალნი, თვალში სიკვდილ დასატუქები,—
ველარ იტანდნენ დედა-კაცნი საძნელო გზასა—
გარე ჭაერი მთლად მოეცა მათსა მოთქმასა:—
გულის ქაქანით მოქანცულნი გზა-გზა ცვივოდნენ
და მაღალს ღმერთსა თავის სიკვდილს ევედრებოდნენ.
გვერდზედ სისწრაფით მიდიოდნენ სხვა დაქანცულნი,
შესცქეროდნენ ამათ, სტიროდნენ და ვერა ჰშველოდნენ.
«მოვიდა მტერი!» შეუძახებდნენ გაჩქარებულნი,
და სისწრაფითა ტყისა გზასა ეშურებოდნენ...
ვით ყვავ-ყორანნი აიშლება ლეშისა სუნზედ:—
აოხრებულს და უპატრონო ქართველისა ხალხზედ
მთლად აიშალა ჭარი, ლეკი და ბელაქანი,
ანწუხი, დიდო, ქისტი ოსი და წუნკალანი:
გაგცეულსა და გამბთხვალს ხალხსა თავს ეცემოდნენ,
უკანასკნელსა საჩრო-სამყოფს ხელში სტაცებდნენ;
ზოგსა იჭერდნენ, აწამებდნენ, იქვე ჰხოცავდნენ,
და ვისაც თავის ღსნა შეეძლო—ტყვეთ იტაცებდნენ...
მთლად გარეშემო იდგა გლოვა და ცოდვის ლული,
მთლად ქართლ-კახეთი იყო გმინვით გარე მოცული.
სისხლისა ღვარი ნაკადულებრ ყველგან დიოდა
და ცეცხლის ალი ცათამდისაც კი ადიოდა.

ამ განწირულს დროს, დროს საზარელს მოსაგონებლათ,
ქართველთ ვაჟ-კაცთა გული ჰღელვდა სისხლთა საღვრელათ:
კბილთა ღრჭენით და ხელთა ნტვრევით დროს მოელოდნენ,
და სიმწარისგან ცხარე ცრემლებს ძლივს იმაგრებდნენ.
და აქ გაისმა დაძახილი, იელვა ხმალმა!
და ამ ვაჟ-კაცთა უწყო ღელვა გულმა მრისხანმა:
ამ დაძახილმა სუყველანი ფეხს დააყენა,
თავგანწირვითა ხალხმა იწყო საომრად დენა!

## XIX

სამთავისს იქით, რომელს ჰქვიან საბაყოს პირი,
ბერო დვალიძე და იმასთან თორმეტი გმირი,
ხალხისაგანა მოთავეთა ამორჩეული
ქართველთ ჯარებით, იყო ტყის პირს გამაგრებული.
იმათ ჰქონდათ შეტაკება წინ წამოსულსა
მოწინავე და ალღო ამლებ სპარსელებთანა.
სიხარულითა ქართველობას უცემდათ გულსა:
ძლივას ელირსათ შეტაკება მტრის ჯარებთანა.
ვითა დაჭრილი ვეფხვი—მტერსა გადაერივნენ,
უთოფურათვე მაშინათვე იკრეს ხმალს ხელი.
შაჰის ჯარები თხის ჯოგივით მათ წინ გარბოდნენ
და გულ-ხეთქებით გაირბინეს ოკამის ველი...
მოწმენდილია და კაშკაშებს ცა მშვენიერად,
სუსხი გაუშვა მყინვარის მთამ, მოსილმა თოვლით;
ცრიაგთ ვარსკვლავთა კაშკაშება ცაზედ გაჰქონდათ
და მთის წვერებს და გაშლილ ველებს მთვარე დაჰნათოდით.

ეგზნათ ცეცხლები ალაგ-ალაგ ქართველ ჯარებსა,
ჯგუფ-ჯგუფათ უსხდნენ აღგზნებულსა ცეცხლის ალებსა,
მხიარულათა უმარჯვებდნენ ცეცხლს ნაყოდლებსა
და ნებიერად ცეცხლზედ სწვავდნენ მცვრიანს მწვადებსა.
ზოგნი, ომს მყოფნი, მოღალულნი და მოქანცულნი,
იყვნენ მხარ-თეძოს მწვანე მდელოს წამოწოლილნი;—
ზოგს თავი ედო საგზლით სავსე მაგარს გუდაზედ.
და ზოგი თვალსა ატყუებდა ცარიელს მკლავზედ,
და სიბრთხილითა მიაძლევდნენ თვალს ოდნავ ძილსა,
რომ პირველ ჯარის დაძახილზედ მზათ ყოფილიყვნენ;
ხელთ მზათ ეჭირათ, არ უშვებდნენ თოფსა და შვილდსა,
ერთგულს ხანჯალსა და ერთგულს ხმალს წელს არ იღსნიდნენ.
ალაგ-ალაგაც ისხდნენ ერთათ ტოლი ბიჭები
და თვის ბიჭობას ერთმანეთსა გულით შეჰკვეხდნენ,
მოიქადოდნენ, ვით იფრინეს იმათ თათრები
და გულ-ხეთქებით იმათ წინა ვითა გარბოდნენ.
ლაზღანდარობდნენ, ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ:
მტრის შეშინება იმათ გულში აღძრავდა ლხინსა;
ერმა ოხუნჯები შეშინებულთ თათართ აღწერდნენ
და სასაცილოდ წარუდგენდნენ მათს მწარე შიშსა.
აგერ მომზადდა მათ ვახშამიც, რაც მოეცა ღმერთს,
დასხდნენ ცეცხლა-პირს და მძინარნიც ზეზე წარმოდგნენ.
მხიარულათა გარს მოუსხდნენ თვის მცირე ტრაპეზს
და გულიანათ, ქართველურათ სიმღერას მოჰყვნენ.
მათ, გამარჯვებულთ, გამარჯვება სულ თვალ-წინ უდგათ;
გამარჯვებულნი სრული გულით მხიარულობდნენ;
თვის გამარჯვებას იმღერიდნენ მდევ და გმირულად,
ამაყი ხმითა მხნე სიმღერას გაიძახოდნენ.

აგერ მხიარულთ, ნავახშმევთა, შეჰკრეს ფერხული, —
გარე ბუბუნა ფერხულისა გრგვინვით ისმოდა;
იმათი მხნე ხმა კაჟ-კაცური და მხიარული
გრიალით ყრუ მთას და ყრუ ტყესა მოედებოდა.

ზაზა ციციშვილს გვერდს ახლდა
სამასი ბიჭი რჩეული,
სვიმონ მეფესთან ომებში
გაწვრთნილი, გმირად ბცეული.
თითო გულის წილ ორ-ორი
იმათ უცემდათ გულები,
მკლავები ებათ ყველასა
ფოლადი განაწრთულები.
შესძახა იმათ ზაზამა:
„ჩემთან გიწვრთიათ ხმლები:
შეჰხვდეთ თათართ ურდოსა, —
ვერ გადასწვდება თვალები:
გვეყოფა სამუშაოთა
მათი ხორცი და ძვალები!
უნდა გავაპოთ იმათი
დაუთვალავი ჯარები,
დავეცნეთ ფაშებს მეხივით,
დავაყრევინოთ თავები!“
იელვა კაჟკაცთ ხმლებმა,
მარტო კვნესა-და ისმოდა
დაკაფილთ თათართ ჯარისა,
და რუებრ სისხლი იღვროდა! ..
მანამდის მეფე სამჯერა

მისცემს ბრძანებას ჯარებსა,
ზაზა დაუყრის მეფესა
ფერხთა წინ ფაშათ თავებსა...
აირა თათარხნის ურდო,
მალე ადრიკეს ზურგები,
თოფ-ზარბაზანი დაჰყარეს
და გადაჰყარეს გუდები!...
ასრე გაკმუსრეთ ურჯულო,
არ დარჩა ამბის წამღები:
დღესაც კითხულობს ხონთქარი—
„რა იქნა ჩემი ჯარები?!"

გათავდა ფერხი, და მოქანცულთ ძილს მისცეს თავი.
მაგრამ ძილშიაც ხამუშ-ხამუშ გამოისმოდნენ
ხმანი ყიჟინის, მტრის შემრისხი და შემზარავი,—
თვითონ ძილშიაც მტერს, მოსისხარს, ეკვეთებოდნენ.
გამარჯვებულნი მოთავენი არ იძინებდნენ:
ერთმანეთს ძმურსა, კაჟ-კაცურსა სიტყვას ეტყოდნენ.
ხვალ დილისათვის ეს გმირები ეპირებოდნენ,
რომ უეცრათა მედგარივით მტერს დასცემოდნენ.
ზოგი ერთ ჯარებს სხვა ვიწროებს ესტუმრებოდნენ,
რომ აქ შეეკრათ ადგილები და შეეფერხნათ
მტერნი, რომელნიც ყოლაუზად წინ მოდიოდნენ,—
რომ ხალხისათვის თავის მოურის მით დრო მოეცათ.
ამათ ჯარებსა ყოველ-მხრიდგან ემატებოდა
ქართველი ჯარი, მტრის შეკვდომას დანატრებული.
ბერო აწყობდა, განაგებდა და ამხნევებდა,
თორმეტ გმირთაგან მაგრა მხარ და პირ-მოცემული.

ყოველ კუთხიდგან მოსდიოდათ იმათ ამბავი,
რომ ქართველობა იშლება და მოდის საშველად,
რომ დამარცხებამ უეცარმა მტერს დასცა ზარი
და წინანდებრივ ვეღარ იძვრის ის კადნიერად.
ბერო დვალიძე და იმასთან თორმეტი გმირი,
შეუდგრომელად მხნეობდნენ და ჰქონდათ თათბირი.
მათ გადასწყვიტეს სამათ ჯარი გაენაწილათ
და მტერს სამ პირად თავს დასხმოდნენ და აერიათ.
აწყობდნენ საქმეს და მათთანა მხნეობდა ჯარი.
გამარჯვებამ ერთი ორათ უმატა ძალი.
მათ ერთი ორათ მოუმატეს თვის მხნეობასა:
მოუთმენელათ თოფს ჰფერავდნენ და ლესდნენ ხმალსა.
თვის გარეშემო გაფრთხილებით ყოველს გზის პირსა
ყარაულები დააყენეს დარაჯად მტრისა;
ზოგი გაგზავნეს მტრის ჯარებთან სათვალყურეოთა,
ზოგიც მზვერავად მტრის ჯარებში საიდუმლოთა.
«ერთი-ორი დღე გამაგრება, მაგრათ მოვხვდეთ მტერს,
და მასუკანა ჩვენ საკმაო ჯარს შემოვიკრებთ!
ერთიც-და კიდევ გამარჯვება, და მთელს ქართლ-კახეთს,
ამ გამარჯვებით ერთიანათ ფეხს დავაყენებთ!»
ჰფიქრობდა ასე დვალიძე და მასთან თორმეტნი
მისავით გმირნი, გამბედავნი და მხნე ქართველნი.
ჰფიქრობდნენ, და აქ მათ მოესმათ ხმა უეცარი:
აგერ მიდისო თავადების ქართველი ჯარი!
მათ მოუძღვისო ანდუყაფარ ამილახვარი
და თვით ისე, მტრის წინაშე გაუტეხარი!
რომ ამ თავადებს თან ახლავსო დიდ-ძალი ჯარი!...
„მტრის შესამუსრად მაზედ სრულად იჭვი არ არი!“

ასე გაჰფიქრეს დვალიძემ და მისთა ამხანაგთა.
«გათქმული არის ვაჟკაცობა ამ ორთ თავადთა,
ქვეყნისათვისა მათ უთუოთ შესტკივდათ გული,
და ჩვენ საშველად წამოვიდნენ ორნივ ლომ-გული!"
გახარებული დვალიძე და იმისი ჯარნი
თვის ბელადებით მიეგებნენ, ვით მეგობარნი:
მათ მორიდამვე შედღუხებით სალამი მისცეს
და აღტაცებით მთლათ ყველამა ერთბამ შესძახეს:
«გაუმარჯოსო ანდუყაფარს და იასეს!
და გაუმარჯოს მათგან შეყრილს ჯარსა ქართველსა!
ახლა კი ვაი ჩვენს წინ დამდგომს და ჩვენსა მტერსა!!"
და სალამის წილ მოისმენენ ხმას საზარელსა:
— ხმალი მაგათა! მაგ ქვეყნის მტერთ და სისხლის მსმელთა!
მუსრი მაგათა; მუხანათთ და ყეენის მტერთა!! —
იელვა ხმალმა და გავარდა თოფი ძმის მკვლელი,
და დაერია სისხლის მსმელად ქართველს ქართველი!
და პირველნივე გახდნენ მსხვერპლი ამ ღალატისა
ხალხის გმირები — დვალიძე და ამხანაგები:
ვიდრემ ისინი მოვიდოდნენ გონსა და ფიქრსა,
გახდნენ უეცრად დაკაფილ და დახვრეტილები.
მუხანათურათ დახოცილთა ხალხთა გმირებსა,
თავადთა ჯარი შეუწყალად მკვდართაც კი სჩეხდნენ.
მერე შეუხტნენ ხმალ მიშველნი სხვა მეომრებსა,
თვალთა ბრიალით და კბილთ ღრჭენით ახლა მათ ჰჟლეტდნენ.
მონიშნე მტრის წინ ქართველები ქართველთ ჰჟლეტავდნენ!!...
დვალიძის ჯარნი დაჯერებას ვერა ჰბედავდნენ,
რომ მათ, ქვეყნისთვის თავ-განწირულთ, გაიმეტებდნენ
ქართველებივე და სასისხლოთ მათ შეჰბედავდნენ.

შეჰკრთენ და ცვიფრად ერთმანეთისა ეკითხებოდნენ.
კარგა ხნობამდის საომრად ხელს არ იღებდნენ.
მაგრამ რა ნახეს მოთავენი დახოცილები,
ახლა მათზედაც ასრე მრისხნად მისეულები,
რა დარწმუნდნენ, რომ არ ჰზოგავდნენ აღარავისა,
ერთნაირათა ყველას ჟლეტდნენ მცირეს და დიდსა,
მაშინ იმათაც სამესისხლოთ ხმალს იკრეს ხელი,
და იგინიცა უნებურად გახდნენ ძმის მკვლელი!
მაგრამ ამაოდ ამოიღეს თავის ხმლები!
მანამ, შემკრთალნი მოვიდოდნენ გონს ეს ჯარები,
მანამ მათგანნი ნახევარზედ მეტნიც კი გასწყდნენ;
და თვის სიმხნევეს ამაოთა თავსა სწირავდნენ!..
შემუსრეს ჯარი, მტრის საომრად შეკრებილები.
ვინც ვერ გაასწრო, იყვნენ სრულად დაკაფილები...
აქ ანდუყაფარ და იასე გაუდგნენ გზასა
და ქართველთ გმირთა თავებითა იახლნენ შაჰსა.
უბრძანეს თამარ წაეყვანათ საყრისთოში
და გადეყვანათ პატიმრათ ყამურის მთებში.
აქ დაუნიშნეს მას ადგილი საცხოვრებელი,
მანამ.. არ მოუსპეს იმისიცა სალხენებელი...
მეორე დღესა ყეენისა ჯარებმა განვლეს
იგი ადგილი, სადაც გუშინ მათ მარცხი ჰნახეს:
აქ მოელოდნენ ქართველების მრიელს რაზმებსა,
და რას ჰხედავენ?—გამუსვრილსა ქართველთ ჯარებსა!!...
უპატრონოთა აქ ეყარნენ ქართველთ გმირები,
მათს ლეშს ჰფლეთავდნენ მხეცები და ტყის ნადირები!...
ქართველთა მკვდრებსა, ქართველთაგანვე დახოცილებსა
სპარსი ჰპატრონობს და გაუთხრის სამარეებსა!!...

## XX

ყამურის თავში ხრიოკიანს კლდეისა და მთასა,
სად შესაზარად გრგვინავს და ჰქრის მრისხანე ქარი,
სადაც მზის შუქი იშვიათად ამოჰყოფს თავსა,
სადაც ყამივით შავათა სდგას სქელი ბურანი,
იმ მთის კალთებში, სადაც თოვლი სდევს უძრავათა
უკუნიდგანვე, და ზედ ხავსნი მოჰკიდებიან,
სად შფოთვით წყლები გადმოქუხან მრისხანედ მთათა
და მთის ბორცვებზედ გველებივით იხლაკნებიან,
სად საზარელნი თოვლთა ზვავნი შეზავდებიან
და ხეობებში გრიალ-გრგვინვით ჩაქანდებიან,
სად ქურციკთა და ჯიხვთა ჯოგი ხტის და ნავარდობს,
სადაც არწივი მთის წვეროთა ამაყათ დაჰქროლს, —
არის ერთი ტბა — ყამურის ტბას მას ეძახიან.
პიტალს სალს კლდეზედ ტბა იგი არს დაგუბებული,
იმრგვლივ სალი და პიტალი კლდე იმას არტყიან,
და ნაპირები აქვს ხრიოკი და შემართული,
კუპრივით შავი ყამი ადგას ამ უდაბურს ტბას,
ნიადაგ ნისლი ახვევია, და ქარიშხალი
მუდამ აღელვებს და აქუხებს იმის წმინდა წყალს
და მზისა შუქსა ძვირად ჰხვდავს ეს წმინდა წყალი.
ველური არის აქ გარეშე ყველა ადგილი:
ძვირად მოხვდება ამ არეთა კაცი სულ-დგმული:
ნადირთ სადგურად ეს ადგილი არის გამხდარი
და ძვირათაცა თუ გაივლის აქ სადმე მგზავრი.

არაწმიდათა საზუდარად ხალხი უწოდებს,
და ხალხში არის ანდაზა და თქმა ძველებური.
რომ თუ აქ კაცი ცხოვრებას ან გავლას ისურვებს
მაშინ ღრუბლით შეჰმოსავს მთას და ტბას მაცდური,
ასტეხს საშინელს ქარიშხალს და ტეხვრა-სეტყვასა,
სუყველა მგზავრს კაცს გზას დაუბნევს, თვალს დაუბნელებს,
გზა დაბნეულთა მთიდგან ტბაში ჩაჰყრის ყველასა
და ტბის ღურღუმში საუკუნოდ ბოლოს მოუღებს.
ამ ადგილებში, ზედ ტბის პირას, პიტალსა კლდეზე,
თოვლის მთის ძირას, სადაც ძვირად თუ ანათებს მზე,
სდგას ერთი ციხე, ციხის გვერდით არის ტაძარი
განდეგილთ ბერთა და მინანულთ თავ-შესაფარი.
ამ ციხეშია ერისთავნი იმ ტყვეთ ანწყვდევდნენ,
ვისგან სასყიდელს თავის ხსნისას რასმე ელოდნენ.
ამა ციხისა საკანსა და ბნელს ორმოებსა
ეყარნენ ტყვენი, მოკლებულნი მზის სინათლესა.
ეყარნენ ტყვენი, მოლოდინში, რომ მათნი თვისნი
იმათ როდისმე ამ ტყვეობით გამოიხსნიან,
ეყარნენ მინამ ფეხებ და ხელ ხუნდებ გაყრილნი,
და ღმერთსა მაღალს თავის სიკვდილს ევედრებიან.
«ცოცხალთ აკლდამი» ციხე იგი სდგას დღესც მაგრათა,
სდგას შეუშლელად მრისხანე და პაშტანი ჟამთა;
მისი ზღუდენი მგზავრს დასცემენ შიშისა ზარსა
და გულთ შემმუსრად აგონებენ მას წარსულს ჟამსა!
მშიერ-მწყურვალნი აქ ეყარნენ შეკრული ტყვენი;
საუკუნებად მათ დღეები ეჩვენებოდნენ,
ლია ჭაერი და სამშობლოს მდელო და ველნი
მათ მოუთმენელ სანატრელად გადაჰქცეოდნენ.

სიზმრივ თუ ცხადლივ თვის სამშობლო აგონდებოდათ,
და ეს ოცნებათ და გულს სენათ შემოჰსეოდათ;
ზოგნი როტავდნენ შემლილივით ღია ჰაერსა:
იქ მზეს ჰხედავდნენ, სად ემწყვდივნენ უკუნო ბნელსა.
ამ ციხიდგანა მოისმოდა ღრჭიალი კბილთა;
ლანძღვა და წყევლა, გამოთხოვნა თავის მტარვალთა
სამესისხლოთა და საკვდავად მუდამ ისმოდა,
მაგრამ სუყველა ყრუ ციხეში იკარგებოდა.
აი ამ ციხეს მოიყვანეს თამარ ლაზნელი
და ჩაამწყვდიეს ჯურღმულოში უკუნო ბნელსა,
სადაც ძლივს ბჟუტვით ჩადიოდა დღისა ნათელი
და სად ერთრიგათ ატარებდა ღამეს და დღესა.
ნორჩი თამარი იყო ასრე გამონწყვდეული,
საჭმელს კარიდგან აწოდებდნენ მცველი ხათუნნი,
ხმის გამცემსაც კი იგი იყო მთლათ მოკლებული,
სულდგმულთა ნახვას მისნი თვალნი გახდნენ ნატრულნი.
თუ სადმე ბზუილს ბუზისასა ის ყურს მოჰკრავდა,
ან სადმე ჯურღმულთ თხუნველთ ფათურს გაიგონებდა,
მათშიც კი ისი რაღასაცა თვისსა ჰხედავდა
და მათს ნახვას და ახლო ყოფნას მოინატრებდა.
იყო ამგვარად უჰაეროს, უკუნო ბნელსა;
შემკრთალი გული მისი ჰკვნესდა და ვალალებდა;
დღე და ღამ იჯდა უიმედო და ჰღვრიდა ცრემლსა,
ღამეს და დღესა ერთმანეთში ველარ არჩევდა.
თითქო სიზმარში, იყო თამარ მტერ დაცემული;
ვითა სიზმარში თვალთ წინ უდგა მას წამებული
ძირში მოჭრილი და მოსვრილი სისხლში სულ მთლათა
თავები: მშობლის, თვის-ტომისა და მეგობართა;

უდგა მას თვალ-წინ დახუჭული მათი თვალები,
შეკრული კრიჭა გმირთ ბიძაშვილთ თავთა გამქრალითა;
თითქო მუქარას ითხოვენო იგი თავები
და სპომარად ითხოვენო თვისთა მტარვალთა.
უდგა მას თვალ-წინ ანდუყაფრის ცოფი თვალები,
ხელით დაბღუჯული მშვენიერი დედის კავები.
მხეცური ხმობა შესამუსრად ღაზნელთ გვარისა;
ელვა ხმალისა და მოკვეთა დედის თავისა!
უდგა მას თვალ-წინ ჯოჯოხეთის მღერა — ხადილი
თავის სამშობლოს შემუსვრილსა უძლურს გვამზედა,
უდგა მას თვალ წინ სისხლი, სისხლი, სისხლი და სისხლი!
და თვით ცრემლის წილ მოსდიოდა სისხლი თვალზედა…
უდგა მას თვალ წინ გმირი ბერო სიკვდილის დროსა,
როდესაც იგი სიხარულით ხელ-გაპყრობილი
წინ მიეგება ანდუყაფარს ოკმის მინდორსა,
და ანდუყაფარ მას შეჰმართა მკვლელი მახვილი!
უდგა მას თვალ წინ სხვა გმირები ქართველებისა,
როს მუხანათნი მათ ასობდნენ გულში მახვილსა!
სუყველა ესე სიზმარივით ეჩვენებოდა
და ნატრობდა რომ ნამდვილ სიზმრად გადაჰქცეოდა…
ამა ზღვა სისხლში, ვით უკუნს ბნელს მნათი ვარსკვლავი,
მცველ ანგელოსათ ესახოდა ყრმა ახოვანი.
ყურებში უდგა მის მრისხანე ხმა შემზარავი,
და მის რისხვაზედ ზარ დასხმულნი კაცნი მსისხარნი.
უდგა მას თვალ-წინ შებრალება ამ ნორჩი ყრმისა,
გულის შეტკივნა და პატივი, ვით ღვიძლი დისა.
ღვთისგან მოვლენილ თავის მხსნელად ეჩვენებოდა
და თითქო შველას აგერ კიდევ მისგან ელოდა.

იყო ამ გვარად პატიმრად და დამწყვდეული ტყვეთა,
ეს ხანი იმას საუკუნეთ ეჭიმებოდა:
იმან დაჰკარგა ანგარიში პატიმართ დღეთა,
და ეს დრო კრული ერთ დიდ ღამეთ ეჩვენებოდა.
თავის ნუგეშად და სასოსა აღსადგენელად
თამარ ლოცვებში ცხარე ცრემლით დაიღვრებოდა,
თითქმის მთელი დღე, მუხლმოდრეკით, აუდგომელად
სასო-მღვთის მშობელს დავიწყებას ევედრებოდა . .
აქ შეიცვალა თამარისა ბედი უცბათა:
ის საკანიდგან ამოუშვეს დიდს ციხის კოშკში,
ერთი ოთახი მისცეს სუბრთა იქ სადგურათა
და სიარულის ნება მისცეს ეკლესიაში,
მიეცათ ნება სათუნებსა მის გართობისა,
მიეცა ნება ტბის პირებზედ სეირნობისა;
სასმელ-საჭმელიც უკეთესი აწ გაუჩინეს
და ხათუნებიც უფრო ზრდილნი მას მიუჩინეს.
მაგრამ რათ უნდა თამარს ესე თავისუფლება?
მას დაუშრეტლად ნახული დღე სიცოცხლეს უწყლავს;
იმას სიცოცხლე და ცოცხალნიც კი ეზიზღება,
მხოლოდ იგონებს ქვეყანაზედ ტკბილად თვის მხსნელს ყრმასა
ამ უცნაურთა და საზიზღართ დღეთა მნახველსა,
სუყველა კაცი მას მიაჩნდა ავთრათ და მგლათა;
ტანჯვათ, წამებათ ის ჰრაცხავდა თვის სიცოცხლესა,
და სიცოცხლესთან არიგებდა ის ყრმა მხოლოთა.
თვით არ იცოდა, მას იგი ყრმა გულს რად ემჩნია!
რა მოსცა მან ყრმამ მით, რომ იგი გადაარჩინა?—
თამარს სიკვდილი სიცოცხლესა ბევრით ერჩია—
მაშ მის ყრმის ხსოვნა გულსა ტკბილად რამ შეარჩინა?

რათ ეშლებოდნენ მას გრძნობანი, ტკბილად მღელვარენი,
როდესაც თვის მხსნელს, მშვენიერს ყრმას წარმოიდგენდა?
იმის თვალები ცოცხალნი და ცეცხლის მფრქვეველნი
მას ასე ხშირად თვალთა წინ რათ ესახებოდა?
ამას თამარი ვერ უხსნიდა თვითც თავის-თავსა.
თვითონც უკვირდა, რომ იმა დღეთ გამოვლილს მასა
კიდევ უნდოდა რომ ეცოცხლა. რათა? რისთვისა?...
იმას უნდოდა ერთიც ნახვა იმ გმირი ყრმისა.
ერთიც-და კიდევ იმის ნახვა, მისი ხმის სმენა,
ერთიც-და კიდევ მასთან ძმურად ახლოს დარჩენა!
შემდგომ სიკვდილსა სიხარულით მისცემდა თავსა
და სიხარულით მიჰმართავდა თვის გამწყვარს გვარსა.
ევლინებოდა თამარს ის ყრმა ხშირად სიზმრათა
ხან ანგელოზათ, ხან მფარველად და დამხსნელათა;
ყოველს საზარელს გაჭირვებულს და ცუდს სიზმარში
თავის მფარველს და მხსნელს ჰხედავდა თამარ ამ ყრმაში.
ამ გვარ თამარსა ის ყრმა ისრე ძრიელ ახსოვდა,
ისრე მაგრათა და მკვიდრათა გულს ჩარჩენოდა,
რომ მას ამ გვარი გრძნობა გულში ჯერ არ მოსვლოდა
და მის ყრმის ნახვა მას სიცოცხლის მიზნად ჰქცეოდა!..

## XXI

ჩვენ სიყვარულსა პოეტნი თუ სხვა გვარ მწერალი
სხვა-და-სხვა ფერად აგვიწერენ და შეგვიმკობენ;
მაგრამ ჯერაცა გარდაკვეთით მთქმელი არ არი —
რა არის იგი? მისთვის კაცნი ცნობას რად ჰკარგვენ?
  კაბანისმა სთქვა: სიყვარული არს ძალა რამა
ორთა სქესთა შუა ურთიერთმდი მიმზიდველობის,
რომ მით თვის მსგავსი მოაშენოს ადამიანმა.
და ამ მხრივ სწავლა ესე სწორედ სარწმუნო არის,
  მაგრამ ამითი არ იღსნება: იგი და არი?
ჩვენ რას გვარგია, რომ მოშენდეს კიდევ ჩვენგვარი?
რაც არ გვარგია, მისთვის გრძნობა ესე ცხოველი,
რათ უნდა იყოს ასრე მწარედ გულის მწოველი?
  ან, თუ ასეა: რატომ ერთი იპყრობს ჩვენს გულსა,
და მეორე კი, უკეთესი ამაზედ გვამი,
ფიქრშიც არ მოგვდის, არ აღელვებს ჩვენს გულს და სულსა,
და ზოგი კიდეც ჩვენს გულსა სძაგს ვით შავი ჭამა.
  ებრეთვე კიდევ: უფრო მაშინ რათ გვრჩება გულსა,
მიჯნურთა სახე, როს უპყრივართ სევდისა წყლულსა?
ან კიდევ მაშინ, როდესაცა ბედი გვიღიმის
და სიცოცხლესა გული ჩვენი ტკბილად შეჰხარის?...
  ეს არ ვინ გვითხრა. დღე სდუმდეს ჯერ ეს ახსნაცა
ხშირად ჩვენ უფრო მას ვპოვებთ, არ ვიცით რაცა
და რასაც ჰფარავს საიდუმლოს ბნელი ზეწარი, —
და უმეცარი კაცი არის ხშირად ნეტარი.

ჩვენ სიყვარული გვამოძრავებს, სიცოცხლეს გვმატებს,
უსიყვარულოთ თითქო კაცი მძიმობს სიცოცხლეს;
ჩვენ სიყვარული კეთილისთვის თავს გვაწირვინებს
და ბოროტისთვის ხშირად სისხლსა აგვიმღელვარებს.
მაგრამ მაინც კი ტკბილი არის ეს გრძნობა, მწველი:
ჩვენ სიყვარული აღგვამაღლებს, ბრძანებს რუსთველი.
მაშ რათ იგმობა ქვეყნად ტრფობა და სიყვარული?
რათ ვდევნით მას, ვინც სიყვარულით არის შეპყრობილი?
სიცოცხლის ცეცხლსა ეს აღგვიგზნებს ჩვენ ჩამქრალს გულსა;
ხშირად კი ჩვენვე ჩვენს თავსა ვგმობთ ამ გრძნობისთვისა!
მაგრამ მაინცა მიჯნურთ სახე ღრმად გვებეჭდება
და ჩვენი გული სიცოცხლისთვის კვალად ღელდება.
სახე სატრფოსი უმქდოს და ცუდს ყოფაში,
რაღაცა იმედს გვისახავს და გვამლევს ძალასა,
გვიადვილდება ჭირში ყოფნა სატრფოს ლხოვნაში
და ლხინში ყოფნა უამოთ გვიწყლავს გრძნობასა.
გვახარებს ტრფობა, გვახალისებს, ფრთებს გვასხამს, ვტკბებით,
ოცნების სახით სატრფოს ვსახავთ, ბაირონის თქმით;
და მისთვის, ხშირად, როს ოცნება გაგვიქარდება,
გულითა მწირი, სულით გლახა სატრფო ხელთ გვრჩება.
ხშირად გვეცხამენ, როს შევიცვლით სატრფოზედ გულსა:
ოცნება ტკბილი ვერ დარჩება დიდს ხანს ჩვენს თავში,
თუ რომა იგი ვერ იპოვის საზრდოს ვით პურსა
სატრფოს ზნეასა, მის ჭკუასა და ხასიათში,
მაშინ მუხანათს და ორგულსა ყველა გვეძახის.
მაგრამ ძალათი ვინ განდევნის ამ ტკბილს გრძნობასა!
შექსპირის სიტყვით, ტრფობის უკან, სიცოცხლეც არ ჰღირს:
ვინ არის იგი, ვინ უწევდეს თავსა მტრობასა?!

ჩვენ სიყვარული უნებურათ დაგვესხმის თავსა,
უნებურადვე თავს გვანებებს და გვეკარგება.
მაშ რათა ვკიცხავთ, რაც არ არის ხელთა კაცთასა,
რისაც შექმნა და დაკარგვა უჩვენოდ ხდება?
ჩვენ კაცის გულსა და საქმეთა ვწყევთ და ვდევთ ხშირათ,
ვდევნით ჩვენ სხვებში, რასაც მუდამ თვითონ ჩავდივართ.
ჩვენთა საქმეთა ნიადაგა ვაფარებთ ხელსა,
და ამავე დროს არ უტევებთ და ვდევნით სხვებსა.
მუდამ დავეძებთ დამნაშავეთ და შემცოდვესა,
ხშირად ვესვრით ქვასა, ვინც არ ამლევს არ ვის ვნებასა.
ვესვრით მათ ქვასა, ვინც თვით სვისა მსხვერპლნი არიან,
ვინც უნებლიეთ ბედის ჩარხსა ქვეშ მოჰყოლიან;
და ამავე დროს იმათ უწევთ დაბლა თაყვანსა,
ვინც, ნამდვილ კაცის სისხლით მძღება და სწოვს ტვინს კაცსა;
თაყვანს ვცემთ იმათ, ვინც ბოროტსა განგებ ჩადიან,
ვინ, ბედის კი არ, თავის ნების მონა არიან.
შეყვარებულთ და გაცრილებულთ კბილთა ღრჭენით ვგმობთ,
რომელსაც კაცი აქ არ არის სრულად თვის ნება.
და თაყვანებით, ჩოქის თავით ხელებს განუშვერობთ,
ვინ ჩვენ მოგვისპო ენა, ნება, ძალა, გონება...
სხვის ბედში ყოფნა აღძრავს შურსა ჩვენს სისხლს ძარღშია,
სხვის ნეტარება მტრობასა ჰბადებს კაცის გულშია...
შურით უყურებთ, როს სხვა უყვართ და დასტკბებიან,
მზა ვართ შევმუსროთ — სიტკბოებას რათ მისცემიან!
მტრობა და შური კაცის გულის ჩარხები გახდნენ,
კაცთა საქმეთა აბრუნებენ, ამოძრავებენ.
კაცი კაცისა მგელიაო, ლათინთა გვითხრეს,
და ესე სიტყვა კაცთა ეთქმის უფრო მეტათ დღეს.

ძაღლის თვისებას ტრფობაშია გვისახავს კაცსა:
ღრინვით, კბილთ ღრჭენით შეყვარებულთ დაჰყეფენ თავსა,
ჰკბენენ, სდევნიან, დორბლს აყრიან, ყალყს უდგებიან,
და ამ ცხოვრების აღმძვრელს გრძნობას კაცს უწამლიან.
სალაღანოთ და საგანგაშოთ მაჯახურთ ჰხადიან.
ზიზღით, თაკილით, გმობით მათზედ გაიძახიან;
ჰკიცხავენ მასა, რისაც მონა თვითონ არიან
და ამა წმინდა გრძნობას კაცში სრულებით ჰრყვნიან.
ამ გვარ უთუოთ გავკიცხავდით ჩვენ ნორჩს თამარსა,
რადგანც მის გული ჩვენ არ გვეპყრა და ეპყრა სხვასა;
ათას მიზეზებს მოუდებდით, რომ მოგვეწამლა
მის სიცოცხლისა აღმაძვრელი ტრფობისა ძალა.
მაგრამ მის ბედი: არამც თუ სხვამ, თვითც არ იცოდა
ეს გულის ღელვა, ნახვის ნატვრა რასა ჰნიშნავდა!
ის ანგელოზად და მფარველად თვის მხსნელს ჰსახავდა,
და სხვა რამ აზრსა ის ფიქრადაც არ იზრახავდა.
რას დავდევთ იმას, რომ ჩვენ ტრფობა გვაჩნებს ხშირად!
როს ვგრძნობთ ტრფობასა, ნეტარნი ვართ მაშინ ხომ სრულად!
ერთი ათასად ჩვენ მაშინა ვტკბებით სიცოცხლითა,
და ბოლოს ვის თავს რა იქნება — არავინ ვიცით!
მაშ დეე დასტკბნენ სიყვარულით, ვისაც ნამდვილი უყვართ.
ნამდვილი ტრფობა გულსა ჩვენსა ეწვევა მწირათ,
მაგრამ, ვაი მას! ვინც რომ ტრფობას თამაშათ გაჰხდის,
ვინც საყვარელსა და სიყვარულს წუთობით იცვლის!

## XXII

ამ გვარ თამართარა ჰგრძნობდა, რასა ჰნიშნავდა
მის გულის ღელვა, მოგონება თავის მხსნელისა.
ყოველს სევდის დროს მის გონება მასთან ჰფრინავდა
და მით თავის თავს უმატებდა რაღაც ძალასა.

რაკი რომ თამარს მისცეს მცირე თავისუფლება,
ის მრისხანეს და უყამურს ტბას არა ჰშორდება,
მარტოთ მარტოკა მთელი დღითა უზის ამ ტბასა
და უგდებს ყურსა მის ღელვას და გარს ქარიშხალსა.

მრისხანეთ ჰქროდა ბდღვრიალითა აქ ქარიშხალი,
და მრისხანეთა ქანაობდა ტბა, ბურმომჯდარი,
ურუ იყვნენ გარე უდაბურნი კლდენი პიტალნი,
მაღლა მთებიდგან მოისმოდა არწივთა ხმანი.

საზარო გრგვინვა ხამუშ-ხამუშ გარს გაისმოდა.
და მთის წვეროსა თოვლის ზვავი უცებ სწყდებოდა,
კორიანტელით, ჭექა-გრგვინვით მოზვავდებოდა,
გრიალ-გუგუნით ხეობებში იკარგებოდა.

საზარო არის აქ მრისხანე მძლავრი ბუნება.
მაგრამა თამარს ამშვიდებდა ეს საზარლება:
მას მრისხანება ბუნებისა სევდას უხშობდა
და საზიზღართა კაცთა კრებას დაავიწყებდა.

მას, ვით სალმუნი, გულს ნეკტარათ გადაესხმოდნენ,
როს იმის თვალწინ, სადღაც უცებ მთის წვეროზედა
შავად ღრუბლები ზავდებოდნენ და სქელდებოდნენ,
და მათში თამარ ეხვეოდა და შიგ ჰქრებოდა.

შავი ღრუბელი, მთისა წვერო, უკუნო ბნელი,
წინ ფრიალო კლდე, ძირს ტბის ღელვა, გარს გრგვინვა მეხთა,
ხეობებიდგან ქარიშხალი, ფიქრთა დამხშველი,
თამარს გულიდგან გადუყრიდნენ ყოველთა სენთა...
მთის წვეროთაგან თამარ ტბისკენ დაეშვებოდა,
ფიქრით მოცული, ცალფეხ ბილიკს შეუდგებოდა,
ფიქრიდგან ოდნავ მხოლოდ მაშინ გაერკვეოდა,
როს მის დანახვით ფრინველთ გუნდი უცებ ჰბთხებოდა,
გაოცებული და შემკრთალი აფრინდებოდა
და თქრიალითა ტბისა წყლებზედ დაეშვებოდა.
მაგრამ აქ კვალად ეძლეოდა ფიქრსა ათასსა,
კვალად ელოდა ბუნებისგან მრისხანს ძალასა
და, რომელსაცა მოღალულსა და მოქანცულსა
მას ტბის ბილიკზედ სიარული მოჰბეზრებოდა,
ის დაფიქრებით, სადმე ბორცვსა ტბაზედ წარდგომულსა,
ფეხ დაკიდებით წყლის სიღრმისკენ, ჩამოჩდებოდა.
იჯდა უძრავად, გაშტერებით, ფიქრით დიდს ხანსა,
და მისი ფიქრი შორს და უცნობს ალაგს ჰფრინავდა,
ჰფრინავდა საცდა უცნაურს და ნეტარს ალაგსა...
სადაც ბუნება მას წარსულთ დღეთ დაავიწყებდა...
იჯდა თამარი ბორცვებზედა, ტბის ნაპირასა,
ერთი გაძვრა და... ტბის ტალღებში ჩაერყოდა,
და საუკუნოდ მორჩებოდა ამდენს ტანჯვასა,
მაგრამ თამარსა თვით უკვირდა, რაღას ელოდა!
მრავალ-ჯერ კიდეც გადასწყვიტა ეს საზარლება,
და აი კიდეც დააპირა ტბას გადავლება...
მაგრამ თვის მხსნელის სახე იმ წამს ეჰლინებოდა
და მის ნახვისთვის სიცოცხლესა უბრუნდებოდა...

იჯდა თამარი, ფიქრებისგან გატაცებული;
ქარიშხალი და ტბის ტალღები უხმობდნენ ფიქრთა,
და მის გონება, შემსჭვალული და წამებული,
მუდამ მის მხსნელის სახეს თავსა დასტრიალებდა.
იმას ხშირად ქარიშხალის გრგვინვა-ქუხილში
იმა ყრმისა ხმა შორიდგანა თითქო ესმოდა,
სულ განაბული, დაშტერებით და ღელვით გულში,
ამ ოცნების ხმას დაკვირვებით ყურს მიუგდებდა.
უგდებდა ყურსა. მაგრამ ეს ხმა ჰქრებოდა წუთში
და ქარიშხალთან ეს სატრფოს ხმაც იკარგებოდა...
ხშირად შეკრულს და ჩაშავებულს ტბის სქელს ბურუსში
მას იმა ყრმისა სახე ცხადლივ ეჩვენებოდა,
ეჩვენებოდა ისე ცხადად, რომ აგერ ჩქარა
თითქო ის ყრმაი მას და ძმურად მოეხვეოდა.
მაგრამ დაჰქროლა ქარიშხალმა, ბურუსი გაჰქრა
და ამ ბურუსთან ამ ყრმის სახეც მაშინ ჰქრებოდა...
ამ ცხოვრებაში ატარებდა თამარ თვის დღეთა...
თითქო რაღასაც სხვას ელოდა იმისი გული.
ეს ლოდინი გულსა ჰკბენდა ისე მწარეთა,
რომ ასრე მწარეთ არ სდაღავდა გულს დღე წარსული.
რაღას უცემდა გული ასრე იმას მწარედ?
გამოვლილს დღეზედ უარესსა რაღას ჰნახავდა?...
გული უცემდა, შეჰკვნესოდა, შეკალალებდა!...
დიდებულს ღმერთსა დამშვიდებას ევედრებოდა...
მთლად მოქანცული ლოცვებითა და ღვთის ვედრებით,
ის თვის დასასვენს ტბის კიდეთა მიაშურებდა,
იქ ტბის ტალღებსა და ქარიშხალს გონების ფიქრით
თვის გულის თქმათა და სევდათა უზიარებდა.

## XXIII

იჯდა ერთხელაც ტბისა კიდეს ფიქრით თამარი
და დაშტერებით დასჭყურებდა ტბის სპეტაკ წყალსა
ჭაერი იყო უძრავი და სრულებით წყნარი,
ისრებრ ისროდნენ ტბისა წყალნი მზისა სხივებსა;
მაღალთ მთათ წვერნი, უკუნითგან თოვლით მოსილნი,
გადმოჭყურებდნენ ტბის უძრავ წყალს და შიგ მოჩანდნენ;
ტბას მოსდგომოდნენ ალყა გარე ჯიხვთ და თხათ ჯოგნი
და ტბის ფრინველნი ნებიერად ტბაზედ სცურავდნენ.
თამარი გულით, უნებურად, მათ შეჰნატროდა;
ის სიხარულით იხვად და ჯიხვად გადიქცეოდა,
მათთან ერთ მთაში კაცთა კრებას გაექცეოდა
და იქ წარსულთ დღეთ დავიწყებას მიეცემოდა.
უცებ მან მოჰკრა თვალი მხედარს მსწრაფლად მომავალსა;
ის ტბის ნაპირზედ, კლდის ზორცვებზედ მოაშურებდა.
ცალ ფეხს ბილიკზედ, ხრიოკს კლდეზედ აფრენდა ცხენსა,
და მის მაყარი მზის სხივებზედ მოაშუქებდა.
თამარსა გულმა საშინელად დაუწყო ძგერა,
მაგრამ სიზმარი კვლავ ჰგონია და არა სჯერა.
იმან საჩქაროდ ორთავ თვალთა ფშვნეტა დაუწყო
და დააშტერდა კიდევ მხედარს, — და ცხადი იყო.
მხედარი სწორეთ, ცხენოსანი, იარაღშია,
მოდის ტბის პირას, გახვეული ყაბალახშია,
სცემდა ცხენს მათრახს, იმისკენ მოაშურებდა
და თვის თეთრ ცხენსა ჯანჯარივით მოახტუნებდა.

უცქერის თამარ და უმატებს გული ღელვასა:
ამა მხედარში ნამდვილად სცნობს თავის მხსნელს ყრმასა.
ის ხელ-განპყრობით, გულის ძგერით წამოვარდება
და მუხლთა თრთოლვით მხედრისკენ გაექანება.
მაგრამ, აგერა მოულოდნად წამოუბერა
მთის წვეროს ქარმა და ხეობით ნისლი მოჰბერა;
აგერ დაჰქროდა კიდევ ქარმა და არე მთელი
შავთა ნისლთაგან გახდა ვითა უკუნი ბნელი.
აი კვლავ ქარი! და გარშემო ისე დაჰბურა,
ისე დაახშო მთლად ჰაერი ნისლმა და ბურმა,
რომ თვალთაგანა არავერი სრულად არ ჩანდა
და თავისთავსაც აქ სულ-დგმული ველარ არჩევდა;
ვაი მას მგზავრსა აქ მავალსა, თუ რომ ისა
ამ ბურუსის დროს გაჰცდეს გზას და წინ წარსდგამს ბიჯსა!
წინ ფეხის წადგმა და მაშინვე ტბას გადავარდება,
ტბისა ტალღებში მისი ჩაღუპვა — ერთი იქნება!
შეჰკრთა თამარი და შეჰყვირა, თავს ზარ დასხმულმა:
— შესდეგ მხედარო! არ გაიძრა! — და თვით გაჩერდა.
შესაზარებლად უწყო ცემა შემკრთალმა გულმა, —
სულ მიყმენდილი მხედრის გზას მწარედ უმზერდა.
უცებ მოესმა მას თქლაფვანი ტბისა ტალღებში,
და შიშის ზარმა ყრიანტელი დასცა ძარღვებში.
ერთიც შეჰკივლა თამარმა და უგონოთ ისა
ზედ მიესვენა კლდისა ცხვირსა, წამდგარს წყლის პირსა.
მაგრამ სასწრაფოდ მოიკრიბა თამარმა ძალა,
ამ დროს მთებიდგან ქარიშხალმა დაიღრიალა,
დაჰქროდა ქარმა და ბურუსი გაჰფანტა მთლათა
და კვალად მზემან ტბისა ტალღებს ცხოველად ჰფინათა.

შეჰხედა თამარ და .. იხილა კვალად მხედარი!
მოჩანს მხედარი, მხოლოდ ცხენი აღარსად არი.
ამ მთას ნავალი და ცნობილი ის ყოფილიყო
და იმავ წამსვე ცხენიდგან ძირს გადმოსულიყო.
გადმოხტა იგი და სადავეს ცხენს სტაცა ხელი,
მაგრამ ტოკავდა არ დგებოდა ცხენი ფიცხელი;
შეტლინკა კიდევ და გადევლო ტბის ტალღებშია.
მაგრამ უძრავად მხედარი დგას ვიწროებშია.
მოჰკრა თამარმა მხედარს თვალი, ჰნახა ცოცხალი!
კლდესავითა მხედრისაკენ მიაშურებდა.
მაგრამ, როდესაც მიახლოვდა, იცნა მხედარი,
უცებ, შემკრთალი, კლდესავითა იქვე გაჩერდა.
იგი მხედარი არა ჰგავდა მის მხსნელსა ყრმასა.
მაგრამ მხედარი თვით ესწრაფოდა თამარის გზასა.
ის მოწიწებით და კრძალვით წარსდგა მის წინა
და დაბეჭდილი მძიმეთ წიგნი ხელთ მიაწვდინა,
გულის კანკალით თამარ ჰხსნიდა მოცემულს წიგნსა
და სისწრაფისგან ხელის თრთოლით ანტვრევდა ბეჭდებს.
კითხულობს თამარ და სისხლი სცემს თავსა და პირსა:
მას სწერდა, ვისთვისაც ინახავდა თამარ სიცოცხლეს!..
„გაგაკვირვებს რომ ერისთავი ლაზნელის ქალსა
გიბედავ და გწერ დატყვევებული ამ გვარის წიგნსა.
ვიცი, მეც დამდებ დანაშაულს და ბიძის ბრალსა,
რადგან თან ვახლდი, როცა ჰღვრიდნენ ლაზნელთა სისხლსა.
„მაგრამა, ვფიცავ შენსა გულსა და შენსა მზესა,
რომ არ ვიცოდი, სად მივყავდი მე ბიძა-ჩემსა...
სწორედ გვეგონა, რომ მივყავდით ჩვენ თათრებზედა...
მცოდნოდა, ფეხს არ გადავდგამდი ჯარის იქეზედა.

„არ გაძღა სისხლით ბიძაჩემი: სულ სისხლი! სისხლი!
იმის პირიდგან მეტი არ ვის აღარ რა ესმის;
გეფიცები, რომ ჩვენ თვითონაც გვაქვს დიდი ფიქრი,
და იქნება რომ იმის ცნივა ჩვენც მგ ძღე გველის!..
„არ მოგყვებოდი, გეფიცები! მაგრამ არ ვნანობ!
იგი ავთარნი უჩემოთა შენს სისხლს დაჰღვრიდნენ..
დაჰღვრიდნენ მეთქი? განა მართლა სისხლის ღვრას ვამბობ?!
იგი ბილწები შენს მშვენებას არ დაინდობდნენ!...
„არ მოგყვებოდი, კიდევ გფიცავ, მაგრამ არ ვნანობ!
მე სისხლის ღვარში შენ გაგიცან, და აჰა გაცნობ;
მას აქეთ ხატად გულისა ჩემსა ჰსუყევ და იპყრობ,
და მას აქეთა შენით ვცოცხლობ, შენით ვსულდგმულობ.
„ცხადლივ თუ სიზმრათ შენ მიდგეხარ მუდამ თვალწინა.
უშენოდ ყოფნა საწამლავად მიგცევს სიცოცხლეს;
მჴევანად თავი ჩემი მიმაჩნს მართლა შენთვინა
და მართლა შენთვის სისხლი მიღუღს და გული მიცემს.
„თუ რომ რითამე ღმერთი მე შენს თავსა ამაცდენს,
მაშინ ვაჰ ჩემ დღეს! დედის ერთა ღმერთის თავს შევწირავ,
აღარ ვიცოცხლებ უშენოთა თავსა არც ერთ დღეს
და იქვე შენწინ ჩემი ხელით თავს გავიგმირავ...
„მე ბიძა ჩემი, ვიცი ამის ნებას არ მომცემს,
რათგან ნახევარ სალაზნელოს ეპატრონება:
თვით ყეენმა და მისთ მახლობელთ ეს გადასწყვიტეს,
კიდეც აიღო ყეენისგან ამისი ნება.
„იესესაგან ანდუყაფარ უფრო კბილს ჰლესავს.
და ავთარივით იმას შენი სისხლი სწყურიან,
და რომ შეეძლოს ჩემზედ იყრის ყველაფერს შენს ჯავრს,
მაგრამ ჯერობით ის ბრკოლდება და ეშინიან.

„მეშველია, ორთავ უნდათ შენი სიკვდილი,
მაგრამ ვერ ჰბედვენ, რათგან მხედვენ შენს მოსარჩლეთან;
და ორივესა მარჯვე დროსი აქვთ მოლოდინი,
რომ მაშინ გაძღნენ უმანკოის შენი სისხლითა.

„მაგრამ ვიდრემა ჩემს ძარღვებში წვეთი სისხლი ჰდის,
მინამ მენზედა მათი ხელი ვერ აღიმართვის.
თუ რომ შეჰბედვენ, მაშინ ღაზნელთ სისხლს მე ავიღებ,
და, გეფიცები, მაშინ ორთავ ბოლოს მოუღებ.

„ამით ვათავებ მე ჩემს წიგნსა, და, თუ გინდოდე,
თუ არ დამადებ შენთვის მკვდარსა ბიძის ცოდოებს,
ამ მხედრის ხელით შენი სიტყვა უნდა ვიცოდე,—
მაშინ ჩვენს ბედსა თვითონ ღმერთიც წინ ვერ აღუდგეს!“

კითხულობს თამარ და ამბავი ეს არა სჯერა;
კითხულობს, და თან მღელვარებით თვალთ უბნელდება;
გვალად კითხულობს და კითხულობს ათჯერ, ოცჯერა
და ამ წიგნისა წაკითხვითა ვერარა ძღება.

დარწმუნდა თამარ: წიგნი სწორეთ არის იმ ყრმისა.
სიხარულისგან თვალთაგან ჰღვრის ნაკადულ ცრემლებსა,
მაგრამ ცრემლს ჰმალავს,—ერიდება მოციქულისა,
და ის საჩქაროდ თავის სამყოფს კოშკს მიაშურებს.

შევა კოშკშია და ჩაჰკეტავს მაგრა კარებსა,
დარჩება მარტო და სანატრელს წიგნს გულში იკრავს,—
იკრავს გულშია და თან ჰკოცნის, ასხავს ცრემლებსა,
და გული მისი ათას სიტკბოს და ღელვას ჰხატავს.

ამ დროს არ აღსოვს თამარს თვისი მწარე დღეები,
ძველა გულიდგან გადუფრინდა, ვით ცას ღრუბლები;
გადაწმენდილს გულს თამარისსა მზე დაჰნათოდა
და მის არსება ნეტარებით აივსებოდა.

სიცოცხლეშია ეს დრო ერთხელ-ორჯერ გვეწვევის,
როს სატრფოს წიგნი ასრე ტკბილად აგვამღელვარებს,
და ესე წუთი თვისის ძალით მთელ სიცოცხლეთ ჰღირს.
ხშირად ამ წუთსა ანაცვალებს კაცი სიცოცხლეს.

დაჯდა თამარი პასუხისა დასაწერათა;
მას ნაკადული სიტყვებისა პირს ადგებოდა,
რაც აქამდისინ ჩამარხული გულს ჰქონდა ღრმათა,
ახლა ქაღალდზედ შეუწყვეტლად გადადიოდა.

«ქვასაც კი გასტეხს, რაც ტანჯვანი მე მომკლენია.
სათუთად გაზრდილს, ნებიერსა, მიჩვენეს ესა;
რაცა ზღაპრათაც ხორციელს კაცს არა სმენია —
ჯარს მომაყენეს მშობელთ, და ძმათ ღვარი სისხლისა!..

«ქვეყნის ერთგულთა ჩემთა თვალთწინ დასჭრეს თავები;
მუხანათები ქვეყნის მხსნელებს ადენდნენ მუსრსა!
ვნახევი ქვეყნის სატანჯველი, სისხლთა ღვარები
და მტრის მახვილი განწონილი ქვეყნისა გულსა!

«ვნახევ ქვემკნეთი, ვით სამარე უგუნო ბნელი,
სად ამოხუთვილი და გამქრალი იყო ჰაერი!
მზის სინათლეს დამანატრეს, მწყურვალ-მშიერი
და მოდარაჯეთ მომიყენეს მშობელთა მკვლელი!

«ვეგდე უსიტყოთ, გულს ჯოჯოხეთ ცეცხლ ანთებული,
არამც თუ კაცთა, მთლად სულ-დგმულთა მოშორებული,
გარე მესმოდა ორმოთაგან ტყვეთ კბილთ ღრჭიალი
და მათი გმინვით ცხოვლდებოდა ჩემს გულში ალი.

«ვეგდე ცოცხალი და ცოცხლადვე მყოფი საფლავსა,
იმ ცოცხალთ შორის, ვინ ცოცხლადვე დამარხულიყვნენ.
საწამლავივით ეს ცხოვრება მიკლიდა ტანსა!...
არსით ნუგეში, არსით სასო — ჩემთვის არ იყვნენ!...

«კაცი ღვთაებათ გულსა მქონდა მე ჩასახული,
და ის ჯიუთრათ და ასპიტ გველად მომევლინება.
მაგრამ, რას ვამბობ? არც გველი და არც სხვა სულდგმული
კაცის ბოროტით გაუმაძღარს გულს ვერ ედრება.

«მან მღვთაებრივი თვის გონება მიმართა მასა,
რომ მოიგონოს დამღუპველი კაცთ ბოროტება;
აწამებს უცხოს, მეცნიერსა, აწამებს ძმასა
და მისი გული ამ წამებით სცხრება და სტკბება.

«არა ქვემძრომი, არა მხეცი ვერ მიუწვდება...
მაღლა აყენებს მხეცზედ კაცსა თვის ბოროტება!!...
მე რას ველოდი და რა ვნახე ქვეყნიერათა...
ეს უფრო მეტათ აცხოველებდა ჩემთა წყვდათა!

«ამ დღეთ მნახველსა, მხოლოდ სახე შენი ჩამრჩა გულს
და რაღაც ნუგეშს ის მაძლევდა მკვდარს და წამებულსა
შენში ვხედავდი მხოლოდ კაცსა კაცის გულითა
და ვსულდგმულვიყავ მხოლოდ შენი მოლოდინითა.

«შენმა შეხვედრამ დამარჩინა დღემდის ცოცხალათა,
თორემ საცოცხლე არ გამაჩნდა არც თუ ნალათა.
ვფიცავ, აქამდის ჩემი ხელით თავს გავგმირავდი
და სულსა ჩემსა აქამდისინ ღმერთს შევწირავდი.

«მაგრამ ერთიცა, ვიდრემ მედგა სული ტანჯულს გვამს,
ერთიც მინდოდა შენი ნახვა, მსმენოდა ხმა შენი,
და მას უკანა თვით მივცემდი მე სიკვდილს ჩემს თავს
და არ შესდრეკდნენ გულსა ჩემსა სამარის ბრჭენი.

«და აგერ ახლა შორით მესმის ტკბილი ხმა შენი!
შენც ჩემი სახე მეგობრულათა გულს ჩაგრჩენია.
აჰა, გიგზავნი გულსა ჩემსა, რაც გინდა ჰქენი,
შენი თამარი ამას იქით სრულად შენია!...

«ისწრაფე ნახვა და შენს ამბავს მალე მაცნობდე,
და მინამ ყველა ამას შენგნით ველირსებოდე,
მოუთმენელად ღამემდისინ კარზედ ვიჯდები, —
შენი ლოდინით და ვიცოცხლებ, თავს გეფიცები!»
დასწერა თამარ და საჩქაროთ მისცა მხედარსა.
მხედარმა მსწრაფად გასწია და გაჰქრა მის კვალი.
თამარ დიდ ხანსა გაჰყურებდა მხედარის გზასა
და დიდ ხანს ამ გზას ვერ აშორა იმან თვისი თვალი.
გაჰქრა მხედარი და თამარი კვალად ეძას წიგნს,
თანა ჰკითხულობს, თან ბჟირივით მას ცხარეთ ჰკოცნის;
კვალადა ჰხსნიდა, ჰკითხულობდა, კვალად ჰკოცნიდა
ჰკოცნიდა კვალად, კითხულობდა, გულს იკონვიდა.

## XXIV

დიდი ხანია ქსნის ერისთავთ სამთავ მძლავრებსა
ერისთაობა უნდოდათ რომ ჩაეგდოთ ხელსა.
დიდი ხანია სამნივენი შურით ერთმანეთს
შესცქერიან და იმარხვენ გესლით ამ შურებს.
სამნივე მძლავრნი დიდს კავშირსა იჭერენ ჩუმათ
მძლავრ თავადებთან, მთის ხალხებთან, მეფეებთანა,
დაღისტნელებთან, ქისტ-დიდოსთან, და ამით უნდათ
ერთმანეთისა დასაღუპად მომხრეთ შეძენა.
მეფეებისა მორჩილება იმდენად ჰქონდათ
მძლავრ თავადებსა, რამდენათაც საჭიროთ ჰხადდნენ
ამ მეფეებსა მათი საქმის დასახმარებლათ,
და სხვაფრევ მეფეს თვის მეუფეთ არა ჰრაცხავდნენ,

ყველა თავადი თავის თავსა მეფეთ ჰსახავდა
და მათი საყმო მეფეებათ იმათ ჰრაცხავდა.
უძლურს მეფესა, ვითა უცხოს, ეურჩებოდნენ
და ზოგჯერ მძლავრნი მეფეებზედ თვით ბატონობდნენ.
ქართველსა ხალხსა, ათას ნაწრად გადაქცეულსა,
განცალკევებით დაჩაგრულს და ძალ-მილეულსა
ვინმე მოსისხლე უკითხავად თავს აჯდებოდა;
მათ ქართველობა უნებლიეთ ემონებოდა.
დღეს ერთი მძლავრი მოიმხრობდა უცხო ხალხებსა,
ასტეხდა პირძოლას, დაესხმოდა ხალხსა ქართველსა,
დედა-მიწასთან ხალხთა სამყოფს გაასწორებდა
და მისი სარჩო მტერს ალაფად მიეცემოდა;
რა სხვა ბატონთა ამოსწყვეტდნენ და გადაჰყრიდნენ,
მაშინ საყმოთა დაჭერილს ხალხს თვითონ ისდიდნენ.
ამ გვარად, ხშირად მეფეებსა არითმევდნენ ტახტსა
ან თვით იჭერდნენ ან არა და აძლევდნენ სხვასა.
გურგენის ზღვიდგან სპერის ზღვამდე ქართველთა სისხლი
უკუნიდგანვე ამ გვარ იყო რუებრ დაღვრილი.
აქ ერთი მძლავრი, იქ მეორე ხალხს უბრძანებდა
და ქართველსავე ქართველს მტრად გადაჰკიდებდა.
იქ გაბატონდა დადიანი, აქ გურიელი,
იქ შარვაშიძე, ათაბეგი, აქ თავდგირიძე,
იქ მარშანია, გელოვანი, იქ წერეთელი,
ამილახვარი, ერისთავი, იქ ჭავჭავაძე
და სხვა ათასი და მეფობას ყველა ჩემობდა,
და ერთმანეთის სამესისხლოთ აიშლებოდა:
შეჰკრებდნენ ჯარსა, ერთმანეთსა თავს დაესხმოდნენ,
ერთმანეთს ჰკლეტდნენ, ერთმანეთის სისხლით თვრებოდნენ.

თვის კრული გულის წყურვილისა შესაჯერებლად
ეძახდნენ გარე მძლავრ მტერებსა მოსახმარებლად;
ან თუ არა და შემოსულს მტერს მხარსა აძლევდნენ
და ქვეყნის მტერსა მეგობრულად წინ მოუძღოდნენ.
ამ გვარ, ერთობა, ძლიერება გვეკარგებოდა:
მძლავრთ თავადთაგან საქართველო იღუპებოდა.
ხალხი მდევ-გმირად გარე მტერსა ეკვეთებოდა,
მაგრამ შიგნიდგან იმას ფრთები ეკვეცებოდა.
დიდი იასე ერისთავი შორს ქვეყნის პირსა
იყო განთქმული ვაჟკაცობით და სისხლის ღვრით:
იმისი მტერი მოკლებული იყო ტკბილს ძილსა,
არც თუ მოყვარე ისვენებდა იმის შიშითა.
ის არც მტერსა და არც მოყვარეს არ დაინდობდა,
თუ მათ დაღუპვით ეს რასამე შეიძინებდა.
შეუწყვეტელად დაეძებდა სამტროდ მიზეზსა,
ვისაც მიზანში გაჰხედავდა—ვაი მის დღესა!
ვაი მის დღესა, გადასწყვეტდა ვისაც შთანთქმასა!
უნდა ცოლითა, შვილებითა და მისხას მისხით
გამოჰსალმოდა საუკუნოთ მზისა ნათელსა!—
ის მას შეჰმუსრდა, განაბნევდა ფეხის მტვერივით!
იმის გულშია არ ეწერა კაცთ სიბრალული:
იმას არც ცრემლი, არც ვედრება, არც საყვედური
ვერ აღუძრავდა კაცურს გრძნობას, და მისი გული
იყო ხშირად სისხლის ღვრისთვის აღელვებული.
ვით მტრის მახვილი ვერ შესდრეკდა მის პიტალ გულსა,
ეგრეთ კაცთ ტანჯვა ვერ აღძრავდა მის სიბრალულსა;
ვით მტრის მძლავრს ხელსა პასუხს სცემდა მძლავრი ხელითა,
ეგრეთ ცრემლებსა აჩუმებდა ისევ ცრემლითა!

აი ამ მძლავრსა ჰყვანდა თვისებრ ორი მძლავრი ძმა.
მთელ საქართველოს გასულიყო მათ სიმძლავრის ხმა.
იმათი შიშით შედრკებოდნენ ვაკე და მთანი,
და მათ წინაშენ მუდამ თრთოდნენ სხვა ერისთავნი.
იმათ თვის საყმო საავკაცოთ ჰყავდათ გაწვრთილი
და მეზობელთა ასაკლებათ მუდამ აშლილი.
თვისვე მეზობელთ ქართველებსა არ ასვენებდნენ
და სარჩოსა და საცხოვრებელს მუდამ სტაცებდნენ.
თუნდ მათ ტანჯვას და ცარცვასა გადარჩენოდნენ,
მათ ბატონობას მეზობელნი ისევ რჩეობდნენ,—
ვისაც მათებრივ არა ჰყვანდა მძლავრი ბატონი,
ისევ რჩეობდნენ გამხდარიყვნენ მათი საყმონი.
აი, ეს სამნი, ღვიძლი ძმანი, ბატონობისთვის
ერთმანეთზედა შურით, სისხლით იყვნენ აღძრულნი:
ისინი ჩუმათ დროს ეძებდნენ ძმათ სისხლის ღვრისთვის
და ამაზედა იყვნენ სამნივ თავ-დადებულნი.
ამ სამთავ ძმათა ჰყავდათ ერთიც ნორჩი ძმის წული,
თვრამეტი წლისა, ჯერ უმაწვილი და უწვერული.
იმას მშვენება ყველა მნახველს გაანცვიფრებდა
და მოყვარულს გულს თვითონ მტერიც პატივსა სცემდა.
ამ დედას ერთას სატრფო დედა სათუთათ ზრდიდა.
მას ვაჟ-კაცური და ქველური გული უცემდა.
არ წახდენოდა ჯერედ კიდევ ბავშური გული
და კაცთ ცრემლებზედ თვითც სდიოდა ცრემლთ ნაკადული.
ჰოი, სიყმაწვილევ, სიყმაწვილევ! ხარ შენ ნეტარი!
წმინდა გაქვს გული, ვით მთის წყარო და წაუმხდარი:
შენ ყველასა ჰგრძნობ, ყველას უგრძნობ, ყველას შეჰხარი,
სიმართლისათვის თავ-გაწირვით გიჭირავს მხარი.

ვიდრემ სიწამხდრე და გარყვნილი გცევა სოფლისა
ჟამთ ვითარებით არ გასცვეთავს შენსა წრფელს გულსა,
ვიდრემ შენ გიყვარს ქვეყანა და კაცი ყოველი
და სიყვარულით მუდამ გიცემს გული ცხოველი.
მაგრამ გადის დრო შენ ძრახვათა ეძრებათ ხელი;
ჰხედავ სიწამხდრეს, ცუდ საქმეთა, ცუდს მაგალითსა,
ცუდი საქმითა ქვეყნად არის სავსე ყოველი,
ჰხედავ—ცუდს საქმეს ყველა ჰმონებს და სცემს თაყვანსა,
ცუდი საქმითა თითქმის ყველა ქვეყნად ირჩენს თავს,
კაცი თავს იჩენს ქვეყანაზედ ცუდი საქმითა:
სიმრუდე აღძრავს და აბრუნებს ქვეყნის მმოძრავს ჩარხს
და მთლად ქვეყანა შეპყრობილი არს სიწამხდრითა,—
და შენც გიზიდავს ქვეყნის ჩარხი, ჰოი სიყმაწვილევ!
გეურყვნება გრძნობა, ცვდება გული და შენც სხვათ გასდევ:
თან-და-თან გაღსოვს მარტო თავი, სხვა გავიწყდება
და ცხოვრებაში გულს შხამი და ბოროტი გრჩება.
ამ გვარ ელიზბარ, დედის ერთა, ქსნის ერისთავი—
ელიზბარ ერქვა ჩვენს ყრმა გმირსა, თამარის მღსნელსა—
იყო ჯერ ნორჩი, სავსე გრძნობით და წაუმხდარი,—
ბევრი მშობელი შენატროდა იმის მშობელსა.
თუმც იყო ნორჩი, მაგრამ ნაკვთი ჰქონდა გმირისა,
მხარ-ბეჭი სრული, გმირთა მკლავი, ტანი ალვისა;
ამ გმირის ტანსა ამშვენებდა ნაზ-მშვიდი სახე,
და სიტყვა ჰქონდა გამბედავი და გამჭრიახე.
ის უნებურად იზიდავდა თვით ბიძათ გულსა:
თუმცა აღძრავდა მათს კრულს გულში გესლსა და შურსა:
ყველა მათგანი მტერს ჰხედავდა მაშა ბოლოსა
და გულში მუდამ იზრახვიდნენ მისთვის ბოროტსა.

დედის მუცელში იგინი მას გააწყალებდნენ,
რომ მას ცოცხალი მამა ჯერ თავს არა სდგომოდა;
მამის უკანაც ძირიანათ ამოიღებდნენ,
რომ მუხრან-ბატონს იგი სიძეთ არა ნდომოდა.
რა მოიზარდა და ქვეყანაში გაიცნო ეს ყრმა,
დიდნი თავადნი ცდილობდნენ მის დამოყვრებასა.
ეს რა გაიცნა თეიმურაზ მუხრან-ბატონმა
მის დედას სთხოვდა მოყვრობას და დამზახლებასა.
ყველა ქალებში, ვინც კი რომა ეძლეოდა მას,
მუხრან-ბატონის ქალი სჯობდა ყველა იმათა,
ყველა ადგილას მოისმენდა იმ ქალის ქებას
და თვით მის დედას სასძლოთ ჰსურდა იგი დიდათ.
თვით ელიზბარსაც ის ენახა სვეტიცხოველში,
და მის მშვენებას წაეზიდნა მის ნორჩი გული.
რა რომ დაბრუნდა დღეობიდგან დედასთან სახლში,
მის დაწინდვისა უმალ მისცა დედას დასტური.
ჯერ სრულად ნორჩი ქალი იგი მაზედ დაწინდეს
და ჭასაკს მოსვლას მათს ქორწილსა ელოდებოდნენ.
მოვიდა ჭასაკს, საქორწილოთ მზადება იწყეს
და სიხარულით შეუღლებას ემზადებოდნენ,
რომ აქ უეცრათ საქართველოს ზარი დაეცა:
შაჰაბაზ მძლავრი ქართველ ხალხსა მეხებრ დაეცა,
მთლათ საქართველო აირია: არვინ იცოდა
დღეს ცოცხალთ კაცთა ხვალისათვის რა მოელოდა.
თეიმურაზ არ დაჰმონა შაჰაბაზის ხმალს:
მან თვის ქვეყანა ხალათებსა არ ანაცვალა,
იგი მეფეებს აფიცებდა ნამუსსა და თავს,
შეჰბრძოდნენ მტერსა, ნუ უშვებდნენ ხალხს ღვთის ამარა,

მისთვის ამაზე შაჰი იყო განრისხებული;
სხვაზედ მეტათა შაჰის ჯარნი მას დაეძებდნენ.
ამა ამბავზედ ელიზბარის შედგა ქორწილი,
და მარჯვე დროსა ქორწილისთვის ელოდებოდნენ.
ამ დროს კიდეცა ურისთავი «მოიმწო» ჩუმათ
ამილახვარმა ანდუყაფარ ლაზნელთ შემუსვრად.
ბიძა იასემ ელიზბარი თან წაიყვანა
და მის რჩეული საყმოს გმირი იახლა თანა.
წაჰყვა ელიზბარ თვის საყმოთი ბიძა იასეს.
ის სრულებითა იმ აზრზედა იყო დამდგარი,
რომ ის ან სპარსებს ეომება, ან მთას ამაგრებს,
და ამაზედა მას შეუთქმის ამილახვარი.
მაგრამ აქ ნახა უცნაური რამ სანახავი,
რომ მას ფიქრათაც შეარყევდა ესე ამბავი:
სპარსების წილათ მათ გასწყვიტეს ლაზნელის გვარი...
აქ ელიზბარსა შეეფეთა თავის თამარი:
ნახა თამარი და მის სახემ ის მთლათ შეიპყრო.
იმას როდისღაც ეს ენახა კიდეც სიზმარში.
მაგრამ სიზმარი ესე ისე ცხადი რამ იყო,
რომ ვერ არჩევდა ელიზბარი მართალს და ცხადში;
ნახა სიზმარში სისხლის ღვარი და ცეცხლის ალი,
ნახა უწყალოდ ჭმუსრავდნენ და ჟლეტავდნენ ხალხსა.
თმა გაწეწილი, მოვ-პერანგა იდგა აქ ქალი
და შემართებულს მახვილებსა უშვერდა თავსა...
გამოეღვიძა ელიზბარსა, მაგრამ სიზმარი
ესე უწყლავდა უნებურად სულსა და გულსა;
არ შორდებოდა გონებიდგან ნახული ქალი,
ღრმათ დაბეჭდოდა მისი სახე მის გულის ყურსა.

ნახა სიზმარი და სიზმარი იპყრობდა მის გულს,—
მას შეუყვარდა სიზმრივ ქალი, ვის არ იცნობდა.
ვერ იშორებდა გონებიდგან მას, სიზმრად ნახულს,
და ვითა მართალს მას აჩრდილსა გულს ამოანებდა.
აღსოვდა იგი შეუწყვეტლივ და ხშირად მასა
ის დაეძებდა ყოველს კუთხეს და ყოველს მხარსა;
ეძებდა ხშირად და ხშირადაც ელანდებოდა,
თითქო ისმენდა მის ხმასა და მასა ჰხედავდა.
და აგერ მართლაც, მისი სახე, გაშმაგებული!
ის უცნაური ამბისაგან გაქვავებული
სდგას ბუხრის კუთხეს, მოვ-პერანგა, თმა გაწეწილი
და დედის სისხლსა შესცქერის მთლად აღგზნებული!
სდგას, ვეფხვისავით თვალებში მთლად ცეცხლ ანთებული!...
და აგერ ძმასა გადეფარა, გააფთრებული!
ის, თავ-განწირვით, ძმის მაგიერ თავს მახვილს უშვერს,
და ძმას დარჩენას ევედრება... დედის სისხლის მღვრელს!!..
დიახ, სიზმარი გაუმართლდა! და ელიზბარი
ამ სანახავზედ გადავარდა, ვითა ავთარი.
იმან მრისხანეთ, შესაზარათ შეჰყვირა მტარვალთ,
და ამ რისხვაზედ მათ ხელიდგან ხმალი გავარდათ.
მას აქეთ გაჰქრა მის გულიდგან ყოველი ქალი;
ახლა იმის გულს შეიპყრობდა მარტო თამარი,
მას აქეთ თამარ ცხადლივ თუ ძილს ჰყავდა ხატათა
და თამარისთვის და ჰრაცხავდა თავსა ცოცხლათა!...

## XXV

ვით ანდუყაფარ, იასეცა ცხადათ ჰხ,,დავდა,
რომ ელიზბარი თამარისთვის იკლავდა თავსა;
რომ მის ღსოვნაში ის შვებას და ძილსა ჰკარგავდა
და რომ უთუოთ ცოლად ჰსურდა ის ელიზბარსა.
გულით ბრაზობდა იასეზედ ანდუყაფარი,
რომ არა ჰკლავდა აქამდისინ ღაზნელის ქალსა:
იცოდა რომ თუ დარჩებოდა ცოცხლად თამარი,
გამოაბამდა ის უთუოთ თვის საქმეთ თავსა.
ქსეც ადვილათ მათთვის იყო საფიქრებელი—
თამარ მოსთხოვდა ელიზბარსა ღაზნელთა სისხლსა,
და ელიზბარი გახდებოდა მათ სისხლის მღვრელი.
ანდუყაფარი შედიოდა ამაზედ ფიქრსა;
ის აჩქარებდა, რომ მოეკლა მალე თამარი.
მაგრამ იასეს აფიქრებდა ჯერ ელიზბარი:
იმისი საყმო მისთვის იყო თავგადადებული,
მისთვის ჯერ ამ სისხლს იგი იყო მორიდებული.
იასემ თამარ გაისტუმრა ყამყრის მთასა,
ყარაულები მოუყენა მრავალი გარსა;
მოარიდებდა ელიზბარსა იმის ამბავსა
და ამისათვის შეუკრავდა მას ყოველს გზასა.
მოუსვენრადა მისი იყო საფიქრებელი,
რითმე მოესპო მას თამარის სალსენებელი.
ამა ხანებში მოუკვდა იასეს თავსა,
რომ ქსარგებლა თამარისა მშვენებით მასა.

აქ უცებ გასცა მან ბრძანება, რომ თამარისთვის
მიეცათ შვება, საკადრისად მას მოჰქცეოდნენ,
მხოლოდ არავინ ენახვინათ პირად ამისთვის
და გაქცევისთვის ყოველს საღსარს მას შეუკრავდნენ.
მან გადასწყვიტა თავის გულში ეს განაჩენი,
და განაჩენი ეს ღრმათ ჰქონდა გულს ჩანარჩენი.
უწყო ჩქარობა მუხრან-ბატონს საქორწილოთა,
ამ დაჩქარების შეუთვლიდა ათას მიზეზთა.
მუხრანბატონიც უთვლიდა, რომ ის სულ მზათ იყო,
სწერდა, სასიძო საქორწილოთ წამოსულიყო.
დედამ ელიზბარს განუცხადა და აჩქარებდა,
მაგრამ ელიზბარ არ ჩქაროდა და მდუმარებდა.
დედას უკვირდა ეს ამბავი, ცრემლით ჰკითხავდა.
მაგრამ დედასაც თავის გულის თქმას უმალავდა.
ბოლოს, როდესაც ვერ გაუძლო დედის ცხარს ცრემლსა,
მაშინ ელიზბარ ეტყვის დედას თავის მწველს ცეცხლსა.
დედა ჯერ ხანად შეჰკრთება და ეუცხოვება,
შემდეგ ეს აზრი თითქო კიდეც მოეწონება:
მთლათ სადაზნელოს მებატონე იგი გახდება,
და საერისთოც კიდევ ხელში იმას დარჩება!
ყოველს დედა-კაცს ეს დიდება გაიტაცებდა,
და გაიტაცა ელიზბარის დედაც ამანა.
მაგრამ, როდესაც მოაგონდა და ღრმათ ჩაფიქრდა —
სინანულსა და დარდებში მან შეიყვანა.
მაშინ ის მტრათა გაიხდიდა სამს დიდს თავადსა:
მუხრან-ბატონსა, ერისთავს და ამილახვარსა!
სამნივ მას შვილსა სასიკვდილოთ არ დაზოგავდნენ,
ვით სადაზნელოს, იმას საუმოს შუა გაჰყოფდნენ.

და აქ დამწვარი დედა მისწვდა შვილს ცრემლებითა, —
თმა გაწეწილი შემცდარს შვილსა ევედრებოდა,
ეშმაკის საფრთხეს ნუ აბამდა თავს თვის ნებითა,
თორემ ეს საქმე დაჰღუპავდა და დაამხობდა.
დედა ელიზბარს უმტკიცებდა ცხარე ცრემლითა,
რომ ორივესთვის სარცხვა იყო, სჯობდა ბევრითა
მუხრან-ბატონის დათვისება და დამოყვრება,
რომ მეფის დარი კაცი მომხრედ მას ეყოლება.
მაგრამ ამაოდ დედა ჰღვრიდა ცხარე ცრემლთ რუსა:
არა ლაპარაკს არ უგდებდა ელიზბარ ყურსა.
სიკვდილი უჯობს თამარისა დაშორებასა
და გადაკვეთით ეტყვის იგი ამას დედასა.
ამ დროს იასე გორის ციხეს იახლა შაჰხსა,
უცებ ელიზბარს უცნაურად მოადგა კარსა
გორის ციხიდგან შაჰ-აბაზის მძლავრი ბრძანება,
რომ მუხრანიანთ ქალის შერთვა იყო მის ნება.
თუ ელიზბარ მის ბრძანებას შეასრულებდა,
მაშინ მის სიმამრს თავის საყმოს დაუბრუნებდა,
დანაშაულსაც ყოველისფერს მიუტევებდა
და მის საყმოდგან თავის ჯარებს გამოიყვანდა;
თვითონ ელიზბარს გაავსებდა თვის წყალობითა,
განდეგილთ თავადთ ყმებს მისცემდა ათასობითა,
ოქროთ და ვერცხლით შემოსავდა, თვის ხმალს მისცემდა
და თავის კარის ყულობასაც დაუმტკიცებდა.
თუ რომ გაჰბედავს და დაარღვევს ამ ბრძანებასა,
მაშინ თვის რისხვას მას ყეენი მოუვლინებდა,
შეანანებდა იმას ავათ თვის ურჩებასა
და მის ლეშზედ ყვავს და ყორანს აამეივრებდა.

ეცა თავს ზარი ელიზბარის მწუხარე დედას,
ის თავის შვილსა შეევედრიდა მუხლებ მოყრილი,
რომ ნუ ასდევდა გულის თქმასა და მავნე ეშმაკს,
და თავის ბედსა მან აჰყაროს მძიმე ბორკილი.
მაგრამ ელიზბარ შესტიროდა თვითონ დედასა,
რომ ის ვერას გზით ვერ დაჰყვება იმას ნებასა;
რომ უთამაროთ ვერ იცოცხლებს ის ვერც ერთს დღესა,
და მას თამარი ურჩევნიან ქვეყანას მთელსა.
მაშინ მიჰმართავს სხვა ღონესა საბრალო დედა:
გულის მეგობართ და ნათესავთ შეუყენებდა.
ბოლოს დაიწყო სასიკვდილოთ იმან მზადება,
და მაზედ მოძღვარს კიდეც უთხრა მან აღსარება.
მაშინ ძლივს გასჭრა დედის ცრემლმა, დედის ვედრებამ,
ნათესავთა და მეგობართა რჩევა-ვედრებამ.
მან მორჩილებით მოინდომა დაქორწილება.
საქორწილოთაც სასწრაფოთა იწყო მზადება.
უკეთესთ ვაჟკაცთ თვის საყმოში მისცა ბრძანება,
რომ საქორწილოთ ბატონისა შეკრებილიყვნენ;
რომ სიმამრთანა საკადრისად შესძლოდა ხლება,
უპირი მისვლით იმასთან არ შერცხვენილიყვნენ.
შემოკრბა საყმო სულ ვაჟ-კაცი და სულ რჩეული,
სულ მკლავ გაწვრთილი და ბრძოლაში გმირად ცნეული.
მათშიც ელიზბარ აარჩივა მხოლოდ ორმოცი
საუკეთესო გამოცდილი გმირი ვაჟ-კაცი.
რადგანაც რომა დიდს ქორწილსა ამა ხანებში
მუხრან-ბატონი ვერა რა გზით მოახერხებდა,
რაკი ის იყო სახიზნ ადგილს გასული მთებში
და ყველავერში ვიწროობას იგი ითმენდა.

ამისა გამო ელიზბარმა სხვა თვისი ყმანი
თავ თავის სახლში გაისტუმრა. თვითონ სხვებითა,
რჩეული ყმებით, არ აყოვნა დრონი და ხანი,
საქორწილოთა მთას გასწია გაჩქარებითა.

## XXVI

რაკი თამარმა შეუთვალა თვის ელიზბარსა,
რომ სამუდამოთ მას სწირავდა გულსა და თავსა,
ის სუყოველ დღე თვისთან სატრფოს ელოდებოდა
და იმის გზაზედ შეუწყვეტლად თვალი რჩებოდა.
თამარ მთელი დღე დადიოდა და იჯდა გზაზედ,
რომელი გზითაც მოელოდა თვის ელიზბარსა:
ფრინველთ ყრიყინზედ, თხის ნახტომზედ, სიოს ბერვაზედ
მას ჟრიანტელი დაუვლიდა მთელს გულს და გვამსა;
გულის კანკალით, თვალთ დაჩნევით, ამ დროს ხტებოდა
და მღელვარებით სატრფოს გზისკენ იცქირებოდა.
მაგრამ ამაოდ! დღენი დღეებს გასდევდნენ უკან
და ამბით ცნობაც არა ჰქონდა მას თვის სატრფოსგან.
ამა ლოდინში თამარ სრულად ჰკარგავდა სასოს,
გულით იმედი მას თან-და თან ამოხდებოდა,
ხასო მიხდილი, გულში სიკვდილს იძრახდა ამ დროს,
და სიკვდილის წამს მას... იმედი უბრუნდებოდა.
ელის თამარი გულ მილევით, მომწყდარი სახით,
ელის და ცეცხლი ედებოდა იმის სიცოცხლეს.
ვერცა ტყვეობამ, ვერცა სისხლმა თვის მწველი ალით,
ეს მწარე დღენი და სევდანი ვერ დააყენეს

წმინდა მამანი, როცა სთხზავდნენ საწამებელსა
კაცთ გასაწრთველად უარესს და საზარელს ცეცხლსა,
გეჰენის ცეცხლზედ უარესი ვერ მოიგონეს
და მისი ზარით კაცთ დაჭერა ხელთ მოინდომეს:
ჰხედავდა მხოლოდ ხორცის ცეცხლსა მათი გონება,—
უმაღლეს მხარეს არსებისას ვერა ჰხედავდნენ;
იმათ ვერ იცნეს კაცთა გული, კაცთა ზნეობა,
და მიტომ მასაც იგინი ცეცხლს ვერ უკიდებდნენ.
ვერა მტარვალთა, კაცთა მტერთა, ვინ თვის ცხოვრება
წამების საღსართ მოგონებას სრულად შესწირეს,
ვერ მიაგნეს ცეცხლს, ცეცხლს, რომელსა არრა ედრება,—
ცეცხლს ზნეობისას, გულის ცეცხლსა, ცეცხლს უსაზარლესს.
მხოლოდ მიაგნეს ამა ცეცხლსა მტარვალთ ჩვენთ დღეთა
მხოლოდ გაწვრთილმა გონებამა მიაგნო მასა.
თავი ანებეს ცეცხლთა, კაცთა ხორცის დამწველთა
და მოუკიდეს ცეცხლი კაცთა გულის გრძნობასა.
დიახ, თამარი ზნეობითა იტანჯებოდა.
ვით ჩუმი ცეცხლით, მისი გული იფერფლებოდა
საქმროს ლოდინით და მის ამბის უცოდინელობით.
ნეტავი მას, ვინც არ ეწამა არსად ზნეობით!...
და აგერ კიდეც ესმის, რომა მის ელიზბარსა
მოუმზადებენ საცოლოთა სხვა ლამაზ ქალსა;
რომ იგი ქალი იყო მისგნით მოწონებული
და ქორწილიცა მათი იყო მომზადებული.
მაგრამ იმშვიდებს თამარ კიდევ მით გულს და თავსა,
რომ მასუკანა მან უჩვენა მას საყვარელი.
მაინც უნებლეთ ნორჩსა გულსა თამარისასა
იმა ქალზედა შეიპარა ეჭვი და შური.

ჩვენ სიყვარული შურით გვივსებს სულსა და გულსა,
იჭვები იპყრობს მთლად ჩვენს ცნობას და გონებასა:
მღელვარებით და გულის ცემით ვადევნებთ ყურსა
ჩვენთა სატრფოთა ყოველს ძარღვის მოძრაობასა;
და თუ მათს სახეს ოდნავ გასჭვრავს ფიქრის ღრუბელი,
ან გაუელვებს რამ მოლხენა მოულოდნელი,
ჩვენ იჭვებითა აგვიღელვებს შურსა გულშია,
შხამითა გვწამლავს და აგვიშლის წყლულსა წყლულშია.
ჩვენ სიყვარული ძვირად გვხვდება ხვედრად წილშია.
გარეშე მტერი, მოძმე-მტერი, მოყვარე-მტერი,
მტერი ლხინსა და მტერი ყოველს გასაჭირშია,
გული მტრობისა მოლოდინში გვაქვს მუდამ მძგერი,
და ძლივას ერთსა ვპოვებთ სანდოს და მოზიარეს,
მაშინ გვინდა რომ იგი სრულად ჩვენ გვეკუთვნოდეს,
და თუ ვხედავთ რომ ის თვის გულში სხვასაც წილს უდებს,
მაშინ ამასა გული ჩვენი ძნელად ინელებს.
გული კაცისა წამებული და მოქანცული,
გაუტანლობით გამოთხალი და შეშინებული,
იმავ სიყრმიდვე გაჯერებული ცეცხლით და გესლით,
ძმის ღალატითა და მეგობართ დაუნდობლობით,
დაეძებს მწარედ თვის ტკივილის თანამგრძნობელსა;
და აგერ იგი ძლივას ჰპოვებს გულსა ამგვარსა.
უხსნის მას გრძნობას, უზიარებს გულის მცნებასა,—
მიანდობს იმას ყოველს ლხინს და ყოველს სევდასა,
და აგერ იგიც იცვლის ჩვენზედ გულს და გრძნობასა,
ითვისებს სხვასა და მას სწირავს ყოველს ცნობასა,—
ეს ჩვენს გულშია გეენისა ცეცხლსა აღაგზნებს,
და თითო წამი ჯამა დღეთა შხამით გაგვავსებს.

«ნუ თუ ის ქალი ელიზბარსა მართლა უყვარდა?!»
ჯერ ეს ფიქრიცა თამარს შხამით გულსა უწყლავდა;
და ახლა უფრო მოუმატა იჭვი და შური,
რა ელიზბარის არლა ჰქონდა ცნობა მოსული,
და ჰფიქრობდა რომ სხვა სატრფოზედ იმასა სცვლიდა,
სხვასა სწირავდა ახლა თავის ჭაბუკსა გულსა,
გულით მას ტრფობას ძირიანად აღმოიფხვრიდა,
და მას გახდიდა სამუდამოდ დავიწყებულსა.
უწყლავდა შური თამარს გულსა, და სხვა სევდაზე
ახლა ეს გრძნობა უფრო სწყლავდა იმის გულს და გვამს.
ის უიმედოთ იდგა შეტყრებრ მოსავალს გზაზედ
და გულის კვნესით დავრდომილი დაჰყურებდა ტბას.
დაჰყურებდა ტბას და შურითა ის შესცქეროდა,
რომ იქ ფრინველნი წყვილ წყვილათ ნებიერათა,
ალერსიანად სიხარულით წყნარად სცურავდნენ,
სტკბებოდნენ წამით და სიცოცხლით გაიხაროდნენ.
ველურ ფრინველთა, წყლის მცურავთა, მიწას ქვემძრომთა,
მთისა ნადირთა, ტყისა მხეცთა, უძლურთ ჭიათა,
ყველასა ჰყავდა მეუღლე და გულისა ტოლი;
თამარ კი კაცი, კაცის გონათ—იყო ობოლი!...
აღელვებული, დაჩაგრული უვლიდა ტბასა
და ნეტარებით მოელოდა მთის ქარიშხალსა;
ელოდა გულით მთის ზვავებსა, ტბისა ღელვასა:
მათს ღრიანცელში გაერთობდა ფიქრსა მღელვარსა.
და აგერ უცებ გავარდა ხმა: მის ელიზბარი
ემზადება რომ დაიწეროს სხვა ქალზედ ჯვარი;
რომ სამაყროთა შეუყრია მოყმე რჩეული;
რომ თვით ყეენი საქორწილოთ ჰყავს მოწვეული.

ამ საზარო ხმას თამარ მოჰკრა შემკრთალი ყური
და უგონოთ ის დაეცა თავსზარ-დასხმული.
მან არ იცოდა—სიზმრად იყო ის თუ ცხადათ
და ათასჯერა იკრებდა გულს და ფიქრთ მღელვარეთა.
მაგრამ ყოველგან ის ისმენდა ამავ სიტყვასა,
დაბეჯითებით უამბობდნენ მას ამ ამბავსა...
მაშინ გულმკვდარი ის შევარდა თავის სადგურსა,
დაეგდო პირქვე და დაჰღვრიდა ცრემლებთა რუსა.
ეგდო უძრავად, უგრძნობელად, გონ-დაფანტული,
მას არ ესმოდა, რა ხდებოდა მაშინ მის თავსა;
ის ხან, ვით თონე ენთებოდა, ცეცხლ-მოდებული,
ხან ცივდებოდა, ვითა მკვდარი, მდები საფლავსა.
როს მოვიდა გონს, ის განერთხო ჩოქისა თავსა,
ორთავ ხელები მხურვალებით განუპყრო ხატსა:
წმინდა ხატის წინ თავის ბედსა მწარედ მოსთქვამდა,
და აქ ყვედრება ვედრებაზედ მეტი ისმოდა.
— ღმერთო მაღალო, რა შეგცოდე, მიუწდომელსა,
რა ცოდოები მიმიძღოდა ბავშვს, უცოდველსა,
რომ ჩემს სატანჯველს, ჩემსა ცდასა, ჩემსა ვალალსა
ბოლოს არ უდებ და არ აძლევ დასასრულს გზასა!
— და, თუ მაქვს ცოდო, რით ვერ გზღე ამდენი ტანჯვით?!
ჩემნი ტანჯვანი მოალბობდნენ პიტალთ კლდეს გულთა!
შენ ხომ ღმერთი ხარ, ღვთაებრივის გულით მაღალით,
ღმერთი ყმაწვილთა, ღმერთი მართალთ, ღმერთი ტანჯულთა!!
— და, ნუ თუ ჩემზედ მეტი ვისმე უცდია ტანჯვა?!
ნუ თუ სიმართლე ჩემზედ მეტი ვისმე მიუძღვის?!
რად არ მაკმარე წამება და ამდენი საჯვა,
რისთვის შემყარე იმას, ვინცა არ გსურდა ჩემთვის?!

— გულთამხილაო, ვინ ყველას ბედს იპყრობ ხელშია,
ვინ ყველას გულში იხედები და ჰხედავ ყველას,
ნუ თუ სიბრალულს არ აღვიძებს შენს ღმერთს გულშია,
რაცა რომ ცეცხლი გეენისა გულში მიბრუნავს?!
— ნუ თუ ამ ცეცხლსა რამ უდრიდეს კიდევ სასჯელი?!
ყველას დამკარგი, ობოლი, ტყვე, ხელუპყრობელი,
უნათესაო და თვის ტომთა ამოწყვეტილი,
მშობელთა გვამზედ თვის ტირილსაც კი მოკლებული,
— მე მარტო ერთი-ღა ნუგეში მქონდა ქვეყნათა,
მარტო მითი-ღა ვიბრუნებდი ცოცხლივ გულს მკვდარსა,
და ისიც ჩემთვის შეიშურე, და უწყალოთა
მომგლიჯე გულით და უბოძე იგიცა სხვასა!
— ნუ თუ, მართალო, შენ სიმართლე ჩემთვის დაჰკარგე
და რისხვა შენი ჩემზედ მარად გსურ იქონიო!
მაშ ერთსა გვედრი, ეს წყალობა მაინც მომაგე:
შენ შეიწირე ჩემი სული, მომიღე ბოლო. —
მან ასე ღელვით, ტანით ჩაცმულმა, თმა გაწეწილმა
მთელათ მთელი ღამე გაატარა ლოცვითა ცხარით.
აგერ მთის წვერებს ისრებივით სხივი ჰკრა მზემა,
თამარ კი ისევ ხატების წინ სდგას ჩოქის თავით.
მას აღარ ახსოვს აღარც თავი და აღარც ძილი:
ახლა მის გულში ისახება მხოლოდ სიკვდილი;
სხვა რამე ფიქრი, სხვა რამ გრძნობა მას აღარ უცემს,
მხოლოდ სიკვდილის საღსარს თამარ გულში დაეძებს.
შეჰხედა თამარ მთის წვერებსა და ალმასივით
მზის სხივებისგან გასჭვიოდნენ ლაპლაპით, ბრწყინვით.
ცას მოწმენდილსა და სპეტაკსა გააქვს კრიალი;
მთით მომჩქეფარე მდინარეთა ისმის ჩქრიალი.

აქ ელვებრ სწრაფად ადგა თამარ აღტაცებული,
საჩქაროზედა გადაისვა ხელი თვალებზედ,
მხრებს გადიყარა, გაისწორა თმა დაშვებული.
და უცებ შეხტა, ვით კანჯარი, ფანჯრისა ბჭეზედ.
მაღალს კლდეზედ მდგომს კოშკი ადგა მაღალს ციხესა,
და ეს კლდე იყო ჩამართული ტბისა სიღრმესა.
ძირს დამშვიდებით, სარკესავით ანკარა წმინდა
გაჭიმულიყო უძრავათ და ნებიერაი ტბა.
გადაიხედა ძირს თამარმა და მისი თვალი
თავის კოშკიდგან ძლივს სწვდებოდა კლდისა ძირასა.
ახლად ამოსულთ მზისა სხივთა გააქვთ კრიალი,
უთამაშებდენ მომბზინვარე ტბის წმინდა წყალსა.
და აქ თამარმა დაიჩოქა სანათურის პირს,
და ტბისა წყლებსა გატაცებით ესაუბრების:
— თქვენ, წმინდა წყალნო, ვინ სარკეთა მე მსახურებდით,
ვინ ჩემს წამებულს გულს მრავალჯერ ნუგეშსა სცემდით,
— ვინ მხოლოდ მარტო მოისმენდით ჩემთ გულის თქმათა,
ძმურათ, მშობლიურათ ითვისებდით ცრემლთა მხურვალთა,
ვინ ამდენს ხანსა მიხშეთ სევდა გულს მეგობრულათ, —
თქვენვე მიმიღეთ თქვენს ტალღებში განსასვენებლათ.
— მარტო ღმერთსა და თქვენს ტალღებსა ვანდობდი გულსა,
მაგრამა ღმერთმა არ უსმინა გულს, წამებულსა;
მხოლოდ-ღა დამრჩით ქვეყნიერად თქვენ ნუგეშათა:
ჩემს გულს მშვიდობა უნდა მისცენ თქვენთავ ტალღათა.
— თქვენ მშობლიურათ გაშილსენით თქვენი კალთები
და სუდარის წილ მომახვიეთ თქვენი ტალღები! —
არ ვინ ხმელეთზედ ჩემს დანთქმაზედ თქვენ არ დაეწყვლით,
არ ვის სულდგმულსა გულს არ ატკენთ თამარის დანთქმით!

— მე ქვეყნიერად სატირელი აღარ ვისი ვარ,
და აღარც ვისთვის მკვდარი გული ჩემი ვალალებს;
თვითონ ღმერთისთვის მეტი ვარ და აღარ უნდივარ.
მხოლოდ ტანჯვისთვის ის სიკვდილსა ჩემსას ახანებს.
— და ტანჯვა ჩემი გადემატა ჩემს მოთმენასა!...
ჰოი! წმინდა წყალნო, ნუგეშ ეცით ჩემს ტანჯულს გვამსა!
თქვენ ჩააქრით ჩემს გულშია უშრეტი ალი,
თქვენ დაამშვიდეთ ცრემლებისგან დამწვარი თვალი! —
მოსთქმიდა თამარ, და ბუნება მხიარულებდა:
მზისა ნათელი ოქროსავით მოახნათებდა;
ტბისა პირასა ირემთ ჯოგი დანავარდობდა,
და ხეობებში ზვავთა გრგვინვა შორს გაისმოდა.
მაგრამ თამარის გულს სიცოცხლის არ რა ესმოდა,
მას ყველა გრძნობა ცხოვრებისა გულს ჩაჰქრობოდა:
იმას სიკვდილი გულში ჰქონდა გადაწყვეტილი
და თვისი ტანჯვის დამშვიდებათ აჩნდა სიკვდილი.
იგი წამოდგა საჩქაროზედ, გრძნობა მღელვარი,
ერთიცღა კიდევ გადიწერა უგრძნოთ პირჯვარი,
ერთიც მშვიდობა შეუთვალა ტანჯულს სიცოცხლეს
და გატაცებით მიეყუდა სანათურის ბრჭყეს
და გადეწოდა ტბის ტალღებსა... აგერ ვარდება!...
აქ უცებ მოჰკრა იმან თვალი მხედართ გზაზედა.
ისინი ციხეს სასწრაფოთა ეშურებოდნენ
და მოუთმენლად ციხის კარებს გარს ერტყმებოდნენ.
მინამ თამარი შეიკრებდა ფიქრთა ღელვილთა,
მინამ მხედარნი გარს მოადგნენ ციხეს ნგრევითა.
იელვა ხმალმა! აგერ, კიდეც გავარდა თოფი.
ციხეს მივარდა დასაცავად მცველი, მუნ მყოფი.

ამ სანახავზედ თამარს გული უცემდა მძლავრად:
ის განცვიფრებით დაჰცქერდა ფანჯრიდგან მხედართ.
თითქო ნაცნობსა დაეძებდა ვიღასაც მათში. —
თვის ბნელი ზრახვა შეაყენა ამან მათს ცდაში. —
აგერ იჭრჭა საზარელად ციხის კარებმა
და დგრიალითა იგი მძიმეთ დაეშვა ძირსა;
აგერ ვერ უძლო ამ მხედართა თვითონ ცისემა,
და შემოფანტეს ციხის მცველი ვით ჯოგი თხისა.
აგერ თამარის კარების წინ გახდა ხმლის ელვა!
მისი კარები დაიჭირეს ციხის მცველებმა.
მაგრამ აგერა ერთმა ნორჩმა ასალგაზდამა,
თავით ფეხამდის იარაღში სულ მთლად ჩამჯდარმა,
გალომებულმა, ანთებულმა, გულმრისხანეთა,
მეხებრ გააპო ერთ წუთაზედ ჯგუფა მის მცველთა,
აგერ მის მხლებელთ იგი მცველნიც სრულად შეიპყრეს...
შეჰხედეს კოშკსა და თამარი კარებში იცნეს...
შეჰხედა თამარ და ლოძ გულში სცნა ელიზბარი...
ჰშვენოდა იგი აბჯრიანი და ნაომარი!...
იცნა თამარმა და... მინამდის გონს მოვიდოდა,
იმის ელიზბარ იმას ცხარედ ყელს ჰკვეოდა!...

## XXVII

მაისისა მზე ნებიერად ადგა მთის წვერთა.
ყოველს მხარესა ქაფის სვრით და ღრიანცელითა
ნაკადულთ დვარი მთის თოვლთაგან ჩამოსჩქეფამდნენ
და თვის ველური მშფოთარებით ყურთა ატკბობდნენ.

ცალფეხს ბილიკზედ თოვლიანთა და სიპთა კლდეთა,
მთის ცქვიტნი ცხენნი ბორძიკითა დაეშვებოდნენ.
გულმხნე მხედარნი სიფრთხილითა ჰმართავდნენ ცხენთა
და სიფრთხილითვე თოვლიანთა გზათა იკვლევდნენ.
ამ მხედართ შორის ბედნიერად მომავალობდა
ნეტარებითა აღვსებული ორი მიჯნური...
სამშვიდობოსა ადგილისკენ მიისწრაფოდა
თვისი თამარით ბედნიერი ყრმა ელიზბარი.
იმათ გზა ედოთ დიახ შორი, დიახ საძნელო:
მათ ჩერქეზეთში გადასწყვიტეს, რომ გადასახლდნენ,
სად ელიზბარსა დედეული ჰყავდა სამშობლო;
სად ანდრუყაფარ და იასე ვერ მიაგნებდნენ.
ჰოი სიყმაწვილევ! არ აქვს საზღვარი შენს გაბედვასა!
საბოლოოსა ხშირად სწირავ ცხარს გულის თქმასა;
ხშირად წუთს არჩევ საუკუნოთ მშვიდს ცხოვრებასა,
მაგრამ ეს წუთი ხშირათა სჯობს მთელს სიცოცხლესა.
როგორც რომ ხშირად ერთი წუთის სულით წამება
მთელი სიცოცხლის სატანჯველსა შეედარება,
ეგრეთვე ზოგჯერ ერთი წუთის ტკბილი ამება
მთელი სიცოცხლის ტკბილთა დღეთა გადემატება.
რა არს სიცოცხლე, თუ არ წუთი, ფიქრთ გაელვება?
და კაცთ სიცოცხლე არს წამება და ვალალება.
დაე გონებას დაამონონ მუდამ თვის გული,
ვისაც ყმაწვილი სისხლი არ აქვს აღელვებული!
მაგრამ ყმაწვილს გულს უყვარს ბრძოლა და მღელვარება,
ის თავს შეჰსწირავს გულის თქმათა და მჩქეფარს სისხლსა;
მის გულს იმონებს მხოლოდ მაშინ მშვიდი გონება,
როდეს ეწვევა უძლურება მის ძვალს და რბილსა.

ამ გვარ ელიზბარ საშინელსა საქმეს ჰზრახავდა:
ერთი ქალისთვის, ვის პატრონი ქვეყნად არ ჰყავდა,
ვინ თვის გულის მეტს ვერ მისცემდა მას ვერაფერსა,
ვინ გადუმქცევდა წამებათა მთელს სიცოცხლესა,
ის თავს სწირავდა და ქვეყანას ანაცვალებდა;
თვის სარჩო-სამყოფს და საყვარელს ტკბილსა დედასა
თვის სისხლის მსმელთა სისხლიანსა ხელთა აგდებდა
და, ამ უძლურს ქალს ის სწირავდა ქვეყნად ყველასა.

მაგრამ არ აღსოვს არაფერი ჭაბუკსა ერმასა:
ის ნეტარია, თვისად ჰხედავს თავის თამარსა,—
იმას იმისი ერთი ნახვა, სმისა მოსმენა
მთელს სიცოცხლესა და მთელს თავის ბედსა ერჩივნა.

მოდიან ესრედ ბედნიერნი და ხვალ დილასა
ეპირებიან ჯვარის წერას სტეფან-წმინდასა.
იქ ქორწინების გვირგვინითა შეიმოსვიან,
საუკუნოთა სულით, ხორცით შეერთდებიან.

და ხვალისათვის რა იქნება, არა სწყვენ დარდს,—
არცა ვინ იცის, რა იქნება ხვალა და ვის თავს;
მიჯნურთა გული, ნამდვილთ მიჯნურთ არ ეძებს ხვალას,
ის წუთით სტკბება და ეს წუთი სჯობიან მთელს ჟამს.

მოდიან ასრედ სრულ ნეტარნი, ბედნიერათა,
ნეტარებითა აღსავსენი თვის ნეტარებათ.
ვერ წარმოსთქვამენ ცხარე სიტყვით, და თვის გრძნობათა
მდუმარებითა წარმოსთქვამენ უფრო მეტყველად.

მიდიან სრულნი ბედნიერნი იმა ძნელს გზასა,
და არა ჰგრძნობენ არც დაშრომას, არც დაღალვასა;
მიდიან, თითქო ფრთებ შესხმულნი, თვის სიმარდითა
გააკვირვებენ გამოცდილთა პირველ მხედართა.

მიდიან ასრე და მყინვარის ხავსიანს თოვლებს
მიადგენ ძარში, სთელავენ და ადგამენ ფეხებს;
მიდიან, სადაც კაცის ფეხსა არ გაუვლია,
სადაც ბილიკი მთის ნადირთგან გაკვლეულია;
სად გამბედავი მონადირეც ვერ გასდევს ჯიხვსა,
სად დამშვიდებით დანავარდობს ქურციკი მთისა;
მიდიან, სადაც ირემთ ჯოგი მეფედ თავსა ჰგრძნობს,
სად დაუნდობელს და მუხთალსა კაცსა არ ჰშიშობს.
მიდიან ასრე, და აგერა ისინი მაღლა
მთელსა კავკასსა წვერს მოექცნენ ვითა ორბები.
აქ იმათ თვალ წინ გადიჭიმა და გადიშალა
მთელი კავკასი და გარემო მისა ქვეყნები.
შორს რბის მათ თვალი და მათ თვალწინ დაუსრულებლად
იჭიმებოდა ცის კამარა, ვრცელი ქვეყნები.
შეჰხედა თამარ თავის ქართლსა და უნებურად
შემკრთალთ თვალთაგან წარმოსცვივდა ცხარე ცრემლები.
მას აუდუღდა უნებურად მწველი გრძნობანი
და წარმოუდგა შემუსვრილნი თვისნი და-ძმანი;
მას წარმოუდგა იქ ნახული მწარე დღეები,
ტანჯვა ხალხისა, ღალატი და სისხლის ღვარები.
ზოლნი მთებისა იმათ თვალ წინ იჭიმებოდნენ,
მიდიოდნენ შორს და სივრცეში იკარგებოდნენ;
ხეობებიდგან, ვეშაპივით გაჭიმულები
იხლაკნებოდნენ ვრცელს ვაკეში მდინარე წყლები.
თამარ საჩქაროთ მოაშორა თვალი სამშობლოს
და გაართობდა გულს ველურთა მთათა ცქერაში
და შეჰყურებდა ელიზბარსა — თვის ნეტარს სატრფოს,
თან მოწამლული და თან მყოფი ნეტარებაში.

ართობდა გულსა გულსრული და დაღებით გულზედ.
და აგერ მთიდგან ძირს დაეშვნენ ჩვენი მგზავრები.
აგერ მოდიან ხეობისკენ მთისა ბორცვებზედ,
ჩაკიდულივით, ციცაბოზედ ჩაღმართულები.

იბორძიკებენ წინ ბოძებრივ ფეხებს ცხენები
და ვითა კომლი ასდიოდათ ოფლის ხვირთქლები;
მოდიან თავ-ქვე და აგერა მთისა ბორცვები
თავს დამუქრიან, მოსანზღვევლად დაკიდულები.

მიდიან ძირსა, ვით ზღაპარში, მიწის ქვეშეთისა,
ვიწრო ხეობა გადაუმხოთ იმათ თავებსა;
სალი კლდეები, შემართულნი უბსკრულს ჭაერსა,
თითქო თავით ცას ებჯინენო, ჰფარავდნენ მზესა.

ძირს კლდიდგან კლდეზედ, ღრიანცელით და მრისხანეთა
წყალი მშფოთარე ქაფს ისვრიდა, კლდეთ აქანებდა;
მაღალთ კლდეთაგან, ქუხილითა და ჩხრიალითა
უანგარიშო ნაკადული გადმოსჩქეფავდა.

ამა ღრიანცელს საშინელთა და წყალთ მშფოთვარსა,
ყრუ-ღრმა ხეობა გუგუნითა აძლევდა ხმასა.
მაღლა ცა არ სჩანს, ძირს ქვესკნელი თითქო გახსნილა
და ჯადოქრული მყუდროებით არე გავსილა.

იყო დუმილი, უდაბური, კაცთ უსადგური,
და უნებლიეთ ძრწოლდებოდა აქ კაცის გული.
სიყრუვე სრული, მხოლოდ მშფოთართ წყალთ ხმა ისმოდა
და ქაფდასხმული თოვლის წყალი მთათგან ღვროდა.

მოდიან ასრე ჩვენი მგზავრნი, მოქანცულები
და ეს ბუნება უნებლიეთ მათ ადუმებდა.
ცხენი თუ მგზავრი, მოღლილნი და მოწყვეტილები
მოუთმენელად მოსვენებას ელოდებოდა.

მიდიან მდუმრად, და აგერა მთისა წვერზედა,
სად საუკუნედ გაჩენიდგან თოვლი სადგურებს,
უცნაურადა შავად სქელი კომლი ავარდა.
„მოვიდა ზვავი“ გამოცდილთა მხედართ შესძახეს.
დაიძრა ზვავი მთის წვეროდგან და მისმა გრგვინვამ
ჯოჯოხეთისა გუგუნითა განვლო მთით მთიდგან.
აზვავდა თოვლი, წამოვიდა მდევებრ ზღაზნვითა,
თან ძირს მოდის და თან იზრდება. აქ დიდი ხმითა:
—ჩქარა ცხენს ქუსლი!—შემოსძახეს მთას გამოცდილთა.
და სუყველამა მოუჭირა ქუსლები ცხენსა...
აგერა ხევში გუგუნითა და გრიალითა
დაეცა ზვავი და სიბნელე დასცა ყრესა.
დაბნელდა იმგრგვლივ, დადგა თოვლის კორიანტელი,
და თვალთაგანა არა ფერი არ ირჩეოდა.
არ ვინ იცოდა, სად ვინ იყო, და საზარელი
თოვლისა ზვავი ხომ არავის არ დასწოლოდა.
მინამდის ფიქრსა მოვიდნენ და მინამ ბნელი
გაიბნეოდა და ერთმანეთს კიდევ იცნობდნენ,
უცებ მოესმათ თავს ყიჟინის ხმა საზარელი,
და შიგ შუა გულს ხმლით მხედარნი მათ ჩაერივნენ.
ვიდრემდის ვინმე მოვიდოდა გონსა და აზრსა,
მინამ დამსხმელთა ხელი სტაცეს შემკრთალს თამარსა;
მინამ მხლებელნი მოავლებდნენ იარაღს ხელსა,
მინამდის თამარ მსწრაფლ შეაგდებს ბედაურს ცხენსა,
და სიბრაზითა უწყეს ჟლეტა მხლებელთა მისთა,
თან, გაჩქარებით ვიღასაცა სხვას დაეძებდნენ.
რა ვერ ჰპოვებენ თვის საძებარს, თვალთ სისწრაფითა
გაიქცევიან და თან თამარს გაიტაცებენ.

## XXVIII

რა ქლიზბარი იფარავდა თამარ ლაზრეულსა,
რა მისი შიშით ვერ ჰბედავდნენ თამარის სიკვდილს,
აქ ანდუყაფარ ამილახვარს და იასესა
თავს მოუყვედათ პატრონობა სხვათვრივ თამარის.
ეს განაჩენი მოუვიდა თავს ჯერ იასეს;
და მასუკანა გაუმჟღავნა ანდუყაფარსა.
ორთავ განზრახვა ერთმანეთსა ეს მოუწონეს-
აქ შედავათი ტყვეობაში მისცეს თამარსა.
შემდეგ სასწრაფოთ ორივენი იახლნენ მეფეს,
და ორივენი მოწიწებით წარსდგნენ მას წინა:
ვით თვის ხელმწიფეს ორივესა უხრიდნენ თავს.
და შეენმაცა მათ წყალობა თვისი უჩინა.
ყოველს მტარვალსა გამცემი და მოძმეთ ორგული
თვის გვარევინისა დიდებათა ჰყავს მიღებული;
გამცემთაცა თვის დიდება, ძალა ძლიერი
ყოველს მტარვალსა, ყოველს დროში. აქვს შემწნილი -
შაჰი-აბაზი ორთავ ამათ სცემდა პატივსა.
ორნივ თავისი ყმარებითა ახლდნენ შაჰს გვერდსა;
შაჰი წყალობას იმათზედა არა ჰზოგავდა
და თვის საქმეთა შაჰი ხშირად ამათ ჰკითხავდა.
ახლდნენ შაჰს გვერდით ესენი და სხვანიცა მეფენი,
ვინ თვის ქვეყნისა სამტროდ ყეენს ხელს უმართავდნენ;
ახლდნენ მას გვერდით თაყვანებით და მოკრძალენი,
ვინ თვით აქამდის მეფის ერთგულ ყმათ ითვლებოდნენ.

ახლდა მას გვერდით თვით შადიმან მეფის გამზრდელი,
მეფის ერთგული და მეფისა გონის გამღ'ნელი.
გუშინ გაზრდილი ლუარსაბის ჰფიცავდა მზესა,
დღეს ძაღლისავით შაჰაბაზის სლანქავდა ხელსა.
ახლდნენ ყეენსა და ხალათებს მისგან იცვამდნენ,
ამ ხალათებში თავის მშობელს ქვეყნებს გასცემდნენ.
გასცემდნენ მოძმეთ, თვის აღმზრდელსა და მშობელს ხალხსა,
მათ ქუსამუსრად ხელს აწვდიდნენ მახვილს შაჰსა.
ახლდა იგიცა შაჰსა გვერდით, ვინ თავის ხალხსა,
ყური არ უგდო, მისცა ყეენს მოსასანთქავად,
ვინ თვის დიდება და გვირგვინი ქართლისა თავსა
და თვის მტერს მისცა უსისხლოდ და უომარათ!
მათ გარშემო კი ხალხი ჰკვნესდა, ხალხი ჰგმინავდა,
და გული მათი ხალხისათვის არა დრტვინავდა.
თვის მშვიდობასა ანაცვალეს ხალხი ამათა
და ხალხის ბედი არ ჩააგდეს არც თუ ჩალათა.
თვის საქმისათვის ჭკვიანურად შაჰი ზრუნავდა:
ქართველთ დიდებულთ დიდებულათ ისვამდა გვერდსა,
და მათ თვალ-წინვე ულეტავდა და მთლათა ჰმუსრავდა
მათსა დამცველსა და შემნახველს ხალხსა ქართველსა.
დაჰკარგეს ცნობა და აზრები მათ გონიერულნი:
რის დიდებულნი იქნებოდნენ ეს დიდებულნი,
თუ გაჰქრებოდა მყვენიერად ხალხი ქართველი,
მათი მსახური, მათი დამცველი და შემნახველი?!
ამ საზიზღრობით შაჰი-აბაზ ისარგებლებდა:
ქართველთ დიდებულთ ურთვა ჰცევას წააქეზებდა.
მათგან გაცემას ხალხისასა დიდად აქებდა;
ასაჩუქრებდა, შეამკობდა და შეაქცევდა.

აგერ ნადიმზე მეფე-ბატონსა აქვს გამართული
ქართველთ დიდებულთ [illegible] ავსებულები:
ივინი მეფსა, მეფსა ძლიერს ახლავან ერთგულნი,
და მიიღებენ აღთქმასა და წყალობას ბევრსა.
აგერ ქეიფში მხიარულად გატაცებულნი,
ტკბილსა ღვინოსა ქართველ-ერი მეფისა ჰსვამენ;
აგერ მის ტკბილი სიტკბოებით აღტაცებულნი,
მის ფერხთ ნეტარებით [illegible] მთლიან მუხლს ყრიან.
ისმის ყიჟინა: გაუმარჯოს მეფეს მძლავრ ხმალსა!
სიკვდილი იმას, ვინც გაუწყრეს ერთგულებასა!
სიკვდილი იმას, ვინც ღმერთსავით არ სცემს თაყვანსა,
ვინც არ შესწირავს ძლიერს მეფესა მამულს და სისხლსა!
ისმის ყიჟინა ლხინისა და ნეტარებისა
ქართველთ თავადნი სრულს განცხრომას მიეცემიან!
და იქ, მათ ზევით, [illegible], [illegible] განცხრომისა
მეფის ბრძანებით ქართველთ ტყვენი [illegible]
ადგათ კვალთანი [illegible] [illegible]
და მათ მშობელთა [illegible], [illegible]
ოთხს აყენებენ და ცრემლებით სწყრიან თავსა
და თავ-დაჭრილნი [illegible] [illegible].
აქ არის ლხინი, იქ [illegible] [illegible]
აქ ნეტარება; იქ კვნესა და გულის ვნება!
აქ მამულისა გამცემელნი სწყევენ ქვეყნისა.
იქ მამულისა მოყვარულნი სწყრიან თავსა!
არის ქეიფი, [illegible] მხიარ [illegible]
აურაცხელსა წყალობასა ერთგულთ მეფე [illegible]
აქ ანდრიაშვილი და [illegible] ამოსდგებიან
და ცალ მუხლზედა დიდებულ მეფის [illegible].

„ძლიერო შაჰო, შენს დიდებას ცანიც კი ჰხმობენ!
შენი ხმლისაგან შეძრწოლილან ჰანდოთ მთავარნი!
შენი გვირგვინის ალმასები მზესებრ ჰნათობენ,
და შენს ჰარამსა უკეთესნი ამკობენ ქალნი!
„მაგრამ არ არის ქვეყანაზედ მის მსგავსი ქალი, —
არა ჰარემსა — არც შაჰისას და არც ხონთქარისს.
ჯერ არ უნახავს მის მსგავსი და მასი ბადალი,
ჩვენ რომ გვყავს ქალი შენახული თქვენი ჰარამისთვის.
„ჯერ არა მუსიკს, არა მთქმელსა და არა მხმობელს
არ შეუმკია აქამდისინ მის ნაკვთის ქალი.
დაიპყრობს ყველა თავის გამცდელს და თავის მნახველს,
და თვითონ მზესაც მუქს შეუკრთობს იმისი თვალი.
„მისი ბოროტი მშობლები და ნათესავები
იყვნენ ორგულნი და მოსისხლე თქვენი მტერები; —
იგინი სულ მთლად ჩვენ შევმუსრეთ; მათი მამული
არის თქვენგანა თქვენს მონებზედ გაბოძებული.
„და იგი ქალი, მშვენებითა მნათობთა დარი,
რა ვიხილეთ ჯერ ნორჩი და გაუფურჩქნარი,
თქვენს ძლიერებას შევუნახეთ, და თუ ისურვებთ,
მას, ქვეყნის ბადალს ქალსა ეხლავ კარსა გაახლებთ.
„ის ქალი მთასა შენახული გვყავს სათუთათა;
თუმცა ტყვეობით არს გამხდარი და მილეული,
მაგრამ მათც იგი ყველა ქალსა სჯობს მშვენებითა,
და მის ბადალსა ველარ ჰშობავს დედა ქართველი."
მოახსენეს ეს, და მათ შაჰი, ნიშნად წყალობის
ადებს ხელს მხარზედ და აყენებს თავის ხელითა,
და ჰპირდება რომ ერთგულებას იმათ გადუხდის,
თუ რომ ის ქალი მოეწონა თვის მშვენებითა.

ქართველო ქალო შენ ატკბობდი სამშობლოს მტერთა,
შენ ამშვენებდი მშობლის მტარვალთ ბილწსა ჭარამსა,
შენ ალერსითა ეხვეოდი შენთა წარმტყვევნთა,
და იმათ, ვინცა შეჭმუსრავდა შენს ქვეყანასა.
ვინ იცის მაშინ რასა ჰგრძნობდი გულს წამებულსა,
როს მტარვალება შენს უნებლეთ გიკრავდნენ გულსა!
ვინ გვეტყვის იმას, რას ჰნიშნავდა ალერსი თქვენი,
როს გულს გეკროდათ ტრფიალებით თქვენი წამტყვევნი!
ნუ თუ თქვენს გულში ზიზღი, გმობა არა ჰღელავდნენ
მათდამი, ვინცა თქვენა ეტრფოდნენ და თქვენ გბილწავდნენ?!
თუ ჰგრძნობდით თაკილს, მაშ რათ გული თქვენი ამონეთ,
და რათ მტარვალი ტკბილს ალერსში გულს არ გაჰგმირეთ?!
რათ, იუდითას, ისრაილის ქალს არ მიჰბაძეთ?
რათ ტრფობა თქვენი საწამლავათ მტერს არ უქციეთ?
რატომ მშვენება თქვენი მშობელს ხალხს არ შესწირეთ?
და რატომ დანით ბილწვა თქვენი არ მოიზღიეთ?!...
აგერ თამარი მშვენიერი, ქალი ძვირფასი,
სულით უმანკო, და უზადო ვითა ალმასი,
უნდა უქენსა, მამულის მტერს, ჩაეკრას გულსა
და უჩვენებდეს ტრფიალებას და სიყვარულსა!
უნდა თვის ტრფობა მას შესწიროს, ვინც გულითა სძაგს,
ვინც საზიზღრად და სათაკილოთ გულში მიაჩანს;
უნდა უმანკო თვისი გული მისცეს მას ტყვეთა,
ვის გული ჰქონდა სავსე სისხლით და მზაკვრებითა!...
და აგერ კიდევ თავადები, თამარის მძლევნელნი,
უქენისაგან თამარისა გზას გაეშურნენ.
იქ უცებ სცნობენ, რომ ელიზბარ და მის მხლებელნი
ყამურის მთასა თამარისთვის ჩუმად წავიდნენ.

ჩქარობენ ამასა და ჰსწრაფოდ ეგზავნიან ჯარებს,
ჯარსა ძლიერსა და ყოველმხრივ უკრავენ მათ გზებს.
ჯარს უბრძანებენ რომ დაჰკრუწონ მთლათ ელიზბარი
და უვნებლად მოიყვანონ მათთან თამარი.

## XXIX

ბრძანა თავად მან: ქანანელი შვილთა [illegible]
ამ მოვლენილყავ ღვთისთვის მხოლოდ ისრაელთ ერთა
ყველაზედ პირველ ქვეყნად წაწყდნენ ისრაელთ ქენი
და ყველა ხალხში გაჩნდნენ იგი უგანასვენლები.
მათ მთელს ხმელეთზედ სიძულვილით და მტრად სძულობდნენ,
ბევრზედ საზიზღრად მიჩნდნენ მათი ხასიათი
მათ პურს არ სჭამენ და მათ პურსა არ მიეკარებიან
და, ვით მწყურვალი, მათ სისხლს ყველა სვამდა.
ყველა ხალხში, კიდით კიდემდე ქვეყნის ზურგზედ
ცოფების ყრითა მათ სამყოფელი არ მდგომიან
და ყველა ხალხის მისხეილისა და ულმობლობას ამაზედ
დევნა და სისხლი ამ მკრთალ ხალხის სწყდება
დედა თვის შვილთა თვის ძუძუთა უწოვებდა
მათ სიძულვილსა, მათი სისხლით გაუმაძღარსა
იმა გვარისთვის, ვის ეს ხალხი ხალხთ ალოყმალა
და რომელიცა თვითონ მოსცეს ყოვლის ბრალისა.
ბრძანა თავადმან, ეცხონებს ღმერთი ვისი მიწასა
და ქართველთ ერმა ის იწამა გულით წმინდამა;
და სუყველაზედ მეტი ტანჯვით ხერხა ქართველი:
მისი მტანჯველისთვის შეუწყვეტლად სდიოდა ცრემლი,

და წაწყდა იგი მტრის მახვილს ქვეშ სისხლით დაცლილი;
მოყვარეც კი მტრად მოევლინა: რასაც მახვილი
მტრისა იმას ვერ შეჰკვეთოდა, ის მოყვარემა
მას შეუსრულა მოყვრულად ყელზედ მხვევნელმა!
ბრძანა: ნუ გგონიათ მოვიტანე ქვეყნად მშვიდობას;
და მშვიდობისთვის ვიწყო ქვეყნად მოვლინებული!
მე მოველ ქვეყნად რომ მოვიტანო შური და მტრობა,
და ქვეყანისა ხელთ აღვმართო ისარი მახვილისა.
მხოლოდ ეს სიტყვა წამებულსა [illegible];
მის სწავლისათვის ქვეყნად მოუსრავ სისხლით წარღვნა მოსდა;
ხალხი ხალხს ეომებოდა, ძმა ძმას ჰკლავდა, დედა თვის შვილსა,
და ყველა კაცთა სისხლით სავსე ჰქონდა მახვილსა,
აღარ [illegible] იყო მის მოწაფენი და მისი მოწამენი,
ჰქონდა ის საქმე იმ სისხლთათვის და იმ ტანჯვათა,
რაც მისთვის სისხლი იღვრებოდა შეუწყვეტლად,
და რაც რომ ცრემლი იღვრებოდა ქვეყნის თვალთა?!
იმას მოსწონდა რაც ჰქონდა ამ ჯვრის მქონებს
მასებრ კაცი გონიერი, მის [illegible] მორწმუნებელს
სასიკვდილოთა არ მოექცეოდა, ეცოდებოდა,
და მისთვის ზღვაზედ მეტი სისხლი დაიღვრებოდა;
იმას [illegible] გამოელი და [illegible] არ ესმოდა:
ვისაც არ ჰქონდა ეს სახელი ხმლით უწყოდნენ,
აღარ ინდობდა არც კაცსა, მთლად მოსრავს ავლებდა
და საშინელს სამყაროს [illegible]
შეჩვენების და მტრობის ცეცხლი, [illegible]
ქრთამანეთს [illegible]
თვით საიქიოს გაუწიოს ცეცხლი [illegible]
იქ, საიდგანაც მოსულები არავინ იყვნენ

ლოთობა და ტარჯვამდა მოძღვრად იქცევს,
ლოთობად და ტარჯვამდათ კაცნი გარდიქცნენ;
მათი წუწურვილნი და სურვილნი გულსა აღინთებს,
და ერთმანეთის გულის ცემის დარაჯნი გახდნენ;
ძილსა და სიზმარს ცოლშვილისას უდგნენ დარაჯად,
სიზმრის ღრუბელში მწვალებლობის ნიშანს ჰხედავდნენ,
და მისთვის თვითონ ცოლშვილს ჰყრიდნენ ცეცხლს დასაწვავად,
და აღარავის, აღარავის აღარ ჰზოგავდნენ;
ღვთის დიდებისთვის „მსხვერპლ კაცთა" ესდა ისმოდა,
კაცისა სისხლი კაცთ დროშაზედ იწერებოდა;
სუყველა კაცში წინააღმდეგს მღვთისას ჰხედავდნენ,
და ღვთის გულისთვის კაცებივე კაცებს ჰყლეტავდნენ;
ბერები, შავად შემოსილნი, მაშხალებითა,—
ცოცხლივ ჯოჯოხეთს კაცთა თვალთწინ წარმოუდგენდნენ,
პირდაპურვილნი მძიმე შავი საბურველებითა,
ბნელს ორმოებში ჩაყრილს ხალხსა თავებზედ ადგნენ,
თავქვე დაკიდულთ, ნელ ცეცხლზედ მწვართ, ქრისტეს მმოსავთა,
აღიარებას ქრისტესასა რისხვით შესძახდნენ;
წარბ-შეუხრელად და გულებით ნაქცევნი ქვათა,
სიამოვნებით მომაკვდავთა თავს დასცქეროდნენ...
აი ქართველნიც თვის ნათლობის სახელს იცავდნენ,
მისთვის სხვას ჰყლეტდნენ და თითონაც თავთ იყლეტავდნენ...
აგერ ამისთვის თავს ადგია ასაზი კარსა
და მის აღმოთვხვრას ეფიცება წმინდა ყორანსა...
აგერა მოჰყავთ შაჰაბაზთან მკრთალი თამარი,
მოჰყავთ და იმას არ ეცნობა სამშობლო მხარი:
აღარც ქალაქნი, არც დაბანი! ყველა მტვერთა დევს
და აქა-იქა ცეცხლის ალი კიდევ ტრიალებს;

რაც დარჩენილა, მასაც კიდევ უდებენ ცეცხლსა,
დედამიწასთანასწორებენ ქართველთ არესა!...
ეკკლესიანი საჯინიბოდ მას გაუხდია,
სახნავ-სათესი ძირიანად ამოუგდია.
მინდვრად არ ისმის ღიღინი და მუშათ სიმღერა,
დაღონებული ოროველას ხმაც კი მიმწყდარა!
სოფლად, მინდვრათა, მთად და ველად, გზათა და ტყეთა
თითქო გამქრალა სახელი და კვალი ქართველთა!
ყველა მიმწყდარა და ქცეულა ყველა საფლავად,
მხოლოდ სოფლებში შეუწყვეტლათ, გულმოსაკლავად
ისმის ყმუილი უპატრონოდ დამშეულთ ძაღლთა,
თითქო მოსთქვამდნენ უპატრონოდ დაყრილთა მკვდართა..
მდუმარებს მთანი და მდუმარებს დამწვარი ველი!
და აქ, როდესღაც, ამაყათ ჰმღერდა ქართველი.
ახლა ქართველის არცღა ისმის სადმე სახელი
და ყველას მოისხნად შემუსრავდა ჯარი სპარსელთ;
და ქურდულათ ტურასავით ტყით გამოდიან
მთის მხეცი ხალხი ყოველს მხარეს და დაძვრებიან,
ეძებენ ჰპოვონ, სად მოასწრონ ქართველთ სარჩოსა,
რამე განძებით მტრის კლანჭებით გადანარჩომსა.
მოვლენ ქურდულად და სცარცვავენ უპატრონო მკვდრებს,
და თუ სიცოცხლე ვისმე ძარღვში კიდევ ოდნავ ჰფეთქს,
მათაც უწყალოდ უტარებენ გულში ხანჯალსა
და ქურდულადვე იპარვიან უკან თვის მთასა..
მოჰყავთ თამარი და არ ჰხედავს ცოცხალს ქართველსა;
ყოველს ნაბიჯზედ, ყოველს კუთხეს, ყოველს მხარესა
ქართველთა მკვდარნი ჰყრიან ოსრად; უპატრონოთა
და საფლავისა გამთხრელიც კი არა ჰყავთ მათა.

ჰყრიან ოხრადა, უსაფლაოდ ქართველთა მკვდარნი,
და მძორის სუნი ედებოდა ყოველს ალაგსა:
აყროლებულთ მძორთ დასცემიან მშიერნი სვავნი,
გროვა მგელისა და აფთართა დასხმიან თავსა;
ყვავნი, ყორანნი, ყოვლის მხრიდგან აქ თავმოყრილნი,
თან ხორცს აგლეჯდნენ, თან სჩხაოდნენ ხმას გულ სახეთქსა;
მყრალი ხორცითა დამაძღარნი, გულნასრულებნი,
ჭივჭავთა გუნდნი ნავარდობდნენ მაღლა ჰაერსა.
აგერა დედა, გულმკერდ მახვილ გატარებული
ჰგდია და შვილი უსუსური ჰყავს გულს ჩაკრული.
იმას, მკვდარსაცა, ხელიდგანა შვილს ვერ აგლეჯენ
და მკვდარი შვილის ხელნი დედას ყელს გარს ეხვივნენ.
აგერ სოფელი, სითაც მტერი ეს არის გასულა:
ცეცხლისა ალი ისევ ღვივის ერთს ბოლოებს;
აგერა მკვდარნი, სისხლის გუბეში ჰყრიან მთლათ სულდა,
ჰყრიან ჯგუფ-ჯგუფად და ჩაჰკვრიან ერთმანეთსა გულს.
იმათ ნადირთ და ძაღლთა გროვა დაჰხვევიან თავს,
ძაღლი პატრონსა ვეღარა სცნობს, ხორცსაც აგლეჯავს,
ძაღლი და მგელი ერთმანეთში გადარეულან
და უჩხუბურათ კაცის ლეშზედ აქ მისულან.
აგერ ჰგლეჯავენ ერთს უმწეოს და დაჩეხილს კაცსა, —
იმას სიცოცხლე ისევ უფეთქს სხეულსა და ძარღვსა, —
ალმასი კბილი ჩაუყრიათ მის ხორცს და ძვალსა,
და ის უმლუროდ მგელისათვის ახელს თვალსა;
გაწირულებით ის საითღაც იშვერს ხელებსა,
უმლაური ხმითა ვიღასაცა იგი ეძახის:
მის წილ ალმასი მგლისა კბილი აძლევს პასუხსა,
მგლისა და აფთრის კბილთა ქვეშე სული ამოსდის.

აგერა ჰგდია მშვენიერი ქალი ქალწული,
გიშრისა თმანი გადაშლია სპეტაკს მკერდს და ყელს;
მას ძუძუს ძირში ხანჯალი აქვს გატარებული
და მაყვლის თვალებს უძლურათ ის ძლივს-ღა ახელს.
მას შიგ ძუძუში დამშეულს მგელს უყრია კბილი,
თავის ქნევით და კბილთ კაწრუნით აგლეჯს ძუძუებს;
მომაკვდავის ხმით, სასო მიხდით ჰკვნესის უძლური
და ზეცისაკენ უძლურათა აშტერებს თვალებს.
აგერა ბავშვი უსუსური დედას მოკლულსა,
შიგ ძუძუებში ჩაჰკრობია, აგლეჯს ძუძუსა,
სწოვს გამშრალს ძუძუს და თან ჩხავის განწირულის ხმით,
და მას სიკვდილი დარევია მეტი შიმშილით.
აგერა ბავშვი, ჯერ ცოცხალი, ცხიზელი, სრული,
სულ მთლათ ტიტველი, ქოროჭა, კვრივა და გავსებული
უპურია. წელში კბილით ჩავლით, მგელს ათრევსა,
ახეთქებს ძირსა, და თან აგლეჯს ჩოქსა ქოროფასა.
განწირულებით ბავშვი ჩხავის და იხლაკნება,
ეძახის სახელს თავის დედას, ეძახის მამას;
მაგრამ ძახილი მხეცებ შუა მყის იკარგება,
და მის მშობელთ ნამთენებიც კი აღარსად ჩანს…
აგერა დედა. დაჭრილი და სისხლით დაცლილი.
ის ცოცხალია და გარს ჰხედავს მხეცთა ხროვასა;
მის თვალთ წინ ჰგლეჯენ მკვდართ და დაჭრილთ, გამძვინვებულნი,
და თვალთ ბრიალით კბილზედ სცემენ ალმას ბილებსა.
ცოცხალი ბავშვი. დაკოდილი, ჰყავს გულს ჩაკრული;
შეშინებული ბავშვი მწარედ აცეცებს თვალებს,
აცეცებს თვალებს და შიშისგან მას უთრთის გული
და ელის აგერ მგელი მასაც კბილებს წაავლებს

მათ თავს ადგია ორი ძაღლი, მცველი კარისა.
გამწარებულნი ეს ძაღლები მაღლად ჰყმუიან,
ჰყმუიან თითქო ემახოდნენ ვისმე მშველელსა,
ჰყმუიან და თან თვის პატრონთა გარე უვლიან:
უვლიან გარე, აგერებენ პატრონთ მგელებსა,
გარეკვენ მგლებსა და მარადვე ისევ ყმუიან.
ყმუიან მწარედ, ეძახიან მარად მშველელსა
და მათ ყმუილი ჰაერშივე იკარგებიან.
იცავენ პატრონთ. მაგრამ მოდის ხროვა მგელისა,
განწირულებით ეტევიან მგლისა ხროვასა.
მაგრამა მგელნი სძლევენ მათაც, იქვე ჰგლეჯავენ
და თვის პატრონებს ზედ თავიზედ მათ აგლეტავენ.
ჰხოცავენ ძაღლებს, და ცოცხალსა დედას დამწვარსა,
გულს მაგრათ ჩაკრულს გულიდგანა სტაცებენ ბავშვსა,
და იმის თვალ-წინ მთლათ ჰხევენ და მთლათა ჰგლეჯავენ:
შემდგომ თვით დედას, გულ-გაგლეჯილს კბილით ჰგლეჯავენ.
წარმტყვევენ—მხლებელნი თამარისა ამ სანახავსა
ისე გულ-გრილად და ცივათა დასცქეროდნენ თავსა,
რომ არ იძროდნენ, არ ჰღელავდნენ მათ გრულნი გულნი
და მკვდრებზედ ცხენებს ატარებდნენ, განქარებულნი.
ჰხედავს თამარი ამ სანახავს და მისი გული
ათასი ფიქრით და სევდითა იქნა შთასნთქმული.
ჰხედავს ამაებს და მის გული გესლით ივსება
და მხოლოდ ზღვევა, მარად ზღვევა ლა აგონდება!
დრტვინავს თამარი და მის გულში იძვრის ფიქრები:
«ქართველთ გმირობა მთელს ხმელეთზედ არის ნაქები!
რაში სჩანს ეგა? სად არიან ქართველთ გმირები?!
და აქ იმასა მოაგონდა ბეროს სიტყვება!

## XXX

დიდებულთა მეჯი ახლავს ზის ოქროს ტახტსა;
მეირთასი თვლები მის გვირგვინას კაცს სჭრიან თვალსა;
ყარყუმის ბეწვის, მძიმე თვლებით მორთული მკლავი,
მას მძიმეთ მხარზედ დიდებულთ აქვს წამოსხმული.
ოქროს წინწილა და ბობოლანი მას ყურთ ატკბობენ,
მჭევრი მხმოვანნი, დაწყობილნი ქებას ტყვიან,
მზმელნი შეასხმენ და მის მკლავს მაღლა ამკობენ,
მესიკნი ლექსთა, მისთვის წყობილთ გრძნობით მოსთქმიან.
გარეთ დაფდაფი და ნაღარა მაღლათა ჰხმაობენ
მეფის დიდებას და მსმენელთ გულთ ძრწოლას აღძრავენ;
ჯარი დასტებათ გარს არტყია, და თვის ალამსა
მაღლა სწირავენ, რომ ალირსა ამკობსა მეფსა.
მხრისა მამშვენდ გვერდს ახლავან მეფს სულთანები,
სპასალარები, ამირბარები, დიდი სახები;
ყველა ოქროთი და თვლებითა გამოსჭვიოდნენ,
და სუყველანი მოკრძალებით მდუმარეობდნენ.
აგერ შემოჰყავთ მშვენიერი ლაზნელის ქალი;
წინ მოუძღვიან იასე და ანდუყაფარი
სუყველამ ქალსა გაოცებით დაუწყო ცქერა
და სუყველასა გაოცებით უწყო გულთ ძგერა.
თამარის ნაზსა სახეზედა იხატებოდა
ავპარტავნება, დიდება და ღირსების ცნობა.
თავისუფლად და მედიდურად წინ მოდიოდა;
მისთა თვალთაგან უცნაური ცეცხლი ცვიოდა;

არ ეტყობოდა მას მორცხვობა და დაკრთალება;
და მისთა მჭვრეტთა ესახოდათ გულთა კრძალება;
მის წერწეტს ტანსა სიტურფე და ელვა ჰკრთებოდა,
გამბედაობა მის სახეზედ იბეჭდებოდა.
ვით დიდებული, დიდებულსა გვირგვინს ჩვეული,
ის დიდებულად ყველასა თვალში უყურიდა თვალებს.
ისე სუყველას მოხვდა ქნით გულით ცრეული,
თითქო ბრძანებას ელოდიან იმისგან რასმეს.
უცქერის თამარ, და შემკრთალნი მის დიდებითა,
უნებლიეთ თავსა ჰხრიდნენ აქ დიდებულნი:
თითონ შაჰ-აბაზ ამ ნახვაზედ შეკრთა უცბათ
და მის წინ გული მისაც იქნა მომლბილებული.
შეჰხედა აბაზ მას მშვენიერს ქართველსა ქალსა,
და ისარივით ჩაეწონნენ გულს მის თვალები.
დიდს ხანს უყურა გაოცებითა და უცბათ შაჰსა
შიგ გულის სიღრმეს აერია ღრმა გულის ფიქრები.
რაღაც ელვამ დაუარა მას მთელს გულს და გვამს,—
ჯერ ესე გრძნობა არ უგრძვნია მის გულს დიდებულს:
ქალის მშვენება გულში ტკბილად ჰსახავდა ნეკტარს,
და დიდებული მისი ცეცხლი მოხვდა ჰსდის მის გულს.
პირველად გრძნობს მბრძანებელი აბაზ ამგვარს გრძნობასა,
პირველად ჰსცნავს მეუფეთა თვის გულზედ ქალსა:
მას ყველა ქალი მხოლოდ მონად და ტყვედ ჰყოლია
ახლა ეს ქალი მას ბატონად გულს ჩასწონია.
დიდს ხანს უყურა უნებლიეთ, და მდუმარებით
გაოცებულმა შაჰმა თამარს მტკიცე თვალითა
და ბოლოს ბრძანა: „წაიყვანეთ და მიმოსცეთ
შაჰის სამოსლით და შაჰისა სამკაულებით."

და აქ თამარი გაიყვანეს; და ნახეს ბევრთა —
დაბრუნების დროს მან შეჰხედა მათ რა თვალებითა:
ამ ლმობიერს და მშვიდს თვალებში გაელვეს ცეცხლთა,
ცეცხლთა რისხვითა, ცეცხლთა ზიზღით და თაკილითა!
ესე ელვაი მშვენიერთ თვალთ რას ასწავებდა,
რათ გაიელვეს ამა ცეცხლთა თამარის თვალებს?
ამას ვერავინ დამნახველი ვერ მიჰხვედროდა,
და ყველა გულში შეჰნატროდა აბაზისა ბედს...
გავიდა თამარ, და შაჰ-აბაზს ბევრს ხანს მდუმარებს:
თვითც არ ესმოდა, რა ჰხდებოდა მაშინ მის თავსა.
ის დაშტერებით და თვალ-რეტად გასცქერს იმ მხარეს,
სადაც ჰხედავდა ცეცხლ-მფრქვეველსა მშვენიერს ქალსა.
და აგერ იგი გამოერკვა. თვალი მრისხველი
ქალის მომყვანებს მიუბრუნა ცეცხლთა ფრქვევითა:
— ვაი მის მომყვანთ, თუ რომ ამ ქალს სხვა კაცის ხელი
მიჰკარებია ალერსითა და მზაკვრებითა!...
და ამ სიტყვებთან დაიმალა შაჰის ამალა.
მუქარამ ამან ყველას გულში მწარედ შაჰზარა.
ასე ამღვრევით შაჰი აბაზ ბევრი ხანია
არავის მათგანს აქამდისინ არ უნახნია.

## XXXI

დარჩა მდუმარედ შაჰი-აბაზ, და იგი ქალი
უდგა თვალ წინა გარკვევით და ისევ ცხოვლათა.
მის შეუპოვრად მომზირალი ელვარე თვალი,
ჰავლა ნაკვთისა, დიდებულათ ჩენა გრძნობათა,

სახე ცოცხალი, ნაზი ფერი, გიშრისა თმანი,
ისრებ ზღუდნი წამწამები, ალვის ხის ტანი,
მისი შეხედვა, თითქო ნექტარს ასხამდნენ გულსა,—
შაჰს ავიწყებდნენ ყველა აწმყოს, ყველა წარსულსა.
შაჰი ჰგრძნობს, რომა მისი გული, ჩვეული ძლევას,
რომლის წინ ძრწოდნენ და ჰკრთებოდნენ ხელმწიფეები,
რომლის სახელი ზარს დასცემდა ხალხებსა ყველას,
რომელსა ჰმონებდნენ ყველა ქალთა ნაზი გულები,—
დღეს თვით მონაა უსუსური ბავშვი ქალისა.
თვითც იამება, რომ ბატონად გაუხდა ისა;
ენატრება, რომ ის, ვით მონას მას უბრძანებდეს,
და თვით მის ნებას და ბრძანებას შეასრულებდეს.
მას იამება, რომ ის ქალი შაჰი თვით გახდეს,
მის მძლავრსა გულსა იგი კერპად და ღმერთად ჰყავდეს,
ის წინ ესვენოს კერპივითა, ეს მუხლს უყრიდეს,
ოღონდ მის ტკბილსა და საამო სიტყვას ისმენდეს.
და გასცა შაჰმა საჩქაროთ ხოჯათ ბრძანება —
ამა ღამისთვის მისთვის ქალის მის მომზადება;
რომ სურნელსა და შეზავებულს წყალში აბანნათ
და სპეტაკ-ქმნილი მის წინაშე ის მოეყვანათ..
ბრძანა, და ღამე მოუთმენლად ელის თამარსა;
სულსწრაფობისგან მღელვარებით გულს უცემს მასა.
ნექტარს წუთს ელის,—ცეცხლს აღუგზნებს ეს ნეტარება.
მაგრამ, როს ქალსა მოიგონებს, ბავშვივით ჰკრთება.
ელის შაჰ-აბაზ, ცდილობს გული თვისი დააცხროს;
ცდილობს იმისთვის შემკობილი სიტყვა დააწყოს.
თვის ტკბილ სიტყვასა იგი ქალთა არ აღირსებდა,
აწ, არამც სიტყვით ფიქრითაც კი უალერსებდა.

და აგერ უცებ, სიფრთხილითა გაეღო კარი.
აქ მძლავრსა შაჰსა მძლავრად უწყო გულმა ძანძგარი,
ის შემკრთალს სულთქმას ძლივს იბრუნებს, ხუთვის გული,
თვალთა გადეკრა ღელვისაგან შავბუნდად ბური.
გაიღო კარი და ხოჯასთა მოჰკვარეს ქალი,
და სწრაფ გაბრუნდნენ, სწრაფვადავე მოხურეს კარი.
ამაყისა და მაგარისა ნაბიჯით წარდგა
და შუა საწოლს, ვით სალი კლდე, თამარი დადგა.
გაჩერდა იგი და ვეფხვივით შაჰს აპყრა თვალი;
და თვალთაგანა გამოჰკრთოდა ცეცხლისა ალი.
მის დანახვაზედ მღელვარე და მთლად ანთებული,
ბავშვივით შეკრთა მძლავრი შაჰი მტერ-დაცემული.
შეჰკრთა და გრძნობა აერია, დაჰკარგა ენა!
სადღაა მისი მძლავრი სიტყვა და გული მძლავრი!
შეჰკრთა და თვითაც არ იცოდა, რა მოუჩვენა,
რათ ვერ იღებდა ქალის წინ ხმას ენა გამშრალი!
და აქ უცებ ლახვარებრივ ესმა ქალის ხმა:
— ძლიერო შაჰო! აჰა შენ წინ ვდგევარ მე ახლა!
შენ, ჩემსა მტყვევნელს, გაახლებენ ტყვეთავე ჩემს თავს:
რა გინდა ჩემგან? რათა სდუმებ! რად არ იღებ ხმას? —
ესე სიტყვები ალერსათა შეესმა შაჰსა.
— გულის ხელმწიფედ შენ უნდიხარ ჩემთვის ალლაჰსა!
მინდა ხელმწიფედ დაგსვა ტახტსა, ვით მზეს გიყურო,
ირან-თურანი და მთლათ ინდო შენ გამსახურო. —
— შემცდარხარ, შაჰო! ვერ მოიგებ მით გულს თამარისს!
ჩემთა მშობელთა და აღმზრდელი მშობელი ხალხის
სისხლისა მღვრელსა და მათ სისხლში ხელებ გასვრილსა,
მე ვერ შევწირავ ჩემსა თავსა, გესლით გავსილსა.

— დღეს ჩემი გული, ზღვავით სავსე, მუდამ ცეცხლშია,
შენს დიდებაზედ არის ზღვაებრ აღელვებული,
და რომ შემეძლოს — ჩემს სამშობლოს მართალს სისხლშია,
ჩემი ხელითა შენ იქნები ამოვლებული!
— ეს არის ტრფობა, რასაც ჩემგან უნდა ელოდე!...
ვიდრე მე ცოცხალი ვარ გახსოვდეს და კარგათ იცოდე,
შენ მიძაგები ვით ასპიტი, ვით ჭირი შავი!...
ეს არის სიტყვა! და უბრძანე... მომკვეთონ თავი! —
გაჩუმდა თამარ, და ქვასსავით შაჰი მდუმარებს.
მას მედგარივით ამ სიტყვებმა გულს დაუარეს.
შეჰხედა თამარს, მის თვალთაგან ჰკრთებოდა ალი...
და ახლა უფრო მშვენიერი იყო ეს ქალი.
და თამარის წინ უცებ, მუხლზედ ძირს განართხმული,
დადგება შაჰი, ორთავ ხელებ წინ წამართული;
— თამარ მისმინე და ან მომკალ! ქვეყნის მპყრობელი
აგერა მუხლზედ შენ წინ არის დაჩოქებული! —
მაგრამ თამარმა მას ზიზღითა დაჰხარხარა თავს!
— ირანთ ხელმწიფე ღაზნელის ქალს მუხლებს უდრეკავს!
მშობელთა ძვალნო, წამებულნო, ისმინეთ საოცრავს!
თქვენი მმუსვრელი, სისხლის მსმელი თავს უხრის თქვენს ქალს!...
— აბრძანდი შაჰო და უბრძანე მომკვეთონ თავი!
ჩემს მოჭრილს თავსა შენ მოვიძღვნი ნიშნად ტრფობისა:
დაე წინა გამხმარი და თვალებ გამქრალი
და იგონებდე მის სიტყვებსა და მის ალერსსა!
— გედოს წინ ნიშნად, რომ ეს თავი შენ გაგონებდეს,
რომე ქართველი ყველა არ ჰგავს იმა ქართველებს,
შენ რომ გამცემნი ქვეყნისანი გახლავან გვერდთა
და უნამუსოთ ძაღლებივით გილოკვენ ხელთა!

— გქონდეს ნიშნად და გაგონებდეს, რომე ქართველი,
ქართველი გულით, სულითა და გონებით მრთელი,
თვის ქვეყნის მტრისა არის მტერი, მტერი ნამდვილი:
მტრისა ალერსსა და წყალობას უყრობს სიკვდილი!
— უბრძანე მაჯო, რომ მომკვეთონ ეხლავე თავი!...
შენ ხომ ხელობათ მიგაჩნია ეს სანახავი!...
და მინამ ცოცხლად მე ეს თავი მასია ტანსა,
შენ ვერ ეღირსო ვერც ჩემს ალერსს და ვერც ტრფობასა! —
აქ განრისხებით, აფთარივით თვალთ ანთებული
წამოხტა ჯაბაზ და ეძგერა თვის ძლევის ხმალსა;
კბილების ღრჭენით იძრო ხმალი; გაშმაგებული
ცოფების ყრითა დაეძგერა მას გულქვა ქალსა.
იელვა ხმალმა!... მაგრამ თამარ სდგას უძრავათ;
იმან წარბიც არ შეიხარა ხმლის ელვაზედა.
განცვიფრებული მაჯი შესდგა ხელ-უძრავათა
და გაოცებით ამ გულ-ლომ-ქალს ის შეჰყურებდა.
ის მოწყვეტილი და ღელვალი ტახტს გადესვენა,
გამტერებული ურწმუნოთა გასცქეროდა თამარსა.
— შენს ამაყობას მე მოვკვეთავ... თვითონვე შენა
შენსა მბრძანებელს შაჰს შესწირავ ნებითვე თავსა! —
აქ მრისხანებით ხოჯაებსა გასძახა მანა,
და მოწიწებით ხოჯათ გროვა შემოდგა კარსა.
მრისხნათ უბრძანა იმა ქალის მუნით წაყვანა.
დარჩა მარტო და ორთავ ხელი იტაცა თავსა.

## XXXII

გაძღა აბაზი ქართველთ სისხლით და ქართველთ ტანჯვით!
თვის წინააღმდეგს აღარ ჰკლავს ქართველსა კაცსა.
სადაც კი ჯარი მისი კრული, გულით მრისხანით
მისწვდა ქართველთა ალაგ-სამყოფს, შემუსრა ყველასა,
და ან სუმთლათა ცოლ-შვილითა ჰრეკავდნენ ტყვეთა.
მთლათ მთელი ქართლი და კახეთი იქცა ოჯროლათა.
რა ქართველთ სარჩო და სამყოფი ჰყვეს შემუსრვილი,
მაშინ თვით შაჰის ჯარებშია გაჩნდა სიმშილი.
გაჩნდა სიმშილი და სიმშილსა მოჰყვა სენები:
ნაყოლეტ მძოვრთაგან მთლად ჰაერი სულ იწამლება.
შემკრთალმა შაჰმა შემოკრიბა თავის ჯარები
და საქართველოს არეს გაცლის მისცა ბრძანება.
შაჰის ჯარები ქართველთ არეს განერიდნენ.
ქართველთ მკვდართაგან გაჩენილი მომწყლავი სენნი
ქართველთ არესვე და ქართველთთვის შთამად რჩებოდნენ
და ამ სენითა მოიწყლოდნენ მთანი და ველნი.
რაც საქართველოს აბაზისა ხმლისგან დააკლდა,
ახლა ეს სენი თავისის გესლით შეუსრულებდა.
მოედო სენი საქართველოს, ადინდა მუსრსა,
ველარ ჰპატრონობს შვილი დედას და დედა შვილსა...
სიმშილისაგან მიღრწეული გახიზნულები,
სენის მიზეზით უსებლიად თვითონ ჰსდებოდნენ...
ულუკმა-პუროდ, უხნავ-უთეს დარჩენილები
ბალახის ძირით და თიხითა იკვებებოდნენ.

ძუძუთა ბავშვნი ძუძუ-გამშრალთ, ჩამომხმართ დედათ,
გამხმარ ძუძუებს აღეჭავდნენ, კბილით აგლეჯდნენ!...
ზოგი სიმშილით მიღწეულნი, ჩუმად, ფარულად
ამძოვრებულს და აყროლებულს მკვდრის ხორცსა სჭამდნენ.
რამდენი ტანჯვა შესაძრწოლი, შესაზარავი
გულის საწულავად ხალხის გულსა სწულავს, ავალალებს.
მაგრამ ეს ტანჯვა რჩება მარად შეუნიშნავი,
და სურდო-ხველა დიდებულთა გულს გვასვამს დაღებს.
სენით ბურობილთა აყროლებულთ სჭამდნენ თვის მკვდართა,
მათ მომწყვლეულთ სენთა უნებლიეთ იდებდნენ თავსა,
იდებდნენ ამ სენს და ამ სენსა ადებდნენ სხვათა,
და მით ამ სენსა მთლათ მოსდებდნენ მთასა და ბარსა.
მოედო სენი საქართველოს, გაჩნდა სიყმილი!
ხალხი თავს ველარ ჰპატრონობდა, სალსარ მიხდილი.
ცოცხალი დღესა, ხვალ ცოცხლად თავს არ ჰრაცხავდა
და განწირული სასოებას სრულად ჰკარგავდა.
სენი, სიმშილი, სიყმილი და უბინაობა,
უსაცმელობა, გარეთ გდება, მოუვლელობა
ერთმანეთშია არეული ხალხს ედებოდა
და ღვთის რისხვათა საქართველოს ელინებოდა.
გაჩნდა სიყმილი, სენსა, იქცა დაუნდობლობა.
ქურდობა ჩუმი, მცარცველობა და მტაცებლობა
ისე გახშირდა მშვიდობიანს ქართველს ხალხშია —
მუდამ ჰხედავდა რისმე მქონე თავს საფანგშია.
რისამეს მქონეს დამშეულნი დაეცემოდნენ,
სტაცებდნენ საზრდოს და თვით პატრონთ უმალ ჰხოცავდნენ!
ვაი მას, ვისაც არა ჰქონდა — ჰკლავდა სიმშილი!
ვაი მას, ვისაც რამე ჰქონდა — კლავდა მშიერი!

დედანი თვის შვილთ ლუკმა პურში აძლევდნენ მტერსა,
შვილები თავებს ასებობდნენ უძლურ დედებსა...
შვილი დედაზედ, დედა შვილზედ იყო აშლილი,
და ერთმანეთის მოსისხლესა ჰხდიდა შიმშილი.
სიმშილისაგან აკლდამიდგან ჰგავდნენ ამდგარსა,
თვალ-ჩაცვივნულნი აჩრდილივით დარატრატებდნენ,
ადამის სახე აღარ ედო არც ბერს არც ყრმასა
და დამშეულნი მგლებივით საზრდოს ეძებდნენ.
ეძებდნენ საზრდოს, და თუ სადმე მყრალს ლეშს ჰნახავდნენ,
ან რასმე ნადირს ანუ მძოვრსა რასმე ჰპოვებდნენ,
თვალებ ანთებით, მხეცის სახით ეძგერებოდნენ
და ერთმანეთსა პირიდამა უმს ლეშს სტაცებდნენ:
ხშირად ამა დამპალსა და მთლად მყრალს ლეშზედა,
საკვდავათ დანას ერთმანერთსა უსვამდნენ გულსა;
და ამ ლეშითა დაძღებოდნენ ისე ძალზედა,
რომ დამაძღარნი ხშირად ლევდნენ ამ ლეშზედ სულსა...
შეაფიქრებდა ესე ყველა თვით შაჰს აბაზსა.
აშლილი სენი ედებოდა ახლა მის ჯარსა.
ვერ უბედავდა გახიზნულთა მთას შეხტომასა,
ერიდებოდა აშლილს სენსა, უსაგზლობასა,
მთის სიმაგრეთა და მთის ხალხთა კაჟ-კაცობასა.
დასწვა ქვეყანა და ამ ცეცხლში თვით ეგზებოდა.
თვისავე სიმხეცე ულაგმავდა ამაყობასა:
ვითა დევნილი ქართლით გასვლას ეჩქარებოდა...
საქართველოდგან სპარსელების ჯარნი მიდიან,
და აურაცხელს ქართველთ ტყვეთა ალყა არტყიან,—
თაბუნობითა, ცხვრის ჯოგივით ერეკებიან,
და დავარდნილთა მატლებივით ეულიტებიან.

აგერ გუნდები ტყვეებისა ერთად შეყრილნი,
იმათ გარშემო თურქმენ-ქურთნი ჯიღით არტყიან;
აგერ ისინი თვის სამშობლოს, გულ-ჩაწყვეტილნი,
ცოლით და შვილით საუკუნოდ ესალმებიან.
მათ სამუდამოთ აშორებენ თვის მიწა-წყალსა,
მოყვასთ, მეგობართ, ცოლსა და შვილს გულით სწყვეტავენ;
საუკუნოთ აშორებენ სამშობლო ცასა,
ჯიგლაგებითა და ხმლის ცემით ტყვეთა რეკამენ.
საქართველოსა სამზღვარზედა მათ შეიყერხეს,
დაემხვნენ პირ-ქვე, მშობელს მიწას ტკბილად ჰკოცნიან;
მშობელი მიწის თითო მუჭა ჩაიდეს უბეს,
და ტკბილს ქვეყანას მწარე ცრემლით ესალმებიან.
აგერ იმათა მორთეს ერთხმივ გლოვისა ზარი,
და მათ გულიდგან საკვდავი ხმა აღმოხდებოდა,
იმათი კვნესა, მათი მოთქმა, მათი ვალალი
გოდებით მწარით მთასა და ველს მოედებოდა:

დავძახოთ ზარი მოყვასნო,
ვატიროთ ცა და ქვეყანა.
მშობელთ გულიდგან გვგლეჯამენ,
სამშობლო გვრჩება უკანა.
ვინღა გაიცდის ჩვენგანა
ტკბილსა სამშობლოს ჰაერსა!
ვისაც ეღირსა სიკვდილი,
ნეტავი იმის მშობელსა!
გველმა, ასპიტმა, ვეშაპმა,
მხეცმა, ნადირმა ტყისამა,
ვერ ჰნახოს მტრისგან ის ჭირი,
რაც ძემა ქართველისამა.

ყოველს ცოცხალსა სიცოცხლე
მუდამ აქვს სანატრელათა,
ქართველს კი ესე საუნჯე
მიაჩანს ღვთისა წყევათა!...

ტყვეობას ჭირი რა უდრის,
ტყვეს უმახვილოს, უძლურსა!
თვალთა წინ ცოლშვილს გვიმუსრვენ,
თავიდამ ჰყრიან ნამუსსა!...

გვიგლოვეთ ძმანო, შორს მყოფნო,
თუ და გაქვთ კიდევ ცრემლები,
გვიგლოვეთ, მოგვთქვით, გვიტირეთ, —
ვართ ცოცხლივ დამარხულები!

ზარი ვსთქვათ, ზარი მოძმენო,
მივცეთ სამშობლოს სალამი...
ღმერთმა ქნას ჩვენი წამება
გახდეს სამშობლოს მალამი!...

მოსთქვამდნენ მწარედ თავის ბედსა ქართველი ტყვენი,
და გზად მავალნი, მოქანცულნი, გულ-ჩაწყვეტილნი,
სამშობლო მთებსა მწუხარე თვალით ვერ აშორებდნენ,
თან გასცქეროდნენ და თან ცრემლით ესალმებოდნენ...

ჰხედავდა ამას ყველაფერსა თამარ ლაზნელი,
ჰხედავდა მას და შეუშრობლად სდიოდა ცრემლი.
მას ტყვეთა ტანჯვა გულში ათასს სევდას უსევდნენ,
მათ მწარე სევდა თავის სევდებს დაავიწყებდნენ...

ჰხედავდა ამას ლუარსაბ და სტიროდა მწარედ.
მას ხალხის ცოდო მწარე დაღებს ასვამდა გულზედ;
ათასს ფიქრსა და ათას დარდსა გულს აუსევდა,
სისხლს უდუღებდა, ტვინს უწვამდა, ცეცხლს აღუგზნებდა!

ახლა მზად იყო მომკვდარიყო თავის ხალხთანა;
მაგრამ ეს ხალხი აღარ იყო, და მთლად ქვეყანა
ნაცრად და მტვრადა იყო სულმთლად გადაქცეული...
ნატრობდა სიკვდილს, და ელტოდა იგიც წყეული!...
შაჰ-აბაზ იმას ჯერ სიკვდილსა უგვიანებდა...
იმას ბავშვივით შაჰი ირანს მიიტყუებდა.
იქ უპირებდა წამებითა მწარე სიკვდილსა...
აქ ეშინოდა მას სისხლისთვის ქართველთ რისხვისა...
მოსთქვამდა ხალხი და მოსთქვამდა მეფე ტყვე-ქმნილი:
მათ ერთნაირად სამშობლოსთვის გული სწყდებოდათ;
მოსთქვამდენ მწარედ თავის ბედსა, ვით ისრაილი,
და სამშობლოს გზა საუკუნოდ ეხურებოდათ.

## XXXIII

ჩამოწვა ზვავი გუგუნითა და დგრიალითა,
ქვეშ დაიტანა ბევრი ცხენი, ბევრი მხედარი,
მოჰყვა ზვავს ქვეშა თვით ელიზბარ გარს ამალითა,
და ამისგამო გახდა იგი მტერთ უჩინარი.
შესწყდნენ ღრუბელნი, ზვავისაგან შეზავებულნი;
გაჰქრენ მხედარნი, თამარზედა გამოსეულნი.
დარჩენილთ მხედართ, ელიზბარის მხლებთ ამალათა,
რა მოვიდნენ გონს, უწყეს ძებნა თვის ამხანაგთა.
მათ დაინახეს ზვავს ცოცხალი ხალხი ინძრევა.
იმათ მაშინვე უწყეს ზვავსა ქექა და ნგრევა.
ბევრი მხედარი გამოქექეს მათ ცოცხალ-მკვდარი,
და იმათ შორის მათ იპოვეს თვით ელიზბარი.

სულ შეგმენდილი მათ მხედარი მოასულდგმულეს.
მოქანცულები და დაღლილნი, გულ-ღელვილები,
იმათ იგინი ბეთანიას ძლივს აიყვანეს,
და იქ ბერებთან მოასვენეს, მოწყვეტილები.
რა გონს მოვიდა და სცნა ყველა,—მყის ელიზბარი,
შეუყოვნებლად გაეშურა თავის სახლკარსა.
მოვიდა შინა და გაიგო, რომ მის თამარი,
ცოლად მიართვეს გორის ციხეს შაჰი-აბაზსა.
ჰღელავს ელიზბარ და მას დანა კბილს აღარ უხსნის.
მას დღე და ღამე მოუსვენრად უდუღდა ტვინი.
იესესა და ანდუყაფარს ის თან ემუქრის;
და თან თამარის ფიქრებითა ეკარგვის ძილი.
გავარდა ხმაი, რომ დაიძრა აბაზის ჯარი,
სრულებით სტოვებს იგი მრთელსა ქართველთა არეს.
აქ ღვთის მადლობით გადიწერეს ქართველთ პირჯვარი
და სასოებით ღმერთსა მაღალს მადლი შესწირეს.
ქვეყნად გავარდა ქვეყნისათვის ხმა სანატრელი,
ქართველი ხალხი მორჩენილი სიკვდილს და ტყვევნას,
ძლივს-ღა ელოდა, რომ შეაშრეს თვალებზედ ცრემლი,
და სიცოცხლისა იმედიცა მიეცა ყველას.
მაგრამ ელიზბარს ამ ხმაზედა სხვა ცეცხლები სწვავს:
მიდის ყეენი და თამარი მისი თან მიჰყავს.
თამარის წასვლა უმატებდა მას წყლულზედ წყლულსა,
და არ იცოდა, რა ხდებოდა თამარის გულსა.
ვინ იცის—თამარს დედოფლობამ უცვალოს გული?
ვინ იცის ტახტმა ირანისამ ეს დაავიწყოს?...
ნუ თუ ურჯულოს გულსა არის ის ჩახუტული,
და თვის ალერსი, ნაზი გული თვის მტერს შესწიროს?!...“

ამგვარი ფიქრი ელიზბარსა გულსა უწყლავდა;
ეს სატანჯველი ამის გულში ჰმატობდა ყველას,
ეს ცეცხლი, ცეცხლისა საკირისას გარდემატოდა,
და ელიზბარი ამ ფიქრებზედ ჰკარგავდა ცნობას.
ეს მწარე ფიქრნი გულს უწყლავენ და სტანჯვენ ელიზბარს,
მაგრამ თვის ფიქრებს ის არავის არ უზიარებს;
თვის გუნებაში იკრებავდა ათას განზრახვას,
და ათას გვარად ერთს საათში აწყობდა საქმეს;—
მაგრამ, როდესაც გულს გაჰკრავდნენ ფიქრები მწველნი,
რომ მას მოცილეთ თამარისა ჰყავდა ყეენი,—
ყეენი მძლავრი, დიდებული, გვირგვინოსანი,
ვის ხელმწიფენი მას გვერდს ახლდნენ, ვით თვისი ყმანი,
ვის დიდებულად მუსიკნი და მგოსანნი ჰხმობდნენ,
ვის წინ ხალხები და მძლავრები თრთოდნენ და ძრწოდნენ,
ვისთვის ქალთ გულნი ნეტარებით აღივსებოდნენ
და მის დიდებას, ვით ღვთაებას შემონატროდნენ,—
მას სიმწარისგან უნებლიეთ გული სწყდებოდა:
ყველა განზრახვა და გულის თქმა ეფანტებოდა,
სენი სენზედა ერთი ასად ემატებოდა
და სასოება მას გულიდგან ეკარგებოდა.
ის თვის სიცოცხლეს და თავის თავს არ დაზოგავდა,
ოღონდ გაეგო ერთიც კიდე სატრფოს ამბავი:
ან, რას ჰფიქრობდა ის ამაზედ, ანდა აჴსოვდა?
თუ ასლა იმან სხვას შესწირა უზადო თავი?
იმას უნდოდა ერთი მაინც: რომ ეს თამარსა
დავიწყებისთვის არ მიეცა და ჴსოვნებოდა,
რომ მას, მეოთვარეს დიდებასა და განცხრომასა,
თვის სატრფოს სახე მცირეც არის გულს ჩარჩომოდა.

და, თუ თამარი მას მისცემდა დავიწყებასა,
მაშინ სიცოცხლე არ უღირდა არც თუ ჩალათ,
ეს დაჰკარგავდა ყველაფერზედ თვის რწმუნებასა,
და ყველა კაცსა ის ჩასთვლიდა მოსისხლე მტრათა.
იყო ამ ფიქრს და სატანჯველში ყრმა ელიზბარი;
მას გულს და თავში მუდამ შავი ფიქრები ადგა.
იყო ამ ფიქრში, და აქ უცებ მოულოდნარი,
თავის თამარის წერილი კი კარზედ მოადგა.
„ნუ სტირ ელიზბარ: მე შენი ვარ,—სწერდა თამარი,—
ვიცი ამისთვის მელის ტანჯვა, მელის წამება;
მაგრამ ვიდრემდის ჩემში კიდევ გონება არი,
შენი თამარის გული ისევ შენი იქნება.
„ყველნი ჩემთვის გველზედ უფრო საზიზღარია:
მის უკანასკნელ საჭურასსა უფრო მივცემ თავს,
ვიდრემდის იმას, ვინც ქართველთა სისხლით მთვრალია,
ვისიც დიდება მე ჭირად მჩანს და გულსა მიწყლავს.
„ჩემზედ ნაკლებათ ის არა სჩანთ, ვინ მას ჰმონებენ,
ვინ ყურ-მოჭრილ ყმათ თავის თავსა მათ უჩვენებენ;
მაგრამ ოქრო და მძლავრი ხმალი მათ აჩუმებენ
და თავის ნამუსს ოქროსა და ხმალს ამონებენ...
„იყავ ბედნიერ და უსმინე ჩემს ერთს თხოვნასა:
შენი თამარი გქონდეს მუდამ გულს დამარხული;
ვით მე მახსოვხარ, ნუ დაჰკარგავ შენც ჩემს ხსოვნასა,
ერთად ერთს ნუგეშს ნუ ვიქნები მე მოკლებული...
„არ შეუდრკები არც შიშსა და არც წამებასა:
ვფიცავ—სიკვდილი მე სიცოცხლეს ბევრით მიჯობდეს.
მაგრამ, თუ მიგრძნობს ჩემი გული შენს დაკარგვასა,
მაშინ ჩემ სიკვდილს წინ ვეღარა ვეღარ აღუდგეს!...

„მშვიდობით! მივალ, ვესალმები იმ ადგილებსა,
სადაცა ყველა მაგონებდა მე თავსა შენსა!..
ვესალმი ადგილთ, ჩვენთა მშობელთ საფლავად ქცეულს...
მაგრამ საფლავნი ეს ქვეყანას ერჩივნა ჩემს გულს.
„მშვიდობით! მივალ იმ ადგილსა, სად არაფერი
არ მომაგონებს არც სამშობლოს და არც შენს თავსა,
სად უცხო ალაგს, უცხო სახლი, მოსისხლე მტერი
ჩემს ტანჯულს გვამსა უცრემლოთა ჩაჰფლავს საფლავსა!...“
ჯერ აქამდისინ კაცსა ენა არ აქვს მდიდარი
და თვის გონება კაცს არა აქვს ნავარჯიშარი,
რომ მათ შეძლოთ ყველა ღელვა და მოძრაობა
კაცის გულისა წარმოსთქვან და მოგვცენ მის ცნობა;
ჯერ აქამდისინ არა მწერალს, არა მჭეტყველსა
არ შეუძლიან გამოჰხატონ ბევრი რამ ისა,
რაც ხშირად სიღრმეს გულისასა ათას-ფრად იძვრის,
ათასი მხრიდამ უჩინართა ტალღათა ისვრის,
ათას ფერათა დაწეწილნი აირევიან;
ათას ფერათა გაელვებენ და იკარგებიან,
კვალად ელვამენ, იფეთქებენ, კვალად ჰქრებიან,
და კაცთ ენასა და გონებათა არ ემონვიან.
ამ გვარი გრძნობა განცვიფრებულს, გატაცებულსა
ამა წიგნითა, ელიზბარსა აერეოდნენ:
გინდა შექსპირი, გინდ ბაირონ სჯდომოდნენ გულსა,
ამ აწეწილთა მღელვარებათ ვერ წარმოსთქვამდნენ.
იმან ეს წიგნი მიიფარა ამღვრეულთ თვალთა,
და დიდს ხან, დიდს ხანს ვერ იგერიდა ფიქრთ, აწეწილთა:
იმან მთელი დღე გაატარა მოუსვენრათა,
და ბოლოს უცებ გაანათეს მისთ თვალთ ცეცხლითა...

მან საიდუმლოთ დაიბარა თვის სანდო ყმანი,
იხმო ჩუმათა თვის ტოლნი და თვის მეგობარნი.
მათაც იდუმალ უწყეს ძრახვა უკეთესთ ყმათა,
და ქვეყნის ჩუმათ უწყეს ლესვა მახვილთა ბასრთა.

## XXXIV

წავიდა შაჰი და თვის ერთგულთ ქართველთ თავადთა,
თვისი ურიცხვი გაუბოძა მან მოწყალება.
მან მათ უბოძა თვის ორგულთა საყმო მთლათა
და მათ დაპყრობის ხელთა ეხლავ მისცა მათ ნება.
გავიდა შაჰი და ერთგული მის თავადები
თავის ჯარებით სულ მზათ იყვნენ საომარათა;
გავიდა შაჰი და ამართეს მათ მახვილები
შაჰის ორგულთა თავადთ საყმოს დასაჭერათა.
დაბრუნდნენ ქვეყნის მეხანათნი და გამცემები,
ქვეყნის ერთგულთა ყოველ კუთხეს მისცეს ცეცხლები.
რაც რომ მძვინვარე შაჰისაგან იმათ დააკლდათ,
ახლა ქვეყნისა გამცემთაგან მათ დღე დაადგათ.
ანდუყაფარის მახვილსა და მის უჯიათსა
ძვირად მტრის ხმალი ქართველს ერსა დააყენებდა.
ყოველს ქვრივსა და უპატრონოს ობოლს გლახასა
ანდუყაფარის ჯარი ადგა და აიკლებდა.
მან მაჰმადისა ბაირაღი ამართა ცხადათ,
სახარების წილ ხელს ყორანი ხალხს მისცა ძალათ;
სატანჯველით და საქენჯნავით ქრისტიანს ხალხსა
უქადოდა და ალოცებდა ძალათ მაჰმადსა.

ცეცხლით აღგზნებულს საკირეში, განმძვინვარებული,
ყველასა ჰკრიდა, ვინც არ იყო თავ-დადებული
და მის ყმობას და მაჰმადის სჯულს თაყვანს არ სცემდა.
ცეცხლით და სისხლით ის თვის ნებას შეასრულებდა!...
ამგვარად იგი ჰღვრიდა ქართველთ უმანკო სისხლსა,
ამგვარ ზარს ჰსცემდა საქართველოს მისი მახვილი,
ვიდრემდის ხმალი დიდებული სააკამისა,
არ აღიმართა იმის თავზედ განრისხებული!!
ახალი ცეცხლი საქართველოს მოედო კვალად,
ახალი ჯვარი თავს დაესხა სისხლთა საღვრელად.
რაც სადმე კიდევ რამ განგებით ქვეყნს გადარჩა,
ახლა საწვავად და საულეტად მუხანათთ დარჩა.
და ვაი იმათ, ვინც რომ ამათ არ მოუხრის თავს,
ვინც რომ ბატონად და კელმწიფეთ მათ არა ჰსახავს!
ქვეყნის გამცემნი, მუხანათნი ადენდნენ მუსრსა,
მათსა სამყოფსა მოუდებდნენ ცეცხლს აღგზნებულსა.
და აქ ქვეყნისა ერთგული და ქვეყნის დამცველი,
უნიბლიეთა აღიჭურვა ხალხი ქართველი.
გაუჩნდათ ახლა უარესი ცეცხლი ქართველთა:
ძმა ძმისა სისხლში შეუდრეკლად ისვრიდა ხელთა.
აღიმართოდა მაღლა ძმისა მკვლელი მახვილი.
ძმას ძმის საკლავად მრისხნად ჰქონდა ხმალი გაწვდილი!
ძმა ძმასა ჰკლავდა, ძმა ძმას სწვავდა, ძმა ძმას ჰმუსრავდა,
და აღშფოთებით ძმა თვის ძმისა სისხლში სცურავდა.
იღვროდა სისხლი და იწოდა სარჩო ქართველთა.
ქართველი ქართველს საკვდავს დანას აბჯენდა ყელთა,
ქართველი ქართველს შესძახოდა და დაესხმოდა!...
მართალთა ტანჯვა და ვაება არ ვის ესმოდა!...

ზარდაცემული, გულს საკირის ცეცხლ ანთებული,
მეორეთ მოსვლას ქართველობა ჰვედრიდა ღმერთსა;
სუყველას ერთი და ახსოვდა მარტო — სიკვდილი,
მარტო სიკვდილით და ელოდნენ მოსვენებასა.
ცეცხლი და სისხლი! ქვეყნად მარტო ესე და იყო;
სისხლი და ცეცხლი! მთელს ქვეყანას გარს მოსდებიყო!
გასახიზნავსა, შესაფარსა და სამალავსა
ველარ ჰპოვობდა ქართველობა ვერსად ალაგსა.
განწირებულით ყველა სიკვდილს ელოდებოდა,
ყველას ანდერძი აგებული წინადვე ჰქონდა;
სუყველა ქართველს თავის თავი და თვის ცოლ-შვილი,
წინადვე ჰქონდა ნაგლოვი და გამოტირული.
აი ამ დროთი ისარგებლა თავის ძმებზედა
ქსნის ერისთავმა იასემა. — ეს დრო იმარჯვა.
დიდი ხანია გაუნდობლათ ამ დროს ეძებდა
და აგერ დრომაც ყველა საქმე მას მოუმარჯვა!
თვითონ ყეენმაც მოუმართა ამაზედ ხელი:
მან მას უბოძა საერისთო ქსანისა მრთელი
თვის ერთგულების წყალობათა და მისცა ფირმნით.
ახლა მას ეს და დარჩენია — იპყრას მახვილით!

## XXXV.

გავიდა აბაზ და იახლა თან ქართლის მეფე:
შაჰს მოტყუებით მეფე ირანს მიჰყავდა ტყვეთა;
და საქართველო წამებული, სისხლისა მჩქეფე,
სრულად რჩებოდა უპატრონოდ, უზრუნველათა.

სპარსთ გასვლის უმალ ერისთავნი, ასულის ძმანი,
სახიზნავიდგან შინ დაბრუნდნენ, ბინავდებოდნენ;
გამფთხვალს საყმოსა ისინი და მათ მოურავნი,
უცხო ქვეყნებში გაფანტულთა შინ ეძახოდნენ.
იმარჯვა ეს დრო ასულმა და მზა ჯარითა
საქრისთოსკენ შეუხვია თვალთ სისწრაფითა.
არავის გულში აქ ღალატი არ გაივლიდა,
ყველა ბინას და მოსვენებას მიისწრაფოდა.
მაგრამ ასულს არ ეწერა ესე დავთარსა.
მანამდის ვინმე იფიქრებდა მის თავს დასხმასა,
მანამდის ყველა იხარებდა მტრისა გაცლასა, —
იმან ჯარები თავის ძმათა დაასხა თავსა.
ორსა ძმასა და ერთსა ძმისწულს, ნორჩს ელიზბარსა
შუა ღამის დროს, მოსვენებულთ, გულით მძინართა,
მოულოდნელად უწყო ნგრევა თავზედ სახლ-კარსა,
და მის ჯარები ზარის გამხდელი შესძახოდნენ ხმასა.
იელვა ხმალმა და ძმამ დასცა გულს დანა ძმასა.
გაალმასებულთ დამცემელთა ხანჯალსა ბასრსა
დიდი და მცირე შეუწყალად მეცემოდნენ:
ძუძუთა ბავშვთა დედ-მამის წინ შუა აპობდნენ.
და დახოცილთა აგდებოდნენ მათი მშობლები.
მაგრამ მათ ყმები, ერთგულნი და შეკვეთილები,
მტრისა ბრძოლასა და ომებში გამოცდილები
ახლდნენ და მათაც მსწრაფოდ ამართეს თავის მახვილები,
და გმირულადა დაცემულს მტერს პასუხს სცემდნენ.
ოციოდ გმირი და ვაჟკაცი ათასსა ებრძოდნენ;
ყოველს ნაბიჯს და სახლის კუთხეს სისხლითა რწყავდნენ,
კიდევ ცოცხლად მყოფთ ერისთავთა ასრე იცავდნენ...

აგერ ელიზბრის კარის წინა გახდა ყიჟანა!
შიგნით სახლიდამ უმღერთ ქალთა მოისმის გმინვა.
იასეს ჯარი იერიშით მიდის სახლზედა;
მაგრამ უცებათ აყენებენ იმათ განზედა
ელიზბარისა ერთგულნი და მისი მსახურნი.
აგერ გამზრდელი ელიზბრისა გაგლიძე შალვა,
აგერ ერთგული აზნაურნი ფიცხელაურნი
მთლათ დაიტანა თოფის კომლმა და ცეცხლის ალმა.
მაგრამ გმირულად მძვინვარესა მტერს ეკაფვიან,
თან ხმალსა სცემენ თან სიმარჯვით თოფებს ესვრიან.
გაამხნევებენ ერთგულთ მსახურთ და მეომართა
და არ აძლევენ მოსვენებას მკლავთა მაგართა.
აგერ ხმალ და ხმალ იკაფება ათი მსახური,
მტრისა გუნდშია რიგ-რიგათა გადირევიან.
მტრისა სიმძლავრით არა დრკება მათი მხნე გული.
დაღლილებთ უკან ნასვენებნი მტერზედ მიდიან.
იბრძვიან ცხარეთ, იმაგრებენ მტერსა ამაყსა.
მაგრამ ძლიერი მტერი უფრო მძლავრად აწვება.
მთელსა ღამესა არის ბრძოლა ელიზბრის კარსა.
აქ იასემა მთლად დაჰკარგა თვის მოთმინება.
«ცეცხლი მაგათა!» მან შესძახა მრისხანედ ჯარსა.
ზვინი ფიჩხისა შემოუწყეს მიდამოს გარსა.
მისცეს ცეცხლი და ჭახჭახითა ავარდა ალი
და მთელს სასახლეს გარს მოედო ცეცხლისა კვალი.
ცეცხლის ალისგან მომწყვდეულნი სახლის მცველები,
შუა გულ ცეცხლში გამოცვივდნენ ხმალ გაწვთილები;
ერთიცა კიდევ გადერივნენ იასეს ჯარებს
და გმირულათა თავის მტერსა თავი შეაკლეს.

თმა გაწეწილნი ქლიზბრისა დედა და დები,
ცეცხლის ალშია მოწყვდეულნი, გაცვივდნენ კარსა;
მთლათ განწირულნი და გონება დაბნეულები,
განიძრახავდნენ ამა ცეცხლის გარს გასწრებასა.
ემგერნენ მწარედ გარე მორტყმულს ღიჩხთ გალავანსა,
მაგრამ მღელვარე ზღვასავითა ის სცემდა ალსა;
ძლიერი ცეცხლი; ქარისაგან გარს მოდებული,
ალის ტალღებსა გარს ისვრიდა, გაშმაგებული.
ყოველ მხარესა გალავანი ცეცხლისა ერტყათ,
ცეცხლისა ქარი ასს ნაბიჯზედ თავ-პირში სცემდათ...
აგერ გადმოჰკრა ცეცხლის ტალღამ კალო-სასმელსა,
და იგინიცა სწრაფელ მიეცნენ ცეცხლის ალებსა:
აგერ გადასწვდა ცეცხლის ტალღა ვენახსა, ბაღსა,
საკუჭნაოსა, სათორნესა, თავლასა, მარანსა.
ცეცხლის გრიგალი თან ისვევა ალის ზეცასა
და თან უცებათ იშლება და სცემს ძირს მიწასა.
იმგრგვლივ ჰაერი სქელდებოდა და ხურდებოდა.
ჭირისა ოფლი განწირულთა ქალთ ესხმებოდა.
გამწარებულნი თვალთ აფეთდნენ შმაგებივითა
და შეჰყურებდნენ მაღლა ზეცას სასო მიხდითა.
სიცხე და ცეცხლი თონესავით სახეს უწვამდნენ,
ცეცხლისა ალსა ცხადლივ ჰგრძნობდნენ მთელს თვის გვამშია.
შესაფარს სადმე გასაგრილსა ადგილს ეძებდნენ
და ვერ ჰპოვებდნენ სიგრილესა მთელს არეშია.
განწირულებით ისევ სამყოფს ოთახს შესცვივდნენ
და თვის სალოცავს ცხოველს ხატსა ხელს გაწუპერიდნენ.
თვითც არ ახსოვდათ, რასა სთხოვდნენ გაშმაგებულნი,
ვითა ქანდაკნი, იდგნენ ისრე გაქვავებულნი.

იდგნენ ამგვარად და იგრძნეს, რომ სიცხე ცეცხლისა,
აქაც, სახლშიაც ბუღისავით ცხოველდებოდა;
ცხელი ჰაერი უგმენდავდა იმათ სულთქმასა,
და სახლშიც თითქო ცეცხლის კომლი ტრიალდებოდა.
უცებ იქუხა ერთმა კუთხემ სამყოფი სახლის,
ჩამოწვა ჭერი და თან მოჰყვნენ ალები ცეცხლის.
გრგვინვით, გუგუნით ცეცხლის ალი მაღლით ძირს სცემდა
და ტკაცა-ტკუცით ჭერი და თავხეთ მოედებოდა.
გამწარებულნი დაეძგერნენ სხვა სადგომებსა,
მაგრამ გეენის ალი იქაც მოედებოდა.
შველა საწყოფი მთლად მიეცა ალის ტალღებსა
და ცეცხლისაგან ჭერი — გრგვინით ძირს ეცემოდა.
კვალად ეძგერნენ სალოცავს ხატს, მაგრამ ფკით ხატსა
სცემოდა ცეცხლი და მიაენთქა ცეცხლისა ალსა...
აგერა იმგრგვლივ, უთვალ მხარეს უასლოვდება
ცეცხლი ძლიერი და აგერა მათ ეტანება...
ემებენ ალაგს შესაფარსა, ემებენ შველას;
მტერს ეძახიან, და შენდობას შესთხოვენ ყველას!...
არსად საფარი, არსად კაცი მათთვის მშველელი!
გარედამ ცეცხლსა უმატებდა იმათის ცეცხლს მტერი!
ცეცხლისა ალი აგერა სცემს მათ ზედი-ზედა!
აქ, განწირულთა, ერთიც კიდევ შესძახეს ღმერთსა
და სიმწარისგან გულს ჩაიკრავს შვილებსა დედა...
ცხარე სკვენითა ებრჭობიან ყელს ერთმანერთსა...
გამრა ჰაერი და ჰაერიც იქცა ცეცხლათა,
ლაპ-ლაპი ეწყო ჰაერმაც ცეცხლებრ წითლათა.
ქალებს თან და თა გულის სულთქმა ესუთებოდათ
და ტანს და გვამში იმათ ცეცხლი ეკიდებოდათ.

განივრად სძრავდნენ გულს ჭაერის ჩასაყლაპათა,
ეძებდნენ ჭაერს და მის წილად ცეცხლსა ჰსუნთქავდნენ.
მინამ შეეძლოთ იდგნენ ფეხზედ მთლათ უძრავათა,
თან იწოდნენ და თან ცნობას გულისა ჰკარგავდნენ.
იქცა ჭაერი თვით ცეცხლათ და აგერა მათა
ტანთა ავარდათ ცეცხლის ალი თავის თავათა.
გონმიხდილები ძირს დაეშვნენ გულს ჩაკრულები,
და იწვებოდნენ გულში მაგრათ ჩახუტულები.
აქ დაიქუხა მთელმა სახლმა და ძირს დაემხო
და მომაკვდავთ ქალთ საუკუნოთ ბოლო მოუღო...
დაემხო სახლი და იგინი მის ქვეშ მოექცნენ
და, გულს ჩაკრულნი, ყელს ბრჯობილნი, შიგ დაიხოცნენ!...
როდეს იასუმ გამოსთხარა მათი გვამები,
გულში ჩაკრულნი მან იპოვა იგი ქალები...
ნანგრევთ ისინი გადეურჩინათ სულ მთლათ დაწვასა
და აღვილათ გაარჩევდნენ იმათსა გვამსა.
ნახა იასუმ და ვერ იცნა აქ ელიზბარი.
გამხეცებული მას დაეძებს, ვით აფთარი.
ეძებს, და მთელსა არე-მარეს იმას ვერ ჰპოვებს...
მის საპოვნელად იასუ ჯარს ბრძანებას აძლევს.
გამოუსრა ყველა თავის ძმათა მისი და მოდგმა,
ცოლი და რძალი,—არ გაუშვა მემკვიდრე მათი.
მაგრამ ჯერ გული ვერ ისრულა მითაც იასუმა:
იმას გადარჩა მოუკლავი კიდევ-და ერთი
ეს ერთი იყო ელიზბარი, სხვებზედ საშიში.
დიდი ხანია მძლავრს ყრმას ჰხედავს იასუ მაში:
იმას მოსდევდა ბავშობითვე გმირთ გული და ზნე,
იყო უშიში, მკლავ ძლიერი, შემმართავი, მხნე.

ახლა ხომ უფრო თამარისა მოტაცებითა,
მის მფარველობით, იმის დაცვით, წასარჩლებითა
მან დაუმტკიცა, რომ არ იყო ის სახუმარი.
რაკი რომ ამან გამოჰგლიჯა იმას თამარი
და მისცა ყეენს, ახლა უფრო უარესათა
ელიზბარ მას არ დაჰზოგავდა სისხლთ საღვრელათა;
დღესა თუ ხვალა ის იყრიდა თამარის ჯავრსა,
არ შეარჩენდა თამარისა მოტაცებასა.
ამისა გამო მოუთმენლად ელიზბარს ეძებს,
მისსა მპოვნელსა და მომკვლელსა იგი აღუთქვამს
დიდს წყალობასა და ურიცხვსა თვისსა საჩუქრებს;
და მის საძებრათ ათასობით ჰგზავნიდა თვისს ხალხს...
გამუსრა ყველა თავის ძმანი, და იმავე სწრაფად
იმათის ერთგულთა შეუსია ჯარები სოფლად.
მისცეს ცეცხლები მათს სარჩოსა და მათ სამყოფსა,
ჰმუსრავდნენ იმათ და ჰმუსრავდნენ იმათს საყმოსა.
მთელსა გვარებსა აზნაურთა და გლეხებისა,
ვისც იგულებდნენ ერთგულებათ ერისთვებისა.
შეუბრალებლად ყელს ჰღადრიდნენ და მუსრს ადენდნენ
და ძუძუმწოვართ აკვნის ბავშვთაც აღარ ინდობდნენ.
გადასწვა ყველა და შემუსრა, ვის ჯავრიც სჭირდა
და მით იასემ საერისთო მთლათ დაამკვიდრა...
მხოლოდ ელიზბარისს ვერ ჰპოულობს დაკარგულისა კვალს,
ბოლოს უცნაურს ძლივს ტყობულობს უჯერო ამბავს.
ტყობულობს ესა, რომ ელიზბარ ჰკრეფავდა ჯარსა
და უძახოდა უკეთესსა, რჩეულს ვაჟკაცსა.
რომ მან იცის საიდუმლოთ ჩუმათ შეჰყარა
და უცებ გაჰქრა თვის საყმოდამ და გაიპარა.

გაჰქრა და არ ვინ არ იცოდა სადა და რათა?
ახლა გადეგცა იასესა ეს გულს სევდათა.
განცვიფრებული ახლა უფრო მის კვალს კითხულობს.
ჰკითხულობს, მაგრამ მის გზას და კვალს ველარ პოულობს...
მინამ იასე ელიზბარის კვალს იპოვნიდა,
მინამ უცხრობლათ თავის მტერთა იგი სდევნიდა.
იმას უნდოდა მთელი ქართლის დამორჩილება.
მაგრამ მოცილეთ ანდუყაფარ იმას უჩნდება.
ქართლის დაპყრობას თვით აპირებს ანდუყაფარი.
მას ყეენისა დარჩომილი ქართლშია ჯარი
უწევდა სარჩლსა და ეჭირა იმისი მხარი.
სპარსელნი იყვნენ ანდუყაფრის ხმალი და ფარი.
დღევანდლამდისინ მეგობრობა, ერთობა მძური
დღეს დაავიწყდათ და აუტყდათ ჯიბრი და შური.
ახლა ჩუმ—ჩუმათ ერთმანერთსა მტრობას უწევდნენ,
ჩუმათ ხაფანგებს ერთმანერთისა მტრულად უგებდნენ.
და ამან იხსნა დანთქმისაგან მთლათ ქართლი მთელი:
ქართველობასა უცებ მისცა იასემ ხელი;
ანდუყაფარის წინაამდეგთ მან მისცა მხარი
და მათ ალაგმა ანდუყაფრის მოსისხლე ხმალი.
ორი მძლავრი და ორი ლომი ერთმანერთს ჰბღვერდნენ,
მარტო ერთმანერთს უცქერიან, ერთმანერთს ჰხედვენ.
ამილახვარი ყეენის ჯარს მიენდობოდა
და ერისთავი ქართველობას ემყარებოდა.
ორი აფთარი ერთმანერთსა შესდარაჯებდნენ,
და სხვისა სამტროდ, შესამუსრად ველარ იცლიდნენ.
ორი ვეშაპი გადეეფარა მთლათ მთელსა ქართლსა
და ერთმანერთსა არ აცლიდნენ ქართლის შთანთქმასა.

# XXXVI

როგორც რომ მაშინ, როდესაც კაცი ლხინს ელის
მის გული უფრო ნეტართა, ტკბილათ შეჰხარის,
და ლხინის დროს კი ამ სიტკბოსა იგი ვერ ჰპოვებს;
ეგრედ ჭირის წინ, კაცსა თითქო გული უგრძნობდეს,
მას გული შეჰკვნესს, გული შესტირს, ქვალალება,
რაღაცა მძიმე უიმედო სევდით ევსება, —
და როცა ჭირი მოადგება და უმართლდება,
ამ ჭირში იმის გული მხნეობს და უმაგრდება.

ეგრედ თამარსა, უცნაურსა განსაცდელებში
გული თან და თან ქვად და რკინად გადექცეოდა.
ის თვის მოსათმენს ყოველ რიგსა გასაჭირებში,
ვით ფოლადი კლდე შეუდრეკლად უმაგრდებოდა…

მიჰყავთ თამარი სხვა ქალებთან ნებიერათა.
მის ტახტრევანი დიბითა და ოქროთ შემკული,
ქართველთავე ტყვეთ გადაგცემულთ საჭურისათა
მიაქვთ და შიგ ჰზის თამარ გესლად გადაგცემული.

მიდის თამარი და გზად ჰხედავს ქართველთა ტყვეთა,
მათ მოწყვეტილთ და დამშეულთა ელალებიან;
მთლათ მიხწნეულნი, მიმავალნი გზას შორს და მძლეთა,
ფარაონისა მშიერ ძროსათ ეგვანებიან.

აღარც ფერი და აღარც სახე ადამის მისა
ქანც მოწყვეტილთა აღარ ედოთ აღარავისა!
ვითა აჩრდილი, აკლდამიდამ ამოსულები
ძლივსღა იძროდნენ მოღლილი და მოქანცულები.

უკან მოსდევდათ ჯალათთ გროვა და დავარდნილთა,
საძნელო გზისა და სენისგან მთლად მოწყვეტილთა,
ხმლით და ჯოხითა შეუწყალად გზა-გზა ჰხოცავდნენ
და დახოცილთა უსაფლავოდ გზაზედ უშვებდნენ.

აგერა კიდეც ვეღარ შესძლეს ურიცხვთა ტყვეთა
გზას სიარული და მოქანცვით გზას ეყრებიან.
სცემენ ჯიგლაგთა, ადგებიან და ბარბაცითა
წარსდგამენ ნაბიჯს და იქავე დაეცემიან.

სცემენ ჯიგლაგთა, სცემენ ხლმებსა და სცემენ შუბებს,
მაგრამ არაქათ მოწყვეტილნი ვეღარ იძვრიან;
აქ ჯალათები იშიშვლებენ სისხლიან მკლავებს,
ვითა მატლთა და ვითა ჭიათ ეჟლიტებიან!!...

მიდიან ტყვენი დამშეულნი, დაუმესდილები
და თან გზა და გზა ბალახსა და თიხასა სჭამენ:
სიმშილისაგან გულსა და გვამ ანთებულები,
ყოველს ნაკადულს, ყოველს წუმპეს სიხარბით ჰსვამენ.

ჰსვამდნენ ხარბათ წყალს მით იგლამდნენ ცხარე წყურვილებს,
წურბელასავით წუმპეებსა ეწაფებოდნენ.
ჰსვამდნენ ხარბათა და წუმპეთი იყსებდნენ კუჭებს,
ჰსვამდნენ და ბევრნი წუმპეშივე იხრჩობოდნენ.

მოდიან ასრე წამებითა ქართველნი ტყვენი
და ბაბილონის წარტყვევნილთზედ ითმენდნენ მეტსა.
ისრაილის ძეს არ უნახავს ეს სატანჯველნი,
რასაც წარმტყვევნი იყენებდნენ ქართველთა ტყვეს.

ქართველთ დედანი მოქანცულნი და დაღალულნი
გზა და გზა ჰპყრიდნენ ძუძუ-მწოვარს და წვრილ ბავშვებსა.
უკან მოსდევდნენ ჯალათები და ურაულნი
და იმათ თვალ წინ ამ ბავშვებსა სჭრიდნენ ყელებსა.

მიდიან ტყვენი და ენთებათ გული ცეცხლითა.
უიარაღოთ ბევრგან მტარვალთ აღუდგებიან:
ომს უცხადებენ გორახითა, ტალახით, ქვითა
და ვითა ლომი, ბრჭყალ-დაჭრილი, ეკვეთებიან.
იბრძოდნენ ცხარეთ, ვიდრემ მკლავი ნებას აძლევდათ,
მუშტით და კბილით მტრისა გუნდში ჩაერეოდნენ;
თოფისა და ხმლის იმათ აღარ ერიდებოდათ;—
იბრძოდნენ მუშტით, და მახვილით იხოცებოდნენ.
გაბრაზებული ჯალათები, რა სძლევდნენ მათა,
შემუსრავდნენ და გაჟლეტავდნენ ყველას სულ მთლათა,
მაშინ უბრალო ქართველებისა დაერეოდნენ
უძლურთ დედაკაცთ და უძლურთა ყრმათა ჟლეტავდნენ.
მოდიან ასრე ტყვენი და მათ წარმტყვევნელები,
საქართველოსა არე აგერ შორს დარჩათ მათა;
მოდიან ჯარნი და სარდალნი დატვირთულები
ქართველთ ქონებით და მშვენიერთ მათ ქალთ და ვაჟთა.
მიდიან ტკბილად, ნებივრულად და გზათა მსვლელნი
ქართველთა ქალთა და ვაჟებზედ შეეგეგიან.
მდუმრად თვისს ნამუსს, თვის სიწმინდეს ტყვენი ქართველნი,
თვის წამბილწავთა სწირამენ და მიეცემიან;
და თავის დარდსა, თავის ცეცხლსა იმარხვენ გულსა:
თავის წამბილწველთ მხიარულად ეჩვენებიან.
გულში იკლავენ მათ ზიზღსა და გულისა წყლულსა,
და ნეტარებით სიკვდილის დღეს ელოდებიან.
მოდიან ასრე მტარვალები უდარდელათა,
აღარაფერი აღარა აქვთ საფიქრელათა.
გამარჯვებულნი არიან—თურანს მიაშურებენ.
უფრო ნეტარათ ახლა სახლში განისვენებენ.

მოდიან ასრე და გარს ისმის სიმღერა გზათა,
ისმის სიმღერა, და ყიჟინა მხიარულთ ხმათა.
მოლლები მაღლა თვისს ალაჰსა სწირამენ მადლსა
და მუსიკები ასხმენ ქებას ძლიერსა შაჰსა.
მოდიან ასრე დამშვიდებით იმ ადგილებში,
სად შემუსრვილი ხალხი იყო გაჩუმებული;
სადაც მრავალთა საუკუნეთ განმავლობაში,
ამ გმირსა ხალხსა მტერთან ჰქონდა ბრძოლა მედგრული.
ჭაიასტანის ადგილებსა თავისუფლათა
ფეხქვეშ სთელამდნენ, განაგებდნენ ვით მამულს მკვიდრსა.
სადაც უწინა უსისხლოთ და დაუსჯელათა
სპარსელი კაცი ვერ გასდგამდა ვერც ერთ ნაბიჯსა,
დღეს იქ არ იყო ხმის გამცემი, ხმის ამამღები.
ჭაიკის ძენი თვის ქვეყანას იყვნენ სტუმრები,
ობლად, მონებით უცხო მეფეს ფერხთ ეგებოდნენ;
ვერცხლით, ვით ფარჩას, თვის სიცოცხლეს მოიპოვებდნენ...
ვით ქარიშხალმა ეს, როდისღაც ხალხი ძლიერი,
ძლიერმა მტერმა მთლათ გაჰფანტა ქვეყნისა ზურგსა;
და გაფანტული, გულმკვნესარი, ცრემლების მღვრელი,
შორით შემზერდა თვის სამშობლოს გაოხრებულსა;
უმზერდნენ შორით თვას ქვეყანას, ფერფლად ქცეულსა,
უმზერდნენ მოძმეთ მონებასა, სამშობლო ალაგს,
უმზერდნენ ცრემლსა მათს ქვეყანას მთლად მოდებულსა,
უმზერდნენ და თან უმატებდნენ კვნესას და ვალალს!
ქრისტეს მცნებისთვის მათ შეჰსწირეს მტერსა მამული,
ქრისტეს მცნებისთვის ქრისტიანთ ხალხთ ეხიზნებოდნენ...
არ შეიწყნარეს არსად ხალხი ეს წამებული:
ვით ისრაილთა, ქრისტიანნი მათაც სდევნიდნენ!...

გახსოვდეთ ხალხნო, ჰოი სჯულ-კრულნო! სუყველას ესა:
მოკვდით მამულში, ნუ შეუშვებთ მამულში მტერსა!
მოკვდით მამულში და მამულს ნუ ანებებთ თავსა,
ნუ ეხიზნებით უცხო ხალხსა, უცხო ალაგსა!

რავდენს დამცრობას, რავდენს თაკილს, რავდენს ვალალსა
უნდა ითმენდე უცხო კარსა შეფარებული!
კაცად არა გცნობენ, კაცსა ბევრით სხვაზედ მაღალსა,
და უნდა იყვე მუდამ მეტი, მოძულებული!

რავდენიც გონით შენ მკვიდრს ხალხზედ მაღლა იდგები,
იმდენი უფრო მეტ შურს აღძრავ მათს კრულს გულშია,
რავდენიც მეტს ნიჭს გამოიჩენ, ცნობით ფხიზლდები,
იმდენათ უფრო ღრმათ დაგისმენ მაკვილის წყლულშია!...

დიახ, განიბნა გმირი ხალხი ყოველს კუთხესა,
აღარ შეჰმართა გმირი მკლავი თვისს შემმუსრველსა...
დიდების ნაშთთა თვითონ დროც კი ბოლოს ვერ უღებს,
ელის, როს ხალხი იგი კვალად გამოიღვიძებს...

აგერ ქალაქნი და ზღუდენი მაღლად გებულნი,
ეკკლესიანი, ვის სვეტები ცასა ებჯინნენ,
აგერ პალატნი დიდებულთ და მეფეთ სადგურნი,
სად ქვეყნის საქმეთ განაგებდნენ, საქმეზედ სჯიდნენ, —

ყველა მიწათა და ყველა მტვრად გადაქცეულან.
ნანგრევთ გორანი დალთა მთათა ემსგავსებიან...
მეფეთ სადგურნი და ტაძარნი ახლა ქცეულან
პირუტყვთ სადგურათ, და... სიბილწით გაივსებიან!...

ყველას განაგებს აქ მტერი და ქვეყნის მმუსრველი;
ყველას მხეცურათ ის უყურებს და მხეცათ ჰსახავს!
გონება ფხიზელს ქვეყანასა მოჰფენს ბნელი,
ნათლისა წილათ ქვეყანად ჰნერგვენ ღრმა უმეცრებას...

მტერი განაგებს, მტერი ბრძანებს, მტერი სისხლსა ჰღვრის,
დანაშთენის ხალხსაც ბოლოს უღებს, სრულ მოსპოთა ჰსდის...
ძველ ნატამალთაც იგი აღჰხვრის, უშვერი ხელით!...
ჰაიკის ძენო! გმირებრ მხნენო! სად ხართ? აღდეგით!!...
მოდიან მშვიდათ! მაგრამ უცებ დიდ-მწუხრის დროსა
მახლობლათ შაჰის კარვებისა, მაღლა მეგობისა,
უცებ შეიქნა ვაჟკაცური ხმა და ყიჟინა.
გავარდა თოფი! ელვამ ყველას გულს დაურბინა.
ყველა ფაციცით ერმანერთსა ჰკითხავს ამ ამბავს,
ყველა სისწრაფით ეტანება თოფს და იარაღს.
ალაგ-ალაგა შიშის ზარმა გაჰკრა ჯარებსა
და ზოგიერთგან დაერივნენ თვით ერთმანერთსა.
აგერ ყიჟინა ახლოვდება გამალებული.
ჯარი ყოველ მხრივ გარს ერტყმევა შაჰის კარავსა.
შაჰი ლოგინით ავარდება, განცვიფრებული,
ღამის მხევალსა პერანგასა ახვევებს თავსა;
სასწრაფოთ იცვამს ტანთ სამოსელს, ისხამს იარაღს.
უბრძანებს ჯარსა გამაგრებას, ალყა შემორტყმას.
ბედელივითა შაჰის ჯარი ერტყმება კარვებს;
თოფს და ზამბურაკთ უშიშნოთა სროლა დაუწყეს.
და არვინ იცის სიო რა გატყვრა. რა გაშოვარდა!
ზარდაცემული ბევრი ჯარი კიდეც გარბოდა.
გამორბის ჯარი მასულელი და ნაომარი,
და იმათ წილათ ომში შედის ახალი ჯარი.
მაგრამ ვერაფრით თავს დამსხმელთა ვერ იმაგრებენ.
გააქვთ ყიჟინა, ბედელივით ჯარებს ანგრევენ;
მოაქვთ თან ჯარი, ეძლეტამენ და ზედ გადმოდიან
და ახლა თანა ახალ დასხმულთ დაეცემიან.

აგერ მოადგეს ზედ კარებთან, აპობენ ჯარსა;
და ზღვის ზვირთივით მათ მოერტყათ სხვა ჯარი გარსა;
ზღვის ტბორესავით ჩაეგუბათ კარავთ წინ ჯარი;
და აქ შეიქნა შემდგარი და ომი მედგარი.
ხმალი ხმალსა სცემს და ხმალზედა ინტვრევა ხმალი.
ხმა-გაკმენდილი ომის სცემდა კაცსა გულს ზარი!
მთვარის შუქზედა გააქვთ ხანჯალთ და ხმალთ პრიალი;
მარტო და ისმის ხმლის ჩახუნი და ხმლის ზრიალი!...
სამასი გმირი გამბედავი, თავ გაწირული
მთელს შაჰის ჯარებს დაჰსხმოდა და ებრძოლებოდა!
მათ ერტყათ ჯარი ერთი ათათ მომატებული
და ამ ჯარებსა თავათ შაჰი წინ მიუძღოდა.
შეჩერდა ომი, და სამასს გმირს, რაზმად წყობილი
ახალ-ახალი შაჰის ჯარი გარს ერტყმებოდა,
მკვდართა გროვაზედ ახლად მკვდარი და დაკოდილი,
ყანის სრესავით წყდებოდა და ზედა წვებოდა.
სამასი გმირი მოუღლელად აწვება ჯარსა,
შესძრავს ჯარებსა, გადასთელავს, მიერეკება.
მაგრამა შაჰი უსევს ჯარსა ახალ-ახალსა:
სამასი გმირი მათს ბრძოლაში ჭკვალად ფერხდება.
აგერ ინათლა, მაგრამ ბრძოლა უფრო ცხოველდება.
ზარბაზნები და ზამბურაკნი მათ გარს მოუწყეს.
მეზარბაზნენი ზარბაზანთა გარე გროვდება,
და ზარბაზანთა სასროლელად წყობა დაუწყეს.
გათენდა კარგათ და სპარსელთა ქართველნი იცნეს!
შეჰხედეს ჯგუფას, მცირე ჯგუფას და გაიოცეს:
ამ გმირთ გაბედვა მათ ოცნებას ემატებოდა—
სამასი გმირი მთელს შაჰის ჯარს ეომებოდა!

ფერხ შეუდგრომლათ მთელ ღამესა იკაფებოდა,
შეუწყვეტელად, შეუდგრომლად იქნევდა ხმალსა:
ხშირად, დაცლილი სისხლისაგან ძირს ეცემოდა,
მაგრამ მაინცა არ იშლიდა მტერთან ბრძოლასა!
ვითა ლომები, მტრისა გუნდში ჩაერეოდნენ
და შეტევაზედ იფანტავდნენ მტრის ჯარებს შორსა;
ახლად მოსულს ჯარებს ასრე მაგრა ხვდებოდნენ,
თითქო ეს არის შესულიყვნენ ისინი ომსა...
იბრძვიან, მაგრამ სიმრავლესა ველარა სძლევენ.
მოსწყდნენ ბრძოლით და დაჭრილობით, მკლავს ძლივს ანძრევენ.
აქ ალყა შეჰკვრეს, შიგ დაღლილნი იკრიბებიან,
დაისვენებენ და თვით ახლა ალყას სდგევიან.
ამგვარ დიდს ხანსა აურაცხელს მტერს პასუხს სცემენ.
მაგრამ აგერა გარს მოერტყათ ჯარი ახალი.
ქანც-მიწყვეტილნი, ძლივსღა ჰსულთქმენ, ძლივს ხმალს აქნევენ.
აქ ერთმა ნორჩმა, უცებ მაღლა შეჰმართა ხმალი,
ქართული სიტყვით შემოსძახა მან გმირულათა:
„მომყვენით ძმანო! ჩვენ სიკვდილი ხომ არ აგვცდება,
მაშ ვაჟ-კაცურად დავიხოცნეთ ქართველურათა!!"
და ხმალ გაწვდილი მტრის რაზმებში გადავარდება.
მას კიჟინითა მიჰყვნენ თავის ამხანაგები.
უკანასკნელი შეიკრიბეს თავისი ძალა,—
სასიკვდილოთა მათ გადასდეს თავის თავები,—
გადაერივნენ და შეჰსდრიკეს შაჰის ამალა.
შაჰისა ჯარი შაჰის კარვებს ზედ მიარეკეს.
აქ მედგრებს მისცეს ზამბურაკნი და ზარბაზნები,
და მათ ყუმბარითა მთლათ დაჰფლითეს და მთლათ ჩალეწეს
ქართველთა გმირთა კედელივით კრული რაზმები!...

და ურმანა შაჰმა, რომ იგი ყრმა, რაზმით წინ მავალი
არ ვის მოეკლა, და გაგზავნა მის მაძებარი.
იპოვნეს იგი, — მთლათ დაკოდვილს, ხელთ ეპყრა ხმალი,
ცნობა მიხდოდა და სდიოდა სისხლისა ღვარი.
შეჰხვდა შაჰმა და დიდს ხანსა მას უყურებდა:
მისი მშვენება და გმირობა გაიკვირვებდა.
მაგრამ მის ხასვით შაჰის გული რაღასაც შეჰკრთა,
და შაჰი ამა გულის კრთომას სრულად ვერ მიხვდა.

## XXXVII.

მგრძნობარე გულსა თამარისას არ დაემალა
ეს გმირთ ამბავი, და ამ თოფის სროლის უმალა,
იმასა თითქო გულმა უგრძნო, რომ ელიზბარი
ჯართა მომსვლი იქნებოდა და წინამძღვარი.
გათავდა ომობა და ჩაყლიტეს ქართველი გმირნი.
ამ ამბავს ჯარემს უამბობდნენ საჭურის ქმნილნი.
ქართველთ მხნეობას დაწვრილებით მათ უამბობდნენ,
ყველაზედ მეტად ამ გმირებში ერთს გმირს აქებდნენ:
აღწერდნენ ამ ყრმას და უქებდნენ მშვენიერებასა,
შეუპოვარსა ვაჟკაცობას, ახოვნებასა.
არც ერთს სიტყვასა არ უშვებდა თამარი ძირსა:
ამ ყრმას სახეში თამარი სცნობს ელიზბარ — გმირსა.
და, რა გაიგო, რომ ელიზბარ იყო ცოცხალი,
ჯარის ექიმის მას ეძლევა მუდამ წამალი,
მან თვის სამყოფში ქრისტიანთ ღმერთის განუპყრობ ხელი,
თანა ჰვედრიდა და თან ცხარე სდიოდა ცრემლი.

ასე მახლობლად იმას ჰყავდა სატრფო გულისა,
მსხვერპლი მის ტრფობის, მისი ტკბილი სიყვარულისა,
და ეს მის ნახვას ვერას გზით ვერ ეღირსებოდა!
ეს სატანჯველი ახალ ცეცხლად გულს ედებოდა.
ვერა ღონით ვერ გამოაჩენს ელიზბრის ცნობას,
ამ ცნობით იგი მას გაუწევს დაღუპვას, მტრობას...
თამარ თან ცრემლებს იმაგრებდა, იკავებდა თავს,
თან ფაციცითა ყურს უგდებდა მაზედ ლაპარაკს...
და აგერ კიდეც დაიმკვიდრეს. მათ თეირანსა,
ელიზბარისა კარგათ ყოფნა ესმის თამარსა.
მომჯობინარდა ელიზბარი, გახდა კარგათა:
მღვივლა არჩევდნენ ჭრილობისა და წყლულის კვალთა.
შეიქნა კარგათ ელიზბარი, მაგრამ არ იცის:
იცის თამარმა ირანს ყოფნა თვის ელიზბარის?...
ყველნი იმას უგდებს ყურსა, აპყრობს პატივსა,
თავის ულუფას უგზავნიდა ყოველ სადილსა.
ყველნი იმას წყალობითა ეკიდებოდა, —
ცეცხლათ წყალობა ეს ელიზბარს ეკიდებოდა.
მას იბრალებდა და სწყალობდა ის, რომელმანცა:
მას თვისი სატრფო, თვის სიცოცხლე გულით მოსტაცა!
ვერც მიჰხვედროდა ამ წყალობას ყრმა ელიზბარი;
სწყალობდა მასა, ვინც დაუსვა მას გულს ლახვარი!...
შაჰი თვის ჰარამის დამამშვენედ იმას ინახავს,
თუმც თვის სიბილწეს ჯერობითა გულში იმარხავს!...
მორჩა ელიზბარ და ივსება ჯანით, ღონითა,
და მას ყველნი უბრთხილდება ყოვლის ზომითა.
მუდამ აბანო, შექცევა, და სეირნობანი
საუკეთესო მომქცევნი და შემამკობარნი;

საუკეთესო ცხენები და უკან მხლებლები,
ოქროს და ვერცხლის სამკაული და სამოსლები,
ტკბილი ნადიმი, ნადირობა და ჯირითობა,
სანებივრონი, სანეტარო სმებით დატკბობა!
რაც არ ენახა აქამდისინ იმას სიზმრათა,
რაც რომ მის დღეში არ მოსვლია თავში ფიქრათა,—
ახლა ის ჰხედავს და ყოველ მხრით უწყობენ ხელსა,
და შესაქცევრად ხშირად მიჰყავს თვითონ ყეენსა.
არს ამ ყოფაში, და უცებათ იგი გაიგებს,
რომა დაზნელის ქალი თამარ შირაზს გაჰგზავნეს.
ამალა ჩუმათ, მაგრამ ყველგან იმას ამბობდა,
რომ მშვენიერი თამარ შაჰსა ქმრად არ ნდომობდა;
და რომა შაჰი მისთვის იყო გახელებული;
რომ მის უარით შაჰი სრულად თავს აღარა სცნობს,
რომ ამის გამო იგი არის აღელვებული,
მისთვის ყველაზედ ჯინიანობს, ყველაზედ ბრაზობს;
რა ვერ მოიკლა მასზედ ჯინი იმისმა გულმა,
შირაზს გაგზავნა საწამებლათ, განრისხებულმა:
შესაშინებლათ — ჯერ წამებულთ მას აჩვენებდენ,
თუ იჯერებდა, მაშინ თვითონ მას აწამებდნენ.
ესმა ელიზბარს ეს ამბავი და შმაგივითა
ის თვის საწოლსა დაემგერა, მწარედ მშფოთარი;
თან გულში იცემს და თან თავში მუშტს ბავშვივითა,—
იმისთვის უნდა ახლა მოკვდეს მისი თამარი!...
იმას უცებათ გაუელვეს ფიქრებმა გულსა,
და საჩქაროზედ ნახვა სთხოვა შაჰს დიდებულსა.
შაჰის წინ იგი ძირს დაეშვა მუხლების თავსა,
და მდუღარებით მის წინ მოჰყვა ამგვარ სიტყვასა:

„შაჰო ძლიერო, დიდებულო, მზეო ქვეყნისა!
შენი სიმართლე და წყალობა გათქმულა ქვეყნად,
შენ მომანიჭე დღეს სიცოცხლე, ცოცხალს შენთვისა
და მამის წილათ შენ გამიზდი, რჩენილსა ობლად.
„სიკვდილის წილად მომაყენე პატივი თავსა;
დასდევ პატივი ჩემს სიყრმესა, კაცკაცობასა!
და, აი ახლა, შენ წინ, შენგან გულ-მოგებული,
შენი ხმლისთვის სასიკვდილოთ გამზადებული,
„მუხლის თავითა, ცხარე ცრემლით, სევდა მოსული,
შესავედრებლათ, ძრწოლარებით ვარ აწ მოსილი.
მიბრძანე: რაცა კი ჰნებავდეს შენს დიდებასა, —
შევწირავ თავსა შენს სურვილს და შენს ნებასა, —
„მიბრძანე ცეცხლში გადავარდნა დასაწვავათა, —
შენი ბრძანებით ყველაფერზედ გახლავართ მზათა!...
შენ შეუსმინე შენსა მონას ერთი ვედრება, —
ვედრება რომელს ჩემთვის ქვეყნად არ რა ედრება:
„მე ქვეყნიერად არ ვინ დამრჩა, ყველა გამუსრეს:
ჩემი სამშობლო, ნათესავი, ძისხი და გვარი
ჩემთა მოსისხლე მტერთა ქვეყნად სრულად მომისპეს,
მხოლოდ გადავრჩით მტრის მახვილსა მე და თამარი;
„და ორივენი დავემონეთ შენს ძრიელს ხმალსა.
მე აქამდისინ ჩემსა სახელს და ჩემსა გვარსა,
თქვენ გიმალავდით, რადგან თქვენგან ველოდი სიკვდილს, —
მაგრამ სიცოცხლე მომანიჭეთ სიცოცხლის უღირსს; —
„მე ვარ ლაზნელი და თამარი არის ჩემი და...
ამის საკვდავად გაგიცია შაჰო ბრძანება...
ჩვენს ამდენს ცეცხლსა, ჩვენს წამებას აკმარე ისა,
რაც მოვლენაა თავსა ჩვენსა ჟამსა გავლილსა.

„უბრძანე შაჰმა, რომ არ მოჰკლან ჩემი თამარი,
და, თუ ჰნებავდეს იმის წილად მე მიმცენ ცეცხლსა.
ის თქვენს წყალობას და დიდებას, რა ღირსი არი!...
ის თავის დღეში ვერ გაჰბედავს ურჩებას თქვენსა.
„მაგრამ იმასა ჰყვავდა საქმრო ლომი და ქველი.
პატარაობით თამარ ჰყვავდა მას შეკვეთილი.
იმან დაიხსნა სიკვდილიდამ ერთხელ თამარი,
და ფიცი დასდვეს: გამხდარიყვნენ ცოლი და ქმარი.
„თქვენ ჯართაგანს მოკლულ იქმნა იგი ყრმა გმირი,
და მას იგი ყრმა ჯერეთ გულში აქვს ჩარჩენილი.
შეიწყალეთ და მიეცით ფიქრისა ჟამი,—
ჟამი ყოველი კაცის გულის სენის მალამი.
„გავა ჟამი და თამარ აგრძნობს თვის შეცდომასა
და ის თაყვანით თქვენზედ გასცვლის ძველს მეგობარსა...
ჰოი, დიდებულო, ჩემსა თამარს ნუ მისცემ სიკვდილს
და შენს მარჯვენას ქვეყნად ქებულს ნუ მოსცხებ მის სისხლს."
— ადექი ყრმაო!—და აქ შაჰმა მღელვარს ელიზბარს
ასაყენებლათ წევა უწყო ლაქიზა ხელით:
— ადექ, ნუ ზრუნავ, ნუღა სტირი შენს მშვენიერს დას:
შენც და თამარიც ორივენა ჩემი იქნებით.
— როგორც თამარი, ისე შენა — ორივ მინდიხართ
ჩემი ჯარამის დასამშვენად, ჩემს განსაცხრომათ.
უნდა თამარსა დავამონო ყველა ცოლები;
პარკულ პირათა ყრმა ვაჟებში შენ მეყოლები!—
ამ სიტყვაზედა შეაყრყოლა მთლათ ელიზბარი:
იმას სირცხვილით მთლათ აენთო სახე მღელვარი;
ლურჯათ თავპირში ანთებული მოაწვა სისხლი
და ვითა შმაგსა თვალებშია აენთო ცეცხლი;

და, როს ოდნავად გონს მოვიდა, მან უნებურად
ხანჯლის ადგილას წაიტანა ხელი, ჩვეული;
მაგრამ ხანჯალი არსად იყო, და ეს მედგრულად
შაჰის მცველებმა გაიყვანეს აღელვებული!

## XXXVIII.

შირაზის ქალაქს არის რაღაც დიდი მზადება.
დიდს ხანს ამ ღამეს მთელ ამ ქალაქს არ მოსდის ძილი.
ყველას სხვა რიგათ გული უცემს და უღელვდება.
არის ღაღანი, მითქმა-მოთქმა, დიდი ლოდინი.
აგერა ძლივას ღამის სიღრმეს მისწვდა ეყხის ხმა,
ხამლამ-ხანას და ყავა-ხანას შესწვდა სიმღერა.
ხვალის ლოდინით, მოქანცულმა ღელვილმა ხალხმა
თავი ძილს მისცა, რა ღაღანით გული იჯერა.
მოსწვდა ეყხის ხმა და ქალაქი ისე მიწყნარდა,
რომ თითქო მკვდართა სასაფლაოდ ის შეცვლილიყვეს;
მისწვდა ხალხის ხმა, და ჰაერიც ისე მიტკნარდა,
თითქო ბუნება შემწყდარიყვეს და მომკვდარიყვეს.
აღარც სად სიო, არც ფაჩუნი ხის ფურცლებისა;
კარის ოთხფეხთაც კი შესწყვიტეს ყეფა ღამისა!
არის სიჩუმე. მხოლოდ ერთსა ყრუ ალაგასა
აქვს მწარე კვნესა, ჩუმი ცრემლი ხალხის ეროვასა.
აქ იყვნენ ერთათ შეგროვილნი ქართველი ტყვენი,
ვინ თავის გულის რწმუნებათა შესწირეს დღენი:
ტყვენი რომელთაც ჰარამს ყოფნა არ მოისურვეს,
რომელთ მაჰმადის თაყვანება კისერს არ იდვეს.

ესენი იყვნენ არჩეულნი ვაჟნი და ქალნი,
ესენი იყვნენ უკეთესნი ქართველთა ძენი,
თვის მშვენებითა და მხნე გულით ქართველთა თვალნი,
მარილი სოფლის და თავისა ქვეყნის მამშვენნი.
სახვალიოთა იმათა აქვთ გადაწყვეტილი
წამებითა და სატანჯველით მწარე სიკვდილი.
იმათ თვალთ წინვე საგირეებს სწრაფად აგებდნენ
და საწამებელთ საქენჯნავებს შეამზადებდნენ...
მთელსა ღამესა არა სძინავთ და მოსთქვამენ ბედს,
თავს ავედრებენ ცხარე ცრემლით ჯვარცმულსა ქრისტეს;
სწირამენ სულსა, და საშინელს ხვალინდელს დღესა
მოთმინებასა ევედრიან ქართველთა ღმერთსა.
არ სძინავთ ღამე, ლოცულობენ და თან სტირიან,
ესალმებიან ერთმანერთსა და თან ჰკოცნიან;
ერთმანერთს ცოდვის მიტევებას ევედრებიან
და ერთმანერთსა აღსარებას ეუბნებიან.
აგერ რიყრაყის ნებიერმა დაჰკრა ჰაერმა,
და აგერ მზემაც მთის წვერებს ჰკრა თვისი სხივები;
ნებიერად და დიდებულად მთის წვერიდამა
წითლად აღმოსდა მზე ბრწყინვალე, ქვეყნის მთიები.
წითელი იყო მნათობი მზე, თითქო ის სისხლში
იყვეს ნაბანი; წითლად ჰკრთოდა მისგან ალმური;
წითლად გასჭვირდნენ მის სხივები მშრალს ხმელს ჰაერში,
და იმგრგვლივ იდგა გვალვის ნისლი და გვალვის ბური.
დაჰნათა მზემა მაღლიდამა ქალაქსა მთელსა.
მინარათაგან ქალაქისა ყოველს მხარესა
მართლ-მორწმუნეთა დამახილი უწყეს მოლლათა,
რომ შეყრილიყვნენ, მეჩეთს მადლის შესაწირათა;

რომ დაჰყედრობდნენ დიდსა მაჰმადს გულმხურვალეთა,
რომ მას ჩაეგდო გონებაში ტყვენი ქართველთა;
გიაურთათვის შეეგონა თვისი ძალანი,
ეწამებინა იმათთვისა წმინდა ყურანი.
მოლანი ალლაჰს დიდებასა მაღლად სწირავდნენ,
მართლ-მორწმუნენი მეჩეთისკენ მიაშურებდნენ;
იქ თვის ალაჰსა ქრისტიანთზედ ძლევასა სთხოვდნენ
და ურწმუნოთა შემუსრვასა ევედრებოდნენ.
შესრულდა ლოცვა, შირაზისა მთელსა ქალაქსა
დაკვრა დაუწყეს მაღლა ბუკებს და ნაღარასა.
ქუჩა და ქუჩა მაყვირლები დარბოდნენ ხშირად,
უძახდნენ ხალხსა მოედანზედ შესაკრებელად.
ქუჩას თურქმენნი ცხენებითა იარებოდნენ
და შესაკრებად ხალხს მოედანს ერეკებოდნენ.
მორეკილს ხალხსა, უყენებდნენ მოედანს გარსა
და თვით ცხენებით უკან უდგნენ აქ შეყრილს ხალხსა.
შეგროვდა ხალხი, მოედანზედ ბრბო ხალხისა დევს.
მოუთმენელად ხალხი ელის დიდ სანახავებს.
გამტერებული იგი ელის ხალხსა ქართველსა
და გულის ძგერით შესცქერის მოსავალს გზებსა.
და აგერ გახდა ხალხში ზარი და ღრიანცელი.
აგერა მოჰყავთ შებორკილი ხალხი ქართველი;
და მთელს ხალხშია გავარდა ხმა, ისმის გაგანი,
ისმის, და ყველას ქართველთაკენ რჩებოდათ თვალი.
მოჰყავთ ქართველნი საწამებლათ მოედანს კრცელსა.
შეჰხედეს ქართველთ და იხილეს თვისი სიკვდილი!
ეგზნა საკირე მოედნისა ყოველს მხარესა
და ცასა სცემდა მათი ცეცხლის კორიანტელი.

ნაკვერჩხლის ფერათ წითლად იყვნენ ალეწილები
ამა საკირეს აგებულნი გარს ქვითკირები.
ალი ხან ცათმდის ადიოდა, ხან გარს გაჰქროდა
და, ვით ზღვის ღელვას გრიალი და გრგვინვა გაჰქონდა.
მათ მოშორებით მწკრივად იყვნენ გამართულები
საქანჯნავები, საწამებლად აგებულები.
აქ ასურვებდნენ ჯალათები რკინასა და რვალს;
ჯაშუშათ ქურთნი და თურქმენნი იმათ ერტყათ გარს.
შეჰხედეს ტყვეთა და შეჰზარათ, გადაჰკრათ ფერსა;
მაღლა ზეცისკენ შეიხედეს — შეჰხედეს ღმერთსა;
ღმერთსა ნიადაგ გაჭირვებულთ შემბრალებელსა,
ღმერთსა მაღალსა, ღმერთსა ძლიერს, ქართველთა ღმერთსა!...
შიშისა ზარმა დაუარათ ყრიანტელით ტანთა;
და შესთხოვდნენ ღმერთს მხნეობას და მოთმინებასა.
ტყვენი ერთმანერთს მიეყუჟნენ დადგნენ ერთათა,—
ერთმანერთისგან მოელოდნენ თითქო შველასა.
და აგერ დაჰკრეს წამებისა ბუკს და ნაღარსა!
ვითა მედგარმა, გაჰკრა ამ ხმამ ტყვეთ ზარით ტანსა;
ზარით და მედგრათ ამ საყვირთა ხმამ დაუარა
თვითონ მუსლიმთა და თვით მათი გულიც შეჰზარა...
აგერა დიდი მშვენიერი ტახტრევანითა,
გარს შემორტყმული ხოჯებით და ხადუმთ ჯარითა,
მოედნის პირას, გამართულსა საკუთარს ჩარდახს,
მოწიწებითა მოიყვანენ და დაჰსვენ თამარს.
თამარს თან ახლდა იმამყული, შირაზის ხანი.
მან თამარის წინ მოიხარა მონურად თავი:
შაჰის სურვილის შესრულებას ევედრებოდა
და მით წამების აცდენასა, მას რომ ელოდა.

მაგრამ თამარმა გადაწყვეტით უთხრა უარი,—
წამებით სიკვდილს თვით ჰნატრობდა ბევრჯერ თამარი:
იმას სიყრმიდგე ჰქონდა გულში შეგონებული,
რომ ნეტარია ქრისტესთვის აქ წამებული.
მაშინ უბრძანა იმამყულმა მზა ჯალათებსა.
მათ აფთარებრივ ხელი სტაცეს უძლურ ტყვეებსა.
ტყვეთ ადგნენ თავსა დიდი კაცნი, დიდი ხანები,
ვის არ ნდომობდნენ ქართველების ყრმა და ქალები,
ისინი მშვიდათ განაგებდნენ ტყვეების ტანჯვას.
აგერა უცებ რამდენსამე, ყრმასა გამბედავს,
რომელნიც უფრო უჩვენებდნენ გულოვნებასა,
მით ამხნევებდნენ, ამაგრებდნენ ამხანაგებსა,
მხეცური გულით ტანთ გაცარკვა დაუწყეს ჯალათთ;
მთლად გადაჭკლიჯეს ტანთ სამოსელი, ძირს დასცეს მძლავრათ,
გადაუგრიხეს დასანტვრევად უკან მკლავები.
ფეხის ქუსლთაკენ გადუზნიქეს მხრებზედ თავები.
ჩასდვეს მუხრუჭში და გაჭიანჯეს, და აქ თვალებში
მათ წამოაწვეთ სისხლის გუბე; ხელ-ფეხ მკლავებში
გახურებული გაუყარეს რკინის გაზები;
და მათ თავს მდგომი მოლაები და ყაზიები
უმკერდნენ ყორანს და უქადდნენ მის წამებასა:
მაგრამ ამ ყრმათა შეიხედეს მაღლა ზეცასა
და შეღაღადეს მაღლა ქრისტეს, ქრისტიანთ ღმერთსა:
„შენთვის ძლიერო, ძეო ღვთისაო, ვწირავთ თავებსა!
„ქრისტევ მაღალო, ქართველთ სასოვ, მოგვეც მხნეობა!
შენ შეიწირე ჩვენი სული — სული დამწვარი;
სასუფეველსა მოგვანიჭე სამკვიდრობა
და ჩვენთა მტანჯველთ შენ მიაგე ჩვენ მაგიერი!

„შორს ჩვენგან ცუდნო გულის თქმანო! ქრისტე გვწავს ჩვენა!
მუხრუჭს მოსწიედ, რაც შეგეძლოთ ჯალათნო თქვენა!"
და აქ ჯალათთა სტაცეს იმათ სწრაფათ ხელები
და მუხრუჭები შემოაცარცვეს მოჭრილები;
სამღრთო ცხვარივით, უკან კისერ გადაგრეხილნი,
მგზნებარე ცეცხლთან მათ ისინი მსწრაფლ მიიყვანეს;
ერთიც და უთხრეს, რომ ეწამნათ იმათ ყორანი,
და აქ საკირეს, მგზნებარესა ყველა ჩაჰყარეს.
ჩაჰყარეს ცეცხლში, და იმათა ერთიც უღონოთ:
„მეო ღვთისაო!" შეიძახეს ზეცისაკენა,
და საკირისა სიღრმეს უცებ გაჰქრნენ სამუდმოთ,
მათი სახელი და მათ სულიც გაჰქრნენ ხორცთანა!
მათი ხსენებაც კი გამქრალა ჩვენს ხსოვნაშია;
მარტო ჩუმებრივ პოეტისა ოცნებაშია.
მათი წამება ელვასავით ფიქრს გაივლიან
და ხალხისა გულში ოდნავ გრძნობას კიდევ აღძრიან...
გაჰქრნენ ისინი და აგერა მოჰყავთ ქალები.
მათ, მღელვარეთა, ფერხნი გზა-გზა უდუნდებოდათ;
მწუხარებისგან ჩაჰქრობოდათ მწარედ თვალები,
სისუსტისაგან სუსტი გული უღონდებოდათ.
აგერ მოლანი ყორანებით დაადგნენ თავს.
და თვით მოლასაც სიბრალული გულში აღეძრათ:
ცრემლებით სთხოვდნენ მათ რჯულისა დატოვებასა.
მაგრამ ტყვეთაგან მათ უკმეხი უარი ესმათ.
მათ თვალწინ უდგათ სასუფევლის ღია კარები,
სად დახვდებოდნენ სერაფიმნი მღაღადებლები.
სად საუკუნოდ შვებასა და ლხენას ელოდნენ
და სად საწუთროს დავიწყებას მიეცემოდნენ...

მაშინ ნელ ცხელსა რკინაზედა ქალნი განართხეს,
ქვემოდამ რკინებს ნელსაწვავი ცეცხლები მისცეს.
სურდება რკინა და ნელ ცეცხლზედ ტყავნი იწვიან ..
ცდილობენ ადგნენ შებორკილნი, და ვერ იძვრიან!...
გააქვს შიშხინი მათს ნაზს ხორცა, სდის კომლი ცხელი.
მწარედ ჰგმინავენ, სთხოვენ შვებას, დასვენებასა,
სთხოვენ წყლის დასხმას, რომ ინელონ თვის სატანჯველი.
მაგრამ წყლის წილად აწოდებენ მარად ყორანსა.
შეჰხედვენ ყორანს და აგერა უშვერენ თავსა,
აგერ საცაა სცემენ თაყვანს და ემთხვევიან.
მაგრამ უცებათ, რომ შეჰხედვენ მაღლა ზეცასა,
თვალებსა ჰხუჭვენ და ყორანსა ერიდებიან.
მაშინ თვითონა მტარვალთ გულიც კი ჰღელდებოდა;
თვით კერპთა გულიც კი შეიქნა აღელვებული;
ხალხისა გროვა ცხარე ცრემლით დაილვრებოდა,
და მოედნიდამ ისწრაფოდა აღშფოთებული.
გარბოდა ხალხი; მაგრამ ისევ ხმლისა ყუითა.
მას აბრუნებდა შაჰის ჯარი უკან მოედანს;
იდგა აქ ხალხი მუსლიმანი ცრემლების ღვრითა
და გულ მდუღარეთ. უსცქეროდა ქრისტიანთ ტანჯვას.
თან და თან გახდა ხალხი ისე აღელვებული,
რომ იყო მზათა—გამსდარიყო თვით წამებული,
ან გამოეხსნა სატანჯველით ქალნი ქართველნი,
და ჩაეყარა საკირეში მათი მტანჯველნი.
მაშინ მტარვალთა დაუმასეს, რომ ესე ქალნი,
ჯალათთა გროვას ჩაეყარა საკირეშია.
და ქალებიცა უგონონი, ცნობა გამქრალნი,
სამუდმოდ გაჰქრნენ საკირისა ფიცხელს ცეცხლშია.

აგერა მოჰყავთ სხვა ქალები, მშვენიერები,
მათ მიუმენდილთაც სიმშვენიერე სახეს ებეჭდათ.
ისინი იყვნენ სულ დედები, სულ ყმაწვილები,
მათთვის ძუძუდამ ძუძუთ ბავშვნი მტერთ აუგლიჯავთ.
და აქ უცებ, ხალხთა გროვათ, ჯგუფად შემდგართა,
თურქმენთ მხედარნი აპობენ და შუა მოდიან.
გააპეს ხალხი, და შეჯგუფულთ ალყათ ერთათა,
იმამყულისკენ სწრაფათ მისვლას ეჩქარებიან,
იმამყულის წინ მხედართ ჯგუფა წარდგა დაღლილი,
და მას მიჰგვარეს, ხელსა და ფეხ ხუნდებ გაყრილი,
მშვენიერი ყრმა, სარო—ტანი და ახოვანი.
ამპარტავნულად ცეცხლს აფრქვევდნენ იმისი თვალნი.
ზიზღით, თაკილით უყურებდა ის თავის წარმტყვევნთა,
და დაშტერებით აკვირვებდა თვალთა ქართველთა...
შეჰწყდა თამარ და ამ ყრმაში იცნა ელიზბარ.
ამ დანახვაზედ მთლად ათრთოლდა და შეჰკრთა თამარ.
იმამყული ხანს თურქმენთ მხედართ წიგნი მოართვეს,—
და ყრმა მხედარსა ჯალათთ გროვა გარს შემოარტყეს—
ეს წიგნი იყო შაჰ-აბაზის მკაცრი ბრძანება,
მეხებრივ წყრომა, ამბოხება და მრისხანება.
წაკითხვის უმალ ხანმა ჯალათთ მისცა ბრძანება—
გაცრცვა იმ ყრმისა და სასტიკად მისი წამება.
ჯალათთ გაცარცვეს ელიზბარსა შესამოსელი
და მთლათ გაცარცულს გაუბოჭეს ფეხი და ხელი.
ის სასწრაფოთა აიყვანეს მეგობს მაღალსა,
სად უარესხი იყვნენ დგმული საწამებლები.
აქ გადაჰხედა ელიზბარმა თავის თამარსა
და ჰხედავს—თამარს დაჰკარგვია სულ მთლათ თვალები.

„მაგრათ იყავი! — მან შესძახა მაღლით თამარსა, —
„არ შეუშინდე ჩვენთა მტარვალთ სისხლს და ტანჯვასა.
უჩვენოთ ამათ, რომ ჩვენ ტანჯვა ვერ შეგვაშინებს,
რომ მათი ხმალი ჩვენ გზას ჩვენ ვერ შეგვაცვლევინებს!“
თამარ შესცქერის ჩარდახიდამ გაცრეცილს ელიზბარს;
ჰკარგვის წყალი მოელვარე მას თვალებისა.
მის გულს ათასი მომკვლავი ფიქრები ჰღელავს,
ფიქრნი... ტრფიალის დახსნისა და მის წამებისა...
იმის გულისთვის ელიზბარი უნდა მისცენ ცეცხლს,
მოულოდნელი სატანჯველით მოჰკლან მის წინა!
მერე, ვინ იცის, იმის უკან ეს ცოცხლად დარჩეს!!
მაშ იმას თავი, უზაკველი, უნდა ვისთვისა?!
არის ამ ფიქრში და ფიქრები ფიქრს ეწეწება,
ათას გვარათა ერთს წუთაზედ ფიქრი ეცვლება.
მას გულში ალი გეენისა მწარედ ეგზნება.
აგარ საცაა იმის სატრფო მის წინ გაჰქრება!
მისი სიცოცხლე აწ ჰკიდია მის: ჰო! არაზედ!
აგერ განართხეს ელიზბარი საქენჯნავს ქვაზედ!...
აგერ მზათ არის დაუძახოს თამარ იმამეულს
და განუცხადოს, რომ უხდება შაჰ-აბაზს ყაბულს, —
რომ აქ სანახავს დაიხსნავს გულის გამგმირველს. —
ესე ამბავი ელიზბარის სიკვდილს ახანებს. —
ძუძუთა ბავშვნი ყრიამულით ჯალათთ მოასხეს...
შეჰხედეს დედაა და შვილები თავისი იცნეს!
ისინი ცოცხლად აქეთ-იქით თვალებს აცეცდნენ.
შეჰხედეს ცეცხლსა, ხალხთა ბრბოსა, იწყეს ფთხრიალი,
იწყეს წივილი, ყრიამული, დედებს უძახდნენ.
დედათ შეჰყვირეს და დაიწყეს მწარედ ღრიალი.

იცნეს ბავშვებმა თვის დედები და ატანენ ხელს
გამწარებულნი თავის დედებს ეტანებიან.
მუმუ დამწვარნი მტარვალთ სთხოვენ დედები შვილებს
და ერთიც კიდევ მათ გულს ჩაკვრას ევედრებიან.
მაგრამ ბავშვთა წილ კვალად წარდგნენ ყორხით მოლანი,
მწარე ქვითინით ტყვეთ ეტყოდნენ იგი ყველანი:
„თუ არ იწამებთ, თქვენს შვილებსა თქვენ წინ დასწვამენ,
და მასუკანა თქვენ თვითონაც ზედ მიგატანენ.“
შეჰკრთნენ დედანი! ცეცხლი უვლით მათ გულს და გვამსა-
თან შესცქერიან თავის შვილთა, და თან ზეცასა,
თან ახსოვთ ქრისტე, და თან შვილთა ცეცხლი ედებათ.
არიან ჩუმათ და გულს ცეცხლი ცხელი ეგზნებათ.
არიან ჩუმათ, ვერ ამბობენ ვერა პასუხსა.
და არ იციან ვის გადუდგნენ — შვილსა თუ სულსა!
ვერას ამბობდნენ, და აქ უცებ ჯალათთ დაუწყეს
გულ-გაყინულთ და შემკრთალთ ბავშვთა სროლა საკირეს.
ელიან ამით შერყევასა დედათა გულსა.
მაგრამ მინამდის მოკლენ ქალნი ფიქრსა და გონსა,
მინამ თვით სპარსთა ხალხთა გროვა ისრე აღელვდა;
ისე დაიწყო ამბოხება, ისე აღშფოთდა,
რომ ის თვის ღელვით დაემგვანა მღელვარე ზღვასა.
განრისხებული მოითხოვდა ის მუქარასა.
ხალხი ბრბოსავით გადეღობა საკირეებსა,
და გარს მოერტყა ყველგან დადგმულს საქანჯნავებსა,
ის მათ სიკვდილსა ემუქროდა, ვინც კიდევ რომა
ერთიც დაჰღვრიდა ან ერთს წვეთსა ტყვეების სისხლსა.
და აქ წამება შეაყენა იმამყულ ხანმა, —
სასწრაფოთ შაჰსა მოახსენა ღელვა ხალხისა.

## XXXIX.

შირაზის ქალაქს არის ციხე, სად ტყვენი ჰყრიან
და ათასობით, უპატრონოდ იჟლიტებიან.
იქ, გმირთ ვაჟკაცთა, ვინ იცავდნენ თვის ხმლით მამულსა,
ერთ-გვარად სჯიდნენ, ვით გამცემს და ქვეყნის ორგულსა.
იქ, ბნელს ჯურღმულში, შიმშილით და უსინათლობით
კაცნი ცოცხალნი მკვდართა აჩრდილთ ემსგავსებოდნენ;
ჯაჭვთა ჩხარუნი გაისმოდა იქ კბილთა ღრჭენით
და უიმედოთ ჭაბუკთ გულნი დაინთქმებოდნენ.
ყოველს კვნესასა ჰდარაჯობდნენ ჯალათნი მკაცრად,
ცულებითა და ხმლებით სწყვეტდნენ მათ შეუწყალად.
აქ შიმშილითა და წყურვილით ხალხი სწყდებოდა,
და მკვდართა გვამი ცოცხლებ შუა იქვე ლპებოდა.
დიდი ხანია აქ პატიმრად არს შეპყრობილი
სასძლო ქრისტესი, ქრისტესათვის თავ-განწირული,
ვინ თვის სიმტკიცით აოცებდა მთელს ქვეყანასა,
ვინ უღელვებდა გოროზს გულსა გოროზს აბაზსა:
იყო პატიმრად ქეთევანი, კახთ დედუფალი.
მან თვის გვირგვინი მიწიერი შესწირა ცასა.
ნაზად გაზრდილი, მბრძანებელი, ქვეყნის უფალი,
ახლა ითმენდა უგბირ გვემას, უშვერებასა.
და აგერ შაჰმა, მრისხანემა გასცა ბრძანება,
რომ მომხდარიყო ამ დედუფლის შირაზს წამება.
იმამყული ხან, კაცთ მოყვარე, შეუდგა ცდასა,
რომ დედუფალი აეცდინა მწარე ტანჯვასა.

ჯვრის საპატიმროს ქეთევანი, ღონე მიხდილი,
და სახე მისი, პატიმრობით არს მიუჭკნილი.
მთელს დღეს და ღამეს ის შესტირის თავის ქრისტესა;
ისეც მშიერი, იმარხვიდა საყოველ დღესა
მოძღვარს ეტყოდა ყოველ მასაოს აღსარებასა
და ცრემლით სთხოვდა თვის ცოდვათა მიტევებასა.
მოუთმენლად იგი იმ დღეს ელოდებოდა,
როს საიდუმლოს მიღებასა ეღირსებოდა.
შეუწყვეტლად ჰკითხულობდა საღმრთო წერილსა,
მამათ ცხოვრებას, მათს წამებას და სასწაულსა;
კითხულობდა და შეჰხაროდა მათს სვეს და ბედსა,
ყოველით ცდილობდა — ჰღირსებოდა თვითონ იმათს ბედსა.
აგერ კიდეც გაიღება საკანის კარი
და დედოფალსა ეხლება შირაზის ხანი:
მოკრძალებით და მოწიწებით მის წინ წარსდგება
და სთხოვს ქეთევანს, რომ მან მისცეს მას სიტყვის ნება.
— ისმინე, კახთა დედოფალო, რჩევის სიტყვები...
მე თაყვანებით პატივსა გცემ შენს დიდებასა.
შენი სიმტკიცით და სიმხნევით შესდრკნენ გულები,
შესდრკნენ, ვინც შენზედ იმარხავდნენ შურსა და ჯავრსა.
— მაგრამ არ დასცხრა შაჰის გული და მრისხანება:
შენი წამებით სიკვდილისა მომცა ბრძანება.
მაჰმადისასა წმიდა ყურანს თუ არ იწამებ,
ცრემლების მღვრელს და გულ-მდუღარეს შენ შეიძულებ,
— რომ მიგცე მწარეს უცხაურსა ტანჯვასა და ცეცხლს
და საუკუნოდ გამოკწირო შენ შენს ნაშვილსა,
მამულსა ოხრად გაშვებულსა, სისხლით მჩქეფარეს
და შაჰისაგან სასიკვდილოთ გამზადებულსა!

— შენ, დიდებულო, მოისმინე: უარისა თქმით,
საუკუნოთა დაუკარგავ გვირგვინს შენს შვილსა,
სამუდამოთ და საუკუნოთ. შენი სიმტკიცით,
მისცემ სიკვდილსა უპატრონოდ მამულს რჩეულსა.
— მაშინ, მეფევ, რა პასუხსა მისცემ შენს ღმერთსა,
შენის მიზეზით რო შენს მამულს მისცემენ ცეცხლსა?!
ნუ თუ შენ ღმერთი მოგიწონებს იმა ამბავსა,
რომ მთლათ ქვეყანა ანაცვალო მარტო შენს თავსა?!
— ნუ თუ რომ შენა, სასიქადულოს მეოხეს დიდებასა,
არ მოიწყვლები, მოიშოვებ მოსვენებასა,
როდეს იხილავ მაღლიდამა შენს ქვეყანასა,
შენსა აღმზრდელსა, შემნახველსა, შენს ერთგულს ხალხსა,
— რომ მას მახვილით და ცეცხლითა უწყებენ მუსრვას
და საშინელი წამებითა უწყებენ ხოცვას;
როს ძუძუთ ბავშვთა, უსუსურთა, დედების ხელში
შეუბრალებლათ დაასვებენ დანასა ყელში;
— და როს ჰნახავ, რომ ესე ყველა შენთვისა ხდება,
შენი მიზეზით საქართველო მთლათ იღუპება;
რომ ერთი სიტყვით სიკვდილიდამ ხალხს დაიხსნიდი,
მამულს შემნახველს და დედას შვილს დაუბრუნებდი?!
— ვგონებ, რომ ესა თვითონ ღმერთმაც არ მოგიწონოს,
თუ რომ მასსა აქვს სამართალი და სიბრალული!
და თუნდა კიდეც ნეტარება მან მოგანიჭოს, —
თვით ნეტარ ყოფას შენ იქნები გულ-მოწამლული!
— რამდენს დაჰწყევლის და რამდენჯერ შენ შეაჩვენებს
შენივე ხალხი, როდესაცა იგი გაიგებს,
რომ შენსა გამო ის ეძლევა საშინელს ცეცხლსა!...
შენსა წარწყმედას რამდენს შესთხოვს ეს ხალხი ღმერთსა!

— ისმინე, ჰოი, დიდებულო, შეჰხედე ცასა:
თქვენი და ჩვენი ღმერთი უწყით სულ ერთი არი.
ისმინე, ჰოი! ეც თაყვანი წმიდა ყორანსა,
მით იხსენ თავი და ქვეყანა ოხრად გამხდარი. —
„ამაოდ შვრები! — უპასუხებს მას დედუფალი:
„ღმერთი არ არის ამ სოფლისა, კაცთა მზრუნველი.
მოკვდება ხალხი ამა სოფლად, — მისი ნაცვალი
მას მიენიჭვის საუკუნო სასუფეველი.
„შაჰი შემუსრავს მარტო ხორცსა და არა სულსა.
ხორცის წამწყმედით სული ჰპოვის ნეტარებასა.
ნეტა მას ხალხსა, ქრისტესათვის აქ წამებულსა:
ჯვარცმული ქრისტე თვისთან მისცემს სამკვიდრებასა!
„ესე სოფელი წუთისაა, არს მოჩვენება,
და ვით შეჰშვენის ქრისტიანსა მის მორჩილება:
მას, საუკუნო განსასვენსა უნდა ვეძებდეთ,
მისთვის ვზრუნავდეთ, მხოლოდ მისთვის თავებსა ვდებდეთ!“
— მასთან საშინელს წამებასა მაგით ასცდები:
შენ მთლად გაგცრცვიან, უზაკველსა, ჯალათთ დასტები,
ნელსა ცეცხლზედა მთლად შიშველსა ნელა შეგწვამენ
და ცეცხლის მსგავსი გაზებით ძარღვთ დაგწყვეტამენ.
— გახურებულსა გეენისა ცხარე ცეცხლითა,
წყალის წილათა მდუღარე ზეთს პირს ჩაგასხამენ;
შიშველსა ტანსა და სახესა რკინით ცხელითა
შეუწყალებლათ დაგწვამენ და დაგიდაღამენ.
— კერპი ჯალათნი მზაკვრულათა შენს ტანსა უჩვევს,
სისხლით გასვრილი ხელებითა შეეხებიან;
ფუფუნებას და ნაზსა გცევას შეჩვეულს სახეს
უწმინდურს ნერწყვსა, წამბილწველსა ზიზღით გესვრიან.

— თუ თვალ-საჩინოთ მაინცა სცემ მაჰმადს თაყვანსა
კვალად მიიღებ და დაიდგამ შენს გვირგვინს თავსა;
შენს შვილს სამეფოთ მთელს ქართლსა და კახეთს მისცემენ,
თავის დიდებას ერთი ორად დაუმტკიცებენ.
— მასთან დიდებას სხვასაც კიდევ მიღებ მრავალს:
ძრიელი შაჰი აურაცხელს მოგცემს წყალობას;
შენც და შენს შვილსაც საუკუნოთ ტახტს დაგიმკვიდრებს
და საუკუნოდ თვითონ შაჰი მტრებს აგარიდებს.
— ბრძანებ: წამება მიგაჩნია სანატრელათა,
რომ მით მოიგებ ქრისტესაგან სამოთხის გზასა!
შენ გინდა ცხონდე, და მაგისთვის წასწყმედათა
აღარა ჰზოგავ შენს მწამებელს ათასსა სხვასა.
— ნუთუ რომ ქრისტე მოგიწონებს ეგრეთსა აზრსა,
რომ მოსაგებათ თქვენი სულის სხვას წასწყმედავდეთ?!
რომელსაც კაცნი ადგებიან ცოდვილთა გზასა,
ნუ თუ ცხონდებით, რომ მაში მათ ხელს უმართავდეთ?!...
— ისმინე, ჰოი, დედუფალო, უსმე გულის ყურს:
შენი სიკვდილით ნუ დაჰღუპავ შვილსა და მამულს!! —
მაგრამ ქეთევან მას შეჰხედა მწარე ღიმილით
და გადუწყვიტა მას პასუხი მტკიცე სიტყვებით:
„ვიცნობ მე შაჰის სიცრუვესა და ბოროტს გულსა!
ველარ შემაცდენს ბევრ-გზით ნაცადს და წამებულსა!...
ბევრი ხანია გულს სიკვდილი მე გადავწყვიტე,
და ჩემს გულს ასხოვს ახლა მხოლოდ ჯვარცმული ქრისტე.
„ყოველი სიტყვა და ქადილი არის ტყუილი!
უბრძანე, ხანო, შეასრულონ შაჰის სურვილი!"
მაშინ იმამყულ, გულ-მოწყვეტით უკან დაბრუნდა,
თვალს ცრემლი ადგა და სატირლათ გული უდუღდა.

აქ დედუფალის გულს გაივლის ტკბილი ამება:
ნეტართა გზასა დააყენებს მწარე წამება!
დგას დედუფალი და ლოცულობს ცხარე ცრემლითა
და საწამებლად ემზადება ნეტარებითა.
აქ უცებ მის წინ წარმოსდგება მისი მოძღვარი
და მის ამალა, პატიმრობით მთლად ჩამომხმარი.
ისინი ერთსამ დედუფლის წინ დაიჩოქებენ,
ცხარე ცრემლებით მას სჯულისა შეცვლას ჰვედრებენ.
ევედრებიან შეიბრალოს თავი და შვილი
და შეიბრალოს ესენი და მათი ცოლ-შვილი.
თვისის სიმტკიცით ნურც თვით კვდება, ნურც მათ დაჰხოცავს,
და უპატრონოდ მათს ცოლს და შვილს მთლად ნუ დაჰღუპავს.
მაგრამ არ შესდრკა დედუფალი, და ვითა ლხინსა
ელოდებოდა წამებითა მწარე სიკვდილსა.
ის ლოცვებსა და ვედრებაში განმტკიცდებოდა
და ზეციერ გვირგვინისთვის ემზადებოდა.
რაკი ვერა გზით, ვერა ღონით ის ვერ შესდრიკეს,
მაშინ მზადება საწამებლად მტარვალთ დაუწყეს.
ხვალისათვისა მისთვის ცეცხლსა მოამზადებდნენ
და მზათ ყოფნასა საწამებლად განუცხადებდნენ.
მან მოისმინა ეს ბრძანება დიდი შაჰისა,
ვითა უღირსი მოწყალება და მადლი ღვთისა.
რა დარჩა მარტო, დაიჩოქა მან ჯვარცმის წინა
და უღირსისა წყალობისთვის ცრემლი იდინა.
„გმადლობ უფალო, ძეო მღვთისავ, მხოლოდ შობილო,
შენ, კაცთათვისა ჯვარზედ ცმულო და წამებულო,
რომ შენსა მხევალს, შენსა მმოსავს, შენთვის ტყვე-ქმნილსა
შენებრივ ჯვარცმა და წამება უღირსს მეღირსა!“

ამ გვარ ქეთევან მეუფესა მაღლისა სწირავდა,
რომ ის საწუთროს ცრუს და მუხთალს განარინავდა.
რომ ამ წამებით სასუფეველს ეღირსებოდა
და გეენისა მწარე ცეცხლისა გადარჩებოდა.
ბევრს ხანს სტიროდა დედუფალი, ილოცვდა ბევრს ხანს,
თავის ერთს შვილსა ავედრიდა მაღალს ღვთაებას;
საქრისტიანოს სიმტკიცესა შესთხოვდა ცრემლით,
სთხოვდა — წამებას მიჰგებოდა მტკიცე სიმხნევით.
ილოცა ბევრს ხანს და გონებით ზეცას ვიდოდა;
სერაფიმთა და ქერაბიმთა წარმოიდგენდა.
შემდეგ, მოღლილმა დედუფალმა ძილს მისცა თავი
და სიზმარშიაც თვალწინ უდგა თვის სანახავი.
ჰხედავს სიზმარში ცას გახსნილსა, ცასა ნათელსა,
მოკამკამესა, გაბრწყინვებულს, მოელვარესა.
ლაჟვარდს სხივებსა იგი თვალთა ძლივას უმართავს;
ცისა სიღრმესა მას განსასვენს ალაგსა ჰხედავს.
ჰხედავს სერაბიმთ და ქერაბიმთ ურიცხვსა გუნდსა —
მაღლა გალობას და ღაღადსა გამჩენს უხმობენ;
ჰხედავს ნეტარსა მას წალკოტსა სამოთხისასა,
სადაც ნეტარნი ნეტარებით განისვენებენ;
ჰხედავს საბაოთ მამას ღმერთსა — ჰზის დიდებული,
მზეზედ ცხოველი სხივნი მისგან გამოსდებიან;
მარჯვენა მხარეს უზის შვილი, მხოლოდ შობილი,
და ზეციერი მნათობები ქებას ეტყვიან.
ჰხედავს მოციქულთ, სამოთხისა კარის მეკრელთა,
კაცთა საქმეთა აღმხსნელთა და იმათ შემკვრელთა:
ნეტართა სულთა ცოდვილთაგან ცალკე არჩევენ,
სამოთხის კარებს ნეტართ სულთა მსწრაფლად უღებენ.

ჰხედავს ილიას, ცეცხლის ეტლით აფრქვევდა ცეცხლსა,
და მრისხანებით ცოდვილთათვის არბევდა ეტლსა;
ჰკრებავდა ღრუბელთ და მეხებსა შეაზავებდა,
ცოდვილსა მიწას ზეცით რისხვით მეხებს ესროდა.
ჰხედავს სამოთხეს, ყვავილებით მთლათ შემკობილსა:
სამოთხის ჩიტნი ამ ყვავილთა ზედ დაჰგალობდნენ;
სერაფიმთ გუნდნი აქ იტყოდნენ გალობას ტკბილსა
და ნეტართ სულთა გალობითა მით შეაქცევდნენ.
ჰხედავს ნეტართ სულთ სხივებით და ნათლით მოსილთა,
მათ მშვენიერნი ანგელოსთა მხართ ფრთანი ესხნენ;
სამოთხის წალკოტს, მშვენიერსა ხილთ და ყვავილთა
სუბუქის ფრთებით სუბუქთა დაჰფთხრიალებდნენ.
ჰხედავს თავის სულს—ზეციერი ადგას გვირგვინი;
მას მიართმევენ ანგელოსნი და სერაფიმნი;
ნეტარნი სულნი უგალობენ ნეტარებასა,
ქერაბიმები ზეცას ჰხმობენ მის წამებასა.
ჰხედავს მას ყველას. მაგრამ უკეთ მის ნეტარს ძილსა,
დაარღვეულ ჰყოფენ ჯალათები სპარსელებისა:
მრისხანებითა უერკამენ სამყოფის კარსა
და უბრძანებენ საწამებლათ მომზადებასა.

## XL.

მაჰყავთ ჯალათებს დედუფალი საწამებლათა.
თამარიც მიჰყავთ მის წამების საყურებლათა.
დედოფალს ელის უცხოური ტანჯვა წამება,
და მოელიან, რომ თამარი ამით შედრკება,

თუ რომ თამარი არ შესდრკება, მაშინ მასაცა
მიაყენებენ წამებასა უარესსაცა.
იმამყულ ამ გვარ შაჰის ნებას ეტყოდა თამარს,
კვალად ჰკვედრიდა დაჰყოლოდა შაჰის ნებას.

და აგერ მოჰყავთ საწამებელს ალაგს თამარი,
მოჰყავთ ციხისა ხვრელებშია, სად ჰკრთება თვალი.
ჩაჰყავთ დიდს ხანსა, უკუნეთში, თითქო ქვესკნელსა,
ქვევით და ქვევით ცვივდებიან უარესს ბნელსა.

ჩაჰყავთ ხვრელითა და ვერ ჰლევენ ამ ხვრელს დიდ ხანსა;
მიჰყავთ თამარი ბნელსა ხვრელში, ბრუ ესხმის თავსა.
ჰაერი მძიმე და სიმყრალე მას სცემდა ცხვირსა;
სანთლისა შუქი ამა ხვრელში ჰკნათობდა ძლივსა.

აგერა ძლივას გამოლიეს ეს ბნელი ხვრელი.
აქ უცნაურათ მათ დაჰბერათ ძირიდამ ქარმა.
ჰაერი იყო ნოტიო და ბურივით სქელი,
და შეუგუბა თამარს სული მის სუნმა მძლავრმა.

ამა ხვრელიდამ ახლა გაჰყავთ იგი სხვა ხვრელსა
და შუნიდგანა ჯაჭვთ ჩხარუნი მოესმა მასა.
განწირულების გაისმოდა ოხვრა და კვნესა,
ამა კვნესასა თვით ქვესკნეთი აძლევდა ბანსა.

ისმოდა ხვნეშა, მძიმე ხველა სენ-დარეულთა;
მწარე ვალალი, კბილთა ღრჭენა დატყვევებულთა.
ისმოდა — თითქო საიქიოს იყო თამარი
და უნებლიეთ ესმებოდა ელდა და ზარი.

აჩრდილებივით ჯალათები ამა ბნელის ხვრელსა,
ჯურღმულით ჯურღმულს შედიოდნენ და მოასხანებდნენ;
მათსა მედგარსა, მრისხანესა გულმომწყვლელ ხმებსა
ხვრელის თაღები გულშესაკრთობს ბანსა აძლევდნენ.

აგერ ტუსაღნი მოჰყავთ შორსა ხვრელის თაღებში,
იგინი ბნელში ძლივას სჩანან, ჰგვანან ჩრდილებსა,
მათთა ჯაჭვთა და მათ ბორკილთა ჩხარუნი ხვრელში,
ცის გრგვინსავით ედებოდა ხვრელის ჰაერსა.
თითქო ქვესკნელსა მიდის ახლა კიდევ სხვა ხვრელი.
ახლა ამ ხვრელით მიჰყავთ თამარ სულ თქმა შეკრული.
აქ თითქო შესწყდა სასულთქავი კაცთა ჰაერი.
თამარს სულ მთლათა შეეკუმშნდა გული და სული.
აქედამ თამარ გაიყვანეს შეკრულს თაღებში.
გარს სიყრუვეა და სიჩუმე, ვით სამარეში.
ვით ქვეშკნეთის უფსკრულშია ჯოჯოხეთიდამ,
ოდნავ სინათლე ძლივს ჰბჟუტავდა რაღაც ხვრელიდამ.
მოედანივით ვრცელსა ალაგს, კედლის ძირებსა,
საკირებრივი ცეცხლი აგზნო ბევრს ადგილებსა.
აჩრდილებივით გარს ეხვივნენ ცეცხლს ჯალათები,
თაღების იმგრგვლივ დარაზმული იდგნენ ჯარები.
ხმალ ამოწვდილი ჯართ უფროსნი წინ უდგნენ თვის ჯარს;
ზოგან ჯალათნი ამზადებდნენ მტანჯველ იარაღს;
ზოგან ცეცხლებში ახურებდნენ რკინასა და რკალს.
და ყველა ესე სანახავი შეაკრთობდა თვალს!...
მომწყდარი თამარ საპატიოს დასვეს ალაგსა.
მწარე ქაქანით ძლივს იბრუნებს გულს და სულითქმასა.
დაჯდა და ელის ახლა უფრო სხვა სანახავსა:
აგერა ჰნახავს დიდებულსა კახთ დედუფალსა.
ჰნახავს დედუფალს, ვის თაყვანს სცემს ყველა ქართველი,
ვის თვის გმირობით გავარდნილი ჰქონდა სახელი;
ვისი სიმხნევე და სიმტკიცე გაითქვა ირანს,
ვინ გმირულათა დაიცავდა თვის ნამუსს და ხალხს!

აგერა მოჰყავთ იგიც ჯალათთ ხმალთა ქნევით.
იმას თან მოსდევს თვის ამალა ცხარე ცრემლით...
მის გამხდარს სახეს ნეტარება ისახებოდა;
მისი შეხედვით თვით მტარვალთა გულიც ჰკრთებოდა.
აი კვალადა იმამეული მის წინ წარსდგება
და წამებისა აცდენასა მას ევედრება.
აი ქვითინით, გულში ცემით, კვნესით და ოხვრით,
შეშლილი სახით, წვერის გლეჯით და მწარე მოთქმით,
მუხლის თავებზედ გაერთხობა მთელი ამალა.
მოძღვარი სტარის მწარე სიტყვით და ევედრება,
რომ ჰგმოს ქრისტე, მის სიწმინდე, იმისი ძალა,
ევედრებიან შეიბრალოს თავის დიდება;
ევედრებიან შეიბრალოს ხალხი ქართველი,
ოხრად რჩენილი, უპატრონო, ცრემლეულის მღვრელი;
ევედრებიან შეიბრალოს შვილი, სცე-კრული!
მაგრამ ქეთევანს ურჩევნიან ყველას თვის სული.
სასტიკი სიტყვით თვის ამალას და თვის მოძღვარსა
ქრისტეს გმობისთვის განუცხადებს განკიცხვას მკაცრსა;
და იმამეულსა გადუწყვეტავს ეს დიდებული,
რომ მას წამება ნეტარებათ აქვს მიღებული.
აქ ქეთევანი თვით წარსდგება იმა ადაგთა,
საწამებელი სადაც ეწყვნენ იარაღები.
წარსდგება იქა და ბრძანებით ეტყვის ჯალათთა:
„მონანო! აჰა, მე მზათა ვარ—მტაცეთ ხელები!“
მაგრამ ჯალათნი თვითონც შეჰკრთნენ, გაჩერდნენ დიდს ხანს,
ვერ უბედავდნენ დედუფალსა ხელის შემართვას.
მის დიდების წინ მათნი გულნიც შეჰკრთნენ, გაჩუმდნენ
და სისხლიანნი მათნი ხელნი მის წინ დადუმდნენ.

სასჯელთ გამგებელთ აქ შესძახეს მრისხანეთ მათა:
„ბოროტის მქნო! რას გაჩერდით, სდგეხართ რეტათა?!
შაჰის ბრძანება შეასრულეთ, თორემ თქვენს თავსა
ეხლავე მედგრათ მოვაშორებთ თქვენს ბოროტს გვამსა!“
მაშინ ჯალათთა დედუფალსა მოჰკიდეს ხელი,
და ტან ზევითა გადასცარცვეს მთლათ ტანთ საცმელი;
სველს ცივს მიწაზედ იგი დასცეს შემკრთალებული,
და ვითა ლართხი გადასჭიმეს ხელფეხ გართხმული.
ქართველთა ქალთა გმირობა და უდრეკი გული
ძველად ქვეყნადა იყო მაღლად დიდათ ქებული:
თვისის სიმხნევით აკვირვებდნენ ქართველთა მტრებსა,
სპარსსა, ოსმალსა, ლეკსა, ბერძენს და მრავალს სხვებსა.
მაგრამ არ გვითხრეს სახელები ამ გმირთა ქალთა
მემატიანეთ ჩვენთა მწერალთ და მეტაფრაზთა;
მხოლოდ ხალხისა ჴსოვნაშია მათი სახელი
ოდნავ-ღა ისმის,—და არს კიდევ ჯერ საქებელი.
ჩვენთა მწერალთა დაივიწყეს, ვინ მამულისთვის
იყვნენ ქალები ტანჯულები და გაწირულნი,
და აგვიწერეს ორიოდე, ვინ ქრისტესათვის
იყვნენ ურწმუნოთ ხელთაგანა ცეცხლს წამებულნი.
და აი ერთი იმ ქალთაგან, ვინ ქრისტეს ძალსა
საოცარისა სიმხნევითა შესწირა თავი.
ჩვენ მეტაფრასნი აგვიწერდნენ მართლად ზღაპარსა;
უცნაურთ გვამთა უცნაური გვითხრეს ამბავი.
მაგრამ ზღაპრადაც ეს ამბავი ვერ შესთხზეს მათა,
რაც კახთ დედუფალს თავს გადახდა მართლად ქვეყნათა.
აი განართხეს ის მიწაზედ, გაშიშვლებული,
მუმუსა გაზი ჩაუყარეს, გახურებული.

გასწიეს ძარღვითა! თან დასძახდნენ თავზედ მოლანი:
იწამე მაჰმად და იწამე მისი ყორანი!“
მაგრამ მან, მხნემან არ შეხარნა არც თუ წამწამნი,
უთხრა: „მწამს ქრისტე!... გააგრძელეთ თქვენი ტანჯვანი!“
მაშინ ასწიეს, გახურებულს რკინაზედ გართხეს,
გახურებული ლურსმანეში მის ქვეშ დააგეს,
ძარღვს და სალსრებში გაუყარეს ცხელი რკინები,
საბნად დაჰხურეს რკინის ლასტნი, ცეცხლს ნახურები;
თავსაკრავის წილ ცხელი ბარი შუბლზედ დაადვეს
და კვალად უთხრეს: „იწამევი მაჰმად ძლიერი!“
მის პასუხადა მან დაუწყო ლალადი ქრისტეს,
და თან ჰვედრიდა: არ მიეგო მის მაგიერი.
მაშინ რკინის ქვეშ მოუმატეს ცეცხლს ნაკვერჩხალი.
სათუთათ ნაზარდს დედუფალსა ტანსა სპეტაკსა,
ვით შემწვარს მწვადსა, ცეცხლზედ დებულს, ავარდა კვამლი
და შიშხინებდა, და არყევდა მჭვრეტელის გვამსა...
თვის ტანის დაწვას თავის თვალით ის უყურებდა
და თვის საყვარლით თვის ხორცის კვამლს შეისუნთქავდა...
მას სისუსტისა და წამების გადაჰკრა ფერმა
და სასიკვდილოთ იმას გულმა დაუწყო ძგერა.
მაშინ ჯალათთა ის ამართეს, წყალი დაასხეს,
სასიკვდილოთა მისდომილი მით მოაბრუნეს.
აქ მეოქვანმა გაახილა სუსტი თვალები
და დაინახა ცეცხლით ხელში თვის მტარვალები.
მან, მომაკვდავმა მათ შეჰხედა და გაიღიმა!
ამა ღიმილში ისახოდა რაღაც რამ ზარი.
ხშირად სიკვდილით თვისით მტერი განჰგმირა გმირმა
და მომაკვდავი ხშირად მტრისა განგმირო არი...

და აქ უბრძანეს ჯალათებსა, რომ ცოცხალ-მკვდარი
მორთონ, შემკონ დ დოვლეურად, კახთ დედუფალი.
მაშინ ტახტათა ქვეშ დაუდგეს მას ზედადგარი
და ფიანდაზად დაუგინეს ფერხთ ნაღვერდალი;
შესამკვრებლად გვერდებს მისცეს, ლონე მიხდილებსა,
სამკაპანი ჯიხჯიხები ცხელი რკინისა;
თავზედ გვირგვინად ზედ დაადგეს ცხელივე ქვაბი,
სკიპტრად ხელთ მისცეს ცეცხლებრ ცხელი რკინის ნიჩაბი;
ცხელი ჩაჩქანი, საზარელათ თვალთა სანახი,
ცეცხლებრ ელვარე, წამოასხეს ტანს პორფირათ
და შესძახოდნენ „დედუფალო! განაგე კახი!
უბრძანე საყმოს, შენსა კახეთს შემუსრვა მტერთა!“
აქ დედუფალმა ერთიც კიდევ გაახსნა თვალები,
ერთიცა კიდევ შეპრალებით შეჰხედა თვის მტრებს,
ერთიც-და კიდევ მან გაუპყრო ზეცას ხელები
და სუსტის ხმითა ერთიც კიდევ შესძახა ქრისტეს
და დიდებითა, იმედ-სრულმა, განტევა სული!...
ყველა ამასა უცქეროდა თამარ ბედ-კრული.
მას დედუფლისა ნახვა მეტად ენატრებოდა
და ნახა მაშინ, როს წამებით იგი კვდებოდა!...
შეცქეროდა თამარ და მწარედა უცემდა გული,
თან ცრემლსა ჰღვრიდა და თან იყო განცვიფრებული...
აღსრულდა იგი დიდებული, და მის მტარვალნი
ვით ქვად ქცეულნი დიდ ხანს იდგნენ მტერებრ უძრავნი.
მხოლოდ მაშინა თვის ცოდვანი მათ გულსა აგრძნეს,
როს დიდებულად მომაკვდავი ქალი იხილეს;
როს მათ იხილეს, რომ მისს ნაზსა მკვდარს სახეზედა
მარტო სიმშვიდე და გმირობა ისახებოდა.

იდგა მტერივით თამარიცა და მკვდარს დედუფალს,
გრძნობა დახშული, უყურებდა, თვალ-ცრემლიანი.
და აგერ იმას მოაგონდა, რომ თვითონ იმას
ელოდა ახლა ეს ცეცხლი და ესე ტანჯვანი.
და აქ ტახტიდამ გაბუქვითა ის გადმოვიდა,
თავით მოიხსნა ოქროს ჯიღა, შაჰის ნიშანი,
და უთხრა მტარვალთ: „ახლა ჟამი ჩემი მოვიდა
და აღასრულეთ უფრო მკაცრად შაჰის რისხვანი!“
მაგრამ მტარვალთა ქურაებსა დაუწყეს ქრობა
და საწამებელ იარაღებს უწყეს დამხობა.
აქ უთხრეს თამარს, რომ იმის დრო ჯერ არ დაადგარა.
ამა თქმამ თამარს, ვითა შხამმა გულს დაუარა!

## XLI.

უცქერდა ამას ყველაფერსა ის, ვინ თვის სისხლით
სიყმაწვილითვე საქართველოს სწირავდა თავსა;
უცქერდა ამას, ვის შურითა და ვის ღალატით
თავის ქვეყნიდამ განსდევნიდნენ ვით მუხანათსა.
უცქერდა ამას სააკაძე და ზვავდებოდა.
მის გულში ცეცხლი გეენისა აღიგზნებოდა.
მას სპარსთა სისხლი სწყუროდა და აღანთებოდა,
იყო ჩუმათა და საზღევრად ემზადებოდა.
იყო ქართველი უპატრონოდ, უკაცურათა,
მაგრამ კიდევ არ გამქრალიყო სისხლი ქართველთა:
თვით მტრის გუნდშია იყო ჩუმათ და მდუმარეთა
კაცი ქართველი, ქართველური მძლავრი გულითა.

იყო მტრის კარსა, ვინ ქართველთა ხმალს ამშვენებდა,
ვინ შეუწყვეტლად ქართველთათვის ჰღვრიდა თვის სისხლსა;
იყო მტრის კარსა და მტრისათვის თვისს სისხლს აქცევდა
და იგი მტერი მის ხალხს სპობდა მთლად ქვეყნის პირსა!
მოყვასთა თვისთა ის განდევნეს თვის ქვეყნიდამა,
და ვით მოყვასთა მას გაუღეს კარები მტრებმა;
აგერა მტერი გადაეგრა მას მოყვარეთა,
და მოყვასი კი სდევნის სისხლის დასაღვრელათა.
აჰა, მის თვალწინ, ვინ ეგცვა მას, ვით მოყვარეს,
მის სამშობლოსა — მის განმდევნელს — მის წინ მუსრს ავლებს!
უყურებს გმირი ამ სანახავს და მას აკვირვებს,
რომ თვის მდევნელს და მძლეველებში კაცსა ვერ ჰპოვებს.
ვინ ის ღალატით განდევნეს და ქვეყნით განაძეს,
ამავე გმირთა მტერს პასუხი ვერაფრით გასცეს,
და, ვით იუდამ, თვის მამული მტერს ხელში მისცეს
და მათ პირველი თვის ქვეყნის მსრველს ფერხთ თაყვანი სცეს.
ჰხედავდა ამას სააკაძე და გულს მღელვარსა
ორ რიგი გრძნობა, ცეცხლ მომდები აღეგზნებოდა
სპარსი უწევდა მოყვასობას და მეგობრობასა
და ამ დროს მათგან მის სამშობლო იჟლიტებოდა.
და სძლია მასში სიყვარულმა თავის ქვეყნისა.
სამშობლოს ბედი მას ჯიგარში ცეცხლს აღუგზნებდა,—
მან გადასწყვიტა ხმლის აღმართვა მშობელთა ხსნისა
და ამისათვის თვის ცოლსა და თვის შვილს სწირავდა.
მან გადასწყვიტა ეს გულში, მაგრამ სდუმებდა,
იყო ჩუმათ და საზეკრად დროს ეძიებდა.
და აგერ კიდეც მოახლოვდა დრო სანატრელი:
მტრის განსადევნად აღიმართა კვალად ქართველი!

სამშობლო ხალხო, თუ ოდესმე გმირობა ქვეყნად
უნდა დაფასდეს და ხალხს მისცენ მისთვის გვირგვინი,
შენ ეს დიდება გეკუთვნოდა ყველაზედ მეტათ:
ებრძოდი მტერსა ვითა მდევი, ვითა მდევ-გმირი.
მშობელს ქვეყანას საანდაზო სიმხნით იცავდი,
მტრის მახვილ ქვეშე განართხული და ძალ მიხდილი
შენ მიტევებას შენს მოსისხლე მტერს არ შესთხოვდი
და, სისხლით დაცლილს, ვერ წაგგლიჯეს ხელით მახვილი.
შენ გერტყა მტერი, გაუძღომლათ სისხლისა მღვრელი,
ის თან გმუსრავდა და თან ალყას შემოგერტყმოდა;
შენ თან წყდებოდი, და თან გედო მახვილზედ ხელი
და გმირს გულშია თან სიმხნევე გემატებოდა.
სამშობლო მხარე მთლათ აგციე ციხე გალავნად,
გზა—კაპანი და ვიწროები აგციე კედლად,
ყოველს ნაბიჯსა სისხლით ჰრწყავდი და სისხლით ჰბანდი
და შეუდრეკლად მტრის საბრძოლად მარად ჰღელავდი.
ხელს იარაღით შენ გუთანსა უკან მისდევდი,
ხელს იარაღით წაკაკული მკიდი ყანებსა,
ხელს იარაღით ცხვარს დასდევდი, ვენახებს სხლავდი,
ხელს იარაღით გულს იკრავდი ნაზ საყვარლებსა.
ყოველს ნაბიჯზედ, ყოველს კუთხეს მზათ გიჯდა მტერი,
დაჰდარაჯობდა ყოველს შენსა მოძრაობასა,
ბუჩქით, ბანიდამ, კარებიდამ, ხელთ მახვილით მჭერი,
სასიკვდილოთ და სამესისხლოთ გესხმოდა თავსა.
მაგრამ სამშობლოს არ გაექეც, არ უმუხთლე მას,
სხვა ხალხებივით არ გაიბენ ქვეყნისა პირას:
თანა სწყდებოდი და ერთს ადგილს იკრიფებოდი—
სხვაგან სიცოცხლეს—სამშობლოში სიკვდილს რჩეობდი.

ჭკვდებოდი, გულში მტრისა მახვილ განაწონები
და სამშობლოთ მოყვსს მშობლიურად გულს ეკონდი;
მაგრამ არ ოდეს არ მოგსვლია ფიქრი მზაკვარი,
რომ გაგეცა და ოხრად სტოვო სამშობლო მხარი.
(ბრალად ნუ გვდებენ, რაც ჩვენ მოძმეთ ბოლოს გადახდათ,
რომე იგინი თვის სამშობლოს თვით ეცლებოდნენ,—
მტრის მახვილისა მათ სრულიად არ ეშინოდათ:
ალერსს და ამბორს იუდისას გაეცეოდნენ.)
ვერ ინელებდი, ვერ იტანდი მტრის მონებასა,
უდექ კრიჭასა და უსმენდი მძაიყრებასა,
შენა კვდებოდი, სისხლისაგან დაიცლებოდი,
მაგრამ სამშობლოთ მტრის განდევნას არ ეშვებოდი.
აგერ აბაზმა მთლათ გაგლეწა, ვითა გრიგალმა,
ნაჩქვარ ხალხი ტყვედ წაასხა იმისმა ჯარმა;
შენს მოსვლობაზედ იყო სრულად დარწმუნებული
და ამით სრულად ჰქონდა გული დამშვიდებული;—
მაგრამ იმასა აგერ ესმის ხმა უეცარი,—
სხვა ხალხისა და ქვეყნისაგან მოულოდნარი:
სულ მთლათ აშალა სპარსელებზედ ხალხი ქართველი
და ერთიანად შეუმუსრავთ ჯარი სპარსელი.
შაჰმა მრისხანედ დაუძახა მთლათ თავის ჯარსა,
საუკეთესო სარდლებს ამათ წინ უძღოლებდა,
სწრაფად ჰგზავნიდა ამა ჯარებს კახეთს და ქართლსა
და ქართველებზედ, ვითა მხეცი აღბორგნდებოდა.
„გასწყვიტეთ კახი და აჰყარეთ მთლათ მთელი ქართლი!“
შაჰი მრისხანედ უბრძანებდა თავის სარდლებსა:
„და ვინც დაარღვევს ამ ბრძანებას, ვაი ბრალი მათი!
იმათს ლეშზედან ავამყივნებ ყვავს და სვავებსა!“

ბრძანა ეს შაჰმა და ბრძანებას ამა მრისხანსა
სუყველა კრძალვით ისმენდა და გული იმარჩვიდა.
სასტიკი იყო შაჰის სიტყვა, და თვის სიტყვასა
შაჰი ნიადაგ დაურღვევლად შეასრულებდა.
და სააკაძემ თვითო იკისრა სარდლობა სპარსთა.
მან უკეთესი თავისი ძე მისცა მკვლელთა,
რომ შაჰის სურვილს შეასრულებს უეჭველათა,
რომ ქართველობას შემუსრავს და აჰყრის სულ მთლათა.
წავიდა ჯარი უთვალავი, და მას სარდლები
მთელს სპარსეთშია გათქმულები წინ უძღვებოდნენ...
და, აი კვალად მრისხანებით სპარსთა ჯარები
საქართველოსა, წამებულს ხალხს, კარზედ მოადგნენ.

## XLII.

და ესმის ესე ყველაფერი ჰარემს თამარსა.
იმის სამშობლო ახლა ჰნახავს უარეს დღეებს,
ვიდრემ ენახა მას წამებულს მას წასრულს ჟამსა:
უნდა სამშობლო მისი გასწყვეს და განადგურდეს!
უნდა მთლათ გასწყვეს და ხსენებაც მისი არ დარჩეს;
მის სამშობლოსა მთას და ბარზედ უნდა დასახლდეს
მის სისხლით მთვრალი, გაუმაძღრად მის სისხლის მღვრელი!
და სად მორწყული ქართველთ სისხლით ბიჯი ყოველი
არს ქართველთ ოფლით და ღვაწლითა ძველად დაცული,
უნდა მის მტრისა სადგური და სამყოფი გახდეს,
და ეს მტერი, ურჯულო და მხეცად ქცეული,
უნდა მის მშობელთ ნაოხარზედ გაიხარებდეს!

ყველა ეს ხდება მარტო ერთი კაცის ნებითა!
ამ ერთმა კაცმა უნდა ჰმუსროს ხალხი უთვლელი!
ერთის ნებითა ხალხი წყდება მატლებივითა,
და ამ ერთს კაცსა უნდა შერჩეს ესე ყოველი!?
მილეთის ხალხმა უნდა მისცეს ერთს კაცსა ნება,
რომ მის სურვილით ეს უწყალოდ იყლიტებოდეს?!
ნუ თუ მთელს ხალხში გამბედავი არ იპოვება,
რომელმაც იცის, რომ ის მაინც ხომ უნდა მოკვდეს, —
მაშ რათა ჰზოგავს განწირულსა საკვდავათ თავსა!?
გასწიროს თავი და მოუღოს ბოლო მტარვალსა,
მითი დაიხსნას მტარვალისგან ქვეყანა მთელი!
მაშ რაღას ელის გამბედავი ესე ქართველი?!...
თამარს ეს ფიქრნი არ აძლევდნენ მოსვენებასა,
გონების ფიქრით ის გადვიდა საქართველოსა,
და წარმოუდგა საქართველო სისხლში მოსვრილი,
მთლათ გაწყვეტილი, დატყვევნილი და შემუსრვილი.
მტერი მახვილ ქვეშ მას სულსა ჰხდის, ყელს დანას აბჯენს,
უძლურთ ქალწულთა საქვეყნოთა სცრცვიან ნამუსსა;
დედათა ხელში ყელებს სჭრიან უსუსურს ბავშვებს...
ხალხი ცრემლითა ღმერთსა სწირავს სულს განწირულსა!
უდგა ეს თვალწინ ყველა თამარს და ტვინ-ღელვილი,
დადის ოთახში ვითა რეტი, ვითა შეშლილი.
„ნუთუ არა აქვს საქართველოს დაღუპვით შველა?
ნუთუ ქვეყნის პირს უნდა გასწყვეს ქართველი ყველა?...“
შუა ღამეა გადასული, და ჰკარამს ძილი
მთლათ ერთიანათ მოსდებია და ხმა არ ისმის.
დაწვა თამარიც მოსასვენრად, ფიქრით ღელვილი,
მაგრამ იმასა თვალთა ლული სრულად არ მოსდის.

მას არ შორდება ფიქრი მწარე და სამწუხარო.
აქ ცხადლივ თვალწინ წარმოუდგა მოხუცი ბერი,
როს ის მრისხანედ ხალხსა მტერზედ აშლას შესძახდა
და მრისხანებით შავთა თვალთა აბრიალებდა.
მას მოაგონდა კრული ღამე, როს მისი გვარი
მტრისა მახვილით შეუწყალათ იყო გამწყვარი,
როს ბეროს სიტყვით აღელვილი, მისავითც ესა
საყვირით ხელში აპირებდა ხალხში გასვლასა.
და აქ თამარი მიუბრუნდა თვით თავის თავსა:
„ნუთუ მე იგივ ღაზნელისა არა ვარ ქალი?!
ნუთუ მე იგივ სისხლი არ მდის ეხლაცა ძარღვსა?
ნუთუ კვლავაც მინდა ბეროს სიტყვა და შეძახილი,
„რომ სამშობლოსა შველისათვის შევიდო თავსა?!
არა! დრო არის, უნდა ხალხსა შევწირო თავი
და მოვარჩინო ხელს სისხლიანს და ხელსა მძლავრსა:
უნდა შევმუსრო და განვგმირო მის გული ზვავი!
„შემდეგ მომკლამენ! და რა არის ჩემთვის სიკვდილი!
სიკვდილს შეუდრკე ამდენს ტანჯვას და ცრემლს გავლილი?!
ჩემო ელიზბარ?! მას გულის თქმა ეს განაცვალო?!
ნუთუ ერთს კაცზედ მე სამშობლო უნდა გავცვალო?!
„ჩვენ რომ სამშობლო ქვეყანაში ვყოფილვიყავით,
ხომ უნდა ორივ სამშობლოსთვის მომკვდარვიყავით!!
მაშ არაფერი აღარ მაშლის მე ჩემს საქმესა,
უნდა უშველო ჩემსა გამზრდელს ხალხსა ქართველსა!“...
და მეორესა დილაზედ მან ხოჯათ თავსა
ბათუმის პირით დაუძახა სამყოფსა თვისსა,
და განუცხადა, რომ ის დაჰყვა შაჰის ნებასა,
რომ იგი არის აქამდისაც სინანულს დიდსა,

რომ უარს ჰყოფდა მის დიდებას, ძალასა მისსა:
რომ მის გულშია გაიღვიძეს შაჰის სურვილთა,
რომ ნიადაგა წინ უდგია სახე შაჰისა,
ვეღარ აშორებს მას გონებას, ფიქრთა ღელვილთა;
რომ აწ მზად არის შესრულოს შაჰის სურვილი,
შესწიროს თავი და მოუკლას გულის წყურვილი!...
გახარებული ხოჯათ თავი გავარდა კარსა
და მახარობლათ მყის იახლა დიდებულს შაჰსა.
ისმინა შაჰმა და გაეხსნა შუბლი შეკრული.
მან თვის ურიცხვი წყალობანი მისცა ხოჯასა,
და უბრძანა, რომ, დედუფლურად მორთულ—შემკული,
თამარ იმ ღამეს მიეყვანათ შაჰის სამყოფსა.
ხოჯამ საჩქაროთ მოასხენა ყველა თამარსა
და სადამოსთვის სთხოვდა შაჰთან ღირსად წასვლასა.
შაჰის უზომო სისარულსა უამბობდა მას,
და ეტყოდა, რომ შაჰი გასცემს ურიცხვს წყალობას..
დარჩა თამარი მარტოკა და უცემდა გული,
თითქო მკერდს გარეთ გამოვარდნას ეპირებოდა;
გრძნობა გრძნობაზედ აწყებოდა, აღელვებული,
თან ხურდებოდა და ხან თითქო იყინებოდა.
მოვიდა ჟამი წაყვანისა შაჰის სამყოფსა,
და გულის ცემამ მოუმატა უფრო ამ დროსა.
მან წვეტიანი გრძელი დანა ჩაიდო უბეს.
და თან მოსთქვამდა თავის გულში ამგვარსა სიტყვებს:
„ჰოი, დანაო, არ მიმუხთლო განჩენის წამსა,
და შენ, მარჯვენავ, არ უმტყუნო ამ ბასრს დანასა!
თქვენგნით უნდა მე მოუღო ბოლო იმასა,
ვინ ჩემს სამშობლოს ეპირება მთლათ შემუსრვასა!

„და შენა, გულო, არ შემიდრკე, არ შემეხუთო,
როს განსაგმირათ მტარვალისა დანა აღვმართო!
უნდა აბაზის შხამი სისხლი დავღვარო ქვეყნად,
რომ მით სამშობლო სიკვდილისა დღიდამ დავიხსნათ.
„და შენ, მაღალო ღმერთო ქართველთ, მართალთ მფარველო,
გამიმაგრეკი ამ საქმეში უძლური ხელი,
მომეც შეძლება, რომ საკვდავათ გულსა განვგმირო
შენი ხალხისა შემმუსრავი, შენი მგმობელი!"
და აქ თამარი მხურვალებით დაემხო მუხლთა
და ორთავ ხელი მან განუპყრო მაღლა ზეცასა;
ცხარე ცრემლებით შესტიროდა ზეციერთ ძალთა,
და გულმხურვალეთ მათ შესთხოვდა გამარჯვებასა.
აგერ მზათ არის წასასვლელად, ელის ხოჯასა.
ყოველი ცდითა შეიკრებდა გულში ძალასა;
ამხნევებს თავსა და იშინჯავს ხელის მაჯასა—
ჰგრძნობს სიმაგრესა და ჰგრძნობს გულში უშიშრებასა.
ელის—მოვიდეს მალე წამი ეს სანატრელი.
მას ესახება თვალთა წინა სისხლით შესვრილი
შაჰი, ტარამდის გულში დანა გატარებული
და საქართველო მთლად დახსნილი და მორჩენილი...
და ამ დროს შაჰი თვის სამყოფსა ტკბილად ჰლელავდა,
მოუთმენლად თავის საწოლს თამარს ელოდა.
ცეცხლივით გულსა რომ უწვავდა ცხარე სურვილი
ძლივს უსრულდება და მოეკვლის გულის წყურვილი.
დადის სამყოფში, თან ჰღიღინებს, თან სწევს ბოლთასა,
თან ტკბილად უსტვენს, თან აპირებს თითქო ხტომასა;
თან თავის საწოლს თავის ხელით აწყობს, ასწორებს,
თან მორიდამა ღაზნელისა ქალს უალერსებს.

და აგერ უცებ შუბლს გადაჰკრა შავმა ღრუბელმა, —
მას გულში გაჰკრა უცნაურმა რაღაც იჭვებმა,
ცივი გველივით დაუარეს გულში მას მათა
და გულის მომწყვლელს ფიქრს ჩავარდა შაჰ-აბაზ მთლათა.
„რატომ აქამდის ის არ დაჰყვა იმის ნებასა?
რადა ამ დროსა აუშალა მის სურვილები,
როს მის სამშობლოს შესამუსრათ ჰგზავნის თვის ჯარსა?“
აქ თამარისა მოაგონდა აბაზს სიტყვები,
რომელნიც უთხრა პირველს ნახვას მან შაჰს პირში.
მოაგონდა, და გაუგმირეს ამ სიტყვათ გული:
„და რომ შემძლოს, ჩემს სამშობლოს მართალს სისხლში
ჩემგნივა, შაჰო, შენ იქნები ამოვლებული!“
ამა სიტყვათა გაუელვეს ყურთ კვალად მასა,
და აქ საჩქაროთ დაუძახა ხოჯების თავსა:
უთხრა, გამინჯონ მოყვანის დროს თამარ ლაზნელი,
რომ არ ჰქონოდა იარაღი რამ სავნებელი.
და როს თამარსა განუცხადეს სუყველა ესა,
მას აუთრთოლდა მთლათ ხელები, გადაჰკრა ფერსა.
როს გონს მოვიდა, მრისხანებით უთხრა ხოჯასა,
რომ ეს არ ხდომობს მას, ვინც ჰკარგავს იმის ნდობასა!
აქ თვის კარები მან ჩაჰკეტა მრისხანებითა,
დაემხო პირქვე და სტიროდა ცხარე ცრემლითა! ...
დანა, კბილთ ღრჭენით ამოიღო თვის უბიდამა
და გადისროლა თვის სამყოფის ფანჯარიდამა.

# XLIII.

შევიდა გულსა საქართველოს სპარსთა ჯარები,
და კვალად შეჰკრნენ დიდებულნი და თავადები.
კვალად ქართველი გახიზნვასა ეპირებოდა,
მხოლოდ ამითღა მტრის ხელიდამ დაღსნას ელოდა.
მაგრამა სცნეს, რომ სააკაძე არის იმათკენ
ამ ამბავზედა გამხნევდნენ და უცებ გამაგრდნენ:
ერთიანათა საქართველო, ვით ერთი კაცი,
დადგა ფეხზედა დიდი, მცირე, ქალი და კაცი.
მაშინ აღელვდა კვალად ქართველთ ქართული გული,
მაშინ ქართველთა კვლავ იჩინეს საქმე გმირული;
მაშინ სარდალნი, გმირთა დარნი კვალად აღმოჩნდნენ,
მტერსა მედგარსა მედგრულათა თავზედ დაესხნენ.
გული ხალხისა ვისმე გმირსა ერთს ემონება,
იმას მიანდობს თვის თავსა და ძალოვნებასა:
ამ გმირთან მხნეობს, ამა გმირთან გაბედვით კვდება,
მასთან შეებრძვის ყოველგვარსა გაჭირვებასა...
ქართველებისთვის სააკაძე იყო ეს გმირი:
მის ერთი სიტყვა თვით ლაჩართაც გმირად აქცევდა;
მასთან სიკვდილი ქართველს კაცსა უჩნდა ვით ლხინი
და მასთან თუნდა მთელს სამყაროს შეებრძოლოდა.
და აგერ ირანს გავარდა ხმა, გავარდა ზარი:
სააკაძემა ქართველთ მისცა ხმალი და მხარი
და მთლათ შემუსრეს ქართველებმა სპარსთა ჯარები,
და ამოსწყვიტეს სულთნები და სარდარ—ხანები.

შეესმათ ესე ქართველთ ტყვეთა, მწარეთ დევნილთა,
დაუწყოთ გულმა ტკბილათ ცემა ნეტარებითა:
სამშობლოს ნახვის აუშალათ მათ გულის თქმები,
და კვლავ მიეცათ მის ნახვისა ტკბილ-იმედები.
ესე ამბავი, უცნაური აცნეს შაჰ-აბაზს,
მაგრამ მრისხანე შაჰ-აბაზი არ იჯერებს მას.
ის ელჩს ელჩზედა და შიკრიკთა ჰგზავნის ქართლ-კახსა,
მაგრამ ყველასგან ის მოისმენს იმავ ამბავსა.
აღმოჰრგვნდა შაჰი და გვირგვინსა თავზედ ინტვრევდა;
მის კბილთა ღრჭენა, თვალთა ელვა ზარსა გახდიდნენ;
თვისთა მსლებელთა სიბრაზისგან თავებსა სჭრიდა,
და მის შეხვედრას ცოლებიც კი ერიდებოდნენ.
ის მთლათ ირანსა და თურანსა ერთათ უძახის,
უძახის სარდალთ და უძახის მთელს სპარსთა ხალხსა;
უძახის ყველას, ვინც რომ რჯულის მოთავე არის
და ეპირება მთლათ მუსლიმთა ხალხთა აშლასა.
მის პირიდამა ქართველთ მუსრი-ღა გაისმოდა,
და სააკაძის ხსენებაზედ მთლათ ცოფდებოდა.
მან სააკაძე გადაარჩინა, ვით ბველი ცეცხლსა,
მან ის დიდებით თავის ტოლათ დაისვა გვერდსა,
და სააკაძემ უღალატა ახლა ამასა?!
და უღალატა მას ძლიერსა, ირანის შაჰსა;
ვის წინ ჰინდი და სარკინოზი იხრიდა თავსა!...
ოო! არ შეარჩენს სააკაძეს ეს ამ ამბავსა!!...
ეს მის სახელსა ქვეყანაზედ გაანადგურებს,
მის შისხის-მისხსა, ვითა მტვერსა, მრისხანე ქარს მისცემს!!...
ეს მთლათ შეჰმუსრავს საქართველოს სახსენებელსა
და ნაცრად აქცევს საქართველოს არე-მარესა!

ქართველთ თავთაგან ეს აღაგებს ციხე-ქალაქსა:
ქართველთა სისხლში ეს მთელს ირანს უზავს ნამაზსა;
ქართველთ ძვლებსა ზედ დააკლავს თავის შვილებსა,
წასაბილწავად თვის ჯარს მასცემს მათს ქალწულებსა!!...

ამა მრისხანე დაძახილზედ სპარსეთი მთელი
ვითა ზღვის ღელვა მრისხანებით აიშლებოდა;
სადაც კი შაჰის ბრძანებასა მიუწვდა ხელი,
ყოველმხრივ ჯარი თეირნისკენ ეშურებოდა.

ყოველ თოფხანას დღე და ღამე არს მოძრაობა,
ერთი ათასათ მოუმატეს მათ მუშაობა.
ხორასნის ხმალი ურმებით და აქლემებითა
თეირნისაკენ გაბმით მააქვთ, გაჩქარებითა.

ყოველს ქალაქსა, ყოველს დაბას, ყოველს სოფელსა
იდგნენ მოლანი მაღლა მეჩითს და მის კარებსა,
უძახდნენ ყველა მართლ-მორწმუნე მუსლიმის ხალხსა
ქართველს ხალხზედა დაუყოვნლივ ერთბაშ აშლასა.

და აიშალა მთლათ მუსლიმი საქართველოზედ,
და შეითქმიან განრისხებით წმინდა ყორანზედ.
კბილთა ღრჭენით და სმლისა ქნევით ემზადებიან
და საქართველოს მთლათ შემუსრვას ემუქრებიან.

შეგროვდნენ ჯარნი უთვალავნი და შეკაზმულნი;
სარდალნი ჯართა დააწყობენ, გამმაგებულნი;
სისხლის ალებას ქართველთაგან ჯარს უქადებენ
და გამარჯვებას წინდაწინვე მოიქადებენ.

მანამდისინა საქართველოს ქართველთ გასწყვეტენ,
მანამდისინა ირანს გასცა შაჰმა ბრძანება,
რომ ერთიანათ ყველა ქართველთ მუნ შემუსრვიდნენ,
ვინ არ მიიღო აქამდისინ მუსლიმანობა.

დაუყოვნებლათ აღასრულეს სიტყვა შაჰისა
ტყვე ქართველთათვის ახლა დადგა დღე განკითხვისა:
ბართლომეს ღამე ამა დღესთან იყო ნათელი:
საბრალო ტყვეთა აღარ ჰყავდათ შემბრალებელი.

დაჰკრეს ნაღარა! ხალხსა და ჯარს მისცეს ნიშანი,
რომ მათ დაეწყოთ შეუწყალათ მუსრი ქართველთა,
დაჰკრეს ნაღარა! ხალხი, ჯარი მუსლიმისანი
ეძგერა ქართველთ უპატრონო, უცოდველთ ტყვეთა.

დაჰკრეს ნაღარა! და ქართველთა სისხლი იღვრება!
არც სამალავი, არც ტაძარი, არცა ვედრება
ქართველთა ძეთა მტარვალთაგან ვერ იფარავდა
და ცოფი სახე შმაგი ხალხის მნახველს ჰზარავდა.

გავარდა ხმა, რომ ქართველებმა ამართეს ჯვარი
და მთლათ შემუსრეს სპარსელების უძლევი ჯარი.
ამ მედგარმა ხმამ თვით მდაბიო ხალხი აფეთქა,
და მან თვის ბრაზი უპატრონო ტყვეზედ გახეთქა.

აღელვდა ხალხი და ჯარზედა უფრო აფთრათა
ქართველების ტყვეს თავს დაესხა მხეცებრ მკაცრათა;
ჰმუსრავდნენ ქართველთ დიდთ და მცირეთ გაურჩევლათა,
ჰმუსრავდნენ გარეთ, ჰმუსრავდნენ შინ მთად და ველათა.

ჰხოცავდნენ ქართველთ და მათს ლეშსა უყრიდნენ ძაღლებს,
შვილების ხორცსა პირში სჩრიდნენ საბრალო დედებს...
ჰხოცავდნენ, ჰკლეტნენ და ჰბილწავდნენ, ვიდრემ სულ მთლათა
ქართველთ სახელი არ აგციეს ნაცრად და მტვრათა.

## XLIV.

დიდო გიორგი! საქართველოს ბევრგზის დაიჴსენ:
ჩვენი ხატი და სალოცავი უნდა იყვე შენ!
თუ რომ ჩვენს ჯვარს ქვეშ, საქართველოს ტკბილსა ჰაერში
დამშვიდებულნი ვიმყოფებით ჩვენს თვის-ტომებში;
თუ რომ ჩვენს ენას, ჩვენსა აღმზრდელს, ჩვენს ტკბილს ენასა,
ჩვენ კვალად ვხმარობთ და ამ ენამ გვამცნო ყველასა,
რომ ვართ ქართველნი და ქართველი მით შეგვაყვარა, —
ეს მოხდა შენგნით და ქართველი შენგნით ცოცხალა...
აგერ მესამეთ შაჰ-აბაზი ჰგზავნის მთელს თვის ხალხს
თავის მძვინვარე სურვილისა აღსასრულებლათ.
მუხრანათები კვალად განდგნენ — სპარსთ აძლევენ მხარს!..
სამოცი კაცით დარჩი მარტო ხალხთ დასაცავათ!...
სამოცი კაცით მთელს სპარსთ ძალას ებრძოლებოდი.
თვით ზღაპარშიაც ზღაპრად კაცთა ეჩვენებოდი,
რომ მოესმინათ ამბავნი და საქმენნი შენნი —
აღმოფხვრისაგან საქართველო ვით დაიჴსენი;
გმირი, გმირებრივ დაუცხრომლათ, სისხლში მცურავი
მშობელი ხალხის დამფარავი ვითა იყავი,
და კვალად ჯარი უთვალავი შაჰ-აბაზისა
და მუხრანათი თავადები ქართველებისა,
უძლევი მკლავით ვითა სძლიე და აღმოჰფხვერი!!
მაგრამ, რა ჰნახე სიცოცხლეში მის მაგიერი?! —
მოკვდი დევნილი სამშობლოდგან უცხო ალაგსა,
და გეძახოდნენ ქვეყნის ორგულს და მუხანათსა!!

და მუხრანათთა—ვინ შენა და ქართველსა ხალხსა
ვითა იუდა გადაუდგნენ—სცემდნენ თაყვანსა!!...
უფრო უღმერთო, სამარცხვინო, უზომო ცილი,
რაც რომ ცა გაჩნდა არ ყოფილა ჯერ მოგონილი!...
დიას, მუხრანათს გეძახოდნენ შენი მოძმენი,
და მუხრანათსვე გეძახოდნენ ქართველთა მტერნი.
აგერ ისინი, შენზედ, მხეებრ განრისხებულნი,
მგელსად გაშმაგებულს შენს შვილს მისწვდნენ, განძვინებულნი!
აგერ თეირნის მოედანზედ, საყვირ—ნაღარით
შეყრილა ხალხი, ვით მრისხანე ზღვა, გულღელვილი;
აგერა მოაქვთ ჯალათებსა რკინისა სარით
მოჭრილი თავი ნაღვლიანი და დაღვრემილი,
თითქო რაღაცა დარდი გულში მას ჩარჩენოდეს;
დააქვთ ჯალათთა ნორჩი თავი, სისხლში მოსვრილი,
ხალხს უმასხიან, რომ ქვასა და ტალახს ესროდეს,
რომ გიაური ესე იყო იმისი შვილი,
ვინ სპარსელებზედ მუხრანათათ აღმართა მკლავი,
და გურჯისტანი გადარჩინა მთლად აღმოფხვრასა!...
ეს თავი იყო შენი შვილი პაატას თავი,
იმა შვილისა, ვინ შენ გიყვარდა, გერჩივნა თავსა!
და იგი თავი, ჯილდოთ შენი ერთგულებისა,
შაჰმა, ტომარას გახვეული, გამოგიგზავნა...
შენ მას დაჰხედე, და გრძნობანი მღელვარებისა
მოგაწვა თავსა და სიკვდილი გულსა აღგიგზნა!
მაგრამ, როდესაც გადაჰხედე ქართველთ არესა,
შეჰხედე ხალხსა, გარს შეჰხედე ქართველთ ჯარებსა,
შეჰხედე დედებს, შეჰხედე შვილთ, შეჰხე მამებსა,
შეჰხედე ცოლ-ქმართ, ტკბილ ალერსით მოუბარებსა,

შენ უცებ გული გაიმხნევე და უთხარი თავს:
„მშობელი ხალხი პაატასა კიდევ ბევრს ჰშობავს!“
და კვალად მხნეთა მიეგებე ქართველთა მტერსა,
კვალად სამშობლო დაუბრუნე ქართველსა ერსა!!...

## XXXXV.

გაჰქრა პაატა, პაატასთან ქართველთ სახელი,
ვინც თეირანსსა იყო და სჯულს ადგა მაგრათა.
მაგრამა კვალად იკრიბება ხალხი ვით ხელი,
კვალად მოელის ქართველთ სისხლთა, ქართველთ ტანჯვათა.
და აი ჯალათთ მოედანზედ აღიგზნო კვალად
ცეცხლის საკირე, საწამებლად გამზადებული.
ოქროს ჩარდახი სდგას მოედანს მორთული დიდათ
და ჩარდახში სდგას ოქროს ტახტი ოქროთ გებული.
მისთქვამს და მოსთქვამს ღრიანცელით ხალხი ამბავსა
და აღელვებით მოელიან სხვა სანახავსა.
თვით დიდი შაჰი აქ აპირებს მობრძანებასა,
თვითონ განაგებს გაწირულთა ცეცხლთ წამებასა.
ვინ არის ესე, ვის წამებას თვით შაჰი ელის?
ვინ არის ესე, ვის ეს ტანჯვა მწარე მოელის?
ვინ არის ესე, ვისზედ შაჰი ასე მრისხანებს
და თვის ამალას მათ წამების ბრძანებას აძლევს?...
ქართველებისა გამარჯვებათ ჰპოვა კურნება
ტრფიალებისგან შეპყრობილმა გულმა შაჰისა.
ამ გამარჯვებამ ისრე შესძრა შაჰის ბუნება,
რომ თვის დამცრობა თამარისგან მან იცნა ძლივსა.

იგრძნო ეს შაჰმა და მზათ იყო, რომ თვით დაეცა
თავის თავისთვის გულს მახვილი მოსაკვლელათა.
აქამდის ტრფობა თამარისა ახლა გადექცა
სიძულვილათა და ზღვევისა დასანთხევათა.
აქ გადასწყვიტა, რომ თამარი ცეცხლში დაეწვა,
და რომე უფრო იმის გული მწარედ დაეწვა,
მასთან ელიზბრის ცეცხლს ჩაგდება ჯალათთ უბრძანა,—
იმას აქამდის ელიზბარი მის ძმა ეგონა.—
დიდი ხანია არც ელიზბარ და არც თამარმა
ერთმანერთისა არაფერი აღარ იცოდნენ.
მათ გაუხარა გული ქართველთ გამარჯვებამა,
და რა მოჰქონდა ამ დღეს მათთვის — არა ჰფიქრობდნენ.
თუმცა ყოველთვის ორივენი გულით ნატრობდნენ
გამწარებულნი სიცოცხლისაგან მალე სიკვდილსა,
მაგრამ მაინცა თვით სიკვდილსა თავს არ აძლევდნენ —
ჰქონდათ იმედი ერთმანერთის კიდევ ნახვისა:
ერთიცა ნახვა ერთმანერთის და გულში ჩაკვრა,
ერთმანერთისა გულზედ ტკბილად ცრემლების დაღვრა,—
არც ერთს სიკვდილი იმის უკან აღარ უმძამდა
და მომხდარიყო, რაც რომ ღმერთსა ამათთვის ჰსურდა...
უხარის თამარს გამარჯვება ქართველებისა,
და საქართველოს ნახვისათვის უცემს მას გული.
ვინ-ღა ჰყავს იქა? ვინ-ღა დარჩა, გარდა მკვდრებისა?
მაგრამ სამშობლოს მოუკვდა ნახვის სურვილი.
ამ გამარჯვებით ტკბილათ უწყო მას გულმა ღელვა
და იმედებმა იმის გულში გამოიღვიძეს.
ესრედ ღრუბლიანს და მჭექ-ღამეს მედგარი ელვა
ჩვენს გულში მზისა სხივებისა იმედს აღვიძებს.

დიდს ხანს წამებულს და იმედებ სრულად მიხდილსა,
ჩვენ სწორედ მაშინ, როს ყველა გზა შველისა გვეკვრის,
ცრუ ოცნებითა თვით ვატყუებთ თავს, წამებულსა,
და იმედებსა იქა ვპოვებთ, სადაც არ არის.
თამარ სიცოცხლეს კვალად უწყო ტკბილად ღიმილი,
და აქამდისინ სანატრელი გულის ურვილი
თვის სიკვდილისა, გადუვარდა ვითა წყურვილი:
სამშობლოს ნახვის ახლა ჰქონდა მხოლოდ სურვილი...
და აქ უცებ მტარვალთ ხროვა დაადგა თავსა
და უცხადებენ შაჰ-აბაზის მრისხანებასა:
„შენ არ ინდომე ირანისა მთლათ დედუფლობა,
უარი ჰყავი თავს მომდგარი ბედნიერება,
„და ამისთვისა გადგიწყვიტა შაჰმა სიკვდილი.
და მოემზადე ხვალისათვის, აგერ მედგრათა
შენთვის საკირე კიდეც არის მომზადებული,
და აბა-და თუ შენ გიშველის ღმერთი ქართველთა!“
და აქ თამარსა, თითქო ტკენით ღრმათ ჩაჰკრა გულმა.
ის აქ დაფიქრდა და საკვდავად თავი დანანდა.
რა ნახა ცოცხლად ტანჯვის მეტი, მან წამებულმა?
რა მოსცა იმას სიცოცხლემა ცეცხლისა გარდა?
მაგრამ სიცოცხლე ტკბილად გვიღიმს სიკვდილის წამსა.
გამწარებულნი ხშირათ თვით თავს ვაძლევთ სიკვდილსა,
და როს სიკვდილი კლანჭს ჩაუყრის ჩვენს დამწვარს გვამსა,
მაშინ სიცოცხლე იმედებით გვიწყებს ღიმილსა.
დარჩა თამარი გულჩამწვარი თავის სამყოფსა,
დარჩა მარტოკა და მიეცა ფიქრს გულ-საწვავსა.
თითქო სიკვდილსა ის ნატრობდა, და ახლა რისთვის
მწუხარებითა თვის სიცოცხლეს იგი ესალმის?

არის ამ ფიქრში, და აგერა უსწრო ღამემა.
მთლათ მიწყნარდა და მოისვენა მთელმა ჰარემმა.
მისწყნარდა თვითონ მთლათ ქალაქი თეირანისა
და ფეხის ხმაც-კი აღარ ისმის ვისმე მგზავრისა.
იდგა გარეთა მყუდრო ღამე შემოდგომისა
და კაშკაშითა სხივნი ჰკრთოდნენ ვარსკვლავებისა.
მოწმენდილს ცაზედ ლაჟვარდათა ჰკრთოდა ჰაერი;
ჰაერი იდგა ვნებათ მხშობი და ნებიერი
გაადო თამარ სანათური თვის საწოლისა,
დაფიქრებულმა უწყო ცქერა ცას მოწმენდილსა.
ცა სამშობლოსი მოაგონა მას იმ ღამემა
და მოუმატა წარსულთათვის მას გულმა ცემა.
მას მოაგონდა სიყმაწვილე და თვის ბავშობა,
როს უდარდელათ მთად და ველად დანავარდობდა,
როს თვის ტოლებთან ის ცელქობდა და თამაშობდა,
როს დედას ტკბილათ ალერსითა გულს ჰკრობოდა.
მას მოაგონდა თვისი გმირი ბიძაშვილები,
გმირთა ქალები, თვის ტოლები, თანაზრდილები,
მოაგონდა, როს ტიკინებთან გულსაართობდა,
ვით ცოცხლებთან ეს იმათთან ლაპარაკობდა.
მას მოაგონდა სამშობლოსი ცა გატკეცილი,
ვარსკვლავთ ურიცხვი გუნდი მაზედ გადაჭედილი;
მოაგონდა, როს ამ ვარსკვლავთა უალერსებდა,
მათთან ათვრენას, მათთან ყოფნას მოინატრებდა.
მას მოაგონდა ტყით მოსილი სამშობლოს მთები,
მჩქეფარი წყალი, ხშირი ჭალა, მწვანე ველები;
თოვლითა, თითქო ჩადრ მოსხმული, მთისა წვერები,
და მოერია უნებურათ თვალთა ცრემლები.

„რად განჰქრნენ ასრე უდროვოთა ეს ტკბილი დღენი?"
მას წამ - და — უწუმ მოსდიოდა ფიქრები თავსა:
„რად გავჩნდი ქვეყნად, თუ სულ მედო ტანჯვა მწარენი?
ნუთუ შევცოდე გაჩენამდის ღმერთსა მაღალსა?"
მას აეშალნენ თვალთა წინა ის ტკბილი დღენი,
როდესაც იყო გულსრული და გულბედნიერი.
მწარე დღეები გონებიდამ ეფანტებოდა
და სულ ბავშვობა თვისი ტკბილი აგონდებოდა.
ამა ფიქრებით შეპყრობილი თამარი არის.
უნდა ლოცვანი და ლოცვანი თავს აღარ მოსდის;
იხოქებს ძირსა, ხელებს იპყრობს, ცასა შესცქერის,
მაგრამ მის გული, შემსჭვალული, აღარ ემონვის...
ელის ხვალის დღეს: უნდა მოკვდეს, ჭაერში განჰქრეს,
უნდა მის გვამი ნაცრად იქცეს და მტვრად აღიგვეს!...
უნდა მოჰკვდეს და ვერა ნახოს თვის ელიზბარი
და მის მკერდზედა ვერ დაჰღვაროს ცრემლისა ღვარი!!
ან კი სად არის ელიზბარი? ესეც არ იცის:
მოჰკლეს თუ სადმე იგი კიდევ ცოცხალი არის?
თუ მან გაასწრო სიკვდილსა და უშველა თავსა?
და, თუ გაასწრო, იგონებს-და კიდევ თამარსა?
არის ამ ფიქრში, და აგერა თავზედ დასთენდა.
ჭარამის მოლლა მოჰყვა ძახილს მინარაზედა.
მოისმა მოლლათ სხვა მეჩეთთაც მაღლა ძახილი
და მოიფინა მოედნებზედ ხალხი აშლილი.
მაღლით დასცქერის საჯალათოს მდუმრად თამარი
და დაინახა აღგზნებული საკირის ალი.
ჯოჯოხეთისა ალი მენით აღმოხდებოდა,
მისსა გარშემო ჯალათთ გროვა იკრიბებოდა.

და აგერ ესმის თამარს თავის კარის კაკუნი.
ვითა ჩაქუჩი მის მჩქეფარს სისხლს ჩაჰკრავდა გული.
სცემს და ქანაობს მის გული და ისე ღელდება,
თითქო აგერა ერთსაც ჩაჰკრავს და... გაჩერდება.
გააღო თამარ თვისი კარი, და დახვდა კართა
შავათ მოსილი დიდი გროვა ჯალათთ და ჯართა
მათ ჭარამ—ხანის თავი ხოჯა წინ მიუძღოდა
და მომზადებას წასასვლელად თამარს ეტყოდა.
აქ უცებ თამარს, თვითც არ ესმის, როგორ და რათა —
გული მოეცა და გამაგრდა უცნაურათა.
უთხრა თამარმა—მოეთმინათ მცირე რამ ხანსა;
და აქ თამარი ჩაუკეტავს ჯალათებს კარსა.
მობრუნდა თამარ და გადიცრცვა ტანთ სამოსელი,
რომლითაც იგი ჭარამშია იყო მოსილი.
გაიცრცვა მთლათა, არც გაუშვა ტანზედ პერანგი
და მის მაგივრათ შეიმოსა სამოსი იგი,
რომლითაც ისა ელიზბარსა გულით მოჰგლიჯეს
და რომლითაცა შაჰის ჭარემს ის მიიყვანეს.
შემდეგ გავიდა ჯალათებთან მორთული ამგვარ,
უთხრა ბრძანებით: „წამიყვანეთ, მე სრულად მზათ ვარ!“

## XLVI.

საჯალათოსა მოედანზედ ოქროს ჩარდახში,
ოქროს ტახტზედა, ძვირფას პორფირ ტანს წამოსხმული,
ძვირფას თვალთაგან მოჭედილსა ოქროს გვირგვინში,
თეირანისა სატახტო ხმალს გვერდზედ მორტყმული,

ჭზის შაჰი აბაზ და გასცქერის ცეცხლის ალებსა.
გარე არტყია თვის მცველები ყოველ მხარესა.
გვერდზედ ორპირათ ნწკრივათ უდგას სარდარ — ხანები
და ჩარდახ გარე ცხენოსანი უდგას ჯარები;
ძირს, კიბის გასწვრივ ორპირათა დგანან მცველები,
შავად მოსილი მდუმრად იდგნენ მათ ქვეშ ცხენები.
იმგრგვლივ მოედანს ერტყნენ ჯარნი დარაზმულები,
ჯარის წინ იდგნენ მოლაები და ყაზიები.
საკირის კიბის ასასვლელ წინ იდგნენ ორპირათ
ას ნაბიჯზედა ჯალათები გასალტულები:
ჯოჯოხეთის კაცსა აგონებდნენ, მოსილნი შავათ
და იდგნენ ყველა ხელში ხმალებ გაწდომილები.
ჯალათთ უკან და მოედანის ყოველსა მხარსა
მოსაყვირენი ბუკ — საყვირით იდგნენ ალყასა.
სუყველა ჩუმათ მოელოდა უფროსთ ბრძანებას,
ელიან შაჰის სასტიკ სიტყვას და მრისხანებას.
გაჩუმდა ყველა და მიმტკნარდა, და მხოლოდ ალი,
ზღვებრ გუგუნებდა, საკირიდამ ამომქროლალი.
ხალხი და ჯარი შესცქეროდა იქით მხარესა,
ხითაც ელოდნენ მოსვლას ცეცხლში საწამებლებსა.
და აი უცებ მესაყვირეთ და მებუკეთა
ჯოჯოხეთისა ხმებით დაჰკრეს თვის საკრავებთა.
ამ საშინელმა შემზარავმა ხმამ მთელსა ხალხსა
შემძრწუნებელი ჟრიანტელით უვლვა ტანსა.
მოსავალს გზასა დააცეცა ხალხმა თვალები.
ჰა! მოჰყავთ თამარ და მას ნწკრივათ მოსდევს ჯარები.
წინ მოუძღვიან ჭარმის ხოჯა და ჯალათები,
უკან მოსდევენ მოკრძალებით დიდი ხანები.

აგერ ჯარებმა ალყათ ხალხი გარს შემოჰფვანტეს,
და თამარისა ამალასა ფართო გზა მისცეს.
მოედანზედა ტახტრევანით თამარ გადმოჰსვეს,
ორი ჯალათი ორთავ მხარეს მას მოუყვნეს.
გადმოხტა თამარ და შეჰხედა საკირის ცეცხლსა,
შეჰხედა იმგრგვლივ თვალ უწდომელს ხალხს და ჯარებსა,
შეჰხედა ჯალათთ გატბეცილს რაზმს და გაწვდილთ ხმალთა,
გადაჰკრა ფერმა, შეძრწუნდა და უცებათ მაჰკრთა.
მაგრამ, როდესაც დაინახა შავი ჩარდახსა,
როს მოჰკრა თვალი გესლით მზირალს შავის გესლს თვალსა,
ის საკირისკენ გაბედვითა წავიდა სწრაფად...
წავიდა, მაგრამ ის შეფერხდა ისევ უეცრათ.
აგერ თამარმა უცებ მოჰკრა ხალხს შუა თვალი,
რომ ჯალათთ ჯგუფა და ჯართ გროვა მოდის წყნარათა;
აგერა მათაც, ვილაც მოჰყავთ ტყვე, შესაბრალი,
და აქ თამარსა აუთრთოლდა სხეული მთლათა.
აგერ გაჩერდა მორი-ახლოს ჯგუფა ჯალათთა
და მათ შუადგან გამოვიდა ავპარტავნათა,
მაღლად მოსული, გმირთა ნაკვთით, მღელვარი თვალით,
ქართველი ყრმაი, ქართველური ტანისამოსელით.
შეჰხედა თამარ და შეჰკივლა: სცნა ელიზბარი.
და ელიზბარმაც მაში იცნა თავის თამარი,
რაც მაშინ იმათს გულში მოხდა, ვით აგიწერო?
ისევ შენ მიხვდი იმას ჩემო კარგო მკითხველო.
და აგერ კვალად დაჰკრეს საყვირთ და ნაღარათა
და ლახვარებრივ დაუარეს ხალხს მათ კრულთ ხმათა.
აგერ ორივეს ჯალათები წინ მოუძღვიან,
აგერ ორივე ერთმანერთსა ეშურებიან;

მივლენ ორნივე, ერთმანერთსა თვალთ შესცქერიან,
მივლენ და აგერ ორნივ ერთათ შეიყრებიან.
მივლენ, ორნივემ მიატანეს საკირის კიბეს;
მივლენ, და აგერ მიახლოვდნენ ორნივ ერთმანერთს.
მიახლოვდნენ, და უცებ ჯალათთ თავი ანებეს,
გადახტნენ უცებ და ჩაეკვრენ გულში ერთმანერთს.
მათ ისრე მაგრათ გადაჰხვიეს ერთმანერთს ხელი,
რომ დაშორებას ველარ ჰბედავს იმათსას მტერი.
აქ ელიზბარმა შმაგივითა, ვით უსუარი
გულს ჩაიკრა და აიტაცა თავის თამარი.
აიტაცა და თვითა ავარდა საკირის კიბეს.
არზის კიბეზედ, მედგრათ თავსა მტერს დაჰხარხარებს.
მიდის, იძახის: „ვინ წამართმევს ახლა თამარსა!!“
მირბის, და ჯალათთ ხროვა რჩება შეკრთომით გასსა.
ავარდა მაღლა, აიმართა საკირის პირსა,
და აქ დაუშვა ელიზბარმა თამარი ძირსა.
დაჰკივა. მედგრულათ დაიქნია მაღლიდამ ხელი
და რისხვის სახით შეარყია გარს ხალხი მთელი·
სდგას საკირის პირს, გადაჰყურებს შაჰის ჩარდახსა,
თითქო საომრად ითხოვდესო შაჰს და მის ჯარსა.
და აქ მგრგვინვარე მედგარებრივ მჭექარე ხმითა,
ხმით საზარელით და შემრყევით დასძახა შაჰსა:
„მტარვალო მძლავრო, ვინ მართმევდი თამარს ძალითა,
უბრძანე კვალად მის წართმევა შენს ჯარსა მძლავრსა!!“
სდუმდა ელიზბარ და მჭექარე მის შემზარი ხმა
მედგრულად ისევ ჯერ უვლიდა გულსა ხალხისსა,
რომ აქ უცებათ თამარისა ხმა გამოისმა,
ხმა შეჩვენების, ხმა წყევლისა, ხმა მუქარისა:

„იყავი წყეულ, ვინც რომ თავის მშობელს ქვეყანას
ჰხედავს მტარვალთა უღელ ქვეშ დამონებულსა
და დასაღსნელად თვის ქვეყანის თავს არა სწირავს,
და არ მოუღებს ბოლოს ხალხის დამმონებელსა!
„იყავი წყეულ, ვინ თვით თავის მოსისხლე მტერსა,
მტრის შემოსევის დროს არ მისცეს მოუკრულად ხელი,
ხალხთ საბოლოვოს ვინ არ სწირავს სიცოცხლის დღესა
და ვის სიკვდილი არა ჰქონდეს აქ სანატრელი!
„იყავი წყეულ, ვინ მტრისა და მტარვალობის დროს
არჩევს სიცოცხლეს და არ კვდება მტრის მახვილითა!
ვინ მონობას და მორჩილებას მტრისასა რჩეობს
და ვის მონობა არ მიაჩანს სამარცხვინოთა!
„იყავი წყეულ, ვინ მიიღებს მტრისგან წყალობას,
ვინ არ შეისმენს თვის მშობელი ხალხის გლოვასა;
ვინ დღევანდელსა მშვიდობას და ბედნიერებას
რჩეობს, არ სწირავს მთელი ხალხის საბოლოვოსა!
„იყავით წყეულ მუხანათნი და სულით მხდალნი,
ვინ მტრის წყალობით ანუ შიშით ემონვით მტერსა!
იყავით წყეულ, ვისგანაც აქვთ მტარვალთა ძალნი
და ვინ პირველი არ შეჰმართავთ ხალხის მტერს ხელსა!"
გაჩუმდა თამარ. ვერცხლებრივი მისი ხმა წმინდა
ლასკარისავით მისთა მტარვალთ გულსა გაჰგმირდა.
ამა სიტყვათა ისმენდა და გულსა უკლიდა
ტყვე-ქმნილი ხალხი, ვინ მტარვალთგან მუდამ ჰკვნესიდა.
გაჩუმდა თამარ, და ბევრს ხანსა თითქო მუქარით
დასცქეროდა მაღლით მტარვალისა ოქროს ჩარდახსა.
შემკრთალი ხალხი, თავ-მტერ დასხმით და ცვივური თვალით
დადუმებული შესცქეროდა მაღლა თამარსა.

აქ უცებათა მოტრიალდა უკუ თამარი
და თვის ელიზბარს ყელს მოეჭდო და ეძახოდა:
„გამყრელი ჩვენი ახლა მქვეყნად კაცი არ არი!
შენი [redacted] შენს გულზედა, შენთან მოკვდება!“
და აქ მიჯნურნი ერთმანერთსა ისრე ჩაეკვრნენ,
რომ შეხორცებულთ, ერთათ შობილთ ემსგავსებოდნენ.
„ჩემია [redacted] და სიკვდილიც ჩვენ ველარ გაგვყრის!“
მედგარი ხმითა ელიზბარი კვალად შესძახის,
და ამ სიტყვებთან გაიტაცებს უცებ თამარსა,
გულში ჩაკრულსა, ვით პაწიას და ნორჩსა ბავშვსა,
და ვიდრემ ცნობა მოუბრუნდა გონ-შემკრთალს ხალხსა,
ის, თამარითურთ გადერია საკირის ალსა!...

## XLVII.

მე სევდითა და სისხლით სავსეს ავსწერ ამბებსა,
დრამა ტრაგიზმით არის სავსე ჩემი წერილია;—
ამითი სევდით უვსებ გულსა მკითხველსა ჩემსა.
რა ვქნა! ტრაგიზმით და დრამმით ვარ მე თვით აღზრდილი.
ცხოვრება მწერლის მის ნაწერში ხშირად ისახვის:
გულსა რაცა სწყლავს, კაცის ენა იმას იძახის...
თვითონ ცხოვრება ჩვენი არის დრამმა და სისხლი,
ცრემლით და სისხლით ცხოვრებაა ჩვენი გავსილი.
აი ცხოვრება, რაც ჩვენ ხალხსა გამოუვლია,
ზღვას შეადგენდა რაც რომ სისხლი მას დაუღვრია;
მტრის მოგერებას და ხმლის ქნევას ის უნდებოდა,
მოსაფიქრებლათ იმას ჟამი აღარ რჩებოდა.

იცხოვრა ხალხმა და მატლივით იმუსრებოდა.
სწყდებოდა ხალხი და ეს ხალხი ვერ მისწდომოდა
მიზანსა თავის სიცოცხლისას — რისთვის სჩნდებოდა,
გაჩნდა, და მუდამ რიღასათვის ეწამებოდა.
თვის წამებაში ხალხი იმით იცემდა ნუგეშს,
რომ ეს სოფელი წუთისაა და მას გრძელს სოფელს
დაიმკვიდრებდა საუკუნო მყუდროებასა,
და არ აძლევდა ამა სოფელს მნიშვნელობასა...
ამგვარი იყო საქართველოს ყოფა — ცხოვრება:
იტანჯა მამა, შვილს დაუგდო უნჯათ წამება;
შვილმა შვილის შვილს დაუმკვიდრა ეს სატანჯველი,
და სამკვიდროთა იტანჯება კაცი ქართველი.
ცხოვრების მა'ხნათ გვიგცევია ტანჯვა და ცრემლი,
ჩვენ იმა კაცის სწავლა გულსა გვაქვს ჩანარჩენი,
ვინ ამა სოფლის ზრუნვას კაცთა აღუკრძალავდა
და ცრუ ოცნებით გონებასა გაუმსჭვალავდა.
მაგრამ ოცნება, ცრუ ოცნება ცხოვრების საგანს
კაცს ვერ აუხსნის და ვერ მშვიდ — ჰყოფს კაცთა გონებას.
კაცის გონება მაწიერი ეძებს წიწიერს
და მიწაზედვე ცხოვრებასა იგი ეძიებს.
როგორათაც მკვლად, დღესაც არ გვაქვს გზა გაკვლეული,
დღესაც არ ვიცით სიცოცხლის გზა, რა ვყოთ ჩვენს თავს.
ნუთუ ბუნებით ვართ დევნილი და ვართ წყეული,
რომ უკუნამდის ვერ უპოვით ჩვენს თავსა შველას?!...
პირუტყვისავით აზრ — დახშულნი, დმული გონებით
ჩვენ სამასხაროთ ქვეყანისა დავიარებით.
ქვეყნისა ბედის ჩარხი ჰბრუნავს და წაღმა იძვრის
ჩვენი ბედი კი, უკუღმართი, უკუღმა მიდის.

ეწამა მამა, ჩვენ შვილები მთლათ ვმახინჯდებით,—
ბევრგან პირუტყვნი ჩვენზედ კარგათ ქვეყნად სცხოვრებენ.
და, ნუთუ მიზნათ ცხოვრებისა ჩვენ არ გავიხდით,
რომ შვილნი ჩვენნი მაინც კაცთა ემსგავსებოდნენ?!
თვითონ სიცოცხლე მიზანადვე უნდა კაცს ჰქონდეს,
თვითონ სიცოცხლე თავის თავსა ჰხამს მსახურებდეს.
ყოველი ხალხი არს ბედნიერ, ვინ ამას ჰხედავს
და სიცოცხლისთვის მუდამ შრომობს და მუდამ ზრუნავს.

20 ენკენისთვეს 1880 წ.

თხზულებანი

# ანტონ ფურცელაძისა

## წიგნი მეორე.

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თ ბ ი ლ ი ს ი.

სტამბა მ. დ. როტინიანცისა და კ°.

1884

Дозволено цензурою въ Тифлисѣ 16 Марта 1884 г.

Типографія Мар. Д. Ротинянца и Комп.
На Головинскомъ Проспектѣ въ собс. д. № 41.

# წინა-სიტყვაობა.

ანტონ ფურცელაძის ნაწერების გამოცემას მე მით უფრო შევუდექი, რომ იწუნებდნენ წინეთ და იწუნებენ დღესაც, იდევნება ზოგი ერთ ცრუ მწერლებისაგან და მრავალი ამ მწერლების ფეხის ხმის ამყოლთაგან და ამავე დროს ამ მწერალს ჰყავს მრავალი მკითხველი და თანა-მგრძნობელიცა. მიზეზი ამ დევნისა მე არ ვიცი თუ რამ გამოიწვია, არ ვიცი აგრეთვე ისიც, თუ ან დღეს რა საბუთები აქვსთ, რომ ანტ. ფურცელაძის მწერლობას ასე სწუნობენ და უარს ჰყოფენ! მე დიდათ მსურდა, რომ შემეტყო მიზეზები ამისი, მაგრამ ისმის მხოლოდ ლანძღვა და საბუთები კი არა!.. ჩემის ჰაზრით მოვალენი არიან ისინი ვინც რასმე უარს ჰყოფენ და ავრცელებენ თავის ჰაზრსა, რომ უჩვენონ კიდეც მსმენელს და მკითხველს საბუთები თავის უარის ყოფისა, გაარჩიონ, გაარკვიონ და საფუძვლიანათ დაანახონ მკითხველსა: თუ ამა და ამის მწერლობაში რა ნაკლულევანებაა, რით არიან უვარგისნი, რა მოიპოვება მასში ისეთი უმთავრესი და უდიდესი ნაკლულევანება, რაისაგამო მათ არაფერის ღირსება არა აქვსთ.

ჩვენ, პირში საქებარი ანტონ ფურცელაძესთან არა გვაქვს რა, რომ მას პირ მოთნეობით ქება ვუძღვნათ და მით ვინდომოთ მის სიამოვნება, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ ისიც, რომ ქართულს მწერლობაში, რომელმაც თავის ვალს გზა აუქცია ბეთანიის მონასტრებისაკენ და ანუ, რომელს ხალხშიაც «ვისრამიანებზე» ქილილა-დამანებზე, როსტომიანებზე და «ხმა ცოდვილებზე» 2000 მანეთობით ჰხარჯავენ და მის კითხვასაც ყმაწვილ

კაცობას ურჩევენ, რომ ამ მწერლობაში ანტონ ფურცელაძის ნაწერები კი სულ უმნიშვნელონი და უსარგებლონი იყვნენ, რომელიც უქადაგებს ხალხს ახალს აზრს, ახალს ცხოვრებას, უყურებს ძველს კრიტიკულად, შემოაქვს ახალი გარკვევით და აწონვით... ჩვენ არც იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ «ვისრამიანები» ქილილა და მანები და «ხმა ცოდვილებია» რათ იბეჭდებიან, მაგრამ ჩვენ არც იმის თანახმანი ვიქმნებით, რომ ზოგი ერთი ჩვენის უნიჭო მწერლებისგან იწუნებოდეს იმისთანა მწერალი, რომელმაც დაგვიწერა რამდენიმე შესანიშნავი თხზულებანი და იმათ შორის: «საქართველო» «ჩვენი სალტოლველო» «ჩვენი ჯგუფის ძალა» და სხვანი. რათა, რისთვის, რა დააშავა ამ მწერალმა საიმისო მამაკვდინებელი? იქმნება მისთვის, რომ ვიღაცა, ევროპიდამ გამოპარული მკვდართ და უაზრო არხელოგთ დარიგების მეოხებით ბეთანიის მონასტრის კითხვებზე ცრემლები არა სთხია, ძველი სიწამხდრე იდიალად არ გაისადა, ცუდს-ცუდი უწოდა და კარგს კარგი, სცდილობდა, რომ ძველიდამაც და ახლიდამაც ავი კარგიდამ გაერჩია და ორივენი მკითხველისთვის დაენახვებინა, რომ მკითხველს ეცნა ყოველივე დაწვრილებით, კარგი შეეთვისნა და ავი ედევნა.

ჩვენმა ცრუ პატრიოტებმა ათასჯერ განმარტეს თავიანთის ორ ტაბაკურის ტიტინა ენით, რომ ანტონ ფურცელაძის ნაწერების ბეჭვდას, ჩვენი პაპის ძველი ჭკარტლიანი უაზრო ქაღალდები რომ იბეჭდებოდეს, ეს უფრო ბევრად უკეთესი იქმნებაო. ჩვენ თუ შესწავლა გინდა რამის აქედამ უნდა შევისწავლოთო. ჩვენი წარსულის სათვალავებიდამ უფრო კაი წაგლა დარიგებას მივიღებთ, ვიდრე ევროპის მოაზრეთაგანო. ამ გვარის აზრის სამწუხაროდ ეძლევა ვრცელი ადგილი ჩვენს მიმართულებაში და წინ ცქერის მაგივრათ, როგორც ერთგან სთქვა ანტონ ფურცელაძემ, გავიცქირებით მამა პაპის აკლდამებისაკენ.

ამ აზრით სავსე მექონი მწერლების მეოხებით ბევრ ნაირი ვნება მოუვიდა ჩვენს მწერლობას და სხვათა შორის საქართველოს ისტორიის წერა ისე აირია, ისე დაირია, რომ ქართული ისტორიის ჭეშმარიტებას სწორეთ კოდელი ნინოს მკითხველობის ხასიათი მისცეს. ამ პირთა დაბნელებულმა გონებით ძალამ და გავლენამ ისე იმოქმედა საქართველოს მრავალ ყმაწვილ კაცობაზე და იგინი ისე გააცრუეს, რომ დღეს ისინი გატაცებულნი არიან მათის ცრუ მწერლობისაგან და მრავალნი მათგანი ევროპის ლტოლვა გონიერება და ჯაზრებში კი არეძებენ თავის მომავლის ბედნიერების კითხვებსა, არამედ სამებლებში, ამბროს ნეკრესლებში, სმა ცოდვილებში, ყარამანიანებში, ვარშაყიანებში, ყამარდიანებში და არა ახალს ცოცხალს სწავლას და აზროვნებაში. ჩვენი უბედურება ერთიც იმაშია, რომ თვითონ ჩვენი მწერლების მიმართულებაც ისეთია, რომ ამ გვარს პირთ ხელს უწყობს და მათ უფრო ხელს უმართავს, რომ გულს ჩაეკონენ მკვდრებს და ცოცხლები მისცენ დავიწყებასა, შეამკონ მკვდრები ოქროებითა და ახლანდელს დროზე კი არ სწერონ. ამ უმსგზავსოების დასამტკიცებლად, შორს რომ არ წავიდეთ და წინანდელთ ზოგიერთ ბოხხმიან მწერლებთ ცნობებთ შესახებ არ განვმარტოთ, თვით ახლანდელის მიმართულების მწერლებთა დღიურიდამაც ძალიან ბევრს რასმე მოვიყვანდი, მაგრამ ამ ბევრის მაგიერ ცოტაც კმარა, მაგალითად: ამ წიგნში დაბეჭდილი სტატია «ბანკებზე» დაწუნებულია და უკან დაბრუნებულია „ივერიის“ რედაქციისაგან, სადაც არც კი წაუკითხავთ, „ქსევა მოქცა „დროება“ ცა. რაც დაემართა ამ რედაქციებში ამ სტატიას, იგივე დაემართა მოთხრობა «ვაი მართალსა» «ავაზაკესა» «თამარ დაზნელსა» და სხვათაც მრავალთა, რომელთა დასახელებას არ ვსაჭიროებთ. სამწუხაროა ჭეშმარიტად, რომ ქართული მწერ-

ლობის ბედს ისეთი პირნი დაეპატრონენ, რომელნიც დღეს ერთის არიან, ხვალ მეორესი, ზეგ მესამესი და შემდეგ არავისი, რომელნიც არ უწყიან თუ რას იქმონენ და უფრო მისდევენ პიროვნებას ვიდრე საზოგადო სასარგებლო აზრს.

აი სწორეთ ამ გვარი დასის წევრნი გახლავან ყველა ის პირნი, რომელნიც ანტონ ფურცელაძის მწერლობას მიწასთან ასწორებენ და ამ უგვანთ მოქმედებამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ მრავალნი ქართველნი, როცა ქართულ წიგნებს თხოულობენ და იბარებენ, იმ წიგნებში, რომ ანტ. ფურცელაძის ნაწერები ჰავურიოთ, ყველას მიიღებენ და ფურცელაძის ნაწერებს კი დააბრუნებენ უკანვე.

აი ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენ მივმართავთ ყველა იმ ცხარე წუნიებთ, რომ ანტონ ფურცელაძის მწერლობის მავნებლობაზე ცარიელი სიტყვით ჯღიყინს თავი დაანებონ და მიმართონ დამტკიცებას, რომ გაიგოს მკითხველმა და მსმენელმა რასშია ცუდი მხარე ფურცელაძის ნაწერებსა და აგრეთვე გვიჩვენონ თუ ცუდს რას ეძახიან და კარგს რას. მე ამის თქმას ის უფრო მაბედვინებს, რადგანაც ამ გვარი ტიტინი და ჯღიყინი მარტო გარეშე პირებისაგან კი არ გამიგონია, არამედ იმათაგანაც, რომელთაც ევროპაშიაც კი უვლიათ და დაუმთავრებიათ სწავლა.

ამ უკუღმართის მიმართულებამა და მწერლობამა იქამდის მიიყვანეს ქართული მწერლობის საქმე, რომ დღეს ერთათ ერთ ჟურნალს «ივერიას» საც-კი ლამის სული ამოართონ და რომ გაანადგურებენ ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც მათი პიროვნული სტატიების ჯღაბნით, უნიჭო მედიდურობით, მკითხველი ისე მოაბეზრეს, რომ დღეს «ივერიას» ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ერთათ ერთ ჟურნალს 150 ხელის მომწერი ჰყავსო. ვისი მიზეზია ეს? აი ამ უკუღმართი პირებისა და მათი მგვდარი აზ-

რებისა და მიმართულებისა. ამათმა გაუგებარმა მოქმედებამ შემოიფასტა ყველა ის მწერლები, რომელნიც ამისთანა უმსგავსო რამეებს ზურგს უქცევდნენ და დარჩნენ მათან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც დღეს დასწერენ რამე თისუზულებას და მით ხალხს ურჩევენ ახალი ცხოვრების ლტოლვილებას, მეორე დღეს კი ესევე მწერალი დაჰფრინავს ათონის მთის ბერებში, ქართველ მონასტრებში და ქართველ დაყუდებულთ და განდეგილთ პახომ, მახომ, ალპიდა, და ნასყიდებს ქებით ამკობს, ადიდებს და ცრემლებს ჰყრის მათზე.

საზოგადოთ ეხლა ვინც ფურცელაძის ნაწერებს უარს ჰყოფს, ის იმ ცრუ მწერლებთაგან განსათლებულათაც არ ჩაითვლება, ასრე რომ ხშირად შეხვდებით ამ გვარს მოვლენას: აგინებს კაცი უწყალოთ ფურცელაძის ნაწერებს. ჰკითხავთ: რა წაუკითხავს იმას ფურცელაძის ნაწერებიდამ და გამოდის, რომ სრულიად არაფერი. ჰკითხავთ: რათ ლანძღავთ, როცა არა გიკითხავსთ-რა? მოგიგებსთ:—რავქნა, ყველანი ლანძღავენ, აძაგებენ და მეც ვაძაგებო.

ამის შესახებ ჩვენ დავბეჭდავთ მესამე წიგნში ვრცელს შესავალს ანტ. ფურცელაძის და სხვა მის დროის მწერლების შესახება და ვეცდებით ვუჩვენოთ მკითხველს: თუ სადამდის არიან მართალნი მდევნელნი ფურცელაძის ნაწერებისა და სხვანი.

მხოლოდ ჩვენი მწუხარება იმაში გამოიხატება, რომ დღეს ამ ვაჟბატონების მეოხებით ქართული მწერლობა დედაბრების საკითხავ მასალათ გახდეს და უმაწვილკაცობის ტვინის გასალაყებლათ, სადაც არ ისმის არავითარი გონებისა და ხასიათის სავარჯიშო აზრები და მომავალის წინ წამყვანი კითხვანი. ხალხი წარმატებას და კეთილდღეობას ეტანება და ესენი კი მასზე არაფერს არა სწერენ და გატაცებული არიან წარსულის ქებით.

ამ შემთხვევაში არც ერთ მწერალს იმდენი ღვაწლი არ

მიუძღვის ქართულს მწერლობაში, რამდენიც ანტ. ფურცელაძეს. შეიძლება, რომ ანტონ ფურცელაძის ნაწერები იმით იყოს შეუნიშნავი, რომ ვითამც მასში არ მოიპოვებოდეს ესტეტიკური ვილო, მაგრამ გავიხსენოთ ჩერნიშევსკის, ერთი საუკეთესო რუსის მწერალის სიტყვები: ალპიის მთაზე ვარდების საკრეფლათ ხეტიალზედ და მაშინ მოსთხოვეთ ესტეტიკა, თუმცა ხშირად არც ესა აქვს ფურცელაძეს სხვებზე ნაკლები, რომლესაც ამას მოითხოვს საგნის საჭიროება, თუ არა და ცარიელ ესტეტიკას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს მწერლობაში! მაგრამ რა, დღეს ჩვენი უბედური მწერლობა ისეთი კაცების ხელშია ჩავარდნილი, რომ ამათ ესტეტიკის მეტი არა უნდათ რა. გამაძღარნი სხვის ოფლით, დასხეტიალობენ ალპიის მთებზე და იქ ვარდების მოკრეფის მეტს სხვას არას საჭიროებენ. სხედან თავიანთვის ტახტზე და შესცქერიან ჭერს, ღმერთი მათვის ქადა პურს ჰყრის, ძალიან საჭიროა ამათვის ჰაზრი, გონების მოძრაობა და წარმატება ხალხისა, ამათვის სულ ერთია, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგათ და ამათ იქით თუნდ ქვა ქვაზედაც არ იყოს.

აი, ამ შემთხვევებში ბ. ურბნელმა ერთობ სამართლიერად განსაჯა ანტ. ფურცელაძის შესხებ «დროებაში», მაგრამ ერთობ მცირედ, ერთობ მოკლედ.

ოკტომბერს 15-სა, ქ. თიფლის. ზ. ჭ.

# ბანკები და მათი მნიშვნელობა.

ბანკები გახდნენ სალოცავად ესრედ წოდებული განათლებული ხალხებისა. ბანკები ობობას ქსელივით მოედვნენ მთელს ამ განათლებულს ხალხებს და იმ ხალხთა, რომელთაც ამათთან რამე კავშირი აქვთ და სწავლობენ ამათაგან. გატაცებული მთელი ამ ხალხების ფულიანნი და უფულოები თითქმის ჰსუნთქავენ ბანკებითა: ბანკებს ამყარებენ მთელს თავის ბედსა და უბედობას; ბანკები ამღელვარებენ გულთა, აცხოველებენ იმედთა, აგდებენ სასოწარკვეთილებაში. რასაკვირველია, ამდენს თაყვანის მცემლებში წინააღმდეგიცა ჰყავთ ბანკებსა. მაგრამ ბანკები მაინც და მაინც თან და თან იჭერენ მთელს კაცობრიობას ხელში და ძალა-უნებლიეთ ჰხდიან ყველას თავის ყურ-მოჭრილ ყმათ. თქმა აღარ უნდა, რომ ჩვენც უნდა წავეზიდნეთ ამ ტალღებსა, თუმცა თითქმის აქამდის არავინ იცის ჩვენში, რა არის ბანკები და რა ძალა უჭირავთ ხელთა. ჩვენი მწერლობაც აქამდის არის ამაზედ გაჩუმებული, რომელიც წარმოსდგება იქიდამ, რომ თვით მწერალნიც უკაცრავათ გახლავან ამაში, როგორც სხვა ყველაფერს სამწერლო საგანში, რომლისაც ცოდნას და სწავლას ჰსაჭიროებს საზოგადოება და ხალხი.

რომ კარგა დააკვირდეს კაცი, ბანკებზედ, გადაწყვეტილს, აწონილს აზრს თითქმის ვერც თვით ევროპის მეცნიერებისგან გაიგონებ რასმე: ზოგს ბანკების ძალა და სიკეთე აჰყავთ ცათამდის, ზოგნი შეჰყურებენ უნდო თვალით.

როდესაც იწყო გამორკვევა და იჩინა თავი ბანკების ძალამ, პირველმა გენიოსმა ბანკების საქმეში, ლოუმ მოინდომა ესარგებლა ამ ძალით და აპირებდა ამითი მთელი კაცობრიობის ფეხზედ დაყენებას, გაბედნიერებას. იმას უნდოდა ბანკების ძალით, სხვათა შორის, ფულების გაიაფება, რომ ყველას შესძლებოდა ფულების შოვნა. „პირველი ნიშანი სახელმწიფოს გაღარიბებისა, — ამბობდა ისა, — არის ფულის სიძვირე. უნდა ისრე მოხერხდეს, რომ კაცს, რომელსაც ფული უჭირს, ფული ეძლეოდეს სესხად ან სულ უსარგებლოდ, ან ისრე, რომ ამ ფულის მოგებაში იმასაც წილი ედოს... თუ ფულის მოგება ეძლევა მარტო გამცემს, ამ გვარი ფულის სესხი, სიკეთეს კი არა, ზარალს აძლევს ამღებსა და, დახმარების მაგიერად, ჰღუპავს იმასა.“

ამგვარად, ლოუს უნდოდა, რომ ის ძალა, რომელსაც ბანკები იჩენდნენ, მოეხმარებინა ქვეყნის სასარგებლოთ. ამას უნდოდა დაეჴსნა მით ხალხი მოვალეებისგან და გაეჩინა საღსარი ადვილათ ფულის შოვნისა. ის ამას აპირებდა ან იმგვარად, რომ ამ გვარი გამსესხებელი ბანკის დადგენა ეკისრნა სახელმწიფოს, ან შემდგარიყო ამისთვის ცალკე დიდი კამპანია.

თქმა აღარ უნდა, რომ ლოუმ იშოვნა მომხრენი, და ამ საუკუნეში, გამოჩენილი ფრანცუზი, პრუდონი, ამგვარი ბანკების წყობილებით ელოდა მთლათ დღევანდელი წყობილების შეცვლას და მთელი კაცობრიობის თანასწორ გაბედნიერებას.

მაგრამ, — კვლავაც გვითქვამს, — როდესაც რამე სწავლა არ არის ცხადი დაურღვეველი საბუთებით აწონვილი და დამტკიცებული, იქ ამ სწავლას ყველა თავისებურათ და თავის სასარგებლოთ ჰჴსნის.

რა იქნებოდა ლოუს წყობილებასა და განზრახვაზედ უწმინდესი. მაგრამ, რაკი ის ტრიალებდა იმ გვარს საზოგადოებასა და ხალხებში, სადაც ყველა საკუთარი ინტერესებით არის

გატაცებული, სადაც არ არის აზრი გალსნილი, რომ კაცი სრუ-
ლი ბედნიერი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ყველას იმის
სწორი ბედნიერება აქვს: რაკი, ამასთან, თვით ლოუს სწავლა არ
იყო მეცნიერულად, დაურღვეველი საბუთებით დამტკიცებული, —
იმისი სწავლა, მიღებული ზოგიერთში საფრანგეთის რეგენტის
ფილიპე ორლეანელისგან, — დაეცა და ვერ იყო აღსრულებაში
ბოლომდის მოყვანილი, რომ ამითი გამოცდილიყო, რამდენათ
შესასრულებელი იყო ამ სწავლის ჭაზრი. ამის გამო, სძლია
ლოუს დაწყობილ აზრებს იმ ეგოისტურმა ბანკების წყობილე-
ბამ, რომელიც ლოუმდის იჩინეს ბანკებმა და რომელთაც თან
და თან გაიდგეს ფესვები, რაკი ბანკები იყვნენ ხელთ იმ გვართა
კაცთა და საზოგადოებათა, რომელთაც სახეში თავის საკუთარი
მოგების მეტი არა ჰქონდათრა.

ჩვენ ბოლოს მოუბრუნდებით ამ საქმეს, თუ რამდენათ
შესაძლებელია იმ ჭაზრის შესრულება, რასაც იზრახავდა ლოუ
და რაც უნდოდა ამ ბოლოს ხანებში პრუდონს და იმათ მიმა-
დევართა; ახლა ჩვენ გადავავლებთ თვალს დღევანდელი ბანკების
წყობილებას და იმათს მნიშვნელობას.

ბანკები არ არის ახალი საქმე. ჯერ ისევ ქრისტეს წინეთ
ათინაში იყვნენ ბანკები, რომელნიც, როგორც ეხლაც ზოგიერ-
თა ბანკები, იღებდნენ ფულს სესხად ან შესანახად და თვითონ
თავის ფულს და ამ ფულებს აძლევდნენ სხვებს სესხათ და იღებდ-
ნენ ამაში მოგებას. ბანკები იყვნენ ეგრეთვე რომში; წინანდელი
ზარაფობა, რომელსაც ვხედავთ თვით უღრმეს დროებაში, გა-
დიქცა ბანკებათ. სიტყვა ბანკი წარმოსდგა სიტყვიდამ la ban-
due, რომელიც ნიშნავს სკამს, დახლს, რომელზედაც ისხდნენ
ზარაფები და ბოლოს დროს მებანკენი. ეს ბანკები, როდესაც
იღებდნენ ფულს სესხად ან შესანახად, აძლევდნენ იმაში უბრა-
ლო ბარათებს. ბილეთების გამოცემა ბანკებიდამ ფულის მაგიე-

რად შემოვიდა, ლოუს წინად, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ჯერ ჰოლანდიაში, მერე ლონდონში, მერე შოტლანდიაშიაც, სადაც უჩუჩში ინახავდნენ ლითონის ფულს მარტო მეოთხედს გამოცემული ბილეთებისას. მაგრამ ყველა ეს ხდებოდა გაუბედავათ, უნდოთ, ეს როგორღაც დაწესდა თავის თავად, თვით პრაკტიკით: პრაკტიკამ უჩვენა რომ, თუ კი შეიძლებოდა იმ ფულებში, რომელიც თავად შემოჰქონდათ ფულის პატრონებს, ბარათების მიცემა და ამგვარად სხვის ფულის სარგებლობა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ თვითონ გამოეცათ მსესხებლებზედ თავისი ბილეთები ფულის მაგიერათ! რაოდენიმე მსგავსება იყო ამათში: იქ ბარათები ეძლეოდათ იმათ, ვისაც ფულის გაცემა უნდოდა, აქ ეძლეოდათ ბარათები, ანუ ბილეთები იმათ, ვისაც თვითონ ამათგან უნდოდათ ფულის წაღება. ამ გვარმა მსგავსებამ უჩვენა გზა, რომ შეიძლებოდა მსესხებლებზედ ფულის მაგიერათ ბილეთების გამოცემა. მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, ეს ჯერ ხდებოდა გაუბედავათ, რაკი ამგვარი ბილეთების მუშაობაზედ არ იყვნენ კარგათ დარწმუნებულნი და არცა ჰქონდათ ამისი ძალა ჯერ აწონილი.

ლოუს გენიიმ აწონა ძალა ქაღალდის ფულისა, საბანკო ბილეთებისა და იმან მისცა ამას სისტემა, სისრულე და გაბედული ხასიათი. იმან ჯერ თავის წერილში შოტლანდიის ბანკთან აღსნა ძალა ამგვარი ბანკებისა და ასწერა კიდეც თავისი პლანი ამათ შესახებ; შემდეგ ეს ძალა ქაღალდის ფულისა დაამტკიცა თვით გამოცდილებითაც, როდესაც იმისი პლანები, ზოგიერთებში მაინც, მიღებულ იყვნენ საფრანგეთში.

როდესაც იპოვეს საშუალება, რომ შეიძლება ბილეთების გამოცემა მაგიერ ფულისა, მაშინ მრავალ—გვართ ბანკთა მიმიმართეს ამ ღონეს და ბოლოს ხშირად რდგება იმისთანა ბანკები, სადაც არც თუ გროში ფული ჰქონიათ ბანკების შერმად-

გენელდებს, გამოუცვიათ ბილეთები, აუღიათ ამ ბილეთებში სარგებელი და არა რაიდამ შეუდგენიათ ფული, უნახავთ მოგება. მოგება არა რაიდამ! მოგება მხოლოდ იმიდამ, რომ ამ ბილეთებს ჰქონიათ გასავალი. გასავალი იმას, რაც თვითონ არა რაიდამ არის შემდგარი!

უეჭველია, რომ ამ არა რაიში უნდა იფარებოდეს ერთი რამ ისრეთი ძალა, რომელიც იზიდავს მუშტარს. უიმისოთ ბილეთებს მუშტარი არა ჰყავთ. ეს ძალა სხვათა შორის არის ის სარგებელი, რომელსაც ეს ბანკები თვითონ აძლევენ ამ ბილეთებში იმათ, ვისაც ხელში ეს ბილეთები გადავლენ. ვთქვათ მე მიჭირს ფული. ვესესხები ბანკსა. ბანკი, ფულების მაგიერათ, მაძლევს ბილეთებს, როგორც ნამდვილს ფულს. ეს ბანკის ბილეთები არიან თამასუქივით: დადებულს ვადაზედ ის ბილეთები უნდა მიიღონ თვითონაც ნამდვილს ფულში; მანამ ეს ვადა გავა, ბანკი მაძლევს ამ ბილეთებში-მე ან სხვას, ვის ხელშიაც ეს ბილეთები გადავლენ —სარგებელს. მაგრამ, მე რომ ისინი მანეთზედ ვთქვათ ორ შაურს სარგებელს მაძლევენ ამ თავის ბილეთებში, თვითონ მევე ორ შაურზედ მეტს სარგებელს მართმევენ. ამ გვარად მე ავიღე ფულის მაგიერათ ბილეთები. მაგრამ ბილეთები კი არ მინდა, მინდა ფული. ამის გამო მე ვეძებ კაცს, რომელსაც ფული აქვს. ვპოულობ ამგვარს კაცს და ვყიდი იმ კაცზედ ამ ბილეთებს, და ის იღებს ბანკიდამ ამ სარგებელს, რომელსაც ბანკები იძლევიან ამ ბილეთებში. ამგვარად, ბანკების ბილეთებს უჩნდება მუშტარი. ბანკს რჩება მოგებათ ის მეტი სარგებელი, რომელსაც მე მართმევს თავის ბილეთებში, ვიდრემ თვითონ აძლევს ამავე ბილეთებში ბილეთების პატრონებს. სიტყვით, ბანკი იგებს არა რაიდამ.

რამდენათ სასარგებლოა გაჭირვებული მსესხებლისთვის ამგვარად ფულის შოვნა, ამის პასუხს იძლევა იგივე ქეთილშო-

ბილი ლოუ ოუკეთუ ფულის მსესხებელი (მამულების დაგირავებაზედ ამბობს, მაგრამ იგივე იგულისხმება ბევრს სხვაშიაც) მამულების სამუშავოდ და მამულებზედ საწალმართოთ ჰხმარობს ნასესხებს ფულს, ის ამაზედ უარეს ვეღარას მოიგონებს ამ ფულების დასახარჯავად, რადგან მამული არასოდეს არ მოსცემს იმოდენა მოგებას, რაოდენიც ამ ფულში სარგებელი გაუვა. შეგვიძლიან ბეჯითად ვთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი ფულს იმიტომა სესხულობს, რომ როგორმე დროებით მაინც თავი დააღწიოს თავის აწეწილს საქმეებსა; ან სესხულობს იმიტომ, რომ ეს ფული მოიხმაროს და დაჰხარჯოს. რაკი ერთი ამ გვარს ვალში ჩავარდა კაცი, ის თავისი დღესი დარჩება თავის მოვალის ხელში და ვეღარ დააღწევს იმას თავსა, რადგან, რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო მეტი სარგებლის გადახდა სჭირდება, და მამული კი იმდენს მოგებას არ აძლევს.

ამ გვარად, იმ წმინდა სწავლისა და წყობილების მაგიერად, რომელიც ჰსურდა ლოუს ბანკებისთვის მიეცა, ბანკებმა მიჰმართეს იმ გზას და წესს, სადაც კაცნი არა რაიდამ მდიდრდებიან და თავისი მოხერხებული წყობილებით უხდებიან ტვირთათ გაჭირვებულთა და მშრომელთა.

რაც ითქვა ამ გვარ ბანკებზედ, რომელნიც ამუშავებენ ფულების მაგიერათ ბილეთებს, თითქმის ესევე ითქმის სხვა ყველა ბანკებზედ, რომელთა რიცხვიც და სხვა და სხვა გვარობა თითქმის აუარებელია. როგორც ამ გვარი ბანკები, ეგრეთვე სხვებიც ამუშავებენ მომეტებული ნაწილი სხვების ფულებს: თავისგნით აღებულს ფულში აძლევენ ნაკლებ სარგებელს და თვითონ ამავე ფულში იღებენ სხვებისგან მეტს სარგებელს.

ამ დღევანდელი წყობილების ბანკებს აჩემებენ დიდს მნიშვნელობას მრავალნი მწერალნი და ავტორიტეტნი საბანკო და პოლიტიკურ-ეკონომიურს მწერლობაში. მაგალითად, ფრან-

ცუზების მწერალი კურსელ სენელი და ამისი დამქაში რუსის მწერალი ბეზობრაზოვი ამტკიცებენ, რომ ბანკებს აქვთ ის მნიშვნელობა, რომ ამგვარი სესხით უწყობენ მოწალმართე პირთ ხელსა, აძლევენ შემწეობას, რომ შეუდგნენ საქმეს იქა, სადაც უფულობის გამო საქმე ვერ დაწყობილა. და ბანკების შემწეობით ფულის მსესხებელნი იწყობენ საქმეს, ქირაობენ მუშა ხელსა, საქონელს, იარაღს და სხვა, რომელნიც უამ ფულოთ იქნებოდნენ უქმათ გაჩერებულნი; ამათი ძალა და მუშა დრო იქნებოდა ამაოდ ჩავლილი და დაკარგული. ამას, სხვა მწერლებთან, რომელნიც თავნს (კაპიტალს) თანასწორ მუშა ხელისა მონაწილეთ, ჰრაცხავენ ფასის ალებაში, კურსელ სენოლი დასძენს: „ის ხალხი, რომელსაც უფრო თავის ხელთა აქვს თავისი შრომა და შეუძლიან თავისი შრომა თავისუფლად მოიხმაროს, უფრო მეტს სარგებელს აძლევს ნასესხებს თავნში; და რამდენიც უფრო წინ წავალთ ცივილიზაციითა და თავისუფლებითა, იმდენი უფრო პატივი დაედება სარგებელსა. სარგებელი არის გადასახადი, რომელიც უნდა მიეცეს თავნის პატრონს თავის მოთმინებასა და ზნეობით შრომისათვის. რადგან სწავლა, რომელიც მიუღია თავნის პატრონს, და თავნის შერდგენა და შენახვა ჯდება ფასად, ამის გამო უსამართლობა იქნება, რომ იმან, ვინც ამისგან ამას თავნს სესხულობს, არ მისცეს ამ თავნში მოგება. უნდა იშრომოს ვაცმა, რომ შეადგინოს თავნი, მიეცეს მოთმინებას, რომ თავნი გაზარდოს; კიდევ უნდა მიეცეს შემჭირვნეობას და მოთმინებას, რომ უგდოს ყური იმის მუშაობას, მოხმარებას და შენახვას. თუ ყველა ამ ღვაწლს არ მიეცა თავისი ფასი, მაშინ ყველა დაანებებს თავს ამ გვარს მეცადინეობას და შეუძლებელი გახდება თავნის შერდგენა... უნდა სწორეთ ვთქვათ, რომ ის სწავლა, რომელიც ამბობს, რომ სესხი უსარგებლოთ უნდა იყვეს, თუმცა სიტყვით ბევრს გულს უხეთქავს, რადგან

ეს შესაძლებელი საქმე ჰგონიათ, მაგრამ საქმით სრულიად შეუძლებელია და ლაპარაკათაც არა ჰღირს.“

ფრანცუზის ეკონომისტი ბასტია, ის გამოჩენილი ბასტია, რომელმაც ისრე მკაცრად გაუწია პრუდონს პირდაპირობა, ამტკიცებდა იმასვე, რომ თავნი (კაპიტალი) შერსდგება მოთმინებისა და შემწირვნებისაგანაო. ამავე აზრს ადგნენ თვით სახელოვანნი ეკონომისტი ადამ სმიტი, რიკარდო და სხვანი.

მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის გამოჩენილი მინისტრი—ეკონომისტი ტურგო ამბობს: „რადგან ფული ეკუთვნის ფულის პატრონს, ამისგამო იმას შეუძლიან გასცეს თავისი ფული იმ პირობით, რა პირობითაც თავის სასარგებლოთ დაინახავს,“

იერემია ბენტამმა ხომ საღმრთო ვალად ჩათვალა სარგებლისა და თავნის მოგების საყველთაოდ კალდებულება.

გამოჩენილი ნემენცების მწერალი შულცე დელიჩი, რომელიც ჰერმანიის მუშებს უჩვენებდა თავს იმათ მომხრედ, აი რას უქადაგებდა მუშებს ამის შესახებ: „მოსპეთ სარგებელი და მოისპობა სესხიცა, და თქვენ ეს სესხი მოგაკლდებათ სწორეთ მაშინ, როდესაც თქვენთვის სესხი უფრო საჭირო იქნება.“

შემდგომ, ესევე შულცე დელიჩი უქადაგებს მუშებს, რომ, რაც გინდა ბევრი ეცადნეთ, თქვენი შრომიდამ იმოდენა ფულს ვერ გადასდებთ, რომ სიბერის დროს თავი შეინახოთო, ამის გამო, თქვენთვის საჭიროა, რომ სარგებელი და მოგება აძლიოთ თავნის პატრონებს, რომ იმათ თავნს ემატებოდეს, რომ იმათ ამ თავნიდამ შეეძლოთ ნიადაგ თქვენი სესხებაო.

ეს რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიყვანეთ სხვა და სხვა შესანიშნავ მწერალთა აზრი, არის უკანასკნელი აზრი და სიტყვა თანამედროვე ბანკთა მთაუვანებლებისა.

შეუდგეთ ჯერ იმ სასწაულის გარჩევას, რომელიც აჩენს გაუჩენელს, როგორც ჩვენი მდაბიო მახვილი სიტყვა იტყვის, ესე იგი, რომ ბანკებს ჰქონდეთ ის ძალა, რომ აღორძინებდეს საქმეს იქ, სადაც იგი უბანკოთ ვითომც ვერ იჩენს თავს და ჩაჰქრება ამაოდ.

ჯერ ვიკითხოთ: რა არის ბანკი?

ჩვენ ზემოთა ვთქვით, რომ ბანკები ან სულ სხვის ფულს ამუშავებენ, ან ამუშავებენ მომეტებულ ფულს მაინც სხვისას, ესე იგი, ან გამოსცემენ თავის ბილეთებს ფულის მაგიერად, რომლებსაც ჰყიდულობენ ფულის პატრონები, და ან იღებენ სესხად ან შესანახავად სხვის ფულებს და ამუშავებენ ამათ. ამგვარად, ბანკის სიცოცხლე და დღეგრძელობა ჰკიდია იმაზედ, რაოდენი თავისუფალი ფულიც არის კერძო პირებისა, ანუ საზოგადოების ხელში. თუ თავისუფალი ფული ბევრია, მაშინ ამათს ბილეთებს თუ ბარათებს ფასი ადევთ; თუ არ არის ფული, მაშინ ამ ბილეთებს თუ ბარათებს მუშტარი არა ჰყავთ და ბანკები უნდა დაიკეტნენ. მაშასადამე, ბანკები ამუშავებენ თავის ფულს კი არა, კერძო პირების ანუ საზოგადოების ფულს, და ამ ფულით თვითონაც მდიდრდებიან და ამ ფულის პატრონებსაც მოგებას უჩენებ.

ახლა საკითხავია: თუ კი ბანკები ამუშავებენ სხვის ფულს, თუკი მე, მსესხებელი, ვიღებ ბანკისგან ბანკის ფულს კი არა, სხვის ფულს, — მაშ ბანკი რაღა მატრაკვეცაა აქა?

ბანკების ჩამოჩხირვით ჩემს, და ფულის პატრონს შუა, მე მხოლოდ მიმკირდება და მიძნელდება ფულის შოვნა. აქ ბანკი არის უბრალო ჩარჩი, რომელიც დგება გამცემსა და ამღებს შუა, იღებს თავის საჩარჩოს ერთის მხრიდამაც და მეორეს მხრიდამაც, როდესაც უამ ჩარჩოთ შეეძლოთ ერთმანეთში ამღებსაც და გამცემსაც მორიგება და საჩარჩო აღებული ფულიც დარჩებოდათ ჯიბეში.

უეჭველია, შეუტყვიან: თუ აგრეა, რაღათ მოდიხართ ბან-კებთან, წადით ფულის პატრონებთან და პირდაპირ იმათგან ისე-სხეთო.

ეს თქმა ადვილია, მაგრამ ეგ სრულებითაც ვერ დაამტკი-ცებს ბანკების იმ ძალას, რასაც იმათი მღაღადებელნი აწერენ იმათ. ბანკებმა ყოველ ქვეყანაში შეიძინეს კანონისგან იმგვარი დახმარება და პრივილეგია, რომელიც არა აქვთ კერძო პირებს, ამის შემწეობით ბანკებს ისე მკვიდრათა აქვთ თავის მსესხებ-ლებთან, ესე იგი ფულის მსესხებლებთან, საქმე დაჭერილი, რომ თავისი სესხით ძნელათ ჰნახამენ ზარალს. ამგვარად მკვი-დრათ საქმის დაჭერა კერძო პირს კერძო პირთან თითქმის ვერ შეუძლიან, რომლის გამოც ის რჩეობს ისევ იმასა, რომ თავისი ფული ბანკს მისცეს სესხად, ვიდრე კერძო პირსა. ამის შემწეობით ბანკი იზიდავს თითქმის ყველა კერძო პირის ფულს და ამითი უწყვეტავს სახსარს, რომ კერძო პირმა პირდაპირ კერძო პირისგან იშოვოს სესხათ ფული.

ახლა გადავავლოთ თვალი, რავდენათ არის ეს სასარგებ-ლო საზოგადო კეთილდღეობისთვის.

ბანკი იჭერს შენთან მკვიდრათ საქმეს, რომ ზიანი არა ჰნახოს. მაშასადამე, შენ უთუოთ უნდა გქონდეს ღონის ძიება, რომ ამის თავნსა და სარგებელს გასცე პასუხი, რაკი ეს ასრეა, მაშინ კაცს. რომელსაც თავისი გონებისა, ჯანისა და პატიოსნების მეტი არა აქვსრა, ბანკში ნდობას ვერ მოიპოვნის. მაშასადამე, სესხსაც ვერ იშოვნის და უნდა დარჩეს ღვთის ამარობაზედ, რადგან ბან-კი იმას არ ენდობა და კერძო პირებს კი თავისუფალი ფული აღარა აქვთ, რადგან ისინი ბანკს უფრო ანდობენ ფულს, ვიდ-რემ კერძო პირთა. ამგვარათ, ბანკი ხდება შემწე მარტო იმ პირთა, რომელთაც აქვთ მატერიალური საღსარი პასუხის გე-

ბისა, და არ შეუძლიან შემწეობა იმათი, რომელთაც ნამდვილათ უჭირთ ფული, შეუძლიანთ ფულისა გონივრულათაც მოხმარება, და, უფულობისა გამო, უნდა თავისი გონებისა და აგებულების ძალა დარჩეთ უქმათ. ბანკები კი რომ არა ყოფილიყვნენ, მაშინ ის პირნი, რომელთაცა აქვთ ფული და ბანკებში ინახავენ, იძულებულნი იქნებოდნენ მიეცათ ფული კერძო პირებისთვის სესხად. ამასთან, რადგან ყოველთვის არ შეეძლოთ ამ კერძო პირთ აწონვა: ჰქონდათ თუ არა ფულის მსესხებლებთ მატერიალური საღსარი პასუხის გებისა, ბევრისა პირად ნდობაც ექნებოდათ. ისინი, ჯერ ერთი რომ უფრო ძირიანათ მისცემდნენ ფულს კერძო პირთა, რადგან საჩარჩო, რომელსაც ბანკები აძლევენ, აღარ გაუიდოდათ, და ამასთან ხშირად მისცემდნენ ფულს უფრო გაჭირვებულთა და საქმიან კაცთა. ბანკების წყალობით კი, აი რა გარემოებაში ვარდება ხალხი: იმას სესხი უშორდება, რადგან, რაც იმის მეზობელს ფული აქვს, გადასულია ბანკში, რომელიც ღარიბს სოფლელს კაცზედ არის შორსა; სესხი უძნელდება, რადგან ბანკიდამ ფულის აღებას უნდა ბევრი ხარჯი და ბევრი წვალება და წესის შესრულება; ნამდვილ გაჭირვებულთ და საქმიანთ კაცთ სესხი მთლათ აკლდებათ, რადგან დასაგირავებელი არა აქვთ რა, ნდობას მლათ მოკლებულნი არიან უქონლობისა გამო.

აი რა გამოდის აქედამ.

ბანკი იჭერს ხელში მთლათ მთელი ხალხის ფულსა და ამ ფულს აძლევს სესხად იმათ, ვისაც აქვთ შეძლება ქონებითა. უღარიბესი ხალხი, რომელიც ლოუს და იმის მიმადევართ ჰქონდათ სახეში, რჩებიან სესხ მოკლებულნი უკეთუ გაჭირვებისგამო კი არა, ალებმიცემობისთვის, სათავნოთ და სამუშაოდ გამოუტანია ვისმე ფული ბანკიდამ, გაჭირვებულს ხალხს დარჩენია ერთი ღონე, რომ ამათგან აიღონ სესხად ფული და ან მიაქირაონ ამათ თავი. უკეთუ ეს გაჭირვებულნი სესხად აიღე-

ზენ ფულს, ამათ უნდა მისცენ ბანკისგან ფულის ამღებს ყოვე-ლივე სარგებელი, ზარალი, ხარჯი და დროს მოცდენის ფასი, რაც გადაჰხდიათ ამ ფულის აღებაზედ, და ამასთან უნდა მის-ცენ მოგებაცა, რამდენიც კი იმის სურვილია, რადგან შენ მთლათ იმის ხელში ხარ ჩავარდნილი, სხვა საღსარი არა გაქვს, სხვაგან ნდობა არა გაქვს. უკეთუ მიაქირავებ შენს შრომას, მა-შინ შენი შრომით უნდა აღუდგინო ყოველივე ზარალი, გადა-სახადი, ხარჯი და დროს მოცდენის ფასი, და თვითონაც უჩვე-ნო თავისი შესაჯერებელი მოგება.

ამ გვარად გამოდის, რომ ბანკს არავითარი სასწაული არა აქვს, რომ აღორძინოს შრომა, მოწაღმართობა და ქონება; ამ გვარი ძალა, რასაც აწერენ ბანკებს, აქვს ფულს. რაკი ეს ძალა აქვს ფულს, და არა ბანკს, მაშინ ფული რაც უფრო ადვილი საშოვნელი იქნება, იმდენი ქვეყნისათვის სამჯობინაროა. ბანკები კი, როგორც ვნახეთ, უფრო აძვირებენ და აბანდებენ ფულს, და რომ ბანკები არ იყვნენ, გაჭირვებულს მოწაღმართე კაცს უფრო ადვილათ მიუწვდება ფულზედ ხელი. მაშასადამე, ამგვარს ბანკებს არა აქვთ არა ვითარი სასარგებლო მნიშვნელობა: იმათი სარ-გებლობა არის ფიქცია, მოჩვენება. გამოურკვეველი გონება იმის საზარალო მხარეს გვიჩვენებს სასარგებლო მხარედ.

ახლა გადავიდეთ იმგვარს შეხედულობაზედ, რომ უსარგებ-ლოთ ფულის მუშაობა შეუძლებელია და საკნებელიაო, ან, რო-გორც კურსელ სენოლი ამბობს: თუ კაცს არ მიეცა მოგება თავის შრომაში, რომელსაც ის ჰხმარობს თავნის შერდგენასა, გაზრდასა, მოხმარებასა და შენახვაზედ, მაშინ აღარავინ აღარ ეცდება, რომ ამ საქმეს შეუდგესო.

პირველადვე დავიწყოთ აქედამა, რომ აღარავინ იზრუ-ნებს თავნის შერდგენისთვის, თუ ამ შერდგენისთვის მო-გება არა ჰნახაო.

ვსთქვათ აღარავინ იზრუნა — ვინ არის წაგებაში? — მარტო ის, ვინც უნდა თავნი შეადგინოს. სხვანი ყველანი რჩებიან მოგებაში: ამითი იგებს მშრომელი, მოწაღმართე მუშა კაცი. როდესაც ერთისა ანუ რამდენისამე კაცის ხელში არ მიდის და არ გროვდება თავნი, მაშინ ის იფანტება და რჩება იმ კაცთა ხელში, ვისიც ღვაწლით ისინი აღორძინდებიან ბუნებიდამ მათის გონებისა და ჭკუის შემწეობით. კაცობრიობასაც, ჭეშმარიტებასაც, სიმართლესაც მხოლოდ ეს უნდათ. აი სხვათა შორის რას ამბობს ერთი ვენეტიკელი ბერი ორტესი, რომელიც იყო მეთვრამეტე საუკუნეში ერთი უმაღლეს ეკონომისტთაგანი: «ზოგს, როდესაც სარჩო მოჭარბებული აქვს, უეჭველია რომ, ზოგი გაჭირვებაში არ იყვეს ჩავარდნილი: რაც ზოგს მოჭარბებული აქვს, ეს მეტი ქონება არის აღებული სხვათაგან, რომელთაც ეს სარჩო აკლდებათ.»

მაშასადამე, ამ მხრიდამ, რომ თავნის შესადგენათ აღარავინ იზრუნებსო, ეს სწავლა ვერ იჭერს თავს და ეს მუქარა დიდათაც ვერა ვის შეაშინებს უშვერი ზნეობისა და გონების მეტს.

ახლა გავსინჯოთ ის სწავლა, რომელიც ამბობს რომ უნდა იშრომოს კაცმა, რომ თავნი შეარდგინოსო; მიეცეს მოთმინებას, რომ უგდოს ყური თავნის მოხმარებას და შენახვასაო; და რომ ყველა ამაში უნდა მიეცეს მოგება და სარგებელი თავნის პატრონს თავის თავნშიაო.

გადავავლოთ ჯერ თვალი იმას, რომ ვინ უფრო შრომასა, შემჭირვნებასა და მოთმენაშია — ის, ვისაც თავნი აქვს და ზრდის, თუ ის — ვისიც ხელით და გონებით ეს თავნი გამოდის ბუნებიდამ და განხორციელდება თავნათ, და ვნახოთ: ერგებათ პატრონებს თავნების სარგებელი და მოგება თუ არა.

ჯერ ისევ არისტოტელმა, ამ საოცარმა გენიოსმა საბერძნეთისამ, სთქვა ამ ორი ათასის წლის წინათ: სარგებელი არის ფული ფულთაგან ყოველ-რიგს აღებ-მიცემის საქმეში, ეს აღებ-მიცემობა-სარგებლით ფულის ვაჭრობა-არის უუსაზიზღრესი და უუწინააღმდეგესი ბუნებისა.

ციცერონი, სენეკა, წმინდა მამანი, თვით წინასწარმეტყველი მოსე წინააღმდეგნი იყვნენ სარგებლის აღებისა.

ჩვენი ვახტანგ კანონმდებელი ამბობს, რომ ვინც სულიანი კაცია სარგებელს სულ არ აიღებს ფულშიაო.

რომის რესპუბლიკის დროს კანონით აღკრძალული იყო სარგებლის აღება.

ფრანგთა ეკკლესიისა კანონი უკრძალავდა სარგებლის ამღებთ ზიარებას, ქრისტიანული წესით დამარხვას და ანდერძის დატოვებას.

ლოკ, ეს მამა დღევანდელთა ფინანსებრივთა და ბანკობრივთა წყობილებათა, ამბობს, რომ სახელმწიფოში ფულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც სისხლს კაცის აგებულებაში. «ისინი, ვინც ფულს აგროვებენ და ინახამენ, ჰგვანან იმ ნაწილს კაცის აგებულებაში, რომელიც იჭერს და აღარ უშვებს სხვაგან იმ სისხლს, რომელიც ამ ნაწილთან ჩამოსულა. ამ გვარი დაჭერით ის უშლის მთელს აგებულებას ამ სისხლით სარგებლობას და ამითი მთელი აგებულება უნდა დასნეულდეს და მოკვდეს. უეჭველია აგებულებასთან მოკვდება ის სხეულიც, რომელმაც დაიჭირა თავისთან სისხლი და აღარ გაუშვა სხვაგან სამუშაოთ. თქვენ ნება გაქვთ აიღოთ ფული, რომ მოიხმაროთ თქვენს საჭიროებაზედ, სხვაფრივ ფულის დასალფვა, მოხმარება და დასაკუთრება არ შეგიძლიანთ, რადგან ამ ფულმა, როგორც თქვენს ხელში, ისრე სხვების ხელში უნდა გაიაროს, რაკი ფული ყველასათვის არის გამოცემული, და არა მარტო

თქვენთვის. ვინც არ ასრულებს ამას, ის არის შემცოდე და დამნაშავე წინაშე სახელმწიფოსი და საზოგადოებისა.»

ერთი უდიდესი ეკონომისტი ამ საუკუნისა, კარლ მარკსი, ამბობს:

«საქონლის ფასი არის მხოლოდ უბრალო შრომა კაცისა, მოხმარებული ამ საქონლის გამოწვევასა და შეადგენაზე.»

«თავნი (კაპიტალი) ნიადაგ იმას ებრძვის, რომ სამუშაო ფასი სრულიად არა რად აქციოს.» (ესე იგი, რომ მუშას სრულიად არ ემლეოდეს ფასი თავისი შრომისა.)

«ამგვარად თავნი რდგება და იზრდება იმ ფასიდამ, რომელსაც უკლებენ მშრომლებს თავის შრომაში:»

«სიტყვით, რავდენიც თავნი რდგება და იზრდება, იმდენად მატულობს და იზრდება უსაზრდოვო ხალხიცა (პროლეტარი.»

«ამგვარს წყობილებაში თავნი გროვდება უზომოთ თითოოროლას ხელში, და გროვდება იმიტომ, რომ ის ჰქრება სხვების ხელიდამ.»

«რავდენიც თავნი (კაპიტალი) იზრდება, იმდენათ, რაც უნდა სამუშაო ფასი ემლეოდეთ, მუშების მდგომარეობა უარესობაში მიდის. ერთგან თავნის გამრავლება, მეორეგან-მშრომლებში, რომელნიც ბუნებიდამ აღმოაცენებენ თავნს, მრავლდება სიგლახაკე, უზომო შრომა, მონება, უმეცრება, რეგვნობა და ზნეობით დაცემა.»

ავგუსტ ბეკერი ამბობს:

«თავნი (კაპიტალი) არის ტაძარი წარმართთა, აგებული მუშათა გამხმართ ძვალთაგან, რომ ამ ტაძარში მარად ცისმარე დღე შეიწირებოდნენ მსხვერპლათ გაჭირვებულნი კაცნი.»

ჟან ბატისტისე, ეს თვით-ბურჟუაზული ეკონომისტი, ესეც კი აი რას ამბობს თავნის შეადგენაზედ:

«თავნი არის ნაყოფი დაზოგვისა, მაგრამ ის შემცდარია, ვინც იფიქრებს, ვითომც თავნი რდგებოდეს საზოგადოების ნაშრომის მონარჩენიდამ. მართალია, მათთვის, ვინც ინახავს, არის მონარჩენი, მაგრამ საზოგადოთ, საზოგადოებისთვის ეს მონარჩენი არ არის, რადგან რავდენიც თავნი იზოგება და ინახება, იმდენი საზოგადოება შევიწროებასა და მოთმინებას იტანს. სიტყვით, თავნი რდგება იმ ნაშრომისგან, რომელიც არის მოსახმარად უუსაჭიროესი, და არა მოსანარჩუნებელი. ამის გამო, ზრდა თავნისა საზოგადოებას აგდებს გაჭირვებაში.»

ტიურგო, ეს თვით ბურჟუაზელი მინისტრი-ეკონომისტი, ამბობს: თავნის პატრონი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები მისცეს მუშას თავისა სამუშაო ფასი. რაკი სამუშაოს მთხოვნელი ბევრია და სამუშაო ნაკლები, ამისგამო თავნის პატრონი ქირაობს იმას, ვინც ნაკლებს დასჯერდება. მუშები იძულებულ არიან, რომ ერთი ერთმანეთზედ უფრო დაიკლონ სამუშაო. ამ გვარად მუშას ეძლევა სამუშაო, რაც კი შესაძლებელია ნაკლები.»

თავის თხზულებაში «თავნი» (კაპიტალი) მარკსი ამტკიცებს, რომ, რაც გინდა მშრომელი კაცი იყვეს და მოხერხებული საქმეში, ის მხოლოდ იმდენს ნაშრომს შეიძენს თავის შრომაში, რომ გაუჭირვებლივ თავი ირჩინოსო.

მართლაცა და ავიღოთ, გავსინჯოთ რომელიც გინდა წესის მუშა და გაუნაწილოთ თანასწორ სამუშაო: სად ვნახავთ, რომ იმათ იმდენი ნაყოფი აიდგინონ თავის შრომისა, რომ მაძღარიც იყვეს, ჩაცმულ დახურულიცა, ბინაც ზომიერი ჰქონდეს, ზომიერივე სხვა რიგი უსაჭიროესი გარემოებანი სიმრთელისა, გონებისა, ზნეობისა და სხეულის წარმატებისა და ზრდისათვის და შეეძლოს კიდეც გადადება, თავნება და თავნის შერდგენა თავის შრომისგან?

მაშასადამე, უკეთუ, რაც გინდა მოღვაწე და მშრომელი კაცი იყვეს, თავის საკუთარი შრომიდამ არა რჩება არაფერი მისა, რომ თავნი შეადგინოს, — მაშ რა ღონისძიებით უნდა შედგეს თავნი?!... თავნის მოგების თაყვანის მცემელნი კი გვეუბნებიან, რომ იმათ ისიც არ ეყოფათ, რომ თავნი შეადგინეს, უნდა იმათ კიდევ ამ თავნში მოგება და სარგებელიც მოეცეთო.

რაკი ბუნებრივ საქმე არის, რომ არა მშრომელს კაცს მარტო თავისი შრომიდამ არ შეუძლიან რამე მოინარჩუნოს და თავნი შეადგინოს, მაშასადამე, რომ თავნი შედგეს ვისამე ხელთა, ამ კაცს უნდა რამე ძალა, რამე საღსარი ეჭიროს ხელში, რომ სხვებს მოუკლოს შრომიდან, მოამშიოს, მეტი აშრომოს შეძლებაზედ და აქედამ იყოს თავნის შედგენა. მაშინ ცხადია, რომ თავნის პატრონი თავისი შრომით კი არა, მომჭირვნეობით კი არა, — სხვების დაკლებით, სხვების ხელიდამ ნაშრომის გამოტაცებით, გამოტყუებით ადგენს თავნსა. ნუთუ ესეც საკმაო არ არის თავნის პატრონისათვის, რომ ის გახდა თავნის პატრონი, რომ კიდევ ამ თავნში სარგებელი და მოგებაც არ აიღოს?! უკეთუ იმას თავის თავნში მოგება და სარგებელიც ეძლევა, მაშინ ის ხდება სრული ბატონი მშრომელი ხელისა. ჩვენ ვნახეთ, რომ შეუძლებელია მარტო თავისი ნაშრომით თავნის შედგენა; რომ თავნი შეადგინოს, ამისთვის არის საჭირო, რომ სხვების შრომიდამ ნაწილი აიღოს. რაკი შრომა მარტო იმდენს გვაძლევს, რომ ჩვენ ძლივას გვეყოფნის, უკეთუ აქედამაც რამე მოგვაკლდება, უეჭველია ვცვივდებით გაჭირვებაში. რაკი ვცვივდებით გაჭირებაში, მაშინ იძულებული ვხდებით მივმართოთ თავნის პატრონს, რომ ამ გაჭირვებაში დაგვეხმაროს. ის გვეხმარება, მაგრამ გვეუბნება, რომ თქვენ ამ დახმარებაში კიდევ უნდა მოგება მიჩვენოთო. გაჭირვება ამ მოგების მიცემას გვაკისრებინებს.

მაშინ ჩვენ შრომას აკლდება ისიც, რაც თავნს შეადგენს და ამ თავნის მოგებაცა. აქ კიდევ უფრო გაჭირვებაში ვცვივდებით და უფრო გვიჭირს თავნის პატრონი, და რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო ვცვივდებით იმათს ხელში. რამდენიც უფრო გვიჭირს იმათი თავი, იმდენი უფრო ფასს ადებენ თავნის პატრონები თავის თავნს და იღებენ ჩვენგან უფრო და უფრო მეტს მოგებას. ბოლოს მიდის საქმე იქამდის, რომ თავნის პატრონი გვამძლევს მარტო იმდენს ჩვენს შრომაში, რამდენიც თვითონა ჰსურს. თავნის პატრონი, როგორც ზემოთ მარქსისა და სხვა ეკონომისტების სიტყვებიდამ სჩანს, ეტანება იმას, რომ შრომა სულ მუქთათ ჩაიგდოს ხელში, და თუ სულ მუქთათ არა, ბევრგან მაინც და მაინც შრომის ფასი იქამდის არის დაცემული, რომ მშრომელი კაცი, ზოგიერთა დაწინაურებულს ხალხებშიც კი ჯაფისგან თითქმის პირუტყვად არის გცეული და უსაზრდოვობისაგან ნახევარ სიცოცხლე მოკლებული, რომლისგამოც წრიოკდება, არამცთუ ზნითა და სხეულით თვითონ მშრომელი კაცი, და თვით თავის შთამამავლობითაც.

მაშასადამე, შრომით, მომჭირვნეობით, მოთმინებით და ცოდნით კი არა, თავნი (კაპიტალი) სდგება სხვების ნაშრომის დაკლებით, სხვების შემჭირვნებით და გაჭირვებაში ჩაგდებით, სიტყვით, როგორც იგივე მარქსი ამბობს: «კაპიტალს ყოველი გამოსათქორი ადგილიდამ, თავიდამ ფეხის გულებამდის გამოსთქორს სისხლი და ჩირქი.»

რაკი ერთი და ერთი სდგება თავნი, თავნი იჩენს ამავე ძალას, რაც ძალა ტრიალებს ყოველს ფიზიკურს მოვლინებაში: უდიდესი სხეული სძლევს და იერთებს თავიზედ მცირეს სხეულს. ამავე ძალას იჩენს თავნიც და, მარქსის სიტყვით, ხდება შემდეგი: „უფრო დიდი თავნი სძლევს და ჰნთქავს თავიზედ მცირე თავნს... ამას გარეისათ სათავნო (კაპიტა-

ლურს) წარმოებასთან სდგება სრულიად ახალი ძალა—სესხი (кредитъ). სესხი, გარდა იმისა, რომ თვითონ ხდება მძლავრი იარაღი კონკურენციის ბრძოლაში: ის უჩინარი ქსელებით ჰკლართავს და იზიდავს ფულს, რომელიც არის გაფანტული საზოგადოებაში, და უგდებს ამ ფულს თავნების პატრონს ხელში. სესხი არის მაშინა, რომლისაც საკუთარი დანიშნულება არის, რომ გაფანტულს სხვა და სხვა ხელში ფულს, ერთს ადგილას, ერთის კაცის ხელში მოუყაროს თავი."

ყოველივე ამ ნათქვამებიდამ მკითხველი ცხადათ ჰხედავს: პირველი იმასა, რომ თავნი სდგება სხვების შრომიდამ და მოღვაწეობიდამ და არა საკუთარი შრომისა და ღვაწლიდგან: მეორე იმასა, რომ, რაკი თავნი არის შემდგარი სხვების შრომისგან, ამისგამო ის არ შეადგენს პატრონის საკუთრებას და მაშასადამე არცა აქვს პატრონს ნება, რომ ამაში მოგება და სარგებელი აიღოს; მესამე იმასა, რომ ვერც ერთი დღევანდელი ბანკი ვერ შეინახავს თავს უსარგებლოთ; რაკი უნდა აიღოს სარგებელი, ის ამითივე ჰკარგავს საზოგადოების სასარგებლო მნიშვნელობას და ძალას; მეოთხე იმასა, რომ ბანკები, არამც თუ იღებენ სარგებელს, თავისის მეოხებით უმატებენ სარგებელს, აძვირებენ ფულს და გაჭირვებულთ და უსაღსროთ აგდებენ სრულს გაჭირვებასა და განწირულებაში, რაკი სრულიად ეკარგებათ სესხის საღსარი; მეხუთე იმასა, რომ ბანკს სრულიად არა აქვს ძალა, რომ სადმე გააღვიძოს და აღორძინოს შრომა და მოღვაწეობა, და ეს ძალა აქვს რაოდენსამე ფულს, და არა ბანკს; მეექვსეც იმასა, რომ, ვერა ბანკი ვერ იმუშავებს, თუ არ არის საზოგადოებაში თავისუფალი ფული: ის ამ თავისუფალს ფულს თვისი გაბმული ქსელებით იზიდავს თავისკენ და ამითი უფრო გაჭირვებულთ აგდებენ უფრო გაჭირვებაში. მაშასადამე, დღევანდელი ბანკების სასარგებლო ძალა არის ოცნება გატაცებული სნეული გონებისა.

ახლა გადავიდეთ ლოუსა და იმის მიმადევართ სწავლაზედ.

როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ლოუს ბანკის სასესხებული ბილეთების გამოცემით უნდოდა მთლათ კაცობრიობისათვის შეემსუბუქებინა ფულების შოვნა და ამითი ელოდა იმის მრავალგვარი დაჭირებიდამ დახსნას. პრუდონი ამგვარი ბანკებით და ბილეთებით ელოდა მთლათ მთელს კაცობრიობაში დღევანდელი წესების ძირიანათ შეცვლას, ყველას ერთს ზომაზედ დაყენებას და ამაღლებას; ერნესტ ბეკერი ამასვე ელის ბანკებისაგან; გამოჩენილი ლუი ბლანი, რომელმაც დღევანდელს დაწინაურებულს ეკონომიურ სწავლას მისცა კილო, თუმცა უფრო ნათელი თვალით უყურებდა ამ საგანს, მაგრამ ისიც ამ წესს ამყარებდა უზომო იმედებს. ის ჰფიქრობს, რომ ლოუს სისტემა მის დროს მიტომ ვერ შესრულდა, რომ ეს სისტემა არის კოოპერაციებისა და ასსოციაციების სისტემისათვის და არა ინდივიდუალური სისტემისათვისაო; მაშინ იყო კერძო-პიროვნული (ინდივიდიალური) სისტემა და ლოუს სისტემა იმიტომ დაეცაო.

ლოუს უნდოდა თავისი ბანკებით, რომ სახელმწიფო გამხდარიყო მცველი და მოვარველი მთელი სახელმწიფოს ქონებისა და ყოველივე საქმის მოთაოსნე. ამისთვის იმას უნდოდა გამოეცა იმოდენა ქაღალდის ფული, რაოდენიც მოთხოვნილება იყო სახელმწიფოში. ფულის სიძვირეს-ამბობდა ისა-მოსდევს საშინელი ბოლოო: ის ხდის ბატონათ ფულის პატრონთა, რომელნიც უზომო მოგებისა და სარგებლის აღებით ატყავებენ გაჭირვებულთა. ლითონის ფულს (ოქრო, ვერცხლი) არ შეუძლიან რომ ყველას გაუწვდეს, რადგანაც არც იმოდენა მოიპოვება, რაც საჭიროა, და ამასთან წასაღ-წამოსაღებათ, გადასაცემ-გადმოსაცემათ გასაჭირნი არიან; გარდა ამისა, თვითონ ამათ მოპოვებაზედ იღუპება დიდი შრომა და მუშა ხელი, და თვითონ

ლითონი, ფულათ მომზადებული, სცდება სხვა რიგ სახმარისობასა. რადგან ლითონის ფული ყველას ვერ გასწვდება და ყველას ამაზედ ხელი არ მიუწვდება, ამაში, უფულობის გამო დაიკარგება უმუშაოთ ბევრი დრო და განძი, რომელიც იფარება საქმესა და ბუნებაშიო; მრავალი გაჭირვებული დარჩება უმუშაოთ, უსაქმოთ, უპუროთაო. ამისგამო ის ურჩევდა ქაღალდის ფულის დაწესებას. ქაღალდის ფული, — ამბობდა ისა, — არის იმგვარი საღსარი, რომელსაც რაოდენსაც უნდა გამოსცემს სახელმწიფო. ქაღალდის ფული უნდა გამოიცემოდეს სახელმწიფოსგან და ეძლეოდეს სესხად. ლოუს უნდოდა, რომ სახელმწიფოს ეკისრნა ზრუნვა თვითოეულს ყველა ცალკე პირზედ და მოეხდინა შესაფერი განწყობილება შრომისა და სიმდიდრის შორის. ამ აზრის შესასრულებლათ, ლოუს აზრით, სხვათა შორის, იყო საჭირო ქაღალდის ფული. მხნესა და მოწალმართეს, მაგრამ ამასთანავე ღარიბს კაცს შეუძლიან მიიცეს მხოლოდ უბრალო ბარათი იმაში, რაც არის საჭირო იმის ცხოვრებისა და საქმისათვის. ესე იგი, უნდა მიეცეს ფული უბრალო ბარათის ნდობით. ამისთვის უნდოდა დაეწესებინა ლოუს სახელმწიფო ბანკი, რომელისაც დანიშნულება ის უნდა ყოფილიყო, რომ შეემოწმებინა ღარიბი კაცების ბარათები; მიეღო ის ბარათები რომელთაც ექნებოდათ ძალა და ამგვარი ბარათების წილით გამოეცათ ბილეთები, რომელთაც უნდა ჰქონოდათ ძალა ფულისა, გაეწიათ ფულის მაგიერობა. ლოუს უნდოდა, რომ ამ გვარი სახელმწიფოს დახმარებით ღარიბი კაცის გონებას, ხელს, ნიჭს ჰქონოდა საკუთარი ნიშანი, რომელიც იხმარებოდა ფულად, როგორც მაგალითათ შეძლებული კაცის ქონებას ჰქონდა თავისი ნიშანი-ლითონის ფული. სიტყვით, ლოუს, ამგვარი ბანკის დაწესებით, უნდოდა რომ სახელმწიფო გამხდარიყო გამნაწილებელი საზოგადო ქონებისა.

ამ გვარივე აზრი ჰქონდა პრუდონსაც, მხოლოდ იმ გარ-
ჩევით, რომ ლოუ კიდევ იყო იმ აზრზედ, რომ სესხში მსეს-
ხებელთ უნდა ემლიათ რაოდენიმე მოგება ბანკისთვის, რომ
ბანკს შესძლებოდა ლითონი ფულის შენახვა გამოსასყიდავათ
თავის მიცემული ვექსილებისა ანუ გასასტუმრებლად ვალისა, და
ამასთან, რომ ამითი სახელმწიფოს შესძლებოდა შეევსო ხალ-
ხის სახელმწიფო გადასახადი, რომ პირდაპირი გადასახადი სა-
ხელმწიფოში მცხოვრებთ აღარ გადაჰხდოდათ; პრუდონი თხოუ-
ლობდა სრულიად უსარგებლოთ ბილეთების გამოცემას.

ჩვენ იმის გასაგებათ, თუ რაოდენათ შესაძლებელია ამ წე-
სის შესრულება და რაოდენათ სასარგებლოა ეს, ჯერ უნდა გა-
ვარჩიოთ და ვიპოვნოთ ნამდვილი კანონები ფულის რაობისა,
ესე იგი, გავიგოთ, რაშია ფულის ძალა და რა უნდა იყვეს
ფული.

ჩვენ აქ მხოლოდ მოკლეთ მოვიყვანთ უფრო დიდი ავ-
ტორიტეტების აზრს შესახებ ფულის მნიშვნელობისა, და შემ-
დეგ შევუდგებით იმათს გარჩევას.

ლოუ ამბობს: „რომ დაწესდეს იმგვარი ფული, რომელ-
საც თავის თავად ფასი არა ჰქონდეს და ამ უფასობისგამო,
უცხო ქვეყნის ხალხი ერიდებოდეს ამ ფულს და არ გაჰქონდეს
სახელმწიფოდამ, და ამასთან, თუ ის მოიზრებს იმდენი, რაო-
დენი მოთხოვნილებაც იქნება სახელმწიფოში, ეს იმისთანა სა-
ქმეთ მოუტანს სახელმწიფოს, რომ მიაღწევინებს სიმდიდრემ-
დის და გაამძლავრებს.“

აქედამ თითქო გამოდის ის აზრი, რომ საჭირო არ იყ-
ვეს ფულის გამოცემაში რამე გარანტია ფულისა. მაგრამ მეო-
რედვან თხოულობს ფულის გარანტიათ სანდო ბარათებს უქო-
ნებელი ხალხისაგან, როგორც ზემოთაც გვქონდა ამაზედ ლაპა-
რაკი, და გარდა ამისა ამბობს, რომ გამოცემული ქაღალდის

ფულის გარანტიათ უნდა იყვეს მთელი სახელმწიფოის მამულე-ბიო. მამული, ესე იგი მიწა, უნდა იყვეს ფულიო. მიწის რაოდენობა არ იცვლება და რაც ხანი გადის მიწას ფასი ემატებაო; ამის გამო, ვისაც ფულის ნიშანი (ესე იგი ქაღალდის ფული) ხელში აქვს, ის ნაღდად დარწმუნებულია, რომ უჭირავს ხელთ ღირს-საფასური, რომელსაც ფასი და ღირსება კი არ აკლდება, კიდეც ემატებაო. მიწა არის მთელი სახელმწიფოს შემნახველი და ნაყოფის მომცემი, ამისგამო მიწა არის უკეთესი გარანტია ფულის ნიშანისაო.

ჟან ბაპტისტ სე ამბობს, რომ ქაღალდის ფული ყველა ფულზედ უფრო სამჯობინაროა სახმარად. მაგრამ, რომ ამას ფულის ძალა ჰქონდეს, უნდა ჰქონდეს გარანტია, რომელსაც სიმვოლო (წარმომადგენელი) იყვეს ეს ფულიო. უკეთეს გარანტიათ იმას მიაჩნია პური, რომელსაც მოიყვანს სახელმწიფო.

გურსელ სენოლის აზრით ქაღალდის ფულისთვის ისიც საკმაოა, რომ გამოსცა ის სახელმწიფომ და კანონებულ-ჰყო ყველგან და ყველასათვის მისაღებათ, სხვა გარანტია იმისთვის არ არის საჭიროვო. ფულათ უნდა იხმარებოდეს ლითონის ფული (ოქრო და ვერცხლი), რომელსაც თავისი საკუთარი ფასი თვითონვე აქვსო; და ქაღალდის ფული უფრო უშვერი და გაუნათლებელი სახელმწიფოებისთვის არის, ვიდრემ განათლებული, დაწინაურებული სახელმწიფოსთვისაო. მაგრამ ბოლოს მაინც იმ აზრზედა დგება, რომ ქაღალდის ფულს ნამდვილი ფულის ღირსება და ფასი მაშინა აქვს, როდესაც გარანტიათ აქვს ლითონის ფული. თუ მანეთს ლითონის ფულზედ მანეთი ქაღალდი გამოეცა, მაშინ ქაღალდის ფულს ლითონის ფულის ფასი აქვს, თუ მეტი და მაშინ, რამდენიც მეტი იქნება, იმდენი ქაღალდის ფასი ეცემაო.

ფულკრინ-მაზელისა, ჯონ გრეისა და პრუდონის *) სიტყვით უნდა დაფასდეს სახელმწიფოს საქონელი, ამათ ფასობის დაგვარად გამოიცეს ბილეთები (ქაღალდის ფული) და ამ ფულმა იმუშაოს სახელმწიფოში.

ტიურგო, სისმონდი და სხვანი მრავალნი იყვნენ იმ აზრისა, და დაამყარეს კიდეც ის აზრი, რომ, რადგან ფული ჰსახავს საქონლის ფასს, თვითონაც უნდა ფასიანი იყვეს, ესე იგი, რომ, ვთქვათ აღსნა იმას ფულის ბეჭედი, მაინც თავისი ფასი არ დაჰკარგოს. ამისგამო, ისინი ამტკიცებენ, რომ ფულათ უნდა იხმარებოდეს ძვირფასი ლითონი, მეტადრე ოქრო და ვერცხლიო.

ადამ სმიტი ამბობდა, რომ ქაღალდის ფული სჯობია ლითონის ფულს, და ქაღალდის ფულის გარანტიათ სხვათა შორის ჰხედავდა ლითონს.

რიკარდოც აღიარებდა ამასავე, მხოლოდ ამბობდა, რომ ქაღალდის ფულის გარანტიათ უნდა იყვეს ის მეტი შრომა და ნაშრომი, რაც ხარჯს გარეთ რჩებაო, ესე იგი ქაღალდის ფული იმდენი უნდა გამოვიდეს, რაც ხარჯს გარეთ სახელმწიფოში შრომა და ნაშრომი რჩებაო.

კარლ მარქსი, ეს ძლიერი კრიტიკოსი კაპიტალისა, ამბობს ფულის ფასზედ: «ფულის საკუთარს ფასს შეადგენს ის მუშა დრო, რაც ამის მოპოვებასა და შემუშავებაზედ მოხმარებულა. ამისი საკუთარი ფასი იქნება თანასწორი იმ საქონლისა, რომელსაც ამოდენავე შრომა, ესე იგი მუშა დრო მოუნდომება.»

ესევე აზრი წარმოითქვა ჯერ ისევ მარქსამდი რიკარდოს და ადამ სმიტისგან. ისინიც ფულის მნიშვნელობაზედ სრულიად ამ აზრისანი იყვნენ.

---

*) პრუდონის ბანკის წყობილება ჯერ ფულკრინ-მაზელს და მერე ჯონგრეის ეკუთვნით, ამათგან ისარგებლა ამ აზრით პრუდონმა.

შემდგომ ამბობს კიდევ მარკსი: „ქაღალდის ფულის მუშაობა, როგორც ფულისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის მუშაობს ოქროს მაგივრად. ქაღალდის ფული მხოლოდ იმდენი უნდა გამოვიდეს, რამდენიც შეიძლებოდა, რომ გამოსულიყო ოქროს ან ვერცხლის ფული, რომელსაც სიმბოლოს (მაგიერობას) წარმოადგენს ქაღალდის ფული.“

ამგვარად, ყველა ეკონომისტები თანასმანი არიან, რომ ფულს, ლითონის ფული იქნება თუ ქაღალდისა, უნდა ჰქონდეს გარანტია. ლითონის ფულის მქადაგებელნი ამბობენ, რომ ამ ფულის გარანტიათ ისიცა კმარა, რაც ამაზედ შრომა წასულათ. ქაღალდის ფულის მაღვიარებელნი, გარანტიათ ამ ფულისა უჩვენებენ ზოგნი ლითონის ფულზედ, ზოგნი მონარჩენს შრომაზედ, ზოგნი სახელმწიფოში მიყვანილს პურზედ; ლოუ სახელმწიფოს მიწებსა და უქონელი ხალხის შრომაზედ; ზოგნი სახელმწიფოში მყოფს საქონელზედ. სიტყვით, იმაზედ ყველანი თანახმანი არიან, რომ ფულს უნდა ჰქონდეს რამე გარანტია. განსხვავება არის ამათში ფულის გამოცემის რაოდენობაში და თვით ფულის გამოცემის ღირსებასა და მის სასარგებლო მალაში.

გავსინჯოთ ჯერ ის სწავლა, რომელიც აღიარებს ლითონის ფულს და ამ ფულს, როგორც გარანტიას ქაღალდის ფულისას.

ოქრო და ვერცხლი, როგორც ვიცით, მოიპოვება ძალიან ცოტა. მაშასადამე: თუ ქაღალდის გარანტიათ მარტო ოქროსი და ვერცხლის ფულია და მარტო იმდენი გამოიცა ქაღალდის ფული, რაც ოქრო და ვერცხლია, უეჭველია არ იქნება საკმაო სახელმწიფოში სამუშაოთ; და ფულის ნაკლებულება მისცემს დიდს დაბრკოლებას ყოველგვარ მოწალმართობას. თუ გამოსცემ მეტს; მაშინ რავდენიც მეტი გამოვა ქაღალდის ფული ლითო-

ნის ფულზედ, იმდენი ქაღალდის ფასი დაეცემა და გავა ნაკლებ ფასად, ვიდრემ ფასობს ოქრო და ვერცხლი. რაკი ოქრო და ვერცხლი ცოტაა, და სახელმწიფოს კი ბევრი ფული უჭირს, ამისგამო ოქრო და ვერცხლი არ ივარგებს ან არ იკმარებს გარანტიათ ქაღალდისა. მაშასამე, ამ მხრივაც ოქრო და ვერცხლი როგორც ფული ან გარანტია ქაღალდისა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. რაც შეეხება იმას, რომ იმათ თავის თავათ ფულის მნიშვნელობა აქვთ, — ამ მნიშვნელობას აძლევენ უკელა ეკონომისტნი თანახმად იმიტომ, რომ იმათ, ე. ი. ოქროსა და ვერცხლის ფულსთვითონ თავის თავათ თავისი ფასი აქვთო, რაკი ამათის მოპოებას, გადახალისებას და არსებაში მოყვანას შრომა უნდაო. რაც უფრო მეტი შრომა უნდა ამათა, იმდენი უფრო მეტი ფასი აღევთო. აქედამა სჩანს, რომ ამ ლითონის ფულის მოსაპოებლათ სცდება მრავალი მუშა ხელი, გონება, ნიჭი, რომელნიც უნდა მოაკლდნენ სხვა საზოგადო სახმარ საქმეთა. აქედამ გამოდის ისა, რომ ფული, რომელიც უნდა მხოლოდ ცვლას ახდენდეს ამღებთა და მიმცემთა შორის, თვითონაც ცალკე ფასს იდებს და აცდენს თავის შემქნაზედ ხალხს; მეორეც ისა, რომ გარდა იმისა, რომ უნდა ჰსახავდეს სხვა საქონლისა ან შრომის ფასს, — თვითონაც საფასურია, — მაშასადამე, ის მარტო ფული არ არის და არის განძიცა; მეოთხეც ისა, რომ ეს განძი, რაკი ფულათ იქცევა, აკლდება საზოგადოებას როგორც სახმარი ნივთი. აქედამ ცხადია, რომ ამ მხრივაც ოქრო და ვერცხლი ვერა სწევს ნამდვილს ფულობას და თავისი ფულობით აძლევენ საზოგადოებას ზარალს. ეს კიდევ არაფერი. ამავე ეკონომისტთა სწავლით, ქაღალდის ფული იმიტომ არის ფული, რომ იმას უზურში აქვს სხვა რამე სახმარი ძალა; ოქროსა და ვერცხლს იმიტომა აქვთ ფულის ძალა, რომ ამათ თვითონაც უნდათ შრომა. ამასთან იგივე სმიტი, რიკარდო, მარკსი და სხვანი აღიარებენ, რომ

ყველა შრომას არა აქვს ფასი: ფასი აქვს მხოლოდ ნაყოფიერს შრომას. მაგალითად-ასმა კაცმა რომ ასი კოკა წყალი მთელი წელიწადი ნაყოს, მაინც ამ წყალზედ მოხმარებულს შრომას არა აქვს ფასი. მაშასადამე, ფასი ადევს მხოლოდ იმ შრომას, რომელიც არის ნაყოფიერი, სახმარი. ავიღოთ ოქრო და ვერცხლი: რითი სჯობიან ისინი სახმარისად სხვა ლითონებს: ფოლადს, რკინას, სპილენძს, ალუმინს, თითბერს, თუჯს და სხვას! საქმოსთვის, სახმარის ნივთათ ოქროსა და ვერცხლს თითქმის ყველა ეს ლითონები სჯობიან. სიძვირე ოქროსა და ვერცხლისა იმათს სახმარ-ღირსებაზედ კი არ არის დამოკიდებული, არის დამოკიდებული იმაზედ, რომ ისინი უფრო ძნელი მოსაპოვებელნი და შესამუშავებელნი არიან. თუ ამათ მაგივრობას ადვილად გასწევს სხვა ლითონი, და ესენი კი სხვა ლითონის მაგიერობას ვერ გასწევენ, მაშ ამაზედ წასული ხარჯი და მუშა ჰგავს იმავე წყლის ნაყვას, რომელსაც ამ ნაყვითა და ამაზედ წასულის შრომით ფასი არ ემატება. ვერა ეკონომისტი ვერ მიიღებს პასუხად იმასა, რომ ოქროსა და ვერცხლს ფასი იმიტომ აქვთ, რომ თვით საზოგადოება ძვირად აფასებსო. ბრილიანტსა და ალმასს უფრო ძვირადაც აფასებს საზოგადოება; მაგრამ რიკარდო, სმიტი და სხვანი პირდაპირ ამბობენ, რომ ისინი საფასურნი არ-ჭრიანო. ამასთან, საზოგადოებაში შეძლებულნი ხშირად ჰხმართავენ ბულბულის ენის სადილებს, ლამაზ ქალებს აპანავებენ შამპანსკისა და ამბრეებში,—ნუთუ ამითი ლამაზ ქალებს ფასი ემატებათ და ბულბულის ენით გამაძღრები უფრო ძვირად ეღირებიან?! მაშასადამე, ვერც ჩვენ და ვერც სხვანი ვერ ვიტყვით, რომ ოქროსა და ვერცხლს იმიტომ ჰქონდეთ ფასი და ღირსება, რომ ბედიდარნი ამათში ბევრს ფასს აძლევენ. მაშასადამე, ოქრო და ვერცხლი, როგორც ფული, არ შეიცავენ იმგვარს შრომას, რომელსაც ადევს ფასი. თუ ეს ასეა, მაშინ ესენიც

ფულად სახმარებლათ აღარა სჭობიან ქაღალდის ფულს და საჭიროა, რომ, როდესაც ისინი გამოდიან ფულად, ამათ მაგიერათაც იქონიოს რამე სახელმწიფომ ნაყოფიერი შრომა ან განძი უზურში, ანუ უკეთა ვთქვათ, გარანტიათ; თუ არა და არც ამათ ექნებათ ფულის თვისება და ძალა. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ ქაღალდის ფულს აქვს უპირატესობა ლითონის ფულზედ. აქვს უპირატესობა მით, რომ უფრო ადვილი სახმარი და სამუშაოა; მით, რომ ამაზედ აღარა სცდება ის მუშა ხელი და ღვაწლი, რაც უნდა ოქროსა და ვერცხლს; მით რომ, შეიძლება გამოვიდეს ბევრათ მეტი—იმდენი, რაც საჭიროა სახელმწიფოსთვის; მით, რომ უფრო მკვიდრს გარანტიას იქონიებს, ვიდრემ ოქროსა და ვერცხლსა აქვთ.

ყველა აქედამ ცხადათა სჩანს, რომ ოქრო და ვერცხლი ფულად არ ვარგანან და არ ვარგანან ფულის გარანტიათაც.

ახლა გადავავლოთ მოკლეთ თვალი იმათს სწავლას, რომელნიც აღიარებენ ქაღალდის ფულს და თხოულობენ ამაში გარანტიას.

ეს სწავლანი რაოდენათმე უახლოვდებიან ფულის მნიშვნელობას, მაგრამ, ფულს კიდევ ვერ აძლევენ სრულს თვის ძალას, ისინი მხოლოდ რომელსამე ნაწილს სახელმწიფო ქონებისას ჰხადიან ქაღალდის ფულის გარანტიათ, გარდა ლოუსი, რომელიც თითქმის ყოველ სახელმწიფო ქონებას და შეძლებას ჰხდის ამ გარანტიათ.

ჩვენ აქ ცოტა ოდნათ დაწვრილებით ლაპარაკი დაგვჭირდება ლოუს აზრზედ ფულების შესახებ, რათგან, ჯერ ერთი ესა, ამისი აზრი უფრო უახლოვდება ფულის მნიშვნელობას, და მეორეც ესა, გამოგვადგება ამისი სისტემის ბანკების ასაწონათ.

ლოუ, როგორც ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი, ამტკიცებ-და ქაღალდის ფულის უპირატესობას ოქროსა და ვერცხლის წინაშენ. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ქაღალდის ფულს აქვს უპირატესობა ოქროსა და ვერცხლის ფულის წინაშე. ჩვენ უნდა გავარჩიოთ ახლა ლოუსი მხოლოდ შემდეგი შეხედულობანი: 1,)რომ ქაღალდის ფული უნდა იყვეს უთუოთ იმათთვის, ვისაც ქონება არა აქვს და აქვს სხვა რიგი შეძლება, რომელსაც შეიცავს იმისი აგებულება, იმისი გონებაო. ვისაც ქონება აქვს, შეიძლება იმათთვის იყვეს ფულად ოქრო და ვერცხლიო (თუმცა სახელმწიფო ფულად ხმარებას უფრო ქაღალდსა თხოულობს.) 2., რომ ფული უნდა გამოვიდეს იმოდენი, რაოდენიც იმის მოთხოვნილება იქნებაო. 3., რომ შეუძლებელი ხალხის მხრივ უნდა იყვეს ფულის გარანტიათ იმათი ძალა გონებისა და აგებულებისა; შეძლეული ხალხის მხრივ, იმათი ქონებაო; სახელმწიფოს მხრივ მთელი სახელმწიფოს მიწებიო.

ერთსა და იმავე სახელმწიფოში, რომ ერთთათვის მუშაობდეს ერთნაირი ფული, და მეორეთათვის-მეორე ნაირი, ეს იქნება რაღაცა ისა, რომ პირველადვე ეს დასდებს განსხვავებას ერთსა და იმავე სახელმწიფოს მცხოვრებთა, რომელიც ეწინააღმდეგება სიმართლესაც და იმ წადილსაც, რომლისაც აღსრულება ჰსურდა ლოუს. ეს არ შეიძლება არ ეგრძნა თვით ლოუსაც, რათგან სხვაგან ის თხოულობს სახელმწიფო ფულად ქაღალდის ფულის ხმარებას, და ოქროსა და ვერცხლს. როგორც ფულს უარს ჰყოფდა. ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ მკითხველს და, როგორც ვნახეთ, ლოუც იმ აზრისაა, რომ ოქროსა და ვერცხლის ფული უფრო უხერხული და საზარალოა, ვიდრემ ქაღალდის ფული. მაშასადამე ამაზედ ლაპარაკი, რაც გვითქვამს, მეტი საჭირო აღარ არის.

გადავიდეთ მეორე საგნის გარჩევაზედ, ესე იგი, რომ ფული იმოდენი უნდა გამოვიდეს, რაოდენიც იმის მოთხოვნილებაა.

იმის აწონვა, იმისი გადაწყვეტა, თუ რაოდენი ფულია-საჭირო, სრულიად შეუძლებელია იმ წესით, რომელსაც ლოუ აცხადებს თავის სწავლაში, ესე იგი, რომ კამისიამ გამოიკვლიოს ყველა უქონებელთ პირთ მათი პირადი ღირსება და აგებულებისა და გონების შეძლება, რომ აღებულს ფულში იქონიოს გარანტიათაო. რომ სახელმწიფომ გაიგოს ამ წესით ვის და რაოდენი ფული უჭირს სახელმწიფოში, მარტო ბანკის დარდგენა კი არ დასჭირდება, დასჭირდება ათასი კამმისიებისა, გამომძიებლებისა და მოხელეთა დაწესება, რომელთაც შენახვა ისრე მკარად დაუჯდება სახელმწიფოს, რომ სესხად ფულის ამღებლებს ნახევარი თავისი შრომის ფასი ამათს შენახვაზედ მოუნდებათ. ახლა დაურთოთ ამას ისიც, რომ ეს მოხელენი უნდა მოსცდნენ სხვა უფრო საჭირო საქმეს, — მაშინ სახელმწიფოს ეს ხარჯი ერთი ათად დააწვება. ამასთან, არა კამისიას, არა მოხელეთ არ შეუძლიანთ ასწონონ და გადაკვეთით სთქვან: ვის რაოდენი უჭირს და ვის რაოდენი ფულის პასუხის გება შეუძლიან: მე, ჩემი აგებულების შესადარად, რომელიც მარტო მე ვიცი და სხვას არავის შეუძლიან ამისი ცოდნა, მჭირდება იმდენი, რაც შეიძლება სხვებს არ დასჭირდეს და ვაღიარებ კიდეცა, რომ ჩემი ჯანით, გონებით, მეცადინეობით გავცე აღებულს ფულში სახელმწიფოს პასუხი. კამისიამ, ანუ მოხელეთა რომელნიც ამას არჩევენ, შეიძლება არ მიიღონ ეს სახეში, რადგან არავითარი ამისი დასამტკიცებელი საბუთი არ უჭირავთ ხელთა. მაშინ მე და ათასს და მილიონს ჩემისთანას არ ეძლევათ იმდენი, რაც საჭიროა. უკეთუ სახელმწიფო გადასწყვეტავს, რომ ჩვენი ნებისამებრ მოგვცეს ფული, მაშინ ჩვენს ნებას არ ედება

სამზღვარი. ყველა მოინდომებს იმდენს, რომ სხვებზედ მეტი აიღოს. მაშინ ადებულს ფულს აღარა აქვს გარანტია და ფული ჰკარგავს ყოველს თავის ღირსებას, ყოველს თავის მნიშვნელობას. ეს კიდევ არაფერი. რაკი მე, ცალკე პირს, მეცოდინება რომ, რაოდენსაც მინდა ფულს ავიღებ ბანკიდამ და ფულის გადახდას არა ვითარი მაიძულებელი გარანტია არა აქვს, ამგვარი მუქთი ფულის შოვნა ჩამაგდებს უსაქმობაში. ეს უეჭველია. იმოქმედებს სახელმწიფოზედ ცუდათ. გაჩნდება სახელმწიფოში აურაცხელი უსაქმური ხალხი; სახელმწიფო დაეცემა, დაეცემა თვითონ ფულის მნიშვნელობაცა. თუ ამავე დროს, როგორც ჰფიქრობს ლოუ, ოქროსა და ვერცხლის ფულიც იქნება შეძლებულთათვის დარჩენილი სახელმწიფოში, ამ ფულის მნიშვნელობა აიწევს უზომოთ, რაკი ამ ფულს ექნება გარანტია შეძლებულთა ხალხის ქონება. მაშინ ყველა მიაწყდება ამ ფულს. მაშინ ამ ფულის ძალით შეძლებულნი წინანდელზედ უფრო ძლიერათ და უფრო მაგრათ დაიჭერენ შეუძლებელთ ხელში: სარგებელსა და მოგებას თავის ფულს და თავს დასდებენ იმდენს, რომ თავის დღეში იმის სამსახურსა და გადაწყვეტას მოუნდეს შეუძლებელი ხალხი. აქედამ ცხადათ ჰხედავს მკითხველი, რომ შეუძლებელია ფულის იმოდენა გამოცემა, რამდენიც საჭიროა კერძო პირთათვის. სხვათაგან სხვის საჭიროების გადაწყვეტა შეუძლებელია და ამასთან ამას მოსდევს უზომო ხარჯი; ნებისამებრ საჭიროების შესრულება კერძო პირთა არ უდებს სამზღვარს ამ საჭიროებას, ჰბადებს მუქთაობას და უკარგავს ფულს მნიშვნელობას.

გადავიდეთ მესამე საგანზედ.

ფულის გარანტია (სხვათა შორის) უნდა იყვეს ჯანი, გონება, ხალისი კერძო პირთა, ესე იგი ისა, რაც ჯერ არ გამოსულა მჟღავნად და იფარება ჩვენს ბუნებაში, ანუ როგორც ლოუ ამ-

ბროის, მომავალი შრომა. ამგვარი გარანტია ჰგავს იმ მომავალზედ უზრუნველი კაცის ქცევას, რომელიც ჰყიდის დღევანდელი დღისათვის ხვალინდელს დღეს; ეს ემსგავსება საღმრთო წერილის ესავის ქცევას, რომელმაც თავისი მომავალი უფლება უფროსობისა მიჰყიდა დღევანდელს გასაძღომს ოსპის შეჭამანდში თავის ძმას იაკობსა. ქაღალდის ფული არის თამასუქი. მე ვიღებ დღეს შენგან ამ თამასუქ-ფულს და ვხარჯავ. დავხარჯე დღეს ხვალინდელი დღე. ხვალ შენს თამასუქში უეჭველია მომთხოვ ხვალინდელს დღეს და შენი თამასუქი დამაწვა ტვირთათ. ვიღებ ახალს თამასუქს, ახლა ამ თამასუქში უნდა მოგცე, ხვალინდელი დღე კი აღარა, ზეგინდელი და მაზეგინდელი დღენი, რათგან ეს ორი დღე უნდა ჩავაყენო იმ დღეების მაგიერათ, რომელნიც დავხარჯე; და ახლა ერთი დღის გაგიერათ ორი დღე მაწვება ტვირთათ; და ამგვარათ, რაც დღეები გადის, იმდენი უფრო მეტი მომავალი დღეები მედება სესხად. ეს უეჭველია უნდა მოხდეს მიტომ, რომ უქონებელს კაცს იმდენი დღიური მოსახმარი დასახარჯი საჭიროება აქვს, რომ ფულის შოვნის დროს ვერ შეუძლიან დაიკავოს თავი და არ იხმაროს თავის ბუნების დასაკმაყოფილებლათ. იკმაყოფილებს ბუნებრივს საჭიროებათა მომავალი შრომით: ესე იგი, ჰყიდის მომავალს შრომას დღეის დასაკმაყოფილებლათ. ამგვარი მომავალი შრომით გარანტია ფულისა როგორც თვით სახელმწიფოსთვის, რომელიც ამას მიიღებს, ეგრეთვე უცხო სახელმწიფოთათვის, რომელთანაც სახელმწიფოს უეჭველია მრავალი დამოკიდებულება და კავშირი აქვს, არ არის სანდო. რომელიმე სახელმწიფო რომ ენდოს თავის წევრთ ამ გარემოებაში, გარეშე ხალხნი არ ენდობიან: იმათ უჭირავთ თქვენი ფული, ესე იგი თქვენი თამასუქი, რომლისაც ვალს ან ვერ აიღებს, რათგან ამაში მოცემული გირაო დახარჯულიც არის, ან აიღებს გვიან და მხოლოდ რაოდენსამე ნაწილს. მაშინ

თქვენი თამასუქების ძალა იკარგება, თქვენი ფულის ფასი ეცე-მა, რადგან არა აქვთ მკვიდრი გარანტია.

მაშ დარჩენილა ერთი კითხვა: რა გარემოება უნდა ჰქონ-დეს ფულს, რომ იმას ჰქონდეს ნამდვილი ძალა, ძალა ფულისა.

ზემოთ ვნახეთ, რომ ფულად სახმარად ჯერ ქაღალდზედ უკეთესი არა არის. ქაღალდისა ფულად ხმარება დიდი ხანია რაც შემოიღეს, თუმცა ბევრთა ჰგონიათ, რომ ეს დღეს შე-მოღებულიაო. ამ ფულს, ანუ უკეთა ვთქვათ, ტყავის ფულს ხმა-რობდნენ კართაგენში ქრისტეს წინეთ. მარკო პოლო სწერს, რომ ჩინეთში ჰხმარობდნენო ქაღალდის ფულს იმ დროს, რო-დესაც ევროპაში ამ ფულისა გაგებაც არა ჰქონდათო. ამგვარს ფულის ქაღალდს ამზადებდნენ თუთის ხის ქერქზე მეორე ცი-ლისას, რომელსაც სჩეჩქავდნენ, ამზადებდნენ ქაღალდათ და შემდგომ გამოსცემდნენ ფულად. ამ ფულს ჩინეთის სახელმწი-ფო გამოსცემდა და ჰყოფდა სახელმწიფოში სავალდებულოთ. ვინც არ აიღებდა ამ ფულს, სჯიდნენ სიკვდილით.

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ძველადვე ჰხედავდნენ ქაღალდ-ში ფულის ძალას, მხოლოდ რასაკვირველია, არა ჰქონდათ აწო-ნილი, როგორ მიეცათ იმისთვის ნამდვილი ფულის ძალა, რომ მახვილის შიშით კი არა, თავის ნებით და სურვილით აეღოთ ეს ფული და სცოდნოდათ, რომ აღებით ვნება კი არა, სარ-გებლობა მიეცემოდათ. ამის გამოკვლევას შეუდგნენ დაწვრილე-ბით შემდეგში, როცა გამოცდილებამ უჩვენა, რომ ესრე ცარი-ელი უზურო-ქაღალდის-გამოშვება ვერ ინახავს ფულობას, რადგან თუ უზური გარანტია არა აქვს, მაშინ ყველა სახელმწიფო ეცდებოდა რომ სხვებზედ მეტი გამოეცა და ქვეყანა გაევსებო-და ქაღალდის ფულით, და ამ ფულს დაედებოდა მარტო ის ფასი, რაც ადევს სხვა ყველა უბრალო ქაღალდს, ან ისიც არა, რადგან უბრალო ქაღალდი საწერად და გასახვევად მაინც ვარ-

ვა, და ის ამისთვისაც არ ივარგებდა, თვით ჩინეთშიაც დაინახეს ამგვარად ფულის გამოცემა საზარალოთ და რამდენჯერმე მოსპეს ამ გვარი ფული.

რაკი ვნახეთ, რომ ქაღალდის ფული უკეთესია სხვა ფულებზედ, და უჩვენეთ, რომ ქაღალდსაც ჯერ ნამდვილი ფულის მნიშვნელობა არ მისცემია, მაშ შევუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რა გარემოებაში მიეცემა იმას ნამდვილი ფულის სახე და ძალა.

ყველა, მცირეც არის შეგნებული ეკონომისტი, ყველა ფინანსისტი გეტყვით, რომ ფული არის საღსარი საქონლისა, ნაშრომის გადაცვლა-გადმოცვლისა, გადაღებ-გადმოღებისა; ფული არის სიმბოლო იმ შრომისა, რომელიც მოჰხმარებია საქონელს. როდესაც ჩვენ ვამბობთ მანეთი-ამდროს უნდა ვიქონიოთ სახეში: რამოდენა ხნის შრომას დაურქვა მანეთი, რამოდენა ხნის შრომას ჰსახავს მანეთი. აქედამ გამოდის ისა, რომ, მინამ ერთი და ერთი საყოველთაოთ, საქვეყნოთ არ იქნება გადაწყვეტილი, რომ ვთქვათ, სამი საათის შრომას, ფულათ ერქმევა მანეთი, მანამ ფულს არ ექნება ნამდვილი ფულის სახე, მინამ ფული იქნება მოჩვენებასავით, რომელსაც არ ექნება არა ვითარი სწორე და გადაწყვეტილი კავშირი საქმესთან და არ იქნება ნამდვილი სიმბოლო იმ შრომისა, რომლისაც ფასს ეს უნდა წარმოადგენდეს: დღეს ის ფული, რომელსაც ჰქვიან მანათი და ღირს სამი საათის შრომის ნაყოფათ, ხვალ ღირს მარტო ერთის საათის ან ხუთი საათის, ათი საათის, ან მეტის ან ნაკლების შრომის ნაყოფად. ესე იგი, რასაც დღეს მანეთათ ჰყიდულობ, ხვალ იყიდი აბაზათ, ხუთ მანეთათ, თუმნათ, ან მაურად და სხვა. დღეს მანეთი შენ სამი საათის შრომის ნაყოფში მიგიღია, ხვალ ამ მანეთათ საათის შრომის ნაყოფსაც ვერა ჰყიდულობ, ან შეიძლება იყიდო ათისა და ათასი საათის ნაყოფიცა, დღევან-

ძველი მეხი მანეთი, ხვალ, დღევანდელ აბაზათ აღარა ჰღირს, ან დღევანდელი მესი მანეთი ხვალ დღევანდელ თუმნათ ჰღირს ამგვარათ. დღეს გამოცემულს ფულს, ხვალ, თუმცა იგივე სახელი ჰქვიან, მაგრამ იმას თავისი სახელის ფასი ეკარგება. ყველა ეკონომისტები, ყველა ფინანსისტები იმტვრევენ ამაზედ თავებს, რომ ფულს არ ემართებოდეს ეს ცვლილება; სახსრათ ამისა უჩვენებენ ათასგვარ წყობილებათა, რომელთა შორის ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ საუკეთესო ეკონომისტთა აზრები.

ცხადი საქმეა, რომ, რაკი ფული უნდა იყვეს გამომხატველი, სიმტკიცით საქონელზედ მოხმარებული სასარგებლო შრომისა, მაშინ საჭირო აღარ არის, რომ ფულს კიდევ თავისი საკუთარი ფასიცა ჰქონდეს. მაშინ ოქროსა და ვერცხლის ფული ამაოა. უკეთესი სახმარი ამ შემთხვევაში არის, როგორც ზემოთაც ვუჩვენებდით, ქაღალდი. ქაღალდები, ესე იგი ქაღალდის ფულები გვეუბნებიან, რომ, რასაც დროს გნებავთ წარმოადგენეთ ხაზინაში, ბანკში და ჩემში მიიღებთ ოქროსა და ვერცხლსა. დღევანდელი გარანტია ქაღალდისა, როგორც ასწავლებდნენ მომეტებული ნაწილი ეკონომისტთა, არის ოქრო და ვერცხლი. თუმცა ასე აწერია ამ ქაღალდებს, მაგრამ ვერც ხაზინაში და ვერც ბანკში ვერ მიიღებთ ქაღალდის ფულში ამდენს ოქროს. მიზეზი ამისა არის ისა, რომ ოქრო და ვერცხლი ცოტაა ხაზინაში და ქაღალდის ფული უსომოთ იმაზედ მეტია. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს იმდენი ოქრო და ვერცხლი, რომ ყველა თავის მოვალეებს, ესე იგი ვისაც ამათი ქაღალდების ფული უჭირავთ, გასცეს პასუხი. მაშ, ცხადი საქმეა, რომ თუ უნდათ ამ გარემოებაში ფულს ფასი ედოს, უნდა ქაღალდის ფული იმდენი გამოიცეს, რაც უზურში რჩება ოქრო და ვერცხლი. მაშინ ფული ისე მცირე გამოვა, რომ მეასესა და მეათასეზედაც ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფოსა. რადგან

ფული არის მხოლოდ გამომსახველი, სიმბოლო იმ სასარგებლო შრომისა, რომელიც მოხმარებულა საქმეზედ და ამასთან არის საღსარი, რომ საქონელს და ამღებსა და მიმცემთ უადვილებდეს საქონლისა გადაცემ-გადმოცემას, მაშინ, უეჭველია, უნდა გამოვიდეს იმოდენა ფული, რამდენიც სახელმწიფოში შრომა დადებული საქონელი ტრიალებს. ამასთანავე, რაკი ეს ფული არის თამასუქი, უნდა გამოვიდეს იმოდენი, რამდენისა პასუხის გაცემა შეუძლიან სახელმწიფოს. უკეთუ გამოვა ამაზედ ნაკლები, მაშინ ყველა საქონლისათვის არ იქნება ფული, და, რამდენიც ეს ფული დააკლდება, იმდენი საქონლის პატრონს გაუძნელდება აღებ-მიცემობა და გადაცვალ-გადმოცვლა; მაშინ ფულს არ ექნება თავისი ნამდვილი დადებული სახელის მნიშვნელობა, მაშინ ფულს დაედება მეტი ფასი, ესე იგი, ვისაც ის დააკლდება, იმას ეს დააწვება ტვირთად: უნდა იმან ფულის პატრონს თავისი საქონელი ნაკლებ ფასად მიჰყიდოს, ან, თუ სესხად უნდა, უნდა დიდი სარგებელი მისცეს. უკეთუ მეტი გამოვა, მაშინ რამდენიც ფული მეტი იქნება, იმდენი ფულს ფასი დააკლდება და ფულის პატრონი იძულებული იქნება საქონელში მეტი ფასი აძლიოს, ვინემ ის საქონელი ღირს. გარდა ამისა, მეტი ფულის გამოცემას მოსდევს უარესი უბედურება. სახელმწიფო იძლევა იმდენს თამასუქს, ანუ იღებს ვალს, რისაც გასტუმრების საღსარი არა აქვს. მაშინ იმას ემუქრის კოტრობა. ეგრეთვე არ შეიძლება გამოიცეს ფული შრომა დაუდებელს საქონელზედ, როგორც მაგალითად მიწაზედ, ტყეზედ, მადანზედ და სხვა ამისთანაებზე, რადგან ფული ჰსახავს ფასს; ფასი, როგორც ვცანით ადევს იმას, რასაც შრომა დასდებია. თუ შრომა დაუდებელს საქონელზედაც გამოვიდა ფული, მაშინ ამ ფულის შემწეობით ისიც ფას დადებული გახდება, რომელსაც რომ იმაზედ არარის შრომა წასული, და მაშინ შრომა დადებულს საქონელს ფასი დააკლდება, რაკი

ამათი ფასის გამომხატველი ფული მეტი გამოვა, ვიდრე თვით ეს საქონელია; და ეს მეტი გამოცემული ფული დასწევს ამათს ფასს, ასრე რომ ფასიანს ფასი დააკლდება და უფასურს ფასი დაედება, რადგან ფასიანის დაკლებული ფასი გადავა უფასო საქონლის ფასს მიცემაზედ. აქედან ცხადათა სჩანს, რომ ფული უნდა გამოვიდეს იმოდენა, რამოდენიც სახელმწიფოსა აქვს შრომა დადებული საქონელი. მაშინ და მხოლოთ მაშინ გამოცემულს ფულს ექნება ნამდვილი ფასი. მაშინ ფული იქნება იმ ზომის გამოცემული, რამოდენიც საჭიროა საქონლის გადაცვლა-გადმოცვლისათვის და რამოდენისაც პასუხის გება შეუძლიან სახელმწიფოს; მაშინ ყველა შრომა დადებულს საქონელს ექნება თავისი წარმომადგენელი სახსარი, სიმვოლო ამღებ-მიმცემობისა და საცვლისათვის. გარდა ამისა, ესე იგი სასარგებლო შრომა დადებული საქონლისა, ფულის გარანტიათ, სხვა ყველა გარანტია არის ფიქცია, ამაოება. თითქმის ყველა ეკონომისტი არის იმის თანახმა, რომ ფასი მარტო იმას ადევს, რაზედაც შრომა წასულა: რაკი ფული არის ფასის გამომხატველი, მაშასადამე ეს უნდა იყვეს სიმვოლო მხოლოდ იმ ქონებისა და ამის გარანტიათ უნდა იყვეს ის ქონება, რომელზედაც შრომა წასულა და ამითი ფასი დასდებია. ეკონომისტთ ეს გაუშვეს მხედველობიდამ. თვითონვე აღიარებდნენ, რომ ფასი ადევს მხოლოდ იმ საქონელს, რომელზედაც მუშა დრო მოხმარებულაო, და თითონვე ფულს ჰხადიდნენ სიმვოლად იმ ქონებისა და უხდიდნენ გარანტიათ იმ ქონებას, რომელზედაც სასარგებლო შრომა არ იყო წასული ან შრომას თავისი ბეჭედი არ დაედო ყურას; ან არა და ჰხადიდნენ გარანტიათ იმ შრომა დადებულს ქონებას, რომელიც შეადგენდა სახელმწიფოში უმცირეს ნაწილს, და თითონვე კი ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს წარმატება დაბრკოლდება, თუ ფული იმას შეძლების ზომისა არ გამოვიდაო.

რასაკვირველია, ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთს წინააღმდეგს მაწუხს;—გვეტყვიან: როგორ გინდათ ყველა იმ საქონელს, რომელზედაც თანასწორი შრომაა წასული—დაადოთ თანასწორი ფასი, როდესაც საქონელის ფასი არის დამოკიდებული მოთხოვნილებასა და მუშტარზედა. ზოგზედ მეტი შრომა წასულა, მაგრამ მუშტარი ნაკლები ჰყავს, რომლისგამოც პატრონი იძულებული იქნება თავისი საქონელი ნაკლებათ გაჰყიდოს; ზოგზედ ნაკლები შრომა წასულა, მაგრამ მუშტარი მეტი ჰყავს და ეშველება ის თავის საქონელს მეტად გაჰყიდოსო. ჭეშმარიტია: დღიურს მოვლენას რომ ყური უგდოთ, თითქო ასეა, რომ ფასი საქონლისა ყველზედაც და ერთმანერთში პირდაპირ გადაცვლაზედაც არის დამოკიდებული საქონლის მოთხოვნილებასა და იმათ რაოდენობაზედ, ანუ, როგორც რუსები ამბობენ,—на спросъ и предложенiи. მაგრამ, რომ თვით ამ ეკონომიურს მოვლენას კარგათ ჩავაკვირდეთ, ეს ჩვენი წინააღმდეგი პასუხი ვერ დაიჭერს თავს. «საქონლის ფასის საწყაო არის ამ საქონელზედ მოხმარებული ქონებისა და აგებულების შრომის დრო», ამბობს სენ სიმონი, „საქონლის ფასს შეადგენს შრომა კაცობა, რომელიც მოხმარებულა ამ საქონელზედ, რადგანაც საქონლის ფასს შეადგენს შრომა კაცისა, რომელიც ამ საქონელზედ მოხმარებულა, ამისგამო ყველა საქონელს, რომელსაც თანასწორი შრომა მონდომია, აქვს თანასწორი ფასიო" ამბობს მარქსი. „მათთვის, ვისაც უნდათ შეიძინონ რამე საქონელი, ფასი ამ საქონლისა არის, მოხმარებული ამ საქონელზედ, შრომა და ღვაწლი" ამბობს ადამ სმიტი. რიკარდო, რომელიც თითქო უჩვენებდა რომელსამე აზრის შეუსყობლობას ამაში ადამ სმიტის, შემდეგომ ბევრი ლაპარაკისა და გამოკვლევისა, დადგა ამავე აზრზედ, რომ საქონლის ფასი არის-ამაზედ მოხმარებული მუშა დრო. გობზე, პეტი, თვით სახელოვანი ბასტიაც

თის მარშალი ვოკასა და მრავალნი სხვანი იყვნენ ამავე აზრისა. შესახებ იმ ფასებისა, რომელიც არის დამოკიდებული საქონლის მოთხოვნილებასა და იმათის რაოდენობაზედ (спроса и предложенін), მარქსი იძლევა შემდეგს პასუხს: „კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ უკრიტიკოთ აიღო ცხოვრებიდამ შეხედულობა შრომის ფასზედ. მაგრამ, შემდგომ ის მიატყდა ამგვარს კითხვას: როგორ უნდა გადიჭრას ეს შრომის ფასი? მაშინ ის მიხვდა, რომ: ის ცვლილება, რომელსაც აძლევს შრომასა და საქონლის ფასზედ საქონლის რაოდენობა და საქონლის მოთხოვნილობა (спросъ и предложеніе) არაფერს არას ჰხსნის, გარდა ფასების ცვლილების და მაზანდის (рыночные) ფასის აწევ დაწევისა. უკეთუ მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა თანასწორნი არიან, მაშინ, სხვა თანასწორ გარემოებასთან, ფასი ერთს დონეზედ დადგება (აღარ აიწევ-დაიწევს.) მაშინ მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა (спросъ и предложеніе) ვეღარ გვიხსნიან ვერაფერს შესახებ საქონლის ფასისა. მაშინ საქონლისა და შრომის ფასად რჩება შრომა, რომელიც არ არის დამოკიდებული მოთხოვნილებასა და საქონლის რაოდენობაზედ, და არის გამომხატველი ბუნებრივი ფასისა.“ ადამ სმიტიც ამის შესახებ თითქმის ამასავე ამბობს, აი იმისი სიტყვები: „საქმეში მაზანდის ფასი (рыночные цѣны) და ბუნებითი ფასი თანასწორნი არ არიან. მაზანდის ფასი არის დამოკიდებული იმ საქონლის რაოდენობაზედ, რომელიც გამოტანილა გასასყიდლად, და ამ საქონლის მოთხოვნილების რაოდენობაზედ, რადგანაც გამომცემთათვის ძნელია იმისი შეტყობა, თუ რაოდენი მოთხოვნილება იქნება საქონლისა, რომლისგამოც ძნელად შეუძლიანთ გაიგონ და გამოსცენ იმდენი, რაოდენიც მოთხოვნილებაა მუშტრისგან; ამის გამო ძნელათ მოხდება, რომ მოთხოვნილება და საქონლის გამოცემა თანასწორნი იყვნენ. მაგრამ, რადგანაც საქონელიცა და

მოთხოვნილებაც იმას ქონებიან, რომ თანასწორნი გახდნენ, მაშინ ამათი შუაგული ხდება ბუნებითი ფასი, (შრომა, მოხმარებული საქონელზედ) და ამ ფასს ქონებიან და უახლოვდებიან საქონლის ფასები.“

მაშასადამე, მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა არა სახავს ნამდვილს ფასს საქონლისას. ის მხოლოდ ასწევ-დასწევს და დროებით სცვლის ნამდვილს ფასს. ნამდვილს ფასს ჰსახავს მხოლოდ შრომის დრო, მოხმარებული საქონელზედ. უკეთუ მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა არა ჰსახავს ნამდვილს ფასს, მაშასადამე ფულის ფასის დასახელებაზედ საქონლის ფასის დასადებათ უნდა იხმარებოდეს მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა კი არა, ის, რაც ბუნებით და ნამდვილათ ჰსახავს საქონლის ფასს. ამ ფასს, გარდ შრომისა. სხვა ვერა გამოსაჰხავსრა. არც რომ არ იყვეს, მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა თითქმის ყოველ დღე იცვლება თითო ყურა საქონელზედ. თვით მუშა ხელზედაც; ამასთან, ის ერთს საქონელს ხშირად უკვლის ფასს, მეორე საქონელს უფრო ძვირად, მესამეს კიდევ უფრო ძვირად. მაშინ რა დონეზედ უნდა დააყენოს ფული სახელმწიფომ? რას უნდა დაამყაროს თავისი ფულის სიფასურობა? დარჩენილა, რომ ალალბედზედ გამოიცეს ფული. ალალბედზედ ფულის გამოცემა ფულობას ვერ გასწევს, იმიტომ რომ არ იცით სახელმწიფომ საქონელზედ მეტს სცემთ თუ ნაკლებს. რაკი სახელმწიფომ ეს არ იცის, მაშინ ის თავის საჭიროებისა და შეძლების ვერ ესწორება ფულის გამოცემას. და შეიძლება იმდენი ფული გამოსცეს, რისაც შეძლება არა აქვს, და მაშინ ფული ჰკარგავს თავის ფასს, რომელსაც კიდეცა ვხედავთ თითქმის ყოველ დღე. ამგვარს უსწორმო ფულის გამოცემას მოსდევს იყვე კოტრობა. მაშ ფულის ზომისა და ფასის მომცემად დარჩენილა მხოლოდ მუშა დრო, მოხმარებული საქონელზედ.

ამგვარად, როდესაც ჩვენ გავიგეთ ნამდვილი მნიშვნელობა ფულისა, ანუ უკეთ ვსთქვათ: სახელმწიფო ვექსილებისა, ახლა ჩვენ შეგვიძლიან შევუდგეთ ლოტუს და პრუდონის ბანკების მნიშვნელობის გარჩევას.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მოკლედ აზრი ლოტუსისა და პრუდონისაც შესახებ ბანკებისა. ამათი თქმით, ბანკებმა უნდა მისცენ თამასუქებში ფული იმათ, ვისაც საქონელი არა აქვთ, არა აქვთ ქონება, და აქვთ გონება, მხნეობა, ნიჭი, სწავლა. ამითი ჰლამიან ისინი, რომ რაკი ამ უქონელთაც ექნებათ ფული, მაშინ ისინი დაიჭერენ თავის თავსა საქმეს, აღარ დასჭირდებათ, ან ნაკლებათ დასჭირდებათ მქონებლების თავი; ამითი ისინი თანდათან აღიდგენენ თავის ქონებას და მიაღწევენ შეძლებულებთან.

ჩვენ, ფულის მნიშვნელობასთან, გვგონია, რომ თუ სახელმწიფო თავის შრომას დადებულს საქონელზედ მეტს ფულს გამოსცემს, ფული თავის ძალას იმდენათ ჰკარგავს, რამდენიც მეტი გამოვა. იმდენი მაშასადამე, ფული უნდა გამოვიდეს, ამ საქონელზედ რაც სახელმწიფოს შრომა დადებული ქონება აქვს. გარდა ამისა, უკეთუ სახელმწიფო ბანკი გამოსცემს იმაზედ მეტს ფულს, რაც სახელმწიფოს ამ გვარი ქონება აქვს, მაშინ მქონებლებს რჩებათ ხელში თავისი ქონებაც და ფულიცა, რაც ეს ქონება ღირს; ე. ი. ქონებაცა და ამათი შესაფერი ფულიც მქონებელთ უჭირავთ ხელთა, უქონებელთ რჩებათ ხელში მარტო ფული, მეტი გამოცემული, რომელსაც აქვს გარანტიათ ის, რაც ჯერ არ გამოსულა და რაც უნდა იყოს ხვალისა და არა დღეისა. ხვალის დახარჯვით, როგორც ზემოთაც გვეთქვამს, ხვალა გვრჩება ცარიელი; ხვალის დახარჯვით სახელმწიფოსაც ის დაემართება, რაც კერძო პირს: ხვალ დარჩება ხელცარიელი. ამასთანა გარანტიაზედ გამოცემული ფულს, გარდა სხვა ზარალისა, თვითონ მშრომელთათვის, რო-

შეღწეულაც მე ზემოთ ვაჩვენე, არა აქვს ნამდვილი ფულის მნიშვნელობა. მართალია, ეს ფულის მნიშვნელობის დაკარგვა მარტო ამ ფულზედ არ იქნება: ეს განაწილდება ყველა სახელმწიფოში გამოცემულს ფულზედ: მაგრამ საკუთრივ მშრომელების თავს ამგვარი ფულით აი რა ხდება, ამ ფულში თამასუქები გარანტიათ აქვთ მიცემული, თავისი ქონებისა და აგებულების ძალა. უკეთესთა ეკონომისტთა სწავლით, სამართლით მშრომელი კაცი შეიცავს მხოლოდ იმოდენა შრომის ძალას, რომელიც ისლევა მხოლოდ იმდენს ნაყოფს, რომელიც ეყოფა ამ მშრომელს. ვთქვათ: ბანკმა მისცა ამათ თავის აგებულებისა და გონების შრომის ძალაში ხვედრი სესხი, მაშინ ამათ მოეცემათ მხოლოდ ის, რაც ამათი საქმაოა. ვთქვათ მოინდომეს მშრომელთა ამ ფულით საქმის დაწყობა. საქმეს უნდა მასალა, იარაღი, ბუნებასაგან მოხმარებული სიმდიდრე (მიწა, წყალი, მადანი, ტყე და სხვა). ესენი მშრომელთა არა აქვთ, ესენი უჭირავთ სხვებს ხელში. საკითხავია: ეს ქონება რით უნდა იყიდონ, როდესაც ამათ მისცათ მხოლოდ ფული რაც ამათ საარჩენათ საჭიროა? ესეც რომ იქით იყოს, არა ვითარი მასაჭულებელი ძალა არ არის, რომ მქონებელთ ამათ მიჰყიდონ თავისი ქონება ფულში, რადგან ფული ამათ არ უჭირთ, რაკი ქონებაცა და ამ ქონების საფასური ფულიც თვითონ ხელთ უჭირავთ. უამისოთ უქონებელნი ვერ შეუდგებიან საქმეს. მაშინ დარჩენიათ ერთი ღონე: მიჰმართონ ისევ თავის ჯანს, გონებას, მხნეობას, რომ მოახმარონ ქონებას, და იმათი ისარგებლონ. ქონება აქვთ მქონებელთ, მქონებელთ უნდათ ამათი ფული კი არა, ჯანი, მხნეობა, ძალა, ცოდნა. ისინი მისცემენ სახმარათ თავის ქონებას იმაში, რაც ამათ უჭირთ: ჯანსა, გონებასა და მხნეობაში. მაშინ რას უშველის ამათ ცარიელი ფული? ესეც კიდევ იქით იყოს. ვთქვათ ამათ მოინაწილეს ფული და მქონებელთ მიჰყიდეს ამათ საქმისათვის საჭირო იარაღი და სხვა სახმარი მასალა და ქონება

მაშინ ესენი თავისი ფულით რას აძლევენ მქონებელთ? ფულ-ხომ იმათ მოცემული აქვთ თავას გონებისა და აგებულების სა-შრომლად მყოფს ძალაში. მაშასადამე, ესენი აძლევენ მქონებელთ თავის შრომის ძალას. რაკი ეძლევათ ამათ ფული სესხად მხო-ლოდ იმდენი, რაც შეადგენს ამათის შრომის ძალას და რაც მხოლოდ არის საკმაო ამათ სარჩენად,—რაკი ამასთან ამათი შრომა ითვლება გირაოდ ბანკში, რომელმაც ამ შრომაში მის-ცა იმათ ფული სესხად,—მაშინ, რაკი ესენი გადასცემენ თავის ფულს მქონებელთა, ამათი შრომა გადადის გირაოდ მქონებელ-თა ხელთა, ანუ უკეთა ვთქვათ, ესენი თავის ჯერ მოუხმარებელს შრომას სცვლიან მქონებელთა ქონებაზედ. ნუთუ ეს მქონებელ-ნი ამ გირაოს ანუ საცვალს გაუშვებენ ისე, რომ არ ისარგებლონ ამითი? ცხადი საქმეა, მოინდომებენ ამ ფულის ძალის მოხმარებას. მაშინ იმათ, ე. ი. მშრომელთ უნდა იშრომონ ისევ მქონებელთა სა-სარგებლოდ, და თვის სარჩენად აღარ დარჩებათ საკმაო დრო. მაშინ ძალა რჩება ისევ მქონებელთა ხელთა. მართალია, მაშინ ფულს სესხად დიდი სარგებლით ისე აღარ გასცემენ. მაგრამ თვის ქონების მოხმარებაში აიღებენ იმავე მოგებას, რაც უღიათ წინად, და ძალა მშრომელთა მუშა დროდამ მოგებისა ისევ დარ-ჩებათ ხელთა.

მაშასადამე, აქაც კი ამ მაღალს და კეთილმობილურს და-წყებაში ბანკს არა აქვს ის ძალა სასარგებლოთ კაცობრიობისა, რასაც აწერენ იმას ლუი, პრუდონი, ჯონ გრეი, ლუი-ბლანი და სხვანი. იმ იდიალის მიწასდომათ, რომელსაც ელტოდნენ ლუი, პრუდონი და სხვანი ბანკების შემწეობით, გინდა კერძო პირო-ბუკვს, გინდა კოოპერატიული საზოგადოებანი, თუ იმათ ფულ-თან, სხვა ქონებაც არ მოსდევს, იქნება ბრძოლა ქარის წისქვი-ლებთან: თუ მისცემს შემწეობას მშრომელთა დროებით, მოკლე ხანს; მცირეს, ცოტაოდენს.—შეუსუბუქებს ფულში სარგებლის

გადახდას, ამასაც მხოლოდ დროებით. ამ იდეალის მისაღწევად რომ კაცობრიობა მისწვდეს იმ ბედნიერებას, რომელიც ედოთ გულში ლოცუსა და იმის მიმადევართ, იჩვენებიან უფრო ნამდვილს და მკვიდრს გზებზედ; ამისი კვალი დიდი ხნის აღბეჭდილი არის, ამას მარქსი და იმისი სკოლა უწოდებენ ექსპროპრიაციას გაექსპროპრიებულთაგან. (*) მაგრამ ამაზედ ლაპარაკი არ შედის ჩვენი სტატიის პროგრამაში.

---

დასასრულ ჩვენ არ შეგვიძლიან არა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ჩვენს ბანკებზედ.

ვიცი ჩვენი შორის მჭვრეტელი მკითხველი და მეტადრე მწერალნი მიხვდნენ, რომ ჩვენ ამ სტატიით ჩვენი ბანკების წინააღმდეგიცა ვართ.

მე აქ უნდა ავხსნა ჩემი აზრი.

მე ვარ წინააღმდეგი საზოგადოთ ბანკთა წყობილების. მაგრამ, რაკი ქვეყნად ერთი ბანკიც არის დაწესდა, მაშინ ძალა უნებურათ ვისაც უნდა თავის დაცვა, უნდა გაიჩინოს თვითონაც ბანკი.

ძალიან მავნებელია ომი და საომრად ჯარისა, ფულის და იარაღის მოცდენა. მაგრამ, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფო აწყობს ჯარებს, იარაღს და სხვა მასალას და ემუქრის სხვებს ბრძოლითა, მაშინ ყველა, ვისაც თავის დაცვა უნდა, უნდა თვითონაც გაიჩინოს ჯარიცა, იარაღიცა და სხვა საომარი საჭირო მასალაცა, რომ სხვამ ეს არ შთანთქას.

ესევე არის ბანკების შესახებ.

---

(*) ჩვენებურად ეს აზრი ასრე გამოითქმის: ჩამორთმევა ჩამორთმეულთაგან.

როდესაც შესდგა ერთი ბანკი, ფული ყველა ქვეყნიდამ, ყველა სახელმწიფოდამ ეტანება ამ ბანკს შესანახად და სასარგებლოთ. მაშინ თუ ყველა ქვეყანას თავის ბანკი არა აქვს, აქაური ფული გავა სხვა ქვეყანაში და ამ ქვეყანას მოაკლდება მრავალი ფული, და უფულობა მისცემს დიდს ზარალს.

აი ამ მხრივ უნდა შევხედოთ ჩვენს ბანკებს, როგორც ჩვენი ფულების ჩვენსავე ქვეყანაში შემნახველს და მით ჩვენს დამცველს.

აქედამ გამოდის ის აზრი: დიდი სასარგებლო იქნება, რომ ყველა სახელმწიფოებმა მოსპონ ომიანობა და ჯარები. თუ ყველამ ერთათ არ მოსპო და მარტო ერთმა ან რამდენმამე მოსპოს და სხვებს დარჩათ ისევ, მაშინ ეს სხვები შთანთქამენ დანარჩენებს. ეგრეთვე ბანკების შესახებაც ასრეა. თუ მარტო ერთი ან რამდენიმე მოსპობს, მაშინ ამათს ფულს შთანთქამენ ისინი, ვინც არ მოსპობენ.

17 ივლისს, 1883 წ,

# დიდი მოურავი.

## ტრაგედია.

(ჩვენი მეთექვსმეტე საუკუნის ისტორიულის ცხოვრებიდამ)

თხზულებანი ანტონ ფურცელაძისა, წიგნი მეორე.

## თავი მოქმედნი პირნი:

დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე.

ლუარსაბ II ქართლის მეფე.

თეიმურაზ I-ლი, კახეთის მეფე.

შადიმან ბარათაშვილი.

ზურაბ არაგვის-ერისთავი.

ქაიხოსრო მუხრანის-ბატონი,

იასე ქსნის-ერისთავი.

ბარათა ბარათაშვილი.

მოურავის და, მაკრინე.

გიორგი ქავთარაძე.

შაჰ-აბას ყეენი.

სულთან მურადი,

ბაადურ ციციშვილი.

მელიქ ათაბაგი.

# მოქმედება I.

## სცენა 1.

სცენა დიდი მოურავის სააკაძის სახლში.

დიდი მოურავი (ფიქრის შემდეგ). დიახ! დღეს მეფე ლუარსაბი მობრძანდება ჩემთან სადილად. რაც თათარსანს გადავარჩინე — მასაქეთ უფრო კაი თვალზედა მხედავს. კაი სადავეები უნდა, რომ ეგ ხელში დაიჭიროს კაცმა, მინამ ეგ რიგიანს ხელში არ ჩავარდება და რიგიანი კაცები არ ეყოლება მახლობლად, მინამ ხეირი არ იქნება, და ჩვენი ქვეყანა, უმისოთაც დამხობილი, უარესად დაიმხობა და გახდება თათრების ლუკმა, ან ჩვენვე დავსჭამთ ჩვენისავე კბილით ერთმანერთს. შადიმანის მოწაფისაგან რა ხეირს უნდა მოელოდეს ქვეყანა. განა თუ შადიმან უჭკუოა! მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ჭკვიანია და ბოროტი. იმისი დაუნდობელი ხასიათი და ყოვლის ფერის შიში — მეფეს არას დროს კარგს გზაზედ არ დააყენებს.. შადიმანს თუ ერთი ბეწვა გაუჭირდა, თავის შვებისათვის არა თუ მეფეს, და თვით საკუთარ შვილსაც არ დაზოგავს.... (წამოდგება.) ამისთანა დროში — რომ ბე-დნის უწესოებით ლამის ქვეყანა დაიქცეს და ჩვენი ერთობაც ისე დარღვეულია, რომ ყველას მარტო თავისი თავილა ახსოვს, საჭიროა, რომ მეფე... ჭკუა და სიყვარული არ აკლია ლუარსაბს და ვერც არავინ კაცკაცობას უძრახავს. მაგრამ, აკლია იმისთანა

ზნე, რომელიც ამ ჩვენს მდგომარეობაში, თითქმის, ყველაზედ უფრო საჭიროა: არა აქვს მტკიცე ხასიათი და რიგიანი კაცე-ბიც არა ჰყავს. იმის მახლობელთაც ეს უხარიანთ და ცდილობენ რაც შეუძლიანთ, რომ მეფის უზრუნველობით თითონ დიდება და ქვეყნის ცხოვრება ხელთ იქონიონ; არა, მე უნდა მოვა-შორო იმ ნაცარქექიათ, რომელთაც ხელში დაუჭერიათ ეგ მხოლოდ თავიანთ ბედნიერებისათვის. და თუ ეს ჩემა ჭაზრი შევასრულე მაშინ!.. მაშინ იმედი მაქვს — საქმე როგორც მინდა, ისე წავიყვანო. ცხარე იქნება ბრძოლა, მაგრამ.... ღმერთია მოწყალე...

მაკრინე (შემოდის). რატომ აგრე დაფიქრებული ხარ, გიორგი? შენ, მგონი, სულ ომების ფიქრში ხარ, სადაც მეფე თავს მოგვადგება, და ჯერ კიდევ ვინ იცის რავდენი რამ გვა-კლია.

დიდი მოურავი. ფიქრი არ არის — ყველა იქნება და მე-ფეს უკადრისობას არას გაუწევთ.... მაგრამ შენ რომ ეხლა ჩემ-თან შემოხველ, ძალიან კარგი ჰქენ.

მაკრინე. მიკვირს! შენ როცა ფიქრში ხარ, თუ მაშინ შე-გესწრო ვინმე — ისე უყურებ იმას, თითქოს იმ ერთის შეხედ-ვით მიწა უნდა გაჰხეთქო და შიგ ჩაამვრინოვო; ყოველთვი-შეშინიან ხოლმე, როცა შენ ფიქრში ხარ. შენთან გამოჩენა, და ეს არის საკვირველი, რომ თავის დღეში კი ვერავინ მიჰხვდე-რასა ჰფიქრობ.

დიდი მოურავი. მოდი, დაჯექ. შენი ნახვა მე ყოველ-თვის მიამება. ან კი შენ რა ფიქრს დამიშლი. როცა მე ფიქ-რისამე მინდა, მაშინ არც თუ შენ, ზარბაზანიც რომ ისრო-ლონ — მე არას დამიშლის... ჩემთან ახლოს დაჯექი.

მაკრინე. თუ დავჯექი — მე ვიცი მეტყვი, რასაც ჰფიქრო-ბდი. ნეტავი ვიცოდე, რათა ხარ ეგრეთი დაფარული ხასიათის

დიდი მოურავი. აგი უთქვამს შადიმანს, რომ ეგ მუროანმა კაცმა იცისო.

მაკრინე. საკვირველია, რათ ეჯავრები აგრე შადიმანს? თავად კინაღამ მეფეს შეგამულა.

დიდი მოურავი. აგი მაგისი პასუხი უთქვამს ქათალიკოზს: ორი მხამიანი გველი ერთს სოროში ვერ მოთავსდებიანო. ეს იქით იყოს, სხვა ვსთქვათ რამე. მინდა, რაც გუნებაში მიძევს, ყველა გავათავო მეფის მოსვლამდის, რომ კარგს გუნებაზედ მივეგებო, რომ ჩემი მხიარულება შეედრებოდეს დახვედრას, თორემ, ხომ იცი, მეფის გული ნებიერაა.

მაკრინე. (დაჯდება და დაეყრნდობა მოურავს). შენ გენაცვალოს შენი მაკრინეს ორივ თვალები. ნეტავი შენ ჩემგან რამე გიამებოდეს, თორემ შენზედ უკეთესს ვიღას ვაამებ.

დიდი მოურავი. ეგ ვიცი და კიდევაც იმედი მაქვს, რომ ყოველს ჩემს სურვილს აღასრულებ და ჩემს გამოჩენის დღეს — გამომაჩენ: ეს დღეც არ არის შორს. დღეს მეფეს ისე უნდა მივეგებნეთ და ყოვლისფრით ვასიამოვნოთ, რო ეს დღე სახსოვრად ჰქონდეს და არა ჰსთქვას, რომ საკადრისად ვერ დამიხვდაო. ხომ იცი, მეფე რა რიგ ნებივრად არის გაზდილი: იმას ყოველი შექცევით გული სავსე აქვს, ყოველი საკრავის სმენით ყური მობეზრებული აქვს. ამისგამო, როგორიც მასპინძლობა უნდა გაუწიოთ, ისე ვერ ვასიამოვნებთ, როგორც ეკადრება. ის არის ყმაწვილი და სიამოვნების მოყვარე კაცი. იქნება ვერც ერთი გამარჯვებით, ვერც ერთი თავის განწირვით და მაგისთვის თავის დადებით ისე ვერ მოვიგოთ მაგისი გული, როგორც ერთი კარგის შექცევით და მაგის მოლხენით. ამისგამო, რომ ყოველივე — სუფრა და სამსახური იყოს შემკობილი, უნდა შენ უმღერო მეფეს სადილზედ, როდესაც გიორგი ძავთარაძე მოგიტანს სანთურს. როგორც შენგან ვიცოდე, არ

უნდა მეფის წინაშე გამოხვიდე ქალწულებრივის კრძალვიდამ და უნდა უჩვენო თავი შენს მეფეს ისე, როგორც ეკადრებოდეს დიდ-მოურავის დასა და ოჯახს.

მაკრინე. როგორც შენი სურვილი იყოს, თუკი საძრახისი არ იქნება, რომ გასათხოვარმა ქალმა უმღეროს უმაწვილს მეფეს.

დიდი მოურავი. მეფეთა სამსახური არავისგან საძრახისი არ არის.

ქეთევან. (შემოდის). რა ვქნა, შვილო, ღამის მეფე კარს მოგვადგეს და ჯერ კი წესზედ არა არისრა.

დიდი მოურავი. ნუ სწუხარ, დედაჩემო, ყველაფერი იქნება. იმისთანა კაცები არიან წესის მიმცემნი, რომ არაფერს წაახდენენ.

მაკრინე. აბა დედასაც ვკითხოდ, რასა ბრძანებს.

ქეთევან. რისას?

დიდი მოურავი. რასაკვირველია ეგ საქმე დედის დაუკითხავად არ იქნება და იმედი მაქვს დედაჩემიც არ დამიწუნებს ამას.

ქეთევან. რასა, შვილო? კვლავ როდის რა დამიწუნებია შენთვის, რომ ახლა დავიწუნო.

დიდი მოურავი. რადგან დღეს მეფის წვეულება იქნება ყოვლითურთ შემკობილი და ღირს-სახსოვარი; მეფის შესაქცევრად იქნებიან გამართულნი საკრავნი: ორღანონი, წინწილანი, ბობღანნი და სხვანი,—მე მინდა, რომ ჩემმა მაკრინემ დაუკრას სუფრაზედ სანთური და დაჰმღეროს თავის მშვენიერის ხაზის ხმით, რომ ამითი უფრო მოვალხინოთ ჩვენი მეფე, რომელსაც საკვირვლად უყვარს ქალის სიმღერა.

ქეთევან. (შეფიქრიანებული) ვიცი შვილო, რომ შენ უკადრისს და უჯეროს არას მოიფიქრებ, მაგრამ მე ცოტა მეშინი-

ან.... (მაკრინეს). გადი შვილო, შენ იქ საქმეებს მიჰხედე (მაკრინე გადის). მერიდება მეფესთან მაკრინეს გამოჩენა.

დიდი მოურავი. შენ ნურაფრისა ნუ გერიდება.

ქეთევან. ცოტა არ არის, შვილო, რომ ჩემს მაკრინესაც ჩავარდნილი აქვს გულში. რაც ამან ის ნახა, ცხინვალში რომ თათარხანზედ გამარჯვებულს ხალხი მიეგება, მას აქეთ ხშირად არის ხოლმე მეფის ხსენებაში.

დიდი მოურავი. ეგ საკვირველი არ არის, მაკრინეს გარდა კიდევ ბევრი სხვა ქალი იქნება მეფის ხსენებაში, ვინც ნახა ის მაშინ ძლევა-მოსილი,—ისეთი კარგი სანახავი იყო და ისე ჰშვენოდა მაშინ ლუარსაბი: მაგაში საძრახისი არა არის რა და არც რა მაკრინეს დასამცრობი საქმეა.

ქეთევან. არა, გენაცვალოს დედის თვალები! უწინამც დღე დაჰლევია მაკრინეს დედას, მანამ მაგისთანას რასმე იფიქრებდეს ის თავის მაკრინეზედ.

მაკრინე. (შემოდის). დედილო, გამობრძანდით, მგონი ვიღაცა სტუმრები მოდიან.

ქეთევან. (აჩქარებით). დროც არის. შვილო, ახლა სტუმრების შეყრისა. (მიდის და თან მისდევს მაკრინე).

დიდი მოურავი. (მარტო). ერთი შეჰხედოს კაცმა მაგას — რა მშვენიერება რამ არის. მაგის ბადალი ქალი ჯერ ლუარსაბს არ უნახავს, და მერე, ცოტა ეშხში შესულმა, თუ ერთი მაგის მშვენიერი სიმღერის ხმაც გაიგონა, მაშინ ნაძლევსა ვდებ, თუ მე და მეფეს დამოყვრება არ მოგვიხდეს. მაშინ!.. მაშინ იმედია მტერს ფრთები შევაკვეცოთ და ეგ მივიყოლო ჩემს განძრახვებში. მაკრინეაო მეფის ხსენებაში! ის კი არ იციან, რომ მას აქეთ მეფესაც მარტო მაკრინეღა აკერია ენაზედ...

თეკლე. (შემოდის). ბატონო, მამაჩემს შემოუთვლია,—ეხლა სარიდან შაბურიშვილი მოვიდა,—რომ მეფე მოდის და მალე მოემზადეთო.

მოურავი. ნეტავი პატარა ადრე მოსულიყო მეჯლისზედ, ის უფრო გამოცდილი კაცია და ყველას რიგს მისცემდა.

თეკლე. იჰ, გენაცვა! რა იცის მამაჩემმა მაგისთანაებისა: თავის დღეში ომისა და გარეთ სიარულის მეტი არა უცდიარა... რა ვქნა, რატომ აგრე ხარ? ჩემს თვალში თითქო დაფიქრებულსა ჰგევხარ. კვლავ კი იცი ხოლმე ხალხში გამხიარულება და ეხლა კი, როდესაც შენი მხიარულება უფრო საჭიროა, ვერა ხარ გუნებაზედ. ხომ იცი, რაც უნდა კარგი მასპინძელი იყო, თუ თითონ მხიარული არ იქნები — ყველა ამაო იქნება.

დიდი მოურავი. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო თეკლე, როცა დრო მოვა ჰნახავ, რომ ჩემზედ მხიარული არავინ იქნება. ამდენს ხანს როგორ ვერ გაიცან ჩემი ხასიათი.

თეკლე. შენს ხასიათს განა მიხვდება ვინმე? ოხ, გიორგი, რომ იცოდე, რა რიგათა სწყლავს ჩემს გულს შენი გამოუთქმელობა! რომ იცოდე რა რიგად მინდა, რომ ჩამასხედა შენს გუნებაში და მაცოდინა შენი ყოველი ფიქრის მოძრაობა....

დიდი მოურავი. თეკლევ, ჩემო დაუფასებელო თეკლევ! ყველაზედ ძვირად მიღირს შენი სიყვარული, — შენი საყვარელი მაძლევს ხშირად მხნეობას და მით მომწონს ამ ქვეყანაში თავი. მაგრამ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაგაზედ ნურასოდეს ნუ იწუხებ. ბევრი იმისთანა-ხასიათია, რომ, რამდენიც უფრო ღრმად ჩაჰხედავ გულში, იმდენი უფრო დაგემალება ყოველი გულის პასუხი და ბინდისა და არეული გულის მეტს ვერას დაინახავ. და ეს სანახავი არა თუ დაამშვიდებს, პირიქით უარესს მოუსვენრობაში ჩააგდებს კაცს.

თეკლე. (მივა და დაეყრდნობა თავით მხარზედ). შენ გენაცვალოს შენი თეკლე! (პატარა ხანს უჯან გადის).

დიდი მოურავი. საწყალი ჩემი თეკლე! რომ იცოდეს რა ალი ტრიალებს ჩემს გულში, რომ იცოდეს რამდენი არეული

სამშვიდა, რომ არც ჩვენი და არც თათარხნის ჯარი არ მოე-
შინ ენ. ყველას ერთ წუთას მოჰსაზრავდა და იმწამსვე აღას-
რულებდა. ჩვენ ეს გვიკვირდა, რომ ამ აშიკოთებულს და გალო-
რომე კაცს, სადღა ჰქონდა მოფიქრებისა და მოსაზრების თავი.
და სმაქვს, დედავ ქეთევან, რომ როგორც მაშინ გამიწია ერთ-
ნი ვა ისე ყოველთვის იქნება ჩემი ერთგული და თქვენც, ვი-
ღიას; ქედა, იქნებით ყოველთვის ამის ჩამგონებელი. დღეს
ორი ჩვენი მტერი შიშით შემოჰყურებს მაგის სახელს, და
დომ ატრიან, რომ მაგისთანა ყმა მყავს. (მეფე შუბლ-ქვეშ და-
ჯოთ მაგრინეს ცქერას.)

ფრთ ეთევან. არ გახლავსთ, მეფეო, ჩემი გიორგი ღირსი მაგ
ქრებ თქვენის ქებისა, და თუ შეუძლიან რამე, მაგისი თავი
გულ ბათ ყოველთვის თქვენის ჭირის სანაცვლო და თქვენს სამსა-
ურდა დაჰქლიოს თავისი დღენი,—ოღონდ თქვენ ბრძანდე-
მოიწ მუდამ მაგისი მწყალობელი. (შემოაქვსთ ტაბლებით
დ სდგამენ.)

არიან? ეი. (ცალკე). რა მშვენიერი რამ არის ეს მოურავის
ვაჟენი ლამაზი ქალი მინახავს და მაგისი უმშვენიერესი
დიდ რა; მიხვრა-მოხვრა, თვალ-ტანადობა, ეშხი—სულ
რავი დამხედ უფრო უკეთესი აქვს, ერთმანერთზედ უფრო

მოურავი. მეფევ! სუფრა თქვენ გელისთ.

დარ მობრუნდება და გადაწყობს მოურავს ხელებს). გიორ-
ლებითა და და შენ ისე უნდა გავმხიარულდეთ, როგორც
და ქალები, ათარხანზედ გამარჯვებულებს, ჰყურობ მტე-
კრძგვ იჩუმდა. შენ რომ შენს სამოურავოებში უფ-
დედოფ რა ჰყოფილიყავ, მე მინდოდა, რომ შენ მე
თქვენს შვილი ომ მორებოდი. შენ როცა ჩემს გვერდითა გხედავ,
თქვენმა მფე, იჩქვა და ლაპარაკობ,—ასე მგონია მთელი ხმე-
მფევე, რ

ღეთი მე მიშველის და როგორც მინდა, ისე ვაბრუნებ მიქი, შენი ნახვა და ჩემი გულის გამხნევება—ერთია ხოლმე. და ვაი იმას, ვინც ამას იქით კიდევ მოინდომებს ჩვენს დაშორებას (მეფე მოეხვევა მოუვრავს. ცრემლები მოსდის. სტუმრები უყურებენ. ვადიმან და ზოგიერთი სხვები თავს ჰღუნავენ.

ნუგზარ არაგვის ერისთავი. (მეფეს). ერთი მობრძანდი, მამაშვილობასა, რა დროს ალერსია. ეგ ჩემი სიძე აქ არ იქნება, ხომ არსად გარბის, ვაჟო! ჩვენ მეცელი ვალალას [illegible] და თქვენ მანდ ალერსს რასმე უნდებით

მეფე. ნუგზარ გაგვიჯავრდა, ნუგზარი. (მეფე ს[illegible] ჯდება სუფრაზედ). ნუგზარ! მოდი, ჩემთან დაბრძანდი. ხომ იცი შენი ლაპარაკი მიყვარს. როგორ იყო, ხევსურ[illegible] რომ მოატყუე და ღამე სულ ბუჩქებისთვის ასროლინე [illegible] თქვენ რომ უკანიდამ მოექეცით და ქიშმაკები ეგონეთ?. შენც [illegible] გადაგხედია. მაგრამ ახლა შენ რომ შენი სიძე გჯობია, ეგ კი არაფერია.

ნუგზარ. შენამც დღეგრძელ იყავ, თორემ მჯობს [illegible] მჯობბი არ დაილევის. მინამ ბიჭობა მეთქმოდა—ჩემი [illegible] მჯობნიდა და ახლა სირცხვილიც კი იქნება, რომ ეგ [illegible] მჯობდეს. ნათქვამია: „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო." თუ ლაჩარი ვინმე ყოფილიყო, ერთის დღესაც არ დავაყენებდი ჩემს ქალს მაგასთანა. (ჯდება მეფესთან. უმეღლანი სხდებიან)

მეფე. გიორგი შენა?

დიდი მოურავი. მე, შენი ჭირიმე, მასპინძელი გახლავართ და თქვენი ხლება მმართებს.

მეფე. შენ არ მომიკვდე და მამაჩემიც არ წამოწყდეს, რომ მე შენ ეგ არ გიყაბულო. თუ ჩვენი სიამოვნება გინდა — შენ უნდა ჩვენთან იჯდე.

დიდი მოურავი. მორჩილი გახლავართ თქვენის ბრძანებისა.

მეფე. აქ ჩემთან დაჯექ (მოურავი ჯდება). მოგვილოცავს ტოლუმბაშობა

დიდი მოურავი. არა, შენი ჭირიმე, ჩემს სიმამრს მიულოცეთ.

ნუგზარ. რას ჩააცივდი, გაქო, შენს სიმამრსა? ხომ ჰხედავ კაცი დავბერდი! რადგან სუყველაფერში პირველს შენ გეძახიან, სმაშიაც შენ უნდა იყვე პირველი და ახლა გამოგიჩნდება ბიჭობა

მეფე. მართალსა ბრძანებს ნუგზარი: ვნახავთ ღვინოშიაც გვაჯობებ, თუ არა.

დიდი მოურავი. მაშ ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი დიდებული დედოფალი და გაამძლიეროს ისე, როგორც თავისი და ქვეყნის გული სთხოვდეს, (სვამს. ჰსმენ ყველანი). დიდებულო ხელმწიფევ, ბატონო ლუარსაბ! ღმერთსა ვსთხოვ და ჩვენს სალოცავებს, რომ ყოველთვის ეგრე გამარჯვებით გატაროს, როგორც თათარხანზედ; მოგცეს შენი სამეფოს სიყვარული და დაგამშვიდობიანებინოს საქართველო, როგორც ამას ჰსაჭიროებდეს ქვეყანა; და ვინც ამაში ხელი არ მოგამართოს — წყეულიმც იყოს ღვთისაგანაც და ქვეყნისაგანაც.

მეფე. ამინ! (დგება, ეწოდება და ჰკოცნის მოურავს).

ყველანი. ამინ! ამინ!! (მესკრავეები უკრავენ მრავალჟამიერს და ისმის გარედამ შეძახილი).

შალიმან. დიდებულო და ძლიერო მეფეო! ამაზედ უკეთესს ვერარას ვისურვებ თქვენთვის, რაც მოგეხსენათ, დღეს ჩვენში წარჩინებულის, როგორც ვაჟკაცობით, ეგრეთვე მეტყველებით, დიდის მოურავის სააკაცისაგან. ამაზედ უსაჭიროესი არა არი-რა ჩვენთვის, როგორც ქვეყნის დამშვიდება; და უკეთუ მონანე

შენნი ვიქნებით ყოველთვის ისე ერთგული, როგორც თათარ-ხნის ბრძოლაში, — ამას წინ აღარა უდგასრა ამისგამო, იმ სი-ტყვებთან, რაც მოურავმან მოგახსენათ, ვისურვებ კიდევ, რომ ყმანი შენნი იყვნენ მარადის შენი ერთგულნი და მოსამსახუ-რენი.

ნუგზარ. ამინ! (მოიხდის ქუდს და დასხეთქებს.) ასრე და-ემცეს ოჯახი ბატონის ორგულს. (სვამს.):

ყველანი. ამიიიინ!! (სმენ.)

ნუგზარ. (მღერის. მოურავი ეუბნება მოძახილს და სხვე-ბი ბანს.)

გვიბრძანე, ჩვენო ბატონო,
გახლავართ შენი ყმანია,
შენი მტრის სისხლში მრავალჯერ
ჩვენ ხელი დაგვიბანია:
მებრძოლსა შენსა ძლიერსა
დავაქრევინოთ თავია,
მოვღვაროთ სისხლისა ღვარი
ზღვათამცა შესართავია.

დიდი მოურავი. (აავსებს თასს). შადიმან! შენა ხარ, შემ-დგომ მეფისა და დედოფლისა, უძვირფასესი სტუმარი ჩემს სახლში. შენა ხარ გამზრდელი ჩვენის მეფისა და ამისგამო ძვი-რად უღირხარ ყოველს ქართველს. მაშ ღმერთსა ვსთხოვ შენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს სასიამოვნოდ მეფისა და სასარგე-ლოდ ქვეყნისა. ალავერდი თქვენთან, ჩვენო სანატრელო სტუ-მარო და მეფეო, ლუარსაბ!

მეფე. იახშიოლ! მაგრამ ვწუხვარ, თუ ამ ჟამად ვირაცხები შენს ოჯახში სტუმრად. (სვამს სავსე თასით შადიმანის სადღე-გრძელოს). ალავერდი, ნუგზარ, შენთან. (მესაკრავენი უკრავენ საკრავებს და მომღერლები მღერიან მრავალ-ჟამიერს.)

ნუგზარ. (სვამს.) ალავერდი, რამაზ ბარათაშვილო.

მეფე. ნუგზარ! ზმა, ზმა უნდა სთქვა.

ნუგზარ. ჯერ რამაზმა მოგვახსენოთ და მერე მეც ალვკაზ-მავ ენასა.

მეფე. (იცინის, იცინიან სხვებიც). მაშ, აბა რამაზზედა სთქვი ზმა.

ნუგზარ. რამაზა გახლავსთ, თორემ მოგახსენებდი. (ყველანი იცინიან.)

რამაზ. ეს მთიული გახლავსთ და მაგან უგზა რიდოდ იცის სიარული.

მეფე. შენმა მზემ ძმეც კარგი იყო. მაშ ადი მანგლისს და მოერიდე.

მაღიმან. მეფეთა მტვერი გახლავართ თქვენის ბრძანებისა.

დიდი მოურავი. ოჰ! შენმა მზემ, მაღიმანს უფრო კარგი მოუვიდა. (მეფეს.) ნება გვიბოძეთ, მეფეო, გაასხლოთ მზმელი და მუსიკი, რომ მოგახსენოსთ თქვენი საკადრისი სიმღერა.

ყველანი. მოვიდეს, მოვიდეს.

დიდი მოურავი. გიორგი ქავთარაძე! მეფეს სურს, რომ მოახსენო თავისი საკადრისი შემკობა.

გიორგი ქავთარაძე. (აიღებს წინწილს და დაიჩოქებს მეფის წინ, უკრავს და მღერის.)

აგერ დამდგარა სისხლის ზღვა ძმათა და შვილთა დაღ-
გრილი:
და ქვეყნის წასალეკავად არის მწარედ აღელვებული,
სისხლის მწყურვალნი შმაგთანა, ხელთ სიკვდილი ამართულები,
შიგა სცურავენ და სისხლით არ ძღება მათი გულები.
ჰღელავს და იბრძვის სისხლის ზღვა და სისხლს თხოუ-
ლობს სისხლშია,
სისხლსა დაურთვის სისხლისა ნაკადი ყოველს პირშია.

ცოდვისა ღული ტრიალებს, სწვავს და აღელვებს გულსა
და ზარდაცემულს ქვეყანას მწარედ უდუნებს ენასა.
მთლად იმედ გადაწყვეტილი ელის ქვეყანა იმ დღესა,
რომ სისხლისა და ცოდვის ზღვა მრისხხად გადმოჰხეთქს კიდესა,
და ქვეყნად მხოლოდ დასტოვებს გოდებასა და მოთქმასა.
მაშინ შორს გემი გამოსჩნდა სისხლის ზღვაზედა მცურავი,
შიგა ზის მეფე ლომ-გული, ქვეყნისთვის თავ-გამწირავი,
მას დროშა დამშვიდებისა აუმართნია გემზედა
და განწირულსა ქვეყანას სულდა მოუშვა გულზედა.

ბარათა ბარათაშვილი. ჯან, გიორგი ქავთარაშვილო! გიორგი ქავთარაძეს გაუმარჯოს! (სცლის ყანწს). ალავერდი შენთან.

ქავთარაძე (ჩამოართმევს). ღმერთმა გაამძლიეროს ჩვენი დიდებული მეფე ლუარსაბ, რომლისაც იმედით სცხოვრებს ახლა ჩვენი გაჭირვებული საქართველო. (უსუნთქლივ ჰსვამს. გარედამ ისმის საყვირისა და ნაღარის ხმა, ჯარების ყიჟინა და შეძლუსი. ქავთარაძე დგება.) დიდებულო მეფევ! რასაკვირველია, დღეს მოურავის სახლში არიან თქვენს შესაქცევრად და სადიდებლად მოწვეულნი პირველი შემაქცევარნი და მომღერალნი. მაგრამ თვით მოურავის სახლში იმყოფება იმისთანა მშვენიერი ხმის მქონე და სიმღერის მცოდნე, რომლისა წინაშე არც ერთი მომღერალი და არც ერთი მოსაკრავე არ გამოდგება. ეს გახლავსთ მოურავის და — მშვენიერი მაკრინე.

მეფე. ჩემთვის ყველა საკრავზედ და ყველა ხმაზედ სასიამოვნოა — ქალის სიმღერა, და უკეთუ მშვენიერი მაკრინე ღირს გვყოფს და გაგვაპატიოსნებს თავისის მშვენიერის ხმის გაგონებით, ჩვენი პირველი სათხოვარი იქნება — რომ შეასრულოს იმან ჩვენი სურვილი.

მოურავი. ყოველი თქვენი ყმა უნდა იყოს მორჩილი თქვენის ბრძანებისა.

გიორგი ქავთარაძე. (მიართმევს მაკრინეს სანთურს და დაიჩოქებს ცალის მუხლით). ჩვენი დიდებულის მეფის სურვილია, რომ ყოვლითურთ შემკობილი სუფრა—შეამკოთ თქვენის მშვენიერის ხმით.

შადიმან. (ეჩურჩულება რაღასაც ბარათა ბარათაშვილს. ბარათა წარბს შეიჭმუხვნის და რაღასაც მწარედ იღიმება.)

მაკრინე. (ჩამოართმევს სანთურს და, შემკრთალი, ვერა ჰბედავს ჯერ დაკვრას. ამ დროს მესაკრავეები უკრავენ რაღაც ტკბილს ხმას. ამასობაში მაკრინე ემზადება და იმშვიდებს გულს. მესაკრავეები გაჩუმდებიან. მაკრინე მთრთოლარეს ხმით დაიწყებს. ყველანი სულ-გაკმენდილები ისმენენ).

«შენგნით მოელის ქვეყანა
მწუხარებიდამ დახსნასა,
თვალებზედ ცრემლის შეშრობას,
გულზედ სალმუნის დასხმასა.
გლოვისა ზარმა მოიცვა
ძაძა-მოსილი ქვეყანა:
სულ მუდამ ცრემლი და გლოვა.—
გლოვა და ცრემლი ყველგანა.
მთა ველსა ცრემლით გასტირის,
ველი მთას ეტყვის ცრემლით ბანს.
მიწა ცას ცრემლით შესტირის
და მიწას ცხელი ცრემლი ჰრწყავს.
შენგნით მოელის ქვეყანა
მწუხარებიდამ დახსნასა,
თვალებზედ ცრემლის შეშრობას,
გულზედ სალმუნის დასხმასა.

(მაკრინე გაჩუმდება. რამდენსამე ხანს ყველანი გაშტერებულივით გაჩუმებულები სხედან).

მეფე. გიორგი მოურავო! გამეგონა შენი დის სიმღერის ქება, და მართლაც, რომ საქები ყოფილა. მაგ-გვარი მშვენიერი ხმა და სიმღერა ჯერ ჩემს ყურს არ გაუგონია. უკაცრავად ვიქნები, რომ ამ ერთს შემთხვევაში ჩამოგართვა ტოლუბაშობა. მე მინდა დავლიო შენის დის სადღეგრძელო და მსურს, რომ თასი გამივსოს თვით შენმა დამ თვისის მშვენიერის ხელებით.

მოურავი. თქვენის ბრძანების უარის თქმა ჩემს სახლში არავის შეუძლიან. იახლე, მაკრინე, ჩვენს დიდებულს მეფეს.

მაკრინე. (ადგება, აიღებს ვერცხლის სალვინეს, დაიჩოქებს ცალს მუხლზედ და დაუსხამს მეფეს ღვინოს ოქროს თასზედ, რომელიც უჭირავს თვით მეფეს).

მეფე. მშვენიერო მაკრინე! დღეს მეფე შენი გხედავს შენ ღირსეულად ყოველთა ქალწულთა და ჰსვამს შენს სადღეგრძელოს. (იწაფებს თასს და უსუნთქლივ ჰსვამს.) ალავერდი შენთან, შადიმან, ჩემო ერთგულო გამზრდელო.

შადიმან. (ჩამოართმევს სავსე თასს, რომელსაც ავსებს თვით მეფე, და ჰსვამს). მშვენიერო დაო მაკრინე! დღეს მრავალნი წარჩინებულნი ქალწულნი შემოჰნატრიან შენს დიდებას, ვინაიდგან ასე მწყალობლად გიყურებს მაღალი და ძლიერი მეფე ჩვენი. ვისურვებ, რათა საფერისად დააფასო სითავდაბლე და წყალობა მეფისა.

მაკრინე. (ჯდება თავის ადგილას. ყველანი ჰსმენ მაკრინეს სადღეგრძელოს.)

მეფე (შეზარხოშებული). გიორგი მოურავო! უბრძანე მოსაკრავეთა და საზანდრებთ, რომ დაუკრან მაკრინეს შესამკობელი ხმები.

(მესაკრავეები უკრავენ. გარეთ ისმის ჯარების ყიჟინა, ბუკისა და საყვირის ხმა. ამათ შემდგომ სუფრაზედ სტუმრები ამბობენ სუფრულს, მეფე ეუბნება ბანს.)

მოურავი (მესაკრავეებს). სათამაშო! (უკრავენ სათამაშოს. მოურავი ადგება და თამაშობს, მერე თავს დაუკრავს მეფეს.) პატრონო ლუარსაბ, თუ ეხლა არ ითამაშე, მე ისე ჩავიგდებ, ვითომც სრული გული არა გქონოდეს ჩემს დახვედრაზედ.

მეფე. (ადგება და თამაშობს. გაათავებს და თავს დაუკრავს მაკრინეს.) იმედი მაქვს, როგორც სიმღერა გცოდნიათ მშვენიერი, ისე თამაშობაც გეცოდინებათ.

მაკრინე (ვერ ჰბედავს ჯერ. მოურავი წაავლებს ხელს და აყენებს, მაკრინე თამაშობს. მეფე და სხვები უკვრენ ტაშს).

შადიმან. შენ ჰნახავ, ბარათავ, თუ რითი გათავდეს ეს ამბავი. მოურავი თავის გველობას და ოსტატობას არც აქ იშლის.

ბარათა. ეგ მაგას სულ წინად ექნებოდა გამზადებული; ხომ იცი, რომ უანგარიშოდ ეგ ერთს ნაბიჯსაც არ გადასდგამს წინ.

მელიქ. ათაბაგი. ჩვენ მაგას თუ არა მოუცვარეთ რა, ეგ არ გვახყირებს ჩვენ. (თამაშობა გრძელდება. ყველანი აიშლებიან სუფრიდამ, მეფე ათამაშებს შადიმანს, ბარათას, ნუგზარს და სხვა ყველა დიდებულთ).

ნუგზარ (რა დაატყობს მეფეს დაღალვას). ასედა, ჩვენო პატიოსანო პატრონო მეფეო, მე და შენ რომ პატარა მოვისვენოთ, ურიგო არ იქნება, თქვენთვის ცალკე ოთახი მზად გახლავს. თუ გნებავსთ დედოფალთან გაბრძანდით, ისინიც წაბრძანდნენ მოსასვენებლად.

შადიმან. კარგი იქნება, ნუგზარ მართალსა ბრძანებს... ასირებული მაგარი ღვინოები იყო.

მეფე. ვასრულებ თქვენ სურვილს. (თავზედ ხელს ისვამს.) გიორგი მოურავო! (მოურავი მივა მაშინვე). მე ისეთს გუნება-ზედა ვარ, რომ, თუნდა კიდეც არ გიამოს, ამაღამაც შენი წვე-ული ვარ. ეცადე, რომ ასე კარგად არ დამიხვდე, თორემ აღარც ხვალ წავალ.

დიდი მოურავი. მოკვდეს შენი გიორგი, თუ მაგის უკე-თესს წყალობას შენ იმაზედ მოიღებდი. და მანამ ვიცოცხლო, მინამ ამაზედ უარესის გულით გიორგი შენ დაგიხვდებოდეს. (მოსაკრავეებს.) მოსალოცი დაუკარით: მეფე ამაღამაც, ხვალაც ჩემი სტუმარია. თითონა ბრძანა და მეფის სიტყვა აღარ გატყ-დება. (მესაკრავენი უკვრენ).

მეფე (ეხვევა გიორგის და ჰკოცნის). აჰ, შენი ჭირიმე! ღმერთმა მომკლას, თუ ჩემს საყმოში — შენზედ საყვარელი მე მყავდეს. (მეფე გადის. გადიან სხვებიც.)

## სცენა 3.

ოთახი დიდი-მოურავის სასახლეში, სადაც განისვენებს დედა მეფისა.

მეფე ლუარსაბ. (შემოაღებს ჩუმად კარს და შემოდის.) დედა, არა გძინავსთ.

დედოფალი. ოჰ, შვილო, შენა? მოდი ჩემთან, გენაცვა-ლოს დედა, ახლა როგორ ხარ?

მეფე. ახლა ცოტა გამოვფხიზლდი. ბარათა, ნუგზარ, შა-დიმან, თეიმურაზ, ქაიხოსრო სულ ერთს ოთახში ჰყრიან და სძინავთ; უნდა დაგანახვათ ნუგზარ და ხოსია როგორა ხვრინა-ვენ, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ძალიან დაიხ-ვრინებსო. (ჯდება დედუფლის გვერდით და უწვება კალთაში.

დედოფალი შუბლზედ ხელს უსვამს. მეფე (ამოიოხრებს) გამოვცხიზლდი კი, დედილო, მაგრამ ღვინოზედ უფრო ახლა სხვა რამე მომეკიდა. აქამდის ვიწექ ჩემს ოთახში მარტოკა და ეს ფიქრი თავიდამ არ გამომდიოდა.

დედოფალი. რა ფიქრი; შვილო? რა დროს შენი ფიქრებია, შენ განაცვალოს დედაშენი. შენც რო საფიქრელი რამე გქონდეს. მაშ ვიღა უნდა იყოს უფიქრელი.

მეფე. რა ფიქრი, დედაჩემო, და — ტყუილი დაფარვა ტყუილი იქნება, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ შენ ჩემი ჰაზრი არ მოიწონო და ამასაც კი მოგახსენებ, რომ თუ ეს არ შემისრულდა სხვა ამ გვარი სურვილი ჩემს გულში თავის დღეში აღარ გაივლის. ვიცი, რომ ჩემზედ უსაყვარლესი შენ არა ვინა გყავს და ამისგამო იმედი მაქვს, რომ ამ ჩემი გულის საქმეში ხელს არ მომიცრი.

დედოფალი. უი, შვილო! თუ შენი სავნები საქმე არა იქნებარა — ღმერთი არ ჩამქოლავს, რომ შენ ხელი მოგიცარო. შენს მეტი ვიღა გამაჩნია: ერთი შენღა ხარ ჩემი სულის ჩამდგმელი (მოსდის ცრემლები).

მეფე. შენ თითონ კარგად მოგეხსენება, დედუფალო, რომ დღეს მოურავზედ ძლიერი კაცი არ არის ჩვენს სამეფოში. ჯერ ახლა უმაწვილია და ქვეყანა მაგას შესცქერის და ერთი თავისის სიტყვით, როგორც უნდა ატრიალებს პირველი გვარის თავადებს და მთავრებს, და მერე რაც უფრო ხანში შევა და გამოიცდება, მაშინ ხომ ქვეყანა სულ მაგით ხელთ იქნება. აგრეთვე კარგად იცი, რომ მრავალი მეშურნენი ჰყვანან მაგასაც და მეც და ერთყამად კიდეც ჩამოაგდეს ჩვენში შური. ქვეყანა ელის ჩემგან შველას. ქვეყანა იღუპება უპატრონობით, ასე რომ სიმღერაშიაც კი ამას მღერიან, და მე მარტო არაფერი არა შემიძლიანრა. ამისთანა დროს ყველაზედ უფრო საჭირო ჩემთვის

არის მოურავი. ამისგამო მე მსურს მოურავის დამოყვრება. იმა-
სი დაა მაკრინე, რომელმაც დღეს ისე მიიზიდა ჩემი გული, რომ ჩემი თავი ჩემს ხელთ აღარა მგონია, არის ყველა ჩემს საცოლეებზედ ღირსი დედოფლობისა. თუ არ მაკრინეს — სხვას დედუფლად საქართველოს ტახტზედ არა ვის დავისვამ; ბერობას ვირჩევ, უმაკრინეოდ კი არ შემიძლიან. ამისგამო, გთხოვ, დედაჩემო, რომ დღესვე მოელაპარაკო ვისიმე პირით მოურავის დედას, რომ ხვალ ან ამაღამვე დავიწეროთ ჯვარი.

დედოფალი (შეფიქრებული). დაიცა, შვილო, ცოტა მაინც მომაფიქრებინე, ან დავეკითხოთ ვისმე: ზოგს მამის ოდენა ამაგი აქვს შენზედ, ზოგი სარდალია, ზოგი სისხლი და ხორცი. უიმათოდ როგორ იქნება. წინააღმდეგი ვის შეუძლიან, მაგრამ სამართალია, რომ იმათაც დავეკითხვნეთ, თორემ ქვეყანა რას იტყვის.

მეფე. ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს გახლავსთ, რომ მოურავის და ხვალ ან ამაღამ უნდა შევირთო. ახლა თქვენ იცით: გინდა ჰკითხეთ ვისმე, გინდა — ნუ. საქმე ამაღამამდის უნდა გადასწყდეს. თუ მალე არ დავიგულე ჩემად ჩემი მშვენიერი მაკრინე, — ჩემი თავის იმედი აღარა მაქვს. (გადის).

დედოფალი (მარტო). ქა! გენაცვალეთ! ასე უეცრად! რა უნდა ვქნა ახლა! ეგ ერთი აყინებული ხასიათისაა, და უყაბულებენ პირველი კაცნი უბრალო აზნაურის ქალის შერთვას!?..

შალიმან (ოდნავ შემოაღებს კარს, შემოიხედავს და მერე შემოდის). ბატონო დედუფალო, ხომ არ განისვენებთ?

დედოფალი. ოჰ, შალიმან! მობრძანდი. ეს არის ეხლა შენთანა მქონდა ფიქრი. დაბრძანდი.

შალიმან. მე გეახლით, ბატონო დედუფალო, რომ გაგაფთხილოთ ჩემი გაზრდილის შესახებ. აბა იფიქრეთ, რა უბედურება იქნება ჩემთვის და ქვეყნისთვის რომ ჩვენი მეფ

ნის თვალი მეფე, რამე თავის დასამცრობის საქმეს შეემთხვეს! თქვენც შეჰნიშნავდით, დედუფალო, დღეს რა რიგად შეიქნა მეფე მოურავის დისთვის. ჩვენ უნდა გავეჩქარნეთ აქედამ, რომ ამაღამის ლხინში ყმაწვილი მეფე უფრო არ აიტანოს ამ ქალის სურვილმა. ცხენები მზად არიან და წასვლის მეტი აღარა გვინდარა. მუხლ მოდრეკით გევედრებით, რომ არ გაუშვათ თქვენი შვილი ამაღამ აქ.

დედუფალი. აჰ, ჩემო შადიმან! მეც ეხლა მაგ ფიქრში ვიყავ და ამიტომ მინდოდა შენი ნახვა. შენი მტერი, ჩემი საქმეა, არ ვიცი, რა წყალში ჩავარდე. ეს არი ეხლა იყო აქ ჩემთან ჩემი შვილი. ეს დამადგა: გინდა თუ არა მოურავის დაი უნდა შევირთოვო, თუ არა და ბერად შევდგებიო. მოფიქრებაც არ დამაცალა, ისე ამიჯინა: გინდა, თუ არა დღესვე მოელაპარაკე მოურავს და იმის დედას, რომ ამაღამვე უნდა ჯვარი დავიწეროთ. რა ვქნა და რა წყალში ჩავვარდე?

შადიმანი. (ჩაფიქრდება და მერე ადგება). ოოჰ! განა არ ვიცოდი მე სააკაძის გველური ხასიათი. იმას განგებ ჰქონდა გამართული დღევანდელი წვეულება; განგებ ჰყვანდა ქალები მოწვეული და განგებ გამოაჩინა და ამღერა თავის დაი. იმან იცოდა თავისი დის მშვენიერება და მეფის ყმაწვილური ხასიათი, და უნდა ეს განგებ მოახდინა. ქავთარაძე არის მაგის კუდი და რაც მოურავს ჰნებავს — ის იმას სჩადის... რამდენჯერ მოგახსენეთ, დედოფალო, რომ, მანამ გიორგი სააკაძე ცოცხალია, მანამ ქვეყანას კეთილს არ დაადგრის და არავის მოასვენებს, მეთქი. ჯერ რომ გამდელიც არ ვიყო და ამოდენა ამაგიც არა მქონდეს მეფესა და იმის სახლზედ — ჩემს დროულს ადამიანს ყოველმარიც დაეჯერება. აბა ახლა რა უნდა უყოთ! ვიდა რას ჩააგონებს მაგგას. ქვეყნის სამარცხვინოდ, თქვენი ჭირიმეთ, მეფე როგორ უნდა გაუხდეს სიძედ ერთ ვიღაც კუდა აზნაურს! მაგას თითონ

ხელმწიფეები არ დაუჭერდნენ ქალს და დღეს სააკაძე უნდა დამოუვრთოს! რატომ არ გასკდება დედამიწა და არ ჩაიტანს მაგისთანა ბოროტს და ქვეყნის ამრევს კაცებს! რატომ ქვეყანა არ შეირყევა, რომ ყოვლად-საქართველოს მპყრობელიმ, მეფე საბარათიანოსი, ქსნისა, არაგვისა, ქრცხინვალისა, მუხრანისა და სხვათა— შეიქნეს სიმედ ერთი უკანასკნელის აზნაურისა. ოო! დაინგრეს ის დღე და ის საათი, როდესაც გიორგი სააკაძე ჩამოთესლდა მეფის სასახლეში. დაიქცეს ის უკუღმართი საათი, როდესაც ამ მეფემ და დედოფალმა დაინახეს კარგს თვალზედ. მაშინვე ეტყობოდა მაგას გველობა, მაგრამ ჩემი გამგონე ვინ იყო! (დაჯდება და დაიფიქრდება. ადგება ისევ) დედოფალო! მე ერთს ფიქრზედ მოვედი და ამის მეტი სახსარი ჩვენ არა გვაქვს.

დედოფალი. აბა, გენაცვალოს ჩემი თავი, მუდამ ჩემი ოჯახის ერთგულო და დამცველო შადიმან!

შადიმან. მეფე ლუარსაბი ჯერ ახალგაზდაა. მაგის გულის თქმა არის წუთის სურვილი, და თუ ეგ წუთის სურვილი შეუსრულდა, იმავ წამს ყოველივე ტრფიალება გულიდამ გადაუვარდება და იქნება სიყვარული სიძულვილადაც გადაექცეს. ამისგამო, მე ვფიქრობ და იმედიცა მაქვს, რომ ის ქალი უქორწილოთაც გაურიგო და მაშინ მეფე ხვალ თითონვე განერიდება მაგ ქალს.

დედოფალი. შადიმან, ღმერთმა კარგი მოგცეს, კარგი აზრი ეგ იყოს, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ეგ არის და გიორგი სააკაძისა.

შადიმან. რა! მე თქვენ მოგახსენოთ, გვარის შვილობა წაუხდება! თქვენ ვერ გიცნიათ სააკაძე. ოღონდ მეფისგან გამოელოდდეს რასმე, თორემ.... მე მომანდეთ და მე მიგასრია.

დედოფალი. შენ იცი, შადიმან, ოღონდ სირცხვილში კი არაში ჩაგვაგდო.

შალიმან. სააკაძემ სირცხვილისა არა იცისრა...... ჯერ საქართველოს ტახტი ისე არ დამცირებულა, რომ სააკაძის ქალი დედოფლად იჯდეს. (გადის).

## სცენა 4.

ოთახი დიდი მოურავისა.

დიდი მოურავი. მეფეს ძალიან გაუჯდა ჩემი დის საყვარული, სადილსუკან ის იწვა მარტო ოთახში გულაღმა, მკლავები ჰქონდა თვალებზედ გადაფარებული და ორჯერ—სამჯერ მოვკარ ყური, რომ ბურანში ის მაკრინეს სახელს ახსენებდა და ოხრავდა. ღმერთმა ჰქნას მაგ ოხვრას მოჰყვეს ქვეყნის ლხენა.

ქეთევან. (უცებ შემოაღებს ოთახის კარს და შემოდის). აკი გითხარ, შვილო, რომ ჩემს მაკრინეს ნუ გამოაჩენთ მე-თქი! რაზედ დამღუპე, რაზედ შემარცხვინე, რაზედ გამომჭერ ყელი, შე ჩემის ცოდვით სავსევ! (სტირის).

დიდი მოურავი. რა იყო დედაჩემო? რა მოხდა ჰგრეთი?

ქეთევან. რა მოხდა — და მეფეს ჩვენი შერცხვენა მოუნდომია..... თქვენი ჭირიმეთ, რატომ არ ჩამქოლავთ ამ დღის მომსწრესა!

დიდი მოურავი. როგორ! ვინ გითხრა?

ქეთევან. თვითონ მაკრინემ, იმ უბედურის და უკუღმართი დღის ნაშობმა. მეფეს ბაზიერი შემოუჩენია.

მოურავი. და ბაზიერსაც გაუბედნია მაგ ამბისა ჩემს ოჯახში შემოტანა?! (იტაცებს ხანჯალზედ ხელს) სად არის ეხლა?..

ქეთევან. (უღობავს კარსა) შენ გენაცვალე შვილო, ნუ

გაშფოთდები. მე მომკალ ნუღარ მაცოცხლებ და ამ ამბავს ჭე ნუღარ გამოაქვეყნებ.

მოურავი. ვამბე, რომ ჩემს სახლში არიან, თორემ ჩავამწარებდი მაგ კადნიერებისათვის. ვინა! მეფე ლუარსაბ, რომელიც იცნობს ჩემს ამაყს გულს, მიბედავს მაგ გვარს შეურაცხყებას?!.. არა, ეს ლუარსაბის საქმე არ არის, ეს ხდება სხვების შეგონებით. და ვაი იმათ დღეს, თუ ეს მართალი გამოდგა. (გაღებს კარებს) სიახლოვეთ მუხრანის ბატონს, თეიმურაზს, რომ ერთის წუთას აქ შემობრძანდეს.

ქეთევან. ნუ აჩქარდები შვილო, შენ გენაცვალოს დედიშენის თვალები, ნუ მამჭრი საქვეყნოდ თავს. (გადის.)

დიდი მოურავი. ამ დღესაც მოვესწარ, რომ ჩემს სახლს ამ შეურაცხყოფას აყენებენ! ჯერ მოკვლას მიქადოდა — ვერ მოახერხა და ახლა ესეებიც მოუნდომია! ოოჰ, შადიმან! ვიცი სულ შენი ჭუნარებია, ესეები და ავად გაუსწორდებით როდისმე მე და შენ ერთმანეთს. შენ, მგონი, დაგავიწყდა ის დღე, რომ საქვეყნოდ იარაღი აგყარე და დედაკაცის სახელი გიწოდე. ეტყობა საჭიროა, რომ ხშირად გაგიახლებდე ხოლმე ამ დღეებს.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი. (შემოდის). რა ამბავია, გიორგი?

დიდი მოურავი. დაბძანდი, თეიმურაზ, და მოგახსენებ. (დასხდებიან ორივენი). დღეს შენზედ დიდი კაცი, შემდგომ მეფისა, ჩვენში არავინ არის და შენზედ მახლობელიც მე არავინა მყავს. დარწმუნებული ვარ, თეიმურაზ. შენი ძმობისა და მეგობრობისაგან, რომ მე სიტყვა არ გამივა შენგან. მეფის სასიამოვნოდ და შესაქცევრად მოვიწვიე მრავალი დიდი კაცის სახლობანი, სადაც ბრძანდებოდა თქვენი სახლობაც, ვამღერე ჩემი დაი მაგის შესაქცევრად და ვაახლე ღვინის დამსხმელად — შევასრულე, რაც მეფის სურვილი იყო, და მაგან კი ჩემი სახ-

ლის შეურაცხება მოინდომა. ნეტავი იცოდეთ: მეფეს ჩემის დი-სათვის ბაზიერი შეუჩენია!! ამაზედ მეტი შერცხვენა და ლაფის დასხმა რაღა იქნება? ამისთვის, გთხოვ, მიმეგზავნო მეფესთან და ჰკითხო: რას შემართლებოდა ამგვარის შეურაცხებით? ნუ თუ ისე შერცხვენილად მიცნობს, რომ ჰგონია ყოველს შეურაცხე-ბას ავიტანდე! შეუძლიან მომკლას, თავი გამაგდებინოს — ყველა მაგის ხელთ არის — მეფეა, წინააღმდეგი არავის შეუძლიან; მაგ-რამ მაგ გვარს შეურაცხებას, მინამ ეს თავი მხრებზედ მაბია — არ მოვითმენ. დამდევ ვალად, შემიტყე ეს ყველაფერი მეფისა-გან და ეხლავე შემატყობინე.

თეიმურაზ. ბატონი ბრძანდებით, თუ ეგ მართალია, მამაჩემი არ წამიწყენდეს, სწორედ საწყენია და კიდეც მიკვირს მეფის გონიერებისაგან. (თეიმურაზ გადის და მოურავიც თან გასდევს).

მაკრინე. (შემოდის) სად წასულა თქვენი ჭირიმეთ, აქაც არ არის! (დაეშვება ტახტზედ და მიიფარებს თვალებზედ ხელ-სახოცს) ღმერთო! რა შევცოდე ასეთი, რომ ამ სირცხვილში ჩამაგდე!.. რად მომეცა ეს სახიერება, თუ კი ამითი მე ეს სი-რცხვილი და დამცრობა მეწერა! სად იყავ შავო ჭირო, რომ აქამ-დის არ მომკალი და არ მომარჩინე ამ ამბავსა!! რატომ არ და-მჩენჩენს და არ დამასახიჩრეს ამ საშინელმა ყვავილმა და წითე-ლამ, რომელნიც ისრე უწყალოთ მეყარნენ თავს და პირზედ?! რათ უდგამდა დედაჩემი ამ ჭრელოზთა ტაბლას და უკმევდა ბაზმას, რომ ჩემი მაკრინე არ დამისახიჩროვო, თუკი ჩემს უსა-ხიჩრობას მოსდევდა ჩემი თავის მოჭრა!!..

თეკლე. (შემოდის) შენ გენაცვალე, მაკრინე, მართალია, რაც ჩემმა დედამთილმა მიბრძანა?

მაკრინე. აბა! რატომ არ ჩამქოლავდ!!, რასაც ერთი აიჟინებს ჩემო მამია, ველარავინ გადაათქმევინებს; რა გამოჩენა გვემართა ჩვენ შესარცხვენათ.

თეკლე. ემანდა, ებეც შენი მეფე! რომ აგექანებინა: ეგ იმისთანას არა ჰგავს, რომ გიორგი სასიკვდილოთ გაიმეტოსო. ემანდა ეხლა რას ჩადის.

ბაზიერი. (შემოჰყოფს თავს კარებში. მაკრინე ამის დანახვაზედ შეჰკივლებს და გარეთ გავარდება. თეკლე თან გაჰყვება. ბაზიერი შემოდის). მოურავი აქ არა ყოფილა... ჰყურობ, როგორ შეჰკივლა და გაიქცა თითქო აქ არა ამბავიარაო; და წეღან კი კალთაში უვარდებოდა მეფესა. ნეტავი ეს ოხერი მეც ერთი დღე მაინც ვიყვე მეფე: ერთი დასცქერდეს კაცო — რა მშვენიერი რამ არის და!... ამაღამ, ჩემი უგუნური ფიქრით მამაჩემი არ წამიწყდება, ჩვენ მეფეზედ ბედნიერი მეფე ცას ქვეშეთ არავინ იქნება... არც კი ეგ იქნება უბედური: ერთ ღამის დედოფლობაც კარგია! ძალიან უარი კი უტკეცია და!... ახლა ერთი ჩვენი მოურავი ვნახო. პირად იმანაც კი იცის თაკილი, და გულში კი, მამაჩემი არ წამიწყდეს, რომ სიხარულით გაივსება. ბევრისთვის გაუწევია ჩვენს მეფეს სიძეობა, მაგრამ, ოჯახი დამექცეს, თუ იმას ჯერ ასრეთი დაბალი მოყვრები შეჰხვედროდეს... საკაძე! ერთი გუდამშიერი აზნაური!

დიდი მოურავი. (შემოდის და თეიმურაზ მუხრან ბატონიც თან მოსდევს). შენ აქ რას აკეთებ?! როგორ გაჰბედე, რომ ჩემს უნებურად ჩემს სამყოფს ოთახში შემოხველ?!

ბაზიერი. (შემკრთალი უკან იწევს). ცოტა რამ მოსახსენებელი სიტყვა.... თუ თქვენი ნებაც იქნ...............

დიდი მოურავი. აქვე ხარ! (სტაცებს საყელოში ხელს, წასჩხირავს კარებში და გააგდებს ქიმუნჯით)

თეიმურაზ მუხრან-ბატონი. დამშვიდდი და მოისმინე, გიორგი, მეფემ რაც შემოთვალა. მამაჩემი არ წამიწყდება, მოსალოცი ხარ და კიდევ გილოცავ სულით და გულით. მეფემ საკვირვლად გაიოცა ეს ამბავი და სთქვა: ეგ ამბავი შეცდომა იქნებაო. შემოგითვალა, რომ გვეყო, რაც აქამდის ჩვენში შური იყოვო. ახლა მე მრავლის შემთხვევით დავრწმუნდი, რომ შენისთანა ერთგული და საჭირო კაცი არა მყავსო. შენი დაც ძალიან მომეწონა და მსურს, რომ დავმოყვრდეთო. მეფეს ჰსურს რომ, თუ შეიძლებოდეს, ამაღამვე დაიწერონ ჯვარი, თუ არა და ხვალ მაინცა და მაინც. შენმა მზემ, რომ ასე უცებ ბედნიერება ყოვლად მოულოდნელია და კიდევ დაიწყე მზადება ამაღამისთვისვე.... რაკი შენ და მეფე დავჰმოყვრდებით — მტერი ველარას გიზამსთ.

დიდი მოურავი. აბა, ჩემო თეიმურაზ, მეც მანდა ვარ. ღმერთმა კარგი მოგცეს — კარგი ღვთის წყალობა ეგ სხვისთვის იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის ეგეც სწორედ უბედურებაა, ჰსედავ, ჩემი მტრობა რას ჩადის! ეს ჩემი გაუპატიურების მონდომა იმათი საქმეა — მეფეს არც კი გაუგია! ჩემთვის მტერი აქამდის კი არ იყო საშიშარი, ახლა არის. თუ ჩემი და მეფეს მივეცი, აბა შური მაშინ გაიღვიძებს ჩემს მტრებში, და ჩვენ ერთმანერთს შეგვახოცებენ. ამისგამო ხელმეორედ შეგაწუხებ, თეიმურაზ, დამავედრე მეფეს, რომ ჩამომეხსნას. მე, ერთი უბრალო აზნაურ-შვილი, არა ვარ ღირსი მაგის მოყვრობისა: ჯერ არა ყოფილარა და ჩვენი მშურნები ეხლავე შეიბნენ, და რომ მოხდეს რამე, მაშინ, რას უნდა ველოდეთ!

თეიმურაზ მუხრ.-ბატონი. ბატონი ბრძანდებით, მაგრამ არა-მგონია მეფე შენ მაგითი შეიჯერიო. ის იმნაირად ლაპარაკობდა, რომ თუ ნება არ იქნება, იქნება ძალაც იხმაროს.

დიდი მოურავი. თუ მეფემ არ ჰქნას, მაშინ დედოფალს შემახვეწე, რომ ჩამომხსნას ეს ხათაბალა და ნუ ინებებს ჩემს დაღუპვას. დადიანის ქალს ელაპარაკებიან და მაგისი შესაფერიც უფრო დადიანის ქალია და სილამაზითაც ჩემ დას ის არ ჩამოუვა.... სწორედ მუხლ-მოდრეკით შემავედრე, რომ ჩამომეხსნან და მთელს ქვეყანას მტრად ნუ გამიხდიან.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი. შენი ნებაა. (გადის).

გიორგი ქავთარაძე (შემოდის). რას სჩადიხარ, გიორგი, რათ უთვლი უარს? ძლივ საქმე როგორც გვინდოდა, ისე მოვიყვანეთ და ახლა უარზედა სდგეხარ!

მოურავი. ჩვენ უნდა მკვიდრად საქმე დავიჭიროთ. უამისოდ შეიძლება ჩვენი საქმენი და განძრახვანი უფრო წაგვახდინოთ, ეს უფრო მტრად აგვისებს მეფის მახლობელთ, თუ მეფეს კარგათ არ დავიჭირეთ ხელში.

ქავთარაძე. მეც ვფიქრობდი მაგაზედ... ერთი ფეხის გადაბრუნება და ჩვენი მტრობის გამარჯვება ერთი იქნება. მადიმან კიდევ რაღასაც გველამუშაობს...

მეფე. (შემოდის. ქავთარაძე გადის). გიორგი, შენი ნახვა მინდა.

დიდი მოურავი. მობრძანდით, შენი ჭირიმე. (მიეგებება). დაბრძანდით.

მეფე. მამაჩემი არ წამიწყდება, გიორგი, რომ მიკვირს შენი ამბავი. მამასადამე შენ ჩემი დაახლოვება და დაკავშირება არა გნდომებია და უნდა დავიჯერო, რასაც შენზედ აქამდის მეუბნებოდნენ. მე მეგონა ჩვენში ყველა უთანხმოება მოისპო, მეთქი, და ეხლა შენი ქცევიდამ უნდა გამოიყვანო, რომ შენ ჩემზედ გული აქამდის არ გაგიწმენდია. შენი დის შერთვა იმიტომ უფრო მინდა, რომ შენი დაახლოვება მსურს, რომ მე და შენი გაყრა აღარა მტერს და აღარა ენას აღარ შეეძლოს.

დიდი მოურავი: ბატონო მეფევ! ღმერთია გულთა მხილველი, რომ მე, თუ გიბედავ უარს და უშვებ ხელიდამ ამ ბედნიერებას, ეს მომდის თქვენი ერთგულებით და არ მინდა, რომ ამაზედ უმეტესად შეაძულონ ჩემი თავი ჩვენის დამოყვრებისათვის. შენ თვითონ კარგათ იცი, მეფევ, შური მრავალთა საქართველოს დიდებულთა, რომელნიც არც შენ მოგიწონებენ ჩემს დამოყვრებას, და მიგასწავლიებენ იქამდის, რომ შენ გამომეტებ კვალად სასიკვდილოდ. ნუ გიწყინება, მეფევ, მართლის თქმა. შენ კარგათ იცი გიორგი მოურავის ხასიათი, რომ ის ამოღებული ხმლის წინაც არ დაჰფარავს მართალს. შენ ჯერ ისევ უმაწვილი ხარ, შენს ჭკუასა და ახოვნებას მრავალნი ხელმწიფენი ინატრებენ. მაგრამ, შენ არა ხარ ჯერ დამჯდარი ხასიათისა, არა გაქვს გამოცდილება, რომელიც არის საჭირო შენს მდგომარეობაში; არ იცნობ კაცსა და კაცის გულსა, და ამის გამო ადვილად ასდევ სხვის სიტყვას, რომლისგამოც ხშირად ვერ არჩევ ერთგულსა და ორგულს შენსას და შენი ქვეყნისას. შენ გახვევიან იმისთანა გვამნი, რომელნიც თავის სასარგებლოდ ჰხედვენ, რომ არ გამოგიყვანონ მაგ მდგომარეობიდამ. გიფარავენ ცუდს და ყველას კარგის მხრიდამ გიჩვენებენ, გაქებენ პირში და იმისთანა ღირსებებს გიჩვენებენ შენში, რომელთაც შენს გულში ჯერ სრულებით არ გამოუღვიძნიათ, და, რაღა თქმა უნდა, ყველას, ვისაც ატყობენ, რომ უნდა შენი სიმართლის დანახვება, მტრად უყურებენ და უნდათ, რომ ავად იქნება თუ კარგად, მოგაშორონ შენ იმათ. აი, ამისთვის არის, ხელმწიფევ, რომ მე უშვებ ხელიდამ ამგვარს ბედნიერებას და მუხლ მოდრეკითა გთხოვ. (დაუჩოქებს) რომ განმარინო მეცა და შენი თავიც ამ განსაცდელს, რომელიც მოგველის ჩვენი დამოყვრების შემდეგომ.

მეფე. (ააყენებს). ადექ. გიორგი. . . . აბა, შეუბნები ხელი აიღეთ! მაგ სიტყვისა და სიმართლის მთქმელზედ ხელი ავიღო?! ამოდენა ხალხში მარტო ერთსა გხედავ, რომელიც მართალს მაგონებს, რომელიც მიღსნის თვალებს, და ისიც ისე არ დავიახლოვო, როგორც ჩემს გულს ჰსურს, როგორც ჩემთვისა და ქვეყნისთვის არის საჭირო! — არა! არასოდეს! ჩემი სურვილია, რომ მე დღეის იქით ვიყო შენი ოჯახის შვილი და შენ — ჩემი ძმა. და ვაი იმათ ვინც ჩვენ შუაში ჩაგვიდგება. . . . თუ შენ უარს მეტყვი კიდევ, როგორც ქალის პატრონი, მაშინ მე გიბრძანებ შენ, როგორც მეფე თავის ყმას, რომ შენი და მაკრინე უნდა დაჯდეს დედოფლად საქართველოს ტახტზედ.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი. (შემოდის). აი, თვითონ მეფეც აქა ბრძანებულა და თვითონვე გიბრძანებდა თავის პასუხს; დედოფალმაც ბრძანა, რომ ჩემი შვილის სურვილიაო და იმის სურვილის წინააღმდეგი მე არ შემიძლიანო.

მეფე. არა, მამიშენის სულის მზეს, თეიმურაზ, სწორე ბრძანე, დღეს შენც ბაგრატიონთ გვარისა და ჩემი სისხლი და ხორცი ხარ. მოურავზედ უკეთესს ვისმე დაუმოყვრდები მე? ამაზედ უსაჭიროესი კაცი მყავს ვინმე მე დღეს? შენ თითონ კარგად მოგეხსენება, რომ დღეს მეორე მეფე ქართლისა არის — გიორგი მოურავი. გიორგი ვითომ მტრებსა შიშობს. ვიცი, რომ მაგასაც და მეც მრავალი მტრები გვყავან; მაგრამ ამან უფრო არ უნდა დაგვაკავშიროს, რომ ამით უფრო შევაშინოთ ჩვენი მტერი?!

თეიმურაზ. თუ, მეფევ, ჩემი ძვირფასი მეგობარი, გიორგი, გამიგონებს, — მე სწორედ თქვენის აზრისა გახლავართ.

მეფე. აბა, ჩემო გიორგი! ესეც რჩევა იმისთანა კაცისა, რომელიც ორივეს მოყვარე და ერთგული მეგობარია. შენი

უარის თქმა ამას იქით და ჩვენი ერთმანერთის საუკუნოდ და-კარგვა—ერთი იქნება.

დიდი მოურავი. მე თქვენი ბრძანებისა და სურვილის-უარი არ შემიძლიან და ჩემს უბედნიერესი არავინ იქნება თქვე-ნის დამოყვრებით. მაგრამ, რადგან ყველა კაცს ძვირად უღირს თავისი სიცოცხლე და თავისი თავი, ამისგამო გაგიბედავ და-გთხოვ, რომ ამ მუხრან-ბატონის დასწრებით მიბოძო საფიც-რის წერილი, თქვენისა, მოძღვრისა და დედის თქვენის ბეჭდის დასმით, რომ მტრის ენით ამ ჩვენის დამოყვრებით მე შენგან არა მევნოს რა, და მაშინ ქორწილი, როდესაც თქვენი ნება იყოს — გვიბრძანეთ.

მეფე. ამაღამვე. თეიმურაზ, უბრძანე, შენს მზეს, ჩემს მდივანს ეხლავე დასწეროს საფიცრის წერილი იმ სახით, რო-გორც გიორგიმ ბრძანა. მაშ, მოურავო, მე და შენ სიძე-ცო-ლის ძმანი ვართ. ახლა. ჩვენ თვით ეშმაკის ენაც ველარ გაგვ-ყრის. (ეხვევა მოურავს და ჰკოცნიან ერთმანერთს).

თეიმურაზ. მოგვილოცავს. ღმერთმა ბედნიერ გყოთ. ამ მოკლეს ხანში საქართველოსთვის მაგისთანა კარგი არა გარიგე-ბულა რა. მეფე და მოურავი რაკი ერთად არიან, ქვეყანას აღა-რა გაუჭირდება რა. (ეხვევა თითო-თითოდ და ჰკოცნის. ჰკოც-ნიან ისინიც. თეიმურაზ მასუკან გადის):

მეფე. (მიაძახებს.) თეიმურაზ! დედა-ჩემსაც აცნობე ჩემი ბედნიერობა, მობრძანდეს და დაგვილოცოს გვირგვინი. გიორ-გი, შენ ჩემი სასძლო ეხლავე უნდა ჩამაბარო. აცნობე კიდევ, რომ ქვათახევის წინამძღვარი მოემზადოს, ამაღამვე დაგვწეროს ჯვარი.

მოურავი. პაპუნა ჩივიძევ! სთხოვე დედა ჩემს, ჩემს მეუ-ღლეს, ჩემს დას და ყველა დარბაისელთ, რომ მობრძანდნენ და მოგვილოცონ. უბრძანე ჯარებს, რომ გამართონ შე[illegible]უხი, მე-

საკრავეთ, რომ დაჰკრან ბუკსა და ნაღარას. დღეს არის ჩვენი უბედნიერესი დღე: მეფე ირთავს ჩვენს ქალს. უთხარ აუშვან შემხუნაბი და მოუკიდონ ჩირაღდნებს, გამოუშვან ღვინის შარავანდები და ჰსვას ყველამ, ვისაც რამდენი ჰსურდეს. აგრეთვე აცნობეთ ქალაქს წინამძღვარს ნასიძეს, რომ მეფე ამაღამ ჯვარს იწერს იქა, და ყველაფერი გაამზადეთ ქვათა-ხევს წასასვლელად.

მეფე. აბა, ეგრე, ჩემო გიორგი, აი! მერწმუნე დღეს ჩემზედ უბედნიერესი აღარავინ არის. (გარეთ ისმის სროლისა, საკრავებისა და სიმღერების ხმა და ჯარების ყიჟინა. შემოდიან: მოურავის დედა, მაკრინე თეკლე და სხვანი).

მოურავი. (წაავლებს მაკრინეს ხელს და აბარებს მეფეს). დაო ჩემო, დღეს გეწვია შენ ბედნიერება და გისურვა საქართველოს დედუფლად ჩვენმან უძლეველმან და ყოველთა უმშვენიერესმან მეფემან ლუარსაბ, ღმერთმან შეგატკბოსთ ერთმანერთს საბედნიეროდ თქვენდა და თქვენის ქვეყნისა. (შემოდიან დედოფალი და სხვანი მეფის ამალათაგან).

მეფე. დედოფალო! აი, შესრულდა ჩემი გულის წადილი და გთხოვ, რომ დაგვილოცო გვირგვინი მე და ჩემს ძვირფასს მაკრინეს.

დედოფალი. ღმერთმა ისე დაგლოცოსთ, შვილო, როგორც ჩემი გული ესალმებოდეს უფალს. ბედნიერი იყოს თქვენი ქორწინება. ახლა, შვილო, მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, რადგან მოვესწარ შენს ბედნიერებას. (მოსდის ტირილი და ჰკოცნის ჯერ შვილს მერე მაკრინეს).

სტუმრები. ამინ! ამინ!! (ყველანი ულოცვენ).

თეიმურაზ მუხრან-ბატონი (შემოდის, შემოაქვს ხელწერილი და აძლევს მოურავს). სამივეს ბეჭედი აზის და ჩემი და ნუგზარის ხელიც აწერია.

მოურავი. (ჩამოართმევს). მადლობელი გახლავარ. ახლა კლარა მიჭირს რა.

მეფე. შადიმან! შენ დღეს მამის მოადგილე ხარ ჩვენი და სამართალდია ისე დაგვლოცო, როგორც შენი საკუთარი შვილები.

შადიმან. ღმერთმან ისე გაკურთხოთ, ვითარცა აბრაამ და სარა, ისააკ და რებეკა; ისრე შეგაბეროსთ ერთმანერთს, როგორც ჰსურდეს ჩემს გულს. გიორგი მოურავო! სულითა და გულით გილოცავ შენცა და დედა თქვენსაც ამით უფრო ვარ მოხარული, რომ ახლა უფრო მიზეზი გექნებათ თქვენცა და მეფესაც ერთმანერთთან დაახლოვებისა და უმეტესის ერთგულების გამოჩენისაც. (მოურავი და შადიმან ჰკოცნიან ერთმანერთს).

მეფე. უბრძანეთ — ჩემთვის სამეფო და მარინესთვის სადედოფლო ტანისამოსი დაამზადონ საქვათახკვოდ; მოგვართვან ტახტრევანები. ქორწილის ხალხი ამაზედ მეტი აღარ გვინდა. ჩვენ ყველა ესენი ერთად წავალთ. (მიდის და ყველანი თან მისდევენ).

ბაზიერი (მარტოკა). სააკაძის ქალი — საქართველოს დედოფალი!! ვაი ქვეყნის დამცრობავ! ვნახოთ ბოლო რა იქნება!

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II.

### სცენა 1.

ს ც ე ნ ა დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი ს ს ა ხ ლ შ ი.

დიდი-მოურავი. ( ჰბეჭდავს ქაღალდებს ). გესმის, გიორგი, ეს გურიელს მიუტანე, ეს დადიანს. გურიელი დაარწმუნე, რომ ყველა საჭავახო ადგილებს, რომელთაც ეხლა იმერთ მეფე ედავება, მივცემთ; დადიანს ლეჩხუმს დავანებებთ... ხომ ჰხედავენ, რომ მინამ იმერთა მეფე ზის ტახტზედ, იმათ არ მოასვენებს. ჩვენც ყოველთვის იმისგან თქვენსავით შეწუხებაში ვართ-თქო. ესეც იმერთ მეფეს მიეცი. თითონაც კარგათ ჰხედავს, რომ მინამ ეს ორი სამთავრო ცალკე არიან, მანამ იმერეთი სულს ვერ მოიდგამს. უნდა, ერთის სიტყვით ყოველი ღონის-ძიებით ეცადო, რომ მაგათში ამღილობა არ დაზავდეს, თორემ ჩვენ ჩვენს აზრს ვერაფრით აღსრულებაში ვერ მოვიყვანთ. ერისთვებთან და მუხრანის ბატონებთან გვმართებს მაგრათ კავშირი. იასე ერისთავი დიდების მოყვარე კაცია და უნდა ყოველი დიდება აღუთქვათ. თეი-

მურაზ და ქაიხოსრო მუხრანის-ბატონები ქვეყნის ერთგულებაზედ თავსა სდებენ და უნდა ჩვენც ხელი მოუმართოთ, მაგრამ ჩვენი ნამდვილი დაწყობილება არ უნდა იცოდნენ.

გიორგი ქავთარაძე: ჩვენ უნდა დავაჩქაროთ, სანამ მეფე კარგს თვალზედ გვხედავს, თორემ, ხომ იცი, ბევრს ხანს მაგას თავის დადება არაფრისა არ შეუძლიან. ამასთან, შადიმან, შადიმან დააშორე მეფეს და კიდევ მელიქი. ჩემი სათქმელი სულ შადიმან და მელიქი არის, შენ გეტყობა კიდევ ვერ გიცვნია შადიმან.

მეფის კაცი. (შემოდის და აძლევს წიგნს). მეფემ მოგართვათ.

მოურავი. (ჰკითხულობს). კარგი, გიახლებით თქო.

მეფის კაცი. როდის მობრძანდებით?

მოურავი. ამაღამ იქა ვარ.

ქავთარაძე. რასა გწერს მეფე?

მოურავი. ყარაიაზედ მეპატიჟება სანადიროდ და მთხოვს—დღესვე მივიდე, რომ ხვალ ადრიანად უნდა წავიდეთო.

ქავთარაძე. ესეც კარგი მარჯვე დრო. სანამ შენ მეფე მოამზადე, რომ ვინიცობაა, როგორ იყვეს საქმე.

მოურავი. სწორედ, მარჯვე დროა. ფიქრი არ არის, დავიწეროთ პირჯვარი და შევუდგეთ გზას. შენ იქ დამეხმარე, სადაც მე არ ვიყვე, და ღმერთიც მოწყალე. ჯერ ჩვენი საქმე კარგად მიდის.

ქავთარაძე. ყველაფერი შენზედ არის დამოკიდებული. შენს გარე—სხვას შველა აღარ შეუძლიან, და დაიღუპა ქვეყანა. მშვიდობით. მე ხვალ ადრიან გაუდგები გზას.

მოურავი. მშვიდობით. მე უნდა წავიდე, უთხრა, რომ ბიჭები მოემზადნენ და ჩემი ქორ-მემქბრესი გაამზადონ სანადიროდ. (გადიან ორივენი).

## სცენა 2.

მეფის სასახლეში არიან შეყრილნი მრავალი დიდკაცობანი.

შადიმ. ბარათაშვილი. ხომ ჰხედავთ, საქართველოს დიდებულნო და დარბაისელნო, რომ ძლივს გავაბედვინეთ მეფეს მოურავის დაბარება და სიკვდილი, და ახლა ისევ უარზედ სდგას და ამბობს, თუ გინდათ ისევ იმის დას გაუშვებო. ღმერთმან ნუ ჰქნას, რომ მეფემ მოურავის და გაუშვას და მოურავი ცოცხალი დარჩინოს. მაშინ აღარც ერთს აღარ გვასოგინებს საქართველოში. ამისგამო, თუ ეხლავე არ მოვაკვლევინეთ მეფეს მოურავი, სხვა ამისთანა მარჯვე დროს ველარ ჩავიგდებთ. მოურავი ეხლა ხელში გვყავს: ის ამაღამ მეფის დაბარებით ჩამოვა აქ. ჩამოვა თუ არა — უნდა შევიპყრათ, და მაშინვე მოვაშოროთ თავის სოროტს სიცოცხლეს. ამისგამო, დიდებულნო, ეხლა უნდა მეფეს გადაწყვეტილი მოვახსენოთ, რომ, თუ ის ეხლაც არ მოჰკლავს მოურავს, ჩვენ ყველანი შემოვეცარცვებით და მივცემთ სხვას საყმოდ თავს, და მაშინ ვნახოთ მარტო მოურავი რასაც უზამს. თორემ, ჰხედავთ, ერთმა უბრალო აზნაურმა რა რიგ დაიჭირა სადავეები და აღარა დიდი კაცის შვილს სწორად აღარ იხდის. მეტადრე, რაც ის მეფეს დაუმოყვრდა, მეფე იმის დაუკითხავად აღარას აკეთებს და ჩვენს რჩევას და თხოვნას ისე აღარ უგდებს ყურს, თითქო ერთი უბრალო დაბალი კაცის შვილები არიანო. თქვენ ყველანი კარგათ შეჰნიშნავდით, რომ ამ მოკლე ხანებში მეფე, თითქო კიდეც ერიდებოდა ჩვენს სამსჯავროს და თან-და-თან იახლოებდა იმ კაცთ, რომელნიც მოურავს იამებოდნენ. აქამდის ჩვენს სიტყვას მეფე ძვირად თუ ძირს დაუ-

შვებდა, და ახლა ჩვენი ერთგული — თავისიცა და ქვეყნისაც სასარგებლო რჩევა — სიცილათაც არა ჰყოფნის; აღარ იმეტებს აღარც ყმას, აღარც მამულს თავადიშვილებისთვის და სულ იმას გაიძახის, რომ გზები და სიმაგრეები უნდა გავმართოთო. აბა, მიბრძანეთ, ბატონებო, თუ თავადიშვილებს და მთავრებს შეძლება და ძალა არ ექნებათ, რა სიმაგრეებისა და გზების გაწყობა შეიძლება! ერთის სიტყვით, თქვენ ჰხედავთ აქ სულ მოურავის სიტყვას და საქმეს, იმას უნდა რომ ყველა გაასწოროს; და ჩვენგან ეს მოსათმენი არ არის, რომ ერთი უბრალო კაცი ასე ჰრევდეს ქვეყანას.

მელიქ ათაბაგი. დიახ, თქვენმა მზემ, რომ არ არის მოსათმენი: გუშინ ერთი გუდამშიერი აზნაური, დღეს ჩვენ კაცათაც არ გვაგდებს. რასაკვირველია, რომ ამისთანა დროში ქვეყანას კეთილი არ დაეყრება.

ბარათა ბარათაშვილი. თქვენმა მზემ, რომ სულ მისგან არის ქვეყანა არეული: ომიანობა გაჩნდება, სარდლობას არავის ანებებს და ყველაზედ მომეტებულს კაჟკაცობას და ჭკუას ჩემობს; რჩევასა რისამე და ეგ თავის დღეში არავის არ მოიწონებს და იმისთანას იტყვის, რაც სხვას გუნებაშიაც არ გაუვლის. ერთის სიტყვით, მინამ ეგ ცოცხალია — არც თითონ მოისვენებს და არც სხვას მოასვენებს.

ფარეში. (შემოდის). ბატონებო, მეფე გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ იმასთან (გადის).

მელიქ ათაბაგი. ყველამ ერთპირათ უნდა გადაწყვეტით უთხრათ, რომ თუ ახლავ არ მოჰკლავს მოურავს — დღესვე ყველანი დავანებებთ მეფეს თავს. (გადიან ყველანი).

მაკრინე. (შემოდის) ეს ამოდენა დიდკაცობა კიდევ უთუოდ ჩემი ძმის გულისთვის არიან შეყრილები. ასაკამ მითხრა, რომ მეფემ გიორგი მაინც კიდევ დაიბარაო. ღმერთო! ეს რა უბე-

დურს ვარსკვლავზედ დავიბადე! ჩემის გულისთვის უნდა ახლა ჩემმა ძმამ თავი დასდოს. არა! მეფე არაკის რას დაუჯერებდა, თუ ჩემი საყვარელი მცირეც არის კიდევლა შეჰრჩენოდა. მაგრამ იმან აიყარა ჩემზედ გული და მას აქეთ კიდეც დაუგდო ყური ჩვენს მტრებს... ვინ იცის რამდენი პირი შეჰმონატრის ჩემს თავს—დედოფალია და ბედნიერიაო, და ის კი არ იციან, რომ ჩემზედ უბედური ჭიაც კი აღარ დაიარება დედამიწის ზურგზედ. დედოფალი მერქვას და მეფეს კი, რომელიც მთელს ცასსა და ქვეყანას მირჩევნია, გული ჰქონდეს ჩემზედ აყრილი. გულის აყრას ვინ ინაღვლის: იქამდის დაჰკარგა ჩემი პატივისცემა, რომ მტრის ენით თავის ერთგულს და თავდადებულს ჩემს ძმას სასიკვდილოდაც იმეტებს, როდესაც იცის, რომ შემდგომ მეფისა—იმაზედ უკეთესი მე ქვეყანაზედ აღარა გამაჩნიარა. ნუ ჰგონია მეფეს, რომ, რაც უნდა ძრიელ მიყვარდეს ის, მივცე ჩემი ძმის სიკვდილის ნება. ჯერ ჩემი სიკვდილი ნახოს და მერე ის მოჰკლას... ნეტავი შენის სოცოცხლით ერთი კაცი მაინც მეგულებოდეს ამ სახლში იმისთანა ერთგული, რომ სიტყვა მიენდობოდეს, და შემეტყობინებინა როგორმე ჩემი გიორგისთვის, რომ არ ჩამოსულიყო აქა. შენი მტერი, თუ ვერ გაიგო გიორგიმ, და მა დიდკაცობამ ისევ გაამეტებინეს მეფეს ის სასიკვდილოდ. ვაი ჩემს დღეს, თუ ეს დიდკაცობა მართლა იმისთვის არიან შეყრილნი. ნეტავი ბააკა მაინც მაჩვენა. ერთი ის-ღაა ამ სასახლეში ჩემი და ჩემი ძმის ერთგული.

ბააკა ხერხეულიძე. (შემოპარებით შემოდის). აქა ბრძანდები, დედოფალო? (ათვალიერებს აქეთ იქით: სხვა ხომ არავინ არისო). ვაი ამ დღის მომსწრეს! მეფე ისევ დაიყოლიეს გიორგის მოკვლაზედ და ჯვარზედ ფიცი ჩამოართვეს, რომ

ვეღარ გადასთქვას. რა წამს ჩამოვა ამაღამ, მაშინვე უნდა შეიპყრან და მოჰკლან.

მაკრინე. ჩამქოლეთ! თქვენი ჭირიმეთ, რაღა უნდა უშველო ჩემს გიორგის!

ბააკა. აი ქვეყნის დაღუპვა!.. თქვენვე უნდა სთხოვოთ მეფეს: თქვენი თხოვნის მეტი აღარა გაეწყობა რა. მე არ გამცეთ, თორემ დავიღუპები, რადგან ამ საქმეს თქვენ ფარულად იწყობენ. მშვიდობით, დედოფალო!

მაკრინე. თუ ვერას გახდი, შენი ძმობის ჭირიმე, ბააკავ, ისევ შენ უნდა მიშველო და შეატყობინო ჩემს ქმარს და დაავალო შენს ღმერთს. შენს მეტი მისამართი მე არავინა მყავს. ჩემს მაგიერ ღმერთი გადაგიხდის ყველაფერს.

ბააკა. ეცადეთ მეფესთან. მშვიდობით! მეშინიან აქ არა მნახონ. (გადის საჩქაროდ).

მაკრინე. მშვიდობით, ბააკავ! შენი ძმობის ჭირიმე... ვაჰ, თქვენი ჭირიმეთ! წავიდე, სადაც იყვეს ვნახო ჩემი წამწყმედელი. (გადის).

მეფე. (შემოდის ამღვრეული სახით და სდგას დიდხანს გაჩერებული). ჰმ! უნდა გიორგის სისხლში გავისვარო ხელი!... უნდა გავისვარო იმიტომ, რომ სუყველას ასე ჰსურთ... მაგრამ, გიორგობას ვიღა მიზამს!.. გიორგი უნდა მოვკლა — გადაწყვეტილი საქმეა... არ მოვკლა, და მაშ რა უნდა ვქნა, თუ ყველანი ჩამომეცლებიან?!. რა უნდა ვქნა, ღმერთო?! სად არის შენი სამართალი?! რატომ არა მაგონებ... (ტირის. დაეშვება ტახტზედ და წაჰყოფს მუთაქაში თავს. პატარა ხანს უკან აიღებს ისევ თავს). ოხ! ნეტავი ერთი ცალკე კიდევ მენახა სადმე მაინც ჩემი გიორგი. იმისი ერთი ნახვა, ერთი სიტყვა ისე გამამხნევებდა და თვალს ამიხსნიდა ხოლმე. იმისი ერთი სიტყვა უფრო მიჯდებოდა ხოლმე ჭკუაში, ვიდრე ყველა

ამოდენა ხალხის ლაპარაკი. ესენი სულ ერთსა და იმავეს გაიმახიან, რაც ყველგან და ყველასაგან გესმის: ის სულ სხვას ამბობდა და სხვასა ჰფიქრობდა, რომელიც მართლაც და რომ საფიქრელი და საზრუნველი იყო. ამისთანა კაცი ახლა უნდა მოვკლა?!.. დავიჯერო, იმ დალოცვილმა ღმერთმა უნდა იქამდინ მიმიშვას, რომ ამისთანა კაცის სისხლში ხელი გავისვარო. (შემკრთალი უცქებ). აცა! მაკრინეს ხმა ისმის. მთრთოლარეს ხმით მკითხულობს და დამქმებს. ღმერთო!! დავიჯერო იმანაც გაიგო ეს ამბავი?! ის იყო მივეცი ფიცი, რომ გიორგის არას ვერჩი მეთქი, და დღეს კი უნდა დავარღვიო ის ფიცი, იმიტომ რომ ახლა უფრო მძიმე ფიცი ჩამომართვეს.

მაკრინე. (შემოდის მოწიწებით). მეფეო, აქა ბრძანდებით? სუყველა პალატი მოვიარე და ძლივს გიპოვნეთ. მოვედი, მეფეო. კვალად ცრემლთა მფრქვეველი წინაშე თქვენსა, რათა არ ინებოთ თქვენი ორ რიგი ფიცის დარღვევა. მუხლ—მოდრეკით გევედრები (იჩოქებს), რომ თუ შენ არ მიგაჩნია ცოდვად შენი ერთგულის და შენთვის თავდადებულის ყმის სიკვდილი, მე მაინც ნუ გამრევ ამ ცოდვაში და ჩემის მიზეზით ნუ გაისვრი უბრალო კაცის სისხლში ხელს: თუ მე არა ვარ ღირსი საქართველოს დედოფლობისა, მე მომეპყარი, როგორც ღირსს, შემცოდეს და წამწყმედელს—თავი ჩემი იყვეს თქვენი და ქვეყნის სურვილის ნაცვალი. მაგრამ, რას ემართლებით გიორგის! თუ სიკვდილით უნდა გაიწმინდოს შერცხვენა და დამცრობა მეფის ტახტისა უბრალო აზნაურის ქალის გადედოფლებით, ჩემი სიკვდილი უპრიანია. თუ მარტო გიორგის სისხლი გწყურიანთ: მაშინ მე გთხოვთ, ვითარცა გვირგვინოსანი ცოლი და დედოფალი,—თუ ოდნავაც არის გაქვს პატივი შენის გვირგვინისა და მცირეც არის გახსოვს ის წმინდა სიყვარული, რო-

მელიც ჰქვიოდა ერთხელ რომლისღაც შენს გულში, — მაპატიო ჩემი ძვირფასის, ჩემი მამასოდენა ნაამაგდარის ძმის გიორგის სისხლი. თუ არა, ვფიცავ უთვალავ შემძლებელს ღმერთს, რომ უწინარეს დავჰღვრით ჩემს სისხლს, ვიდრე გიორგისას, და სისხლი ჩემი და ჩემი უმანკოდ მოკლულის ძმის სისხლი იყვეს იმათს თავს, ვინც... (წასწყდება ქვითინი). მითხარ მეფეო, მითხარ, მეც ნუგეში, რომ ჩემი მიზეზით არ გაისვრი ჩემი ძმის სისხლში ხელს... მოიგონე ის ფიცი, რომელიც მიეც შენ იმას ჩვენი გვირგვინის დღეს... რა პასუხი უნდა გასცე ჩვენს მეუფეს დიდის განკითხვის დღეს ჩვენი სისხლისათვის!... ფიცის გატეხისათვის...

მეფე. (სტირის). ჩემო მაკრინევ! ჩემო დედოფალო! (მოეხვევა კისერზედ, დაადებს თავს თავზედ და უმატებს ტირილს).

მაკრინე. (იმედ მოცემული). არ მოჰკლავ განა?! განა არ მოჰკლავ, ჩემო მეფეო, ჩემო გვირგვინო, ჩემს გიორგის?! მაპატიებ იმის სისხლს?! (მეფე თან და თან უმატებს ტირილს). მხედავ მუხლზედ გეხვევი და ისე გევედრები. (ეხვევა მუხლზედ). აკი გიყვარდა ერთხელ შენი მაკრინე. გაიტარე კიდევ მცირეც არის სიბრალული შენთვის განწირულის უბედურის მაკრინესი. ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა. განა არ ვიცი რომ მე ვამცრობ შენს დიდებას, შენს გვირგვინს... შემისრულე ეს სათხოვარი და მაშინ გავალ შენი სახლიდამ, რომ ჩემი ულირსი ფეხი არა სტკეპნიდეს მაღალსა სამეფო ტახტსა და გულის-თქმა ჩემი არა ჰბილწავდეს წმინდას სარეცელსა მეფისასა. შევწირავ ჩვენს მაღალს მეუფეს თავს და, ვიდრე ეს ცოდვილი სული მედგმის გვამში, ვიქნები მავედრებელი ჩემის მაღალის მეფისა (სტირის და იფარებს თვალებზედ ხელს).

მეფე. (წამოდგება თვალცრემლიანი და აღელვებული).

არა, მაკრინევ! არც შენ ხარ და არც გიორგი სიკვდილის ღირსნი. სასიკვდილო მე ვარ შენი ხელით. მე ჩავდექ შენს ცოდვაშიაც და გიორგის ცოდვაშიაც... მე ვარ ფიცის გამტეხი... აი ხანჯალი და მომკალ... ამის მეტი ღონე არა მაქვს... მაშინ შენც ცოცხალი იქნები და გიორგიცა. (ამოიღებს ხანჯალს და აძლევს).

მაკრინე. (ადგება შემკრთალი). მეფევ, მოდი გონს.— ნუ თუ ისე გძლია წყეულმა მტრის ენამ და ეშმაკმა, რომ ცნობა დაგიკარგავს?!..

მეფე. არა! ან უნდა მოკვდეს მოურავი, ან მე და ან ისინი ყველანი, ვინც მოურავის სიკვდილსა თხოულობენ... უმჯობესია ჩემი სიკვდილი, (იწვდის ხანჯალს გულში ჩასარჭობად).

მაკრინე. (სტაცებს ხელს) მეფევ!.. თქვენი ჭირიმეთ!.. მიშველეთ!! (შემოცვივიან დედოფალი და სხვანი მრავალნი. მეფე, შემკრთალი, გაუშვებს ხანჯალს მაკრინეს ხელთ და გადის საჩქაროთ. ყველანი გასდევენ თან).

## სცენა 3.

გათენების ჟამია. სცენაა კრწანისს, სადაც გიორგი სააკაძეა ჩამომხტარი.

ბააკა ხერხეულიძე. (შემოდის საჩქაროდ სცენაზედ, მიდის მოურავის საწოლის კართან, არახუნებს საჩქარით და ძლიერად). გიორგი მოურავო! გიორგი! გამოიღვიძე! ადექ ჩქარა!..

მოურავი. (შიგნიდამ). ვინ არის?

ბააკა. ჩქარა ადექ! გამოიხედე! მალე, გიორგი, თორემ დაიღუპე.

მოურავი. ბააკავ, შენა? ეხლავ. რა ამბავია?

ბააკა. ჩქარა, ჩქარა, უშველე შენს თავს! გამოიხედე.

მოურავი. (გამოვა ახალუხა, წუღებით, თავშიშველა), რა იყო ბააკა? ასე ამდროს რამ გაგსარჯა?

ბააკა. გამოდი! მოხურე კარი — არავინ დაგვინახოს. (მოურავი მოიხურავს კარს). უშველე შენს თავს, თორემ ეს არის ჯარი მოდის შენს დასაჭერად და ეხლავე გიპირებენ სიკვდილს მეფის ბრძანებით. მთელი ღამე სულ უძილოდ გელოდნენ. ეხლა გაიგეს შენი მოსვლა და მოდიან მრავალის ჯარებით. ეხლავ გასწი, როგორც ხარ, თორემ ველარას ფერს მოისწრებ. ჯარები ფეხდა-ფეხ მომდევენ. მშვიდობით! ახლა შენ იცი. აგერ ჯარების ფეხის ხმაც ისმის. ხომ ჰხედავ რა ახლო არიან. (გავარდება საჩქაროზედ).

მოურავი. ჭეურობ!.. ვაიმე, ცხენებიც არა მყავსან აქა, მაგრამ ჩემი ლურჯა აქვე ბაღში აბია. (გაექანება ბაღისკენ).

(სცენაზედ შემოდიან ჯარები თოფებითა და მშვილდისრებით. შემოდის შადიმან, მელიქ-ათაბაგი, ბააკა ხერხეულიძე და სხვა მრავალი დიდკაცობანი და ჯარების წინამძღოლნი).

შადიმან. შაამტვრიე, ბიჭო, კარები! (ჯარები აწვებიან კარებს და კარები ერთბაშად იღება). ეს რა ამბავია? ჰხედავ, როგორ კარებსაც დაუკეტელს უშვებს!.... შეიპყარით ქვემაგებშივე და თუ გაგიძალოვანდეთ, მაშინვე მოჰკალით. (ჯარი შედის სახლში).

რამდენიმე ჯარის კაცი. (გამოდიან ოთახიდან). არა სჩანს აქ არ სად, ბატონო.

ბააკა. კარგათ მონახეთ, მაშ სად იქნება!

მელიქ ათაბაგი. მიიმალებოდა სადმე. ჰაი, გიორგი მოურავო! არ ეკადრება შენისთანა ვაჟკაცს თაროს უკან დამალვა. სად დაიმალები, სადა?!

შალიმან. დაანგრიეთ! გადააქოთეთ მანდაურობა. სად წავა, სად?!

რამდენიმე ჯარის კაცი. (გამოდიან კიდევ სახლიდან). სულ გადავაქოთეთ აქაურობა და არ სადა სჩანან.

შალიმან. დაიჭირეთ ყველანი, ვინც სასახლეში არიან და მოიყვანეთ აქ. (ამ დროს ჯარის კაცებს შემოჰყავთ მოურავის მსახურთ-უხუცესი და ორი მსახური). რაიქნა თქვენი ბატონი? სად არის დამალული ეხლავე სთქვით, თორემ ყველას თავებს დაგაყრევინებთ.

მსახურთ-უხუცესი. ჩვენ თქვენს ხელთ გახლავართ და რასაც გვიზამთ—თქვენი ნებაა. მე მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ, რაკი მოვასვენე ბატონი, მე გარეთ გიახელით დასაწოლად და იქ მეძინა. ეს არის ეხლა წამომაგდეს მძინარე და მომიყვანეს თქვენთან. რა იქნა ბატონი და რა არა, ღვთისა თქვენი რისხვაცა მქონდეს, თუ ვიცოდე, ამის მეტი, რაც მოგახსენეთ.

შალიმან. გაიყვანეთ და გააგდებინეთ თავი დეე ნუ იტყვის. (ჯარის კაცებს გაჰყავთ).

მსახურთ უხუცესი. ბატონო, ტყუილად ჩემი ცოლშვილის ცოდოში ნუ სდგებით. სადაცა გნებავთ ფიცს მივიღებ, რომ მე არ ვიცოდე, სადა ბძანდება ეხლა მოურავი.

შალიმან. გააგდებინეთ ეხლავე თავი. (გაჰყავთ).

მსახურთ უხუცესი. ბატონო, ცოდოს ტყუილად იდებთ.

შალიმან (გაშმაგებული). გააგდებინეთ მეთქი თავი!! (სხვებს). შეატყობინეთ მეფეს, რომ ეხლავე მოვიდეს თითონაც, სხვა ჯარებიც მოგვაშველოს. (მოურავის მსახურებს). თქვენ რაღას იტყვით?

ორივე მსახური. ჩვენ რაღა უნდა მოგახსენოთ!

რამდენიმე ჯარის კაცი. (შემოაქვთ მსახურთ უხუცესის

თავი და დაახეთქებენ შადიმანის წინ). ღმერთმა გამარჯვება ნუ დაგილიოსთ.

მელიქ ათაბაგი. (მსახურებს). ხომ ჰხედავთ ამას?... თუ სწორეს არ იტყვით, თქვენც ამ დღეს დაგაყენებთ. სად არის თქვენი ბატონი?

1-ლი მსახური. თუ ვიცოდეთ და არ მოგახსენოთ, რაც თქვენი ნება იყოს ის გვიყავით. ბატონს აქ ეძინა და ჩვენ სამეჯინიბოს კარზედ, აპა ჩვენ საიდამ გვეცოდინება, რა იქნა.

შადიმან. (მეორე მსახურს). შენ? შენ რაღას იტყვი?

2-რე მსახური. მეც მაგას მოგახსენებ. ჩვენი ბატონის კაცები ტყუილის თქმას დაჩვეულები არ გახლავართ.

შადიმან. დააყრევინეთ ამათაც თავები.

1-ლი მსახური. დაგვაყრევინეთ! ერთს დღეს დავბადებულვართ და ერთ დღეს დავიხოცებით, მაგრამ გახსოვდეს, შადიმან, რომ, თუ გიორგი მოურავი ცოცხალი დარჩა, მძვირად დაგისვამს ჩვენს სიკვდილს.

2 მსახური. ღალატით რომ მოხვედი, ეგ კი არ არის ბიჭობა! ეგ დედაკაცის საკადრისია.

შადიმან. (გაშფოთებული). გაიყვანეთ!

1 მსახური. ჩვენ თითონაც გავალთ, მაგრამ გრცხვენოდეს, რომ მძინარეებს თავს დაგვესხი და უიარაღოთ ახლა თავებს გვაყრევინებ. მაგრამ შენგნით უკეთესი ვაჟკაცობა ვის უნახავს.

2 მსახური. ფუი! შე არა კაცო! ნაცარქექიავ! მელიქით და მეფითა გაქვს განა დიდი გული? (გასდევენ გარეთ ჯარებსა).

მეფე. (შემოდის ამალითა და ჯარებით). რაო, რა ამბავია?.

შადიმან. მოურავი ვეღარ ვიპოვნეთ. თუ გაგვასწრო სადმე და დროთი ვერ დავიჭირეთ, ჩვენი საქმე ცუდად არის... საქართველოში აღარ გვედგომინება. (შემოაქვთ მოურავის მსახურების თავები და ახეთქებენ შადიმანისა და მეფის წინ).

თავების შემომტანები. ღმერთმა ნუ დაგიღილოსთ გამარჯვება.

მეფე. ეს თავები რა ამბავია?

შადიმან. მოურავის მსახურების თავებია, რათგანაც არ გვითხრეს, სად არის მაგათი ბატონი დამალული.

(რამდენსამე ჯარის კაცს შემოჰყავს ერთი ბებერი დედაკაცი).

შადიმან. ოჰ! ეგ სად იპოვნეთ?

1 ჯარის კაცი. კრუხის საბუდარში ჩამძვრალიყო.

მეფე. დედი! კრუხის გოდორში რა გინდოდა?

ბებერი. მე თათრის ჯარები მეგონა, დედაშვილობამა, და თურმე ჩვენი ქართველები კი ყოფილან.

შადიმან. შენი ბატონი რა იქნა?

ბებერი. არ ვიცი, დედაშვილობამა. თქვენი მოსვლის წინ კი ვიღამაც დაურახუნა კარები და დაუძახა. გავიდა ბატონი, და მერე აღარც შემოსულა და აღარცა, და თქვენც ხომ მაშინვე მობრძანდით.

შადიმან. ხომ არ იცი ვინ დაუძახა?

ბებერი. არ ვიცი, დედაშვილობამა! ერთი ეს კი გავიგონე: რა გინდა ბაკაკაო, ბატონმა ჰკითხა. სხვა არა ვიცირა თქვენი სახის შვილები არ დამეხოცება.

შადიმან. გვარი ხომ არ უხსენებია ბაკაკასი შენს ბატონსა?

ბებერი. არა, დედაშვილობამა.

მელიქ ათაბაგი. გაუშვით ეგა.

ბებერი. ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავი. ღმერთმა ინებოს თქვენი გამარჯვება და თქვენი დახმარება. (გადის).

შალიმან. (მეფეს ყურში). ჰხედავთ ბაკას? აკი მოგახსენეთ, რომ ეგ თქვენ ნუ გახლავთ—მეთქი. თქვენ შეჰნიშნეთ, რომ ეგა და დედუფალი როგორ სხვა თვალით უყურებენ ერთმანერთსა? აი, ეგრე ძნელი გახლავსთ უცვარი, რომ მაგ ადგილას მიაღწევს. დედუფალი თავის გვირგვინს ხერხეულიძეს ანაცვალებდეს!.. სულ სინსილაც კი უნდა გავაწვოთ მოურავის მისადევარისაც, რომ თქვენი სახელი და თქვენი გვირგვინი გაიწმინდოს ასე დამცრობისაგან...

მეფე. ასისთავებო! გაიყვანეთ ხერხეულიძე, აჰყარეთ იარაღი, მოხშჭერით ცხვირა და ჩააგდეთ საკანში. (ბაკა გააჭყავთ).

ბაკა. თქვენსა და ქვეყნის ერთგულებს შადიმანებისა და მელიქების ხელში უკეთესი ბოლო არ უწერიათ. და ელოდე მეფეო შენც მაგათგან მაგ ბოლოს (გააჭყავთ).

მელიქი. უბრძანეთ, რომ ეხლავე შეუკრან ყოველ მხრივ გზები მოურავს, რომ საქართველოდამ არსად გაგვისწროს, თორემ სულ დაჰღუპავს მთელს ქვეყანას.

მეფე. ბოქაულთ უხუცესო! ეხლავე გაგზავნეთ ყველგან კაცები, რომ შეუკრან ყველა გზები მოურავს. ვინც ან შეიბყრობს, ან მოჰკლავს: თუ თავადი ან აზნაური იქნება, ას კომლს კაცს მივცემ, თუ გლეხი და—ას თუმანსა.

შადიმან. ჯარებო! აბა ყველანი მომყევით აქა! მოურავი ცოლშვილისკენ წავიდოდა და თუ მარჯვეთ მოვექეცით, ვერსად წაგვივა. (გადის. გასდევენ ჯარები საყვირისა და ნაღარის ჭყრით).

## ს ც ე ნ ა 4.

ტყიან მთის წვერზედ არის პატარა ტიტველა სერი, სადაც შემოდიან მოურავი ახალუხავე და არტყია ხმალი უჭირავს, ორი პატა-

რა თავისი შვილი; მოურავის ცოლი, რომელსაც უჭირავს ძუძუ მწოვარა ბავშვი; მოურავის ორი, მოზდილი შვილი; მოურავის დედა, გამდლები ზოგი ბავშვებით და ზოგი ბოლჩებით, ორი ბიჭი წვრიმალი რაგინდარით. ყველანი არიან აწეწილები და დაქანცულები. სერზედ მოწყვეტილები დაეყრებიან. მოურავი გაჰყურებს სასახლისაკენ და არის ჩუმად.

თეკლე. ვაჰ! ჩვენი სამსახურის სანაცვლო! ცოდვიანნი მადლივით დაგვდევენ დასახოცად! ღვაწლო — შემოსილო, წმინდაო ესტატევ. შენ მოგვხედე შენს მადლსა, და ნუ მაჩვენებ ჩემი წვრილ-შვილების უბედურებას.

ქეთევან. რატომ არ მოვკვდი, მინამ ამ დღეს შევესწრებოდი. რა შევსცოდე მე წაწყმენდილმა ღმერთს ისეთი, რომ ასეთი უცნაური მომივლინა.

პაპუნა ჩივაძე. (შემოდის). ძლივს არ მოგაგენით: მოვდევთ გრწანისიდამა, და ვეღარ მოგეწიეთ. ეს თქვენი იარაღი. (აძლევს მოურავს, რომელიც სულ ჩუმად არის). რამწამს თქვენ დამიძახეთ, მაშინვე გამოვიტანე სახლიდამ, დი სხვა კი ვეღარა მოვასწარი რა, რადგან ჯარი შემოჰერტყა. მეტის მეტი საცოდაობა ვნახე: თქვენს მსახურთ — უხუცესს ქვლივიძეს და ორს თქვენს მსახურთ: სოსეს და გაბრიელს თავები დააყრევინეს. ბააკას ცხვირი მოსჭრეს. მე იმისთანა ადგილას მიმანწყვდიეს, რომ ვერ გამოვჩენილიყავ და ამას ყველას ვხედავდი. ბოლოს შემასწრეს თვალი და გამომეკიდნენ. ოთხი კაცი მომეწია, მაგრამ შენი თოფი ძალიან გამომადგა. ერთი თოფით მოვკალ, ერთი იარითა, ერთი ხმლით ავკაფე... და ერთი კი გამექცა. იქიდან ნოსტეზედ გამოვეჩქარე და კიდეც შევიდა შადიმანის ჯარები, შენს სასახლეში. პატარა ხანს უგდე ტყიდამ ყური თქვენ სახლსა, მაგრამ თათარი არ იზამს იმ საქმესა, რასაც ჩვენი ქართველები სჩადიან. წაჰკრევიან ნაშოვარს და ღამის ერთმანერთი გაქლიტონ. ერთი შვიდიოდე ბიჭმა შემოიტანა ქალბატონის სკივრი ტყეში, მოუვიდათ გაყოფაზედ ჩხუბი და

ამ ჩხუბში ორი ამხანაგი მოკლეს. ასეთი ამბავია, რომ ერთ-მანეთისა აღარა გაეგებათრა. (შემოდის ოთხი მსახური მოუ-რავისა.)

1 მსახური. აი ბატონო, ეს ერთი თქვენი ქულის მუ-თი როგორც იყო გამოვასწარ, მძიმე კი გახლავსთ და არ ვი-ცი—ოქროა თუ ვერცხლი. ასეთი ამბავი გახლავთ, რომ ერთი მეორეთ მოსვლაა თქვენს სახლში. თქვენი ზვარი, თქვენი ბა-ღი სულ გაჰკაფეს. სვიმონ მეფის დროს რომ თათრები შემო-ვიდნენ, ამათ არ უქნიათ ეს ამბავი.

2 მსახური. მე კიდევ ეს ქალბატონის ტანისამოსი გა-მოვიტაცე. მსახურებმა ყველამ გამოუსწრით, მაგრამ თქვენი გამდელი მონქვარდისა ჩაუვარდათ და მაშინვე ყელი გამოს-ჭრეს. ამისთანა ულმერთოობას სჩადიან.

3 მსახური. მე თქვენი ზოგი იარაღი გამოვასწარ. ესეც ძალიან გამოგვადგება. ოცი ტყვია მეტი დამადევნეს, მაგრამ გადურჩი,—მარტო ჩოხა გამიხვრიტეს სამგან. (უჩვენებს ჩო-ხას).

4 მსახური. მე მაშინვე ცხენებს ვეძგერე სათივეში. მაგ-რამ ორის მეტი ვერც ვიშოვნე და ვეღარც მოვასწარ. ყანებს ცეცხლი მოუკიდეს, სასიმინდეებს წყალი მისცეს და სათივეებში ცხენები შეუშვეს.

პაპუნა ჩივაძე. მგონია სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს ამ ურჯულოებმა.

ყველანი. (წამოცვივიან) სასახლე იწვის მართლა! ალი ხან და თან ძლიერდება. (ქალები დაიწყებენ წივილ—კივილს, კაცები ელდა ნაცემი წინა დგებიან და გაჰყურებენ ჩარ გამ-შრალნი).

მოურავი. მშიდობით ამდენის წლის ნაამაგდარო სახლ-

ქარო და ყორნებავ! მშვიდობით ჩემო ამაოდ დაღვრილო სისხლო და მწარე ოფლო! (გაბრუნდება და შევა ხშირს ტყეში.)

## სცენა 5.

მცხეთის ხიდთან სდგანან სამოცი კაცი ყარაული. მტკვარი მოდიდებულია. სჩანან მცხეთის ეკლესიები, გარეშემო მთებია. ყარაულები ჯგუფ ჯგუფად უსხედან ანთებულს ცეცხლებს და ლაზღანდარობენ:

1) ყარაული. ვაჟო, რატომ არ მოგვდის ღვინო, ლამის შუაღამე გადავიდეს, ვიცია, ე მცხეთის მამასახლისი. ამ ცივ ღამეში რამ უნდა გაგვაძლებინოს. ყურობ ოხერი ზენა ქარი რა რიგა წუწუნებს. თუ პატარა არ შევზარხოშდით, დიდ მოურავს არა და კოლოტასხიო ბებერსაც ვერ დავიჭერთ. ბერო! არაყი კი არ უთხარი?

2) ყარაული. როგორ არა, აგერა, მგონი კიდეც მოაქვთ. გიდაებიც კი ჩანან ხიდს გაღმა და.

ყარაულების უზბაში. ბიჭო! გაღმა გიდაებიცა ჩანან, ნახეთ: მოურავი ხომ არსაიდამ გაგვეპარა.

რამდენიმე ყარაული. არა, მცხეთელები გახლავან, ვახშამი მოაქვთ.

უზბაში. ვახშამი.. თქვენი ოჯახის აშენებამ, ვითომც სააკაძეს თავი მიგირთმევიათ მეფისთვისა და ასი თუმანი ჯიბეში ჩაგიჩხრიალებიათ.

3) ყარაული. რატომა, შენი ჭირიმე, თავი დროზედ კარგი ვახშამიც კარგია. ხომ მოგეხსენება, ცარიელი ტომარა ზეზედ ვერ დადგებაო. მშიერ კაც რა შეუძლიან.

(შემოდიან მცხეთელები შემოაქვთ ვახშამი).

1) მცხეთელი. აქა მშვიდობა. ეს მოგართვათ მცხეთის

მამასახლისმა. ბოდიში მოიხადა: საჩქაროთ მეტი ვერა მოვასწარ რაო.

უზბაში. ღმერთმა ნურა დააწყნოსრა თქვენს მამასახლისს.. ამ ქრითიბჭყვამ რა უნდა ჰვიყოს ამოდენა ხალხს: ულუ-ფი ვქნათ ულუფი აღარ გამოვა. ჯერ, შვილო, სამოცი კაცით რა უნდა გავკლდეთ იმისთანა ვეშაპ კაცთან, და მერე ისიც მშიერ გუნებაზედ. შვილო, თუ ცოტა შეზარხოშებული არა ვართ და გული ღვინით არ გავიმაგრეთ, სულ თხებივით დაგვხოცავს, სვეტიცხოვლის მადლმა. იქნება იმან ჯერ არც კი იცის ვინა გვყავს დასაჭერი.

რამდენიმე ყარაული. ღმერთმა ამოაგდოს მაგათი მამასახლისის ოჯახი, თუ პატარა ბლომად გამოგვგზავნის ქ ღვინო და არაყი მაინცა. მოვიდეს ახლა, თუ კაი თავი დედიშვილია, და იმან დაიჭიროს სააკაძე. თავი არ მომაკვდება შე-საჭმელად არ ვეყოფით.

უზბაში. განა, შვილო, მცხეთელების ნამუსი გაქვთ! მოიტა, ვჭამოთ, რაც არის — გე არის. რას იზამ, შვილო, სამოცი მშიერი კაცით, რომელ მოურავ დაიჭერ. ამას სუყველაფერს ჩემი პირით მეფეს მოვახსენებ.

(ყარაულები გროვდებიან, სხდებიან და იწყებენ პურის ჭამას. ისმის ყოველ მხრივ: «დიდება ღმერთსა, ღმერთო! შენ გაუმარჯვე აქა ბრძანებლებსა, გვაშოვინე მოურავის თავი, ამო-ჭყლიტე ჩვენი მტერი და გაუმარჯვე საქრისტიანოსა». ჩამოი-რიგებენ ორ-ორჯერ არაყს.)

უზბაში. (ცოტა შექეიფიანებული არაყისგან). ეს ღმერ-თმა გაუმარჯვოს ჩვენ მეფეს, ბატონ ლუარსაბს, მე და ჩემს ღმერთმა მაგითანა უხვი გამცემი მეფე სულაც არ იქნება. შარშანწინ ერთმა მედიმანის მსახურმა გაქცეული ჯერანი მოკლა ცხენ და ცხენ და იმაში აზნაურობა უწყალობა და ათი კომლი კაცი აჩუქა-

(ჰსვამს ღვინოს, ყველანი ჰსმენ და ძლიერიან «მრავალჟამიერს.») ეგრე, თქვენი ჭირიმეთ, გამხიარულდით. როგორც იყვეს უნდა მეფის ბრძანება შევასრულოთ. ეგრე მოუხდა სუფრულას, ვინც უგვაროდ დაიწყებს დიდკაცობას. აი სააკაძე! სააკაძე ვინ არის, შვილოსა, განა არ ვიცნობთ: ჩვენზედ უფრო დაცემული აზნაური იყო მაგისი მამა. მაგის ბიძაშვილები არ არიან შიმშილით კუჭი უხმებათ; ვიზედ რა დიდი კაცია. ერთი ხუთი კომლი კაცი უშოვნია და მეფობასა ჩემობს.... ეს ღმერთმა გაუმარჯოს, ვინც პირველი გაუტარებს სააკაძეს გულისპირში ხანჯალსა.

ყველანი. ამინ! (ჰსმენ.)

ერთი ყარაული. ვაჲო! მოურავის მამა მამაჩემს არა სჯობდა, განა არ ვიცი რაც არიან: ეს არი მაგას, შვილო, ჭლავი უჭრის, და იმისი დიდი გული აქვს, თორემ—სააკაძე არ არი!

მეორე ყარაული. კიდევ ეგ არი, შვილო, რომ კლავი უჭრის: ჰხედავ როგორ ყველას ეშინიან მაგისა.

უზბაში. ეშინიან რა, ერთი თავზედ ხელაღებულია და ეშმიანი. აბა შვილო, თუ კაი ბიჭია, რატომ ეხლა არ ეომება მეფესა.

უცხო კაცი (შემოდის). აქა მშვიდობა და გამარჯვება. აბა ეგრე თქვენი ჭირიმეთ, ეგრე იფხიზლეთ აი. ეს არის ეხლა მეფემ გამოგზავნა და ბრძანა, რომ ვინც მოურავის თავს მომიტანს ას თუმანზედ კიდევ სამოცსაც სხვას დავადებო. კიდევ ბრძანა, რომ იმის სარჯზედ კარგად დაგიხვდეთ ამაღამ და კარგი ქეიფი გაგაწყვეინოთ. მხოლოდ ეს დამავედრა, რომ ეს ერთი ღამე როგორც იყვეს ყველამ იფხიზლეთო, და თქვენს სამსახურს მაინცა და მაინც არ დავივიწყებო. ღვინო გაქვთ სამყოფი თუ არა?

რამდონიმე ხმა. აღარ გახლავთ. მამასახლისს ცოტა გამოუგზავნა.

უცხო კაცი (ამოიღებს ქისით ფულს). აჰა და იმდენი ღვინო და არაყი მოიტანეთ, რომ სულ თავზედ სასხმელი იყვეს. მეც ამაღამ თქვენი წვევული ვარ. მეფემ და შადიმანმა მიბრძანეს, რომ მე თითონ გაფხიზლოთ დილამდის.

ყარაულებში. (ჭყვირიან და მაღლა ქუდებს ისვრიან). ჩვენს დიდებულს მეფეს გაუმარჯოს!

უცხო კაცი. ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ. მეფის ერთგული· კაცი ყოველთვის გამარჯვებულია. უზბაშო, აბა მალე უბრძანე სასმელების მოტანა და სხვაც რაც საჭირო იყვეს. ამაღამ რჯულზედ უნდა დავლიოთ.

უზბაში. აბა, ბიჭებო, ამ დუქნიდამვე მოიტანეთ. ჩქარა. (უცხო კაცს.) მინამ, თუ უკაცრავოდ არ გახლდებით და გვიკადრებთ, ჩვენი ღვინო მიირთვით.

უცხო კაცი. დიდის სიამოვნებით. ღვინო სულ ღვინოა. (უჯდება უზბაშს გვერდით.)

უზბაში. ბიჭო! ხან და ხან ცხენებსაც მიჭხედეთ ხოლმე, რომ არ აეშვნენ და ვინიცობაა როგორ იყვეს, მაშინვე ზედ მოვასხდეთ. მედუქნეს უთხარით, თივა გამოგვიგზავნოს ე ჩვენი დიდებული მეფის ნაწყალობევი ფულითა. ღმერთმა გაამრავლოს ჩვენი მეფე, თორემ იმის ერთგულსა და მოსამსახურეს არა გაუჭირდება-რა თავის დღეში.

უცხო კაცი. ილოცნდა — და, უზბაშო. ისეთი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი მეფე, რომ თავის პირით მიბრძანა წამოსვლის დროს, რომ თუ ან დაიჭერენ, ან მოჰკლავენ მოურავს, აზნაური იქნება — თავადობას მივცემო, თუ გლეხი და აზნაურობასაო და ყმებსაც კიდევ ვაჩუქებო.

ყველანი. ღმერთმა გაამძრიელოს!.. (შემოაქვსთ ტიკებით ღვინო, არაყი, ყველი, პური, ხმელი თევზი და სხვა.)

უცხო კაცი. აბა შეექეცით.

უზბაში (ივსებს ჯამს). ეს ღმერთმა გაამძრიელოს ჩვენი მწყალობელი ხელმწიფე ბატონი ლუარსაბი. (სვამს).

ყველანი (ყვირიან). გაამძრიელოს! (სმენ ჯამებით).

უზბაში. ალავერდი თქვენთან, ბატონო მეფის პირო. უკაცრავათ, შენიჭირიმე, რომ თქვენი სახელი არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია: რაკი მეფისაგანა ბრძანდები, მეფის თანასწორი უნდა გცეთ პატივი.

უცხო კაცი. იახშიოლ. პრომეტი, შენიჭირიმე. (კოცნიან ერთმანერთს). ე მაგისთვის მიყვარს შენისთანა დარდიმანდი კაცი, აი! შენისთანა ერთი ორი ძმა-ბიჭი რომ მომცა, მოურავ კი არა—უკენს დავიჭერდი. (სვამს). ასე მტერი დაეცალოს ჩვენს მეფეს. (ამხობს პირქვე ჯამს). აბა ბიჭებო, სულ ესე უსუნთქლივ უნდა დალიოთ, აი!

ყარაულები. ბატონი მეფის წყალობა იყვეს, თორემ ამისა კი ჩვენ ვიცით. (ყველანი უსუნთქლივ სმენ).

უცხო კაცი. (ისხამს ჯამზედ ცოტა ღვინოს).

ეს ღმერთმა აღდგრძელოს მეფის დედა—დედოფალი. თუ ის არა ყოფილიყო, ჩვენ დღეს ამისთანა მეფე არ გვეყოლებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა. (სვამს უსუნთქლივ). ალავერდი შენთა, უზბაშო. თავი მომიკვდეს, თუ ისეთი საქმე არ გიყო მე შენა, რომ თავის დღეში არ მოელოდე. მამა ჩემი არ წამიწყდება, ისე გავიკეთო მეფესთან საქმე, რომ შენს მეტი სალაპარაკო აღარა ვინა ჰყავდეთ. შენ იქნება არ მიცნობ მე ვინცა ვარ, და როცა გაიგებ ჩემს ვინაობას, იტყვი, რომ ის სწორეთ ის არა ყოფილა, ვინც მე მეგონა. უყურე რა მადლობას გითხრას მეფემ ჩემი გულისთვისა.

უზბაში. ღმერთმა მიდღეგრძელოს შენი თავიცა და ჩვენი მეფეცა. ვიცი, რომ—ერთი დაცემული აზნაური ვარ და—შეაბრალებ ჩემს თავს მეფესა. (ჩამოართმევს სავსე ჯამს და ჰსვამს უსუნთქლივ.)

ყარაულები. (სმენ, რაც შეუძლიანთ სავსე ჯამებითა, და შეზარხოშებულნი მღერიან.)

სულ მთლად გაუოხრებიათ
გაღმა გამოღმა სოფლები,
დედ-მამა დაუტყვევნიათ,
გაუჟლეტიათ ობლები,
სახნავ—სათესი დაუწვამთ,
სისხლით დაურწყავთ მინდვრები....„

უზბაში. (ავსებს ჯამს). ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ე მეფის დიდებული პირი, რომელმაც დღეს ჩვენ გვიკადრა და გვერია ჩვენში. აბა, ბიჭებო! უსუნთქლივ! მე და ჩემმა ღმერთმა ჩვენ ამდენ ღვინოსა და ამისთანა ვახშამს სულაც ვერა ვნახავდით, თუ ეს არა ბრძანებულიყო. (ჰსვამს სავსე ჯამს და ამბობს «მრავალ ჟამიერ». ყარაულები ჰსმენ და ბანს ეუბნებიან).

უცხო კაცი. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მეფის ერთგული, უზბაში. მოდი ერთი კიდევ ჩავპეროშტო, უზბაშო. (მოეხვევიან და ერთმანერთსა ჰკოცნიან). აბა პეროშტი ამას ჰქვიან, აი. (ჰსვამს ნახევრათ ჯამს და უვსებს უზბაშსა. მერე მღერის).

ვსთქვავთ: ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია,
რა უთქვამს, რა მიოჩმახავს რა წიგნი მოუწერია.

(უზბაში ეუბნება მიძახილს და რამდონიმე ყარაული ბანს).

უზბაში. (სვამს სავსე ჯამსა). რომ გაიძახიან, მოურავებო! ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც მოურავს შეუშინდეს: ისიც

ჩვენსავით ქართველი კაცი არ არის: ლეკი არ არის და თათარი.

უცხო კაცი. აბა ნეტავი კაცს მაინცა ჰგვანდეს. სახელი აქვს ცარიელი.

რამდენიმე ყარაული. (მღერიან დამთვრალები).

— აბა, ბიჭი, და . . . .
პატრონი დიდ-მოურავი
მუჭუჭი არის მტრისაო:
სადაც მტრის სახელს ყურს მოჰკრავს
სისხლში მოუგლის ცხვირსაო,
მაზედ ატირებს ცოლშვილსა
და დედას გაგლეჯილსაო.
იმისი ბადალი კაცი
არ არის ქვეყნის პირსაო:
ქვრივ-ობოლი — გლახას იწყნარებს
და გლეხ-კაცისა ხჭამს ჭირსაო.
იმის მტერი და მოშურნე
მოკლებულია ძილსაო,
სულ იმას ჰფიქრობს: «რაღა ვქნა,
«რა უყო გიორგისაო.»
გიორგის ვერას დააკლებ:
მკლავი მიუგავს გმირსაო,
და ალალოო, ალალაალოოო...»

ერთ მომღერალთაგანი. ჩვენ რო მოურავი დავიჭიროთ, მე შენ მოგახსენო ძალიან სიჭობა იქნება....

უზბაში. (დამთვრალი). თავი მომიკვდეს, თუ მოურავი

ცოცხალი არ მივგვარო მეფესა. მე როგორღაც გული მითქვამს, რომ ჩემი ხელით უნდა დავიჭირო. იმისი ბიჭობაა გათქმული, მაგრამ ჯერ ჩემიც არ უნახავს იმასა. ვაი დედი ჩემი ღმერთსა! მეფის ბრძანება იყვეს და გაუშვა ხელიდამ. ისე ლორივით უნდა მოვსჭრა თავი და ისე მივართვა მეფეს.

უცხო კაცი. აი, შენი იმედის ჭირიმე, შენი. ტყუილად კი არა ბრძანა მეფემ, რომ ისეთი უზბაშიაო, რომ მარტო ისიც ეყოფა მოურავსაო.

უზბაში. ჰო, ვენაცვალე ი მეფეს შიგ სულშია. თუ ეგ ტყუილი იყვეს, თავი მომიკვდეს. მე შენ მოგახსენო, რომ მოურავი... სულ არაფერი...

უცხო კაცი. ეგრე მომეცი იმედი, აი!.. მოდი მე და შენ ერთი იმ ღმერთის სადღეგრძელო დავლიოთ, რომელმაც ღმერთმა შენ მაგისთანა ვაჟკაცის გული ჩაგიდო. ბიჭებო! ეს იმის სადღეგრძელო იყვეს, რამაც ღმერთმა ამისთანა უზბაში მოგვცა. (ჰსვამს ჯამს ნახევრათ). აი, ასე უნდა დასცალოთ, აი, (მოაქცევს ჯამს პირქვე.) მე და ჩემმა ღმერთმა ამისთანა უზბაშს თავის დღეში ვერ იშოვნიდით. სწორედ გავაკეთებინებ მეფეს ამას. ერთი კიდევ პროშტი (ჰკოცნის უზბაშსა).

(ყარაულები სმენ, ჰყვირიან რაღასაც გაუგებრივ და აირევიან ზოგნი.)

უცხო კაცი. (გაავსებს ჯამს). აბა ახლა სამადლობელი დალიე.

უზბაში. დიახაცა და დავლევ. მეფის წყალობას რატომ არ დავლევ! დავლევ არა და ჯანსაც გავიგდებინებ....ეს ვისი სადღეგრძელო გახლავსთ?

უცხო კაცი. შენი სამადლობელოა.

უზბაში. ღმერთმა ბევრი კარგი გათქმევინოს, მადლობას მომიხსენებია. (იწაფებს ზიზღით, ძლივს სცლის და პირს აჴე-

თქების ჯამს). ესე მტერი დაგვეცალოს... აი, იმ ღმერთ კი გენაცვალე, რამაც ღმერთმა შენ ჩვენთან... გესმის... გამოგგზავნა მეთქი. (ეხვევა უცხო კაცს და ჰკოცნის). ერთი მომგვარე იმ მოურავი აქ და... გიჩვენებ რაც ბიჭი ვარ... ეი! მოურავო!... გამოდი საცალასა ხარ დამალული და...ვაი, შენი ღმერთების ჭირიმე... (ეხვევა კიდევ უცხო კაცს). (ყარაულებში ისმის არეული სიმღერა, ამათში ზოგი მთვრალი იქვე ეყრებიან და იძინებენ, ზოგნი კიდევ სმენ).

უცხო კაცი. უზბაშო, ერთი სადღეგრძელო კიდევ გვაკლია მე და შენ. მე და ჩემმა ღმერთმა სირცხვილია, რომ დავივიწყეთ. იმის ბრძოლში ვდგევართ, მეფის დარი კაცია და კი არ მოგვაგონდა. ბატონი ქათალიკოზის სადღეგრძელო. ჯ ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს სულიერს მამას ქათალიკოზსა. (იწაფებს ცარიელ ჯამს). ესე მტერი დაგვეცალოს. ალავერდი შენთანა, უზბაშო.

უზბაში. მე! მე და ჩემმა ღმერთმა, რომ... ძმან... ეშხში... ახლა უნდა მოურავი დავიჭირო...

უცხო კაცი. ქათალიკოზის ლოცვა-კურთხევა თუ არ გვეჭნება, მოურავს არა, და იმის მსახურიც რო ხელში გვყავნდეს —ხელიდამ წავივა... მეფეზედ კიდევ ქათალიკოზი უფრო საჭიროა ქვეყნისათვის..

უზბაში. სწორე ბრძანებაა... ქათალიკოზი! მე შენ მოგახსენო ძმან... კაცია... ჭმუ!... სულიერი მეფეა. (ჩამოართმევს პირამდის სავსე ჯამს) ეს ღმერთმა ადღეგრძელოს... ღვთისმშობელი იყვეს ჩვენი... შეეწ... არა... აღარ შემიძლიან.. ჭმუროგორ არ შემიძლიან!... უნდა მოვკვდე და დავლიო. (იწაფებს, მოჭხვამს ცოტათი და დასდგამს)... რომ ვამობ აღარა, მეთქი... ჭმუ... (ადგება ბარბაცით). ეი მოურავო?. გამოდი ერთი შენი

ღმრთების ჭირიმე... (უცხო კაცს). ნურას, უკაცრავად, შენი ჭირიმე, თუ ჩემი უგუნური თავით.... მეფისა და შენი წყალობა უხვად...ხომ მოგეხსენება... ძაან გუნებაზედა ვარ...ჰმე! ჰმე! ჰა! ბიჭებო! მოურავი, მეთქი... (უცხო კაცს). შენმა მზემ, დიდებულო... მეფეო... ამაღამ უნდა მოურავი დავიჭირო... თავს მეფეს მივართმევ... ფეხებს შადიმანსა... მე შენ მოგახსენო... რომ შადიმანიც არაფერი... ჰეჰ! მოურავო!.. ბიჭო, ე ნაბადი მომიტა... უნდა პატარა თვალი მოვატყუო... (მიეგდება ბუხრის პირას ფარიქის ადგილზე). ამაღამ არავინ უნდა დაიძინოთ... (იძინებს).

(ყარაულებს ყველას სძინავს, ერთი ორა ოდე კაცს გარდა. ამათში ზოგნი ფეხზედა დგანან და აპირებენ ისინიც სადმე ადგილის გამორჩევას, რომ დაიძინონ, ზოგნი ისევ სხედან, მღერიან და სმენ).

1 ყარაული. დალიე, შვილოსა, მეფის წყალობაა....

2 ყარაული. ჰო, შვილო, შენც ჩემ ხელად მოიყარე.. ორი გაკლია...

უცხო კაცი. (მიდის სადაც ყარაულების ცხენები აბია). აჰმე! აჰმე!.. (ახველებს. გამოდის სამი კაცი ტყიდამ). ამოარჩიეთ, რომლებიც უფრო კარგი ცხენები იყვეს. (არჩევენ და მოჰყავთ საჩქაროზედ). ეს რაც დარჩნენ, იმათაც ეხლავე დავაძინებ: ძალზედ მთვრალები არიან. ფონსაც ეხლავე გავშინჯავ. ხიდზედ არ გაისვლება; რადგან სულ ზედა სძინავთ. გათენებამდის უნდა წყალს გავიდეთ და გავასწროთ მძინარე მცხეთელებს თორემ მერე სახიფათო იქნება. (ცხენოსნები შევლენ ტყეში).

1 ყარაული. შვილოსა! ე რაღაცა ცხენის ფეხის ხმა მესმის, თითქო... ეგების მოურავი იყვეს.

2 ყარაული. შენ ეხლა, ძმავ, ნეტავი წმინდა გიორგიც არ მოგეჩვენოს... მოურავიც რო იყვეს, შვილო, რა ძალა

შეგიძლიან... მე შენ გითხრა, ნუ მოინდომებს მოურავი, თორემ... არ იციან ჯერ იმი ჰუნარები...

1 ყარაული. შენ თუ გეშინიან, შვილო, იმისი... თორემ, თავი არ მომიკვდება, იქნება რომ სულაც არაფერი...

3 ყარაული. ამაღამ სულ ასე უნდა ვსვათ... თუ ჩვენ მოურავი წაგვივიდეს... მაშ ჩემი ბრალი იყვეს... ერთი უყურეთ!.. (იჩვენებს დაძინებულ ყარაულებზედ). როგორი ჭერეხებივით ყრიან... მეფე წყალობას უშვრება და ესენი კი ძილს უნდებიან, თითქო ველარ მოესწრებიანო!..

4 ყარაული. გამიგონეთ... ძმავ... მოურავი რომ დავიჭიროთ, მაგათ წილს ნუღარ დაუდებთ... დეე დაიძინონ.

5 ყარაული. უთუოდ დავიჭიროთ, თავი არ მომიკვდება... მე ისე მიცვნია, რომ უნდა დავიჭიროთ...

უცხო კაცი. (მიდის იმათთან). აბა, ბიჭებო! ეგრე იფხიზლეთ, თქვენი ჭირიმე, აი... აბა ერთი დამისხი, ეხლა ე თქვენი ღვინისა დავლიო. (აძლევს სავსე ჯამს). აბა, ძმებო! ეს ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ, მოგცეთ მეფისა და ქვეყნის ერთგულება. (ჰსვამს).

1 ყარაული. აი, შენი ღმერთის ჭირიმე!.. აბა ერთი, ბიჭო, ახლა მე დამისხი. (უსხამენ და ჰსვამს სავსე ჯამს. ჰსმენ ყველანი და არეულად მღერიან მრავალ ჟამიერსა).

უცხო კაცი. აბა ახლა, მე რაღა დაგიშავეთ. ერთი ჩემი სადღეგრძელოც დალიეთ.

2 ყარაული. მე და ჩემმა ღმერთმა!.. ჩვენი მასპინძელი დღეს შენა ხარ ეს ღმერმა გადღეგრძელოს შენა, შენი და მეფის წყალობა ნუ მოგვაკლოს. (იწაფებს სავსე ჯამს და უჭირდება).

3 ყარაული. ასწი, ასწი, შვილოსა!.. ამითანა კაცის სადღეგრძელო უსუნთქლივ უნდა დალიო...

2 ყარაული. ძაან... საქმე ქმნა, მე შენ გეტყვი... მაგარი ღვინოა... მე მეგზური მეგონა.

3 ყარაული. ასწი!... მეგზური კი არა—ხემწიფის წყალობაა.

2 ყარაული. (იწაფებს ზიზღით და ესვამს). ესე მტე-რი დაგვეცადოს. (წამოდგება და იქვე მიეგდება დასაძინებლად).

(ესმენ სხვებიც: ზოგი სვამს და ზოგი ნახევრობამდის და რამდენიმე კაცი იქვე ყრებიან დასაძინებლად).

1 ყარაული. ამაღამ, თუ მოურავი არ დავიჭირო, ბი-ჭი არა ვყოფილვარ. (ეძებს დასაძინებლად ადგილს.) ეი, ბი-ჭო! ე ცხენებს.... არავინ დაგვპარავს... კარგად იფხიზლეთ, შვილოსა... ცხენები... მაგი მეტი რაღა გვაბარია... (მიწვება და იძინებს.)

უცხო კაცი. მოდი ერთი თითო კიდევ დავლიოთ, ღვთის მადლით მეფის წყალობა კიდევ ბევრი გვაქვს.

5 ყარაული. დიახაც და დავლიოთ!... ღმერთმა ნუ მო-გვაკლოს მეფის წყალობა...

უცხო კაცი. (ისხამს ნახევრობამდის ჯამს). ეს ღმერ-თმა გაუმარჯოს იმას, ვინც მოურავის თავს მიართმევს მე-ფეს! (ესვამს) ალავერდი შენთან. (ავსებს ჯამს და აძლევს).

5 ყარაული (ჩამოართმევს ჯამს). იახშიოლ! ეს ღმერთ-მა გაადღეგრძელოს შენა, ვინც ხარ...ი ვინცა უნდა იყვე მე და ჩემმა... შენ, შვილო, თუ კაი კაცი იყვე—მე აღარა ვიცი რა... ჩვენ სუყველანი დავთვერით და შენ კი არა... შენ, შვილოსა, ან შაიტანა ჩიჯმე ხარ, ან შაიტანა კაშაყაშვილი... იქნება მოუ-რავიცა ხარ... ვინ იცის... და განგებ დაგვათვრე... რამდენი ქე-მაყობაა ქვეყანაზედა... ვინც უნდა იყვე, ღმერთმა გადღეგრძე-ლოს, როგორც გვემსახურები. (იწაფებს, ბატარეას მოე-ესვამს და იქვე მოიხსნის). თუ მოურავი ხარ შვილოსა, წყა-

რეთა თქვი... შორს ნუღარ წაგვიყვან... წელანვე რომ დაგვინახე—არ მომეწონე... ღვინო რომ არ მოგეტანინებინა... შენ, შვილო, კოჭებში გეტყობა... ქრისტიანი სული არ გიდგია... კაც როგორ არ ვიცნობ... (იწაფებს კიდევ ჯამს და ისევ მოილხინის). ამაღამ ასე იყვეს... ამას როგორც იქნება დავლევ... ხვალ კი მე და შენობა აღარ იქნება. (იწაფებს და სცლის ჯამს). ეს არის. (გადმოაბრუნებს და სწრეტავს). ასე არა თქვა, რომ ვერ დასცლიო. (მიდის დასაძინებლად). ეი, ბიჭებო!... ჩვენ მოყრავი ხელში გვყავს... დაჭერილი... ახლა თქვენ იცით... მე ასე მითქვამს. (მიეგდება და დაიძინებს).

უცხო კაცი. (დაათვალიერებს ყველას). კარგა სძინავთ. შენს მტერს ნუ გაუღვიძნია—ხვალ შუადღემდის ამათ ვერ გაიღვიძონ. წავიდე ფონი დავათვალიერო. არ დაიგვიანონ მაინც, თორემ აგერ საცაა ინათებს. ეს ერთი რატო ასე ამიტყდა! პაპუნა ჩივაძეო, რომა სთქვა, ვთქვი ეს არის მიცნა, მეთქი. სიმთვრალით მოუვიდა, თორემ ფხიზელი მაგას თავის დღეში ვერ იფიქრებდა... რასაკვირველია, ახლა ეგენი მოყრავს დაიჭერენ. აბა აგრეა ქართველი კაცის საქმე: უღვინოდ არ კარგა, თუ ღვინო ნახა და თავს შიგ ჩაირჩობს.... (გადის).

## ს ც ე ნ ა 6.

**სახლი ნუგზარ ერისთვისა ბაზალეთს. სცენაზედ არიან ნუგზარ და საამ კობიაშვილი.**

ნუგზარ. მელიქისა და შადიმანისგან ეს უნდა მომივიდეს! მე ჩემი ფიქრით ვგონებდი, რომ მეფე შადიმანში არა, და მთლად ბარათაანთშიც არ გამცვლის, მეთქი. ეგ არის: მაშ ჩვენი პატრონ-ყმობა და მამაშვილობა არა ნდომებია, და მაშ დღე ბარათაანთი და მელიქიანთ მეფე იყვეს მარტო. მე ჩემზედ

მოიხსენე ბატონს არ ვიბატონებ. ჩემი სიძის გაწყრომა—ჩემი გაწყრომაა, თუ ესმოდეს ეს იმასა. ალბათ ჩემზედაც მოიხსენე იქნება, რაცა გოგონამა შადიმანს უქნებია! მაშ ამას იქით რაც მოხდეს, ბარათიანთ ბრალი იყვეს. ეხლავე წადი შენა სამ და შეკრიბე სულ კაცნი მთიულისანი, მოხევენი და გუდამაყარნი; დამიძახე ჩემს არაგველთა. უთხარ რომ მართალია დაბერდა ნუგზარ, მაგრამ გული ისევ რვალისანი უდევსთქო. შეკრიბე მთლად ჩემი საყმო: აზნაურნი და გლეხნი, მოხუცებულნი და ყრმანი. უთხარი, რომ თქვენმა ნუგზარმა კიდევ მოიკიდა ხმალს ხელი მტერთა გასამუსრავათა, თქო. აგავსებთ ველთას ნადავლითა და ნაშოვრითა, თქო. ნუ დავაყანგებთ ხმალთა ჩვენთა, და ნუ დავემსგავსებით დიაცთა: არა შვენის ჩვენებურ კაცთა, რომ ამდენს ხანს არ ვეცნობდეთ თავთა მტერთა ჩვენთა, თქო. დავლიოთ სისხლი მტრისანი და მოვფინოთ მკვდარნი მათნი ველთა და მთათა მათდა ცოლშვილის სავალალოთა, რომ სცნას ყველამა, რომ ჩვენებრ გმირთა მტრად ასე არავის ხელს არ მისცემს, თქო. შეკრიბე ყველანი და მაშინ ვიცნობებთ ვინც გაუხდიათ იმათ მტრად..

მოურავი. (შემოდის). ჩემო სიმამრო, დაწყნარდით გაცლას, თორემ მე რომ შადიმანის ამბავი ვიცი, აქ მოგვისტებიან და აღარავის დაგვზოგვენ.

ნუგზარ. მაშ შენ დიდკაცის ჩიქილა უნდა დამხურო, რადა, რომ ჩემი სახლიდამ უსისხლოდ ვისმე გავაცალო, მოურავო! მე შენ ჩემ სიძედ აღარ გიცნობ. ისე როგორც უნდა დავიხსნეთ შადიმანისგანა, რომ იმისგან შეშინებული გავრბოდეთ.

მოურავი. ხომ გაგიგონია: სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კაცისა მამაცისაგანაო? დღეს შადიმანის დროა და უნდა გავეცალნეთ. ეხლა ჩვენ აღარა შეგვიძლიან რა. მიდი შენ შენს საყმოს,

დაუმახვმდა, მინამ მეფის ჯარები ღორებივით თავებს დაგვჭრიან.

ნუგზარ. ისე არა მყავს ჩემი საყმო დაგეშილი, რომ სამს დღეზედ სულ ფეხზედ არ დავაყენო.

მოურავი. სამს დღეს კი არა, მე ყოველს წუთს მოველი აქ მეფის ჯარებს.

მსახური ნუგზარისა. (შემოვარდება დაფანცული). ბატონო, ნუგზარ! უბედურება რამა გვწევია, თუ არ უშველე შენს თავსა. მეფე შენზედ განრისხებული რასმე ყოფილა. შემოესია თმა უმრავლესი ჯარი მეფისა შენს საყმოს ნაოხს, და ვინც გაასწრო, ხომ ღმერთმა უშველა, ვინც არა და აღარავინ ცოცხალი არ გაუშვეს. ჯერ აოხრეს მთელი სოფელი და გამოიტანეს რაც რამ მოიპოვებოდა, მერე ადგნენ და სულ მთლად ცეცხლი წაუკიდეს და ჰლამოდნენ აქეთ წამოსვლასა.

ნუგზარ. მეფემ ჩემი ნაოხელები დამიწიოკა?! სად არის ჩემი ჯავარი? დამიძახეთ ჩემთა მსახურთა და ბაზალეთელებთა... ჩემი ნაოხის გაოხრება უნდა ვისმე შევარჩინო!

მოურავი. რა დროს ეგ არის... რას გაჰხდები შენის მსახურებით და ბაზალეთელებით... უშველოთ ჩქარა ჩვენს თავს... საამ, მანამ შენ, ვინც შეგხვდეს შეჰკრიბე და ეგება სადმე გორებში ჩაუჯდე და როგორც შენგან ვიცოდე, გაისარჯე — ეგება რამდენსამე ხანს მაინც შეაყენო მეფის ჯარი (ბიჭს.) შენ გადი და უთხარი, რომ ეხლავე მოგვგვარონ ცხენები. ქალები და ყმაწვილები შეიკრიბნენ საჩქაროდ.

საამ. მაშ საამ მოკვდეს, თუ თქვენი თავი უსიკვდილოდ დაანებოს ვისმე. (მოუსვამს ხმალის ხელს).

მოურავი. პაპუნა ჩივაძე ნაოხისკენ იყო დასაზვერად, ეხლა ისიც შეეხვდეს და თან წაიყვანე... ოჰო! აი პაპუნასთან ხმაურიანი ბიჭიც! რაიო, თქვენდორე?

თევდორე. (მთლად სისხლში მოსვრილი და მკლავ ჩამოჭრილი შემოვარდება). პატრონო, ჩქარა უშველეთ თქვენს თავს, თორემ მოდის ჯარი. ფაშუნამ მე თქვენთან გამომგზავნა შესატყობინებლად და თითონ კიდევ ჩაუჯდა ნაოზღვრებით ვიწროებში. შვიდი რვა ბიჭი მოგვიკლეს...

მოურავი. (საამს). აბა, საამ, შენი ჭირიმე, მიეშველე შენც ფაშუნას. (საამ გარბის). თევდორევ, ჩქარა ცხენები.

მსახური ნუგზარისა. (შემოდის). ცხენები მზად გახლავანან. ქალები და ბიჭები შეგროვილები არიან და თქვენ გელიან.

ნუგზარი. უომარი უნდა გავიდე ჩემი საყმოდან და ჩემი ოჯახიდამ?!.. მაშ ნურც მომკვდარა მოხუცებული ნუგზარ, რომ არ გამამძღარიყვეს ერთი თავისებურად მტრების სისხლით..., წამიყვანეთ, ჩემო სიძევ, სადაც გინდოდეს,—დღეს შენი ჭკუა სჯობიან ბებერი ნუგზარის ჭკუას. ჩემს ჭარმაგობაში მტერნი მაგას ვერ მიზამდნენ...

(ამდროს ისმის შორიდამ თოფის სროლის ხმა).

მოურავი. არიქა! ჯარი მოვიდა. (მიდის მოურავი, ნუგზარ მოისვამს ხანჯალზედ ხელს და მიდის).

(თოფების ხმა თან და თან ახლოს მოდის, ისმის ყიჟინისა, დაიგ-დაიგებისა და საყვირების ხმა. პატარას ხანს უკან შემოცვივიან სცენაზედ ფაშუნა ჩიკაძე და საამ კობიაშვილი სულ მთლად სისხლში მოსვრილები. ამათ შემოსდევენ თან მტრის ჯარები ყიჟინით. ისინი გარბიან მეორე კარით).

შალიმან. (შემოდის). დაჰხოცეთ, ვისაც მოასწროთ! ნურავის ნუ დაჰზოგავთ. [illegible] მოურავეს და ნუგზარს გაუსწრ-ვიათ, ჯარების წინამძღოლებო, შედით თქვენი ჯარებით ნუგზარის საყმოში და სულ მთლად მოაოხრეთ, რომ ნატამა-

ლი, ქვა-ქვაზედ აღარ გაუშვათ. დახოცეთ და გიჟლიტეთ, ვისაც მოასწროთ, რომ დაზოგვა არავისი აღარ იყვეს. ნადავლი სულ ჯარებისთვის მიწყალობებია. (ჯარები გადიან საყვირების ხმით, ყიჟინით და თოფების სროლით. გადის შადიმანიც).

# მოქმედება III.

## სცენა I.

სცენა სწარმოებს მუხრანში. თეიმურაზ მუხრან-ბატონის სახლში არიან შეყრილები მეფე ლუარსაბ, თეიმურაზ, ქაიხოსრო და სხვა მუხრან ბატონები; შადიმან, ბარათა, ხოსია, რამაზ და სხვა ბარათა შვილები; იასე, შანშე და სხვა ქსნის ერისთვები, ციციშვილები, ამილახვრები და სხვა თავადები. ყველანი არიან დავრდომილნი.

მეფე ლუარსაბ. ესეც უბედურება ქვეყნისა. კახეთში ქვა ქვაზედ აღარ გაუშვესო. თეიმურაზის დედა და შვილები ღალატით დაუტყვევნია მძვინვარე შაჰ-აბაზს, და სცოდავს მეფეს მარტოს ძლივს გამოუსწვრია და ახლა ჩემგან მოელის ნუგეშს. თავის დღეში საქართველო ღალატით ყოფილა დამხობილი. მოურავი, გუშინ ჩვენგან თაგვის სოროში მძვრებოდა, შეშინებული და არ იცოდა სად შეეფარებინა თავი, და დღეს ჩვენ ვეღარა მოგვიგვარებია რა, როგორ დავიცვათ იმისაგან ჩვენი თავიც და ქვეყანაც. მარტო ჩვენს მტრობას აღარა სჯერდება, ის და ჩვენის მიზეზით სხვებსაც აოხრებინებს და ამუსვრინებს... ქართველნო დიდებულნო! ასე როგორ უნდა წავსწყდეთ ერთი ჩვენი უკანასკნელი მონისაგან, რომ ის ჩვენზედ გამარჯვებული ვატაროთ, ჩვენი ცოლი და შვილი გავაუპატიურებინოთ და მთლად ჩვენი ქვეყანა ავაოხრებინოთ! ნუთუ ჩვენში აღარა სდუღს

მხურვალე სისხლი ჩვენის ქებული მამაპაპისა!. ნუთუ ჩვენ იმ ქართველთ დიდებულთ შვილნი არა ვართ, რომელნიც აბრძოლებდნენ მტერთა შემმუსრველს ხმალს დიდის სვიმონ მეფისას?!. ნუთუ გაიმეტებთ თქვენთვის თავდადებულს თქვენს მეფეს და მისცემთ საშტარვალოდ მისს ორგულს და მოღალატე მონას, რომელიც თვისის მეფის მტრობით აღარც თქვენს გზოგავთ?! შევებრძოლოთ, ვიდრე შეგვეძლება, და თუ უთვალავი აბას შემსის ჯარებისგან ვიძლევით, მაშინ შევსწიროთ ღმრთის მადლობა და გავსწიროთ სული ქრისტესათვის.

ბაადურ ციციშვილი. მეფევ, შენი სიტყვა ჩვენ ყველასათვის საგრძნობელია. გაუგაცობა ქართველთ დიდებულთ ჯერ არა გვმართვია და დღესაც ყველანი მზათა ვართ შენთვის და ქვეყნისათვის გავსწიროთ თავები. მტერზედ შემკლომნი აქ ყველანი ვართ, მაგრამ ჩვენში დღეს კაცი არ მეგულება, რომ შეეძლოს მტრის მოკვლა და მტრის ხელიდამ ქვეყნის გამოხსნა. მძლავრს მებრძოლს, დიდს ჯარს უნდა მძლავრი წინააღმდეგი, რომელიც მტერს, თუ ჯარით ვერ ეწინააღმდეგება,— პასუხს გასცემს თვისის სიმარჯვით, ოსტატობით, ჭკუით,— ერთის სიტყვით თვისის გონების და მხნეობის ძალით. სად არიან დღეს ჩვენში, რომელთაც მცირეთი გამოიხსნეს საქართველო მძლავრის თათარახნისაგან?! სად არიან ისინი, რომელნიც მძლავრი ხელით აკავებდნენ მეფის ხელთ ყოველთ მეფის და ქვეყნის წინააღმდეგთა?! სად არიან ისინი რომელნიც ერთის ბრძანებით, ერთის რიხით, ერთის თავისის სიტყვით და გამოჩენით აძლევდნენ მხნეობას და გულს თვით დედაკაცთა და ყრმათაცა; რომელნიცა თვისის გონიერულის დაწყობით, თითქმის უბრალოდ სძლევდნენ უთვალავთ მტერთა და აძლევდნენ ქვეყანას ერთობას?! მე ვკითხულობ: სად არის დღეს ჩვენი ჯავახი, ჩვენი წყალი, ჩვენი დამცველი—გიორგი სააკაძე? რათ

არის—ვკითხავ მე ბარათაანთ. მელიქაანთ და სხვათ—რათ არის მოურავი დღეს მტრის გუნდში და არ არის ჩვენში და თავისებურად არ გვიწინამძღვრებს და არ განაგებს ჯარებს და ქვეყანას?!—არ ვიცნობთ კაცს, არ ვაფასებთ ერთგულებას, ავდევთ მტრის სიტყვას... და ეს არის მიზეზი, რომ ახლა საქართველო და საქართველოს დიდებულნიც უნდა დაიღუპნენ და კიდეც დაიღუპებიან. არა გვყავს სააკაძე და არც გვყავს ერთი რიგიანი მოთავე, რომელმაც არ გააოხრებინოს ქვეყანა მტერს. უთვალავი ჯარი, ჩინებულად შეიარაღებული და ომში სააკაძისა და შაჰ-აბაზის ხელით გამოცდილი კარს მოგვდგომია და ჩვენ ათასი კაციც არა გვყავს მზად, რომ ლართიკრის ვიწროების შეკვრა მაინც არის შეგვძლებოდა.

ბარათა ბარათაშვილი. მერწმუნეთ, რომ ბევრნი არიან თქვენს ნაქებს სააკაძეზედ უკეთესნი; მაგრამ გამგონე არავინ არის.

თეიმურაზ მუხრანის ბატონი. რატომ მოხდა, ბატონო, ბარათავ, რომ მინამ სააკაძე იყო ჩვენში, იმ ერთ უბრალო აზნაურს ყველანი უგონებდნენ—ჩვენ გულის ძირში ვკუვით ხოლმე, რომ იმას გადაწყვეტილიც ჰქონდა ყოველივერი გამგეობა და გათავებულიც და ჩვენ, უწარჩინებულესთ ქართველებში, უფრო დიდიხნის გამოცდილებს და დარბაისლებთ არავინ გვიგონებს! სჩანს, რომ ბაადურის სიტყვა მართალი ყოფილა, რომ, თუ გვინდა ქვეყანა გარეშე და შინაურის მტრისაგან დაცული გვქონდეს,—უნდა ვაფასებდეთ იმისთანა კაცებს, ვისაც ესეები შეუძლიათ.

მელიქ ათაბაგი. იმ ერთის კაცის დაღუპვა ქვეყნის სურვილი იყო. ალბად არ იყო ქვეყნისთვის კარგი, რომ ქვეყანა იმის სისხლს თხოულობდა.

ბაადურ ციციშვილი. სულაც არა, თქვენის მზემ!—თუ

ქვეყანას ჰსურდა საკაძის დაღუპვა, მეც მეცოდინებოდა ეს. თუ ვინმე იტყვის ჩვენში, რომ ქვეყანაში ვურევივართო, იმათში უთუოდ მუხრანის ბატონი, ერისთავი, ციციშვილი და სხვებიც ურევიან. როდის გაიგონეთ ჩვენგან, რომ მოურავის სისხლი გვინდაო. მეფე თუ თქვენ გიგონებდათ სიტყვას,-აი აქა ბრძანდება... ჩვენც უნდა დაგვკითხებოდით მაგისთანა მძიმე საქმეში და უნდა გაგვეგოთ—ჩვენც ყაბულს ვიყავით საკაძის და არაგვის ერისთავის დაკარგვისა თუ არა.

შადიმან. მინამ ჩვენ ყველას სურვილს შევიტყობდით, მანამ საკაძე თავისებურად ყველას სულ ერთმანერთს გვახლიდა და ერთმანერთის სისხლში ხელებს დაგვასვრევინებდა. თუ ქვეყნის სურვილი არა ყოფილიყო, მარტო ჩვენ ჩვენს თავზედ არ ავიღებდით მოურავის სისხლსა.

აისე ქსნის ერისთავი. ქვეყნის სურვილი კი არ იყო—შენი სურვილი იყო, შადიმან, და სხვებიც შენ გააბრიყვე. სულ შენი ბრალია ეს უბედურება და შენ უნდა გედოს კისერზედ ამოდენი ქვეყნის ცოდვა. აბა რატომ არა ჰშველით ახლა თქვენ საქართველოს, სად არიან თქვენი ჯარები? მართალია, მე ჩემი ჯარით მივეშველები ყველას, მაგრამ თუ საქართველო შეჰმართავს ხელს, მე ჩემის ჯარებით მზათა ვარ.

თეიმურაზ. სწორედ, რომ შენა გაქვს ამაში ბრალი, შადიმან. შენ გაატეხინე მეფეს ფიცი, რომელიც იმან მისცა ჩემი დასწრებით მოურავსა. მეფეც აქ ბრძანდება და ის წერილიც დღესაც აქა მაქვს მოურავისგან გამოგზავნილი. რას იტყვის ქვეყანა, რომ ეს წერილი გამოვაჩინო საქვეყნოთ: მოუწონებენ მეფეს ფიცის გატეხას?!

ქაიხოსრო მუხრანის ბატონი. დიახ, ბატონო, შადიმან! იმავ თაობითვე შენი თავის მეტი სხვა არავინ გახსოვდა, და ახლაც ამოდენი ხალხი შენის მიზეზით უნდა დაიღუპოს.

თავის დღეში შენი ხმალი ჯერ ქვეყნისთვის არ ამოღებულა და შენმა ენამ კი ლამის ქვეყანა ამოიჭამოს.

იასე ქსნის ერისთ. იმიტომ რომ შადიმანისთვის ქვეყანა არ არსებობს მაგის ქვეყანა არის მაგისი თავი, და თავის მტრებისთვის მეფის ხმალსაც კარგად ჰხმარობს.

შადიმან. კაი, შენ ჩემო თავო, რომ მეფის წინაშე ვართ, თორემ მაგისთანაებს მე ქსნის ერისთავს და მუხრანის ბატონს არ ვაკადრებინებდი და უჩვენებდი, რომ შადიმან მარტო ქვეყნის მტერზედ ჰხმარობს თავის ხმალს.

იასე. ჰაი, შე გველო, შე ქვეყნის დამღუპველო, შენა! მაგითი გინდა უჩვენო ქვეყანას, რომ მეფის ხათრით ვერ იჩენ აქ შენს ბიჭობას! სადაც გიჯობდეს, იქ ვნახოთ მე და შენ ერთმანერთი. მეფის ჯარებს კი ნუ გამოიძღოლებ, მარტო მობრძანდი.

ბარათა. ეე—ჰუ! აგრე გასდა საქმე, რომ ჩემი გვარის კაცს ჩემ წინ მაგეებს უშვრებიან! მაშ დაჟანგებულა ბარათას ხმალი, რადა!

შადიმან. (ხმალს გაისვამს ხელს) რადგან აგრეა, მაშ მე გაცნობებ შენ თავს.

იასე. (იძრობს უცებ ხმალს და შეუტევს შადიმანს. შადიმან ხმალ ამოღებული უკან დაიწევს. შუაში უცვივიან). ჰაი შე ქალაჩუნავ, შენა!

ბარათა. (იშიშვლებს ხმალს) დამიდექ, იასევ. (შემოუქნევს ხმალს. იასე აუკრავს ხმლით ხმალს).

ქაიხოსრო მუხრ. ბატ. აგრე არ არის საქმე! (იძრობს ხმალს და შეუტევს ბარათას. ამ დროს ბარათაანი და მელიქები იძრობენ ხმალს და წაესარჩლებიან ბარათას და შადიმანს. ამის დანახვაზედ იძრობენ ხმალს მუხრანიანი, ციციანი და ერისთვები, თეიმურაზ მუხრამ-ბატონს გარდა, და მიიწევენ

ერთმანეთზედ. მეფე, თეიმურაზ და სხვა დიდებულნი უცვივან შუაში და აშველებენ).

კოზმან კოზმანის-შვილი. (შემოდის). მეფე თეიმურაზ გიახლებათ და მოკითხვა მოგახსენათ.

(ყველანი დაშოშმინდებიან. ჩააგებენ ხმლებს და გადგებიან განზედ. ზარათას და იასეს ისევ ამოღებული უჭირავთ ხმლები. მელიქ ათაბაგს და ქაიხოსრო მუხრანის ბატონს უჭირავთ ნახევარზედ ჩაგებული ხმლები და შეჭყურებენ ერთმანეთს, თითქო კიდევ აპირებენ რასმეო).

ზარათა. კაი შენ, ჩემო თაო! ზარათაშვილებს ეს უნდა გვეთქმოდეს ქართველთ დიდებულთაგან. მტერს შიგ კრიჭაში უდგევართ, მტრის შემოსევა და აოხრებაა—პირველი ზარათაანნი და საზარათაშვილო უნდა აოხრდეს, და დღეს ქვეყნის ორგულობას და მტრობას გვწამობენ... ვისთვის?! ერთი უზრდელო მეტიჩარა და ქვეყნის ამამტუტებელი აზნაურისათვის!..

თეიმურაზ მუხრ. ბატ. კმარა, ბატონებო! სირცხვილია! სხვა რომ არა იყვეს რა, მტერი კარზედ გვადგა და ჩვენ ლამის ერმანერთის სისხლში ხელი გავისვაროთ. კახეთის ბატონი მობრძანდებაო, და იმის მაგივრად, რომ ჩვენ ერთის პირით იმის დაწყლულებულს გულს ნუგეში ვსცეთ, ჩვენ ერთმანერთის აშლით უფრო დაუწყლულებთ გულს.

მეფე ლუარსაბ. აბა, დიდებულნო! ახლა დრო არ არის ერთმანერთის აშუღლისა. რაც მოხდა—მოხდა. ეხლა გვმართებს ყველას ერთი პირი... ჩვენ ახლა უნდა ყველანი შევსხდეთ და ბატონს თეიმურაზს მივეგებნეთ. ჩვენ გვმართებს დიდი გლოვა და ტირილი იმის უბედურებისათვის. ყველასთვის სატირელია სანატრელი დედა ქეთევან და მეფის მშვენიერი შვილები ალექსანდრე და ლევან. (მეფე გადის და გასდევენ სხვები თან).

ბარათა. (ყველაზედ გვიან გადის). გუშინდელი აზნაური, ქსნის ერისთავი, რადა თქმა უნდა თავს გამოიდებს თავის ტოლი კაცისათვის და არც ქვეყანას დაჰზოგამს იმის გულისათვის. მე ვიცი რისთვისაც ეწვისთ მაგათ კუდი. მაგათ თავის დღეში არც მოუსვენიათ, არც მოისვენებენ. (გადის).

მეძაძავე: (შემოდის შავებით ხელში და აკრავს კედლებს). ჳაი, დედასა, დიდებავ რა ხარ! კახთა ბატონს ცოლშვილი დაუტყვევესო — ყველამ შავები ჩაიცვეს და სახლსაც კი ძაძას აკრავენ, და ქვეყანას იკლებენ თათრები, მთელი კახეთი აყრილა ყველის და ცხვრის ფარასავით იმანისაკენ გაურეკია, ქვეყნის საცოდაობა ცამდის ადის, და იმათი მზრუნველი კი არავინ არის. აგერ, თითქმის ერთი კვირაა, რაც მეფე თავისის დიდებულებით აქ ბრძანდება და ჯერ ქვეყნისთვის არა უფიქრიათ რა. ყეენი და ძააკამე ქალაქს შემოეხვევიან და საცაა სამუხრანოშიაც გამოვლენ, ჩვენი კი აქ ხან კახთა ბატონის შვილების ტირილს უსდებიან, ხან ტირის ტყეში ტახზედ ნადირობას. თუ არ უშირებენ ქვეყანას შველას, გახიზვნა მაინც უბრძანონ. ქვეყნის ცოდოში მაინც რათა დგებიან: ქვეყანას მაგათზედ აქვს სასოებაა; ქვეყანა შიშმა აიტანა, სამუშაოზედ ხელი აუღიათ და ჭვერაგენ თოფს და იარაღს: აცა ქალა დაგვიძახებენ, აცა ქილასო, და ჩვენი კი ერთმანეთის კამათსა და შეგცევას უნდებიან. მინამ ჯერ შიშის ზარს არ აუტანია გლეხ-კაცი და მტერი კარს არ მოგვდგომია, მინამ უნდა ჯარის დაძახება, რომ ერთად შეყრილი უფრო გული მიეცეთ, თორემ თუ ერთი შიშის ზარი დაეცა და გლეხ-კაცმა სცნა დიდებულთა უძლურება და მტრის ძალა, — მაშინ სრულებით ველარას გახდებიან: ისე მიიმალება ყველა მდაბიო ხალხი, რომ მეძებრითაც ველარ იპოვნი. თავად ეხლაც ყველა თავის ცოლ-შვილს უნდება, რომ ოსებმა და ქისტებმა ფრთები შეისხეს, ჩამოდიან და იტაცებენ საწყალი კაცის სა-

ჩოს. სუ ყველა არეული და აბღალულია. ზოგი გახიზვნას აპირობს, ზოგი არა; ზოგი ციხეებსა და კოშკებს იმაგრებს; ვინც უფრო ახლო არიან მტერზედ, მწუხარებისა და შიშისგან ხელებს იმტვრევენ და თმას იწეწენ—არ იციან რა ჰქნან. ბერე-ბი, უდაბნოები და ეკლესიები გაივსნენ საწირავით. ფეხ-შიშვე-ლა ქალები პატარა ძუძუთა ბავშვებით ხელში შეუწყვეტლივ მიდიან სალოცავებში და უკანასკნელს საკლავს და საწირავს აძ-ლევენ მღვდლებს. ღმერთმა რომ თვალები აუბას შაჰ-აბაზსა და აღარ შემოვიდეს ჩვენს წასახდენად,—თუ ამ ყოფაში პატარას ხანს კიდევ დარჩა ქვეყანა, მეტიც აღარ გვინდა: ასე გატყავდებიან ყველანი, რომ ამ ერთ ხუთს წელიწადს ვეღარავინ მოიდგამს სულს. მაგათ კი რა ენაღვლებათ: წაუხდებათ რამე, ისევ სა-წყალი კაცის კისრიდამ ამოიღებენ და თავისას არ მოიკლებენ. (ისმის გარედამ გლოვის ზარი და ტირილი). ოჰ! აგერ კახთ ბატონიც მოვიდა. ეგება იმან მაინც აგონოს რამე ამ დიდ კა-ცობას, ის უფრო დამწვარი და გამოცდილია. ქვეყანას ომი სწყურიან და მოთავე კი არავინ არის. (გადის.)

თეიმურაზ მუხრ.-ბატ. (შემოდის ნამტირალევი). მო-ბრძანდით, ჩემო სანატრელო სტუმარნო. მინამ ამძვინებულს მტერს არ გაურეკნივართ აქედამაც, მინამ ამ სახლის ბატონი და მბრძანებელი თქვენს გარე არავინ არის. (შემოდიან მეფე თეიმურაზ და ლუარსაბ, აგრეთვე ქართლ-კახეთის დიდებულნი).

მეფე ლუარსაბ. შემდეგ მაგ უბედურებისა, როგორ გი-კითხოთ.

მეფე თეიმურაზ. ჩემი დედისა და შვილების დაკარგვისა და ჩემის კახეთის მიწასთან გასწორების შემდეგ, ჩემი ამბავი რაღა საკითხავია. არ გაძღა სისხლით მძლავრი შაჰი აბაზ. სიც-რუით დამტყუა დედა და შვილები და სიმძლავრით ამიოხრა ქვეყანა. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ მე მაინც არის გამო-

ვასწარ და გიპოვე შენ ისეთი მოყვარე, რომელიც თავის ჭერს ქვეშ თავს მაფარებინებ. ჩემი სახლი, ჩემი ჭირნახული სულ მტერთან გაასწორეს, და დღეს ვარ მეფე, რომელსაც საკუთარი ჭერი არა აქვს, რომ თავი შეაფაროს. მაგრამ, თუ შენც არ უშველე შენს თავს, შენც ეგ დღე მოგელის.

მეფე ლუარსაბ. ჩვენც მაგის ზრუნვაში გახლავართ. აგერ ერთი კვირაა თითქმის ჩემის დიდებულებით აქა ვართ შეყრილნი და გვაქვს რჩევა, მაგრამ აქამდის ვერაფერს აზრზედ ვერ დამდგარვართ.

ედიშერ ჩოლოყაშვილი. თუ მოისმენებთ, მეფენო, ჩემი აზრი ეს გახლავთ, რომ რა ჯარიც მოვისწროთ, უცებ შევკრიბოთ და დავესხათ ყიზილბაშთ. ზოგი კაი ნარჩევი ვაჟკაცნი აქა გვყავს, ზოგი აქედან გამოვა. ეხლა გაბედვის და სიმარდის მეტი არა გვეწყობათ-რა.

მელიქ ათაბაგი. ჩვენთვის საშიში ისე შაჰი არ არის, როგორც სააკაძე, რადგან იმან ყველა ჩვენი ძალა, ყველა ქვეყნის სიმაგრე და ბილიკი იცის, და შიგაც მრავალი მომხრე ჰყავს. ის ისე უჩვენებს ქვეყანას თავს, ვითომც არაფერს საქმეში არ ერეოდეს; მაგრამ ამას მხოლოდ უჩვენებს, რადგანაც ჯერ საქმე არ უჭირთ, თორემ უიმისოდ რატომ აქამდის არ გაჰბედა აბაზმა საქართველოს წახდენა? მაგრამ, იმის დაუზავებელი გული მინამ არ გაძღება სისხლითა და არ იყრის მთელს საქართველოზედ თავისი მტრების ჯავრს, მინამ არ დასცხრება.

იასე ქსნის ერისთავი. ვინ არის იმისი მომხრე ამ საქმეში, თუ მართლა მოურავი შეიქნა ქვეყნის მოღალატე და ქვეყნის ცოდვის კისერზედ აიღები?! ამას მხოლოდ იტყვის ის, ვინც არ იცნობს მოურავს და არ უნახავს მართლა ჩაფიქრებული და არ ჩაუხედნია იმის გულში. თუ მე, ჩემი მზა ჯა-

რებით მზადა ვარ, რომ ყველაზედ წინ დავღვარო სისხლ[ი]
საქართველოსთვის, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მოურავ[ის]
ქცევასა და სიტყვებში. მაგრამ, ეს კი იცოდეთ ყველამ, რომ
თუ ასე გულ-ხელ დაკრეფილი ვუყურეთ, როგორც აქამდის,
არ წავასწყდენინებ აბაზს ჩვენს ქვეყანას, შეკრული მოყმები და არ
მოვაშორებ ჩვენს ჯარს აბაზს ბოლომდის.

ბარათა ბარათა-შვილი. ჩემი სათქმელიც სულ ეს არის,
რომ ყოჩობა არ იქნება, მეთქი. ან უნდა დავითმინოთ, ა[ნ]
ქვეყანას როგორმე უშველოთ.

ბაადურ ციცი-შვილი. ჩემი ეს ერთი აზრია. ჩვე[ნ]
ლაპარაკიდამ სულ ის გამოგვყავს, რომ ყოჩობა არ იქნება.
ყველას უნდა ომი, ხანდახან მოუთმენლად მოელის ომს და
სწყურიან მტრის სისხლი; და აქამდის კი არცარა სადმე ბრძო[ლა]
და ხმანის, არც სადმე ჯარები. მინამ ჩვენ ვილაპარაკებთ, მინა[მ]
მტერი კიდევ აოხრებს ქვეყანას. თუ ყველას ომი სწყურს, მა[შ]
რადა გვიდგას წინ. დღესვე გავემზადნეთ მტრის იმ ძალით,
რაც ჯერობით ხელთა გვაქვს და მინამ სხვა ჯარსაც დაუძახო[თ].

მეფე ლუარსაბ. ჩემი სურვილი—სწორედ ომია. ის[ე]
მოჩვენია, რომ მოვკვდე, მინამ ვუყურებდე ჩემის ქვეყნის [ა]-
ოხრებას.

მეფე თეიმურაზ. ჩემო საყვარელო და ძვირფასო ძმა[ო]
და მოყვარევ, ლუარსაბ! ნუ გეწყინება, თუ შენზედ უფროსი [და]
გამოცდილი მეფე გაგიბედავ მართალს. შენ ჯერ გამოუცდელ[ი]
ხარ. შენ ჯერ სისხლი გიდუღს და რასაც გული გითქვამს—იმ[ას]
ასრულებ. მაგრამ ამისთანა საქმეში უნდა გონების ხმის გაგო-
ნება. შენ კარგად იცი, რაც ჯარი ახლავს აბაზსა. ჯარი ახლა[ვს]
იმისთანა, რომელიც გუშინდელმა შენმა მონამ სააკაძემ გაა[ქე]-
ზა გამარჯვებებში ინდოეთის და ბაღდადის ომებში. ჯარ[ი]
ეს არის შეიარაღებული და დამზადებული ოთხ-ზარბაზნით

[და]ზამბურაკებით; მიუძღვის იმას უძლეველი მაჰ-აბაზ, და მაჰ-აბაზს ახლავს თან მოურავი. ჩვენ რაც უნდა ჯარები შევყარით, მესამედიც ვერ გამოიტანს თოფს და უნდა იომოს შვილდ-ისრით. თუნდა კიდეც, რომ ღმერთმა ინებოს და იმ-დიოს მაჰ-აბაზი, რითი ვართ დარწმუნებულნი, რომ მერე მო-სისხლე მტერი, მძლეველი სინდის და ბაღდადისა, დამმო-ნავებელი ავღანისტანისა, ზარის დამცემი აბაზის მტრებისა, და იმის გვირგვინისა და ტახტის გამდიდებელი და მიღებუ-ლი და მეწყალობელი იმისგან,—გიორგი სააკაძე არ შემო-გვმართავს ჩვენ სულს! იმისთანა ძალის კაცი არავის არ შეარ-ჩენს ადვილად მაგ გვარს დევნას, რაც თქვენგან იმას მიჰყენე-ბია. აბაზ რომ დამარცხდეს—სააკაძის ძლევა ჩვენში არავის არ შეუძლიან. ერთი იმის სახელის გახსენება და ქართ-ველების გადგომა ერთი იქნება და პირველი ჩვენ მიგვცემენ იმას ხელში. ამის გამო, ჩემი აზრი ეს არის, რომ ხალხს უბრძანოთ გახიზნვა და ჩვენ თავები დროებით შევაფაროთ იმერეთს მეფეს.

შადიმან ბარათაშვილი. სრულებით ჭკუამართალი ბრძანებაა ბატონის თეიმურაზის სიტყვები. აბაზის შებმა რომ შევ-ძლოთ, მოურავთან ჯერს გავაწყობთ და მაშინ უარესობა მოგვივა.

როსტომ გედევანიშვილი. (შემოდის დალალული და გულ-გახეთქილი, თან შემოსდევენ სხვა რამდენიმე აზნაურები, მერეთვე დალალულნი და ქუდ მოხდილნი.) მეფენო და დიდე-ბულებო! ჩვენ, ცხეთის, საგურამოსი და სხვა მახლობელი სოფლების ხალხმა გამოგვიგზავნა, რომ შევიტყოთ, რას უპი-რებთ ქვეყანას? ყაენი შემოვიდა თიანეთს [illegible] და სულ მტვერთან გაასწორა. იქიდამ გამოვიდა ახლა და იმისი ჯარი უშიშრად მოდის, ქალაქს მისდგეს. მოდიან გულ-ქართლში, და გზაზედ სტყვევნიან ხალხსა ვისაც შეუძლიან. სიკვდილი—მაჰ-

ჯავთ, ვისაც არა და მთლად ჭყლეტამენ: არ არის შებრალება არც მოხუცთ, არც უსუსურთ და არც სნეულთა. მოდის კვარ და უკან აგდებს ცეცხლის კვალს. ქვეყნებს, ტყეს, მინდორს და ვენახებს ეგზნება ცეცხლი და გაცხოველებული ცეცხლის ალი ისე ახურებს ჰაერს, რომ თვით ჰაერი სწვავს და სტუხავს შორს და დარჩენილთ ხეთა და ბალახთ. ხალხი, ზარდაცემული არის განწირულებაში და მხოლოდ თქვენგნით მოელის ღსნას.

(ამ დროს ისმის გარედ საშინელი არეული ხმაურობა ხალხისა, დედა-კაცების წივილ-კივილი, ბავშვების ბღავილი და ისე ყვირილი).

რამდენიმე ხმა გარედამ. მიგვიშვით მეფეებთან, გვაჩვენეთ მეფეები. (მსახურები დგანან კარებში და არ უშვებენ.)

ბაადურ ციცი-შვილი. შემოუშვით! დეე ნახონ მეფეთ და დიდებულთ, რა გაჭირებაშია ხალხი! უნდა მაგ ხალხს შველა, თუ არა! (მსახურები კიდევ არ უშვებენ და ხალხი აწვება.)

მეფე ლუარსაბი. შემოუშვით. (მსახურები მისცემენ გზას. ხალხი შემოდის ჭედვით. ხალხში არიან მრავალი დედაკაცები ძუძუ-მწოვარა ბავშვებით, ნახევარზედ ტიტველ-შიშვლები).

რამდენიმე ხმა. რატომ არ უპატრონებთ ქვეყანას?! რაზედ სდგებით ჩვენსა და ჩვენი ცოლ-შვილის ცოდოში. მცხეთა გაუოხრებიათ და ახლა აქეთ დაძრულა ჯარები.

როსტია გედევანი-შვილი. მცხეთაცა! ვაიმე ცოლშვილო, დაღუპულო! (იტაცებს თმაში ხელსა და გარბის).

რამდენიმე ხმა. თქვენ უნდა ზიდოთ ჩვენი ცოლშვილის ცოდო, რომ თქვენგანა ვართ ამ დღეში ჩაცვივნულები.

მეფე ლუარსაბ. დამშვიდდით, დამშვიდდით, ჩემო დედავ და ძმანო, მე უფრო გული მიკვდება ამ ქვეყნის საცოდაობაზედ.

რამდენიმე ხმა ხალხიდამ. ჩვენ გულმტკივნეულება კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა რომ გამოგვიხსნა მტრის ხელიდამ. მტერი კარს გვადგია.

სხვა ხმები. ლამის ქვეყანა სვავებივით მუცელში ჩაი-დოთ და ახლა-კი ქვეყნის საცოდაობასაც ყურს აღარ უგ-დებთ!!. აქედამ ფეხსაც არ მოგაცვლევინებთ... სადაც ჩვენ დაგვხოცვენ, თქვენც იქ უნდა დაიხოცნეთ.

თეიმურაზ მუხრ. ბატ. ნუ გეშინიანთ, ძმებო! ქართვე-ლები არა ვართ! მომყევით აქ. დამიძახეთ მთლად სამუხრანო-სა. უომრად ვინ გაგვიშვებთ. (მიდის ხმალ ამოწვდილი).

ბარათა ბარათა-შვილი. (იწვდის ხმალსა) მომყევით და მტერი ვერას გვიზამს. (მიდის და მისდევს თან ხალხი).

თეიმურაზ მეფე (ლუარსაბს). ჩვენ გავეშურნეთ იმე-რეთს, თორემ თუნდა შაჰ-აბაზს რომ გავასწროთ, ამისთანა აღელვებულ ხალხთან ხუმრობა არ ვარგა: ესენი უარესს გვი-ზამენ. ქართველი კაცი თუ ერთი მოთმინებიდამ გამოვიდა, ვეღარა შეიკავებს-რა

მეფე ლუარსაბ. სად უნდა წავიდე აქედამ ჩემი ცოც-ხალი თავით?! ჰყურობ, რა საცოდავობაა ხალხისა! არა, მეც ამათთან უნდა მოვკვდე.

თეიმურაზ მეფე. წავიდეთ, შენ ხალხს ვერას უშველი და შენის სიკვდილით იმათ ვერას მოუმატებ. (ჰკიდებს ლუარ-საბს ხელს, გადის და გაჰყავს თან. დადებულნი გასდევენ).

იასე ქსნის ერისთავი. ეეჰუ! მაშ ეგ არის ანებებთ რა-ღა ქვეყანას თავს?! მაშ თქვენი მხლებელი არ გახლავართ. (თა-ვის მოურავს.) აცნობე ჩემ ჯარებს, რომ ყველნი არ დაშორდე-ნენ. მუსრი მაგათ სახელს და მაგათ ერთგულთას!... ჩემთვის ეს უკეთესი... შაჰს მე პირველმა დავუკარ ჩემი ჯარებით თა-ვი... შაჰი დააფასებს ჩემს ერთგულებას. (მიდიმასის.) ეს სულ

შენი ბრალია მეფევ. (გადის).

შადიმან. შენი მტერი, ახლა ისეც თუ მიუდგა მოურავს, მე სულ აღარ მაბოგინებენ. მეც უნდა დავუგდო ყეენს თავი, თუ მოვასხერხე, თორემ დავიღუპები. (გადის).

## სცენა 2.

სცენა სწარმოებს გორში, ციხის მახლობლად, მტკვრისა და ლიახვის შუა, სადაც სდგას შაჰ-აბაზ ჯარებით; შაჰის კარავის წინ არის დიდი მოედანი, რომელსაც აქეთ-იქიდამ მტკვარი და ლიახვი ჩამოუდის. შორიდამ მოჩანს გარშემო ყოველმხრივ გაცხოვლებული ცეცხლების ალი, რომლებიც უკიდია სოფლეებს და ტყეებს. მოედანზედ დგანან ტყვეები, რომელთაც არტყიან ჯარები. ტყვეები მომეტებული ნაწილი არიან ქალები და ყმაწვილები. მრავალნი სდგანან განწირ-ულებით გულ-ხელ დაკრეფილნი, მრავალნი ჩუმად ქვითინებენ და ჰგოდებენ. შაჰ-აბაზ სდგას თავის კარვის წინ მოედანზედ და გასცქერის ცეცხლ-წაკიდებულ სოფლებს. იმის მახლობლად სდგას დიდი მოურავი. უკან უდგანან ხანები და სულთნები.

შაჰ-აბაზ. რა სასმოა, როდესაც დამარცხებული მტერი ფეხ-ქვეშ გიშერია და იმისი სარჩო—სამყოფი შენ თვალ-წინ იწვის და მიეცემა ჰაერს. (მოურავს.) აბა, საავაძე, შენ რომ შეგისრა სარდლობა, ეს გამარჯვება და ეს დიდება ხომ შენი იქნებოდა. ერთი შეხედე რა სანახავებია! შეხედე, ალაგ-ალაგ როგორ ცამდის ადის ცეცხლისა და ალის ტალღები, თითქო უნდათ, რომ ცასაც წაეკიდნენო... მე ასე მეგონა ყველა გურჯი მოურავზედ უარესია და იმათი ეშინიან იმასა, მეთქი.

მოურავი. ამ გვარი დიდება და ძლევა, დიდებულო ხელმწიფევ, შეჰფერის მხოლოდ გვირგვინოსანთა, და არა მათს მონას.

შაჰ-აბაზ. თითქოს არ აპირებდნენ გურჯები დამონავე-ბას?! დღე დღეის იქით სცნან, ვისაც უბედავდნენ წინააღმდე-გობას.

სპასალარი. (შემოდის.) მაღალო მფლობელო ყოვლად ირანისაო, როგორ ისურვებთ ამ ტყვეებისათვის?

შაჰი. სულ რაერთია ტყვე?

სპასალარი. გუშინ გავისტუმრეთ ირანში ზოროჯომის ხეობიდამ დატყვევნილი რვა ათასი მოსახლობა. ეხლა არის შვიდი ათასი მოსახლობა მოყვანილი სურამისა და ალის ად-გილებიდამ. ექვსი ათასიც ახლა მოჰყავთ გვერდის ძირიდამ და სხვა ადგილებიდამ. სულ დატყვევებული და გასტუმრებული ქრასის არის ოცდა-ათი-ათასი მოსახლობა. მეტი ვერ მოვასწა-რით, რადგან გაიხიზნულან მიუდგომელ ადგილებში.

შაჰი. მისწერეთ ყველა ჯარებს, რომ სადაც კი შეიძლე-ბოდეს, ყველგან შეესივნენ და აღარა-გაუშვან-რა: სულ დას-წვან, რაც არ წამოიღებოდეს; ვისაც სიარული შეეძლოს დაა-ტყვევონ, ვისაც არა და მთლად გაჟლიტონ, რომ კაცი არ დარჩეს ამ ჩემს ურჩს გურჯისტანში. მისწერეთ ირანს ჩემთ დიდებულთ, რომ ამ ტყვეებიდამ, რომელიც უმაწვილი ბიჭი და ქალი მოეწონოთ—ან ჯარებისთვის, ან მსახურებად აიყვანონ, ვინც არა და დაასახლონ მტრის შემოსასვლელ საზღვრებზედ. ვინც პატარა ვარგოდეს ურმებით გაისტუმრეთ, სხვები ქვეითად, ვინც ვერ შესძლოს ქვეითობა—დახოცეთ. აბა ერთი დავათვა-ლიეროთ ამ ტყვეებში—იქნება ჩემი ჯარებისთვისაც გამოდგეს ვინმე. (მიდის ტყვეებისაკენ).

სპასალარი. ერთი შვიდიოდე უმაწვილი არის, რომელ-ნიც მოგეწონებიან და რომელნიც მე მაშინვე თქვენთვის და-ვასახელე.

შაჰი. (დადის ტყვეებში და ათვალიერებს) აბა რომლები არიან?

სპასალარი. (არჩევს ოთხს თორმეტ—ცამეტის წლის ქალებს და იმავე ხნის ყმაწვილებს). ესენი გახლავან.

შაჰი. (სინჯავს.) ჰმ! მართლა რომ კარგები არიან. გაგზავნეთ ეხლავ ჩემს აბანოში და მერე ჩემს ჰარამში მიიყვანეთ. ეს ორი (უჩვენებს ორს სხვა ყმაწვილ ბიჭზედ.) დაასაჭურისებინეთ. სხვა ტყვეები წაასხით და გაისტუმრეთ. (ტყვეები მიჰყავთ. ისმის ქვითინი და ტირილი ტყვეებში. მრავალნი ამათში ეცემიან მუხლზე და ევედრებიან აბაზს.) ვინც არ წამოგყვეთ, ყველანი დახოცეთ, რომ დაბრკოლება არ იყვეს: გაირეკეთ (ჯარები სცემენ ტყვეებს თოფის ჯიგლიგებს და შუბის წვერებს და ერეკებიან. მრავალნი ტყვეებთაგანნი შუბის მგერებით დაჭრილნი იქვე დაეცემიან. ჯარები ჰხოცვენ დაცემულებს) დახოცილები წყალში ჩაჰყარეთ. (ჯარები ჰყრიან დახოცილებს მტკვარში!)

სპასალარი. ახლა იმისას რაღას ბრძანებთ: გავამზადოთ ჯარები საიმერეთოდ, თუ არა? ეტყობა იმერთა მეფე ჩვენ არაფრად გვაგდებს, რომ არ გვანებებს ლუარსაბსა. საჭიროა, რომ თქვენი ძალა იმერელთაც აცნობოთ. მაინც მთელი სპარსნი სულ აქ არიან და ერთი იქაც გადიდოთ თქვენი სახელი.

შაჰი. სწორედ ამბობ ჩემო სპასალარო. გაეც ბრძანება, რომ მთლად შეიკრიბნენ ჩემი ჯარები და ხვალვე გაუდგეთ იმერეთის გზას. სადაც გურჯის სახელია, ეტყობა იქ თავხედობას არ დაიშლიან. შევანანებ გიორგი იმერელს ამ ურჩობასა. მაგრამ საჭიროა, რომ სააკაძის აზრიც ვიცოდე, რადგან ყველაფერი გარემოება ამან უფრო იცის.

მოურავი. დიდებულო მფლობელო ყოვლისა ირანისაო, ჩემზედ უბედნიერესი კაცი არ არის, რომ ძლიერი, ქვეყნის

მფლობელი და მტერთა რისხვისა დამცემი და დამმონავებელი, შაჰ-აბაზ ისმენს ერთი უკანასკნელი თავის მონის რჩევას და იმედი მაქვს, ჯერ აქამდის ჩემი სიტყვა მაღალს ირანის ტახტის მფლობელს ცუდად არაოდეს არ დაჰსჯდომოდეს. მე თქვენთან ხლებით გამიკეთებია სახელი; თქვენი დიდება არის ჩემი ბედნიერება და თქვენი ამაღლება—ჩემი იმედი. ჩემზედ უბედური არავინ იქნებოდა, რომ აქამდის უძლეველმა და ყოველთვის ამაღლებულმა ხელმწიფემ შაჰმა აბაზ—ვერ სძლიოს მტერი და ამითი დაიმცროს თავისი სახელი. არ უწყით, მაღალო ხელმწიფეო, რა ადგილნი გვექნებიან საომრად, რომ კანჯარი ძლივსღა ჰსტის კლდიდამ კლდეზედ; სადაც თითქმის ცის ძირას, მიუდგომელს ბორცვებზედ, დაფარულს და დაბურვილს ტყეებში სახლობენ მუდამ ომში გაჩვეულნი და გაგეშილნი მცხოვრებნი. არ იცით, ძლიერო შაჰო, რა სალხი ახვევია იმერეთს: მდევთა მსგავსნი სვანნი, რაჭველნი ქაჯნი და ალანნი გამოვლენ მთიდამ და მარტო ერთის თვისის დანახვით დასცემენ ზარს ყოველთ თვისთ მებრძოლთა; ქურციკთა უმარდესნი და ტურის უგრძნობლესნი აბხაზნი და მეგრელნი; გულშეუდრეკელნი და ამაყნი გურულნი, აჭარელნი და ქობულელნი სულ შეყრილი ეყოლება გონიერს იმერთა ბატონს გიორგის. ამასთან, ნახევარზედ მეტი ქართლი და კახეთი სულ იქ არიან გახიზნულნი, და გაშფოთებულნი, და რაც უნდა ძლიერი ჯარები გვყავნდეს, ჩვენ იქ გამარჯვება არ შეგვიძლიან. ამისთვის კადნიერად მოგახსენებთ, ხელმწიფეო, რომ მაგ თქვენს ჰზრზედ ცოტა ფრთხილად იყვნეთ და ნუ წაიკიდებით გიორგს იმერელს.

შაჰი. ესეც ერთ შერცხვენასთან არის, რომ არ გავანუბებს ლუარსაბს.

მოურავი. მოუთმინეთ შადიმანს. მეფე უჯერებს შადი-

მანს, და რაკი შადიმან თქვენ ისე შეიწყნარეთ, შადიმან გამოგზავნის ლუარსაბს. ჯერ მაინც ხანი არა გასულა რა, რაც შადიმან წავიდა მეფესთან. გიორგი მეფე აგრე ადვილად არ გამოუშვებს იმას. გიორგი ძალიან გამოცდილი კაცია და იმას კიდეც უნდომება, რომ ჩვენ გაგვიტყუოს იმერეთისკენ და მერე შეგვიმწყვდიოს შუაში: აქედამ ქართლ-კახეთს აგვივსებს და თითონაც ჯარებს მოიხმარებს, იქიდამ თითონ წამოგვესევა და იმისი განზრახვა ეგ იქნება.

ელჩი. (შემოდის.) გურჯისტანის მეფე ლუარსაბ გიახლებათ თავის ამალით.

შაჰი. აჰა! უბრძანე შეიკრიბოს ჯარები, მესაკრავენი და მთლად ჩემი ამალა. უნდა დიდის დიდებით მივეგებნეთ მეფე ლუარსაბს, როგორც შემშვენის ქართლის მეფეს და ჩემს ცოლის ძმას. (მიდის და გასდევენ ყველანი მოურავის გარდა).

მოურავი. (დიდს ხანს სდგას მარტო გულ-ხელ დაკრეფილი და გაჰყურებს ცეცხლ-მოკიდებულ ქვეყნებს.) დიდება შენს ძლიერებას, უფალო! ამოდენა ცრემლს, ამოდენა სისხლს, ამოდენა ქვეყნის საცოდაობას, სიცოცხლის გამოსალმებული ბეჭერივით შეჰყურებენ და კაცი არ გამოჩნდა ამოდენა უბედურების პატრონად. ოო, გამოუცდელო ლუარსაბ! ოო, სულის მტერო შადიმან!! თქვენ უნდა უგოთ პასუხი განკითხვის დღეს ამოდენა საცოდავობისა და ცოდვის გულისათვის... რა გენაღვლებოდათ, მეც მეჭამა ჩემს ქვეყანაში ერთი ლუკმა პური?! მაშინ ნახავდა აბაზ, როგორც იეფად დაუჯდებოდა ეს კადნიერება და სისხლით გაუმაძღრობა... აგერ თითქმის ათი წელიწადია სისხლსა ვღვრი, დავკარგე ძმა და ვინ იცის რამდენი მოკეთე და ერთგული ყმა. ვისთვის? ჩემი ქვეყნის მტრისა და დამამხობელისთვის. ალაგი აღარ არის სპარსეთისა და იმათ მტრის ქვეყნებში, სადაც არ დაღვრილიყო ჩემი და ჩემ სა-

უყვარდეთ სისხლი და სული იმიტომ, რომ მე ჩემს ქვეყანაში შადიმან და ლუარსაბ არ მაყენებდნენ... შადიმანს აჰყევი, ლუარსაბ, და შადიმანივე გიღებს შენ ბოლოს... შენი თავი ძვირად გიღირდა ქვეყანაზედ, გუშინაც გაჭირვების დღეს, მაგრამ იმოდენა ცოდო ყველგან მოგაგნებდა შენ... დაღუპულს მამულს, მეფეც თავისივე მსგავსი ეკადრება, და მოსულა შენი აღსასრულის დღე... მოუხდე აბაზის ფიცს და მლიქნობას და მერე თითონ იცის...

იასე ქსნის-ერისთავი. (შემოდის) დრო ესლა გაქვს, გიორგი, ლუარსაბი მოდის და შადიმანიც ხელთა გვყავს. არც ეგენი და არც სხვანი, ვინც მტრად გეგულება, არ უნდა გაუშვა ცოცხალი.

მოურავი. ისეც ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, ჩემო იასევ, და ამ სისხლს მიმატება აღარ უნდა.

შაჰის ყული. (შემოდის) შაჰმა გთხოვათ, რომ თქვენც წამობრძანდეთ ლუარსაბის მისაგებებლად. (გადის.)

მოურავი. ეს აბაზის მიგებება ლუარსაბისა—ანდერძის აგება არის. (გადის).

## სცენა 3.

სცენა სწარმოობს მცხეთას, სვეტი-ცხოვლის გალავანში. რიჟრაჟის ჟამია. ეკლესიის ერთ კუთხეში ნაბადში გახვეული კაცია და აქეთ-იქით იყურება.

ნაბადში გახვეული. ოჰ, მადლობა ღმერთსა! მოდის გიორგი. მგონი, ის არის. ღმერთო, რა რიგად გატეხილა, კაცი ვეღარ იცნობს... ვაჰ! რა რიგად მიცემს გული... რამდე-

ნი ხანია აღარ მინახავს... იქნება ვეღარც კი მიცნოს... რაღას მიცნობს, კაცის სახე აღარ მადევს ამდენის ელდისა და მწუხარებისაგან.

მოურავი. (შემოდის და ათვალიერებს, თითქო ეძებს ვისმე. ნაბდიან კაცს დაინახავს.) შენ ვინა ხარ? რას აკეთებ აქ?

ნაბდიანი. (ხმის კანკალით.) აქ მოდი! მე ისა ვარ, ვინც გთხოვა, რომ აქ ამ დროს მოსულიყავ. სხვა ხომ არავინ მოგდევს?

მოურავი. (მოდის ახლო). სხვა არავინ არის. (ორივენი დგებიან კუთხეში.)

ნაბდიანი. (გადიხდის ნაბადს.) გიორგი! მიცნობ?...

მოურავი. (ჩააკვირდება.) მაკრინევ, შენა?! (მოეხვევა.)

მაკრინე. (ჩამოეკიდება მოურავს კისერზედ, თან ჰკოცნის და თან სტირის.)

მოურავი. ჩემო ძვირფასო მაკრინევ! ჩემო სიცოცხლევ, მაკრინევ!... ჩემგნით გაუბედურებულო მაკრინევ!... მე დაგღუპე შენ... მე ჩავდექ შენს ცოდოში, მე გავაუბედურე შენცა და ჩემი თავიც... მაკრინევ, მაკრინევ!... (ჰკოცნის ცხარედ და სტირის). რა მოგვაგონებდა ამ დღეს, როდესაც ნოსტევში ლხინი გვქონდა... სადღაა ჩემი ნოსტევი!.. სადღაა ჩემი საქართველო, რომლისთვისაც გავწირე შენ!.. ყველა მტერთან არის გასწორებული.

მაკრინე. დაჯექ, გაძღე შენის ყურებით, შენის კოცნით, მინამ გვაძლევს დრო და ქვეყნის ამამტუტებელი ჯარები არ არეულან მძოვრის მოძებარი ტურებივით.—დაჯექ, გიორგი, იქნება ეს იყვეს უკანასკნელი ჩვენი ერთმანეთის ნახვა... იქნება ვერ მოვესწრა შენს ნახვას, როგორც ვერ მოესწრა უბედური დედა-ჩემი... სულ შენს ხსენებაში ამოუვიდა სული: მი-

ჩვენთ ჩემი გიორგი და მიჩვენეთ გიორგიო... სადა ხარ, შვილო გიორგი! იძახოდა უბედური სულის განტევების დროს. (ტირის).

მოურავი. გიორგი კი ცოფიანივით განდევნილი თავის სამშობლოიდამ, ეძებდა თავის ქვეყნის მტრის ჭერს ქვეშ საფარველს, მშობელთა და სანატრელთ მოშორებული... ოჰ დედა-ჩემო! ჩემს ნახევარს სიცოცხლეს მივცემდი, ვინც ერთხელ კიდევ გამოსასალმებლად მაინც მიჩვენებდა შენს თავს, რომ უკანასკნელად, სულის ამოფშვენის დროს დავკონებოდი მშობელის გულს და ტირილით მესრულებინა გული (ტირის). ჩემი ბრალია... მე ვერ ავსწონე კარგად ჩემი საქმე... მიუშვი მეფესთან ჩემი მტერნი და არაფრად ვაგდებდი მტრის ძალას, მეფის უხასიათობა კი სულ გონებიდამ გამომივიდა.

მაკრინე. ვაჰ, გიორგი! ცუდად ნულარ ასწერებ ლუარსაბს. ის უმანკოა ამ საქმეში... არ იცი რა გული აქვს ჩემი გულის მკვლელს, ჩემს უბედურს ლუარსაბს... ვერ იცნობ შენ ჩემს ლუარსაბს... და თუ შენ მცირეც არის ჩემი სიყვარული გქონოდა—აგრე არ უნდა გაგემეტებინა ლუარსაბი... მართალია მე აღარ მადედოფლა, მართალია ჩემი ცოლქმრობა აღარ ინდომა და ამხადა თავიდამ გვირგვინი... მაგრამ, არაფერში იმას მე არ ვამტყუნებ, და ჩემს უდაბნოში ყოველს საათს ვედევ იმის მავედრებელი ვარ წინაშე უფლის ჯვარისა... კიდევ იმისის სიცოცხლით ვცოცხალვარ და იმისი კარგად ყოფნა მიხარებს გულს... რასაც დღეს იმის უბედურებას ვაგონებ, იმ წუთას განუტევებ მეც სიცოცხლეს... იმისმა უბედურებამ იმისმა ტყვეობამ გამომიყვანა მე უდაბნოდამ და გამაბედვინა ამ ტანისამოსის შემოსვა და ამოდენა განსაცდელით შენთან, მოსვლა ამისთანა უდროვო დროს, თუ გრწამს და-ძმობა, თუ გიღირს რამე დედი-შენისა და მამი-შენის სული, თუ მცე-

რეც არის გაქვს სიბრალული შენის უბედურის და შენგან შვილივით გაზდილის დის მაკრინესი—შეიბრალე ჩემი ლუარსაბ, შენი მეფე, ნუ გაიმეტებ იმას საუბედუროდ. მე ვიცი ის სახეიროდ არ გამოიყვანს ყეენმა. ნუ გაისვრი ჯერ მეფისა და მერე შენი სიძისა და ძმის სისხლში ხელს... ეს არის უკანასკნელი ჩემი სავედრებელი შენთან, და თუ ამას არ შემისრულებ, მაშინ არა გწამებია არც და-ძმობა და ჩემი მკვლელიც შენ იქნები... მშვიდობით!.. აგერ ისიც მოდის... მოდის უთუოდ, რომ უკანასკნელად შესწიროს მადლი თავის გაოხრებულს მამაპაპის სალოცავს... თქვენი ჭირიმეთ, რას დაჰგვანებია... ლუარსაბ! ჩემი სულის მეფეო, ლუარსაბ!.. რა ახლოსა ვართ ღვთისგან ნაკურთხი გვირგვინოსანნი ცოლ-ქმარნი ერთმანეთზედ, ვინ იცის, რამდენს ხანს ვეღარ უნდა გავიგონო შენი ამბავი... იქნება საუკუნოთაც... და ამისთანა დროს უნდა ერთმანეთს ვემალებოდეთ და არ მივცეთ ერთმანეთს უკანასკნელად სალამი... ვერ უნდა ვისრულო შენს გულზედ ტირილით გული!.. ღმერთო! რატომ არ მომკლავ!.. (ჩამოეკიდება ხელმორეულ მოუკრავს გულზედ, ტირის მწარედ და დიდხანს არა შორდება გულიდამ). მშვიდობით, ძმაო გიორგი! მშვიდობით ლუარსაბ!.. მე მივალ ჩემს უდაბნოში, შენგან გაწირული და შენ, ვინ იცის, ჯალათის ხმალ ქვეშ... (მოისურავს ქვითინით ნაბადს, გავარდება იქიდამ, მოახტება ცხენს და გასწევს).

მოურავი. ჩემო მაჭრინევ, ჩემო მაკრინევ! მე გამოგჭერ ყელი ჩემის ხელით, ქვეყნისათვის გაგიმეტე—და აი, სანაცვლოდ რა მოვიგე! შენი უბედურება არ აძლევს ჩემს გულს დამშვიდებას... მაგრამ იმ საქმეს, რასაც საქმეს შენ შეგწირე, არ, არ დაანებებს შენი გიორგი თავს და ვიდრე ცოცხალია, კიდევ ბევრს გაიმეტებს ამ საქმის შესრულებისთვის: ცოლს, შვილს, თავის ტოლ-ამხანაგს, უკეთესთ მეგობართ, ანაცვალებს

და თავის ცოცხალის თავით არ მოუშვებს მაგას აგრე. (ლუარსაბ შემოდის გალავანში ფრთხილად. მოურავი დგება კუთხეში).

ლუარსაბ. (მიდის ეკლესიის კარებთან, იჩოქებს და კარგახსნის ლოცულობს ხელ-გაპყრობილი, მერე დგება დაფიქრებული და ათვალიერებს გარეშემო ქვეყნებს.) ვაჰ, ჩემო ქართლო! რა ყოფაა შენი ყოფა?!... რატომ არ მოვკვდი აქავ და რათ დაგანებე შენ თავი?!.. რათ ავყევ თეიმურაზის სიტყვას და ეგრე უსისხლოდ, უომრად გაგაოხრებინე.... რატომ არ მომკლა თავის ხელით იმ ხალხმა, რომელიც მთხოვდა შველას და შველის მაგივრად მივეცი მტერს ხელში?!.. უნდა მეც ჩემს ქვეყანასთან დავმარხულიყავ... ამოდენა ცეცხლმა, ამოდენა უმანკო ქრისტიანეთ სისხლმა და ცოდვის ღულმა არ გამოაღვიძა მოურავის გულში სიბრალული... ჩემის მტრობით ამოდენა ქვეყნის ცოდო იკისრა და ახლა ისე უყურებს ყველა ამას, თითქო ჭიაც არ გაეჭყლიტოსო... სვეტო-ცხოველო! ჩვენთა მამათა და ყოველთა ქრისტიანეთა სასოვ და სავედრებელო, შენ მოსთხოვე ამოდენა ქვეყნისა და ჩემი ცოდოც ქვეყნის გამცემს და მოღალატეს და შენის სიწმინდის დამარღვეველს სააკაძეს...

მოურავი. (გამოდის კუთხიდამ, საითაც ზურგი აქვს მეფეს მიქცეული). მაშინ მოჰკითხოს, თუ სააკაძეს მანდ ბრალი ჰქონდეს; თუ არა და იმას მოჰკითხოს, ვინც სააკაძე გააგდო ამ ქვეყნიდამ და მით წაართვა ძალა, რომ ან თავი შეეკლა მტრისათვის, ან არ მიეშვა მტერი ასე ქვეყნის გასაოხრებლად... შენ და შენმა გამზრდელმა შადიმანმა უნდა ზიდოთ ეს ცოდო.

ლუარსაბ. (შეკრთალი) ძლივს არ შეგვყარა ღმერთმან პირის პირ ერთმანეთთან მარტონი... ეს სვეტიცხოველიც აქა-

გვყავს მოწმად... აბა შეჰხედე ამ ქვეყანას: რა იქნა იმოდენა ქართლი?!.. სად არის ხალხი, რომელმაც შენ გაგზარდა და პური გაჭამა?! სად არიან სოფლები, სადაც შენ აღიზარდე და პირველად დაინახე მზის შუქი და შეისუნთქე ტკბილი საქართველოს ჰაერი?! სად არის სარჩო-საცხოვრებელი ხალხისა, რომელიც შენ, როდისღაც ღმერთად გსადიდა და ჰკოცნიდა შენთა ფერხთა ნატერფალსა?! რა პირით მოსულხარ ამ საქმეების მომქმედი სვეტი-ცხოვლის კარ-წინ?! შეჰხედე აბა რას ჰგავს გუმბათი და ზღუდენი წმინდის უფლის კვართის სასაფლაოსი? სად არის ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს კვართი, მხსნელი და მფარველი საქართველოს ერისა?!. ესეც კი არ დაინდე შენ და მიეც უსჯულოთა ხელში... იქნება მოსულხარ გასაკიცხავად შენგნით დარღვეულის ტაძრისა!!... გიტვირთნია ქვეყნის გაოხრება, შენი მეფის სისხლი და ამათ მომქმედს შენ აღარც ღვთისა და აღარც შენთა მამა-პაპათა სალოცავთა შეურაცხება აღარად მიგაჩნია... უკეთეს დროს და უკეთეს ადგილას მე შენ ვეღარა გნახავ, დღეს მე და შენ ბატონ-ყმანი აღარა ვართ: მე ვარ ტყვე, და შენ—ფარხმალი შენის მამულის წართმევნისა... და ვინც ჩვენ შორის იყოს მტყუანი—დეე აქვე, ამ სვეტიცხოვლის კარ წინ შესწიროს ღმერთს სული, რომ ამით მაინც მოიპოვოს იმოდენა ხალხის ცოდვათა მიტევება. ამოიღე ხმალი! ხმალი შენი მაინც განთქმულია... (მეფე იძრობს ხმალს).

მოურავი. ესლა ჩემი და მაკრინე იყო აქ და ამ ეკლესიაზე დამარისხა, რომ შენს სისხლში ხელი არ გავისვარო. მაგრამ იცოდე, რომ ჩემს სისხლშიაც ადვილად არავის გავაჭვრენინებ ხელს.

ლუარსაბ. ხმალი, სააკაძევ, თუ მცირეც არის გაწვევს

შენი სინიდისი თავის მოყვარეობას და არა ხარ ქვეყნის გამ-
ცემი და მოღალატე!

მოურავი. კიდეც იმიტომ არ ვიღებ ხმალს, რომ ორივეს შენში ვხედავ. შენ გრძნობ შენს ბოლოს და იმიტომა ხარ აგრე გულადად, თორემ მაგ გულს, მუხრანს რომ განწირვის დროს ხალხს გაექეცი, მაშინ გამოიჩენდი... მეც ვიცი შენი ბოლო და იმიტომ არ მინდა სხვებს გამოვსწირო შენი თავი.

ლუარსაბ. ჰო! გინდა სხვის ხელით ნარი მოჰგლიჯო. მაგრამ ქვეყანამ იცის შენი ოსტატობა და შენი მეფის სისხლს მაინც შენ დაგადებენ, და შვილითი შვილამდე და უკუნითი უკუნისამდე იქნები ყოველთვის წყევლითა და შეჩვენებით მოხსენებული.... ოჰ, ოსტატო! ოჰ, გულგაუწმენდელო!... რატომ ადრევე ვერ გიცან მე, რატომ მაშინვე არ დავუჯერე, მამისოდენა ნაამაგდარს შადიმანს, რომ შენის დის გამოჩენით კარგი არა გედორა შენ გუნებაში!...

მოურავი. დიახ! კარგი არა მედო რა გუნებაში! მინდოდა მხოლოდ სამი სამეფოს და ოთხი დიდი სამთავრო ტახტის მფლობელი გამეხადე, რომ ადარც შენა, ადარც შენს შვილსა და შვილის-შვილს და ათასათ გაგლეჯილს სამეფოებს ის დღე არ დასდგომოდათ, რაც ადგათ აქამდის. და თუ შენ შადიმანების სიტყვას არ ჰყოლოდი,—ეხლა არ იქნებოდი შაჰ-აბაზის ტყვე.

ლუარსაბ. შენ არა ხარ ღირსი შადიმანის ძასხელის ხსენებისა.

მოურავი. შეუმწარიტად!... მე არა თუ ჩემი სისხლის მსმელი და მამულიდამ გამძევებელი მეფე და თვით იმისი ჩემზედ წამქეზებელი მოხა—და ქვეყნის ამამტუტებელი შადიმანიც ვერ გავიმეტე წასახდენად; და შადიმანმა კი ერთს ხალათ

ში მისცა თავისი გაზრდილი და მწყალობელი მეფე იმის მტრებს სასიკვდილოდ.

მეფე. კიდეც მაგან დალუპა საქართველო, რომ შენ, იმის მტერს, ხმალიც გიჭრის, ენაცა...

მოურავი. ხომ გჯერა, რომ ორივეში ვჯობდი შადიმანს! მაშ როგორ გამცვალე იმაში?!.. აი ეხლაც: შენ მეფე და მე—შენი ყმა. მომეც ხელი, ჩამომაცალე შადიმანები და შენ არათუ ტყვეობიდამ გამოხვალ, არამედ მთელი საქართველოს პატრონიც გახდები.

მეფე. რომ კიდევ შენი და დაუსვა ქართველებს დედოფლად, და ჩემს მაგივრად შენა სწევდე მეფობას, ვიდრე თავად არ დაიდგამ თავზედ გვირგვინს!... ოო, გაუმაძღარო დიდების მოყვარეობავ! ერთი უბრალო აზნაური აღარა სჯერდება თითქმის მთელი ქართლის მოურაობას და უნდა კიდეც მეფეთაც გახდეს.

მოურავი. მაშ რაც მოხდეს მე ხელი დამიბანია...

ლუარსაბ. შენ დიდი ხანია გაქვს ხელი დაბანილი... საქართველოსა და შენის მეფის სისხლში.

მოურავი. მკითხოს ამ სვეტმა-ცხოველმა, თუ შევარჩინო მე ყიზილბაშთ და შაჰ-აბაზს ქართველების სისხლი და ეს ქვეყნის გაოხრება, და სისხლი მეფისა ჰზღოს თვით იმან, ვინც არ მოინდომა, რომ ამ სისხლს გადარჩენოდა... მშვიდობით, ლუარსაბ! აგერ აქეთ მიდის შაჰ-აბაზ თავისი ამალით. ჩააგე შენი ხმალი! გიჯობდა ეგ ხმალი მაშინ ამოგელო, როცა ცეცხლს უკიდებდენ შენგნით ხელიდამ წასულს ქვეყნებს. ეხლა შენი ხმალი შენს მეტს ველარავის გაჰკვეთავს. (მიდის გასასვლელად.)

ლუარსაბ. (ჩააგებს ხმალს და იტაცებს ორთავ ხელებს თმაში.) ღმერთო! რაზედ ჩამაგდე ჩემი მონის ხელში!... სხვა

მტრებს რაც უნდა ექნათ ჩემთვის... (შაჰის დანახვაზედ გადის საჩქაროდ.)

შაჰ-აბაზ. (შემოდის და თან შემოსდევს თავის ამალა, რომელთა შორისაც არიან: ყორჩიხან, სპასალარი, ზურაბ არაგვის ერისთავი, მოურავის შვილი, პაატა და სხვანი.) აა, გიორგი! ეს არის ეხლა შენს ხსენებაში ვიყავი და შენც აქ დამიხვდი. ამბავი მომივიდა, რომ ავღანისტანელნი შემოგვესევიან, რაკი გამოუგულებივართ აქეთ და ძალიან შეუწუხებიათ ირანი. ამისგამო, მე დღესვე უნდა გავუდგე გზას და, შენ და ზურაბიც უნდა წავიყვანოთ თან. მე ჯარები აქედამ არა მიმყავს რა, რადგან კახნი და ზოგნი ქართლელნიც დასცემიან კახეთს ფეიქარხანს და აქ უშვებ სასპასალარს, რომ მაგ გაკადნიერებისთვის მთლად გასწყვიტოს კახეთი და ქართლი კი სულ გადმოასახლოს ირანს.

მოურავი. (ჩაფიქრდება დიდ-ხანს.) დიდებულო ხელმწიფევ! თქვენ თავად სცადეთ, რა ძნელიც არის თქვენის ბრძანების ასრულება. შეიტყობენ თუ არა თქვენს ბრძანებას ქართლსა და კახეთში, მაშინვე გაიხიზნებიან იმისთანა ადგილებში, სადაც ვერა ჯარი ვერ მიუდგება. აქ საჭიროა ახლა იმისთანა სარდლები, რომელთაც იცოდნენ ყველა სახიზნი ადგილები და ყველა ბილიკები, რომელნიც მიუდგებიან ამ ადგილებს. ამისგამო მე ვგონებ, რომ მე და ზურაბ ერისთავი აქ უფრო საჭირო ვიქნებით, ვიდრე ავღანისტანში: იქ მარტო ერთი ზარის დამცემი სახელი შაჰ-აბაზისა საკმაო იქნება მტერთა შესარისხავად და აქ კი უთქვენოდ გაძნელდება საქმე. ამასთან: მე და ზურაბს შემთხვევაც გვექნება, რომ ვიყაროთ ჯავრი ქართველებზედ, რადგანაც ჩვენი სამსახური არ დააფასეს და გვდევნენ უსიკვდილოდ.—დიდი ხანია ჩვენ გვწყურია მაგათი სისხლი, და ახლა, რაც თქვენ დააკელით—ჩვენ შეუსრულებთ. სახიზნი ადგილები თითქმის სულ

ჩემს სამოურაოსა და ზურაბის საყმოში არიან, და ამის გამო ჩვენ ისინი ვერსად დავგემალებიან. დრო არის, რომ იმედნი გურჯის ტანის შეწუხებისგან მოისვენოს ირანმა, თორემ ქართველნი არ ასვენებენ არც ქრთმანეთს და არც სხვებს. მომეცით შემთხვევა, რომ ვიყარო ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხებისა და გაუპატიურების ჯავრი, რომ ვისრულო ქართველებზედ გული ჩემი სარჩო საცხოვრებლის განადგურებისათვის. უნდა გავანადგურო ქართველობა, რომ დასცხრეს ამათი ზღვვით სავსე შეურაცხყოფილი გული ჩემი მოყვრისა და ჩემის გაზდილის ზურაბისა!

შაჰ-აბაზ. სწორედ, მეც ეგ განზრახვა მქონდა, მაგრამ, ვფიქრობდი, იქნება მოურავმა კიდევ არ ისუროს მეთქი. მაშ ეგ უკეთესი იქნება, თუ შენ და ზურაბ აქ დარჩებით, რადგან უთქვენოდ სწორედ რომ გაჭირდებოდა ჩემი ბრძანების შესრულება. მაგრამ, რომ ეჭვი არ მქონდეს თქვენს ერთგულებაზედ, მე წავიყვან მძევლად შენს საუკეთესო შვილს პაატას და ზურაბის—ცოლს. ვინიცობაა რამე ორგულობა თქვენი მსმენია, ორივეს—ერთს შვილისას და მეორეს—ცოლის თავებს გამოგიგზავნით ჯილდოდ თქვენის საქმისა, და შემდეგ თქვენ თავებსაც გამოვკიდებ თბილისის ციხეზედ ქვეყნისათვის საჩვენებლად. ხომ იცი, შაჰ-აბაზის გულმა არ იცის, რა არის შებრალება... მაშ, ყორჩიბაშ სპასალარო, ეხლა შენი საქმე უფრო კარგად არის: ზურაბ და გიორგი ყველა საქმეს კარგად მოაგვარებენ.

მოურავი. (ცალკე). ჭყურობ! მძევლიო!... ისიც ჩემი საუკეთესო და საიმედო შვილი... ჩემი პაატა!... ამას რაღას მოველოდი... ღმერთო! რატომ ერთხელ ჩემკენაც არ მოიხედავ!

შაჰ-აბაზ. გამოესალმე, მოურავო, შენს შვილს. ჩვენ-

ეხლავე გაუდგებით გზას, სადილი თბილისს მიგველის. (მა[illegible] გადის და ყველანი თან გასდევენ, მოურავისა და პაატას გარდა.)

მოურავი. მშვიდობით, შვილო პაატა!... შენ უნდა წაჰყვე ყეენს.

პაატა. რატომ აგრე აღელვებული ხარ, მამავ? როცა ჩამოხვალ, მეც იქ არ დაგხვდები. თუ ჩემთვის სწუხარ, მე იქ კიდეც მირჩევნია: მე ვერ ვუყურებდი ამდენი ქვეყნის საცოდაობას. მე რომ აქ ვნახე ქართველების საცოდაობა, ტყვედ რომ მიერეკებოდნენ, სულ გული მიკვდებოდა. ღმერთო, რა სანახავი იყვნენ... რა რიგად ეკიდებოდნენ!... ძაღლს არ გაიმეტებენ ისე სასიკვდილოდ, როგორც სიმშილისა, სიტიტვლისა და ქვეითობისაგან მოუძლურებულს და მოწყვეტილს ტყუსალებს იმეტებდნენ... მაგისთვის რა გაწუხებს...

მოურავი. არა, მე მაგას არა ვწუხვარ... მე გნახავ ისევ... მშვიდობით! (ეხვევა, იკრავს გულში დიდს ხანს, ჰკოცნის და ველარ იმაგრებს თავს ტირილისაგან). მშვიდობით, უბედურის მამის შვილო, პაატავ.... შენ იყავ, შვილო, ჩემი იმედი, შენ ასალმუნებდი ჩემს ათასად გაგლეჯილს გულს... მშვიდობით!.. (პაატა ტირის). იტირე, შვილო, იტირე მამიშენის ბედი და დასწყევლე ის დღე, რა დღესაც შენ გამოესახე დედაშენს მუცელში... რა დღესაც საქართველო იქნა ათასად გაგლეჯილი...

პაატა. მშვიდობით, მამა... მე ვიცი რაზედაც სტირი: შენ გენანება საქართველოს დაღუპვა... საწყალი საქართველო... ნეტავი შველა მაინც როგორმე შეიძლებოდეს... მშვიდობით! თორემ აგერ ჩემ დასაძახებლად მოდიან... უნდა დედასაც გამოვესალმო. (გადის საჩქაროდ).

მოურავი. (მარტო). მშვიდობით, ჩემო პაწია პაატავ! არ იცი რა ატირებს მამა-შენს.... არ იცი, რა გულით გესალმება შენ ის, და დღე ნურც გაიგებ, მისამ არ აიმართვის მძვინვარე აბაზის ხმალი შენს კისერზედ... მაშინ მოიგონე მამაშენი და ნუ შეაგინებ... ნუ შეაგინებ იმიტომ, რომ შენმა სიკვდილმა უნდა გამოიხსნას შენი სამშობლო ქვეყანა... (ტირის და ჩაფიქრდება). გავაუბედურე სულზედ უფრო საყვარელი და ძე ამაოდ... წაწყმედა ჩემი მაშინ იქნება, რომ შვილი გავსწირო და იმანაც ამაოდ ჩამიაროს... არა! ახლა ისე აღარ იქნება... ღმერთი მაღალია და შეიწირავს და იგმარებს ერთი კაცისგან ამოდენა მსხვერპლს.

გიორგი ქავთარაძე (შემოდის). საშინლად აღელვებულია მთლად ქართლ-კახეთის ხალხი ამოდენა შეიწროებისაგან, ჰსურთ მტერთან ბრძოლა და ერთი მოთავე არა ჰყავთ. ასე შეშინებული და დაცემული დიდ-კაცობა საქართველოსი მე არ მინახავს, როგორც ეხლა. თვით დედა-კაცნიც მზად არიან საომრად, რომ ერთი მოთავე ჰყავანდეთ. საშინელი გოდება და ტირილი ადგას მთათა და ველთა და თვით ცამდინაც კი ადის ეს ქვეყნის საცოდაობა. უსაჭმელობით ხალხმა თივას დაუწყო ჭამა და ამ ყინვა-ზამთარში ხალხი უბინაოდ ჰყრია გარედ. აქამდის საქებური სახელი გიორგი მოურავისა, დღეს შეიქნა ყველასაგან საწყევლი და საგინებელი. ამავისა სჯერა, რომ შენ არ იყავ მოთავე ამოდენა ქვეყნის უბედურებისა.

მოურავი. მოვიდა ახლა ჩვენი დრო. ეხლავე მოგცემ ქათალიკოზთან და წილკნელთან წიგნს და რაც შეიძლო, მალე მიეცადე, რომ იმათ მოგცენ წიგნები ქართლ-კახეთის დიდ-კაცობასთან და მაშინვე შეუდექ საქმეს და ისე მოიქეც, როგორც მე გითხარ. როცა თავის თვალით ნახვენ დიდებულნი, რა დღე

მოელისთ, არც მაშინ გამოიღებენ ხელს. ქართველთა ყველა თავად-აზნაურნი უნდა შეიყარნენ სამუხრანოში, ჩვენი ჯარების შორიახლოს.

# ს უ რ ა თ ი II.

## ს ც ე ნ ა 4.

სცენა სწარმოებს მუხრანის არემარეზედ, სადაც სდგანან ყორჩიხან და მოურავი სპარსთა ჯარებით. სცენაზედ ერთს მხარეს არიან მრავალი ტყვენი კახეთიდამ; მეორე მხარეს ქართლიდამ. აქვე არიან მრავალნი დაბარებულნი ქართლ-კახეთის თავადაზნაურნი, რომელნიც დგანან თოფ იარაღში. ამათ სუყველას ახვევიათ გარშემო იარაღ გაწოდებული სპარსთა ჯარები.

ყორჩიხან. დავიჯერო ამაზედ მეტნი არ შეიყარნენ დაბარებული თავად-აზნაურნი?

მოურავი. სულ მთაში არიან გახიზნულნი მიუდგომელ ადგილას. ჩვენ თითონ მოგვინდება იქ ასვლა. ესრე წვრილ წვრილად კიდეც სჯობია, თორემ თუ ბევრი შეყრილიყვნენ, ვაითუ ხელი გამოეღოთ: თუ ერთი გადორდა ქართველი კაცი, ხომ იცით მაგათი ამბავი... მაშინ იქნება ველარც კი მოგვეყვანა აღსრულებაში შაჰის ბრძანება.

ყორჩიხან. ეგ კი მართალია! ჯერობით ესეც საკმაოა, ნეტავი ამათ აუყვიდნენ ჩვენი ჯარები. (ჯარებს.) აბა, აჰყარეთ თოფ-იარაღიანებს იარაღი. (ჯარები ეტანებიან ასახსნელად).

თოფიარაღიანები. (არ ანებებენ იარაღს). რათა?! რისთვისა გვყრით იარაღს?! თუ ბრძანებაა რამე ყეენის გამოსაცხადებელი, განა ასე არ გამოგვეცხადება: ჩვენ ხომ არსად გავრბივართ.

ყორჩიხან. როცა იარაღს აიყრით, მაშინ გამოგიცხადებთ.

იარალიანები. რათა, ასე გამოგვიცხადოთ. ჩვენი იარაღის დანებება არ იქნება. თუ ყეენი გვიბრძანებს რასმე, ჩვენ იარაღში იმისი ურჩება არ შეგვიძლიან.

ყორჩიხან. (ჯარებს). აჭყარეთ სუყველას და ვინც ურჩი შეიქნება — დაჭხოცეთ. (მრავალნი თოფ-იარაღიანთაგანნი ნებით არ ანებებენ იარაღს).

იარალიანები. როგორ-თუ ძალათი აგვყაროთ!? ასე ღალატით დახოცვა იქნება!! (იძრობენ ხმლებს). ჩვენის ცოცხალის თავით იარაღს ვის დავანებებთ! (ერთმანეთს). მაინც დაგვხოცვენ ეს ურჯულოები და მაინცა. დედა შეერთოს ცოლად, ვინც უსიკვდილოდ ამათ იარაღი დაანებოს. შევსწიროთ ქრისტეს სული და იარაღით ხელში დავიხოცნეთ. (ჯგუფდებიან ერთად).

ყორჩიხან. თოფი მაგათ!... სულ გაჟლიტეთ ეგ გიაურები! (ჯარები დაუშენენ თოფებს. მრავალი თოფ-იარაღიანი ქართველები იქვე დაეცემიან. შეიქნება ჩოჩქოლი და ამ ჩოჩქოლით გადიან გარედ. სხვა ტყვეები დაიწყობენ ყივილ-ხივილს და სულ ერთმანეთს ეუფებიან).

მოურავი. ჩვენ უნდა ახლა ამ ტყვეებიდამ ერთი ორმოციოდე თავად-აზნაურთაგანი გაუშვათ ქართლელები, რომ აცნობონ ქართლელებს ძალა ყეენის ჯარებისა, რომ წინააღმდეგობა არავინ გაჭბედოს და შეიტყონ ყველამ, რაც დღე ადგებათ წინააღმდეგთ.

ყორჩიხან. ეგ ძალიან კარგი აზრია. მაგრამ ჯერ დეე სხვა სეირიცა ნახონ. (ჯარებს). გაიყვანეთ კახელობა და ყველას თავები დააყრევინეთ. მიიყვანეთ ქსანში და შიგ წყალში დასჭერით თავები, რომ მაგათი თავები ჩაერთოს მტკვარს,

და სცნას ქვეყანამ მალა აბაზ ყეენისა და უძლურება იმის წინააღმდეგთა. (მრავალნი ტყვეთაგანნი ეცემიან მუხლის თავებზე და განწირულებით შესტირიან მიტკვებას). შებრალება ჩვენ შაჰის ბრძანებაში არ გვიწერია. გაირეკეთ ყველანი! (მრავალ ტყვეთაგანს მუხლთ ეკეცება. ისმის საშინელი გოდება, მოთქმა და ხმამაღლივ ტირილი. დედები იკრავენ გულში შვილებს და არ უშვებენ. ზოგნი ჰკოცნიან ერთმანეთს და ესალმებიან; მრავალნი შესტირიან ღმერთს და ლოცულობენ. მრავალნი აგინებენ ყეენს, მოურავს, ყორჩიხანს და ზურაბ ერისთავს. ჯარები ხმა-მაღლა მიერეკებიან და მიათრევენ ჯიგლიგის ცემით ტყვეებს).

ყორჩიხან. მე საშინლად მიყვარს ამ გვარი სეირი. წავალ, რომ უფრო კარგად შეასრულონ ჯარებმა ბრძანება. (თან გასდევს ტყვეებს და ამას გასდევენ ხანები და სულთნები).

მოურავი. (გაჰყურებს დაფიქრებული და გადგება ცალკე). ნუთუ არც ახლა გაიღვიძებს ქართველებში ერთობა! ნუთუ არც ახლა გასწირავენ თავებს და შეასხმენ თავის გამწყვეტლებს უკანასკნელს სისხლის წვეთს!!.. ნუთუ არც ახლა გაჰბედავს ზურაბ საქართველოსთვის თავის გამოდებას და არც ახლა დასთმობს ქვეყნისთვის ცოლს?! არა! ახლა თუ არა იქნა რა, მაშ საქართველოში კაცი არ ყოფილა და ახი იქნება იმათი სახელის მოსპობა...

ქართველი ტყვეები. გიორგი მოურავო! ზურაბ არაგვის ერისთავო! მოიგონეთ ღმერთი, მოიგონეთ თქვენი ქრისტიანობა!... თქვენ მაინც როგორა სდგებით ჩვენს სისხლში?!.. შეიბრალეთ ჩვენი ცოლ-შვილი. შეხედეთ ღმერთს... თუ ჩვენი ღმერთი არა გწამსთ—შეჰხედეთ თქვენ ღმერთს... ნუ იდებთ ამოდენა ხალხის ცოდოს და ამოდენა სისხლს...

ერთი თავადის-შვილი. ვაჰო, სააკაძევ, ამდენი სისხლი

და ქვეყნის აოხრებას!... რაზედ აოხრებ ამოდენა ქვეყანას... რით ვერ გასძეღ ამდენის სისხლით!... რას ემართლები ამოდენა უბრალო ხალხს... მოიგონე ღმერთიცა, რომელიც ჰხედავს ყოველს ჩვენს საქმეს... არ შეგარჩენს ღმერთი ამდენს ცოდოს...

ყორჩიხან. (შემოდის და თან შემოსდევენ ხანები და სულთნები). ერთი შეხედე გიორგი იმ სერზედ, რა ყრიამულია და როგორ გულით მუშაობენ ჩვენი ჯარები. (შორიდამ ისმის საცოდაობის ყივილ-ჩივილი. ქართველი ტყვეები გაჰყურებენ და შეიქნება აქაც განწირულებითი შემაზრებული ტირილი. დედა-კაცები იცემენ გულში ხელებს და იკრავენ გულში პაწაწინა შვილებს და სწიდებენ მაგრა ხელებს.)

ყაზახის ხანი. შეხედეთ, როგორ გაწითლდა წყალი, ოჰ! რამდენი თავები მოაქვს. (ყველანი უყურებენ. ქსანი ცოტ-ცოტათი მიიღებს წითელს ფერს და თან-და-თან უფრო ბევრი ადამიანის თავები და უთავო გვამები მოაქვს. ტყვეები უფრო შეშფოთდებიან და უფრო განწირულებით იწყებენ ტირილს).

ყორჩიხან. ესეც ხომ ჰნახეს ამათ. ახლა ერთი ორმოციოდე კაცი გაუშვათ, რომ აცნობონ ქართველებს, რაც დღე მოელით თუ არ დაგვემორჩილებიან, სხვანი გავისტუმროთ ირანს,

მოურავი. არა, ორმოცი ცოტა იქნება. ვინ იცის რა ადგილებში არ არიან ქართველები გაფანტულნი და გახიზნულნი. ეგრე ცოტანი ვერ მიაწვდენენ ვერსად ხმას, გაუშვათ ყველანი, რომ უფრო საჩქაროდ გაჰყარონ ეს ხმა და ყველას მალე აიტანოს შიშის ზარმა, რომ ყველამ დაჩქაროს თავის-თავად მოსვლა, თუ უნდათ რომ ეს დღე არ ჰნახონ.

ყორჩიხან. სწორე თქმაა. ჯერობით ისიცა კმარა რაც ტყვეები გავისტუმრეთ. ესენი გაუშვათ ყველგან ამბის მოსაფენლად.

მოურავი. ქართველებო! ყველანი გაგვინთავისუფლებიხართ. წადით და აცნობეთ ყოველთ ქართველთა ყოველი თქვენის თვალით ნახული. დღე სცნას ყოველმა საქართველოს კაცმა, რაც დღეა იმათზედ მომდგარი და რასაც უნდა მოელოდნენ სპარსელებისაგან. უთხარით, რომ შებრალება იმათმა გულმა არ იცის თქო. აცნობეთ ეს, მცირეთა და დიდებულთა, მღვდელთა და ეპისკოპოზთა, ძეთა და მამათა, უვიცთა და მეცნიერთა. მოჰფინეთ ეს ხმა ტყეთა და ველთა, ეკლესიათა და მონასტერთა, კლდეთა და ხეობათა, რომ თვით ქვათაც კი იგრძნონ, რაც დღეა საქართველოზედ მომდგარი.

ყორჩიხან. გაუშვით ეგ გურჯები (უშვებენ. ტყვენი გახარებულნი მიდიან. გადის ყორჩიხანიც და გასდევენ ყველანი, თან ღამდება).

მოურავი. ზურაბ, შენ შეიცადე. (რაკი დარჩებიან მარტონი, ჰკიდებს ზურაბს ხელს და მიჰყავს ყრუ მიფარებულს ადგილას და სხდებიან ერთად). გესმის, ზურაბ! დღეს არის ჩვენი განჩინების დღე. თუ ეხლაც მე და შენ არაფერს აზრზედ არ დავდექით, მაშინ საშვილის-შვილოდ უნდა ვზიდოთ ამოდენა ქვეყნის ცოდო. გაიგონე დღეს ტყვეების სიტყვები?! იგრძენ თუ არა იმ სიტყვების ძალა?... რა გულით უნდა ვუყუროთ, რომ ურჯულო თათრები დედამიწასთან ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს თვალთ-წინ ჰმუსრავდნენ ჩვენთა მეზობელთა და გამზრდელთა და ამოდენა ქვეყანა გადაასჯილაგონ შეუწყალებლად თავისის მიწაწყლიდამ, თავისის სარჩო სამყოფიდამ. შეხედე ერთი ქვეყნის საცოდაობას, დედებისა და ცოლების განწირულების ტირილს. თვით მაღლა ცამდინ ადის ამოდენა საცოდაობის ხმა, და თვით ცაც ირყევა ამოდენა ქვეყნის ცოდვით... დავიჯერო, მოგვიწონებს ამას ჩვენ ღმერთი!... რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს მეუფეს იმ დიდს გან-

კითხვის დღეს?! რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენ შვილთა და შვილის-შვილთა და ამოდენა ქვეყანას?! ნუთუ შენ აღარა ხარ ის ზურაბი და მე ის მოურავი, რომლების სახელისაც კი ეშინიან არათუ სპარსთა—და თვით მძვინვარე აბაზასაც!... ნუ თუ დღეს, როდესაც ჩვენს მეტს აღარავის შეუძლიან საქართველოს შველა, უნდა ამოვიღოთ ხმალი და დავუსოთ გულში ჩვენს მამა-ბიძებს, ჩვენს ძმებს, ჩვენი მიწაწყლის შვილებს?!

ზურაბ არაგვის ერისთ. გიორგი, დავიჯერო შენს გაზრდილს ზურაბს აგრე იცნობ! იქნება გგონია და გჯერა, რომ ზურაბის გული არა კვდებოდეს და ზურაბის სისხლი არა შრებოდეს ამოდენა ქვეყნის სალოდაობით. მაგრამ რატომ მაშინვე არ მითხარ ყველაფერი, რომ ჩემი მშვენიერი ანა არ გამეშვა მძევლად. რა პასუხი უნდა გავცე ახლა ანას, რომელმაც სული თან გამომატანა და რომლის უბედურების მიზეზი უნდა გავხდე მე?!. მითხარ, რა უყო ანას, რომელსაც შეუბრალებელი აბაზ აღარ აცოცხლებს აღარც ერთს წუთს, რაკი გაიგებს ჩვენს ამბავს!?...

მოურავი. ზურაბ! გრცხვენოდეს, რომ ერთი ადამიანი ვერ გაგიმეტნია ამოდენა საქრისტიანო ქვეყნისთვის. დავიჯერო, ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი მშვენიერი პაატა მე ნაკლებ მიყვარს; მაგრამ დავსთმე ქვეყნისთვის. პაატა და ანა ქვეყანას ვეღარ ჰშობენ და ქვეყანა კი კიდევ ბევრს ანასა და პაატას შობავს... თუ არ გითხარ მაშინვე ეს, იმ მიზეზით არ გითხარ, რომ მეშინოდა: შაი, ან ვინმე არ მიგვხვდროდა, რაკი დავიწყებდით მძევლებზედ ლაპარაკს.

ზურაბ. მაშ, აბა ახლა რა უნდა ვქნა? ნეტავი დამცდოდა მაინც და რიგიანად გამოვსალმებოდი ჩემს სანატრელს ანას....

რა პასუხი უნდა მივცე ან იმას განკითხვის დღეს, ან იმის მშობლებს, რომელთაც იმაზედ მეტი სხვა არა გააჩნიათ-რა.

მოურავი. მართალია, ზურაბ, ცოლის დაკარგვა ძნელია; მაგრამ ეხლა მაგაზედ ლაპარაკი, ამისთანა დროს,—დრო აღარ არის. ამ წუთს იქით, შენ უნდა ყოველი სიბრალული ამოიღო გულიდამ—ეხლა ჩვენი საფიქრელი არის ქვეყნის საცოდაობა. ცოლს მე უფრო ლამაზსა და დიდკაცის ქალს გიშოვნი: შევრთამ მეფის ლუარსაბის დას—ელენას, და მაშინ უფრო ბედნიერი იქნები.

ზურაბ. კარგი! შემიწირავს ჩემი ცოლიც, ჩემი თავიც ქვეყნისთვის. ახლა რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

მოურავი. ჯერ, ზურაბ, მოდი, მე და შენ ფიცი დავსდოთ, რომ ერთმანეთს არა უღალატოთ და მერე ყველას გეტყვი.

ზურაბ. (ამოიღებს უბიდამ ნაწილებს). კაი, შენ, ჩემო თავო! გიორგი, რა ცუდად გიცნივარ! ჯერ ყველა იქით იყოს, —რამ გაფიქრებინა, რომ ზურაბ გაჰბედავს როდისმე მოურავის ღალატს, რომელსაც მამაზედ მეტი ამაგი აქვს ჩემზედ და რომლის ხელითაც ვარ გაზრდილი. აი, ხომ ხედავ ამ ნაწილებს? ეს ნაწილები სიკვდილის დროს დამკიდა დედა-ჩემმა და ამ ნაწილებით დამილოცა ცხოვრების გზა მამა-ჩემმა. ვფიცავ ამ ნაწილებზედ, ამომელოს მამაჩემი ნუგზარ საფლავიდამ და გამეცეს ურჯულოს ხელთა სული დედი-ჩემისა, თუ მე შენ გიღალატო საქვეყნო საქმეში. ვგონებ ეს ფიცი საკმაო იყოს. (ჰკოცნის ნაწილებს და იდებს უბეში).

მოურავი. ახლა დამიგდე ყური. მე გავენდე ამ აზრს ქათალიკოზს და წილკნელს საიდუმლოდ. იმათის შეწყობით შევკრიბე თითქმის მთლად ერთიანად მრავალის მსახურ-ყმებით ქართლ-კახეთის აზნაურობანი ტინის ტყეში, ვითომც რამე-

ყეენის წყალობის გამოსაცხადებლად და განგებ გავაშვებინე დღეს ის ტყვენი ყორჩიბაშს, რომ ყველაფერი ეს ამბები აცნობონ იმათ. შენც ეგრეთვე განგებ დაგაბარებინე შენი საყმო. ამ დღევანდელს ამბავზედ ერთის ნაპერწკალის გადაგდების მეტი აღარა უნდა რა. მეტადრე რაკი გაიგებენ, რომ მე და შენ იმათკენა ვართ. გადი შენ, გამოუცხადე რომ ჩვენა ვართ იმათი წინამძღომელნი. ხვალ შუაღამისას უნდა მოხვიდე ჯარებით და შორიდამვე დაჰკარით ნაღარასა და დაფ-დაფს და ასტეხეთ ძრიელი ყიჟინა. მე, ელია დიასამიძე, პაპუა გამყაშვილი, პაატა ხერხეულიძე და ჩემი ზურაბ აქ დაგიხვდებით, და რა წამს თქვენ ჩამოერევით, ჩვენ მაშინვე დავხოცავთ ყველა თავ სარდლებსა. მანამ დავყრით ხმას, ვითომც მეფე თეიმურაზ იმერლებითა და რუსის ჯარით მოდიოდეს.... ეგ არის, გასწი და ახლა შენ იცი, როგორ გაამხნევებ ქართველებს!

ზურაბ. მაშ ეგ არის! ერთი კარგად ვიბანოთ ამ ურჯულოების სისხლში. მშვიდობით! თქვენ აქ შიგნიდამ გაისარჯენით, და გარედამ ჩვენ ვიცით.

გიორგი ქავთარაძე (შემოდის). აქა ხარ, გიორგი? მთლად ერთიანად ტყვეები დაიძრნენ ტინის ტყისაკენ, რომ ყველა თავის ნახული აცნობონ იქ შეყრილთ დიდ-გაცობათა. ყოველივე საქმე კარგად მიდის... რა ჰქენით შენ და ზურაბმა?

მოურავი. ღვთით, დავიყოლიე და გავისტუმრე იგი ტინის ტყისაკენ.

ქავთარაძე. არიქა, გიორგი, შენი ჭირიმე! მაშ ჩვენი საქმე გაჩარხულა!... მაშ საქართველოსაც ეშველება... (ეხვევა და ჰკოცნის)... ისევ შენა; თორემ შენს მეტი ღონე არ არის...

მოურავი. (ჰკოცნის). ჩვენ ასე დაგვიწყვია და ვნახოთ ღმერთი რას ინებებს... ახლა კი წავიდეთ, რომ აზრი არა

აგვართვან რა ამ უსჯულოებმა... ეხლა დიდი სიფრთხილე გვმართებს. (გადიან).

## ს ც ე ნ ა 5.

ქართლ-კახეთის აზნაურნი არიან შეყრილნი ყრუს ადგილას ტყინის ტყეში,

ზურაბ არაგვის ერისთავი. დიდებულნო თავადნო და აზნაურნო ქართლისა და კახეთისანო! ახლა ყველამ სცანით, რა საქმისათვისაც ვართ აქ ამოდენა ჯარებით სპარსეთიდამ გამოგზავნილი. თქვენი კეთილი თვალი ჰხედავს, რა უსჯულოებას სჩადიან მაჰმადის სჯულის მჯირავნი ჩვენ საქრისტიანოზედ. თქვენ ნახეთ და მოესწარით იმ დღეებს, რომელნიც არა თქმულა მას აქეთ, რაც ცა და ქვეყანა დაარსებულა. თქვენ ნახეთ, რომ ჩვენი ღვაწლ შემოსილი და დედა ყოველთა ქართველთა დედოფალი ქეთევან მიეცა საშინელს და კაცის გონებისაგან მოუფიქრებელს წამებას, არა-წმიდათ ხელთაგან. ჩვენში არ იპოება დღეს კაცი, რომ არა სტიროდეს ცოლს, ან ძმას, ან შვილს, ან საყვარელს ერთად—უსჯულოთაგან დახოცილთ და წარტყვევნილთ. აქვე თქვენ თვალ-წინ, ხომ ნახეთ, რა ულმერთოდ გააჟლიტეს ყველა კახეთის ტყვენი. თქვენის თვალით ნახეთ, რა რიგ ეკიდა მთლად ქართლ-კახეთს ცეცხლი და ჩვენ თვალ-წინ იწოდა ჩვენი სარჩო საცხოვრებელი, რომ ნატამალიც-კი აღარ გაუშვეს... დღეს მოველით უარეს დღეს. «კახეთი გასწყვიტეთ და ქართლი აჰყარეთო», ბრძანა მძვინვარე აბასმა და მოგვისივა მაგისთვის ქვიშათ უმრავლესი ჯარები... მე ვარ თვით მოურავისაგან მოგზავნილი თქვენთან. თვით

მოურავი მიგვიძღვება წინ და ის იქნება ყველა საქმის დამწყობი, ქართველებო! დავიჯერო, ჩვენ აღარ გვიდგია სისხლი მამა-პაპისა და უნდა ასე გულ-ხელ დაკრებილი დავეხოცვინოთ და დავეტყვევნინოთ უსჯულოთ?! დავიჯერო ჩვენ არ უნდა ამოვიღოთ სისხლი უსჯულოთაგან წამებულის დედოფლის ქეთევანისა?! დავიჯერო, უნდა შევარჩინოთ ამოდენა სისხლი საქრისტიანოსი მაჰმადიანთა?! დავიჯერო, უნდა შევარჩინოთ შეურაცხება, გაცრცვა და დანგრევა ჩვენთა სალოცავთა და მონასტერთა?! ნუთუ ისე დაჩლუნგდა ქართველთა ხმალი, რომ აღარ გასჭრის ხორცს ჩვენთა წარმატყვევართა და მომსრავთა?!... ამოვიღოთ ხმალი, აღვმართოთ დროშა, გამოვიჩინოთ სიმხნე მამაპაპათა და დავეცნეთ მტერს. იმათ სხვა მეტი აღარ უნდა რა! მოურავი მიგვიძღვება წინ და ღმერთი მოგვიმართავს ხელს!

მრავალნი. (აღტაცებით). ვინა?! ზურაბისა და მოურავისაგან და ზურაბისაგან გვესმის ეს?! გვითხარი ფიცით, ზურაბ, რომ შენგან და მოურავისგან ჩვენ არა გვევნება რა, და მაშინ ჩვენ ვიცით. ჩვენ გვეშინოდა თქვენ ორისა და თუ თქვენ ჩვენსკენ იქნებით, ვუჩვენებთ თათრებს, რაც შვილები არიან!...

ზურაბ. ვფიცავ ლომისის წმინდა გიორგის და ყოველთა ჩვენი მამა-პაპის სალოცავთა, რომ პირველი მოურავ და მე მივიძღვებით მტერზედ შესამუსრავად. გვეყო ამდენი ქვეყნის გულ-ხელ-დაკრეფილი ყურება... მოგვეცით მხარი, ქართველებო, რომ გავძღეთ ამდენის საცოდაობისთვ მტრის სისხლით.

ქათალიკოზის სარდალი. (შემოდის დაღალული). საქართველოს დიდებულთ გაუმარჯოს! ზურაბ ერისთავს გამარჯოს! დიდებულნო, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ უკ

დას ერთად ვხედავ ბატონ ზურაბ ერისთავთან. მე მოგიტანეთ ქათალიკოზისა და სხვა ეპისკოპოსთა წერილი. მოვიდა ახლა ჩვენი დრო. უნდა საქართველომ ამოიღოს ხმალი ურჯულოთაზედ. ქათალიკოზნი და ეპისკოპოსნი გიგზავნიან ლოცვა კურთხევას. აი იმათი წერილი. (ამოიღებს ქაღალდს და კითხულობს). «ჩვენ, საქართველოს ქათალიკოზი და ეპისკოპოზნი გიგზავნით საქართველოს დიდებულთ და ყოველთა ქრისტეს მმოსავთა ჩვენს ლოცვა-კურთხევას. გიხმობთ ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, აღიჭურვნეთ ყოვლითა თქვენის ძალითა, შესამუსრავად მტერთა ქრისტეს ჯვარისათა. გამხნევდით, იხმეთ ღმერთი შემწედ, მიჰყევთ ძლიერთა ქართველთა: მოურავსა და ზურაბს და შემოსრნეთ ჩვენთვის ჯვარცმულს მეფეს სული და გაგეღოს თქვენ კარი სასუფეველისანი. ლოცვა ჩვენი იყვეს თქვენდამი უკუნისამდე, ამინ!»

ყველანი. ამიიინ!... ამიინ!!... ჩვენს მოურავს გაუმარჯოს! ჩვენს ქათალიკოზს და ეპისკოპოზთ გაუმარჯოთ!!!... გვიბრძანეთ, მიგვიძღვით, ბატონო! ერთი გავძღეთ მაგ ურჯულოთ სისხლით. გვეყო ამდენი სირცხვილი და ცოლისა და შვილების გლოვნა.

თეიმურაზ მუხრ. ბატონი. მაშ ეგ არის, მოურავი ჩვენკენ არის, რაღა?

ზურაბ. ის არის ყველაფრის მოთავე, და შუაღამის დროს ჩაუვლის აქ. მინამ ჩვენ ჩავერეოდეთ—დახოცილნი დაგვხვდებიან ყველა თათრის სარდლები.

ყველანი. ამაღამვე, ამაღამვე ვიბანოთ ჩვენი ამაოხრებლის სისხლში.

იასე ქსნის ერისთავი. დედა შეერთოს ცოლად, ვინც გაუმარჯვებელი ცოცხალი გამობრუნდეს იქიდამ.

ყველანი. ამინ! ამიიინ!!!...

ედიშერ ჩოლოყაშვილი. ახლაა, ქართველებო, ჩვენი ჯავრის ამოყრის დრო. ამაზედ მარჯვე დროს ჩვენ ველარ ვი-პოვნით. აბა, ქართველებო, ახლა უნდა გამოვიჩინოთ თავი.

ყველანი. ეხლავ! ეხლავ მიგვიძეხით!

ზურაბ. ეხლავე გავემგზავროთ და მისამ გავემზადებით და ჩავალთ, შუაღამე კიდეც გადავა. დრომ დაჰკრა, უნდა საქართ-ველო განთავისუფლდეს ურჯულოთაგან... (იძრობს ხმალს და მიდის). საქართველოს გაუმარჯოს!!.

ყველანი. პატრონ მოურავს გაუმარჯოს!! პატრონს ერის-თავს გაუმარჯოს! (იძრობენ ხმლებს, ატრიალებენ ჰაერში და მისდევენ ზურაბს.) ვიბანოთ თათრების სისხლში... გავძღეთ თათრების სისხლით.. საქართველოს გაუმარჯოს!!!... (სცენიდამ გადიან და სცენას გარეთ კიდევ დიდს ხანს ისმის ყიჟინა).

## სცენა 6.

სცენა სწარმოებს ყორჩიხანის კარავსა და იმის გარშემო ჯარების კა-რავთან. შუა ღამე გადასულია. ძალიან შორს ისმის ბუკისა და ნაღა-რის ხმა. სცენაზედ შემოდიან შემკრთალის სახით რამდენიმე თათრების სულთანი და ხანები, და მიდიან ყორჩიხანის კარავთან.

უსუფხან. (ყარაულებს). ჩქარა გააღვიძეთ ყორჩიხანი.

1 ხანი. ყორჩიხან! ჩქარა გამოიღვიძე, გამოდი გარეთ. ჩვენს თავს რაღაცა ამბავია.

1 სულთანი. (ყარაულს). ჩქარა გამოაღვიძეთ. ხომ გესმით ეს ბუკისა და ნაღარის ხმა. (ყარაული შედის კარავში).

2 ხანი. ეს უთუოდ თეიმურაზ მეფე მოდის რუსისა და იმერლის ჯარით. ხმა დადიოდა ჯარებში ამათზედ და ჩვენ კი არ ვუჯერებდით.

ყორჩიხან. (გამოდის კარვიდამ და თან გამოსდევს თავის შვილი, ვერდიბეგ). რას გაუსჯიხართ ამ დროს? უბედურება ხომ არა მოგვდგომია რა?

ყუსუფხან. თუ არ მოგვდგომია—ახლა გვადგება. აგერ დაუგდე ყური რა ბუკისა და ნაღარის ხმა მოდის, თითქო უთვალავი ჯარი მოდიოდესო.

ყორჩიხან. მართლა! ეს რა ამბავია?

2 ხანი. ხმები დადიოდა, რომ თეიმურაზ მოდის რუსისა და იმერლის ჯარებითაო და ვინ იცის, მართლაც ისინი იყვნენ. მაშინ რა უნდა ვქნათ?!

ვერდიბეგ. მეც გავიგონე, რომ მოდიანო,—ეგ უფრო კარგი: ეგება ერთი რიგიანი ბრძოლა ვნახოთ, თორემ ჰლამის ისე დავბრუნდეთ, რომ ომი არ გამოვცადოთ.

ყორჩიხან. ეს საომარი საკრავების ხმა თან-და-თან ახლოს ისმის და ჩვენ კი სრულებით მზად არა ვართ. თუ მართლა თეიმურაზ არის ჯარებით—მაშინ ჩვენი საქმე ძნელია, თუ სააკაძემ არ გვიშველა. ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ გურჯისტანს მოეშველა ვინმე და პირი მოსცეს. თქვენ არ იცით რა ხალხია ეს ხალხი, თუ ხელი გამოიღო. ხომ ჰნახეთ ინდოეთის და ბაღდათში რომ მოურავთან ქართველები იყვნენ... დაუძახეთ ჩქარა მოურავს... აგერ იმის კარავშიაც სანთლები ანთია: უთუოდ იმანაც გაიგონა ეს ხმები. (ყარაულები შირბიან მოურავის დასაძახებლად).

3 ხანი. დავკრათ დაფდაფსა და ავშალოთ ჯარები, თორემ ისინი ჰლამის შიგ ჯარებში შემოგვერივნენ.

ვერდიბეგ. დავკრათ, ავშალოთ. ერთი ვიბრძოლოთ რიგიანად. მე ან უნდა მოვკვდე და ან თეიმურაზ მეფის თავი მივართვა ყაენს.

ყორჩიხან. აბა, ჩქარა აშალეთ ჯარები. (რამდენიმე ამათ-განი მიდიან).

3 სულთანი. აგერ მოდის მოურავიც.

ყორჩიხან. ღმერთიც უშველის. თუ გვიშველის ჩვენ ქა-ლა— ეგა.

მოურავი. (შემოდის. თან შემოსდევს თავისი შვილი ზურაბ, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე და ვაშაყაშვილი). რა ამბავია, დიდებულნო, რომ ესე ადრე აშლილხართ და მეც დაგიბარებივართ?

ყორჩიხან. გიორგი! გესმის ეგ ბუკისა და ჯარების ხმა? უთუოდ ერთი რამ უბედურება არის ჩვენს თავს. შენ უნდა გვიშველო. ამბობენ თეიმურაზ არისო რუსისა და იმერლის ჯარებით.

მოურავი. ისმოდა კი, რომ თეიმურაზ მოდისო და მე არა მჯეროდა. მაგრამ საკვირველი არ არის: თეიმურაზ ისეთი კაცია, რომ არ მოისვენებს თავის დღეში... ძალიან ახლოს კი ისმის ეს საომარი საკრავები.

3 სულთანი. აგერ, მგონი, კიდეც შემოერივნენ ჯარებს. (ისმის ყიჟინა, აგრეთვე ისმის სპარსელების ჯარების ასაშლე-ლი საკრავების ხმა და არეულობა.)

ყორჩიხან. მაშ ახლა რა უნდა ვქნათ.

მოურავი. (გაიწვდის უცებ შუბს, დასცემს ყიჟინას და დაუსობს გულში). აი რა უნდა ვქნათ!... ხმალი ამათ!!... (ყორ-ჩიხან დაეცემა მკვდარი. მოურავი გაისვამს ხმალს ხელს, შე-მოჰკრავს უსუფხანს და დასცემს). მოვიდა თქვენი გამუსვრის დღე! (ერთის თვალის დახამხამებაზედ შემოჰკრავს კიდევ ხმალს ერთს ხანს და დასცემს).

**მოურავის** შვილი და მხლებლები. (იძრობენ ხმლებს და დასცემენ ყიჟინას). გავმუსროთ ეს უსჯულოები!

ვერდიბეგ. (იშიშვლებს ხმალს და მიჰვარდება მოურავს). აჰ! გიაურ! არც შენ დარჩები ცოცხალი.

მოურავის შვილი. (დაასწრებს ვერდიბეგს). სად წახვალ, სად!.. (შემოჰკრავს ხმალს და დასცემს). თუ მამაჩემმა მამაშენი მოჰკლა, შენ მე მამა-ჩემს მოგაკვლევინებ! (მოურავი, იმისი შვილი და მხლებლები ჰხოცვენ სხვა სულთნებსა და ხანებს, დასცემენ ყიყინს და შეუტევენ ყარაულთა და სხვათ ამალათაგანს. ისინი ზარდაცემულნი ზოგი გარბიან და ზოგნი ცვივიან კარავში დასამალავად. ამ დროს არევით შემოდიან სხვა თათრები სცენაზედ).

მოურავი. მომყევით, ბიჭო, აქ!... (გადაერევა შუაგულს ჯარებში და ყველანი გადასდევენ თან). დაჰხოცეთ თხებივით ეს უსჯულოები! (თათრები არევით გარბიან. ესენი გასდევენ თან და ჰჟლეტენ თათრებს.)

(სცენას გარეთ, მეორეს მხრით ისმის საშინელი არეულობა და ყიყინა. სცენაზედ შემორბიან არეული თათრის ჯარები, ერთი ერთმანეთზედ ელალებიან, აქცევენ ერთმანერთს, ზედ გადადიან და გარბიან. სცენაზედ თან-და-თან შემოდიან თათრები დაჭრილნი და სისხლში მოსვრილნი. ზოგნი დაჭრილობისაგან იქ ეცემიან. ბოლოს შემოდიან თათრები ბრძოლით და თან მორბიან, ამას შემოსდევს თან ზურაბ ერისთავი ქართველის ჯარებით, ყიყინითა და ცხარე ბრძოლით).

ზურაბ. (ხმალ ამოღებული მოაპობს თათრებს). გამუსრეთ, გამუსრეთ უსჯულოები! (ქართველები სცემენ ყიყინს და მიელალებიან. მეორე მხრიდამ შემოდის ახალი თათრის ჯარი და ყიყინით ჩაერევიან ქართველობაში. ზურაბ და ქართველობა შეუტევენ ამათ და შეჩერდება ბრძოლა. თათრების ჯარებს ჰმატებს).

**ქართველ ჯარებში** (ისმის). მოურავი, მოურავი!... ჩვენ

ბატონს გიორგი მოურავს გაუმარჯოს?!... ბატონს მოურავს გაუმარჯოს!...

მოურავი. (მოაპობს თათრებსა და შემოდის სცენაზედ თავისი მხლებლებით ხმალ-ამოღებული). ქართველებს გაუმარჯოს!... ახლა ჩვენ ერთათ ვართ, ქართველებო!... მუსრი ამ ურჯულოთა!... მომყევით აქ!... როგორ თუ გვიბედვენ გამაგრებას. (შეუტევს თათრებს. ქართველები მიჰყვებიან თან. თათრები აირევიან და შიშის ზარ-დაცემულნი გარბიან. ისმის თათრებში: «მოურავ! მოურავ!» ეს ძახილი და თან-და-თან გაცხოველდება თათრებში. ისინი თან ამას იძახიან და თან ჰყრიან იარაღს და არევით გარბიან. ქართველები ჰულეტენ და გასდევენ თან ყიჟინით. სცენას გარედ კიდევ დიდ ხანს ისმის ყიჟინის და ბრძოლის ხმა).

ზურაბ ერისთავი. (შემოდის დაღალული, თან შემოსდევს დასტა ქართველობა და შემოჰყავთ დაჭრილები). არ იქნა, ბიჭებო, უშველეთ დაჭრილებს, წაიყვანეთ და სულ ამ ურჯულოების კარვებში დააწვინეთ: კარვები, ღვთის მადლით, ბევრი დარჩა. აბა, საამ, შემოჰკარ ქუსლი და აცნობე შესვენებულ ჯარებს, რომ მოვიდნენ და მიჰყვნენ გაქცეულებს, თორემ ნაომარ ჯარებს აღარ შეუძლიათ: ძალიან დაიღალნენ. ჩქარა. (საამ კობიაშვილი გარბის).

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი. (შემოჰყავთ დაჭრილი. თან შემოსდევს რამდენიმე დაღალული, მთლად სისხლში მოსვრილი თავადობა.) აი, შენი ჭირიმე, ზურაბ! აბა ბიჭობა მაგასა ჰქვიან, რაც დღეს შენ ჩაიდინე, აი!... ეს ოხერი რა უდროვო დროს დამჭრეს, მაგრამ; ღვთით, არა მიჭირს რა: ისე ჭრილობამ არ დამასუსტა, როგორც დაღალვამ. ხმალიც გამიტყდა, შუბიც... ძალიან ყათლანი კი მოუვიდათ თათრებს, მგონი თავის დღეში არ მოელოდენ ამ ამბებს... სადაც არ

შეჰხედო, სულ ხროვა აყენია თათრების მკვდრებისა... რაკი მოურავის სახელს გაიგონებენ, როგორც თხები, ისე გარბიან.

იასე ქსნის ერისთავი. (შემოდის და შემოსდევენ ჯარე-ბი. ყველანი დაღალულნი იქვე დაეშვებიან). ჰაი, შენი ჭირიმე! ნახეთ მოურავის უნარები?! ვაჰაჰა! რაც ჩარეულა ბრძოლაში, მინამ სულყველგან არ შესძრა და არ არია თათრები, ერთის წუ-თას არ შეუფერხნია. ახალ გაქცეულებს ახალი დასვენებული ჯარი მიუსია და იმათაც ისე მიუძღვის, თითქო ჯერ ეხლა შე-ვიდა ბრძოლაშიაო.

(შემოდის ედიშერ ჩოლაყაშვილი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი და სხვა მრავალი თავად-აზნაურობა და ჯარები.)

ედიშერ ჩოლაყაშვილი. შენმა მზემ, ძალიან დავიღალე, მაგრამ გული კი ვისრულეთ. აგრე წამხდარი და შეშინებული ხალხი კი ჯერ არ მინახავს... მოგვეცა ღვთის წყალობა, რაც ჯავრი გვჭირდა—ჩვენ ვიყარეთ... მაგრამ, ჯერ სად არის!... პატარა შევისვენოთ: ერთი არ უნდა გაუშვათ ცოცხალი, რომ მოამბეც აღარ მიუვიდეს ამქვიწვებულს აბაზს. ჰეეი! მოურავი რა ყოჩაღია... ცეცხლი ყოჩაღია სწორედ. აბა ბიჭიც ეგ არის და ვაჟკაცობაც მაგან უნდა დაიკვეხოს... მაგრამ, ღვთის წინა-შე, ზურაბ, რომ შენც კი გეთქმის ბიჭობა... შენ რომ მოუ-რავის გამოცდილება და ჯანი მოგცა,—ერთი სიტყვით უკეთე-სი არ უნდა, რომ შენა ყოჩაღი ხარ.

თეიმურაზ მუხრ. ბატ. დღეს გამარჯვება—მაგ ორისაა... საქართველომ თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს მაგათი სამ-სახური... აგერ, მოურავიც მოდის. ჩვენს ბატონს, გიორგი მოურავს გაუმარჯოს!!!... (ისვრის მაღლა ქუდს).

ყველანი. (წამოდგებიან ფეხზედ, ისვრიან მაღლა ქუდებს და ჰყვირიან). ბატონ გიორგი მოურავს გაუმარჯოს!! გაუმარ-ჯოს!!!

მოურავი. საქრისტიანოს გაუმარჯოს! საქართველოს გაუმარჯოს!!!

ყველანი. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!!!

მოურავი. მოგვილოცავს გამარჯვება... ყველა კუთხიდამ შიშისაგან ზარ-დაცემული თათრები აიშალნენ და გარბიან. ისინი იხოცებიან და ჩვენ ჯარებს კი თან-და-თან ემატება. საიდამაც არ მოველოდით, იქიდამაც კი გვეშველებიან ჯარები!! გავმხნევდეთ, ქართველნო, და ღმერთია ჩვენი შემწე... ან სიკვდილი და ან სული მთლად განთავისუფლება ურჯულოთაგან,— ეს არის დღეს ჩვენი გადაწყვეტილება... ვინც ქვეყნისთვის თავი გასწიროს—გაუმარჯოს!!...

ყველანი. საქართველოს ღმერთმა გაუმარჯოს!... მოურავს გაუმარჯოს!!... ზურაბ ერისთავს გაუმარჯოს!... ვინც ქვეყნას თავი შესწიროს—გაუმარჯოს!!

მოურავი. ბატონებო! ამ სიხარულთან უნდა წარმოვსთქვათ ჩვენი ძმობაც. ქართლი და კახეთი ღმერთს არ გაუყვია. საყვარელნი ქართველნი ერთ. ამას იქით ქართლი და კახეთი ერთად უნდა იყვეს და არა ცალ-ცალკე. ამის გამო მეფეც ერთი უნდა ვიყოლიოთ საუკუნოდ.

ყველანი. ქართლსა და კახეთს გაუმარჯოს!!

ედიშერ ჩოლოყაშვილი. მეფე თეიმურაზს, ქართლ-კახეთის ბატონს გაუმარჯოს!!

ქართლელნი. ქართლ-კახეთის ბატონს, მეფე თეიმურაზს გაუმარჯოს!...

ზურაბ ერისთავი. ორ სამეფოს ბატონს, თეიმურაზს გაუმარჯოს!!...

ყველანი. გაუმარჯოს!!! (ისვრიან მაღლა ქუდებს და ჰკოცნიან ერთმანეთს).

(ფარდა დაეშვება).

# მოქმედება IV.

## სურათი 1.

### სცენა I.

სცენა სწარმოებს ცაბახმელას, სადაც სდგას თეიმურაზ I ქართლ-კახეთის ჯარითა. თეიმურაზისას არიან შეყრილნი ზოგიერთა თავადები.

მეფე თეიმურაზ. რა იქმნა, სხვები სად არიან? დროა, რომ ახლა ომის საქმე გადავწყვიტოთ. ამოდენა აურიცხველი ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომია, და თუ დროთი არა ვარჩიეთ-რა და ვიძლიეთ, მაშინ საქართველოსათვის უბედური ქვეყანა დედა-მიწის ზურგზედაც აღარ იქნება. ამძვინვებული თათრები ყარჩიხანისა და ყეიქარხანის ჯავრს ძლიერად იყრიან საქართველოზედ.

ნოდარ ჯორჯაძე. ყველანი მალე მოვლენ. მაგრამ მინამ ყველანი შეიკრიბებოდნენ, საჭიროა ეხლავე გადავწყვიტოთ აქ მყოფთა, რომ მეფის გარდა არავის არ ჩაჰბარდეს მთლად ჯარების გამგეობა ომის დროს. არიან ჩვენში დღეს ბევრნი, რომელთაც სურთ, რომ სხვა სარდლებს ჩაჰბარდეს ჯარის გამგეობა; მაგრამ მე მომეტებულის ნაწილის აზრს მოვახსენებ, რომ მეფე უნდა იყოს გამგე სრულიად ომისა.

ზურაბ ერისთავი. ვითომც ზოგნი ამბობენ, რომ რაკი მოურავს სახელი აქვს, იმას ჩაჰბარდეს ომის გამგეობაო. მაგრამ, ვაი თუ თავი არ დაუდოს ზოგიერთა დიდებულთ.

მელიქ ათაბაგი. ნეტა რა ვქნა! რა გაგვიხდა ე მოურავვი, რომ იმის ბადალი აღარც მეფეა საქართველოში და აღარც დიდებულნი! ვაჟო, ვინ არის იმაზე ნაკლები ვაჟკაცი. პირში ქებით არ გეტყვი, ზურაბ, და შენ რა იმაზედ ნაკლები ხარ. ვინც შენ გიცნობს, ყველა იმას გეტყვის, რომ ვაჟკაცად, თუ უკეთესი არა, ნაკლები არა ხარ იმაზედ,—და გვარიშვილობა შენი კიდევ მეტია.

ბაადურ ციციშვილი. ვაჟკაცად მრავალნი ვართ განთქმულნი და ქვეყნისთვის თავდადებულნიცა, აი, თუნდა ბატონი ზარათ, დღეს ჩვენში უკეთესი სარდალი არ არის: სახელიც დიდი აქვს და მადლიც. რასაკვირველია, ბატონი ჩვენი, მეფე თეიმურაზ, თავისის ვაჟკაცობით ყოველგნით განთქმულია და ომის გამგეობაც მაგათი უპრიანია. მაგრამ, ბატონებო, ნუ დავივიწყებთ, რა დღეც არის ჩვენთვის ეს დღე. ჩვენი თვითველი საქმე ასჯერ უნდა იყვეს აწონილი და მერმე დაწყობილი. წელან ბატონმა მეფემაც ბრძანა, რომ ამოდენა ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომიაო; და თუ ესლა საქართველო დამარცხდა, ქვას ქვაზედ აღარ გაუშვებენ თათრები. პირფერობა, თავმოყვარეობა, დიდობა და პატარაობა, გვარიშვილობა და უგვარობა უნდა გადავდოთ. ესლა ერთი უნდა გვქონდეს ფიქრად, რომ დამარცხდეს მტერი. ამოდენა მტრის დამარცხება ჩვენში არავის შეუძლიან, მოურავის მეტს. მე არა ვარ მეგობარი და არც მოყვარე მოურავისა, მაგრამ დღეს, ვალი მაწევს, რომ სწორეთა ვსთქვა: ესლა ბედი და უბედობა საქართველოსა ჩვენზედ არის დამოკიდებული. იქნება მოურავზედ ნაკლებნი ვაჟკაცნი არ იყვნენ აქ, მაგრამ, უნდა გავსტყდეთ, რომ მოურავის ოდენა საქმე ჩვენში არავის უქნია. მისი სახელი არა თუ მარტო საქართველოში და სპარსეთში,—ინდოეთში, საოსმალოში და თვით ხონთქრის კარამდის არის მისული. ვინ

არის ახლა ჩვენში იმისთანა, რომ ქართველთ მდაბიო გული მიენდობოდეს და ერთის თავის სახელით ერთი ორად მოუმატოს გული და ძალა? ვინ არის ისეთი რომ ერთის თვისის დანახვებით მოურავივით შიშის ზარს დასცემდეს მტერს? ამის გამო — იმედი მაქვს მეფე არ მიწყენს, რადგან საქვეყნო საქმეა, — მე ვფიქრობ, რომ ომის გამგეობა უნდა მივცეთ მოურავს, თუ გვინდა, რომ ქვეყანა არ დაიღუპოს.

ელიზბარ ჩოლოყაშვილი. ახლა რომ მეფეს დარჩება გამარჯვება, მაგაზედ იჭვი არ არის. კვლავ უფრო ცოტა ჯარებით გაგვიმარჯვნია, და ეხლა მთელი ქართლი და კახეთი ერთად ვართ შეყრილნი და როგორ შეუძლიანთ თათრებს, რომ გაგვიძლონ. ყორჩიხანის ომში პირველად სულ არ ვიყავით ექვსასი კაცი და ბოლოს ორი ათასი მეტი არ შეგვგროვებია, მაგრამ ქვა ქვაზედაც აღარ გაუშვით და სხვა დროსაც ესევე ამბავი დაგვიყენებია თათრებისათვის. ეს არის მიზეზი, რომ არ გვინდა, რომ მოურავს ჩააბარდეს ახლა ჯარების გამგეობა, თორემ, თუ ეხლაც მოურავს დარჩა გამარჯვება, მაშინ იმის ბატონობას უფრო ვეღარავინ აუვა. თავად ეხლაც ისეთი აჩვავენულია, რომ მთელს საქართველოს, როგორც უნდა ისე აბრუნებს.

მელიქი. აბა, მეც მანდა ვარ. მადლობა ღმერთს, რომ კახელებსაც კი შეგვინიშნავთ ეგ. აბა კახელები რომ მაგას ამბობთ, ჩვენ, ქართლელებმა, რა უნდა ვთქვათ!?... თქვენმა მზემ, ასე აჩვევებულია და ისე არად გვაგდებს, როგორც ერთს ვისმე უკანასკნელს. არათუ სხვანი, თვით მრავალი ჩემი სახლის კაცები და ბარათაანიც ისე უყურებენ მაგას, როგორც მეფეს. ეხლა რომ მაგვარებს სჩადის, ღმერთმა ნუ ქნას და ეს გამარჯვებაც მაგას დარჩეს, მაშინ, თქვენმა მზემ, იქნება თვით ჩემმაც ძმებმა მიუტანონ და დაადგან სააკაძეს საქართველოს მეფის გვირგვინი.

შადიმან ბარათაშვილი. ბატონო, ამდენა ჯარების დაწყობა და ქვეყნის ცოდო, რომ მაგას მოვახვიოთ, რა ვიცით, რომ არ აიღებს თავისის ხელით და არ მიგვცემს ურჯულოების ხელში. მე შენ მოგახსენო დაჩვეული არ არის. ყეენი დაჰპირდებოდა რასმე წყალობას, და ახლა ადგება და ყეენს მიუდგება. ჯარების გამგე ამისთანა გაჭირვების დღეს უნდა იყოს სანდო კაცი. მითხარით, როგორ მივენდნეთ მაგისთანა გოროზს კაცს, რომელიც დღეს ჩვენია, ხვალ თქვენი, თავისი და სხვისა არ გაარჩნია, დიდსა და პატარას ერთს ტომარაში სტენს. კაცი რომ მეფეებს არაფრად აგდებდეს—ვინ უნდა მიენდოს იმისთანა კაცს.

ბაადურ ციციშვილი. შადიმან! მე დიდი პატივის მცემელი გახლავარ თქვენი, მაგრამ სწორედ თქმა მიყვარს. სხვამ რაც უნდა სთქვას მოურავზედ,—შენ ხმა არ ამოგეღება და არც არა დაგეჯერება რა.

შადიმან. მე ხომ მარტო არ მოგახსენებ: აი ამდენა ხასპატიო და დიდებულნი სულ მაგას სჩივიან.

დავით ასლანიშვილი. მოურავს ეკუთვნის ჯარების გამგეობა; მაგრამ იმას ბევრნი თავს არ დაუდებენ. ცხადად ვიცი, რომ ბევრნი თაკილობენ მაგის უფროსობას. თქვენ რასა ბრძანებთ, ზურაბ ერისთავო?

ზურაბ. მე რა უნდა მოგახსენო? მეფე ბრძანდება ჩემი სიმამრი და მოურავი—სიძე. მეფე არის—მეფე და ჩემი ბატონი, მოურავი—გამზრდელი. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, გამგეობა ამისთანა დღეს მეფეს ეკუთვნის.... ვაი თუ მართლა რომ მოურავს დარჩეს გამარჯვება, უფრო თავი აიწიოს და საქართველოში არეულობა მოხდეს, თუ აქამდინ მოურავის ფლიდობას ვერავინ სჩადიოდა, იმიტომ, რომ არავის აცლიდა და არც არავის ჰქონია იმისთანა დრო.

მეფე თეიმურაზ. სწორედ რომ მოურავს არ უნდა დარჩეს ეს გამარჯვება. მაშინ, უნდა გითხრათ. რომ მე მეფობა აღარ შემიძლიან. არავისი აზრი არ მოსწონს, სუყველას თითონ გისრულობს. თუნდა რომ არ გინდოდეს იმისი სიტყვის დაჯერება, ძალათი დაგაჯერებს. უნდა გაგიტყდეთ ამოდენა ქართლ-კახეთის სამპატიო კაცის შვილთან და დიდებულთა, რომ თვით მეც არაფრად მაგდებს, და რაც იმისი სურვილია, სულ ის უნდა რომ შევასრულო. ამასთან, ის კაცი, რომელმაც თავისი სიძე და მეფე არ დაინდო, მე სანდოდ არ მიმაჩნია. მეფის ლუარსაბის სისხლი არ ასვენებს მაგას.

შადიმან. ჭეშმარიტად, რომ მეფის გარდა ჯარების გამგეობა არავის ეკუთვნის; ვაჟკაცადაც მეფე სჯობიან მოურავს, და გამგეობაც უკეთ უწყის, ქვეყანასაც უფრო მაგაზედა აქვს გული, და გამარჯვებაც მეფისა უნდა იყვეს და არა მონისა. მეფის ლუარსაბის სისხლით დამღვრელი ვღას დაინდობს, თქვენი ჭირიმეთ... ვაი! უმანკო სისხლო მეფისავ... (ოხრავს და თვალებს იწმენდს).

ხოსია ბარათაშვილი. ბატონო! ჯერ ერთი უნდა ნახოთ სულ რა კაცები ჰყავს მაგას გამორჩეული: ერთი რიგიანის ოჯახიდამ არავინ არის: პაპუნა ჩივაძე, პაპუნა ვაშაყაშვილიო, გიორგი ქავთარაძე, თამაზ ქარსიძე, ელიზ დიასამიძეო და სულ ამისთანა მინაყარ მონაყარნი. ეგ საქართველოს სამპატიო კაცისთვის კარგს რათ მოინდომებს.

ედიშერ ჩოლაყაშვილი. მეფემ უნდა განაგოს ჯარები, სხვას არავის არ შეუძლიან.

მრავალნი. მეფემ! მეფემ!...

ბარათა. აგერ მოურავიც მოდის. აბა ჰნახავთ უნდა რჩევა რომ შეგვექნება—ის რაებს იტყვის. თავის დღეში ნუ იფიქრებთ, რომ ერთხელ ისა სთქვას, რასაც სხვები ამბობენ, და იმ ნაირად კი დაიწყებს ლაპარაკს, რომ თითქო ამის მეტს

სხვას არავის რა ეყურებოდესო.

(შემოდიან მოურავი, მანუჩარ ათაბაგი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სხვა მრავალი საპატიო კაცის შვილნი).

მეფე თეიმურაზ. (მიეგებება ათაბაგს და მოურავს). მობრძანდი, პატრონო ათაბაგო! მობრძანდი, ჩემო ძვირფასო გიორგი!... მობრძანდით, დიდებულნო. აი ეს არის ეხლა თქვენს ხსენებაში ვიყავით. ჩვენ გვქონდა ლაპარაკი ომის დაწყობილებაზედ. დიდებულთ ისურვეს, რომ ომის დამწყობი მე ვიყავ და მეც ვიკისრე.

იასე ქსნის ერისთავი. ჩვენ ამ რჩევაში რომ...

მრავალნი. (გააწყვეტინებენ). სსსუ! სსს!

ქაიხოსრო მუხ.-ბატ. ჩვენც საპატი...

მრავალნი. სსს!... რა დროსია... რა დროსია!...

მეფე თეიმურაზ. ახლა ჩვენ ყველამ უნდა ვარჩიოთ, თუ როგორ უნდა დავაწყოთ: იქ მივიდეთ, თუ აქ მოუცადოთ. მე ვგონებ, რომ იქ მისვლა უნდა სჯობდეს. იქ რომ მიუხდეთ, თათრები ვერ არიან კარგი გულისა და უფრო შეშინდებიან. ჩემი აზრი ეგ გახლავთ და თუ უკეთესს ვინმე იტყვის, მეც დავყაბულდები.

მოურავი. რასაკვირველია, მეფეო, ამოდენა ჯარების გამგეობა უფრო არავის ეკუთვნის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამოდენა ჯარი, თითქმის, არაოდეს არ დასხმია საქართველოს, და აქ არიან საუკეთესო სპარსთა სარდლები: ხოსრო, მირზა, ისაკ-ხანი, ერევნის ბეგლარ-ბეგი და სხვანი.

ბარათა ბარათაშვილი. დიახ, პატრონო მოურავო, ეგ ჭკუიანური მოსაზრება მეფემ და ჩვენ ყველას თხოვნით იკისრა ჯარების გამგეობა ომის დროს. ამაზედ ლაპარაკი ახლა აღარ გამოდგება, ახლა ის უნდა დავაწყოთ: სად მოხდეს ომი: ჩა-

უხტეთ ალგეთზედ, თუ აქ მოუცადოთ. ჩემის აზრით აქ მოცდა არ იქნება იმიტომ, რომ რაკი ისინი შეიტყობენ, რომ აქ ამოდენა ქართველობა ვართ შეყრილნი, ჩვენზედ მოსვლას თავის დღეში ვერ გაბედავენ, და იქ დგომას არას ინაღვლიან, რადგან სამალი ბლომად აქვთ... ამისთვის მე ვფიქრობ, რომ იქ უნდა ჩაუხტეთ.

ედიშერ ჩოლოყაშვილი. სწორედ რომ იქ უნდა ჩაუხდეთ. ისეც დიდი ხანია აქა ვდგევართ უომრად. ცხენები მოუთმენლად თხოულობენ ომს.

მოურავი. ბატონებო, თუ ჩემს აზრს მოიხსენებთ, მე მოგახსენებთ, იქ ჩასვლით დავიღუპებით. მართალია, ასე ერთად შეყრილი საქართველოს ხალხი დიდი ხანია არა ყოფილა, მაგრამ, როგორც წეღანაც ვსთქვი, ამოდენა ჯარიც, მერე ასეთის კარგის სარდლებით, დიდი ხანია საქართველოს არ მოსდგომია: ჩვენი ჯარი იმათთან ისე არაფერი გამოჩნდება, როგორც ერთი კაცი ას კაცთან. ამას გარდა, ჩვენ აქ გვიჭირავს კარგი მაგარი ადგილები. ასე რომ ამაზედ ცოტანიც რომ ვიყვეთ—ფიქრი არა გვაქვს. იქ კი თათრებს უჭირავთ მაგარი ადგილები, და თუ იქ ჩაუხდით, ისე ჯარებით არ გაგვიჭირებენ საქმეს, როგორც სიმაგრეებით. მერეც ესა, სადაც თათრები დგანან, არის საშინელი ფიცხი ადგილები. ჩვენი ჯარი, თითქმის ნახევარი სულ მთის ხალხია და სიცხეს არ არიან დაჩვეულნი. იქ რომ ჩაუხდეთ, რაც უნდა გულადად მივიდეთ, თუ პატარას ხანს გაგვიმაგრდნენ, იმ სიცხეში, არა თუ ჩვენი მთის ხალხი, და თვით ბარელებიც ვერ შესძლებენ ომს. თათრებს კი, არა თუ მაგისთანა სიცხეს, და მაგაზედ უარეს სიცხეშიაც არა უჭირთ რა, რადგან თითონ ფიცხი ადგილისა და ცხელი ქვეყნის შვილები არიან. აი, ბატონებო, ამისთვის მოგახსენებთ, რომ იქ ჩასვლით დავიღუპებით, მეთქი. თუ გვინ-

და გამარჯვება და ქვეყნის აოხრებიდამ გადარჩენა—ჩვენ აქე-
დამ არ უნდა დავიძრათ.

ზურაბ არაგვის ერისთავი. ეგ ყველაფერი, რაც მოუ-
რავმა ბრძანა, ჭკუაზედ ახლოა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ
თათრებს ზღვათა აუარებელი საგძალი მოსდით და, რაკი იციან,
რომ ჩვენ აქ მაგარი ადგილები გვიჭირავს და ერთობ ქართვე-
ლები ვართ შეყრილი, არას დროს ადგილიდამ არ დაიძვრიან.
ამისთვის იქ გვირჩევნია ჩახდომა.

ბაადურ ციციშვილი. თუ არ მოვლენ აქ, და მაშინ
ჩვენც აქ ვიდგეთ, მინამ აგრილდებოდეს. თუ კი ეგენი სხვის
ქვეყანაში თავს შეინახვენ, დავიჯეროთ, ჩვენ, ჩვენს ქვეყანაში
თავს ვერ შევინახავთ! რაკი აგრილდება, მაშინ, როგორც იქ-
ნება, შევძლებთ იქ ბრძოლას. მინამდის ჩვენ წვრილის თარ-
ეშებით ვაწუხოთ ისინი, ვტაცოთ საგძალი, შევუკრათ გზები,
წყლები, და ამითი კიდეც შევასუსტებთ, ან არა და მეტი ღო-
ნე არ ექნებათ, რომ აქ არ მოვიდნენ. იქ მისვლა კი იმ სიც-
ხეში ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

ბარათა. ვისაც სამღვთო უნდოდა ცხვარს იძახდა, ვისაც
გაძღომა—კამეჩსაო. ვაჟო! თუ ომია—ვიომოთ, თუ არა და
ამოდენა ხალხს ოხრად უყრიათ ცოლ-შვილი—რაზედ ვაცდენთ
თავის სახლ-კარს! მე მომიხსენებია, რომ თუ ეხლა ომი არ
მოხდა, აღარც ერთი ბარათაშვილი არ დადგება აქ თავის ყმით
და ყველანი წავლენ შინ თავის ცოლ-შვილის მისაპატრონებ-
ლად... თუ სიცხის ფიქრი გაქვს, რა უგუნურები უნდა ვიყვ-
ნეთ, რომ სიცხეში შევებათ. მინამდის დაცხება, მინამდის გა-
ქცეულები უნდა გვყვანდნენ.

მოურავი. მე მაინც კიდევ მოგახსენებთ, რომ იქ ჩახ-
დომა არ გვიჯობს. მარტო ვაჟკაცობა და ომის სურვილი
არას გახდება. ამისთანა დროში ოსტატობა და მოთმინება

არის პირველი გამმარჯვებელი. უწინ თუ გაუმარჯვნიათ ქართველებს მცირეთა მრავალზედ, იმიტომ, რომ სიმარჯვე ჰქონიათ. ეხლა კი ჩვენ იქ ჩასიდომით არაივერი სიმარჯვე არა მიგვიძღვის, რა.

მეფე. თქვენ რაღასა ბრძანებ ბედნიერო სტუმარო ბატონო მანუჩარ?

მანუჩარ აფაბაგი. მე ყოველთვის ისე გახლავარ ჩემის მეხსებით ომს ჩვეული, რომ რა წამს ჯარს შევყრი, მაშინვე შევებრძვი მტერს: ჯარი თუ დიდ-ხანს უომრად დგას—გული უხდება. თუ სხვა არა გაბრკოლებით რა, დგომას—ომი სჯობია.

მეფე. თითქმის ყველანი ომის მსურველნი არიან. მაშ, ბატონო, შუა ღამემდის უნდა აეშალოთ ჯარები, რომ გათენებამდის გაგცემულებიცა გამგზავნილნენ თავთავები. (ყველანი ჰიშლებიან და გადიან).

# ს ც ე ნ ა 2.

სცენა სწარმოებს მარაბდის მინდვრებზედ. სცენაზედ შემოდიან ორმოცამდინ ქართველები, სისხლში მოსვრილნი და ქანც-მოწყვეტილები. ისინი უძლურად ეყრებიან წყლის პირას, და წყალში ჰყოფენ თავს. ზოგი ზედ ისხამს წყალს, ზოგნი კი ტანისამოსიანად ცვივიან წყალში.

1 მხედარი. ჰა ჰა ჰა! დაგვხოცა ამ ოხერმა სიცხემ... გაიმუსრა, გაიმუსრა ამოდენა ქართველობა... სიცხისაგან როგორ თავზარუ ესხმოდათ და გულით ულონდებოდათ... არაგველები! ჰა ჰა ჰა! ნახევარზედ მეტი სულ გაიმუსრა.... ახლა მარტო მოურავისა და ბარათას მეტი აღარავინ იბრძვის... თუ ისინი არა, აქამდინ სულ ტაბახმელამდის აგვრეკავდნენ.

2 მხედარი. ვაყო! ყათლანი მეტი იქნება: ცხრა ძმა ხერხეულიძენი ყველა ერთ ადგილას დაიხოცნენ და ერთს ადგი-

ასა ჭურვიან დახოცილები... სიცხემ დაგვღუპა, ძმავ, სიცხე თურმე, თავი არ მომიკვდება, ასე არ წავხდებოდით.

3 მხედარი. სიცხემ, თავი არ მომიკვდება... სულთქმ ჩავიჩოქე სიცხისაგან... ცალკე მზის ღუღლი, ცალკე ამოდენა ხალხი ერთად, ახლა თოფ-ზარბაზნის კორიანტელი... ი ურჯულოები დაჩვეულები არიან და არც კი ეტყობათ.

4 მხედარი. რა შეეტყობა, ძმავ! ისინი ბევრნი იქნენ: ერთი ჩელობა რომ ერთი ჯარი იომებდა და გავაქცევდით, მერე სხვა დასვენებულები ჩამოდიოდნენ. მოდი და შენ გაუძელ ამოდენა ჯარს ამისთანა სიცხეში. ხომ ჰხედავ, ქვეყანა იწვის ამისთანა სიცხით.

5 მხედარი. დაიღუპა ახლა ქვეყანა თუ ბარათამ და მოურავმაც არა უშველეს რა. მთელად მთის ხალხი სულ გასწყდა... ბაადურ ციციშვილს ჯერ სამჯერ შესწუხებია გული... მერე ჩაწვება წყალში და გადარჩება ისევ მტერში... ახლა მარტო მოურავის და ბარათას ჯარებიღა ებრძვიან... ქვეყანა იღუპება და მეფე დადის და დაჭრილებსა სცემს ნუგეშს... რა დროა დაჭრილებისა—დაწყობილება და გამხნევება უნდა ჯარებს. (შემოდის მრავალი ხალხი და შემოჰყავთ მოკლული თეიმურაზ მუხრან-ბატონი).

ქაიხოსრო მუხრან-ბატ. ჩაასვენეთ წყალში... იქნება მოსულიერდეს. (უშვებენ წყალში). ძმაო თეიმურაზ! შენი ჭირიმე! თეიმურაზ! მოიხედე... გაამხნევე შენი ქართველები ამისთანა დროს როგორ მტყუნობ შენ საყვარელ ქვეყანას. (შემოდიან სცენაზედ რამდენიმე თავად-აზნაური და გლეხნი მთლად სისხლში მოსვრილნი. ამათ შემოჰყავთ მძიმედ დაჭრილი ზურაბ ერისთავი.)

რამდენიმე ახლად შემოსულნი. უშველეთ თავს! სულ გაიმუსრა ქვეყანა... მთელი ქართველობა გამორბის და ურჯუ-

…ლოებში მოსდევენ უწყალოდ ჟლეტით.

(ყველანი აიშლებიან).

ზურაბ ერისთავი. გამიშვით, აქ მოვკვდე… აქ დავიხოცნეთ ყველანი… დავიხოცნეთ — შინ მისვლას ის გვირჩევნია… რა პირით უნდა შევხვდეთ ქვეყანას!… დადექით, ძმებო, და დავიხოცნეთ ვაჟ-კაცურად…

(ისმის მახლობლად არეულობისა და ყიჟინის ხმა. სცენაზედ მყოფნი შეიკრებენ ღონეს, გაიტაცებენ მკვდარს თეიმურაზ მუხრან ბატონს).

ზურაბ ერისთავი. (რომელსაც მიათრევენ მხედარნი.) გამიშვით აქ მოვკვდე… (მიჰყავთ) ვაიმე, ვაი ქვეყანავ დაღუპულო!…

(შემორბიან სცენაზედ მწარედ დაღალული და ქანცმიწყვეტილი ჯარები. ზოგს სიცხისა და დაღალვისაგან აღარ შეუძლიანთ სირბილი და ისე ტანისამოსიანად წვებიან წყალში, ზოგნი ეცემიან გზა-გზა და ჯარები გადადიან ზედ. ისმის თან-და-თან ახლოს ყიჟინა).

მეფე. (შემოდის სცენაზედ დაღალული, შემკრთალისა და შეღონებულის სახით. უკან შემოსდევს თავის ამალა და გამოქცეული ჯარები). არ იქნა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმეთ! ნუ გეშინიათ, აღსდექით ღმერთი… შემოიკრიბეთ ღონე… ერთი რომ შეუტიოთ, გაიქცევიან ეგ ურჯულოები… (ჯარები რაზმდაცემულნი გარბიან წინდაუხედავად, და ჰყრიან გზა-გზა იარაღს, გუდა-ნაბადს; ზოგნი ისვრიან ჩოხას და ახალუხებს, რომ იმითი შეიმსუბუქონ თავი სიცხისა და სიმძიმისაგან. ისმის თათრის ჯარების ყიჟინა).

რამდენიმე ამალათაგანი. გავეცალნეთ, მეფევ, — ჰხედავთ, როგორ მირბის ჯარი და რა რიგად ჰხოცენ.

მეფე. სად არის მოურავი… არა, სად არის ბარათაია!… ის კიდევ იბრძვის… დავიჯერო ისიც ველარ გაიმკვლის… მოურავს ეხლა მტრობა უდევს გულში, თორემ ის როგორ არ გამოგვიხსნიდა ამ ურჯულოებიდამ… ბარათას მეშველენით…

რამდენიმე თავადი. მოვიდნენ, უშველეთ თავს... (თეიმურაზ გარბის, იმას გასდევენ, ვისაც კი შეუძლიან. შემოდის სცენაზედ ერევნის ბეგლარ-ბეგი ჯარებითა. მეორეს მხრით შემოდიან მანუჩარ ათაბაგი და ბარათა ბარათაშვილი.)

ბეგლარ-ბეგი. გამოუსრეთ ეგ გიაურები, გამოუსრეთ... ცოცხალი აღარავინ გაუშვათ.

ბარათა. არ იქა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო. (შეუტევს ჯარებით).

მანუჩარ ათაბაგი. არიქა, მეხსნით! გავასხვლოთ ჩვენი თავი. (ჩაერევა თათრებში).

ბეგლარ-ბეგი. (გადაეგებება მანუჩარს). სად მისვალ მანუჩარ, სადა?!

მანუჩარ. შენზედ, მე უბედურო, შენა. (მანუჩარ შემოჰკრავს ხმალს, ბეგლარ-ბეგი დაეცემა. მანუჩარ უპირებს მოკვლას.)

ბეგლარ-ბეგი. ჰაი მე უპერმარილო მანუჩარ... ქართლები გასა შენს გამზრდელს... არამი იყოს შენზედ ჩემი ამაგი. (მანუჩარ გამობრუნდება).

მოურავი. (შემოდის მეორე მხრით მოურავი). ჰაი, თქვე უბედურებო, თქვენა, სად მისვალთ სადა!? . . . მუსრი მაგათ! (ჩამოუვლის თათრებში და პატარა ხანს გაცხოველდება ბრძოლა, მერე აირევიან თათრები და გარბიან ძახილით: მოურავ!) აბა, ბიჭებო, მიჰყევით, სულ ღმერთამდი მიჰყევით. (გასდევს თითონაც. მოწყვეტილი და მოქანცული სიცხისა და ომისაგან ქართველები შემოიკრეფენ ღონეს და გასდევენ. პატარას ხანს უკან ისევ ბრუნდებიან ცოტ-ცოტათი და ცვივიან წყალში, ზოგი წყლის პირას. ბევრს მისდის სიცხისგან გული, და ბევრნი იხოცებიან სიცხისგან მოწყვეტილნი).

რამდენიმე მეომარი. ვაჰ, დედავ! დაგვხოცა სიცხემ... ვაი დედას მაგათსას, რომ ამისთანა სიცხე დაგვიდგა. (შემოდის მოურავი, ბარათა და მანუჩარ ათაბაგი, მცირის ჯარებით.)

მოურავი. არიქა, ძმებო, ერთიც კიდევ, ერთიც კიდევ შეუტიოთ და ღმერთი გვიშველის.

ჯარები. ბატონო მოურავო! აღარ შეგვიძლიან... დაგვხოცა სიცხემ... ხმალს ვეღარა ვხმარობთ და ისარს...

მოურავი. (ამოიღებს ხმალს, ჩაუსობს მიწაში, ჰკრავს წიხლს და გადაამტვრევს). ასე დაიქცეს იმათი ოჯახი, ვინც დღეს საქართველო დაჰღუპა! ღმერთო მაღალო, ნუ თუ არ უყურებ ამოდენა ქვეყნის საცოდაობას!.. როდემდის უნდა სდიოდეს საქართველოს სისხლი... როდემდის უნდა იღუპებოდეს შურითა და უბირულობით! (დაიკრავს გულ-ხელს და გაჰყურებს).

ბარათა. ღმერთო! დაიღუპა ქვეყანა... სააკაძევ, შენა ხარ მართველი კაცი... (იტაცებს თმებში ხელს და გადის).

პაპუნა ვაშაყაშვილი. (შემოდის საჩქაროდ.) არიქა, ბატონო, ახალი ჯარი მოდის თათრებისა და გაქცეულებიც მოგვიბრუნდნენ...

მოურავი. ჰმა, ადექით, ვისაც შეგიძლიანთ სიმაგრეები დავიჭიროთ. ახლა მეც ვხედავ, რომ არც არავის ომი შეგვიძლიანთ და ვერცა რას მარტონი აქ გავხდებით... მაგრამ, ნუ გგონიათ, ურჯულონო, რომ მე იაფად დაგისვათ საქართველოს აყრა და გაოხრება... მინამ გიორგი სააკაძეს თავი აბია მხრებზედ, მანამ ვერ შეასრულებთ თქვენ თქვენს ურჯულო განზრახვას!... მომყევით, ძმებო!... ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა გვიდევს წინ... კიდევ ბევრჯერ გავაძღობთ მაგ ურჯულოების სისხლით... ღმერთი ძლიერია. (გადის და გადასდევენ თანა ჯარები).

## ს უ რ ა თ ი II.

### ს ც ე ნ ა 3.

სცენა სწარმოებს ზურაბ არაგვის ერისთავის სახლში. აქ არიან შეყრილნი მეფე და მრავალი ქართლ-კახეთის დიდებულნი.

მეფე თეიმურაზ. მე საშინლად მაკვირვებს ასე უწყალოდ აზვავება და ჩვენი თავდაუდებლობა გიორგი მოურავისა. არ ვიცი, რა სწადიან, რომ ასე ისიმლავს წვრილმან თავად-აზნაურობას და გლეხ-კაცობას. აშკარად ვხედავთ, რომ მეც ღალატს მიპირებს და ჰსურს კვალად საქართველოს არევა. დიდებულნო! თქვენთვის გამომიცხადებია ესე ყოველისფერი. ვგონებ ჩემს მეფობაში მე ყოველთვისა მქონდეს ქვეყნის სიყვარული და კიდეც მცოდნოდეს ფასი საქართველოს დიდებულთა. რა უნდა ახლა მოურავს ჩვენგან! ქართლია და ასე ჰრევს. თუ მე არ შემკავებინა თავი, იმას უნდოდა, რომ მეც გავერივე ქვეყნის სისხლში. რა აზრი ჰქონდა მოურავს, რომ ამაგრებდა იმერეთის მხრივ ციხეებს!? იმის გულიდამ ხომ არა ამოვა რა, მინამ საქმეს არ გაათავებს; და მაინც კიდევ წამოსცდა ეს თავისი აზრი. მე ისეთი ხარბი და გაუმაძღარი ვგონივარ, როგორც თითონ არის. ერთხელ მეუბნება: რა კარგი იქნება, რომ მესამე ტახტიც შენ დაიჭიროვო... თქვენმა მზემ, მე რომ იმას ავყოლოდი, აქამდის იმერლების სისხლში ხელს გამასვრევინებდა და გადამკიდებდა გიორგი მეფეს მტრად, რომლისაც პურმარილი ჯერაც ყელში ამომდის.

შადიმან ბარათაშვილი. ავი მოგახსენეთ! თქვენმა მზემ,

ერთს წუთას არ შეუძლიან მოისვენოს. სულ სისხლი, სისხლი და სისხლი! იმისი გული სისხლით არაძღება. თქვენი ჯორიმეთ, მაგას ვიღა მოიფიქრებდა: თათრები ძლივს მოვიშორეთ, რომ ახლა იმერლები მტრად გადვიკიდოთ!

ბაადურ ციციშვილი. მე არ ვიცი უნდოდა მოურავს იმერლების სისხლი თუ არა, და ეს კი ვიცი, რომ, თუ არ მოურავი—საქართველო აქამდის მტვრად იქნებოდა ნაქცევი. შადიმან ბრძანებს—ძლივს მოვიშორეთ თათრებიო. ვის მოწყალებითო!? სხვა იქით იყვეს, ვინ იყო, ბატონებო, რომ მარტოდ მარტო ებრძოდა მარაბდის ომის შემდგომ ისაკ-ხანისა, ხოსრო-მირზისა და ჯმიურუმ-ხანის ჯარებს და საქართველოს ყოველს ნაბიჯს იცავდა თავისი საკუთარის სისხლით იმოდენა უთვალავის ჯარებისაგან?! ვიღას ეგონა, რომ საქართველო კიდევ გადარჩებოდა აყრასა და მთლად გაწყვეტას. ჩვენ ყველანი, შიშის ზარ დაცემულნი, დავიმალეთ თაგვის სოროებში. თქვენ, მეფევ, გაასცალეთ თავი და აბრძანდით ხევსურეთში, საიდამაც აპირებდით რუსეთს წაბძანებას. ზურაბ ერისთავმა უმუხთლა საქართველოსაც და მოურავსაც და შეუშვა არაგვზედ თათრების ჯარები. ყველანი მიიმალ-მოიმალნენ. სოსია და ქაიხოსრო ბარათაშვილები დაუმეგობრდნენ ხოსრო მირზას. მარტო მოურავი ებრძოდა ამოდენა უთვალავ ჯარს, და მარტო მოურავი-და ზრუნავდა თქვენი სამეფოებისათვის, მეფევ. ზოგჯერ, თითქმის ცარიელი ხელით, ასმოცი კაცის ამარა დარჩენილა და კიდევ არ დაუნებებია თავი თათრებისათვის. ამ ხანებში სააკაძე არათუ იბრძოდა, ის კიდევ ამასთან მარტოდ მარტო ამაგრებდა ციხეებს, ჰკრავდა გზებს, და ბოლოს იქამდის მიაღწევინა, რომ გარეკა აქედამ თათრები და საქართველო გადაარჩინა მესამედ იმ საშინელს განსაცდელს, რომელსაც ყველა განწირულებით მოელოდა.

ერთსა და იმავე დროს, ჭმოურავი, არათუ მარტო თათრებს უნდა ჰბრძოლოდა, უნდა ჰბრძოლოდა თვით ქართველთაც, რომელნიც გადასდგომოდნენ თავის ქვეყანას და აძლევდნენ ყოველრიგს შემწეობას თათრებს საქართველოს დასანთქმელად. და ის ქვეყნის მოღალატენი, მეფეო, დღეს შენ გახლავან გვერდით და გიჩვენებენ მოურავს ქვეყნის მტრად და თავის თავს ერთგულად... მოურავმა გაამძლიერა საქართველო და თქვენი ხმალი, მეფეო. დღეს რომ ჩვენ ყველანი ჩვენ ჭერს ქვეშ პურსა ვსჭამთ და ვლოცულობთ ჩვენ სალოცავებს—ეს სულ მარტო მოურავის მოწყალებით.

ზურაბ ერისთავი. კიდეც მაგან საზავა მოურავი, რომ მუხრან ბატონისა, ერისთავისა და ციციშვილისთანა დიდებულნი, თითქმის მეფედ ჰსახავენ იმას. ჩემისთანად მოურავს ვერავინ იცნობს. მოურავი საპატრონ-ყმოდ აგრე ადვილად თავს არავის დაუდებს. რაც უნდა იყოს, დღეს მე მეფის სიძე და შვილი ვარ, მაგრამ თქვენმა მზემ ისე არაფრად მივაჩნივარ, როგორც ერთი უკანასკნელი ვინმე. თავის პაპუნა ვაშაყაშვილს უფრო გაუგონებს, ვიდრე მე. მე კიდევ არაფერი. ახლა, რაკი ჰხედავს, რომ მეფე აღარ ასდევს მაგის სიტყვას, სულ მეფის უმადურობას ლაპარაკობს; დაუწყო მეგობრობა იმერთა მეფეს. ეხლა ის ჩუმ-ჩუმად რაღაებსაც ელაპარაკება იმერლებს, აქ, ქართლში ხალხს იბირავს და იკვეთამს და თქვენა ჰნახავთ მაგას რაც უდევს გულში. ან ქართლს იმერთა მეფეს მისცემს, რომელსაც, როგორც უნდა ისე აკუნტრუშებს, ან თითონ მოინდომებს მეფობას. კიდეც გამეფდება, იმიტომ რომ ქართლის მდაბიო და წვრიმალი თავად აზნაურობანი და შიგა და შიგ დიდებულნიც მოურავს უფრო იცნობენ მეფეზედ და მეფის თავს მოურავი ურჩევნიათ.

შადიმან ბარათაშვილი. ბატონო, როგორ არ ვიცნობ

გოროზს სააკაძეს! წყეულიმც იყოს ის დღე, რა დღესაც ჩვენ მაგის ხელში ჩავცვივდით. განა არ ვიცი, რო მაგას მეფობის მეტი სხვა არა უძევს რაგულში. ჯერ გაადედოფლა თავისი და, რა-არის ხალხი შეეჩვიოს ამასაო, და მერე თითონაც უნდოდა გამეფებას. სააკაძე—საქართველოს მეფედ უჯდეს!... რატომ არ გასკდება დედამიწა და ქვეყანას თან არ ჩაიტანს!

მელიქ ათაბაგი. ბატონო, თუ მაგას მეფობა არ ედოს გულში, მაგ საქმეებს ჩაიდენდა? აი ეს ხოსია ბარათაშვილი,—პირველი თავადის შვილი, პირველი კაცის შვილი და დღეს გამოჩენილი კაცი საქართველოში,—მთელი სამი წელიწადი ციხეში გამოალპო. რომელი მეფე იზამდა ამას! მეფეს არას ეკითხება; ჰკრებავს თავად-აზნაურთაგან და ქვეყნისაგან ხარჯს, მოჰყავს ბერძნები, უძახის მუშას, აშენებს, სადაც არა მგონია, ციხეებს, გაჰყავს გზები იმისთანა ადგილებში, სადაც თავისდღეში ქვეითადაც არ გაუვლია კაცს; აჩენინებს ტყეებს, გამოჰყავს მთიდამ უმამულო ოსი და მთიული და ასახლებს იქ. ერთი სიტყვით, არც ერთს მეფეს არ უქმნია ეს საქმეები, რასაც ეს სჩადის. რაკი პატარა არ შეისვენა საქართველომ მტრისაგან, ახლა ველარ გაუძლია უსაქმურად და ხან რას იგონებს და ხან რას: რა არის, ქვეყანას უჩვენოს, რომ რაც არის მე არის. ლამის ქვეყანა ამატრუტოს.

მეფე. აი, თქვენც ხომ ჰხედავთ, დიდებულნო, რაც საქმეების მომქმედის მოურავი. თქვენ თითონ ჰხედავთ, რომ თუ მაგას არა მოუხერხეთ რა—ქვეყანას არ მოასვენებს.

ბაადურ ციციშვილი. მეფეო! თუ მე მაგისთვის მომიწვიეთ, რომ სააკაძის უბედურებაში გამხვიოთ, ჩემი იმედი ტყუილად გაქვთ, დიდებულნო! დაფიქრდით კარგად: მინამ მოურავი ცოცხალია, მინამ მაგრად მოვკიდოთ ხელი და მივყვეთ, სადაც წაგვიყვანოს, თორემ, თუ მოურავი ხელიდამ გა-

უშვით და მოურავმა საქართველო არ დაამყარა იმ დონეზედ, რომ საქართველოს თვითონ თავის დაცვა შეეძლოს,—მოურავის უკან ჩვენ ვიქნებით ჩვენივე ხელით ჩვენი საფლავის გამთხრელნი. თუ არ ახლა, მერმე გვიანღა იქნება საქართველოს შველა. შეჰხედეთ აბა რას სჩადიან ოსმალნი: ჩვენი დავით აღმაშენებლის სამშობლო, ჩვენი რუსთველის სამშობლო სამცხე-საათაბაგო, ლაზი, აჭარა ლამის სულ დაათათრონ და ერთს ასს წელიწადს უკან ეს ძირის ძირი ქართველები, რომელნიც აქამომდე იყვნენ საქართველოს სჯულისა და მეფეთა დამცველნი, აღარც კი იცნობენ თავს ქართველად და პირველი ისინი დაუსობენ მომაკვდავს საქართველოს გულში ლახვარს.

ბარათა ბარათა-შვილი. მოურავი პირველი კაცია დღეს საქართველოში.

მელიქ ათაბაგი. არა. მოურავს უნდა მეფობა და არა ქვეყნის შველა. ეს ყველა იმის საქმეებიდამ სჩანს.

შადიმან. ამას ყველა დაინახავს, ვისაც თვალები აქვს.

ედიშერ ჩოლოყაშვილი. მთელი კახელობა სულ მაგ აზრისანი ვართ. თუ მეფობა არ ეძოს გუნებაში—ის ჩვენი ბრძენი მეფის ბრძანებაზედ ივლიდა.

ნოდარ ჯორჯაძე. ყველა საქმით ამტკიცებს ამას მოურავი. ჯერ საქართველოს დიდებულნი ისე არ დამცირებულან, რომ ერთი გუდამშიერი აზნაური მეფედ დაისვან.

ბაადურ ციციშვილი. გუდამშიერი აზნაურიც, რომელმაც მისცა რამდენჯერმე საქართველოს ცხოვრების სახსარი, და რომელმაც შეაერთა ქართლი და კახეთი და მისცა ერთს მეფეს.

ზურაბ ერისთავი. და რომელიც დღეს ამ მეფეს არ ემორჩილება და საქართველოს დიდებულთ არ არჩევს თავის უმებისგან.

მეფე. ვისაც ჰსურს ჩემი მეგობრობა—დამიდებს თავს, ვისაც არა და—სააკაძე ნდომებია მეფედ.

ბარათა. შენ მეფე ხარ, ბატონო თეიმურაზ, მე შენ მუხანათში ვერ ჩავდგები, და მოურავი ჩვენში პირველი კაცია და არც იმის გადადგომა შემიძლიან.

შადიმან. ღმერთი ისე არ დაჰღუპავს საქართველოსა, რომ სააკაძისთანა კაცები გაგვიმეფოს.

ბაადურ ციციშვილი. მაშ მე ვხედავ, რომ აქ სხვა არაფერია, ხელახლად კიდევ შეყრილან მოურავის მტერნი, რომ მეფესაც და სხვებსაც გაასვრევინონ იმის სისხლში ხელი. მე ვხედავ, რომ აქ მუშაობს შური, მტრობა, და არა საქვეყნო საქმე. კიდევ არიან ქართლში კაცნი, რომელნიც არ მისცემენ საქართველოს მტერთ ნებას, რომ დაჰღუპონ საქართველოს პირველი კაცი—აზნაური სააკაძე. მაგრამ გახსოვდეთ, ბატონებო, რომ თქვენ თქვენის შურით უთხრით საქართველოს სამარეს. აქამდის არა გვჯეროდა მოურავის სიტყვა თქვენზედ, მეფეო, და გვინდოდა დაზავება, ახლა კი ვხედავ, რომ მოურავი არაში სტყუვის... ბაადურ არ გარეულა საქართველოს ღალატში და არც გარევა, და ვაი იმათ, ვინც მოინდომებს საქართველოს დაღუპვას. (გადის.)

იმერელი თავადი-შვილი (შემოდის). აქა მშვიდობა მეფეთა და დიდებულთ.

მეფე. მობრძანდი დიდებულო იმერო. როგორ განისვენებს მამად საგულდებული მეფე გიორგი?

იმერელი. რავა განისვენებს და მე შენ მოგახსენებ, თუ კაი ჯილდოს მიბოძებ. კი ჭირის, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, ჯილდოდ. თუ არა დეიღუპე, შენი მტერი დეიღუპოს.

მეფე. ბრძანეთ და, რისიც ღირსი იქნები ყველას მოგანიჭებ.

იმერელი. მე, ბატონო, რავარც მოგახსენებ ყველაფერს, ჩემს ქვეყანაში აღარ მიმესვლება;—იმდენი წყალობა მაინც უნ-და მეიღო, რომ ღირდეს ჩემი ყმა და მამულის დატოვება და ჩვენი ქვეყნიდამ გადმოხვეწად.

მეფე. რასაც ისურვებ ყველას შეგისრულებ... უთუოდ მძიმე რამ გაქვს სათქმელი.

ზურაბ ერისთავი. ნახავთ თუ მოურავის ღალატი არ იყვეს.

იმერელი. კი, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს. მისთანა სა-იდუმლოთ აქვთ მითქმა-მოთქმა მოურავს და მეფე გიორგის თქვენს დაღუპვაზედ, რომ ქრისტიანი კაცი ვერ გეიგებს. აჰა და ჩემი სიდედრი გახლავსთ გამზრდელი ბატონის პატარა შვილის. ის უნდათ აბა ქართლ-კახეთის მეფედ და მერე იმე-რეთიც ხომ იმას დარჩება. იმას უთქვამს ეს ჩემი სიდედრის-თვის და მე მისგან გევიგე. რაკი თქვენი სიუხვე ვიცოდი, კი ვარჩიე თქვენი ცნობა ამ ამბის. ისინი სულ მზადებაშიდ არიან და აპირებენ უცებად დასხმას.

ყველანი. (ერთ-ხმივ). აგი მოგახსენეთ!

## ს ც ე ნ ა 4.

(სცენა სწარმოებს მოურავის სახლში)

ზურაბ ერისთავი. მაშ, ეგ ამბავი აღარ იმალვი მოურავო, გკითხოვ რაღა?

მოურავი. არა, ზურაბ! მე კიდევ ვერ დამიჯერებია გუ-ლი, რომ შენ აგრე სამტროდ გაიმეტე საქართველო, რომელ-საც შესწირე შენი საყვარელი ცოლი. არა მჯერა, რომ გაიმეტე

სამტროდ შენი გამზრდელი გიორგი, რომელთანაც ამდენს ხანს გაგიწევია ძმურად ყოველივე ჭირნახული. განა იმისთვის ჰკოცნიდი თეიმურაზს მუხლზედ — ზურაბს ქალი მიეც, მეთქი, რომ ბოლოს შენ და იმას ჩემ სამტროდ და საქართველოს დასაღუპად შეგეკრათ პირი! მე თეიმურაზის იმედი არასოდეს არ მქონია და იმისთვის დაგამოყვრე შენ და ის, რომ ზურაბ კაი გზაზედ დააყენებს მეთქი, ის კი არა თუ შენ იმან აგიყოლია... როგორ მოვიფიქრებდი, რომ ზურაბ თავის დღეში ჩემთან თანამკვდარი არ იქნებოდა საქართველოსთვის... გამიგონე, ზურაბ. აიღე ხელი შენს განზრახვაზედ, შეხედე საქართველოს მდგომარეობას, დააცქერდი, რა ბოლო ელის, თუ დღეს მე და შენ ერთმანეთს უმტყუნეთ. ვფიცავ მამიჩემის სულს, რომ ეხლავ კისერს მივუშვერდი თეიმურაზისა და შადიმანის ხმალს, თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ თეიმურაზ, შადიმან და ის კაცნი, რომელნიც მეფეს ჩემს სამტროდ დაუახლოვებია, არათუ შეიძლებოდნენ — ან კი იფიქრებდნენ საქართველოს საბოლოოვოსათვის. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თუ დღეს თეიმურაზს დარჩა გამარჯვება, დარჩება შენი მიზეზით და შენ იქნები მაშინ იმავე საქართველოს დამღუპავი, რომელსაც შენ შესწირე შენი გულითადი საყვარელი და თვით შენი თავიც. მოდი, მოვხვიოთ ჩვენ ერთმანეთს ძველებურად ხელი და შეუდგეთ საქვეყნო საქმეს. ნუ ჩავდგებით ქვეყნისა და ჩვენი მომავლის ცოდოში. ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი ბედნიერება არ გამოგვიხსნის იმ სირცხვილისა და წყევლისაგან, რომელსაც მივეცემით ჩვენ ჩვენი შვილის-შვილებისაგან ჩვენის ცუდის საქმეებისთვის.

ზურაბ. ნუღარა გგონია, გიორგი, რომ შენი ცბიერის სიტყვებით კიდევ-ღა მომხიბლო. მე თუ აქამდის გიჯერებდი და აგდევდი შენ, ეს უმაწვილობით მომდიოდა. ახლა, ღვთით,

გიცანი, რომ შენ მარტო შენი დიდება გიდევს გულში, გინდა შენისთანავე დაცემული კაცის შვილები გამოიყვანო კაცად და დიდებულნი კი შთანთქა. გინდა, რომ შენ იყო მბრძანებელი და მპყრობელი ქვეყნისა და ის კაცნი, რომელთათვისაც ღმერთს მიუნიჭებია ძალა და დიდება, დაამცრო და გაუსდე მათ ბატონად, რომ მასუკან ქართლში დიდი და პატარა გაასწორო. არა, ამას იქით, გიორგი მოურავო, მე და შენობა აღარ იქნება, აღარ მოგაგლეჯინებ ჩემი ხელით ნარს და ამას იქით აღარ მოგყვები, რომ ჩემის შემწეობით ჰრევდე ქვეყანას. აი მე შენა და ეგ შენი იმერლის ჯარები—მობრძანდით! მე და შენაც იქ დავიხვდებით. შენ ნახავ, როგორც მოგიმართავს ღმერთი ხელს ამოდენა ქვეყნის შეწუხებასა და მეფის ორგულობაში. გიჩვენებ, რომ მე ვარ ნუგზარის შვილი და ჩვენი შემუსვრა ისეთი ადვილი არ არის, როგორც შენა გგონია.

მოურავი. კიდეც იმიტომ არ მინდა შენი მტრობა, რომ შენი შემუსვრა არ მეადვილება.... მე ვიცი, ზურაბ, რომ თეიმურაზის ფარხმალი შენა ხარ. მე ვიცი რომ ყველაზედ გასაფრთხილებელი ხარ შენ და კიდეც იმიტომ გეხვეწები, რომ ნუ სდგები ქვეყნის საცოდაობაში. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თეიმურაზ, რომელმაც არ დაინდო ქაიხოსრო სარდალი, არ დაინდო ადამ აბელიშვილი, არ დაინდო გიორგი სააკაძე,—ეს თეიმურაზი არ დაინდობს ზურაბ არაგვის ერისთავის-შვილსაც. გახსოვდეს ეს სიტყვები და დაინიშნე ეს დღე, რომ შენ და თეიმურაზს მტრობა არ აგცდებათ და, რაც უფრო ბევრს სიკეთეს უზამ, იმდენი უფრო შურს აიღებს და თავისებურად ღალატით დაჰღვრის შენს სისხლს.

ზურაბ. ჰოი, გიორგივ! გეყო მაგდენი ოსტატობა.... ნუ გგონია ზურაბ ისეთი უგუნური, რომ არ ესმოდეს შენი ლაპარაკი. მაგრამ კმარა, ველარ შემაცდენ შენ. თეიმურაზ მაშინ

დაჰღვრიდა ჩემს სისხლს და მე იმისას, თუ მე შენ აგყოლოდი. მაგრამ გიცან და, თუ ღმერთმა მოგვცა შენსა და იმერლებზედ გამარჯვება, მაშინ მე ვიცი ვისიც სისხლი დაიღვრება და ვისი სისხლის დაღვრაც არის საჭირო ჩვენი ქვეყნის დასამშვიდებლად. ახლა მშვიდობით! ან ზურაბ და ან შენ. (მიდის).

მოურავი. ზურაბ! მოიცადე... დაფიქრდი, ზურაბ..., ნუ აჰყოლიხარ გულის თქმას და თავმოყვარეობას... გახსოვდეს, რომ მე და შენი გადაკიდება დაჰღუპავს საქართველოს... ზურაბ, შეჰხედე შენს ღმერთს, უსმინე ქვეყნის ცრემლს.... ნუ ჰმტყუნობ ამისთანა დროს ერთხელ შენგნით სიკვდილისგან დახსნილს საქართველოს.

ზურაბ. (შემობრუნდება) ამ ხმალმა გასცეს პასუხი, ვინც თავის ქვეყანას უმტყუნოს. (იდებს ხმალზედ ხელს და გადის საჩქაროდ).

მოურავი. ღმერთო ძლიერო! რა რიგ ეცრება ხელი ყველა ჩემ დაწყობილებას. თითქო მოთილისმული და მოჯადოებული იყვეს ეს ქვეყანა... ღმერთო! ამოდენა ქვეყანაში რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს კაცი ვერავის გაანდობდეს—უბედურება მეტი რაღა იქნება.... გაცემას რაღა მოამაფიქრებდა!... ნეტა ვინ იყო ის მუხანათი, ან როგორ გაიგო ეს ჩვენი ამბები... ახლა მაგათ უფრო ბევრი ჯარები შეუყრიათ... თვით ჩემი გაზრდილი და გაწვრთილი ამ საქმისთვის, ზურაბ, დღეს ამ საქმეში ღალატობს და უდგება იმ კაცს, რომელიც მარტო თავისის მუცლისა და სიამოვნებისთვის ზრუნავს... ეს არის! ზურაბს ველარასფრით ვერ მივიზიდავ..., მე და ზურაბმა უნდა დავღვაროთ ერთმანეთის სისხლი... ახლა უნდა ყოველი ჩემი ძალა და ღონე ვიხმარო, რომ ჩემი პატარას მსგავსი ზურაბის სიცოცხლე შევმუსრო, რომ გვეშველოს რამე... ღმერთო! რა მდგომარეობა

ჩემი მდგომარეობა უნდა გამარჯვებას ვცდილობდე, რომ ზურაბ დავღუპო, და უნდა ჩემივე დამარცხება მენატრებოდეს გულში, რომ ზურაბ სისხლში შემუსვრილი არა ვნახო... ზურაბ! ზურაბ! რომ იცოდე, რა რიგ უკვდება გიორგის გული შენი დაშორებით და შენი გამეტებით..: მადლობა შენს განგებას, ღმერთო! ალბად კიდევ ბევრი მსხვერპლი გინდა ჩემგნით და ქვეყნისგანაც, რომ მიეცეს შენს ერს კეთილი ბოლო..., ახლაა ჩვენი განჩინება: თუ ეს ომი მოვიგეთ, იმერეთი და ქართლი შეერთდება. მასუკან კახეთის შეერთებაც ისეთი ძნელი აღარ იქნება: თეიმურაზ, რაკი ერთი დამარცხდება, თავისებურად, საითმე გაჭკურცხლავს და გაუშვებს თავის სამეფოს ღვთის ამარობაზედ... მაშინ სამი სამეფო შეერთებული იქნება... ღმერთო! რა მოუთმენლად მიცემს გული... ასე მგონია ერთი ათასი კაცის სიცოცხლე კიდევა დევს, მეთქი იმ დრომდინ... აქამდინ უფრო მოთმინებით ველოდი ამ საქმეს... ახლა ყოვული მოთმინება მეკარგება.

იასე ქსნის ერისთავი. (შემოდის). ზურაბ იყო აქა?

მოურავი. დიახ.

იასე ერისთავი. და კიდევ ცოცხალი გაუშვი ის აქედამ?! მიკვირს, გიორგი, შანგან ეგ ამბები: მტერი ხელთ გყავდეს და ხელიდამ გაუშვა! შემუსრე მტერი, რითიც შეგეძლოს და როგორც მოასწრო! ზურაბი კიდევ დასაზოგი-დაა ჩვენგან... სულ ეგ არის, რაც ახლაც უმაგისოდ თეიმურაზ ვერასოდეს ვერ იკადრებდა.

ქაიხოსრო მუხრ. (შემოდის). აბა, გიორგი! ყველანი მზად არიან. მრავალნი გადაგვიდგნენ და გავიდნენ ზურაბისაკენ, მრავალნიც ყოყმანში არიან. უნდა დავაჩქაროთ მისვლა, ყველა ჯარების წინამძღოლნი აქ არიან და უბრძანე გამგზავრება.

მოურავი. (ჩაფიქრდება).

ქაიხოსრო. რატომ აგრე დაფიქრებული ხარ, გიორგი? ვინ შენ და ვინ ეგ ამბები ამისთანა დროს?

მოურავი. ოხ, ქაიხოსრო! კვლავ რომ გვიომნია ის ხსვა ყოფილა; და დღეს ჩვენ მივდივართ ქართველის ჯარებით ქართველისავე სისხლის დასაღვრელად... ქართველი ქართველის სისხლსა ჰღვრის, ქართველი ქართველზედ აღჭურვილა ასე გამეტებით და ახლა თვით ქართველებისგანვე უნდა გადაწყდეს ბედი და უბედობა საქართველოსი. ერთს მხარეს სდგას მოურავი, და მეორეს მხარეს ზურაბ, რომელნიც ერთხელა, როდესღაც, საქართველოს გულისთვის ერთად თავ-განწირულნი ებრძოდნენ საქართველოს მტერს და დღეს—ერთმანეთს... იმავე საქართველოსათვის.

(დგება და მიდის. ქაიხოსროც თან გასდევს.)

## სცენა 5.

სცენა სწარმოებს ბაზალეთის ტბასთან, სადაც სდგას თეიმურაზ მეფისა და მოურავის ჯარები. შეყრილობაა თეიმურაზის ერთგულთ დიდებულთა.

მეფე თეიმურაზი. აი, მჯერს რომ არა სჯეროდა მოურავისაგან ჩემი გადადგომა! ჰხედავთ, დღეს ხომრადაც მოგვდგომია ჩვენ, ქართლ-კახეთის პატრონს, ერთი უბრალო აზნაური, სააკაძე!.. ნუ თუ ქართლ-კახეთის დიდებულნი იზამენ და იკადრებენ ამას, რომ თავისი ცოცხალი თავით დღეს სააკაძეს დაანარჩუნონ თავის მეფეზედ გამარჯვება და შემდგომ ამეფონ ერთი კუდა აზნაური?! ნუ გჯერათ, რომ მოურავი

მართლა იმერთა ბატონს აძლევდეს ქართლს!) მოურავი ეძებს დროს და მერე იმერთა მეფესაც ისე უმტყუნებს, როგორც მე და როგორც წამებულს ლუარსაბს, მინამ თითონ არ იგდებს ხელთ მეფობას. ხედავთ, ეხლაც როგორი მეფესავით უყურებს თითქმის მთელი ქართლი. მდაბიო ხალხი იქით იყვეს, რომელსაც ის ასე ჰხიბლავს: მუხრანის ბატონი, ქსნის ერისთავი, ციციშვილი, ამილახვარი და სხვა დიდებულნი მოურავს თითქმის მეფედ ჰხადიან და ყოველს იმის ბრძანებას ისე ასრულებენ, როგორც ყმანი... ნუ მიუშვებთ, საქართველოს დიდებულნო, რომ ქვეყნის სამარცხვინოდ სააკაძე გაგვამეფოთ ბაგრატიონთ ტახტზედ. ან მთლად დავიხოცნეთ აქ, და შევწიროთ ჩვენს მეფეს სული, ან გავიმარჯვოთ მაგ ქვეყნის ამრევზედ, რომელიც მეფეთა და დიდებულთ არა რად აგდებს და აშინებს მათს დამხობას.

ყველანი. სიკვდილი ან გამარჯვება და შემუსვრა მოურავისა,—ეხლა ჩვენს გულში სხვა აღარა არის რა.

ზურაბ ერისთავი. სწორედ, ან უნდა დავიხოცნეთ, ან გავიმარჯვოთ მოურავზედ! თუ გვინდა, რომ მოურავის წინააღმდეგთ ვიბოგინოთ საქართველოში. თუ აქამდის მოურავი ჰზოგავდა თავის მტერთ და არას აგნებდა, მაგის მიზეზი ის იყო, რომ უნდა თვით თავისი მტერნი დაეახლოვებინა, რომ უფრო უწინააღმდეგოდ დაეპყრო საქართველო და ბოლოს მეფის გვირგვინი ეგდო ხელთ. ახლა, რაკი ერთხელ და ორჯერ სცადა, რომ მტრები მტრობას არ იშლიან, იცოდეთ, რომ გვარით და ნათესავით სულ ამოჰგვის ყველა თავის მტერსა. ამასთან, ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ მოურავზედ გამარჯვებას არ შეგვიძლიან, იმიტომ, რომ გლეხკაცობისთვის ერთი იმისი სახელი მეხსა და ჭექაზედ საზარელია. ამისგამო თვითონ ჩვენ, თავადობამ უნდა მოვკლათ როგორმე [illegible], ჩირ-

და-პირ იყვეს თუ როგორც მოვიხერხოთ.

ედიშერ ჩოლოყაშვილი. პირველი მე მივდივარ მოურავზედ და, ღვთით, ყველამ იცით, რომ ღონე და სიმარჯვეც შემწევს.

მრავალი ხმა. მეც! მეც!! მეც!!!

ზურაბ ერისთავი. ეხლავე უნდა დავაწყოთ მოურავის სიკვდილი. აი რა უნდა ვქნათ. ის, რა წამს გამოაპობს ჩვენს რაზმებს. მაშინვე მეფეს მიჰმართავს. უნდა მეფეს გაახლოთ ერთი ორი სულ კარგი თავად-აზნაური-შვილი. ისინიც უნდა იყვნენ მიმალულნი მარჯვე ადგილას და როდესაც მეფეს მოურავი შემოუტევს, მაშინ უცებ უნდა შემოერტყან და მოჰკლან.

თეიმურაზ. სწორედ, ეგ კარგი სიტყვა სთქვი,—ზურაბ. აბა, მაშ, ზურაბ, შენ და ედიშერმა ამოირჩიეთ ერთი ორიოდე კარგი თავად-აზნაური. ედიშერ, შენც ჩემთან იქნები. ზურაბ, შენ კი უნდა დუშეთის მხრივ იყვე, რომ იმ მხრიდამ მოახდინო რაზმების დაწყობა და ომის გაძღოლა.

(ისმის შორიდამ საომარი საკრავების ხმა. რამდენიმე გზის მოდარაჯენი შემოცვივიან.

მოდარაჯენი. შეიძრა მოურავის ჯარები და მოდიან. ჩვენი მოწინავე ჯარები კიდეც გამოაქციეს.

ზურაბ. აბა ჩქარა გაამზადეთ ყველამ რაზმები და დაწყობით მიეცით მტერს, რომ ადვილად ვერ შესძლონ გაპობა. მეფევ, თქვენ წაბრძანდით და ეხლავე გაახლებთ იმ ორს კაცს; ედიშერი გიჩვენებს, სადაც უნდა დაიმალნენ ის ორი კაცი.

თეიმურაზ. აბა, თქვენი ჭირიმეთ, თავადებო, თქვენზეა ეხლა ჩემი თავი და ჩემი ცოლ-შვილის ბედი დამოკიდებული... ღმერთო აბრაამისა, ისაკისა და იაკობისო, სნეულთა მკურნალო, ტყვეთა მხსნელო და გლახაკთა შემწყნარებელო, ნუ დამიტევებ მონასა შენსა, მომეც სიმართლისამებრ მოსაგებელი.

(იჩოქებს და განიპყრობს ხელებს. ყველანი იჩოქებენ). ღმერთო და ყველა ჩვენო მამაპაპათა სალოცავნო და სავედრებელნო! თქვენი არს ძალა და დიდება და თქვენთვის ჩამიბარებია სული ჩემი. (დგება და გადის, ყველანი გასდევენ.)

(სცენაზედ შემოდის მოწინავე ჯარების წინამძღოლი საამ კობიაშვილი, თავში დაჭრილი და შემოსდევს იმას ჯარები. ჯარები გარბიან.)

საამ კობიაშვილი. მოდი და შენ ქნდე ამ წუთის სოფელს! ერთხელ, როდესაც ნუგზარის ბრძანებით მოურავის გულისათვის სარზიდამ ბაზალეთს, ბატონის სახლამდინ სულ ხმალ ამოღებული ვომობდი მეფის ჯარებთან და ვინ იცის რამდენი სისხლი დაიღვარა იმის გულისთვის ჩემი ძარღვებიდამ; დღეს კი ნუგზარის შვილის ბრძანებით ვეომები იმავე მოურავს და ნაბრძანები მაქვს, რომ უეჭველად მოვკლა... მე და პაპუნა ჩივაძე ერთად ვიბრძოდით მოურავისთვის და ნუგზარისათვის, დღეს კი ის მოურავისთვის იბრძვის, მე-ნუგზარის შვილისთვის! მკრა კოლოტი თავში და თავი გამიხეთქა. მოდი და ახლა შენ გაიგე რამე: ან მე რაზედ ვიკლავ თავსა, ან ისა. ნეტავი გამაგებინა: ვინა სტყუის ჩვენში. ეხლა რომ პაპუნამ თავი არ გამიხეთქა, ეხლა მოკვდი ფიქრსა, რომ ისიც მიჭქარავს და მეც; არც მე ვიცი, რაზედ ვიკლავ თავს და არც იმან. ძაღლს რომ მონადირე მგელს მიუსევს, ძაღლმა იცის, რომ თუ არ მიეტია მგელს, პატრონი პურს აღარ აჭმევს და ძაღლი შიმშილით მოკვდება. წაწყდეს ჩემი საყვარელი ბატონის ნუგზარის სული, თუ ჩვენი საქმეც ისე არ იყვეს. ჩვენ ერთმანეთს ვხოცავთ, რომ პატრონმა პური გვაჭამოსო, და ერთი ლუკმა პურისათვის, რაცა გვიბრძანებენ, ჩვენ აღარ ვარჩევთ — ვინ სტყუის, და ვინ მართალია. ჰაი გიდი, ძაღლო წუთის სოფელო! ზოგს კაცს ძაღლის ხელობას აძლევ და ზოგს კი მონადირისას.

ღვთის რისხვა მქონდეს, თუ ზურაბ მე მჯობდეს. მაგრამ მე ძაღლი ვარ და ის მონადირე. (ისმის ჯარების ხმა) გაპეცალოთ, თორემ ეს ერთი ჭკუა ხომ მასწავლეს, მერე სულ გამაბრძენენებენ და ვინ იცის, მეც ერისთავობა მოვინდომო, ან მეფობა მოურავისავით... მაგრამ გამიწყრეს ღომისის მაღლი, თუ მოურავი ათასი არ იქნებოდა და მეფე ერთიც არა... მაგრამ ძაღლ-მონადიროები ღმერთს ძალიანი დაუწყსებია—დაილოცა იმის სამართალი. (გადის საჩქაროდ.)

(სცენაზედ შემოდიან მოურავი, დავით გოგორიშვილი, ქაიხოსრო მუხრან ბატონი და სხვა მრავალნი თავად-აზნაურნი.)

დავით გიორგის შვილი. ბატონო, გიორგი! სწორედ რომ შენ არ უნდა შემოსვიდე ჯერ ომში. თორემ, როგორც წელან იყო ლაპარაკი, პირველად შენს მოკვლას ეცდებიან. მე მიბოძე შენი ცხენი, ჯაჭვ-ჩაჩქანი და მუზარადი. მაშინ მე ვეგონები თქვენი თავი და, გარწმუნებთ, რომ არც შევარცხვენთ. იმედი მაქვს, რომ ვერ მომკლავენ და თუ მომკლეს, ისევ გოგორიშვილი მოჰკლან მოურავის სიკვდილს და ქვეყნის დაღუპვას—ისა სჯობიან. თუ მოურავი არ იქნება ცოცხალი, საქართველო დაიღუპება, და მე რომ მოვკვდე—მარტო ჩემი ცოლშვილი დამისაკლისებს. მაგრამ, იმედი მაქვს, მოურავი ჩემს ცოლშვილსაც უნუგეშოდ არ გაუშვებს.

ქაიხოსრო მუხრ. ნუ გეშინიან, დავით, არც შენ მოგაკვლევინებთ, თუ მშვიდობაა. უბოძე მოურავო შენი საომარი საცმელი და ცხენი, და შენ მაშინ გამოჩნდი, როცა საქმე გაჭირდეს.

მოურავი. აბა, მაშ ჩაიცვი დავით და ფრთხილად იყავ, რომ უბრალოდ თავი არ წაახდენინო.

პაპუნა ჩივაძე. (შემოდის). ძალიან მაგრა აქვს მეფესა

და ზურაბს რაზმი გაწყობილი. ზოგიერთ ადგილებზედ ჩვენ-სა და იმათ ჯარებს შეტაკება მოუხდათ და ვერა გავაწყეთ-რა. დუშეთის მხარეს ძალიან გაცხარებული ბრძოლაა. ისმის და ბაადურ ციციშვილმა ეს ორჯერ შეუტიეს ზურაბსა, მაგრამ ორივე ჯერ ზურაბმა გამოაბრუნა უკან და ახლა თითონ ზუ-რაბი უპირებს დაცემას. ისე თხოულობს, რომ ეგება მუხრა-ნელობა მოგვაშველოთო. პირქარი და წვიმა უფრო გვიჭირებს საქმესა. ეს ოხერი აგერ სამი დღეა აკი არ შეწყდა ეს საში-ნელი წვიმა. მემრე, თითქო განგებ, საითაც წავალთ, სულ თვალებსა და პირში გვიშხაპუნებს, თვალთაგან ვეღარას ვარჩევთ.

მოურავი. აბა, ქაიხოსრო, მიაშველე იქ ცოტა შენი ჯა-რები და თქვენც მალე შეუტიეთ თეიმურაზის ჯარს და გახე-ლობას, თორემ, რაკი ავიშალენით და ვიგვიანებით—ეგ იმათ წააქეზებს. დავით, აგერ მოაქვთ ჩემი საცმელი და ცხენიც მოჰყავთ. ახლა შენ იცი, როგორც იმოურავებ. მე ამ სერიდამ გიყურებთ და რა წამს ერთი ბეწო გასჭირდეს, მაშინვე მა-ცნობეთ. (გადიან ყველანი. რჩება მარტო მოურავი, ელის დია-სამიძე და რამდენიმე მსახური. მოურავი ჩაფიქრდება). რა დი-დი მოწყალება იქნება ღვთისაგან, რომ მე აღარ მომინდეს ამ ბრძოლაში ჩასვლა... ამოდენა საქართველო შუაზედ გაყოფილა და ერთი ერთმანეთს ვულეტავთ.... თუ ჩემს გამზრახვას კეთილი ბოლო არა აქვს, ღმერთო, რატომ აქამდინ არ მომკალ და რათ მიჩვენე ამდენი ქვეყნისაც და ჩემი უბედურებაცა! დაა, შვი-ლი, დედა, ძმა, გაზრდილი, რამდენი გულით საყვარელი მეგო-ბარი და ნათესავი შევსწირე ამ საქმეს; დღეს ამის გულისთვის მთელი ჩემი ქვეყანა ერთმანეთისთვის შემეხლია? და, თუ არ არის, ღმერთო, შენი ნება საქართველოს ცხოვრებისა, რათ მიჩვენებ ამ დღეებს, და რად ჩამიმარხე გულში ეს დაუცხ-

რომელი აზრები, რომელნიც არც დღე და არც ღამე არ მაძლევენ მოსვენებას; რატომ არ მომეც ისეთი გული, როგორც სხვებს, რომ ჩემი ქვეყნის უბედურებისათვის მეც იმათის თვალით მეყურებინა და მეც იმათსავით განსვენებით მეცხოვრნა, რომ არ გავმხდარიყავ მიზეზი ტყუილად ამოდენა არევისა და ქართველებისაგან ერთიერთმანეთის სისხლის დაღვრისა. ღმერთო! რატომ არ მომეც იმდენიც არის მხედველობა, რომ მცირეც არის მცოდნოდა შენი განგებულება, რომ თუ ჩემს განძრახვებს არ ეწერათ კეთილი ბოლო, არც ერთი ქართველის სისხლი არ დამეღვარა და შესრულებულიყო უსისხლოდ ყოველი შენი ნება... დღეს მივნდობივარ ალალა-ბედს, ჩემს გამბედაობას და მეცადინეობას, და სათუვო საქმეს ვწირავ ამოდენა სისხლს. (ჩაფიქრდება). რატომ აქამდის არა მქონდა იჭვი ჩემი აზრების შესრულებაზედ, როდესაც უარესს დღეში ვყოფილვარ მეცა და ჩემი სიცოცხლეც?! იქნება ღმერთი არ მიწონებს, რომ ამოდენა ქრისტიანეთა სისხლს უპირებ დაღვრას?... ნუ თუ მე ამ სისხლს ვღვრი მართლა ამაოდ და არა ჰღირს ჩემი აზრების შესრულება ამოდენა ქართველების სისხლად?!... ნუ თუ ვრცელი და დაუსრულებელი მომავალის ბედნიერება არა ჰღირს დღევანდელი დღის მოკლე უბედურებად, თუნდ რომ ამ უბედურებამ შთანთქას ნახევარზედ მეტი ქართველობა! ჩვენ არც მომავალს დროში, არც დღეს ბედნიერება არ მოგველის, თუ ჩემი აზრები არ შესრულდა.... ღმერთი არ უნდა იყვეს ამისი წინააღმდეგი, თუ უნდა ჩვენი ხეირი... სისხლმა და ჩვენმა გამარჯვებამ უნდა გაჰბანოს დღეს საქართველო ძველი ცოდოებისაგან და განაახლოს ჩვენი ცხოვრება... განვედით ჩემგან ცუდნო გულის თქმანო და იჭვნეულებანო... ან გამარჯვება და ან მთლად ჩვენიცა და იმათიც გაულეტა... სულ ერთია, დღეს მოვკვდებით თუ ხვალ: დიდს ხანს წვალებით სიკვდილს—ერთს დღეს

მოკვდეს სნეული, ისა სჯობიან.

ელია დიასამიძე. (რომელიც სხვა მხრით გაჭიურებდა ბრძოლას სერიდამ). ბატონო, ბატონო! მალიან გაცხარდა ომი, რომ მეტი აღარ იქნება. მთლად კახელობა ჩამოერია ომში და ამოდენა მეომარი სულ ერთს ადგილს შეიჯგუფა და არის ერთი საშინელი ტრიალი... არიქა! წამოიღეს ჩვენი ჯარები... იმერლობა გამოიქცა... გამოიქცნენ ყველანი... მივეშველნეთ!...

მოურავი. ჩქარა ჩემთვის ცხენი... უთუოდ მოკლეს გოგირიშვილი. (გადის საჩქაროდ მოურავი და გასდევენ ყველანი).

(ქართველობა და იმერლობა შემოსცვივიან სცენაზედ და მოჰყავთ თავში დაჭრილი თომა მაჭავარიანი, იმერლების სარდალი. ამათ თან მოელალებიან კახელობა და სხვა თეიმურაზის ჯარები და ცდილობენ მაჭავარიანის შეპყრობას. შემოდის დავით გოგორიშვილი მოურავის ცხენით და სამხედრო საცმელით და აგერებს მაჭავარიანს ჯარებს. ამ დროს შემოდიან მეფე თეიმურაზ, ედიშერ ჩოლაყაშვილი და სხვა მრავალი თავადობა საშინელის ყიჟინით.)

თეიმურაზ. არიქა, ჩემო თავადებო! აი ჩვენი სისხლის მსმელი მოურავი. ჩემი ნახევარი სამეფო მიმიცია, ვინც მე მაგის თავს მიშოვნის. (თითონ დგება ჯარებში.)

ედიშერ ჩოლაყაშვილი. დადექ, მოურავო, დღეს არის ჩვენი განჩინება...

დავით გოგორიშვილი. აქ გახლავართ!... დადექით კახლებო!... არიქა, ჩემო ქართველობავ!... ღმერთო და ჩვენო სიმართლევ!... (შეუტევს თეიმურაზს და იმის მხლებლებს. თეიმურაზ იწევს კიდევ უკან. ყველანი იხევენ უკან. გოგირიშვილი გასდევს. აქ უცებ ერთი ყრუ ადგილიდამ გამოცვივიან მრავალი თავად-აზნაურობა და შემოერტყმიან გოგირიშვილს. ის

იბრძვის ცხარედ.)

მეფე თეიმურაზ. არიქა, ბატონებო!... მინამ მოუშველელებოდნენ. (ამ დროს გოგორიშვილი დაეცემა დაჭრილი რამდენიმე ადგილას და დაჩოქილი იბრძვის) ეგ არის... აღარა შეუძლიან რა!...

ედიშერ ჩოლაყაშვილი. დაგვნებდი, მოურავო, თორემ ველარ წაგვიხვალ ცოცხალი.

მეფე თეიმურაზ. მოჭკალით, მოჭკალით ეგ სისხლით გაუმაძღარი. (გოგირიშვილი იბრძვის და თან-და-თან სუსტდება).

ედიშერ. დაგვნებდი მოურავო.

გოგორიშვილი. ისე არ დამცირდება ჯერ მოურავი. (ამ დროს დაიჭრება კიდევ და აპირებს წაქცევას).

მეფე. მაგის სიცოცხლე არ იქნება... ეგ უნდა მოკვდეს... დადექ, მოურავო, თუ რამე შეგიძლიან. (შემოუტევს. ჭკრავს კოლოტს თავში და გოგირიშვილი დაეცემა უსულოდ.) მოკვდი ეგრე, მეფეთა და ხალხთა ამრევო!!... არიქა, ახლა ჩვენია გამარჯვებას!..

მრავალნი თავადთაგანნი. (ყვირიან). მოკვდა, მოკვდა მოურავი! ბ. თეიმურაზ მეფეს გაუმარჯოს!...

ჯარები. ბატონ თეიმურაზს გაუმარჯოს!!...

მრავალი თავადობა. აბა ახლა დადგნენ აი მოურავის ჯარები...

მეფე. გამუსრეთ, გამუსრეთ ყველანი, რომ სინსილა აღარ გაუშვათ მოურავის ჯარებისა. (ხმალ გაწვდილი გადაერევა). მომყევით აქ... გამარჯვება ჩვენია. (მოურავის ჯარები გარბიან არევით. კახელობა შეიპყრობს თომა მაჭავარიანს). წაიყვანეთ ეგ მაჭავარიანი, მოსჭერით ცხვირი და ყურები და ისე გაუგზავნეთ იმერთა მეფეს... დაე სცნას, ვინც გაიხადა

იმან მტრად. (თეიმურაზ გასდევს გაქცეულს ჯარებს თავისი ჯარებით. პატარა ხანს უკან სცენას გარედ ისმის საშინელი არეულობა. თეიმურაზ თავისის მხლებლებით შემობრუნდება ისევ უკან შემკრთალი.) არიქა!... უშველეთ!... მოურავი!... გაცოცხლდა... ცოცხალი ყოფილა... არიქა კახელებო, არიქა თავადებო თქვენი ჭირიმეთ...

ედიშერ ჩოლაყაშვილი. ნუ გეშინიან, ბატონო!. შენ შენის მხლებლებით ისევ აქ დადექ და სხვა, ამორჩეული თავადობა, ისევ თავის ადგილას მიიმალნენ. მე ჩამოვიტყუებ იმას აქამდინ და აქ უცებად დავესხათ... მინამ შენ გაამხნევე ჯარები... კიდევ ღმერთია მოწყალე... არიქა, კახელნო და ქართლელნო, მომყევით... მომყევით და გიჩვენებთ, რომ მოურავი არ არის ისეთი საშიშარი, როგორც ჰგონიათ... (გადაერევა ხმალ ამოღებული და მისდევენ მრავალი ჯარები. სცენას გარედ კიდევ ისმის ბრძოლის ხმა და ყიჟინა, რომელნიც თან-და-თან ახლოვდებიან. ოცი თავადიშვილი იმალება ყრუ ადგილას. მებრძოლი ჯარი ხან შემოდის და ხან გადის ცარედ.)

რამდენიმე მეფის მხლებელი თავადობა. (გაჰყურებენ მებრძოლთა.) ჰოუ! ვაპაპაპაპა!... ეჰეიიჰა!... წამოიღეს... ოჰოუ!... მოურავი! მოურავი!... სულ მკვდრების სროვა შეაყენა... უბრალო ტანისამოსით არის... ეჰეი, შენი ჭირიმე, ედიშერ! რა კაცია და... შეაყენა მოურავი!... ჰეჰეი!... წამოიღო მოურავმა... წამოიღო, წამოიღო!...

თეიმურაზ. გაამხნევეთ, თქვენი ჭირიმეთ, გაამხნევეთ ჯარები... უბრძანეთ რომ ჩვენ მახლობლად ბევრი ჯარი იდგეს. არ დაიძრათ თქვენც... რა წამ მოვიდეს, უცებ, უცებ მოკალით....

რამდენიმე თავადი. ჰეი! ვაპაპაპაპაპა!... არია, წამოიღო მოურავმა... მორბიან...

თეიმურაზ. მე წავალ აქედამ... კიდევ გავამხნევებ ჯარებს... წავალ ზურაბთან... ჯარებს მოვაშველებთ... თორემ მოურავი სულ გაგვმუსრავს... ჰხედავთ, რას სჩადის... ვაი თუ ეგეც სხვა მოურავი იყვეს...

ერთი თავადთაგანი. როგორ თუ ამისთანა დროს წახვიდე!... დადექ... სადაც ამოდენა ქვეყანა იყვეს—იქ შენც იყავ...

რამდენიმე ჯარების წინამძღომელნი. მიგვიძეხ, შენ მიგვიძეხ მეფევ წინა, თორემ გაგვიტყდა ჯარები..

თეიმურაზ. არიქა, თქვენი ჭირიმეთ... რჯულისა და ქრისტიანობისათვის... მიდით; ნუ გეშინიანთ..

რამდენიმე თავადი. აგერ ზურაბიც მოდის ჯარებით... ახლა ფიქრი აღარ არის... ბევრი ჯარი მოჰყავს ზურაბს... მოვიდა მოურავიც... სულ წინ გამოირეკა ჯარები...

თეიმურაზ. აბა კარგა მიიმალენით... უცებ... უცებ... მაშინვე მოჰკალით. (თითონაც ჩაიკრიფება მხლებლებში).

ედიშერ. ჩოლოყაშვილი (შემოდის ბრძოლით). მოდი, მოდი, მოურავო, ეს მე და ეს—შენ...

მოურავი (ელალება ედიშერს და იმის ჯარებს). დასდექ, დასდექ, ედიშერ!... (დაიჭექებს საშინლად, გაიელვებს და წამოუშენს წვიმა მოურავის მხარეს.)

ედიშერ. მოდი! ახლაა შენი ბიჭობა. (ანიშნებს დამალულებს). არიქა, თქვენი ჭირიმეთ, კახელებო!... ვეღარ წაგვივა მოურავი. (დამალულნი უცებ გამოდიან თავის ადგილებიდან და ერტყმიან მოურავს გარშემო).

თეიმრაზ. მოჰკალით! მოჰკალით!.. უცებ, უცებ...

მოურავი. ოჰ, თეიმურაზ, შენა!?... სხვებს რათ უბრძანებ, შენც კაი ვაჟკაცი ხარ... (მიიწევს თეიმურაზისაკენ. რამდენიმე თავადობა ელობებიან. მოურავი გადმოჰყრის იმათ

ცხენებიდამ და წამოსწვდება თეიმურაზს. თეიმურაზ და მოურავი შეიბრძვიან. მოურავი ჰკრავს კოლოტს და გადმოაგდებს ცხენიდამ).

ზურაბ ერისთავი. (შემოდის უცებ ჯარებით). აბა, გიორგი მოურავო, დღეს არის მე და შენი განჩინება. (შეუტევს მოურავს ხმლით. მოურავი აუკრავს ხმალს და აიცდენს. ჰკრავს კოლოტს და დასცემს. მოურავს ელალებიან ედიშერ ჩოლაყაშვილი და მრავალი თავად-აზნაურობა, რომელნიც გამოდიან სამალავიდამ).

ედიშერ ჩოლაყაშვილი. აბა ახლა მე და შენცა ვცადოთ გიორგი ერთმანერთი. (შეუტევს ხმლით. მოურავი აუკრავს ამასაც ხმალს, ჰკრავს კოლოტს და დასცემს. ედიშერ წამოხტება სასწრაფოდ.) ფიქრი არ არის, აქვე გახლავართ. (წამოავლებს ხელიდამ გავარდნილს ხმალს და შეუტევს. ზურაბ და მოურავი შეხელდახელდებიან. ამ დროს ედიშერ და სხვა რამდენიმე თავადობა ჰკრავენ მოურავს ხმლებს. მოურავი წაიჩოქებს)

მოურავი. (წამოხტება სასწრაფოდ.) აგრე კი არ უნდა!. (ჰკრავს კოლოტს ედიშერს, დასცემს და გადაივლის ზედ, ჰკრავს კოლოტს ზურაბს და დასცემს. ამ დროს სხვა თავადები წაუშენენ ხმლებს და სჭრიან მოურავს ფეხში დახელში. მოურავი იბრძვის ცალი ხელით. ამ დროს ჩამოეშველებიან მოურავს რამდენიმე თავისი მხლებლები. აგრეთვე წამოესევიან ზურაბის ჯარებიც. მოხდება არეულობა. აქ მოჰხვდება მოურავს გულში ისარი და უგონოთ დაეშვება ელია დიასამიძისა და პაპუნა ვაშაყაშვილის ხელზედ. კიდევ იჭექებს საშინლად ცა, ელამს და სცემს მოურავის ჯარებს პირქარი. მოურავის ჯარი გარბის. დიასამიძე და ვაშაყაშვილი გაიტაცებენ უგონო მოურავს.)

**ნოდარ ჯორჯაძე.** არიქა, კახელობავ! მოკვდა მოურავი! ერთიც კიდევ და გათავდა... გამარჯვება ჩვენია...

**ზურაბ ერისთავი.** (ეყრდნობა თავის ორს მხლებელს.) არიქა, ჩემო არაგველებო!.. მოიგონეთ მამიჩემის ნუგზარის დრო... სააკაძისაგან როგორ უნდა ვჭამოთ სირცხვილი... (მიუძღვება ჯარებს.) მოიყვანეთ ტახტრევანით დაკოდილი მეფე, როგორც იყვეს... ახლა მოურავი მკვდარია... იმის ჯარებს ერთი შეტევის მეტი აღარა უნდათ რა... მეფის ნახვა ჩვენს ჯარებს გაამხნევებს. (შემოჰყავთ მეფე და უდებენ ტახტრევანზედ.)

**ნოდარ ჯორჯაძე.** ბატონს მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს... მოკვდა, ბატონო, შენი სისხლის მსმელი... მიუძეხ ჯარებს ეგრე ტახტრევანით... მოურავს ახლა ვნება აღარა შეუძლიან რა...

**თეიმურაზ.** წამიყვანეთ... მომყევით... გამუსრეთ და დაატუვევეთ... მკვდარი მოურავი არ დაანებოთ... შეიპყარით. (მიაქვთ მეფე წინ. ჯარები მისდევენ.)

**ზურაბ ერისთავი.** მომყევით აბა, არაგველებო... მიჰყევით და სულ ჟლიტეთ... ბატონს მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს!... (იღებს ხმალს და მიუძღვის ჯარებსა).

**ჯარები.** (გასდევენ ზურაბს). ბატონს მეფეს გაუმარჯოს!!.

**არაგველები.** ბატონს ზურაბს გაუმარჯოს!!.

**კახელები.** კახელობას გაუმარჯოს!!.

## სურათი III.

## სცენა VI.

სცენა წარმოებს აწყურის არემარეზედ. მოურავი არის მარტო. დგას ორს ყავარჯენზედ დაყრდნობილი და ფიქრით გაჰყურებს ქართლის მხარეს.

მოურავი. ეგ არის—ჩვენ დამარცხებულნი გავრბივართ იმ ქვეყნიდამ, რომლისათვისაც ასე თავგაწირულნი იმავ სიყრმითვე არ ვზოგავდით არავითარს დასათმობს... ჩვენ უნდა დავიღუპნეთ... ნუთუ მართლა უნდა დავიღუპნეთ?!.. საშველი აღარსად არის?! ვითომ მართლა აღარ არის?!. დავიჯერო მეტი ღონისძიება აღარ მოიპოვება იმის გარდა, რაც აქამდის მიხმარია საქართველოს შველისათვის!?..არა! ღონისძიება არ დაილევა, თუ კაცი მოინდომებს...და, თუ მე ამ წყლულებასა და დაჭრილობაებს გადავრჩი, ჯერ იმედი არ გადამიწყვეტია. მე ვგრძნობ ჩემს თავში კიდევ ძალას, და სადაც ძალა არის, იქ ღონისძიებაც არ დაილევა. ღმერთი სულგრძელია... ალბათ თხოულობს ჩვენგან მოთმინებას, რომ უფრო მკვიდრი ბოლო მისცეს ჩვენს დაწყობილებას... ოღონდ ამ დაჭრილობას გადურჩე...

გიორგი ქავთარაძე. (შემოდის). რას ფიქრობ, გიორგი?... ნუ დაუვარდები თავს... კაცი ის არის, ვინც უბედურებაში არ დაჰკარგას სიმხნევეს!.. რომ ღვთის ბრძანებაც, უნდა თვით ღვთის ბრძანებას გადუდგე და შეუნახო შენი თავი საქართველოს...

მოურავი. რა გაეწყობა: უნდა მოვითმინოთ. ეხლა მაგ ფიქრში ვიყავი, და კარგი რომ ღმერთმა შენი თავი მაინც შემარჩინა იმავ სიყრმით სიბერემდის. ჩვენი მისამართი ეხლა ხონთქრის მეტი აღარავინ არის. უნდა შენ გასწიო დღესვე და სულ დღე და ამ იარო. ფაშისგან ფირმანს მიიღებ...

მიდი ხონთქართან. იმასთან, როგორც შენგან ვიცოდე, უნდა ეცადო, რომ პირის პირ მინახვინოს და ეს ამბავი უნდა მაცნობო რაც შეიძლებოდეს მალე. მინამ მე მოგიცდი ჩემის ქართველობით არზრუმში.

ქავთარაძე. ჩემს თავს იყვეს. მაშ მე ეხლავე გავსწევ ახალციხისაკენ, რომ ფაშა ვნახო და ფირმანი მივიღო, მშვიდობით. (ეკოცნიან ერთმანერთს). მოვკვდეთ, თუ დავიხოცებით ქვეყნის სამსახურში... (უჩვენებს ქართლისკენ). შეხედე ამ ხალხს... ამათ თავისი შესაფერი პატრონი და ცხოვრებაც ეკადრებათ. (გადის).

მოურავი (მარტო). ნეტავი არ იქნებოდა, რომ შენსავით ბევრს სხვას ეყურებოდეს ეგ აზრი... მაშინ გიორგი მოურავი ასე შერცხვენილი, ასე გულმოკლული არ გაიდევნებოდა სამშობლოდამ... მაშინ ჩვენს ჭერს ქვეშ გვექნებოდა დამშვიდებული ცხოვრება და მოვრჩებოდით ამდენს გლოვასა და ცრემლს... მაშინ არ გვექნებოდა სხვის ცხოვრების სანატრელად.

იასე ქსნის ერისთავი. (შემოდის მკლავ ჩამოხმული). გიორგი, კიდევ უნდა გამხნევდე და როგორც იყვეს შეიკრიბო ძალა და გავმგზავრდეთ, თორემ თეიმურაზ და ზურაბ ჯარებით მოდიანო... თეიმურაზს ქაიხოსროსათვის შემოუთვლია დამნებდითო და არას გერჩითო... მაგრამ, აბა იმას საპატრონყმოდ როგორ დაუდებთ თავს...

მოურავი. ვიცოდი, თეიმურაზისგან რაც ბოლო იქნებოდა, მაგრამ ზურაბისგან მაგას არ მოველოდი. ჩემი სისხლის მსმელად დავამოყვრე მე ეგენი... მეტი გზა არ არის, უნდა გავეცალნეთ: დღეს თეიმურაზ გამარჯვებულია.

იასე. ჩემი სათქმელი სულ ის იყო, რომ, თუ გინდა გამარჯვება, ვინც გზაში გადგიდგეს, ყველა უნდა გადასთელო

შეთქი. თუ ერთხელ დამარცხებულს მტერს ბოლო არ მოუღე საუკუნოდ, ის თავის დღეში მტრობას არ დაგიშლის, რაც გინდა სიკეთე უყო, რათგან კაცი წყენას და მეტადრე მარცხს ძვირად დაივიწყებს, და ცხადივ იქნება, თუ მალვით, გავნებს რაც კი შეეძლება. მეორეც ეს, კაცის გული ისეთია, რომ თუ ერთხელ შერჩა ავკაცობა, კვლავ უარესს იზამს, შემდეგ ზნე-თაც გადაექცევა, და მერე, თუნდა კიდეც რომ უნდოდეს, ვე-ღარ მოითმენს სიავკაცეს... თუ გინდოდა, რომ ჩვენ დღეს ასე შერცხვენილნი არა ვყოფილიყავით და დევნილნი ჩვენი ქვეყნიდამ, ძალა შენს ხელთ იყო და შენი მტრების სინსილაც კი აღარ უნდა გაგეშვა ქვეყანაზედ. არა თუ ცხადი მტერი, და ისინიც კი უნდა გაგემუსრა, რომელნიც საიჭვონი იყვნენ, რომ მტრობას გაგიწევდნენ. სისხლის ღვრა არ არის კარგი, თუ კაცმა იცის, რომ უამისოდ ვნება არ მიეცემა: თუ არა, სი-სხლი პირველი წამალია.

მოურავი. ცხოვრება ბევრნაირია: კაცს ასეც მოქვლება— ისეცა, ბოლო გარემოებაზედ კიდია... და რა გარემოებას, რა ბოლო მისდევს—ის არა ვინ იცის: კაცის ხელთ მხოლოდ ცდა არის...

ქაიხოსრო მუხრ. (შემოდის) თეიმურაზ და ზურაბ აქაც აღარ გვეშვებიან და მოგვდევენ ჯარებით... ჩვენ ქართვე-ლობას უნდა შენი ნახვა.

მოურავი. მობრძანდნენ. (ქაიხოსრო გადის) საწყალი ჩემი ქართველები, რა რიგ არიან ჩემთვის თავ დადებულნი!... ვინ იცის ახლა, რა დღე მოელით მაგათ ჩემის გულისთვის შინ რომ დაბრუნდებიან, და მე კი არა მაქვს იმდენი ღონე, რომ უშველო მაგათ... მე უნდა იმდროს სათათრეთში ვიყვე და ვე-ძებდე ჩვენი პირველი დამამხობლებისაგან შეწევნას; უნდა თავ-დამცრობილი მუხლ მოდრეკით ვეხვეწებოდე ჩვენი სისხლის

მსმელებს, რომ მოგვცენ საფარველი... (შემოდიან მრავალნი ქართლის თავად — აზნაურნი). მობრძანდით, ბატონებო... დღეს მე შევიქმენ თქვენი უბედურების მიზეზი... მაგრამ იმედი მაქვს მიუტევებთ ამ უბედურობაში ჩავარდნილს მოურავს.

რამდენიმე თავადი. ბატონო გიორგი! შენთვის არც წინათ ვზოგავდით თავს და ახლაც შენი გულისათვის რაც მოგვივა, შეგვიწირავს თავები... მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ თუ მოურავი ცოცხალია, არ გაუშვებს ჩვენს ცოლშვილს და ქვეყანას უნუგეშოდ... კიდევ შენს მეტი იმედი ჩვენ არა გვაქვს, და იმისთვისაც გიახელით, რომ ჩვენ სუყველას გვსურს შენი ხლება... სადაც შენ იქნები, ჩვენც იქ უნდა დავიხოცნეთ.

მრავალნი. შენთან სიკვდილი გვირჩევნია—სხვასთან სიცოცხლეს.

მოურავი. (მოსდის თვალებზედ ცრემლი). თქვენით ჰქონია თქვენს გიორგის ყოველთვის ძალა... თქვენი იმედი ამხნევებდა ყოველთვის ჩემს დაწყლულებულს გულს.!. და ახლა, ამ განწირულს ყოფაში უნდა გამოგეთხოვოთ და გაგშორდეთ... უნდა დასთმოთ ბედისაგან დევნილი გიორგი, ვიდრე კვალად, ძალა და ღონე შეკრებილი, არ მოითხოვს თქვენს შემწეობას ქვეყნის გამოსასსნელად... მანამდინ კი ჩემი თხოვნა თქვენთან ის არის, რომ დაჰბრუნდეთ და მიჰხედოთ თქვენს დაობლებულს და უპატრონოდ გაშვებულს ცოლშვილს. მაგრამ გახსოვდეთ ყოველთვის, რომ მოურავი თქვენთვის და თქვენის სიმართლისთვის არის ამ დევნაში და კიდევ თქვენთვის დასდებს თავს... მინამ დაემორჩილებით თეიმურაზს და რომ იმისგან ვნება არა მოგეცეთ რა, მე ფაშას შეუყენებ იმას და უეჭველია შიშით მაინც სცემს პატივს... მშვიდობით. (ეხვევა და ჰკოცნის. ყველანი ჰკოცნიან მიურავს და მრავალნი

ჰკოცნიან ხმალსა და ტანისამოსზედ. მრავალნი სტირიან).

რამდენიმე თავადი. მშვიდობით. თუ ღმერთმა გვაღირსა კიდევ შენი თავი, ჩვენი თავიცა და ჩვენი ცოლშვილიც შენთვის შეგვიწირავს... ერთი შენი სახელი—და ჩვენი თავი შენი ჭირის სანაცვლოდ გაგვიხდია.

პაპუნა ვაშაყაშვილი. (შემოდის). ბატონო, მალე უშველოთ ჩვენს თავს, თორემ თეიმურაზ და ზურაბ მოგვიახლოვდნენ.

მრავალნი. მოვიდნენ, მოვიდნენ! ბარემ აქვე დავიხოცოთ ბატონ მოურავთან თავებს და აღარა ვნახავთ იმ სირცხვილს, რომ თეიმურაზ და ზურაბ გაგვიბატონდნენ.

რამდენიმე თავადი. გვიბრძანე ბატონო გიორგი, გაგვიმეხ და გიჩვენებთ, რომ კიდევ ისე არ დავმცრობილვართ, რომ იმათთან ბრძოლა არ შეგვეძლოს...

მოურავი. არა, ბატონნო! უშველეთ ახლა თქვენს თავს... ასე მცირენი, მოწყვეტილნი და დაჭრილნი იმათს დასვენებულს და წაქეზებულს მრავალ ჯარებთან ვერას ვიზამთ,—ტყვილად დავიხოცავთ თავებს... მშვიდობით, თქვენი ჭირიმეთ... შეიბრალეთ თქვენი ცოლშვილი... და როცა საჭირო იქნება, გიორგი სააკაძე თითონ დაგიძახებთ თქვენ და იმედია ასეთს სირცხვილს აღარა ვჭამთ... მშიდობით ბატონებო, მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ!..

ყველანი. (უკრავენ ერთმანეთს თავს). მშვიდობით! (გადიან ტირილით. რჩება მოურავი მარტო.)

მოურავი. (ადის სერზედ და გადაჰყურებს საქართველოს მხარეს გულ ხელ დაკრეფილი).

(სცენის გარეთ ისმის ქალის ხმით სიმღერა.)

«ვაი სოფელო რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
«ყოველიმც შენი მინდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა:

«სად წაიყვან სადაურსა, სად ალუფვერი სადით მირსა...
«მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა..»

მოურავი. იმღერე, ჩემო ასულო, ეგ საცოდავი ხმები... მამიდაშენიც შენსავით მაგ გვარს გულის-საკლავს ხმებს ჰმღეროდა... და, ვინ იცის შენც იმისავით გულის საკლავი ბოლო გიწერია... გიორგი სააკაძის ბედისაგან გასაკვირველი არა არის რა. (ამბობს ფიქრით). «მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა!..» და თუ კაცი თვით ღმერთისგან არის განწირული?!.. ასე კი არ ითქმის: «ხალხსა შენგნით გასაწირსა?!» მე სულ იმ იმედზედა ვარ, რომ ღმერთი ხალხს არ გასწირავს... ბოლოს კარგს მისცემს... მაგრამ, ნუთუ ეს ხალხის გაწირვა არ არის, რომ დღეს ამოდენა ქვეყანა ამ დაუსრულებელს უბედურებაშია?!.. ვსთქვათ ჩვენი შვილის შვილების მომავალი სწორედ კარგია... მაგრამ ჩვენ რომ წუთის სოფელი ჩავგმწარდა, ჩვენ რომ ჩვენი დღეები მწუხარებასა და ვაებაში დავალამეთ, ნუთუ ჩვენ ხალხი არა გვქვიან?:.. მაშასადამე რა მიზეზია, რომ ღმერთმა ჩვენი მომავალნიც ჩვენზედ უარესად არ განწიროს?!... ჯერ რამდენიც წინ მივდივართ, იმდენი უარესს ვხედავთ... (ჩაფიქრდება). ჩვენ გვქვიან ღვთის ერი, ჯვარის თაყვანის მცემელნი... ჩვენ ასე ვწოდებთ ჩვენს თავს... სხვებს ვეძახით ღვთისაგან შეჩვენებულთა... თურქნი, სპარსნი არიან მაჰმადიანნი... ღვთისაგან შეჩვენებულნი... ესენი გვთქამენ ჩვენ... ღმერთი არ გაუშვებს თავის ერს!!!... ჰმ!!!...

პაპუნა ვაშაყაშვილი (შემოდის). მზად გახლავთ შვიდასფერი,—თქვენ გელიან. (გადის ისევ).

მოურავი. მზად არისო!... უნდა გამოვესალმო ჩემს მიწაწყალს, ჩამს ქვეყანას, სადაც პირველად დავინახე მზე, სადაც ჩავღვარე ამოდენა სისხლი და ოფლი.

(ისმის სცენის გარედამ სიმღერა).

«არ გაგვიღიმა სოფელმა,
«ტანჯვა გვიქცია ხვედრათა,
«შავბედი გზათა დაგვიდო,
«გლოვა გაგვიდო ხიდათა...
«სამშობლოს მხარით გაგვტყორცა,
«ტყვეთ მიგვცა უცხოს ალაგსა...
«მშვიდობით, ტკბილო ქვეყანავ,
«შორით გიგზავნით სალამსა...»

მოურავი. ოჰ, ჩემო სოფიო, მაგ შენს ტკბილს ხმებში თითქო იწურება ჩემი გულის მწუხარება... ნუ თუ შენც გედება ამგვარი რამე ალი?!... იქნება შენ დაგრჩა ისეთი გულის სატრფო შენს სამშობლოში, რომელსაც შენ ვერავისთან გაამჟღავნებ და რომლისაც დაშორების სწუხარებას ჰსახავ შენს გულის მომკვლელს სიმღერის ხმებში... ღმერთო! რაზედ მიკვდება ასე გული ამ მოშორებაზედ?!... რატომ კვლავ არ უკვნესია ასე მტკივნეულად ამ ჩემს გულს?!... ასე მიკვნესოდა გული, როცა უკანასკნელად ვესალმებოდი ჩემს პაატას... ოჰ, ჩემო ტკბილო ქვეყანავ! შენ შემოგწირე ჩემი პაატა, და დეე მოვკვდე მეც შენს გზაზედ... კიდევ ვცდი ერთს ღონეს... ოოო! თუ იმედი არა მქონდეს კიდევ შენის შველისა და ხსნისა, აქვე მოვკვდებოდი და შენ კი აღარ დაგშორდებოდი ამ სიბერის დროს, რომ ამ ჩემთ ძვალთ მაინც განესვენათ თავის სანატრელს ქვეყანაში... მშვიდობით, საქართველო. (იჩოქებს და სტირის). მშვიდობით შვილივით ნაამაგდარო ქვეყანავ... (ემხობა პირქვე და ჰკოცნიმ დედამიწას). მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო მიწავ. (იღებს ერთს მუჭა მიწას და იდებს უბეში). ეს ერთი მუჭა მიწა მაინც ჩამყვეს საფლავში, თუ არ მიწერია ჩემს ქვეყანიში დამარხვა... მშიდობით! და ვაი იმათ, თუ გამრჯვებული დავბრუნდი შენს გამოსახსნელად, ვინც მე წინ დამიდგება... (დგება და საჩქაროდ გადის).

# მოქმედება 5.

## სცენა 1.

სცენა სწარმოებს სტამბოლს, სულთანის სასახლეში სულთანი და დიდი-მოურავი არიან მარტონი.

სულთანი. მე დიდად გამიკვირდა, რომ ასე ჩვენი დაუმორჩილებელი და თავდაუდებელი გურჯისტანის სარდალი — სააგაძე დღეს მოგვადგა კარს თავდაბლად და ისურვა ჩვენი თაყვანება.

მოურავი. ვინა არს ცათა ქვეშე მზირალი მზისა სხივთა, რომელი არა ჰმონებდეს ძლიერს მფლობელსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისას. მე, უკანასკნელს მონასა თქვენსა, ვითარ შემეძლო ისე დაღამება ჩემის სიცოცხლისა, რომ არ გავმხდარიყავ ღირსი მაღალის ხონთქრის თაყვანებისა, რომლისაც აღძვრით — აღიძვრის თვით დედამიწაცა.

სულთანი. მაგრამ როცა უძღოდი შააბას ყეენის ჯარებს და იბრძოდი ბაღდადში. მაშინ ვგონებ აგრე არა ჰფიქრობდი... შემდეგ იმ უკადრისობისა, რომელიც შენ მოგვაყენე ბაღდადისა და სხვა ადგილების წართმევით, შენ ჩვენს კარს რკინის პალოზედ აგების მეტი ღირსი არ იყავ; მაგრამ, რაკი თვით შესულხარ სინანულში, — პატივსა ვსდებთ შენს გმირობას, იმ იმედით, რომ ამ ჩვენს სულგრძელობას დაიმსახურებ ჩვენ წინაშე.

მოურავი. მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის, როგორც

მოხდა ჩემი თქვენთან წინააღმდეგობა. თქვენც კი მოხსენებული გექნებათ, ვინაიდგან არა არს ცათა ქვეშე დაფარული, რომელი არა უწყოდეს მძლევთა-მძლეველმან და ძლიერთა უძლიერესმან ქვეყნისა მპყრობელმან სულთან-მურადმან,-რომ როდესაც მეფემან ქართლისამან ლუარსაბ დამიწყო დევნა სასიკვდილოდ ჩემი სურვილი იყო, მაშინვე თქვენის საფარველისათვის მომემართა, მხარამ შემიკრეს ყოველმხრივ გზა, რომ არ შემძლებოდა აქეთ-კენ გამოსვლა; და მაშინ მეტი გზა არ იყო, უნდა გავცლოდი ჩემთა მდევართა საითაც გზა მიჩვენებდა. გზამ მომცა სპარსეთი ის მგარე გასასვლელათ და სპარსთა ხელმწიფემან შაჰაბაზ შემიწყნარა. რაკი იმან ისე შემიწყნარა, მასუკან ვაჟკაცის წესი არ იქნებოდა, რომ არ აღმესრულებინა სურვილი მისი;—თუმცა მაშინაც და ყოველთვისაც დარწმუნებული ვიყავ, რომ თქვენი წინააღმდეგობა არავის გამოადგებოდა და ყოველთვის ვეძებდი დროს, რომ მეჩვენებინა თქვენთვის ჩემი ერთგულება.

სულთანი. რომ არავის გამოადგება ჩვენი წინააღმდეგობა, ეგ იმითი დავამტკიცეთ, რომ რაც შენ სპარსეთიდამ გამოხველ, ჩამოვართვი სპარსთა წართმეული ადგილები და ბევრი სხვაც კიდევ.

მოურავი. დიახ! ეგ გახლავთ მიზეზი, რომ დღესაც თქვენ, და სხვას არავის, მიჰმართა სარდალმა სააკაძემ. ჩემი ხლების მიზეზი, გარდა პირის პირ თაყვანის ცემისა, რომლისაც მონატრე ვიყავ ჩემს სიცოცხლეში, გახლავთ კიდევ ისა, რომ მიიღოთ თხოვნა, რათა შეიქნეთ ხელმწიფე მთლად სრულიად საქართველოისა. მე ეს თქვენ შეუწუხებლივაც უნდა მომეხერხებინა და ვიხმე იმერთა და ათაბაგის ჯარები, რომ, ქართლი და კახეთი მიმეცა იმერთა მეფისათვის, რომელიც არის თქვენის მფლობელობის ქვეშე, მაგრამ მარტო ჩვენის ძალით ვერას გავხდით. სპარსნი წაქეზდნენ ამ ჩვენის დამარ-

ცხებით და კიდეც შეიტყეს, რათაც გამძლევდი ქართლსა და კახეთის იმერთა მეფეს, ამისგამო ისინი ეცდებიან, რომ დაიპყრან იმერეთიც და ამითი დაამცირონ თქვენი ტახტი და თქვენი დიდება. მე კარგათ ვიცნობ სპარსთა: ისინი არიან დაუძინებელი მტერნი და მეშურნენი თქვენის დიდებისა; ისინი ეძებენ ყოველს მარჯვე დროს, რომ თქვენ დაგამცრონ და თვითონ აღემაღლნენ ამით. იმათ ესლავე აქვთ თქმულება თეიმურაზთან, რომ დაიპყრას იმერეთი და გამოგაცალოსთ თქვენ ხელიდამ რისთვისაც ჰპირდებიან დიდს შემწეობას. და მე მოგახსენებთ, ძლიერო ხელმწიფეო, რომ იმერეთის დაპყრობით მოიცემენ სპარსნი დიდს ძალას, რათგან, თქვენ უწყით, რა კაჟკაცი ხალხიც ასხია იმერთა სამეფოს და სამთავროებს. მე გიახელით ჩემითაც და თვით იმერთა მეფის გიორგის მონდობითაც, რომ გთხოვოთ შემწეობა სპარსთა და თეიმურაზის ძლევისათვის, რათა ერთგული თქვენი გიორგი მეფე შეიქნეს მპყრობელი ქართლ-კახეთისაც, რომ გაისადოს მთლად ქვეყანა საქართველოსი საყმოდ და ამითი დაამცროს თქვენი დაუცხრომელი მტერის სპარსეთის ტახტის ძალა. ვიცი, რომ სპარსნი არა თუ თვით, თუ შეიძლებენ რასმე, და აღაშფოთებენ თქვენს საკუთარს საყმოსაც. დიდი ხანია იმათ ჰქონდათ ლაპარაკი სოხასტასთან რომ აშლილიყვნენ ისინი და სპარსნი აღუთქვამდნენ ყოველრიგს შემწეობას. არ დაცხრებიან სპარსნი, ვიდრე იმედი აქვთ საქართველოს მხრივ. ამისგამო და სპარხთა შესამუსრავად, იძლვენით, ხელმწიფეო, მთლად საქართველო და გვიბრძანეთ, რომ აღვასრულოთ ყოველი თქვენი ბრძანება. თქვენთვის შემოგვიწირავს ერთობ საქართველოს ჩვენი თავი და ჩვენი სიცოცხლე.

სულთანი. მომეწონა შენი სიტყვები: შენ სთქვი ისე, როგორც მე დიდი ხანია მიცვნია სპარსელები. შენი განზრახ-

ჯა დიდი ხანია მეცა მაქვს, მაგრამ ამის აღსრულებას ვერ შევსდგომოდი, რაკი ნახევარზედ მეტი საქართველოსი არ მიდებდა თავს და ეწეოდა სპარსთა ხელმწიფესა. ახლა, რაკი უწარჩინებულესი სარდალი გურჯისტანისა თვით მახლავს და მთხოვს სამსახურს, უფრო ადვილია ჩემი აზრის შესრულება. მაგრამ ჯერობით უფრო სხვაფრივ მიჭირს შენი თავი. ჯერ ჩემი ჯარები არიან სხვა საქმეზედა. ხომ იცი, რომ სოხასტის რამდენიმე ქვეყანა და ქალაქი აგერ კარგა ხანია აღარ გვიდებს თავს. მესმოდა და ახლა შენი სიტყვითაც მტკიცდება, რომ ისინი არიან განრისხებულნი სპარსთაგან და მოინდომეს ჩემი სამფლობელოდამ განთავისუფლება. ჩემი პირველი ვეზირი და ჩემი საყვარლის დის ქმარი აგერ წელიწადზედ მეტია ადგია ერთს იმ ქალაქთაგანს ასი ათასის ჯარით, და წარმოიდგინე შეუპოვრობა ჩვენი წინააღმდეგებისა, რომ აქამდინ არ ემორჩილებიან ჩემს ჯარებს. ამისგამო შენ შენის ქართველებით უნდა წახვიდე ჩემს ვეზირთან და დაეხმარო განდგომილი ქვეყნის დასამორჩილებლად. თუ იქ დაგვიმტკიცებ შენს ერთგულობას და ვაჟკაცობას, რა წამს დავიპყრობთ იმ ქვეყნებს, მაშინვე მოგცემ ძალას, რათა ჩემი აზრიცა და შენი სათხოვარიც შევასრულოთ. დრო არის, რომ ჩვენ დაუდეგართ მტერთ—სპარსთა ვაცნობოთ ჩვენი ძალა და დავამცრიოთ ისე, რომ კვლავ აღარ განიზრახონ ჩვენი წინაღდეგობა.

მოურავი. გახლავართ სრული მონა თქვენის ბრძანებისა და თქვენის სურვილისა. მიბოძეთ ფირმანი და მე უმალვე გიახლებით თქვენი ბრძანების შესასრულებლად.

სულთანი. ეხლავე უბრძანებ, რომ მოგცენ ყოველი სამზადისი და ქაღალდსაც მივწერ ვეზირს, მასუკან შენ იცი.

მოურავი. მაღალო ხელმწიფევ! ესე ყოველი განზრახვა უნდა დარჩეს საიდუმლოდ, ვიდრემდის საქმეს საქმეზედ არ მივიყვანთ, თორემ ცბიერნი სპარსნი მოგვიცრიან ხელს და თითონ გაიკეთებენ საქმეს, როგორც უჯობსთ.

სულთანი. სწორედ გონივრულად ამბობ: შენ სთქვი, რასაც მე ვფიქრობდი. ყოველივე იქნება დაფარული. მშვიდობით. (გადის).

მოურავი. ღმერთო!.. (გადის).

# სცენა II.

**სცენა სწარმოებს საქართველოში, თეიმურაზ მეფის სასახლეში, გრემს. თეიმურაზ არის მარტო.**

თეიმურაზ. ეს ქართლ-კახეთი დავიმორჩილე. სვიმონ მეფის თავიც ხომ ძღვნად მომართვა ჩემმა ზურაბმა; მოურავიც გავიცალე. მტერი ბევრი აღარავინა მყავს. დეე მოურავმა იქ ოსმალებისთვის სთხიოს სისხლი. მაღლს მაღლური ცხოვრება ეკადრება... ყვენიც ველარა გადნიერდება აგრე რიგად... ეს ერთი კარგი საქმე მიყო მოურავმა, რომ ზურაბს დამამოყვრა... რა საქმეები არ ჩაიდინა ჩემის გულისთვის ზურაბმა!.. ოო, ჩემო ზურაბ! დაუფასებელი ხარ შენ ჩემთვის... განა უშენოდ დღეს მე ასე თავისუფლად ვივლიდი ჩემს კახეთში... ახლა რამდენი სხვა ქვეყნები დამიმონა...

ერთი კახეთის დიდი თავადი. (შემოდის შეწუხებულის სახით). მე გიახელით, ბატონო მეფევ, თქვენთან ერთის საქმის გასამჟღავნებლად... მაგრამ...

თეიმურაზ. მაგარი?!...

თავადი. მაგარი!... არ არის ადვილი მოსაღსემებელი, მე-ტადრე თქვენთან... მაგრამ...

თეიმურაზ. თქვი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! ხომ იცი მე იჭვში ყოფნა მეჯავრება.

თავადი. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენცა და ქვეყა-ნაც გამოგიხსნათ განსაცდელისაგან, თუმცა ვიცი, რომ თქვენ ეს ამბავი გაგაოცებთ და დაუჯერებელი გეჩვენებათ.

თეიმურაზ. ბრძანე მამიშენის სულის მზესა! განა ისეთი რამ მოხდება ჩემს თავს, რომ დასაჯერებელი არ იყვეს: მე ჩემის ბედისაგან ყველას მოველი.

თავადი. მოგახსენებთ, თუ ჯერ ღვთის ფიცს დამიდებთ, რომ ეს სიტყვები არ გამივა, თორემ მეც მევნება და თქვენ ხომ უარეს მოელოდეთ. ეს ამბავი იმისთანა კაცზედ გახლავსთ, რომელსაც ყველაფერი შეუძლიან.

თეიმურაზ. (შემკრთალი). რა იყო? მოურავი ხომ კიდევ არაფერს გვიპირებს?

თავადი. ჯერ ფიცი მიბრძანე, თორემ არ შემიძლიან მოგახსენო.

თეიმურაზ. მეგმოს წამებული დედიჩემის ქეთევანის სული, თუ ჩემგან შენ ეგ სიტყვა გაგივიდეს.

თავადი. ბატონო ჩვენო და მწყალობელო! თქვენც შეიტყობდით, ზურაბ რა რიგად არის აზვავებული. ამდენმა ქებამ და დიდებამ სრულებით გაიტაცა ეგ. მოგეხსენებათ კიდეც-გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რათგან თქვენი ასულის ქმარი გახლავსთ — რა მოდგმის კაციც არის. პაპა მაგისი იყო ერთი უბრალო ღატაკი აზნაურშვილი და მამამან მაგისმან სისხლით შეიძინა, რაც დღეს ნუგზარის შვილებს უჭირავთ. მოგეხსენე-ბათ კიდეც, რომ ნუგზარ მოკვდა მეფის ორგულებაში და მოურავის სამსახურში. ესეც ხომ გუშინ იყო, რომ ზურაბმა,

რაკი დაატყო სვიმონ მეფეს ძალა, გადაგიდგათ თქვენ და მისცა ქართლი სვიმონს. შემდეგ დაგატყოთ, რომ ძალა თქვენსკენ იყო, მაშინ სვიმონ მეფეს მოტყუებით და ღალატით მოსჭრა თავი და მოგართვათ თქვენ... ჰნახეთ ეგრეთვე, რომ ზურაბ მას აქეთ მეფობას ჩემობს და თქვენ, თითქმის, საქვეყნოდ არად გაგდებთ. ამის შემდგომ არ ვიცი, მეფეო, სხვაც რამ შენიშნეთ ზურაბს, თუ არა?

თემურაზ. ჰო, ბრძანე, სხვაც ბრძანე მამიშენის სულის მზეს... იქნება კიდევ სხვაც რამა აქვს გუნებაში?!

თავადი. გუნებაში კი არა, დიდებულო მეფეო, და გადაწყვეტილიცა აქვს... აქვს გადაწყვეტილი და მოურავზედ უარესად უპირებს ქვეყანასაც და თქვენცს დაღუპვას..

თეიმურაზ. მართლა მამიშენის სულის მზეს?... მითხარ რა განუზრახავს ჩვენს დასაღუპავად... ზურაბ სახუმარი კაცი არ არის; დიდი ხანია ვხედავ, რომ მე იმისი გაბრთხილება მმართებს.

თავადი. გაბრთხილება არა, ბატონო, და სხვა უარესიცა გმართებთ, თუ გინდათ თქვენი თავიც და ქვეყანაც უბედურებასს განარინოთ... ზურაბს განუზრახავს საშინელება, რომელიც სათქმელადაც შესაზარავია ყოველის გახელის კაცისათვის. განუზრახავს თქვენი სიკვდილი და ქვეყნის დაღუპვა... ამაზედ ის კიდეც განძრახვია სპარსთა.. მეფეო! დაიხსენ ქვეყანა უბედურებისაგან: გვეყო ამდენი სისხლი და აოხრება.

თეიმურაზ. ზურაბს განუზრახავს ჩემი სიკვდილი?!.. ოო! განა არა დიდი ხანია ცუდს განზრახვას ვატყობდი მე იმას. სწორედ წამებული დედიჩემის მადლი მიფარავს მე ბოროტთ გამზრახავთაგან.. სად არის ნოდარ?.. სად არის ეხლა ზურაბ?

თავადი. ნოდარ თქვენს სასახლეში გახლავსთ და

ზურაბ არაგვზედ იქიდამ აქვს ჩუმად მითქმა—მოთქმა სპარსებთან...

თეიმურაზ. ნოდარს როგორღა ჰხედავთ? ისიც ძრიელი კაცია.

თავადი. ნოდარ კაზელი კაცია და ჯერ თქვენი ერთგულების მეტი არა ეტყობარა.

თეიმურაზ. ვიცი, დარწმუნებული ვარ ჩემს კაზელობაზედ, ჩემს ნოდარზედ... მივმართო ისევ ნოდარსა... მე და ზურაბობა აღარ იქნება... (გადის).

თავადი (მარტო). დიდი ხანია ზურაბ ბოლო მოსაღები იყო და გვიან ეღება ასატ.

(შემოდიან რამდენიმე თავადობა).

პირველი თავადი. რა ჰქენ?

თავადი. რა ვქენ?! დიდი ხანია ჩვენ ეს დონე უნდა გვეხმარა... მე შენ მოგახსენო ბატონი ადვილად არ დაიჯერებს..., მერე ზურაბზედ რას არ დაიჯერებს: არ დაინდო თავისი მამისოდენა ნაამაგდარი და სიძე მოურავი, არ დაინდო საკუთარი ძმები, არ დაინდო მეფე სვიმონ, და რა საკვირველია, რომ თეიმურაზ თავის თავზედაც იჭვს შეიტანდა და დაიჯერებდა... იქნება მართლაცა და არც კი დაინდოს, თუ გაუჭირდა...

მეორე თავადი. ოღონდა და!

მესამე თავადი. ხომ დარწმუნდა?

თავადი. აბა, რა! მაშინვე ნოდარისკენ გასწია: მე და ზურაბობა აღარ იქნებაო... ახლა ნოდარმა იცის.:.

მეოთხე თავადი. ხომ გააფრთხილე, რომ არ გაგცეს?!

თავადი. რაღა თქმა უნდა.

მეხუთე თავადი. უნდა მოკლას, თორემ თუ ცოცხალი დარჩა, ჩვენ ის კეთილს არ დაგვაყრის.

თავადი. რა საკვირველია... მაშ გგონიათ ეხლა, თუნდა თავდებიც რომ მისცეს კიდევ ენდოს ის ზურაბსა... ეს არის, გათავდა იმისი სიცოცხლე.

მეექვსე თავადი. დიდიხანია ჩვენ ასე უნდა გვეფიქრა რამე... ჩვენ ორს ღმერთს ვერ ვემსახურებით... ჩვენ ორს ბატონს ვერ ვიყოლიებთ.

მეშვიდე თავადი. არაგველი კაცი რომ კახელებს გვებატონებოდეს, დიახაც და არ არის მოსათმენი...

მერვე თავადი. მეფესაც რომ არ ეკისრა, განა ჩვენ კაცები არა ვართ. ეგეც ხომ მოურავი არ არის, რომ ვერავინ რა გაუბედოს...

თავადი. არ იქნება... მერე მეფეც ჩვენ გაგვირისხდება სხვებიცა და არაგველებს ხომ აქ ვეღარავინ დაუდგებით... ისევ სჯობს, რომ მეფის ბძანებით მოვიშოროთ თავიდამ.

მეცხრე თავადი. აგერ მეფე და ნოდარიც მობრძანდებიან. გავიდეთ და გარედამ უგდოთ ყური რას ილაპარაკებენ (გადიან).

(შემოდიან მეფე და ნოდარ ჯორჯაძე).

ნოდარ ჯორჯაძე. მე თითონაც ვატყობდი ზურაბს რაღაცა სხვა ნაირს ანგარიშებს, მაგრამ ვერ გამებედნა: ვაითუ მეფეს ეწყინოს, მეთქი... ახლა აღარც კია ჩვენთვის საჭირო ზურაბი.. ეხლა ჩვენ ზურაბის ძმები უფროც გვინდა მოურავი საშიში აღარ არის, რადგან თითქმის ყველანი გამოსცლიან და დაბრუნებულან შინ. ისეთია იასე ქსნის ერისთავი, რომ სულ კბილებს იმტვრევს... მოურავი თავისებურად ბატონობას და ჩუმჩუმაობას არ იშლიდა, საჩუქარი ხონთქრისგან მარტო სულ თურმე იმას მოსდიოდა, და სხვის ხსენება კი არსად იყო. ეს, რა საკვირველია ქართველობას ვერ მოუთმენია და გამოსცლიან ზოგიერთ წვრილმანების მეტი. ქაიხოსრო მუხრან—ბატონი და ქავთარაძეც თურმე დროს ეძებენ,

რომ გამოეცალნენ. ისე და სხვები ამ დღეებში გიახლებიან თუ შეირიგებთ და გეყმობიან საუკუნოთ. შეურიგებლობა იმათი არ იქნება, რათგან ზურაბის საყმოს გადაკიდება მოგვინდება. ამასთან ხომ იცით, რომ იმათაც დიდი ძალა უჭირავთ ხელთ.

თეიმურაზ. მე მაშინვე ვიცოდი, რომ მოურავი თავისას არ დაიშლიდა... გარწმუნებ რომ კიდევ ზურაბ უარესია მოურავზედ... მაგათი შერიგება გვიჯობს, ოღონდ გადასახადი მოგვართვან.

ნოდარ. დიდი მოსართმევი აქვთ თქვენთვის მოტანილი.

თეიმურაზ. კეთილი, ეგეც ერთი, რომ ღმერთი ჩვენ ხელს გვიმართავს!... ახლა ზურაბის მოშორებაღა გვაკლია და პატარა გული მოგვისვენებს... აბა მაშ შეუდეგ თავდარიგს, და, როგორც შენგან ვიცოდე, ჩემო ნოდარ. მოიგონე წამებულის დედი ჩემის ღვაწლი, იმისი მადლი იფარავს კიდევ ქვეყანას.

ნოდარ. დარწმუნებული ბრძანდებოდე, მეფეო, რომ ნოდარ თვით თავის თავსაც არ დაჰზოგავს თქვენი დღეგრძელობისათვის. უნდა მოკვდეს ყოველი მეფის ორგული! (გადის).

თეიმურაზ. და კიდეც მოკვდება. (გადის ისიცა).

## ს ც ე ნ ა III.

სცენა სწარმოებს სოხასტის ერთს ქალაქში. მოურავის სადგომზედ. აქ არიან მარტო მოურავი და გიორგი ქავთარაძე.

მოურავი. აი, გიორგი! გავათავე ყველა წერილები. ეს მიუტანე

გიორგი მეფეს. რასაკვირველია, ისე და სხვანი მისულები იქნებიან საქართველოში. გააფრთხილე კიდევ შენათაც, რომ არ აჩქარდნენ და უდროვო—დროით არ მისცენ რამე მიზეზი თეიმურაზს და ზურაბს. როგორც იმათთვისაც მითქვამს, როცა დრო იქნება, მე თითონ ვაცნობებ იმათ ყველაფერს. შენც მდაბლად ეცი თაყვანი თეიმურაზს; ზურაბს რაც შეგეძ-ლოს დაუახლოვდი. ერთი დრო იყო, რომ შენ ძალიან უყვარ-დი და გიჯერებდა სიტყვას. რაც შეიძლოთ ეცადეთ დაჰყაროთ ხმა ჩვენი გამარჯვებისა, და ეცადეთ რომ ეს ხმა, უფრო და უფრო მოედოს ხალხს; მაგრამ დიდნი პირნი დიდ-პირებთან ერიდეთ ჩვენს ქებას. გამარჯვებაებზედ ბევრი ილა-პარაკეთ, მეფის ერთგულებთან მაგინეთ, როგორც მტრებმა და სხვებთან ერიდეთ ჩემს ურიგოთ ხსენებას. თუ მეგობარნი აგინებენ ხალხში კაცს, იმ კაცს ეხტიბარი უტყდება და ჰკარგავს რწმუნებასა.

ქავთარაძე. სულთანი როგორ გაიმეტებს, როდის იქნებაო?

მოურავი. ყოველივეს მაშინა სცნობთ, როცა მე შეგატყობინებთ. თვით გიორგი მეფემაც არ უნდა იცოდეს—როდის, ან როგორ რა იქნება, მხოლოდ თქვენცა და ისიც უნდა ყოველ წამს მზად იყვნეთ... შენ ყოველივე ისე უნდა დააწყო, როგორც მითქვამს, თორემ ერთს სიტყვის გადაბრუნებას შეუძლიან ჩვენი საქმის წახდენა... მე რომ აწყურს ჩამოვალ, თქვენ მანამდინ ქოჩორას გადმოსულები უნდა იყვნეთ. ეცადეთ ალისა და სურამისა ხალხი ჩვენკენ იყოს პირველსავე დროს. ეს არც არის ძნელი, რათგან მე იმათ ძალიან უყვარდი. ქაიხოსროსაც რაწამ დაბრუნდება სტამბოლიდამ, მაშინვე გამოგვზავნი. ისიც მისული იქნება ეხლა სტამბოლს. მშვიდობით. სულ დღე და ღამ უნდა იარო.

ქავთარაძე. მშვიდობით. (ჰკოცნიან ერთმანეთს, ქავთარაძე გადის).

პაპუნა ვაშაყაშვილი. (შემოდის). ჩვენ მგონი აღარც კი მოგვინდება ამ უკანასკნელი განდეგილების სიმაგრესთან ბრძოლა.

მოურავი. როგორ?

ვაშაყაშვილი. რაკი სპარსეთის მხრივ გზები შეუკარით, სრულებით უსაზრდოვოთ დარჩნენ და ძალიან გასჭირვებიათ საქმე. მოციქულები გამოუგზავნით, რომ თუ შეგვირიგებენ, დავემორჩილებით და თავს დაუკრავთო.

მოურავი. შემოუშვი მოციქულები. (ვაშაყაშვილი მიდის) ეს კარგი საქმე მოდის, რომ თვითვე თხოულობენ შერიგებას, მე ამასაც ჩემი საქართველოს სასარგებლოდ მოვიხმარებ.

(შემოდის ვაშაყაშვილი და მოციქულები. მოციქულები ეცემიან მუხლის თავებზედ, იდებს ერთი იმათაგან თავზედ ქაღალდს და არიან ისე).

მოურავი. (აიღებს ქაღალდს და კითხულობს). კარგი. თუმცა ბრძანება მაქვს, რომ არამცა და არამც არ შეირიგოთო, მაგრამ მე ვეცდები დიდებულს სულთანთან, რომ მოგიტევოთ თქვენი შეცოდვებანი. მხოლოდ სხვა გადასახად გარდა, თქვენ უნდა ათასი კარგი შეიარაღებული ცხენოსანი კაცი მოგვცეთ მეომარი გურჯისტანისკენ საომრათა თავისის საგძლით და ხვედრის ფულით.

მოციქულები. (იდებენ გულზედ, ტუჩზედ და შუბლზედ ხელსა და დგებიან.) ოღონდ ქალაქს ნუ წაგვიხდენთ და ხალხს ნუ გაგვიწყვეტავთ და ჩვენ მზათა ვართ ყოველ რიგის სამსახურისათვის.

მოურავი. მაშ ეხლავე დავაწერინებ პირობას, რომელ-

ზედაც მოვაწერთ ორივე მხარე ხელს, და მაშინ თქვენი ქალაქი დარჩება უვნებლად. (მოციქულები ჰკოცნიან მოურავს კალთის წვერებზედ და გადიან.)

მოურავი. ახლა ყველა გაჩარხულია, გამგზავრების მეტი აღარა გვინდარა. ათასი კაცი ჩვენს ხელთ ათი ათასს სხვას უდრის. (გადის).

## სცენა IV.

სცენა სწარმოებს სტამბოლს, სულთანის სასახლეში.

ერთი სულთანის ცოლი. რა კაცი გამოგვიდგა ეგ გურჯი სააკაძე, თითქმის სულ დაუფყრია განდეგილები. სულთანი დიდს წყალობას უმზადებს... სულ იმის ქებასა და ლაპარაკშია.

მეორე სულთ. ცოლი. თუ არ საკაძე, განდეგილები აქამდინ სტამბოლს აიღებდენ. საკვირველს რასმე ამბობენ მაგ გურჯსა... განა თუ მარტო გურჯები იბრძვიან იმის ხელით კარგათა, იმის ხელში ოსმალები კიდევ თურმე უკეთესათ იბრძვიან...

მესამე ცოლი. მთელი სტამბოლია და სააკაძეზედ ლაპარაკი. მე კი მაშინვე ვამბობდი, რომ თუ რასმე იზავს—ის იზავს, მეთქი. ჯერ ერთი ისე რომ შეხედო, იტყვი მარტო ის გაიტანს ათას კაცსაო. რომ დადის, თითქო დედამიწა ირყევაო.

ერთი მხლებელი ქალი. სტამბოლი დიდს სამზადისშია, რომ, როცა დაბრუნდება სააკაძე—დიდს დახვედრას უპირებენ. სადაც არ შეხვიდე—ყველგან სააკაძის ლოცვაში

არიან. იმის მეტი სტამბოლში ახლა სალაპარაკო აღარა არის რა.

მეორე მხლ. ქალი. თქვენმა მზემ ღირს კიდეც სალაპარაკოთა. ათის კაცით თურმე ათასს ისე გამუსრავს, რომ თითქო აქ არა ანბავიაო.

მესამე მხლ. ქალი. ცხენიან კაცს თურმე აიღებს და ისე ესვრის ერთმანერთსა. კედელს თურმე ერთი წიხლის მირტყმევით ამტვრევს.

მეოთხე სულთანის ცოლი. მუხის ხეებს თურმე ჰგლეჯავს ცალის ხელითა.

დიდი ვეზირის ცოლი. თქვენმა მზემ რაც არი და არ არის, ერთი ათასედ აზვიადებენ. რა კი ურჯია ახლა იმისთვის ამბობენ აგრე, თორემ დიდი ვეზირის ცოლი სულაც არა ბრძანდება. სირცხვილიც კია, რომ ამოდენა მართლამორწმუნე მარტო ერთს ვიღაცა გიაურზედ ლაპარაკობენ და სხვა სალაპარაკო ვეღარა უშოვნიათ-რა.

ერთი სულთანის ცოლი. გიაურია თუ ვინც არის, დღეს იმან გაამძლიერა სულთანის ტახტი და დიდება, და! დიდი ვეზირი აქამდინაც იქ იყო, მაგრამ კი ვერა გააწყორა.

მეოთხე მხლებელი ქალი. (შემოდის). გურჯის სარდალს გამოუგზავნია კიდევ მრავალი ტყვეები და ალაფი. ერთი პატარა ქალაქიღა დარჩენია ასაღები. ახლა მოიყვანეს ტყვეები დიდებულს სულთანთან, მთელი სტამბოლი გარს ახვევია. წამობრძანდით და საანათურიდამ უყურეთ.

ყველანი. (ვეზირის ცოლს გარდა). აკი მოგახსენეთ! ისევ გურჯების სარდალი!... თუ არ ისა, ვინ იცის რა მოგვივიდოდა. წავიდეთ ჩქარა უყუროთ (ყველანი მიდიან).

ვეზირის ცოლი. (მარტო). ჰმ! სულ და საკამე! საკამე... ესეც კიდევ იმას გაუმარჯვნია... ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობს, ქვეყანა

იმას აქებს და ჩემის ქმრის ხსენება არსად არ არის. მართლა, თუ ქალაჩუნა არ არას ჩემი ქმარი, აქამდინ როგორ ითმენს ამდენს თავის დამცრობასა?!... იმას რომ ვაჟკაცის გული ჰქონდეს, აქამდინ იმას ცოცხალს გაუშვებდა? ჯერ ეს რამდენჯერ მიმიწერია, რომ მოჰკლას და გააწყოს სააკის სახელი; და ის კიდევ გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერის თავის შერცხვენას... რით იცის, რომ სულთანი ახლა იმას არ დააყენებს პირველ ვეზირათ... მემრე რაღათ მინდა თავი ცოცხალი, რომ ხელმწიფის დაა სახელმწიფოში პირველი კაცის ცოლი არ ვიყვე!.., ერთიც კიდევ მივსწერ წიგნსა, რომ მოჰკლას, და თუ არც მაშინა ჰქნა, მასუკან ამიღია იმის ცოლ-ქმრობაზედ ხელი... ჩემი ქმარი თუ სხვაზედ უარესი იქნება, არ მინდა... ან მოჰკლას სააკაძე, ან არა და მალე გავცვლი იმის თავს სააკაძეზედ... ჩემი ქმარი უნდა იყვეს პირველი კაცი.,. რათგან არ მოჰკლავს სააკაძესა... მაშინ სააკაძე ყოფილა ღირსი ჩემის ქმრობისა და არა ეგა... ეხლავე ვსწერ წიგნსა... ან მოკლას სააკაძე, ან ჩემი თავი დაუთმოს იმასა... წავიდე, მე ამათი ყურება არ შემიძლიან. (გადის).

სულთანი. (შემოდის და უჭირავს წიგნი ხელში). ჰაი, გიაურ, ჰყურობ როგორ შინაც მიშვოთებენ სპარსნი ხალხსა! (კითხულობს). «თუ არ სპარსნი, განდევნილებს აქამდინაც დავიმორჩილებდით. მრავალი ჯარი სპარსთა, შეშინებულნი, დაბრუნდნენ უკანა... სპარსნი კვეხულობენ, ვითომც ისინი სჯობნიდნენ თქვენს უძლეველს ჯარებსა და თქვენთვის ხარჯი დაწეროთ...» ჰაი, დონღუზ!. დამაცადონ!... მალე გამოვაცლი მე მაგას გურჯისტანს ხელიდამ. (გააღებს კარსა) სთხოვეთ მობრძანდეს მუხრანის ბატონი. (შემოდის ქაიხოსრო მუხრანის ბატონი). მაშ ერთი პატარა ქალაქი-ღა დარჩათ?

ქაიხოსრო მუხრ. დიახ, დიდებულო ხელმწიფევ:

სულთანი. სპარსნი ხომ ვეღარ მიეშველებიან?

ქაიხოსრო. სპარსნი შეშინებულნი სააკაძისაგან, დაბრუნდნენ.

სულთანი. დაბრუნდნენ? რათ იკადრეს!? შიგ თეირნამდინ უნდა მიჰყოლოდით... მოიცადონ... ეგ მაგათ ეგრე არ შერჩებათ...

ქაიხოსრო. დიდი დაბრკოლება მოგვეცეს სპარსთა. მაგრამ უძლეველმან ჯარმან თქვენმა სრულიად სძლია იმათი ცბიერება. მოინდომეს სააკაძის მოსყიდვა, მაგრამ სააკაძემ მოჰკვეთა თავი გაგზავნილს კაცს, და გაუგზავნა ყეენს.

სულთანი. ჰმ! ჰყურობ!.. განა ისე მომკლავს ღმერთი, რომ იმათი ჯავრი შევჭამო... მადლობელი ვარ თქვენ ქართველებისა, რომ ეგ ყველა ამბები შემიტყეთ ყოველი ფერს სააკაძის სათხოვარს შევასრულებ ისე, როგორც იმის სურვილია, ოღონდ ის სპარსთა ჯავრს ნუ შემაჭმევს. ახლა თქვენ განისვენეთ ამ ჩემს სასახლეში. ყოველიფერი მისაღები თქვენთვის აქ არის მზათ. (რეკავს ზარს. შემოდის მხლებელი). დამიძახე ვეზირს. მხლებელი გადის).

ქაიხოსრო მუხრ. ჩვენი ვალი გახლავსთ, რომ დიდებულის სულთანის სამსახური ყოველისფერი შევასრულოთ.

ვეზირი. (შემოდის). რას უბრძანებს ყოვლისა ქვეყნის მპყრობელი თვისს უკანასკნელს მონას.

სულთანი. ამ დიდებულს ქართველს მიეცით ბინა ჩემს სასახლეში და ყოველი სამსახური სულ დაჩოქვილთ კარის კაცთ გაუწიონ და ემსახურებოდენ ისე, როგორც მე. სხვა ელოდეთ ჩემ ბრძანებას. (ვეზირი და მუხრანის ბატონი იდებენ გულზედ ხელს და გადიან).

სულთანი. სააკაძის შექრთამვაც რომ მოუნდომიათ...

ჴაი, გიაურ!.. ჴაი ასპიდო!.. აგიოხრებთ მე თქვენ ქვეყანას... შიგ თეირანის ქუჩების მეიდანზედ აგატირებ თქვენს დედებს თქვენს აყროლებულს მძოვრზედა... ჯერ ეგ გურჯისტანი გამოგაცალოთ ხელიდამ.

## ს ც ე ნ ა V.

იმერთა მეფის სასახლეში, სადაც არიან შეყრილნი იმერეთის მთავარნი და თავადობანი.

მეფე გიორგი. ისმინეთ, დიდებულნო მთავარნო და დიდებულნო თავადნო იმერეთისანო, რა განუზრახავს ჩვენზედ მოურავს სააკაძეს?!.. აპა, თურმე მართლა შერცხვენილი კაცი ყოფილა და ჩვენ სანდო კაცად მიგვაჩნდა იგი. გაუგულისებია ჩვენზედ ჩვენი დაუძინებელი მტერი ხვანთქარი და მოდის ჩვენზედ ძლიერის ჯარებით, რომ შემუსროს ჩვენი გვირგვინი, ჩვენი ხალხი და ყველანი მიგვცეს თათრობას. დიდებულნო! და რავა მოვითმენთ ჩვენ ამას სააკაძისაგან და რავა წავეხდვინებით თათრებს. ამისთანა დღეს არვინ ჩვენთაგანმა არ უნდა დაზოგოს თავი და თუ ვიძლევით მტრისაგან, სიკვდილი გვიჯობს შერცხვენილ სიცოცხლეს. აწი მისთვის მიხმია მე თქვენი თავი და თქვენ იცით რავამც დაეხმარებით თქვენს თავსაც და თქვენს ქვეყანასაც. მე მზად ვარ. გვმართებს ყველას გამზადება და მტრისა მტრულად მიგებება.

გიორგი ქავთარაძე. მეფეო, მთავარნო და დიდებულნო! ყველამ იცით რა ცბიერი კაციც არის სააკაძე და ან რა ძალის პატრონია. თითქმის აღარ არის ქვეყანა, სადაც იმას არ ეომნოს და არ შეემოსოს ძლევა. ყოველი გამარჯვება იმისი

არის დამოკიდებული ცბიერებაზედ. ხონთქრისაგან დაგრთამული ის უპირებს მთლად იმერეთს დაღუპვას და ამის აღსასრულებლად ის ეცდება უცებად მოსვლას. ამისაგამო, თუ გინდათ თქვენის თავისა და თქვენი ქვეყნის დაცვა, უნდა სულ გამზადებული იყვნეთ, რომ რა წამს ცნობა მიიღოთ. მაშინვე პირში მიეგებნეთ, რომ ის არც კი მოელოდეს ამ ამბავს, თუ არა—სააკაძეს აღარა გაუჭირდება რა და არცარა გაუკვირდებარა.

დადიანი. აჰ! რა მომაგონებდა, რომ გუშინ ჩვენი მეგობარი სააკაძე, დღეს ჩვენ მტრად აღგვიდგებოდა. კი გვმართებს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, გამზადება. სააკაძე სახუმარი კაცი არაა. მე ჩემის მეგრელებით ყოველ წამ მზად ვარ... ეგება არ ვჭამოთ თათრებისა და სააკაძისაგან სირცხვილი.

გურიელი. შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, გურულებს დღესაც დაძახების მეტი არ უნდოდეს.მაინც და მაინც რავა გვიბედავს სააკაძე ჩვენ მაგ ამბებს. აპა, ბატონებო, და აწი კი გვმართებს ერთი პირი, ყველა შურს და მტრობას თავი დავანებოთ, თუ არა თათრების სიმრავლე ხომ იცით: რამდენიც უნდა დახოცო, უფრო მრავლდებიან ჭინჭველის გორასავით.

შარვაშიძე. კი არ არის ჩვენი ქართველი კაცისგან მაგი საკადრისი. მიდის და თათრებზედ გვყიდის. შენ ნუ მოუკვდე, თათრებისთვის რომ არ შევიკრიბნეთ, ჯერ მარტო სააკაძეც არის მაგისთანა საქმისთვის ჩვენგან ავად მოსაკიდებელი. ჩვენ ერთმანერთს არ ვინდობთ და თათრებისაგან რავა დანდობა უნდა ვითხოვოთ! უნდა სულ ქუდზედ კაცი გამოვიდეთ და კაი გამზადებაც გვმართებს. მაგი არ არის ხუმრობა. თუ ერთი ვიძლიენით, მაგისთანა კაცი სულ აღარავის

დაზოგავს.

ქავთარაძე. დაზოგავს კი არა, სწორედ იმ პირობით მოდის, რომ მთლად ქვეყანა იმერეთისა მოსპოს და გაასწოროს მიწასთან.

რამდენიმე თავადი. აწი და მაშ ჩვენ კაცნი არ ვყოფილვართ! მაშ ჩვენ ულვაში არა გვსხმია. თათრები კვლავაც კი გვინახავს, მარა ზარგ-აკიდებული გაგვისტუმრებია. აპა, და მოპარვა კი არაა ბიჭობა, მევიდეს ცხადლივ და მაშინ ნახავს რასაც ბრძანდება.

ქავთარაძე. კიდეც ეგ არის უბედურება, რომ ცხადლივ არ მოვა სააკაძე. ამისთვის მოგახსენებთ, რომ ყოველს წუთას მზად იყვნეთ. მე სიყმაწვილითვე ვიცნობ სააკაძეს--ის ცხადლივ არაფერს აკეთებს... ყოველის ფერით: კაცით, იარაღით, საგზ-ლით სულ მზად უნდა ვიყვნეთ, რადგან სააკაძე ისეთი ადვილი საძლევი არ არის, რომ ერთისა და ორის ომით გადურჩეთ ჩვენ იმას.

სხვა რამდენიმე თავადი. კი! კი, შენ ნუ მოუკვდე! ყოვლისფერით გვმართებს გამზადება და კიდეც განვემზადებით.

მეფე გიორგი. გამზადება და სიფრთხილე დიდი გვმართებს, ამისთანა გაჭირვება იქნება იმერეთს ჯერ თავის დღენი არ დასდგომოდეს; ჯარებს თურმე ძლიერს ამზადებენ და სააკაძეს და დიდს ვეზირს ჰგზავნიან, რომ ჩვენი სინსილაც კი აღარ გაუშვან. მე, თქვენს მოხუცებულს მეფეს მიყურეთ და რავამც მე მოვიქცე, თქვენ უმეტესობა გმართებთ.

ყველანი. კი! კი! შენთან აწი ყველანი დევიხოცებით, ჩვენ ყველას შემოგვიწირავს შენთვის თავი. გვიბრძანე და შენს პირველს დაძახებაზედ სუყველანი ჩვენის ხალხით მზად ვართ. ჩვენი ცოცხალის თავით არ გაჭმევთ არც შენ და არც

ჩვენს თავს სირცხვილს... ბატონს გიორგი მეფეს გაუმარჯოს!!... გაუმარჯოს!!...

გიორგი მეფე. ჩემთ დიდებულთ გაუმარჯოთ! თქვენგან მქონია ყველგან ძალა და აწიც უჩვენოთ ჩვენს ძლიერს მტერს, რომ ჩვენ ისეთი უძლურნი არა ვართ, რავამც იმათა ჰგონიათ... აწი წამობრძანდით სადილს შევექცეთ და შერე უფრო კიდევ კარგათ დავაწყობთ.

ყველანი. ბატონს გიორგი მეფეს გაუმარჯოს!... (გადიან).

## ს ც ე ნ ა VI.

სცენა სწარმოებს მეფე თეიმურაზის სახლში. არიან ნოდარ ჯორჯაძე, რამდენიმე სხვა კარის კაცნი და ზურაბ ერისთავის ცოლი.

ზურაბის ცოლი. მითხარ, შენ გეთაყვანე, ჩემო ნოდარ, მითხარ რას უპირებს მამა ჩემი ჩემს ზურაბს, ჩემს სიცოცხლეს?!.. მითხარ, რატომ არ მინახვინებს მამა ჩემი?!.. რა შევცოდე, რა?!...

ნოდარ ჯორჯაძე. მეფემა ბრძანა, რომ ჩემი მოღალატის ცოლი ჩემი შვილი არ არისო და ბრძანა, რომ ეხლავე დაგითხოვოთ აქედამ.

ზურაბის ცოლი. მე უნდა დამითხოვოთ?!... მე არ მინახვინებს მამა ჩემი, თავის საყვარელს ასულს?!.. სად წავალ აქედამ, მინამ არ ვნახავ მამა ჩემს! სადა?!.. დეე, თუ მოვმძულებივარ, თუ მოღალატის ცოლი ვარ, მომკლას თავისავე ნაშობი თავის ხელით... იმისგნით მონიჭებული სიცოცხლე თითონვე წაიღოს... ნოდარ! მიშველე რამე შენი ძმობის

ჭირიმე—შენს იქით მე ილაჯი აღარსადა მაქვს,—ერთი მინასვინოს მამაჩემმა, ერთი მნახოს ამ სახით თავისი უბედური შვილი.

ნოდარ. არ შემიძლიან. ბრძანა თქვენი აქედამ დათხოვნა...

ზურაბის ცოლი. ვერა, მე აქედამ ვერავინ დამითხოვს, მინამ მამიჩემის ფეხქვეშ ან არ დავლევ სულს, ან არ გამოვაშვებინებ ჩემს საყვარელს ზურაბს... ჩემი ზურაბ არ არის დაჩვეული ბნელში ყოფნას... ჩემი ზურაბ ვერ აიტანს ორმოს სუნს და იმას ჩახშოებულ ჰაერს...

ერთი თავადისშვილი. (შემოდის). მეფემ ბრძანა თქვენიც დაპყრობა, რომ ცუდი არა განიზრახოსრა იმანაცაო. (ნოდარს). თქვენ გიბრძანათ, რომ ეხლავე გაისტუმროთ სატუსაღოში.

ზურაბის ცოლი. მეცა!... ზურაბთან?!.. თუ ზურაბთან, ეხლავე წამიყვანეთ.

თავადისშვილი. არა—ცალკე. თქვენ ზურაბს ვეღარც თავის ბინაზედ ჰნახავთ. თქვენთვისაც ცალკე ყოფნა სჯობს.

ზურაბის ცოლი. როგორ თუ ცალკე?!... მე, მეფის ასული, დედაკაცი, ლეჩაქ დახურვილი, საპყრობილეში უნდა ჩამაგდოთ?!!.. არა, ეგ ქეთევან დედოფლის შვილის ნათქვამი არ იქნება... მიჩვენეთ ერთი, თითონ იმისგნით გავიგონო ეგ სიტყვეში...

ნოდარ. არ შეიძლება... მეფის ბრძანება უნდა შევასრულოთ... წაიყვანეთ მეფის ასული ცალკე საპყრობილეში... ნუ იწუხებთ, მეფის ასულო, თქვენ მანდილოსანნი გემსახურებიან. (კარის კაცნი ჰკიდებენ ხელს და მიჰყავთ).

ზურაბის ცოლი. ერთი მაინც მიჩვენეთ ჩემი ზურაბის

თავი... ნუ მოჰკლავთ იმის უნახავს...

მეფე თეიმურაზ. (შემოდის). რაო, მეფის ასულო!.. ზურაბის თავი გინდა ჰნახოო?...

ზურაბის ცოლი. (იჩოქებს). მამილო!... მეფეო ჩემო... შეისმინე... შეჰხედე რასა ჰგავს შენი ასული...

თეიმურაზ. შევისმენთ... ზურაბის თავი გინდოდა და გაჩვენებთ... ერთი უჩვენეთ ამას ზურაბის თავი.

ზურაბის ცოლი. ეგრე, მამაო! შეიბრალე შენი ასული... შენთვის თავდადებული. (შემოაქვთ ზურაბის თავი სინით, სულ მთლად სისხლში გასვრილი. ზურაბისცოლი ჩააცქერდება). ვუჰ!. (დაეცემა უგონოდ).

თეიმურაზ. გაათრიეთ და ჩასვით საპყრობილეში, რომ არაგველები არ'აშალოს მაგან. (გააქვთ უგონოთ ზურაბის ცოლი). მაჩვენეთ აბა ეგ ბოროტი, რომელიც განიზრახავდა ჩვენს ამოწყვეტას. (მოაქვთ მეფესთან თავი). ეგრე მოელების ბოლო ყოველს ჩვენს ბოროტის განმზრახველს... «სთხარა კაცმან თხრემლი და შთავარდა თვით კაცი იგი მას თხრებლსა შინა» შენ გსურდა სხვის სიკვდილი, მუხანათო, მაგრამ სულმან წამებულის დედიჩემისამან შეაბრალა ჩვენს მეუფეს თავი ჩვენი და თვით მოგაგო იგი, რასაცა განიზრახავდი სხვისათვის. წაიღეთ ეგ ბოროტი თავი და შეამკეთ მაგითი სამეფო სუფრა ჩემი. (გააქვთ).

იასე ქსნის ერისთავი. (შემოდის). დიდებულო მეფევ, ბრწყინვალის ქეთევანის პირმშო შვილო, მტერთა შემმუსრავო და გლახაკთა შემწყნარებელო, დღეს თქვენს კარსა გხლებიათ ერთიც კიდევ მონანული, ჩემებრ მოტყუებული და ჩემზედ კიდე უარესი ცრემლით მავედრებელი, აზნაური ქავთარაძე, რათა შეიწყნაროთ და მისცეთ ნება დაალამოს თავისი სიბერის დღენი თქვენს საფარველს ქვეშ. თავის სამშობლოსა და ნათე-

სავთ შორის.

თეიმურაზ. ეგეც მოუძღვებია მოურავს? «ძაღლი ძაღლის ძვალს არ გასტეხსო!» მაგრამ ეტყობა სააკაძე ისეთი ძაღლია, რომ არც თავისავით ძაღლებს ინდობს. ახი იყო, რომ არ შემეწყალა არც ერთი მოურავის ამყოლი კაცი; მაგრამ რა უყო ჩვენს ღმერთს, რომელიც გვიბრძანებს ცოდვათა მიტევებას და გლახათა შეწყნარებას. ნოდარ, უბრძანეთ შემოუშვან აზნაური ქავთარაძე. მაგრამ, რათგანაც იმან ჩვენის მეხანათობით პირუტყვს ადარა თავი, ამისგამო ღირსი არ არის ჩვენთან ამართვით ხლებას და შემოიყვანეთ ჩემთან ოთხით, ვითარცა პირუტყვი, რომ იცნოს ვისთანაც აქვს საქმე.

ნოდარ. რისაც ღირსია, იგი მიეგება. (გადის).

იასე. მაინც ვერ გაბედავდა თქვენთან ხლებას, თუ არ ჩოქვით და ყელზე საბელ ჩამოგდებული. უმეტეს ყოველთა იგი ჰსცნავს თქვენ წინაშე დამნაშავედ თავს. მაგრამ ეხლა ერთი რამ ისეთი მოხდობილება აქვს, რომლისთვისაც მიეტევება ყოვლისფერი.

ქავთარაძე. (შემოჰყავთ ოთხით, ყელზედ თოკ ჩამოგდებული). დიდებულო და უძლეველო მეფეო თეიმურაზ, წინაშე შენსა შემრწუნებულ არს საპარსეთი და მოდრეკილ არს ხონთქარი! ხონთქარი, რომელიც განიზრახავს იმერეთის დანთქმას, აპირებს თქვენთან დამეგობრებას და ზავს... და ვითარ გაჰბედა ერთმა უბრალო აზნაურმა, რომელიც არ არის ღირსი, რომ მმოყრთა თანა თქვენთანა სჭამდეს ნამცეცებს თქვენის ნასუფრალისას, თქვენი წინააღმდეგ და შეერთება თქვენთა უღირსთა მტერთათანა... დღეს უღირსი მონა იგი, მუხლმოდრეკით, კისერზედ თოკ ჩამოგდებული გხლებიათ კარსა და მოუნდვია სიცოცხლეცა და სიკვდილიც თვისი თქვენის დიდებისათვის: მოაგეთ თვისი მოსაგებელი, და რისაც ღირსი იყვეს; და

ღირსია მხოლოდ სიკვდილისა, და მოჰკალით უღირსი მონ იგი, მხოლოდ ათქმევინეთ სიტყვა, რომელიც აქვს ამას თქვენთან, ვითარცა მოციქულს დაბარებული.

თეიმურაზ. აღსდეგ აზნაურო გიორგივ, ვინაიდგან სახარება ბრძანებს: მიუტევეთ, რათა თქვენცა მოგეტეოსთო; შენი გულწრფელი სინანული მოგანიჭებს ახალად სიცოცხლეს (ქავთარაძე ჰკოცნის მუხლზედ და დგება). რა გაქვს სათქმელი იმერთა მეფისაგან, რომელისაგან დაკოდვილნი წყლულნი ჯე რაც არ გაგვმრთელებიან?

ქავთარაძე. რა, დიდებულო მეფევ, და ისა, რომ მოურავი მოდის თათრების ჯარებით იმერეთზედ, რათგანაც ხონთქარმა ინება იმერეთის წახდენა... მოურავს სურდა თქვენი წახდენა, მაგრამ ხონთქარმა არა ჰქნა, რათგან არ უნდოდა სპარსელებთან ჩხუბი, რომლებსაც არ არის დიდი ხანი რაც შეურიგდა; და ამასთან, გაიგო თქვენი განძლიერება, თქვენიც ეშინიან და უნდა კიდეც თქვენთან მშვიდობიანობა, და არცარა ცუდი მახსოვს იმისგანაო. რაკი ეს არ მოხდა და დიდი ხანია ჯავრი სჭირებია ხონთქარს გიორგი მეფისა, ახლა ჰგზავნის მოურავს იმერეთზედ ასაკლებათ; და იმერთა მეფე, რომელსაც მე ვაცნობე ეს ამბავი, გთხოვთ შემწეობასა, რაკი მარტო თავის თავის იმედი არა აქვს. ერთის გვარისა და ტომისანი ვართო და ერთის სჯულის მეფენი და ნუ წამახდენინებ მტერსაო.

თეიმურაზ. ჰო! ახლა, რაკი უჭირს საქმე, ახლა გვთხოვს: მტერს ნუ წამახდენინებო! როდესაც მოურავს აძლევდა ჯარებს ჩემი ტახტიდამ გადასაგდებათ, რატომ მაშინ არა ბრძანებდა მაგისთანა ტკბილ სიტყვებსა?!.. აბა, მაშ წავიდეს და ვისაც ეგ აძლევდა ჯარებს ჩემს დასაღუპავათ, იმათვე უშველონ. მე ჩემს მოსისხლე მტერს შველას ვერ მივცემ. ეგრე

მოახსენე ბატონს გიორგი მეფესა.

იასე. ეს არის ხონთქრის გადაკიდება ბრძანე, თორემ მაგისთანა გაჭირებაში თვით მტერიც შესაწყნარებელია.

თეიმურაზ. რათ გადვიკიდებ ხონთქარს მტრათა მაგის გულისათვის. თავის დღეში მე და ხონთქარი მოყვარენი ვყოფილვართ. იმედი მაქვს, რაც უნდა გამიჭირდეს, რომ ხონთქარი მიშველის და გიორგი მეფე კი მტრობის მეტს არას მიზავს... ეგ არის, მაგის მეტს პასუხს ჩვენგან გიორგი მეფე ნუ ელის, კარგა უნდა იცოდეს, რომ სააკაძემ თუ ორი თავისი მეფე არ დაინდო, არც მაგას დაინდობდა... სხვა შენ და სააკაძეს რაღათ მოგიხდათ მტრობა? ვინ შენ და ვინ სააკაძესთან ჩხუბი.

ქავთარაძე. ამოდენა ხანია ერთათ ვართ და ესლა ძლივს გავიცან რაც კაცი ყოფილა... იმის ბატონობას და ქვეშქვეშაობას ველარავინ გაუძლო... ამასთან, მეფეო, მეც გავტყდი და ვიცან, რომ მეფის ორგულობა არავის გამოადგება. სიზმარში ვნახე, რომ ჩემი სული ეშმაკებს დაეჭირათ და ჯოჯოხეთში მიათრევდნენ და აწვალებდნენ, რომ მეფის ორგულ კაცს ყველას ასე დავსჯითო. მე, ამ სასწაულის მნახველმა არ გინდომე სულის წაწყმედა და ვიფიქრე: დავბრუნდები და ისევ ჩემი მეფის ფეხთა მტვერი შევიქნები და იმასთან მოვიკლავ, მეთქი თავსა.

თეიმურაზ. ეგრეა! იცოდეთ, რომ მეფის ორგულება არავის გამოადგება. ხომ ნახეთ, რომ მოურავი, რომელიც ჯერ არავისგან არ დამარცხებულიყო, ვითარ შემუსვრილ იქმნა თავის მეფისაგან ბაზალეთს! ახლა საიქიოს რაც იქნება ეგ სხვა არის. ყოველს მეფის ორგულს ცუდი ბოლო მოელის. ერთს მაგალითსაც ეხლა გიჩვენებთ (მსლებელს). აბა ერთი უჩვენეთ ჩვენი მუხანათის თავი. (შემოაქვთ სინით ზურაბის

თავი). გეცნობათ თუ არა ეს თავი?

იასე. ეს ზურაბ არ არის?! დიდი ხანია ეს ამის ღირსი იყო.

ქავთარაძე. (შემკრთალი.) ოჰ!... ეს ვგონებ ის ზურაბ არის, რომელმაც შემუსრა მოურავის ძალა ბაზალეთს...

თეიმურაზ. და რომელმაც დღეს განიზრახა ჩვენი სიკვდილი და მის მაგიერ მიიღო ეგ ჯილდო. ყოველს ჩვენს ორგულს და მუხანათს მოელის ეგ დღე. მშვიდობით! ეს მიპატიებია დედიჩემის სულისათვის და ამას იქით თქვენც ამ დღეს მოელოდეთ, თუ შეგემჩნათ კიდევ ორგულობა. (გადის, გასდევენ სხვა თავის მხლებლები.)

ქავთარაძე. საწყალი ზურაბ! აღსრულდა მაგაზედაც მოურავის სიტყვები.

იასე. აღსრულდა ისა სხვის ხელით, რაც მოურავს დიდი ხანის მაგისთვის უნდა ექნა... ეგ ერთი საშიშარი მტერიც მოგვაკლდა. ჩვენი საქმე ახლა უკეთ არის... მალე და მალე დავაყენებთ ბევრს სხვებსაც მაგ დღეს... მშვიდობით სიბრალულო... ახლა სისხლი, სისხლი და სისხლი! (გადის და გასდევს თან ქავთარაძე.)

## ს ც ე ნ ა VII.

სცენა სწარმოებს მოურავის კარავში.

მოურავი. ძლივს, თითქო მოიხედა ღმერთმა ჩვენსკენა. არ გვემართლებოდა?!..რამოდენი ტანჯვა და ვაგლახი გამოვიარეთ: რათა და ვისთვისა?!..რამდენი ქართველი კაცი დაიღუპა და ვეღარა ნახამენ თავის საყვარელს ქვეყანას და ობლათ დატოვებულს ცოლშვილსა.. რამდენი შევცოდე ღმერთსა ბაზალეთიდამ

რომ დამარცხებული მოვდიოდი, რომ ალბათ ღმერთს ჩვენთვის კეთილი არ უნდა, მეთქი!... ვენაცვალე იმის სამართალს: იმას უფრო კარგათ სცოდნია, როგორც რა უნდა მოხდეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის კიდევ საქმე როგორ გათავდებოდა ჩვენსა, ოსმალებს და სპარსეთის შუა. სპარსნი საქართველოს შეერთებას ხონთქარს სხვაფრივ შეაგონებდნენ, — რაკი ხონთქრის დაუკითხავათ საქმეს დავიჭერდით, — და უეჭველია, რომ საქმეს გაგვიჭირებდნენ. ახლა ხონთქარი დავარწმუნე ჩვენს ერთგულებასა და იმის სასარგებლოთ ჩვენი სურვილის დაწყობაზედ და ხონთქარსა და ყეენს შუა ისეთი ღვარძლი ჩავთესლე, რომ გვიანობამდის ამ ღვარძლს ვერ მოინელებენ. უნდა თავისივე ქონით თვალები დავთხარო იმათ. ხონთქარი დღეს ისეთ ერთგულათ მიცნობს, რომ თავის თანასწორათ წიგნსა მწერს. ჯარები რამდენიც გინდა წაიყვანე, ოღონდ ყეენის ჯავრი ამომყარეო... ამოვყარი, რომ ბოლოს შენი ჯავრიც ამოვიყაროთ... ახლა ჩემს ხელთ არის ძალა. ხვალ უცებათ სამოცი ათასის საუკეთესო ჯარებით შევიძვრი ქართლისაკენ... იმერეთი სულ მზათ არის... ეხლა ერთი წუთის საქმეა... ოო, ღმერთო მადლობა!... მემრე სიკვდილიც აღარ მიმძიმს.. რა სიამოვნებით მიღელავს გული. ასე მგონია სასუფეველში ვარ, მეთქი... რა გულით მომეგებებიან ჩემი თეკლე, ჩემი შვილები, რომელნიც ვინ იცის რავდენს მწუხარეს ფიქრში იქნებოდნენ ჩემის დამორებითა... რა ტკბილია ბევრის ტანჯვის შემდგომ ჭირნახულის მომკა... ეს პირველი ღამეა, რომ მე გულ დამშვიდებული დავიძინებ... სულთანის წიგნმა სრულათ დამამშვიდა... რა არის კაცის ცხოვრება: სულთანი ასე გულით მენდობა; მეც მიყვარს ისა და პატივსა ვცემ; და ამისთანა კაცს, რომელმაც შემიწყნარა თავის სწორათა, უნდა ასში ერთხელაც არის უმუხთლო... უნდა უმუხთლო იმიტომ რომ უამისოთ, მოუტყუებლათ, იმო-

დენა ქვეყანა უნდა დაუსრულებელს უბედურებაში იყვეს...ეჰ!ეხლა რა დროსღა ეს ფიქრებია... ღმერთო რა რიგათ მეძინება...

ქაიხოსრო მუხრ. (შემოდის და შემოსდევენ: ვაშაყაშვილი, ხერხეულიძე და დიასამიძე). აბა ახლა ჩვენი ძილის დროც არის...

ხერხეულიძე. ყველა ქართველებმა დაიძინეს, რათგან უბრძანეთ რომ ადრე უნდა გაუდგეთ გზასა.

ვაშაყაშვილი. ყარაულებისთვის მითქვამს, რომ თუ დაგვეძინოს, რამწამ ინათლოს—დაგვაღვიძონ.

დიასამიძე. ძლივს ახლა ჩვენც ვიზამთ საქართველოსკენ პირსა. რა რიგ გაეხარდებათ ჩვენს ცოლშვილსა და ნათესავებს.

ქაიხოსრო. რავდენიც აქ ტანჯვა გამოვიარეთ, ახლა შინ რომ დავბრუნდებით, ვისიამოვნებთ. ეს სულთანის წყალობა სულ საშვილის--შვილოთ გვეყოფა.

მოურავი. მცირე შრომა კიდევ გვიდევს წინა და მერე გათავდა ყოველისფერი: სულ ქუდი ჭერსა ვკრათ ჩვენს ცოლ-შვილში, ჩვენს მწვანე ველებზედ, ჩვენი ანკარა წყლების პირას; ღია და ხუმბუქს ჰაერში, ლამაზი დიდი კაკლების ჩრდილოებ ქვეშ... ჩამოვკრათ ტკბილათ თარსა და დავძახოთ ჩვენი ტკბილი მამაპაპური გულგასართობი ლილინები... ახლა ვილოცოთ ხვალინდელის მგზავრობისთვის და ჩვენი ხელის მომართვისათვის. (იჩოქებს და ხელ განპყრობილი ლოცულობს. ყველანი დაჩოქილნი ლოცულობენ. ათავებს).ახლა ღამე მშვიდობისათ. (წვება ცარიელს ხალიჩაზედ, იდებს თავით უნაგირს და იძინებს).

ყველანი. ღამე მშვიდობისა! უკანასკნელია ჩვენი აქ ძილი. (წვებიან ცალკ ცალკე და იძინებენ).

## ს ც ე ნ ა VIII.

სცენა სწარმოებს დიდი ვეზირის კარავში.

დიდი ვეზირი. (არის მარტო). შენი ხსენება არსად არისო! ჰაი, იოფაკ!... ჩემს სახელს რა დაბნელებდა სტამბოლში, მაგრამ შმაკის გვერდი არ არის: ჰშურს, რომ რატომ მარტო ჩემს ქმარს რ აქებენ და სხვებსაც აქებენო.... ჰაი, გიაურ!.. სულთანის დაა რ იყვე — შენს თავს დიდიხანია ავაგებდი პალოზედ და ჩამოვატარებდი სტამბოლის ქუჩებზედ; მაგრამ ახლა რა გიყო! შენ ქმარი ხარ და მე ცოლი... არ დაგიჯერო სიტყვა, ჩემს თავს გაახმობინებ სულთანს ლაყი კვერცხივით... დეე მოკვდეს სააკაძე! გიაურის მოკვლა, რასაც გზას არ გამიღსნის ცაში, ცუდი არათფერია, მაგრამ რათ უნდა მასწავლიდეს ქალი მე ჭკუასა!... ეი. (შემოდის ერთი მსახური). რა იქნენ აქამდიმ ჯარების უფროსნი?... როდის მე დავიბარე ისინი!

მსახური. აგერ ისინიც გიახლებიან. (შემოდიან ათამდინ ჯარების მეუფროსენი).

ვეზირი. (მსახურს). გადი შენ. (მსახური გადის).

1-ლი ჯარის უფროსი. თქვენის ბრძანებით გიახლით აქა.

ვეზირი. რამდენი ქართველი და ჰყავს სააკაძესს?

2-ე უფროსი. ოცი. სხვები ზოგი დაეხოცა, ზოგი შინ დაბრუნა.

ვეზირი. სულ ერთს კარავში წვანან?

2-ე უფროსი. სააკაძის კარავში ხუთნი წვანან, სხვები ცალკე სხვა კარავში.

ვეზირი. კარავები ახლო ახლო უდგიათ?

4-ე უფროსი. დიახ.

5-ე უფროსი. რათა გნებავს?

ვეზირი. უნდა მოკვდეს ამაღამ ჩვენის ხელით სააკაძე

6-ე უფროსი. ქართველების გარდა, ოსმალებიც ჰყავს იმ
ჯარები.

ვეზირი. ოსმალები ჩვენია და არა იმისი.

7-ე უფროსი. ისინი ისე ჰყავს დაწრთნილი და შეკვეთი
ნი, რომ იმისი გულისთვის სულ დაიხოცებიან.

ვეზირი. ვინა? ოსმალები გურჯის გულისთვის დაიხ
ცებიან?!

8-ე უფროსი. დიახ. ისე თავდადებულნი არიან, რომ რ
გამარჯვებაები ჩაიდინა სააკაძემ, უფრო მაგათით ჩაიდინა. თით
ქმის ქართველებზედ უკეთ იბრძოდნენ.

ვეზირი. ვეზირის ხმა არ არისო სტამბოლში!.. მაშ ვინ
ჯარებით გაიმარჯვა სააკაძემ?!!.. ვნახავდით ერთი მარტ
ქართველებით რაღაცას იზავდა!.. ისინი ახლო დგანან სააკ
ძეზედ?

9-ე უფროსი. არა, კარგა მოშორებით. მაგრამ თუ გაიგ
რამე, დროით შეუძლიან რომ მოეშველონ.

ვეზირი. მაშ ესლავე წადით, შეკრიბეთ ყველა თქვენ
ჯარები, ნახევარით იმ გურჯის ოსმალთ შემოერტყით
ნახევარი მე წამომყევით. ქვეყანა მაგას აქებს და ჩვენი ხსენ
არსად არ არის. ამასთან ეს ამოდენა ჯარი სულ მაგას მიჰყვე
ხართ და ვინიცის სად დაიხოცებით ან რისთვისა. ეს ამაღამ
უნდა მოკვდეს. წადით და არ გაამჟღავნოთ, თორემ ველარ
ერთი ველარ იხილავთ ხვალ მზის ჩასვლასა. (ყველანი
გადიან).